

ა. ი. ლინგუიცი

# საბაზრო ეკონომიკის შესავალი

ლექსიების კურსი



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა  
საგამომცემლო ფირმა "სიასლე"

თბილისი, 1996

**ა. ლივშიცი**

საბაზრო ეკონომიკის შესავალი, ლექციების კურსი, თარგმანი რუსულიდან, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა; საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 1996 წ. - 340 გვერდი.

წიგნში განხილულია მსოფლიო ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკის უახლესი მიღწევები, საბჭოთა ეკონომიკის წინააღმდეგობრივი ისტორია, გაშუქებულია ამჟამინდელი კრიზისიდან თავის დაღწევის პერსპექტივები. მკითხველი მასში იპოვის საბაზრო მექანიზმის ახსნას, საქონლისა და ფულის ბაზრების, საბანკო სისტემის, სახელმწიფო ფინანსების ურთიერთქმედების საკითხებს, იმის ანალიზს, რისი გაკეთებაც ევალება სახელმწიფოს, პრივატიზაციის ჩათვლით, აგრეთვე, მოთხოვნის, ინფლაციის, უმუშევრობის, შემოსავლების განაწილების, ეკონომიკური ზრდის, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და ა.შ. პროგნოზირების პრობლემებს.

დამხმარე სახელმძღვანელო განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს თანამედროვე საბაზრო მეურნეობის არსში გარკვევა.

**მთარგმნელები:**

პროფესორი თენგიზ დემეტრაშვილი - I, III, IV, V, VI, VII ლექციები  
პროფესორი გივი გოშაძე - VIII, IX, X, XI, XII ლექციები  
დოცენტი პავლე ბერიძე - II, XIII, XIV, XV, XVI ლექციები

**მთავარი რედაქტორი:** პროფესორი როზეტა ასათიანი

**სარედაქციო კოლეგია:** პროფესორი როზეტა ასათიანი,  
პროფესორი რევაზ გოგოხია, პროფესორი თეიმურაზ ბერიძე, დოცენტი ჯემალ ჩხიკვაძე, დოცენტი შალვა ნათენაძე.

**თარგმანის რეცენზენტები:** პროფესორი თენგიზ ჭიაბრიშვილი  
პროფესორი რევაზ გველესიანი

0601000000  
608 (06) -96

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა;  
საგამომცემლო ფირმა "სიახლე", 1996

ISBN 5-511-00682-1

**სკპბ-2000**  
**შემოწმებულია**

საქართველოს



# შინაარსი

ქართული გამოცემის რედაქტორისაგან .....	6
ქართულ მკითხველს .....	9
წინასიტყვაობა .....	10
პირველი ლექცია – თავისუფალი კონკურენციის სისტემა .....	11
მეორე ლექცია – სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში .....	24
მესამე ლექცია – საბაზრო სისტემა .....	46
მეოთხე ლექცია – საბაზრო მეურნეობის ინფრასტრუქტურა .....	82
მეხუთე ლექცია – მოთხოვნილებები და მოთხოვნა .....	103
მეექვსე ლექცია – მოთხოვნა, ფასი, შემოსავალი .....	125
მეშვიდე ლექცია – ინფლაცია: მექანიზმები, მიზეზები, შედეგები .....	140
მერვე ლექცია – როგორ შევაჩეროთ ინფლაცია .....	171
მეცხრე ლექცია – უმუშევრობის პრობლემები .....	190
მეათე ლექცია – შემოსავლების განაწილება .....	208
მეთერთმეტე ლექცია – მონოპოლიზმი და მისი დაძლევის გზები .....	224
მეთორმეტე ლექცია – ეკონომიკური ზრდა .....	251
მეცამეტე ლექცია – ეკონომიკური დინამიკის ანალიზი .....	265
მეთოთხმეტე ლექცია – ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება .....	282
მეთხუთმეტე ლექცია – პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება .....	301
მეთექვსმეტე ლექცია – სახელმწიფო რეგულირების მეთოდები და ფორმები .....	319

## ქართული გამოცემის რედაქტორისაბან

დღეს, საქართველოსთვის ურთულეს ისტორიულ პერიოდში, როდესაც უკვე წარსულს ჩაბარდა ერთი ხელის დაკვრით, იერიშით ქვეყნის განახლების ილუზიები, წინა პლანზე დადგა ჩვენთვის უცხო, მაგრამ დასავლეთის ქვეყნებისათვის კარგად ცნობილი, ეკონომიკური სისტემის – საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების პროფესიულად დაუფლების აუცილებლობა. ათეული წლების განმავლობაში მსოფლიო ეკონომიკურ იზოლაციასა და თეორიულ ვაკუუმში ყოფნას უკვალოდ არ ჩაუვლიქ ჩვენში, სახალხო მეურნეობის მართვის ყველა ეტაპზე თავი იჩინა ეკონომიკური ცოდნის დეფიციტმა. მას განიცდიან როგორც საწარმოთა ხელმძღვანელები, ისე საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები. ახალი ეკონომიკური აზროვნება ძნელად იკაფავს გზას ეკონომიკური განათლების სისტემაშიც. არადა დრო არ ითმენს. დღევანდელ რეფორმატორთა დილეტანტიზმი, საზოგადოების გაუთვითცნობიერებლობა საბაზრო ეკონომიკის რთულ ლაბირინთებში მოუფიქრებელი გადაწყვეტილებების, გაუმართლებელი დასკვნების მიზეზი გახდა. რამაც მიგვიყვანა სერიოზულ შეცდომებამდე. [საქართველო, თავისი არსებობის მანძილზე, ერთ-ერთ საპასუხისმგებლო ეტაპზე აღმოჩნდა, ჩვენი ეკონომიკური ყოფა შეიძლება შევადართო დიდი დეპრესიის პერიოდს – 1929-1933

წლებს. მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, [ასეთ პირობებში ეროვნული ეკონომიკის სტაბილიზაციის გზა მხოლოდ რეგულირებადი საბაზრო ეკონომიკისაკენ მიდის.] ამიტომაცაა აუცილებელი იმ ეკონომიკური ცოდნის დაუფლება, რომელიც შეიქმნა მსოფლიოში ჩვენი თეორიული ავტარკიის წლებში. ამისათვის კი საჭიროა სპეციალური ლიტერატურა, რითაც არ არის "განებიერებული" ქართველი მკითხველი. ასეთ ვითარებაში აქტუალობას იძენს საბაზრო ეკონომიკისადმი მიძღვნილი ნაშრომები, ამ მხრივ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს პროფესორ ა. ლივშიცის წინამდებარე ლექციების კურსი. იგი შესანიშნავი დამხმარე სახელმძღვანელოა საბაზრო ეკონომიკის საფუძვლებში გასარკვევად. ეს წიგნი ძირითადად არის შესავალი მაკროეკონომიკაში, მაგრამ არა თვით მაკროეკონომიკა. მაკროეკონომიკა კი, – ცნობილი შეედი მეცნიერ-ეკონომისტის კ. ეკლუნდის განმარტებით, – ჩვენი საკუთარი მდგომარეობაა, თავად ჩვენი ცხოვრებაა. ამიტომ ჩვენი ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მაკროეკონომიკის დაუფლებაზე.

"საბაზრო ეკონომიკის შესავალი" დასავლური ეკონომიკური ლიტერატურისაგან იმით გამოირჩევა, რომ მასში საბაზრო ეკონომიკის თეორიული ასპექტები ლოგიკურ-ისტორიულ კავშირშია განხილული ახალ ეკონომიკურ სისტემაზე გარდამავალი პერიოდის ობიექტურ სინამდვილესთან,

პრაქტიკასთან, რუსეთის (და არა მხოლოდ რუსეთის) ეკონომიკის თანამედროვე პრობლემებთან.

ეფიქრობთ, მაღალ აკადემიურ დონეზე ქართულად თარგმნილი აღნიშნული ნაშრომი დიდ ინტერესს გამოიწვევს არა მხოლოდ სპეციალისტებში, არამედ ფართო საზოგადოებრიობაში. იგი დაეხმარება მკითხველს ეკონომიკური საკითხებისადმი სწორი პოზიციის შემუშავებაში.

**როზეტა ასათიანი**

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
ივ. ჯაფარიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი,  
საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი

## ქართველ მკითხველს

სსრ კავშირის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოცენებულ ყველა სახელმწიფოში ეკონომიკური რეფორმები ძნელად მიმდინარეობს. მეტად მძიმე აღმოჩნდა წარსულის მემკვიდრეობა. მაგრამ გარდამავალი პერიოდი არაა მუდმივი. მისი დამთავრების შესაძლებელი უკეთეს მდგომარეობაში ის ქვეყანა აღმოჩნდება, რომლის მთავრობაც მაქსიმალურად გაითვალისწინებს ეკონომიკური წყობილების ეროვნულ თავისებურებებს და შესაბამისად ააგებს ეკონომიკურ პოლიტიკას.

მაგრამ თავისებურებების გაგებამდე უნდა გავერკვეთ საბაზრო ეკონომიკის უნივერსალურ მექანიზმებში. ისინი უკვე დიდი ხანია მსოფლიო ცივილიზაციის საერთო კუთვნილებაა, ლაპარაკია ბაზრის მუშაობაზე, მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების ურთიერთქმედებაზე. არანაკლებ მნიშვნელოვანია საბაზრო სისტემის თანდაყოლილი დეფექტების, მაშასადამე, სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების სწორი შეფასება. თუმცა ისინი მთლიანობაში განსაზღვრულია. მაგრამ ხშირად ხდება, როცა სახელმწიფო იმაზე მეტს იტვირთებს, ვიდრე მას საბაზრო მეურნეობა დააკისრებს. ასეთ შემთხვევაში საჭიროა ეკონომიკის პრივატიზაცია.

მსოფლიო მეცნიერებისა და პრაქტიკის უდიდესი მიღწევაა ძირითადი მაკროეკონომიკური კანონზომიერებანი. განვითარებული ქვეყნების ეკონომიკის სტაბილური მდგომარეობა ბევრადაა განპირობებული იმით, თუ რამდენად სწორადაა გათვალისწინებული ერთობლივ დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის დამოკიდებულება, საკონლის, ფულისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრების ურთიერთქმედება. ამათი ცოდნის გარეშე შეუძლებელია ეფექტიანი ფულად-საკრედიტო და ფინანსური პოლიტიკის განხორციელება. იგივე შეიძლება ითქვას ინფლაციის, უმუშევრობის, ეკონომიკური ზრდის, შემოსავლების განაწილების პრობლემების შესახებ. არანაკლებ მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების პრინციპების დამუშავება.

ეს და სხვა მრავალი საკითხია ასახული ამ წიგნში.

მინდა ვუსურვო ქართველ მკითხველს, თავისუფალი საქართველოს ყველა მოქალაქეს პოლიტიკური მოუწესრიგებლობის ფაზის დაძლევა და შემოქმედებით შრომაზე გადასვლა სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ა. ლივშიცი

1994 წლის 21 თებერვალი

## წინასიტყვაობა

გასაგებია ის იმელები და შიში, რომელიც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთანაა დაკავშირებული. ჩვენ ახალ გზას ვადგებით. სადაც ყოველი ნაბიჯი – იქნება ეს საბაზრო ეკონომიკის სამართლებრივი ბაზის შექმნა, საკუთრების განსახელმწიფოებრივება, ფინანსური ბაზის ჩამოყალიბება თუ სხვა – არა მხოლოდ ორგანიზაციულ სიძნელეებს უკავშირდება, არამედ ეკონომიკის განვითარებისადმი მიდგომის ხელახლა გააზრებას. ბევრი კატეგორიის მიმართ პიროვნული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, იდეოლოგიურ კლიშეებზე უარის თქმას. პრაქტიკა ჭეშმარიტების კრიტერიუშია. საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების გამოცდილება მეტყველებს იმ დიდ შესაძლებლობებზე, რომლებსაც საბაზრო მექანიზმის გამოყენებაზე დაფუძნებული მეურნეობა იძლევა.

ამასთან დაკავშირებით საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტური საფუძვლებისადმი მისდევნილი ლექციების ციკლის გამოქვეყნება შეტად აქტუალურად გვესახება. მკითხველისადმი შეთავაზებული ეს კურსი გარკვეული აზრით, უნიკალურია. იგი (ვნებებისა და პრობლემების ფართო წრეს მოიცავს, რომელიც უკავშირდება მოთხოვნისა და მიწოდების მექანიზმების მოქმედებას, სახელმწიფოს როლს საბაზრო ურთიერთობათა სისტემაში, საქონლის, სამუშაო ძალის, ფულის, კაპიტალის, კონკურენციული ბაზების ფუნქციონირებას, საბაზრო ინფრასტრუქტურას, ეკონომიკურ ზრდას, ინფლაციას, მონოპოლიზმს და სხვ.

ვიმედოვნებთ, წინამდებარე კურსში – "საბაზრო ეკონომიკის შესავალი" – მკითხველები იპოვიან პასუხებს თითოეული ჩვენთაგანის წინაშე ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებზე.

აკადემიკოსი  
ს. შატალინი

თავისუფალი კონკურენციის სისტემა

*თავისუფალი ბაზრის ძირითადი ნიშნები. მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების ურთიერთკავშირი. საბაზრო მექანიზმი. პიგუს ეფექტი. ბაზრის წამყვანი ფუნქციები. გარეგანი ეფექტები. საზოგადოებრივი საქონელი. ვიქსელის კრიტერიუმი. სახელმწიფოს ეკონომიკური როლი თავისუფალი კონკურენციის პირობებში.*

რა არის თავისუფალი ბაზარი? ამ კითხვაზე პასუხი დიდი ხანია ცნობილია. მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ჩამოყალიბებულია რიგი პრინციპებისა, რომელთა ურთიერთობა თავისუფალი ბაზრის რეჟიმს განსაზღვრავს.

ამ პრინციპებიდან პირველია კონკურენციის მონაწილეთა შეუზღუდავი რიცხოვნობა, ბაზარზე აბსოლუტურად თავისუფალი შეღწევისა და იქიდან გამოსვლის შესაძლებლობა. ეს, მაგალითად, იმას ნიშნავს, რომ ყოველ ადამიანს უფლება აქვს, ხელი მოჰკიდოს მეწარმეობას ან 'ფეწვიტოს' ამგვარი საქმიანობა. ამის გაკეთება მას შეუძლია სხვადასხვაგვარად — წაოიწყოს თავისი საქმიანობა შრომაში უშუალო მონაწილეობით, დაიჭირავოს მუშაკები, ანუ, მარქსის ტერმინოლოგიით, გადაიქცეს კაპიტალისტად, იყდოს აქციები, შეიძინოს სახელმწიფო ობლიგაციები, მოათავსოს ფული ბანკში, დააბანდოს იგი უძრავ ქონებაში (მიწა, სახლი) და სხვ. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ ბაზარს საკუთრების ნებისმიერი ფორმა შეესაბამება, გარდა სახელმწიფო საკუთრებისა და ადამიანს თავისუფლად შეუძლია ის აირჩიოს, რომელიც ხელს აძლევს მას. თავისუფალი კონკურენციის სისტემა გამორიცხავს მომხმარებელთა დისკრიმინაციის ყველა ფორმას. ფულადი შემოსავლის მფლობელს, რომელიც თავისი მოთხოვნილების მოთხოვნის ფორმით გამოხატვას აპირებს, უფლება აქვს იყდოს მისთვის აუცილებელი საქონელი და მომსახურება;

მეორე ნიშანია მატერიალური, შრომითი, ფინანსური და სხვა რესურსების აბსოლუტური მობილურობა. კონკურენციის მონაწილე თავის ფულს უმიზნოდ კი არ აბანდებს, ~~დაფუჭავს აქციებში~~, არამედ შემოსავლის გასაღიდებლად. ამის იმედი მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჰქონდეს, თუ იქ, სადაც მისი კაპიტალია დაბანდებული, გაფართოვდა წარმოება და გაყიდვა. ეს კი დამატებითი რესურსების

მოზიდვის, მათი ეფექტიანი კომბინაციების გამოყენების, წინათ დაკონსერვებული სიმძლავრეების ამოქმედების, მოწინავე ტექნოლოგიების ათვისების გზით შეიძლება განხორციელდეს;

მესამე ნიშანია კონკურენციის თითოეული მონაწილის მიერ საბაზრო ინფორმაციის (მიწოდებისა და მოთხოვნის, ფასების, მოგების ნორმისა და სხვათა შესახებ) სრული დაუფლება. ამის გარეშე ის ვერ შეძლებს სწორი, თავისთვის საუკეთესო არჩევანის გაკეთებას, დაეუშვას, სახლის ყიდვასა და აქციების შეძენას შორის. ამასთან, ამ შემთხვევაშიც კონკურენციის მონაწილემ უნდა იცოდეს სახელდობრ, რომელი აქციები მოუტანს მას მაქსიმალურ შემოსავალს;

მეოთხე ნიშანია ერთსახელიანი პროდუქტების აბსოლუტური ერთგვაროვნება, რაც, კერძოდ, საეაქრო მარკისა და საქონლის ხარისხის სხვა ინდივიდუალური მახასიათებლების უქონლობით გამოიხატება. იმავე საეაქრო მარკის არსებობა გამოდევნის აწენებს პრივილეგიურ, მონოპოლიურ მდგომარეობაში. ეს კი უკვე აღარაა თავისუფალი ბაზარი;


მეხუთე ნიშანი ისაა, რომ თავისუფალი კონკურენციის არცერთ მონაწილეს არ შეუძლია გააღწეოს მოახდინოს სხვა მონაწილეთა მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ვინაიდან მათი რაოდენობა ძალზე დიდია (პირველი ნიშანი), თითოეული მწარმოებელ-გამყიდველის წვლილი წარმოებისა და მიწოდების საერთო მოცულობაში უმნიშვნელოა, ამიტომ, ფასი, რომლითაც ის მზადაა გაყდოს თავისი საქონელი, თითქმის არ აისახება საქონლის საბაზრო ფასში. გამოდის, რომ ფასების რეალური ღირებულებები ნაკლებადაა დამოკიდებული ეკონომიკის ცალკეული სუბიექტების სურვილებზე და ვილაცის "უხილავი ხელით" (ბაზრის მექანიზმით) მყარდება.

ცხადია, თავისუფალი ბაზრის სისტემაში მონოპოლიის არცერთი ტიპისთვის არ რჩება ადგილი, გამორიცხულია ინფლაცია, იძულებითი უმუშევრობა, კარბწარმოება. რაც შეეხება სახელმწიფოს ეკონომიკურ როლს, ეს განსაკუთრებული, რთული საკითხია. მას ჩვენ ცოტა მოგვიანებით დაუბრუნდებით.

ნებისმიერი ბაზრის ძირითადი პარამეტრებია – მოთხოვნა, მიწოდება და ფასი. მათი ურთიერთქმედება ასახულია 1.1 ნახაზზე (p – საქონლის ფასი, q – მისი რაოდენობა ბაზარზე).

დაეუშვას, ზოგიერთი საქონლის (მაგალითად, ველოსიპედების) ბაზარზე არსებობს თავისუფალი კონკურენციის რეჟიმი. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში მრავალი მომხმარებელი-მყიდველია წარმოდგენილი, რომელთაც ესაჭიროებათ ველოსიპედი და გამოყოფილი აქვთ სახსრები მის შესაძენად.





ნახ. 1.1

გამიზნული. სრულიად გასაგებია, რომ მომხმარებლებს სურთ საქონლის იაფად შეძენა, თუმცა იციან, გამყიდველებს განსხვავებული საზრუნავი აქვთ – გაყიდონ ძვირად. ამიტომ ველოსიპედების მოყვარულები მათ იმ ფასს სთავაზობენ, რომელიც ე.წ. მოთხოვნის ფასის ტოლია. მოთხოვნის ფასი ის ზღვრული მაქსიმალური ფასია, რომლითაც მყიდველები ჯერ კიდევ თანახმანი არიან, იყიდონ საქონელი. საბაზრო ფასი მას ვერ გადააჭარბებს – მომხმარებლებს არა აქვთ მეტი ფული საქონლის შესაძენად.

გასაყადი საქონლის მოთხოვნის ფასსა და რაოდენობას შორის არსებობს ურთიერთკავშირი. ერთი მხრივ, რაც უფრო ნაკლებია საქონლის რაოდენობა, მომხმარებელი მის სარგებლიანობას უფრო მეტად აფასებს. იგი თანახმაა, მით უფრო მაღალი ფასი გადაიხადოს მასში, და პირიქით, მეორე მხრივ, როცა მოთხოვნის ფასი მაღალია, საქონელს, როგორც იტყვიან, ვერ მიეკარები. ვინაიდან მყიდველი შედარებით ნაკლებია, შენარჩუნებულია გაყიდვის მცირე მოცულობა. თუ ფასი ეცემა, საქონელი უფრო ხელმისაწვდომი ხდება, მომხმარებელთა რაოდენობა იზრდება გაყიდული საქონლის რაოდენობასთან ერთად.\* ასე რომ, რომელი მხრიდანაც არ უნდა შევხედოთ, გამოიკვეთება დამოკიდებულება, რომელიც

\* მკითხველი უნდა გაავსრთხილოთ: ნუ ვიჭკაობთ ყველივე ამის რეალურ ეკონომიკასთან შედარებას. ფასსა და მოთხოვნას შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულება მაგალითად, მყარი ინფლაციური მოლოდინის, ან ბაზრის მონოპოლისტური დეფორმაციისას, რა თქმა უნდა, ბევრად რთულია. ამ მოვლენებს განვიხილავთ ციკლის მომდევნო თავებში, ამჟამად კი შევახსენებთ, რომ საქმე ეხება მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის სისტემას

გამოხატულია  $P_2$  მრუდით (იხ. ნახაზი 1.1). იგი აღწერს მომხმარებლის საბაზრო ქცევას და ეწოდება მოთხოვნის ფასის მრუდი, უფრო ხშირად, უბრალოდ, მოთხოვნის მრუდი. ✓

მიეკუთვნება ყურადღება მწარმოებელ-გამყიდველთა მოქმედებას. ისინი ფიქრობენ საქონლის ძვირად გაყიდვას, თუმცა კარგად იციან, რომ მომხმარებლებს სრულიად სხვაგვარი მისწრაფება აქვთ. ამის შედეგად წარმოიქმნება მიწოდების ფასები. მხედველობაშია ისეთი ზღვრული მინიმალური ფასები, რომელთა მიხედვითაც მწარმოებლებს ჯერ კიდევ შეუძლიათ მიჰყიდონ მყიდველებს თავიანთი ნაწარმი. საბაზრო ფასი არ შეიძლება დაეცეს მიწოდების ფასზე დაბლა, წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოება და გასაღება არარენტაბელური გახდება, რაც შეუთავსებელია მიწოდების ცენომიკურ ინტერესებთან.

რაც უფრო მცირეა მიწოდების ფასი, მით უფრო ნაკლები რაოდენობის ველოსიპედები გამოვა გასაყიდად. ბუნებრივია, მრავალი მწარმოებლის წარმოებისა და გასაღების ხარჯები უფრო მაღალი აღმოჩნდება ამ შედარებით მცირე ფასზე, რაც საქონლის გამოშვებას არახელსაყრელს გახდის. მიწოდების ფასის ზრდის კვალობაზე გაიზრდება აგრეთვე მწარმოებელთა რაოდენობა და ბაზარზე საქონლის მიწოდების მოცულობა. გამყიდველების ქცევა ხასიათდება მიწოდების ფასის მრუდით (მიწოდების მრუდი) (იხ. ნახ. 1.1).

ტ წერტილი ასახავს მწარმოებელთა და მომხმარებელთა ინტერესების თანამთხვევას, ბაზრის წონასწორობას. მიიღწევა წარმოებისა და გაყიდვის საუკეთესო მოცულობა ( $q_1$ ), რომელიც ყიდვისა და მოხმარების ოპტიმალური სიდიდის ტოლია, ხოლო საბაზრო ფასი იქცევა წონასწორობის ფასად ( $p_1$ ). მართლაც, მწარმოებლებს ხელს არ აძლევთ ფასების შემდგომი ზრდა და მიწოდების გაფართოება, რადგან ასეთ შემთხვევაში საქონელზე არ იქნება მოთხოვნა და თავად ისინი წააგებენ საბაზრო თამაშს – გაკოტრდებიან. შესაბამისად მომხმარებლებსაც არ შეიძლება ჰქონდეთ დიდი რაოდენობის საქონლის შექმნის, ან ფასების შემცირების იმედი. მოვლენათა ასეთი განვითარება ეწინააღმდეგება მწარმოებელთა ინტერესებს. თუ მიწოდების სიდიდეს აღვნიშნავთ  $S$ -ით, მოთხოვნის სიდიდეს  $D$ -ით, მაშინ წონასწორობის პირობებს უპასუხებს შეფარდება:

$$S_1 = D_1 = p_1 q_1$$

ვინაიდან მხოლოდ ერთი იზოლირებული ბაზარი განიხილება, ასეთ წონასწორობას ჩვეულებრივ, ნაწილობრივს უწოდებენ. როგორც ჰვემთ იქნება ნაჩვენები, საბაზრო ცენომიკის აგებულების გასაგებად არანაკლები

მნიშვნელობა აქვს საერთო წონასწორობას, რომელიც საბაზრო მეურნეობის მდგომარეობას ასახავს მთლიანად. აღსანიშნავია, რომ ნაწილობრივი წონასწორობის, მოთხოვნისა და მიწოდების ფასის, საბაზრო მექანიზმის მუშაობის ახსნას ჩვენ უნდა ვუმაღლოდეთ კემბრიჯის სკოლის ეკონომისტებს და განსაკუთრებით მის ლიდერს ა. მარშალს.

ახლა შევეცადოთ გავარკვიოთ თუ როგორ მოქმედებს საბაზრო მექანიზმი. გასაგებია, რომ განსაკუთრებით საინტერესოა გაირკვეს მისი გავლენა წარმოებაზე.

ვთქვათ, ზოგიერთი საქონლის, მაგალითად ველოსიპედების ბაზარზე, დამყარდა წინასწორობა: მოთხოვნა მიწოდების ტოლია, საქონლის საბაზრო ფასი იქცა წონასწორობის ფასად. შემდგომ დაეუშვათ, რომ ერთობლივი მოთხოვნა საქონელზე გაიზარდა. ასეთი რამ ძალიან ხშირად ხდება და სრულიად სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, ადამიანები იწყებენ უფრო მეტის გამომუშავებას და მეტი სახსრების გამოყოფას ველოსიპედების შესაძენად, რითაც გაღიქცვიან მყიდველებად, ანდა ფასების ზრდა ავტომობილებზე ზოგიერთ მომხმარებელს აიძულებს მოთხოვნის სტრუქტურის შეცვლას, მისი ნაწილის გადატანას ველოსიპედების საყიდლად და ა.შ. მომხმარებელთა მიერ ველოსიპედების დამატებითი რაოდენობით ( $Q_n - Q_s$ ) შეძენის სურვილს, მასში ფულის დიდი რაოდენობით გადახდის მზადყოფნას ასახავს მოთხოვნის მრუდი  $P_d$ , რომელიც  $P_s$  მრუდის მარჯვნივ და ზემოთ იმყოფება.

ვინაიდან ბაზარს საქონლის მიწოდების უზრუნველყოფა მხოლოდ  $Q_s$  მოცულობით შეუძლია და არა აქვს ახალ მოთხოვნილებებზე სწრაფი რეაგირების უნარი, დასაწყისში დამატებითი ერთობლივი მოთხოვნა დაუკმაყოფილებელი დარჩება. წარმოიშობა ჩვენთვის ცნობილი საქონლის მოულოდნელი დეფიციტის სიტუაცია. უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არ არის საჭირო ამის შესახებ გაზეთებში წერა, ველოსიპედების დამატებითი ფონდების გამოძებნა, ტალონებისა და წინასწარი ჩაწერის შემოღება და სხვა მრავალი ზედხის გამოყენება, რომელიც იმ ქვეყანაშია გავრცელებული, სადაც ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვა, არასაბაზრო წესებით ხორციელდება. თავისუფალი ბაზარი დეფიციტური სიტუაციის ცალსახა ვადაწყვეტას იძლევა. და ეს იწყება ბაზარზე დამატებითი მოთხოვნის ზეწოლით, წონასწორობის დარღვევით. ფასების დროებითი გადიდებით მოთხოვნის ახალი ფასის დონემდე. ნახ.1 წარმოადგენს ფასის მოძრაობას  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე.

როგორ მოქმედებს ეს ზრდა წარმოების სფეროზე?

ველოსიპედების მწარმოებლებისათვის ახალი, უფრო მაღალი ფასები და შესაბამისად მოგების ნორმის გადიდება წარმოებისა და გაყიდვის მძლავრი სტიმულია. ერთდროულად ასეთი ფასი ფულადი რესურსებისა და წარმოების ფაქტორების ყველა მფლობელს შემდეგ ფაქტზე მიანიშნებს: ველოსიპედების საქმე მაღალრენტაბელური ხდება, იგი კაპიტალის დაბანდების მომგებიან ზონად იქცევა, იქ შეიძლება ფულის შოვნა. ამის შეტყობისას (თავისუფალი ბაზრის პესაზე ნიშანი) აქციონერები იქ დამატებით ფულად სახსრებს გადაისვრიან (პირველი ნიშანი), რის გამოც იცვლება წარმოების პირობები (მეორე ნიშანი).

ვინაიდან დამატებითი ერთობლივი მოთხოვნა აღიძვრს ველოსიპედების ბაზრის მოცულობას, მწვავედ კონკურენცია იმ საწარმოებს შორის, რომელთაც შეუძლიათ დამატებითი საქონლის მიწოდება. ცხადია, წარმატებას ის აღწევს, ვინც უფრო სწრაფად ზრდის გამოშვებას ხარჯებისა და მიწოდების ფასების ერთდროული შემცირების, მაგალითად, პროგრესული ტექნოლოგიის ეფექტიანი ათვისების გზით. აღნიშნული ტენდენცია ახასიათებს ყველა იმ მწარმოებელს, ვისი ქცევაც ბაზარზე ახლა  $P_1'$  მიწოდების ახალი მრუდით აისახება.

მდგომარეობა ბაზარზე კვლავ შეიცვლება, მაგრამ უკვე სხვა მიმართულებით. მიწოდება მოთხოვნას მიუახლოვდება და რამდენადაც გაზრდილი ფასის შენარჩუნება შეუძლებელია (მეხუთე ნიშანი), ის იწყებს შემცირებას  $N$  წინასწორობის ახალი ნიშნულას მიმართულებით, ანუ  $P_1$ -დან  $P_2$ -მდე წონასწორობის პირობები გახდება სხვა ( $S_n = D_n = P_2 Q_n$ ), ეს კი ნიშნავს, რომ მოთხოვნა დაკმაყოფილებულია, დეფიციტი ლიკვიდირებულია, დამატებითი ველოსიპედები მათ ხელში მოხვდა, ვისაც ის ესაჭიროებოდა. როგორც ჩანს, მოთხოვნისაგან თავდაპირველი იმპულსის მიღებისას თავისუფალი ბაზრის მექანიზმმა წარმოებისა და მიწოდების ადგეკატორი რეაქცია გამოიწვია. ცხადია: ველოსიპედებზე მოთხოვნის შემცირების შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი საწინააღმდეგო მიმართულებით იმუშავებს.

თავისუფალი ბაზრის მექანიზმში კიდევ ერთი ელემენტია, რომელიც იმ სიტუაციებში ხდება შესამჩნევად, როცა ფასების ზრდის ან შემცირების ტენდენცია არა ერთ, არამედ ერთბაშად მრავალ ბაზარზე შეინიშნება. დაუშვათ, დაირღვა საბაზრო წონასწორობა, რომელიც ფასების ზრდით გამოიხატა. ვინაიდან ეკონომიკური სისტემის თითოეული მონაწილე (იქნება ეს მომხმარებელი თუ მწარმოებელი) თავისუფალი ბაზრის პირობებში მოქმედებს, სადაც არ არის ინფლაცია და საბაზრო წესრიგის სხვა დეფორმაციები, იგი დარწმუნებულია, რომ ფასების ზრდა დროებითი

მოვლენაა, რომელიც მალე მისი შემცირებით შეიცვლება. ამიტომ სუბიექტი ქცევის საესებით განსაზღვრულ მოდელს ირჩევს: ზრდის ფულადი შემოსავლის ტეზავირებულ ნაწილს. ე.ი. იმას, რაც არსებობს ნაღდი ფულის სახით (სალაროს ნაშთი), ამით ცდილობს თავისი დანაზოგის დაცვას გაუფასურებისაგან და უკვლელად ინარჩუნებს თუნდაც მათ რეალურ ღირებულებას, შესაბამისად მცირდება მომხმარებლისათვის გამოყოფილი ფულადი შემოსავლების ნაწილი. იკუმშება მიმდინარე მოთხოვნის სიდიდე, რაც შემცირებისაგან უბიძგებს ფასს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, (ფულადი შემოსავლების გამოყენების სფეროში მოქმედებს საბაზრო წონასწორობის მდგომარეობაში ეკონომიკის დაბრუნების ხელშემწყობი მექანიზმი.)

(ასეთია პიგუს\* ეფექტი, ანუ როგორც მას ზმირად უწოდებენ. რეალური სალაროს ნაშთების ეფექტი.) ჩვენ მას კვლავ შევეხებით. განსაკუთრებით მაშინ. როდესაც თანამედროვე ინფლაციის მექანიზმის გარჩევას დავიწყებთ. ახლა კი ხაზგასმით აღვნიშნავთ: თუ (სახელმწიფო კონკურენციული ბაზრისათვის ზრუნავს. უზრუნველყოფს მის ეფექტიან მუშაობას, საბაზრო მექანიზმი სახელმწიფოს დაეხმარება ინფლაციის დაძლევაში. მართალია, მხოლოდ იმ პირობებში, როცა ინფლაციურმა მოლოდინმა ჯერ კიდევ ვერ მოიკრიბა ძალა. ვერ შეიძინა ის საშიში მდგარდობა, რომ აიძულოს ეკონომიკური სისტემის სუბიექტები, დანაზოგის ხარჯზე გაზარდონ მიმდინარე მოთხოვნა - სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განახორციელოს პიგუს ეფექტის საწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც თვალნათლივ აჩვენებს, რომ ინფლაციური მოლოდინის სტაბილიზაცია ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე მდგარი სახელმწიფოს უპირველესი ამოცანა უნდა იყოს.)

ახლა შევეცადოთ წარმოვიდგინოთ, რამდენად განსხვავდება ზემოთ აღწერილი თავისუფალი ბაზრის ნიშნები და მექანიზმი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების, ვთქვათ. ამერიკის შეერთებული შტატების, ან იაპონიის ცნობილი სამეურნეო სისტემებისაგან. უეჭველია, განსხვავება დიდია: თავისუფალი ბაზარი, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არ არის არც ერთ მათგანში უფრო მეტიც, ის ადრეც არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო ასეთი. მართლაც, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ რეალურ სინამდვილეში თითოეულ მეწარმეს გააჩნდეს აბსოლუტურად სრული ინფორმაცია მთელი ეკონომიკის მდგომარეობის შესახებ, შეიძლებოდეს რესურსების დაუბრკოლებლად გადაადგილება ერთი

\*პიგუს - ინგლისელი ეკონომისტი. კემბრიჯის სკოლის წარმომადგენელი

ადგილიდან მეორეში, არ იყოს სავაქრო მარკები და დაეუშვას უმუშევრები იყვნენ მხოლოდ ისინი, ვისაც არ სურთ მუშაობა. თავისუფალი ბაზარი აბსტრაქციაა, ისეთივე იდეალური სახეა, როგორც, დაეუშვათ, სრული ვაკუუმი, ან სრულიად უძრავი წერტილი.

ამასთან, ყოველი რეალურად ფუნქციონირებადი ბაზარი (მას ჩვეულებრივ კონკურენციულს, კმედიტუნარიანს ან ოპერაციულს უწოდებენ) თავის თავში ატარებს თავისუფალი ბაზრის ელემენტებს.<sup>1</sup> მასში შეიძლება მოქმედებდნენ როგორც ბუნებრივი, ასევე არაბუნებრივი მონოპოლისტური წარმონაქმნები,\* რომლებიც რესურსების თავისუფალი დარგთაშორისი გადაადგილების ხელშემშლელი და ბაზარზე შეღწევის შემზღუდავი მაღალი ფასების შენარჩუნებისკენაა მიმართული. მახინჯდება საბაზრო პროცესები ინფლაციის ზემოქმედებით, პროფკავშირების უპასუხისმგებლო მოქმედებით, სახელმწიფოს მცდარი ეკონომიკური პოლიტიკით, თვით მწარმოებელთა იმ შეცდომებით, რაც არასრული კომერციული ინფორმაციითა და სხვა მიზეზებითაა გამოწვეული. არაა გამორიცხული მრავალი სხვა გადახრა თავისუფალი ბაზრის რეჟიმისაგან. რაგორია მათი ზრდის საზღვარი? საზღვარია საბაზრო მექანიზმის შენარჩუნება. მიუხედავად ყველა დეფორმაციისა, ფასები თუ იცვლება მოთხოვნისა და მიწოდების ზეგავლენით, რესურსების მოძრაობა, ინვესტიციები და წარმოება ორიენტირებულია მოთხოვნის მერყობაზე. ხელუხლებელი რჩება ბაზრის მექანიზმის სხვა რგოლები – იგი ცოცხალია და მასთან ერთად ცოცხალია, აგრეთვე, საბაზრო ეკონომიკა მთლიანად. ყველა ეს რგოლი შეუცვლელია და როცა თუნდაც ერთი მათგანი ინგრევა, საბაზრო მეურნეობაზე ლაპარაკი უკვე შეუძლებელია.

რითაა კარგი საბაზრო მექანიზმი, რა ფუნქციებს ასრულებს ის? პიჩველ რიგში აღეზიშნავთ, რომ ბაზრის მექანიზმის მეშვეობით კონკურენციული ბრძოლის ყველა მონაწილე მატერიალურადაა დაინტერესებული, რათა დააკმაყოფილოს მოთხოვნილებები, რომელთა გამობატვა მოთხოვნით ხდება.) ამასთან, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, იგი ეფექტიანად მუშაობს, კაპიტალდამანდებისათვის ქმნის (ფასების მეშვეობით) სიგნალებს, სტიმულს აძლევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოღწევების ათვისებას, დანახარჯების შემცირებას, ხარისხის ამაღლებას, საქონლისა და მომსახურების ასორტიმენტის გაფართოებას. უნდა ვალიაროთ შემდეგი: «თუმცა ბაზარი სრულიადაც არაა ყოვლისშემძლე, მაგრამ ეკონომიკის ძირითადი პრობლემების (ცხოვრების

---

\* ისინი დაწერილებითაა განხილული ციკლის შესაბამის თავებში.

დონე, წარმოების სტრუქტურა და ეფექტიანობა, პროდუქციის ხარისხი) გაცილებით უკეთესად გადაქრის საშუალებებს იძლევა, ვიდრე სხვა სამეურნეო სისტემები, ცენტრალიზებულ დაგეგმვაზე დამყარებული სისტემის ჩათვლით. ამასთან, საბაზრო მექანიზმი შეუფერხებლად ავლენს თავის შესაძლებლობებს არა მხოლოდ განვითარებულ, არამედ განვითარებად ქვეყნებშიც, აგრეთვე, როგორც უკანასკნელი წლების გამოცდილება მოწმობს, ეროვნული, იდეოლოგიური და სხვა რომელიმე თავისებურების მიუხედავად აღმოსავლეთი ევროპის სახელმწიფოშიც. საეკონომიკო საფუძველი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ბაზარი ზოგადსაკაცობრიო ფასეულობათ მიეკუთვნება, მსოფლიო ცივილიზაციის კუთვნილებას წარმოადგენს და ასეთად დარჩება მომავალშიც.

(დაბოლოს, ბაზრის მექანიზმი მთლიანად ათავისუფლებს ეკონომიკას საქონლისა და მომსახურების დეფიციტისაგან. თეორიაში და პრაქტიკაშიც საბაზრო ეკონომიკა ძირითადად უდეფიციტოა, რა თქმა უნდა, იმ რესურსების ფარგლებში (იმპორტის ჩათვლით), რომელსაც ეს ქვეყანა განაგებს. საბაზრო მეურნეობის პირობებში მოთხოვნილებისა და მოხმარების ხანგრძლივი, საბოლოო, ურთიერთმოწყვეტა (დეფიციტი) შეუძლებელია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს კონკურენციული პროცესის ყველა მონაწილის ეკონომიკურ ინტერესებს ეწინააღმდეგება.) გასაგებია, რომ ყოველ ეკონომიკაში (საბაზროშიც და არასაბაზროშიც) მომხმარებელი დეფიციტის წინააღმდეგია. (ბაზრის მექანიზმი თუ მოქმედებს, ზუსტად ასევე განწყობილი მწარმოებელიც, რომელიც დაინტერესებულია, რომ მისგან მიწოდება სწრაფად მიესადაგოს მომავალი. მომხმარებელიდან წამოსულ მოთხოვნას. გამოდის, რომ მათი დამაკავშირებელი საბაზრო მექანიზმი საესეებით შეიძლება ჩაითვალოს დეფიციტის ლიკვიდაციის მექანიზმად. სწორედ ამიტომაცაა, რომ მყარი საბაზრო ტრადიციების ქვეყნებს, რომელთა წინაშე მრავალი გადაუქრელი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა დგას, ერთი რამ მაინც არ აწუხებთ — სასაქონლო შიმშილი.)

რა თქმა უნდა, ყველაზე განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაშიც კი წარმოიშობა შეუთანხმებლობა დროში მოთხოვნილებასა და მის დაკმაყოფილებას (მოხმარებას) შორის. იგი განპირობებულია სამეურნეო მექანიზმის გარკვეული ინერციულობით, საზოგადოების მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროტენციალით, რესურსების არსებობით და შედარებით ხანმოკლეა, საესეებით ბუნებრივია, ამიტომაც ვერ მიაღწიან რაიმე დეფიციტზე. თუმცა, მარკეტინგის თანამედროვე დონის პირობებში ეს გარღვევა განუხრელად მცირდება.

ამასთან, საბაზრო მექანიზმის შესაძლებლობები სრულიადაც არაა

უსაზღვრო. მას არ შეუძლია თანამედროვე საზოგადოების ყველა სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გადაწყვეტის გარანტირება. ლაპარაკია არა ნაკლოვანებებზე (ლირს თუ არა, დაეუშვათ, პირველი კლასის ავტომობილის დეფექტად ჩათვალოთ ის, რომ იგი არ ფრენს), არამედ სწორედ შეზღუდულობაზე, თანაც დღევანდელ პირობებთან მისადაგებით. ცხადია, იმ სფეროებში, სადაც ბაზარი არ იძლევა შედეგს, სახელმწიფოს ჩარევაა საჭირო.

(დავიწყეთ საკმაოდ აბსტრაქტული ეკონომიკიდან, რომელსაც თავისუფალი კონკურენციის სრული ბატონობა ახასიათებს. თითქოს აქ სახელმწიფოს არაფერი ესაქმება, მაგრამ ეს ასე არაა. თავისუფალი მეწარმეობის სტერილურ ეკონომიკაშიც კი არსებობს სულ ცოტა სამი პრობლემა, რომელიც მიუწევდომელია საბაზრო მექანიზმისათვის.)

პირველ ყოვლისა აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური სისტემის მონაწილეთა ურთიერთქმედება ფორმებითა და სოციალური შედეგებით მეტად მრავალფეროვანია. უმეტეს მათგანს ბაზარი მოიცავს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც მის ფარგლებს გარეთ რჩებიან. გამოდის, რომ როგორც მწარმოებლის, ისე მ.წმარებლის საქმიანობა წარმოშობს ბაზრისათვის გარეგან ეფექტებს, რომლებიც, როგორც ჩანს, ფულით არ გაიზომება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რეალურ გავლენას ახდენს, როგორც ერთის, ისე მეორის კეთილდღეობაზე.

დაეუშვათ, ფერმერი კაპიტალს აბანდებს თავის ნაკვეთში არხის გასაყვანად, რითაც ნიადაგის ნაყოფიერებას აუმჯობესებს ვრცელ ტერიტორიაზე – როგორც საკუთარ, ისე სხვის მიწაზე. ამით სარგებლობს (თანაც უსასყიდლოდ) მეზობელი ფერმერი, რომელიც ამ გზით ზრდის თავის კეთილდღეობას. ცხადია, ინიციატორ-ფერმერს გარეგანი ეფექტის სიდიდეზე კერძო დანახარჯები სოციალურზე მეტი ექნება, მეზობელ ფერმერს კი პირიქით. შევნიშნავთ, რომ ბაზარს არ ძალუძს დაეხმაროს ინიციატორს საკუთარი კეთილდღეობის კერძო და სოციალური პარამეტრების გათანაბრებაში.

(საბაზრო მექანიზმი არსებითად უძლურია უზრუნველყოს ეკონომიკის ფსევდოსაბაზრო წონასწორობის დამყარება. ეს მხოლოდ სახელმწიფოს საქმეა.) მაგალითად, მას შეუძლია ითავოს გარეგანი ეფექტების\* გაზომვა და სახელმწიფო ბიუჯეტის მექანიზმის საშუალებით შემოსავლების გადანაწილების ორგანიზაცია. ფერმერების მაგალითზე ეს იქნებოდა მეზობლის სპეციალური დაბეგვრა და წარმოქნილი ფინანსური

\* გარეგანი ეფექტების (externalities) ანალიზი დაიწყო ა. ჰიგუს გამოკვლევებით.



რესურსების ინიციატორისათვის გადაცემა. მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ასეთმა გადასახადმა პიგუს გადასახადის სახელწოდება მიიღო.

ზემოთ აღინიშნა, რომ თავისუფალი ბაზრის მექანიზმი ადამიანებს მხოლოდ იმ მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას აძლევს, რომლებიც მოთხოვნაში პოვებენ გამოხატულებას. როგორც ჩანს, არის, აგრეთვე, სხვა მოთხოვნილებებიც, რომელთა ფულით გაზომვა და მოთხოვნად გადაქცევა შეუძლებელია. როგორ მოვიქცეთ მათ მიმართ? ბაზარი, რომელიც მხოლოდ მოთხოვნაზე რეაგირებს, უბრალოდ აუელის გვერდს ასეთ მოთხოვნილებებს, არ მიაქცევს მათ არავითარ ყურადღებას. გამოდის, რომ თავისუფალი ბაზრის ეკონომიკას, არსებითად, არა აქვს აღნიშნული მოთხოვნილებების შესატყვისი საჭონლისა და მომსახურების წარმოების უნარი.

პირველ ყოვლისა, ლაპარაკია კოლექტიური მოხმარების ისეთ საჭონელსა და მომსახურებაზე, რომლებსაც მოიხმარს უკლებლივ ყველა მოქალაქე (ეროვნული თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სახელმწიფო მმართველობა, ერთიანი ენერგოსისტემა, კომუნიკაციების ეროვნული ქსელი და სხვ.). ამ დოვლათს (მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში მათ საზოგადოებრივ საჭონელს უწოდებენ) გარკვეული რეგიონული სტრუქტურა აქვს. მაგალითად, ეროვნული თავდაცვა ვრცელდება ქვეყნის მთელ მოსახლეობაზე, რესპუბლიკური პარლამენტი ემსახურება მოცემული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, ქალაქის წყალგაყვანილობა — ქალაქის მაცხოვრებლებს და ა.შ.

გარდა ისეთი თავისებურებისა, როგორიცაა მოხმარებიდან გამოურიცხაობა, საზოგადოებრივი საჭონელი ეკრძო საგან იმითაც განსხვავდება, რომ ის ყველას ეძლევა თითქმის თანაბრად, ერთნაირი მოცულობით. მაგალითად, არმიას არ შეუძლია ერთი ადამიანის უფრო მეტად დაცვა, ვიდრე მეორესი. ესე იგი თუ  $X^1$  ეკრძო საჭონლის მოხმარების ერთობლივი მოცულობაა, ხოლო  $X^2$  — საზოგადოებრივი საჭონლის ერთობლივი მოცულობა, მაშინ

$$X^1 = \sum_{i=1}^n X_i^1,$$

$$X^2 = X_1^2 = X_2^2 = \dots = X_i^2 = \dots = X_n^2,$$

სადაც  $X_i^1$  და  $X_i^2$  — ეკრძო და საზოგადოებრივი საჭონლის შესაბამისი მოხმარების ზომაა  $i$  სუბიექტის მიერ,  $n$  — მომხმარებელთა რიცხვობა.

როგორც ჩანს, მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი საჭონლის მიწოდება თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკაში სახელმწიფოს ერთ-ერთ ფუნქციად იქცევა, ხოლო მისი დაფინანსება ადგილობრივ ბიუჯეტებს ეკისრება. ახლა უკვე იკვეთება ის საზღვრები, რომელთაც თავისუფალი ბაზრის სისტემა აწესებს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის. როგორც ჩანს, ეს უკანასკნელი შეზღუდული უნდა იყოს გარეგანი ეფექტების

კომპენსაციასთან დაკავშირებული შემოსავლის განაწილებით და საზოგადოებრივი საქონლის მიწოდების მოცულობით.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი საქონლის მკვეთრი გამიჯვნა კერძოსაგან საკმაოდ რთულია. არსებობს მრავალი ისეთი სახის მომსახურება, რომელთაც ორივეს ნიშნები აქვთ. მაგალითად, უმაღლესი განათლება. ერთი მხრივ, მისი მომსახურება ახლოა საზოგადოებრივ საქონელთან (სტუდენტები მას მოიხმარენ კოლექტიურად და თანაბრად), მეორე მხრივ – კერძოსთან, რადგან არ შეესაბამება მოხმარებიდან გამოურიცხაობის პრინციპს. გამოდის, რომ სახელმწიფოს თანაბრად უნდა შეეკავებინა თავი როგორც უმაღლესი განათლების სფეროს საყოველთაო ნაციონალიზაციისაგან. ასევე, წმინდა საბაზრო საფუძველზე მისი განვითარებისაგანაც. საბაზრო ეკონომიკის პირობებში რამდენადმე ეფექტიანია შუალედური ვარიანტი: ყველასათვის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტები თანაარსებობენ კერძო უნივერსიტეტებთან, რომლებსაც სახელმწიფო უჭერს მხარს შეღავათიანი დაბეგვრით, ფუნდამენტური გამოკვლევების დაფინანსებით, სუბსიდიებით და ა.შ.

თუ საზოგადოებრივი საქონლის მომხმარებლები მათ თანაბარი მოცულობით იღებენ, მაშინ მათზე გადასახადიც თანაბარი უნდა იყოს. როგორ უნდა გაკეთდეს ეს? გადასახადების თანაბარი თანხა აქ ნამდვილად არ გამოდგება. საქმე ისაა, რომ საზოგადოებრივი საქონლის მომხმარებლები იმყოფებიან არათანაბარ ქონებრივ მდგომარეობაში, ფლობენ სხვადასხვა ფულად შემოსავალს. ამასთან, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, ისინი თავისებურად აფასებენ ერთი და იმავე ფულადი თანხის სარგებლიანობას, მაგალითად, როცა სუბიექტის განაჯარგულებაში მილიონიანი შემოსავალია, რომელსაც სურს მოხმარებისათვის დაჯარჯოს და დანაზოგადაც გადააქციოს, მის სარგებლიანობას, ვთქვათ 500 დოლარისას. ბევრად ნაკლებად შეაფასებს, ვიდრე ის ადამიანი, რომელიც 1000 დოლარს გამოიმუშავეს.

დაეუშვათ, სახელმწიფო აპირებს, ისე მოაწყოს შემოსავლების დაბეგვრის ორგანიზაცია, რომ გადასახადების გადახდამ თანაბრად დააზარალოს ყველა მოქალაქე. მიუხედავად მათი შემოსავლების სხვადასხვა ოდენობისა, ე.ი. გადასახადების განაწილების ის კრიტერიუმში გამოიყენოს, რომელიც მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში ვიქსელის\* კრიტერიუმის სახელწოდებითაა ცნობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ მილიონერმა

---

\* ვიქსელი – შვედური სკოლის დამაარსებელი. მისი თავდაპირველი იდეები შვედური სოციალ-დემოკრატიის ეკონომიკური იდეოლოგიის ერთ-ერთი საფუძველი გახდა, ხოლო შემდგომში გაცილებით ფართოდ გავრცელდა და შემოსავლების დაბეგვრის დარგში სახელმწიფოს რეალური ქმედების თეორიულ დასაბუთებათა ელემენტად გადაიქცა. სახელმწიფო ფინანსებლის პრობლემების დამუშავებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს კ. ვიქსელის მოწაფემ ე. ლინდალმა, ამერიკელმა ეკონომისტებმა პ. სამუელსონმა, ა. ბერგსონმა და სხვა თეორეტიკოსებმა.

გადასახადის გადახდის შემდეგ დანაკარგი ზუსტად ისე უნდა შეაფასოს, როგორც 1000 დოლარის მფლობელმა. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ფულის სარგებლიანობის შეფასების კავშირს შემოსავლების დინამიკასთან რთული, არაწრფივი ხასიათი აქვს, იგი ასე შეიძლება დაკეთდეს: დაწესდეს გადასახადების შედარებით მალალი განაკვეთები ძირდრების შემოსავალზე და შედარებით დაბალი — ლარიზების შემოსავალზე. როგორც ჩანს, საქმე ეხება პროგრესული დაბეგვის ინფორმული სკალის შემოღებას, რომელიც, ჯერ ერთი, უზრუნველყოფს სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების საკმაო მოცულობას; მეორე, გამოიწვევს შემოსავლების სამართლიან განაწილებას, მასზე ფულის სარგებლიანობის მრავალგვარი შეფასების გავლენის თავიდან აცილებას. (ამრიგად, თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკაში სახელმწიფო სულ ტა ორ ფუნქციას მანიც ასრულებს — გარეგანი ეფექტების რეგულირებასა და მოსახლეობის მომარაგებას საზოგადოებრივი საქონლით, თანაც იგი ამას ძირითადად ბიუჯეტის დახმარებით აკეთებს, რადგან დაეუმატებთ კიდევ ერთ ფუნქციას — ეკონომიკის უზრუნველყოფას საჭირო ფულის რაოდენობით (რაც, რა თქმა უნდა ბაზარს არ შეუძლია), მაშინ ჩვენ უკვე წარმოდგენა გვქონება თავისუფალი მეწარმეობის ეკონომიკის სამეურნეო მექანიზმზე. მის ორ წამყვან რგოლს გამოყოფენ — თავისუფალ ბაზარსა და სახელმწიფოს. ამ უკანასკნელის ეკონომიკური საქმიანობის მნიშვნელობა, შეგახსენებთ, ისაა, რომ შეავსოს ბაზარი, რადგან წყვიტოს ის პრობლემები, რომელთა წინაშე იგი უძლურია. (თუ სახელმწიფოს მონაწილეობას თავისუფალი კონკურენციის ეკონომიკაც კი ვერ უვლის გვერდს, იგი მით უფრო აუცილებელია თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში.) რას ნიშნავს ზემოაღნიშნული ფუნქციები სწორედ სკოტ მეურნეობასთან და არა თავისუფალი მეწარმეობის აბსტრაქტულ ეკონომიკასთან მიმართებაში? ისინი განსაზღვრავენ სახელმწიფოს ჩარევის მიზნობრივად აუცილებელ საზღვრებს. ამ ხაზს ქვევით დაშვება მას არ შეუძლია, თუნდაც იმიტომ, რომ თვით საბაზრო მექანიზმი შეწყვეტს მუშაობას. მართლაც, წინელია წარმოვიდგინოთ ისეთი ბაზარი, რომელიც გასართულად მოქმედებს ეკონომიკაში, სადაც არ არის ფული, არ არსებობს მთავრობა და მუდმივად იზრდება რესურსების დეფიციტი, (რადგან არსებობს მიზნობრივი საზღვარი, უნდა არსებობდეს აგრეთვე სახელმწიფო ინტერვენციის მაქსიმალურად დასაშვები ზღვარიც.) როგორია იგი? ამ და თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მექანიზმთან დაკავშირებით სხვა კითხვებზე პასუხს ციკლის მომდევნო ლექციებში გავცნობთ.

სახელმწიფო საბაზრო ეკონომიკაში

*სახელმწიფოს ჩარევის მინიმალურად აუცილებელი და მაქსიმალურად დასაშვები საზღვრები. სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის ძირითადი მიმართულებები. მოთხოვნები რეგულირების ფორმებისა და მეთოდებისადმი. სახელმწიფო სექტორის სტრუქტურა. ეკონომიკის პოლიტიზაციის ნეგატიური შედეგები. განსახელმწიფოებრივების აუცილებლობა და ფორმები. ბაზრების ლიბერალიზაცია. ეფექტიანი დენაციონალიზაციის პირობები.*

როგორც დავრწმუნდით, თავისუფალი ბაზარი თავისი შინაგანი თვისებების გამო, პრაქტიკულად შეუძლებელია შეიქმნას. საწინააღმდეგოს შემოთავაზება იმას ნიშნავს, რომ საიმედოდ და ეფექტიანად მომუშავე ძრავის კონსტრუირების ნაცვლად, შევეცადოთ შევქმნათ მუდმივი ძრავა. ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი რგოლი, ურომლისოდაც მას არ შეუძლია თავისი ძირითადი ფუნქციების შესრულება, კონკურენციული ბაზარია. რომელიც ინარჩუნებს თავისუფალი ბაზრის ნიშნებს, თუმცა სულაც არ არის მისი იდენტური. ზაზგასმით უნდა აღვნიშნოთ: იგი უმნიშვნელოვანესი, მაგრამ არა ერთადერთი რგოლია. თანამედროვე საზოგადოებაში არის მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა, რომლის გადაწყვეტაც ბაზარს არ ძალუძს და სახელმწიფოს ჩარევას მოითხოვს.

საერთოდ თვით თავისუფალი კონკურენციის სისტემაც კი რეგულირებად ეკონომიკად შეიძლება ჩაითვალოს. იგი არ მუშაობს სახელმწიფოს გარეშე, რომელიც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას ფულადი მიმოქცევის სწორ ორგანიზაციაზე, ხალხის კოლექტიური მოთხოვნილებების ნაწილის დაკმაყოფილებაზე და საბაზრო ქცევის ნეგატიური ეფექტების ლიკვიდაციასა თუ დაუშვებლობაზე. ფუნქციების ეს ერთობლიობა იმის მაქსიმუმია, რაც მთავრობამ უნდა გააკეთოს თავისუფალი ბაზრის პირობებში. ამავე დროს, იგი მინიმუმია იმისა, რითაც მან უნდა იმოქმედოს რეალურ საბაზრო ეკონომიკაში.)

გამოდის, რომ თუ სწორად შევაფასებთ სინამდვილეს, აღმოვაჩენთ ეკონომიკური ცხოვრების ისეთ ახალ სფეროებს, სადაც ბაზრის მექანიზმი არ იძლევა საზოგადოებისათვის საჭირო ეფექტებს, დავინახავთ მისი შეზღუდულობის სხვა გამოვლინებებს (იმათგან განსხვავებულს, რაც

პირველ თავში იყო ჩამოთვლილი), და აქედან გამომდინარე, სამეურნეო პროცესებში სახელმწიფოს მონაწილეობის ახალ მოტივებს.

დაეიწყათ იმით, რომ ბაზარი ცნობს შემოსავლების განაწილების მხოლოდ ერთ ვარიანტს, მისი სამართლიანობის ერთ კრიტერიუმს. მარტივად რომ ვთქვათ, სამართლიანად ჩაითვლება ნებისმიერი შემოსავალი, რომელიც საქონლის, მომსახურების, კაპიტალისა და სამუშაო ძალის ბაზრებზე თავისუფალი კონკურენციის შედეგადაა მიღებული. ამ კრიტერიუმის თანახმად, თანასწორ სამართლიანობად უნდა ჩაითვალოს იმათი მაღალი შემოსავლები, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს კონკურენციაში და მათი მცირე შემოსავლებიც, ვინც იქ მარცხი განიცადა /გაკოტრდა, დაკარგა სამუშაო ადგილი და ა.შ./.

დავუშვათ, საწარმო გაკოტრდა, შესაბამისად შემცირდა მისი მუშაკების შემოსავლები, რაც მათმა დაბალეფექტიანმა შრომამ კი არ გამოიწვია, არამედ, ვთქვათ, მთავრობის მიერ დაშვებულმა შეცდომამ, კონკურენციული საფრთხის განსაზღვრაში უცხოელი მომწოდებლების მხრიდან მოულოდნელმა ტექნოლოგიურმა სიახლეებმა. საბაზრო ეთიკის პოზიციიდან აქ ყველაფერი აბსოლუტურად სამართლიანია.

გასაგებია, რომ საბაზრო განაწილება გვერდს უვლის ფუნდამენტურ მეცნიერებაში ან სახელმწიფო მმართველობაში დასაქმებულებს, ვინაიდან ისინი ასე თუ ისე საზოგადოებრივი საქონლის გამოშვებით არიან დაკავებულნი და მათი რჩენა სახელმწიფოს საქმედ ითვლება. თუმცა არიან კიდევ მოქალაქეები, რომლებიც არ შედიან წარმოების ფაქტორების მესაკუთრეთა რიცხვში, არ მონაწილეობენ არც საზოგადოებრივი და არც კერძო საქონლის წარმოებაში, მაშასადამე, არ ლებულობენ შემოსავალს და ბაზარზე გამოდიან მხოლოდ როგორც მომხმარებლები. ესენია – ინვალიდები, ბავშვები, მოხუცები. საბაზრო განაწილების მექანიზმი მათ უმთავრესად არსებობის ორ წყაროს უტოვებს – დანაზოგებს და ქველმოქმედების ფონდებს.

ცხადია, წმინდა საბაზრო განაწილება სულაც არ იძლევა ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური ხელშეუვალობის რეალიზაციის გარანტიას – კეთილდღეობის ისეთ სტანდარტზე უფლებას, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის ფორმებისა და შედეგების მიუხედავად, მის ღირსეულ არსებობას უზრუნველყოფს. საბაზრის და მისთვის დამახასიათებელი განაწილების წესისადმი ასეთი მიდგომა ამჟამად ფართოდაა გავრცელებული. ეს გამართლებულია, რადგანაც ადამიანის უფლებების დაცვის გარეშე არ არსებობს არც თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოება, არც მისი ეკონომიკა.

განვითარებული საბაზრო მეურნეობის მქონე ქვეყნებს დიდი დრო დასჭირდათ იმ ფაქტის საზოგადოებრივი აღიარებისათვის, რომ შემოსავლების ის განაწილება, რომელიც სამართლიანია ბაზრის კანონების თვალსაზრისით, აშკარად არასამართლიანია ზოგადსაქაობრივ მნიშვნელობით. ეს პროცესი მიდიოდა შეუფერხებლად. მას თან სდევდა საკმაოდ მწვავე სოციალური კონფლიქტები. ბოლოს და ბოლოს იგი დასრულდა სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების გაფართოებით, მისი აქტიური ჩარევით შემოსავლების განაწილებაში. ამას ხელს უწყობდა, როგორც სოციალისტური იდეოლოგიის გავრცელება და მემარცხენე პარტიების პოლიტიკური ზეგავლენა, ასევე მთავრობების საქმიანობა, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ სოციალური დაძაბულობის შემსუბუქებით და იმავდროულად ცდილობდნენ სამუშაო ძალის ხარისხობრივი მახასიათებლების გაუმჯობესებას.\*

ბაზრის მექანიზმისაგან ვერ დაველოდებით ადამიანის სხვა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების დაცვას. კერძოდ, იმათი უფლებისას შრომაზე ვისაც სურთ და შეუძლიათ მუშაობა. მრავალი მიზეზის გამო საბაზრო ტიპის ეკონომიკაში გარდუვალა ხანგრძლივი იძულებითი უმუშევრობა სტრუქტურული, რეგიონული, ტექნოლოგიური, ფარული და სხვა ფორმებით, რაც ბევრ რთულ პრობლემას აყენებს სახელმწიფოს წინაშე. მისი მოვალეობაა სამუშაო ძალის ბაზრის რეგულირება "სრული" დასაქმების შენარჩუნების, იძულებითი უმუშევრობის შემცირებისა და იმ ადამიანთა მატერიალური უზრუნველყოფის მიზნით, რომლებსაც საკუთარი სურვილით არ დაუქარგავენ სამუშაო ადგილები, ან ვერ შეძლეს მათი შოვნა. ამასთან, დასაქმებულთათვისაც აუცილებელია ზრუნვა, მაგალითად, თუნდაც არსებობისათვის აუცილებელი ხელფასის მინიმალური დონის დადგენა.

რასაკვირველია, როგორც საკუთარი გამოცდილებით ვიცით, არითმეტიკულად სრული დასაქმებისაკენ შეუწელებელი მისწრაფება. მოთხოვნის სასარგებლოდ სამუშაო ძალის ბაზრის ხელოვნური უწონასწორობის ჭიუტი კონსერვაცია, რომელიც ფარული უმუშევრობით, შრომისადმი სტიმულების დეგრადაციით, წარმოების დაბალი ეფექტიანობითა და ინფლაციური ზეწოლით შემოგვიბრუნდა, ასევე,

---

\* ეს მნიშვნელოვანი თემა უფრო სრულადაა ახსნილი იმ თავში, რომელიც სპეციალურად შემოსავლების განაწილების პრობლემებს ეძღვნება იგივე შეიძლება ითქვას დასაქმებაზე, ინფლაციაზე, ფულად პოლიტიკაზე და სხვა მოვლენებზე. რასაც მოცემული ლექცია ეხება ყველა ამ პრობლემას დაწვრილებით განვიხილავთ მოგვიანებით. ახლა კი მხოლოდ მათ კონტურებს მოვსახავთ

მბრძანებლურ-იდეოლოგიური მეთოდებით შრომითი რესურსების გადანაწილება და ა.შ. სრულიად არაა საუკეთესო ვარიანტი უმუშევრობის პრობლემის გადასაწყვეტად. რაც მთავარია, ყოველივე ამან ჩვენი ეკონომიკა ვერ იხსნა მასობრივი უმუშევრობისაგან. მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში სახელმწიფო რეგულირების უფრო ეფექტიანი საშუალებებია ცნობილი. შემოსაყვების განაწილებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს ასეთი ქმედებანი მისი სოციალური პოლიტიკის საფუძველს ქმნიან.

როგორც განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, საბაზრო მექანიზმი, მართალია, სტიმულს აძლევს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უკვე მიღწეული შედეგების ეფექტიან გამოყენებას, მაგრამ მას ძალა არ შესწევს. დამოუკიდებლად უზრუნველყოს მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში სტრატეგიული გარდაქმნები, წარმოების ღრმა სტრუქტურული ცვლილებები. ბაზარი არ იძლევა ჭიკოვან ეფექტს ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს დიდი საინვესტიციო პროექტების განხორციელების საჭიროება ანაზღაურების ხანგრძლივი პერიოდით, მაღალი რისკითა და მომავალი მოგების ნორმის განუსაზღვრელობით. საქმე ეხება, მაგალითად, ფუნდამენტურ მეცნიერებას ან უახლეს დარგებში კაპიტალდაბანდებებს, რომლებიც გამოუშვებენ პროდუქციას მასზე მოთხოვნის ჭერჭერობით გაურკვეველი პერსპექტივებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაზრო მექანიზმი საკმარისი დამაჯერებლობით მართავს ეკონომიკის მანქანას ახალი ტექნოლოგიების კომერციული ათვისების სიბრტყეში. მაგრამ იგი შედარებით ნელა განიცდის აღმავლობას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მწვერვალებისაკენ. აქ, რა თქმა უნდა, გვერდს ვერ აუვლით სახელმწიფოს მონაწილეობას, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირებასა და სტრუქტურულ პოლიტიკაში აისახება.

1 რაც შეეხება ისტორიული, ეროვნული, დემოგრაფიული და სხვა არასაბაზრო ფაქტორების ზეგავლენით წარმოქმნილ რეგიონულ პრობლემებს, მათი გადაწყვეტისათვის, ასევე, საჭიროა სახელმწიფოს ჩარევა, მისი რეგიონული პოლიტიკა. დაუშვავთ, რომ, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეროვნულ და სახელმწიფოთაშორის დონეზე რეგულირება მსოფლიო ეკონომიკის ჯანსაღი განვითარების აუცილებელი პირობაა. მხედველობაში გვაქვს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის მრავალგვარი ფორმა, კაპიტალისა და სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციისადმი კონტროლი. სავალუტო კურსზე ზემოქმედება, საგადამხდლო ბალანსებით მართვა და მრავალი სხვა...

შენიშნავთ, რომ ნებისმიერ ეკონომიკას (როგორც საბაზრო, ასევე არასაბაზრო) არა აქვს თანდაყოლილი იმუნიტეტი თუნდაც ორი მძიმე ქრონიკული დაავადების – ინფლაციისა და მონოპოლიზმის – წინააღმდეგ. ცხადია, საბაზრო მეურნეობა სახელმწიფოსაგან ანტიინფლაციური და ანტიმონოპოლიური პროფილაქტიკის მუდმივად გატარებას საჭიროებს.

ასეთია ზოგადად საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის მაქსიმალურად დასაშვები ზედა საზღვრები. იქ მას სხვა არაფერი ესაქმება. ეს ჩარჩოები საკმაოდ ფართოა იმისათვის, რომ სახელმწიფო რეგულირებისა და ბაზრის ეფექტიანად მომუშავე მექანიზმის გონივრულ სიმბიოზს საშუალება ჰქონდეს გადაჭრას თანამედროვე საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები. თუ სახელმწიფო იმაზე მეტის გაკეთებას ცდილობს, რის უფლებასაც მას საბაზრო ეკონომიკა განუსაზღვრავს, რაც არ უნდა კეთილი სურვილები ამოძრავებდეს, როგორც წესი, წარმოიშობა საბაზრო პროცესების დამლუპველი დეფორმაცია, დაეცემა წარმოების ეფექტიანობა. ბოლოს და ბოლოს ისინი დაზარალდებიან, ვისი გულისთვისაც სახელმწიფო გასცდა გონივრულობის საზღვრებს, მაშინ, ადრე თუ გვიან, აუცილებელი გასდება ეკონომიკის განსახელმწიფოებრივება, მისი განთავისუფლება გადაჭარბებული სახელმწიფო აქტიურობისაგან.

ასეა მოწყობილი საბაზრო მეურნეობა. ეს ჩვენმა რეფორმატორებმაც უნდა გაითვალისწინონ. საჭიროა ეკონომიკა უფრო გაბედულად გავთავისუფლოთ სახელმწიფოს ზედმეტი, დამამძიმებელი ფუნქციებისაგან, გადაეცეთ ისინი საბაზრო სისტემას. ამოა ფიქრი, რომ დასაშვები საზღვრების ამაღლებით, კონკურენციული ბაზრისათვის საშიში სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერების შენარჩუნებით, შესაძლებელია რაღაც თავისებური, აქამდე უცნობი, არნახული საბაზრო მეურნეობის აშენება. ამგვარი იმედები (რაც არაიშვიათად გვხვდება) უსაფუძვლოა. რამდენადაც სახელმწიფოს არ სურს თავის საკუთრებასთან განშორება, აგრძელებს წარმოებრივი რესურსების განაწილებას, ინარჩუნებს ადმინისტრაციულ კონტროლს ფასებზე, შველის დანგრევის პირას მისულ მეურნეობებს, მათ პატიობს საკრედიტო დავალიანებას, ინარჩუნებს სამუშაო ადგილებს ტექნოლოგიურად უპერსპექტივო საწარმოებში, ატარებს არაშორსმკვერეტელურ, წმინდა ფისკალურ საგადასახადო პოლიტიკას, ცდილობს ეკონომიკის რეალური შესაძლებლობების მიუხედავად უზარუნველყოს მოსახლეობის მაღალი სოციალური დაცვა, იმდენად სახალხო მეურნეობა არასაბაზროდ რჩება. ამიტომ შენარჩუნებულია დამძიმებული, ადამიანთა მოთხოვნის საპირისპირო



წარმოების სტრუქტურა, კონსერვირდება პროდუქციის ცუდი ხარისხი, იზრდება განვითარებული ქვეყნებისაგან ჩამორჩენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის სფეროში.

თუ ჩვენ ნამდვილად ვაპირებთ ისეთი საბაზრო მეურნეობის შექმნას, რომლისთვისაც დამახასიათებელია ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკური უფლებების რეალიზაციის უმაღლესი დონე, მაშინ ის იმდენად მაღალი ეფექტიანობით უნდა გამოირჩეოდეს, რომ შეძლოს ამ უფლებების უზრუნველყოფა. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ, სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევისაგან თავისუფალი, პროდუქტიულად მომუშავე კონკურენციული ბაზრის პირობებში. ამასთან, იმ შედარებით ვიწრო საზღვრების პირობებში დარჩენითაც კი, რითაც საბაზრო ეკონომიკა სახელმწიფოს მოქმედებას ზღუდავს, მას ყველა შესაძლებლობა აქვს სოციალურ სფეროში ღრმა გარდაქმნების განხორციელებისათვის. ამაზე იმ მრავალი ქვეყნის გამოცდილება მიუთითებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლეს ხალხის კეთილდღეობა სწორედ იმ წლებში, როდესაც საბაზრო ძალების აქტივიზაციისა და სახელმწიფოს ეკონომიკურად დაუშაბუთებელი ფუნქციების ლიკვიდაციისაკენ მიმართული სამეურნეო პეკანიზმის რეფორმა წამოიწეს.

დაეუბრუნდეთ ისევ საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფოს ეკონომიკურად გამართლებულ ფუნქციებს. მათი კლასიფიკაცია ადვილია, რაც სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებების გამოყენების საშუალებას იძლევა. (ერთ-ერთი მათგანია სამეურნეო კანონმდებლობის დამუშავება, მიღება-შესრულების ორგანიზაცია. ლაპარაკია საბაზრო ეკონომიკის შესაბამისი მეწარმეობის, დაბეგერის, საბანკო სისტემისა და სხვათა სამართლებრივ ორგანიზაციაზე.

მეორე მიმართულებაა საბაზრო მექანიზმის შენარჩუნება, მისი ნორმალური მუშაობის პირობების უზრუნველყოფა. მასში შედის უძველესი საბაზრო ტრადიციების მქონე ქვეყნებში ეკონომიკის რეგულარული დემონოპოლიზაცია, მისი ეფექტიანი ანტიინფლაციური პროფილაქტიკა, პირველ ყოვლისა, სტაბილური ფულადი პოლიტიკის დახმარებით, სახელმწიფო საფინანსო სისტემის შენარჩუნება საჭირო მოცულობითა და არადეფიციტური მდგომარეობით, ასევე, ზოგიერთი სხვა ელემენტი.)

ასე არ არის საქმე იმ ქვეყნებში, რომლებიც საბაზრო მეურნეობის აღდგენის გზას დაადგნენ. ალბათ საჭირო არ არის, დაწვრილებით შეეჩერდეთ იმაზე, თუ რა უნდა იღონოს სახელმწიფომ ამ გრანდიოზული ამოცანის გადასაწყვეტად, რომლის ანალოგს ძნელად თუ ვიპოვით

მსოფლიოს, ისტორიაში. ისედაც უკვე არც თუ ისე ცოტა რამ ითქვა, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ზემოთ ფორმულირებული ფუნქციების გვერდით მოგვიწევს მრავალსექტორიანი ეკონომიკის შექმნა. (აქ ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით განსახელმწიფოებრივებას, დენაციონალიზაციასა და პრივატიზაციას) კონკურენციული ბაზრისათვის მიუღებელი სამეურნეო მექანიზმის რგოლების (მაგალითად, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვა ან რესურსების ნატურალური განაწილება) დემონტაჟი, ეკონომიკური რეგულირების მოქმედი სისტემის ჩამოყალიბება და მრავალი სხვა რამის გაკეთება.

მესამე მიმართულებას უნდა მივაკეთებინოთ სახელმწიფოს ის ფუნქციები, რომლებიც ბაზრისაგან თავისუფალი სამეურნეო ზონების შესავსებად, იმ ეკონომიკური პრობლემების გადასაწყვეტადაა საჭირო, რომელთა წინაშე საბაზრო მექანიზმი უძლურია ან არასაკმარისად ეფექტიანი. საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს გარეშე შეუძლებელია წარმოების ეკოლოგიურა უსაფრთხოება, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განხორციელების გარანტირება და თავისუფალ ბაზართან შედარებით, შემოსავლების უფრო სამართლიანი განაწილება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ორგანიზაცია, სტრუქტურული და რეგიონული დისპროპორციების მოწესრიგება. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფა და ა.შ.

სახელმწიფო თავის ფუნქციებს ეკონომიკაზე ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით ასრულებს. მარის თუ არა აქ რაიმე შეზღუდვები ან მოთხოვნები, რომლებიც კონკურენციული ბაზრიდან მომდინარეობენ? დავუშვათ, თუ სახელმწიფო აპირებს ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებას, აქვს თუ არა მას ნებისმიერი მეთოდებით სარგებლობის უფლება, თუ ისინი მკაცრად განსაზღვრულია? დიახ, არსებობს ასეთი ლიმიტები.

(პირველი, ძირითადად გამორიცხულია სახელმწიფოს ისეთი ნებისმიერი ქმედება, რომელიც საბაზრო მექანიზმის შინაგანი კავშირების გაწყვეტას გამოიწვევს.) დაუშვებელია, მაგალითად, ტოტალური დირექტიული დაგეგმვა. წარმოებრივი რესურსებისა და მოხმარების საგნების ნატურალური განაწილება (ფონდები, ტალონები, კუპონები და ა.შ.). ფასების ადმინისტრაციული კონტროლი და ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის ჩვენთვის ჩვეული სხვა ფორმები. აქვე აღვნიშნავთ შემდეგს: ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო თავიდან იცილებდეს ყველგვარ პასუხისმგებლობას, ვთქვათ, ჭრასების დონისა და დინამიკისადმი, ან კრძალავდეს ყველგვარ დაგეგმვას.

პირაქით, სასკლმწიფო ყურადღებით ადევნებს თვალყურს ფასებს (და უმთავრესად, მართვის ეკონომიკურ მეთოდებზე დაყრდნობით, ცდილობს არ დაუშვას მათი უკონტროლო ინფლაციური ზრდა, ამასთან, აქვს გაკვირებით უფრო დიდი შესაძლებლობები. ვიდრე იქ, სადაც დღემდე მოქმედებს გეგმიანი ადმინისტრაციული ფასწარმოქმნა საბაზრო მეურნეობაში გავრცელებულია დაგეგმვის სხვადასხვა ტიპი (საწარმოს, რეგიონის და სახალხო მეურნეობის დონეზეც კი. თუმცა ეს უკანასკნელი მასშტაბებით, ვადებითა და სხვა პარამეტრებითაა შეზღუდული და ჩვეულებრივ ეროვნული პროგრამების სახით გვევლინება ხოლმე;

მეორე, რამდენადაც კონკურენციული ბაზარი უმთავრესად თვითმართვადი სისტემაა, ამიტომ მასზე ზემოქმედება ძირითადად არაპირდაპირი ეკონომიკური მეთოდებითაა შესაძლებელი. ალბათ არ ღირს იმის დამატებითი მტკიცება, რომ ზემოქმედების ადმინისტრაციულ მეთოდებზე დაყრდნობით სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ მოშალოს საბაზრო მექანიზმი, მაგრამ არაფრით არ შეუძლია გახადოს იგი ეფექტიანი, დინამიკური და აყვებელი. ეკონომიკურ ისტორიაში, განსაკუთრებით ჩვენთან, ამის მაგალითი წყურარისზე მეტია. ეს არ ნიშნავს იმას, რომ განვითარებულ საბაზრო მეურნეობაში ადმინისტრაციულ მეთოდებს არსებობის უფლება საერთოდ არა აქვთ/ შემდგომ თავებში ნაჩვენები იქნება სიტუაციები, ამასთან, სწორედ საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი, როდესაც ასეთი მეთოდების გამოყენება არა მხოლოდ დასაშვებია, არამედ აბსოლუტურად აუცილებელიც;

მესამე, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, თვით ეკონომიკური რეგულატორებით ფრთხილად უნდა ვისარგებლოთ, არ შევასუსტოთ, მით უმეტეს არ შევცვალოთ საბაზრო სტიმულები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიხელმძღვანელოთ პრინციპით - "ზელი არ შევუშალოთ ბაზარს". თუ სახელმწიფო ამ მოთხოვნას უგულვებელყოფს, ასეთ რეგულატორებს ისე წინდაუხედავად ჩართავს, რომ არ გაითვალისწინებს მათ ზემოქმედებას საბაზრო მექანიზმზე, მაშინ ეს უკანასკნელი მოიშლება. ხომ ცნობილია, რომ, ვთქვათ, საგადასახადო ან ფულადი პოლიტიკა ეკონომიკაზე თავისი ზეგავლენის ძალით თითქმის ცენტრალიზებულ დაგეგმვას უტოლდება.

განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში სულ ახლო წარსულში მსგავსი შეცდომის მრავალი მაგალითია. როგორც გაირკვა, 70-იანი წლების ბოლოს, ბევრ სახელმწიფოში რეგულირების ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაში ზომიერების გრძნობის დაკარგვამ საბაზრო პროცესების სერიოზული დეფორმაცია გამოიწვია. ასეთი

წინდაუხედაობის საფასურად წარმოიშვა უმუშევრობა, რომელიც უკონტროლო ინფლაციას გადაეხლართა – მოიშალა ფულადი სისტემა და სახელმწიფო ფინანსები, წარმოიშვა სიძნელები წარმოების სტრუქტურების განახლებაში შენეღდა ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობისაკენ გადასვლის პროცესი.

ამ გაკეთილების ათვისება ჩვენთვისაც სასარგებლო იქნებოდა. თუ გვინდა ავაშენოთ თანამედროვე ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკა, მაშინ არ ღირს დაეიწყოთ ბაზრის დათრგუნვით, თუნდაც ეკონომიკური მეთოდებით. მაგალითად, საექვოა შევაჩეროთ ფასების ინფლაციური ზრდა მასტიმულირებელი დაბეგვის შემოღებით, როდესაც, დაუშვათ, მწარმოებელი, თავის პროდუქტიაზე ფასების შემცირებით, შეღავათებს იღებს სახელმწიფოსაგან დაბალი საგადასახადო განაკვეთების სახით. რასაკვირველია, ძნელია შევაფასოთ ამ ეგზოტიკური წამოწყების საბოლოო შედეგი და პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობა. იმასაც თუ დაეუშვებთ, რომ ყველაფერი ისე გამოვა, როგორც საქიროა და ფასებიც დაიწვეს, ისინი წინანდებურად მაინც მოწყვეტილი აღმოჩნდებიან მოთხოვნისა (თუნდაც ინფლაციური) და მიწოდებისაგან, დარჩებიან არასაბაზრო ფასებად. ეს იმას ნიშნავს, რომ კაპიტალდაბანდებები და წარმოება ასცდება სწორ გზას: ისინი იქით კი არ წარიმართებიან, სადაც დიდია მოთხოვნილებები და მოთხოვნა, არამედ, სადაც დაბალია გადასახადები. შენარჩუნდება საბაზრო მექანიზმის არაქმდითუნარიანობა, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სახელმწიფო მას გასრესს არა იმდენად ძველი (ადმინისტრაციული), არამედ ახალი (ეკონომიკური) მეთოდებით. საკითხავია, რაღა საქიროა ყოველივე ეს, თუ საბაზრო მექანიზმის პრინციპის თვალსაზრისით, სულერთია, რა მეთოდით დავარდევთ მას.

მეოთხე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკურ რეგულატორებს შორის არც ერთი არ არის იდეალური, ანუ ისეთი, რომელიც დადებით შედეგებს მოგვიტანს რომელიმე ბაზარზე, ასევე, კარგად გამოავლენს თავს სხვა ბაზარზე, ანდა იქ ნეგატიურ ეფექტებს მაინც არ გამოიწვევს. ასეთ შემთხვევაში სახელმწიფომ, რომელიც უმთავრესად რეგულირების ეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენებას აპირებს, უნდა უზრუნველყოს ამ ეფექტების მუდმივი კონტროლი და მათი დროული ჩაქრობა.

დაუშვათ, სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს წარმოების უახლესი ძვირადღირებული ტექნოლოგიის სტიმულირება, რომლის კომერციული პერსპექტივები ჭერჭერობით ბუნდოვანია. მისი ასეთი ჩარევა სავსებით გამართლებულია, ვინაიდან გვახსოვს, რომ კონკურენციული ბაზარი უძლურია გადაჭრას თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის

ყელა პრობლემა. რა მეთოდებითაც არ უნდა ისარგებლოს მან (საგადასახადო პოლიტიკა, პრივატიზაცია, ინვესტიციებიც კი ბიუჯეტიდან), როგორი რეაგირებაც არ უნდა მოახდინონ საწარმოებმა, როგორი საბოლოო შედეგიც არ უნდა იყოს საქონლის და მომსახურების ბაზარზე, გარდუვალია ადრე დასაქმებული მუშაკების გამოთავისუფლება, სიტუაციის გართულება სამუშაო ძალის ბაზარზე. ამიტომ სახელმწიფომ ასეთი სტიმულირების წამოწყებამდე წინასწარ უნდა იზრუნოს აღნიშნული სიტუაციის დამარეგულირებელ ღონისძიებებზე.

ავილოთ თუნდაც ანტიინფლაციური რეგულირების ცნობილი სიუჟეტი, როდესაც სახელმწიფო ცდილობს შეზღუდოს ფულადი მასის ზრდა მიმოქცევაში, და ამიტომ მჭიდროდ კეტავს ფულს "ონკანს", ატარებს დეფლაციურ ღონისძიებებს. ინფლაციის საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიება უდავოდ კარგია, კანონიერი და ეფექტიანია, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი ხშირად კრედიტების გაძვირებით შემობრუნდება. სარგებლის განაკვეთის აწევის შემთხვევაში ძნელდება ინვესტიციების დაფინანსება, იწყება ეკონომიკური განვითარების დამუხრუჭება. ასეთი მაგალითის მოტანა იმდენი შეიძლება, რამდენი ეკონომიკური რეგულატორიც არსებობს.

ამრიგად, კონკურენტული ბაზარი სახელმწიფოს ეკონომიკურ საქმიანობას სპეციფიკურ, საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს. თუ არსებული პრაქტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯერ არსად არ მოწერხდა მისი ჯეროვნად მოწესრიგება. მსოფლიოს მრავალი ქვეყნის ეკონომიკაში სახელმწიფოს როლი განსაკუთრებულად დიდია და, მაშასადამე, ბაზრის მასტიმულირებელი პოტენციალი სრულად არ არის გამოყენებული.)

გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში არ არის ლაპარაკი ჩვენს სახალხო მეურნეობაზე. 80-იანი წლების შუა პერიოდისათვის მისი გასახელმწიფოებრივების დონემ მსოფლიოსათვის უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია, რამაც გაჭიანურებული ეკონომიკური კრიზისი გამოიწვია. მაგრამ იქაც, სადაც საბაზრო ურთიერთობები არ ირღვეოდა, სიტუაცია არ იყო იდეალური. მსოფლიოს ყელაზე განვითარებულ ქვეყნებშიც კი სახელმწიფო ვერ მოექცა საბაზრო ეკონომიკისათვის განკუთვნილ ჩარჩოებში. ეს ბევრი მძიმე პრობლემის წარმოშობის ძირითადი მიზეზი გახდა. მისმა გადაწყვეტამ დასავლეთის მოწინავე ქვეყნების სამეურნეო მექანიზმის მნიშვნელოვანი გარდაქმნა მოითხოვა, რომელიც მთელ 80-იან წლებზე გაიჭიმა. ახლაც არ არის ეს სიძნელეები დაძლეული სრულად. ამიტომ, ამჟამად განსახელმწიფოებრივება მსოფლიო მნიშვნელობის ტენდენციად იქცა.

ამ ტენდენციაში გასარკვევად საჭიროა ფაქტობრივად სახელმწიფო

სექტორის ცნების განსაზღვრა. მსოფლიო მეცნიერებაში მას ჩვეულებრივ წარმოებაში, განაწილებასა და გაცვლაში სახელმწიფოს უშუალო მონაწილეობის ფორმების ერთობლიობასთან აიგივებენ, სადაც ეს სექტორი იმ ეკონომიკურ საფუძვლად გვევლინება, რომელზე დაყრდნობითაც სახელმწიფოს შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქციები მაგალითად, ბიუჯეტი /განაწილების სფეროში არსებული სახელმწიფო სექტორის ნაწილი/ მას იმისათვის სჭირდება, რომ მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სტიმულირება, უზრუნველყოს გარემოს დაცვა, გადაანაწილოს შემოსავლები, დააფინანსოს საზოგადოებრივი საქონლის გამოშვება და ა.შ. როგორც ჩანს, საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს უნდა "გამოეყოს" იმდენი წარმოება, განაწილება და გაცვლა, რამდენიც, არც მეტი არც ნაკლები, საჭიროა თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, რეალურ სინამდვილეში სახელმწიფო ხშირად თავის თავზე იღებს ზედმეტ ფუნქციებს, სცილდება აუცილებელ საზღვრებს. ამის კვალდაკვალ სულ უფრო იზრდება სახელმწიფო სექტორი, რაც ეკონომიკის უსარგებლო პოლიტიზაციას იწვევს.

ეს პროცესი სხვადასხვა ფორმით გვევლინება მაგალითისათვის ავიღოთ წარმოების სფერო. ცხადია, სახელმწიფო საწარმო, თუნდაც ყველაზე მაღალი უფლებებითა და პასუხისმგებლობით აღვსილი, ან ჩვენი ტერმინოლოგიის მიხედვით, სამეურნეო ანგარიშის იდეალური მოდელის მქონე, არასოდეს არ შეიძლება მთლიანად დამოუკიდებელი იყოს სახელმწიფოსაგან. როდესაც რომელიმე გაერთიანება თავის თავს დამოუკიდებელ სახელმწიფო კონცერნს უწოდებს (ასეთი ხდება ჩვენს სამეურნეო პრაქტიკაში) უკეთეს შემთხვევაში აქ აშკარა გაუგებრობაა: იგი ან დამოუკიდებელია, და, მაშასადამე, არასახელმწიფოებრივი, ან სახელმწიფოებრივია, მაგრამ უკვე აუცილებლად დამოკიდებული. თუ საქმე უკანასკნელ ვარიანტთან გვაქვს, მაშინ საწარმოს სამეურნეო საქმიანობაში ალბათ წარმოდგენილი იქნება როგორც საბაზრო, ასევე მეორე – არასაბაზრო, სახელმწიფოსაგან გამომდინარე მოტივები, რაც მას აშკარად ხელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ეკონომიკის სხვა სექტორების კონკურენტებთან შედარებით. სწორედ ეს მოტივები ატარებენ თავის თავში პოლიტიზაციის ვირუსს.

პირველ ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ ისინი ერთობ ცვალებადნი, ამა თუ იმ მთავრობის მიერ გატარებულ ხაზზე, სამინისტროს განკარგულებებზე არიან დამოკიდებულნი და ა.შ. ამიტომ სახელმწიფო საწარმოები იმთავითვე რთულ, გაურკვეველ მდგომარეობაში ექცევიან,

რომლის წინასწარ განსაზღვრა საბაზრო კონიუნქტურის ამოცნობაზე უფრო ძნელია. მართლაც, მოთხოვნისა და ფასების შესაძლებელი ცერკრობის პროგნოზირება და მათზე წარმოებრივი სტრატეგიის მორგება ვაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე იწინასწარმეტყველო ახალი ბინისტრის ან სხვა რომელიმე მოხელის საქციელი, რომელთა გადაწყვეტილებებიც ხშირად სახელმწიფო საწარმოს ბედს განსაზღვრავს. მათ მიღმა შეიძლება იდგეს იმ პოლიტიკოსთა ამბიციები, რომლებიც უფრო ხელახალი არჩევისათვის, ისწრაფვიან, გაზარდონ ბიუჯეტის შემოსავლები, სურთ გააძლიერონ ბიუროკრატიული დარგობრივი სტრუქტურა (შენიარჩუნონ შტატები, გაზარდონ ხელფასები და ა.შ.) და ნებისმიერი სხვა გარემოება, რომელსაც, ასევე, არავითარი კავშირი არა აქვს საბაზრო სტიმულებთან.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახელმწიფო სექტორის საწარმოები საბაზრო მეტოქეობაში სერიოზულად დატყვეობებული კონკურენციული ტონუსით ებმებიან, რადგანაც მათ არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ სახელმწიფოს იმედიც აქვთ /გაკოტრებისაგან დამცავი დოტაციები, საკრედიტო დავალიანების ჩამოწერა ან გადავადება, საგადასახადო შეღავათები და ა.შ./ სახელმწიფო საწარმოებს არა აქვთ ვალდებულება აქციონერების წინაშე, მათ, როგორც წესი, გაკოტრება არ ემუქრებათ. გასაგებია, რომ ყოველივე ეს ნეგატიურად აისახება დანახარჯებისა და ფასების დინამიკაზე, ახალი ტექნოლოგიის ათვისების სისწრაფეზე, წარმოების ორგანიზაციის ღონეზე, მართვის ხარისხზე და სამეურნეო საქმიანობის სხვა პარამეტრზე.

როდესაც ეკონომიკა სახელმწიფო საწარმოების გადაჭარბებული რაოდენობითაა დამძიმებული, მათი მუშაკები რთულ ვითარებაში ექცევიან, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ ისინი საგანგებო ეკონომიკური სიტუაციების გადასალახავად მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის პირველი მსხვერპლნი ხდებიან. რაც არ უნდა მოხდეს ეკონომიკაში, ყოველივე სწორედ სახელმწიფო სექტორში მომუშავე ადამიანების თავზე გადაივლის: ხელფასების გაყინვა, ადმინისტრაციასთან კონფლიქტებისას უფლებების შეზღუდვა გაფიცვების აკრძალვის ჩათვლით, მოგების ნაწილის ადმინისტრაციული წესით ამოღების შედეგები და მრავალი სხვა. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ მოხდა, რომ პრივატიზაციის ტალღამ, რომელიც განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაში 80-იანი წლებიდან დაიწყო, არ გამოიწვია განსაკუთრებული პროტესტები სახელმწიფო საწარმოთა მოსამსახურეების ძირითადი მასის მხრიდან. ისინი ვარაუდობდნენ რომ სახელმწიფო ჩაგვრისაგან განთავისუფლების შემდეგ,

შეძლებდნენ სრულად ესარგებლათ თანამედროვე, საბაზრო მეურნეობის უპირატესობით, კერძოდ, გამხდარიყვნენ საკუთარი საწარმოების თანამფლობელები.

დავუბრუნდეთ განსახელმწიფოებრივებას, როგორც ზოგადსაკაცობრიო ტენდენციას. ის ერთია, მაგრამ ცალკეული ქვეყნების წინაშე მდგარი ამოცანები სხვადასხვაა. იქ, სადაც საბაზრო ტიპის ეფექტიანი ეკონომიკა არსებობს, განსახელმწიფოებრივება ძირითადად მეწარმეობის სფეროს შეზღუდვაზე დაიყენება. სხვანაირადაა საქმე ჩვენთან. მოსალოდნელია არა მხოლოდ წარმოების ფართომასშტაბიანი განსახელმწიფოებრივება, სადაც, თუ შორეულ პერსპექტივას ავიღებთ, ალბათ, შენარჩუნებული იქნება მხოლოდ სახელმწიფო ბუნებრივი მონოპოლიის ზონა. ღრმა ცვლილებები მოხდება გაცვლით ურთიერთობებში. განვითარებული საბაზრო მეურნეობის პირობებში ხომ მოხმარების საგნებითა და წარმოების საშუალებებით სახელმწიფო ვაჭრობას შეიძლება ითქვას, არა აქვს საკმაო ეკონომიკური საფუძველი. უნდა ველოდოთ, რომ განსახელმწიფოებრივების პროცესი, პრივატიზაციის ჩათვლით, ყველაზე სწრაფად სწორედ ვაჭრობისა და ფასიანი მომსახურების სფეროში განხორციელდება.

არანაკლებ სერიოზული ტრანსფორმაცია ელოდება განაწილების სფეროს. წარსულს უნდა ჩაბარდეს რესურსების ნატურალური განაწილების ნებისმიერი ფორმა. რაც უფრო სწრაფად მოხდება ეს, მით უკეთესია. სამაგიეროდ შესაძლებელია გარკვეული გულდაჭერებულით ეიწინასწარმეტყველოთ სახელმწიფოს როლის ზრდა შემოსავლების გადანაწილებაში ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების მექანიზმის საშუალებით. დროთა ვითარებაში საბიუჯეტო პროცედურა, რომელიც საგადასახადო პოლიტიკას სახელმწიფო ხარჯებს დაუკავშირებს, შემოსავლების გადანაწილების ძირითად საშუალებად იქცევა. რატომ უნდა იყოს სწორედ ასე? იმიტომ, რომ ჩვენს სახალხო მეურნეობაში ჭერ კიდევ მოქმედებენ გადანაწილებითი მექანიზმები, რომლებიც ვერ უთავსდებიან საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს. ლაპარაკია, პირველ ყოვლისა, ფასების ადმინისტრაციულ მართვაზე, უფრო ზუსტად კი მის ისეთ ელემენტზე, როგორც არის ბრუნვის გადასახადი.

ვინაიდან საბაზრო ტიპის ეკონომიკა მთლიანად გამორიცხავს ფასების ადმინისტრაციულ კონტროლს, შემოსავლების გადანაწილების არხი, რომელიც ბრუნვის გადასახადთანაა დაკავშირებული, ადრე თუ გვიან უნდა გადაიკეტოს. მაშინ გამოდის, რომ მთავარი გადანაწილებითი დატვირთვა საბიუჯეტო მექანიზმზე გადაინაცვალავს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ აუცილებლად საჭიროა შემოსავლების გადანაწილება, რომლის განხორციელება ფასების მეშვეობით შეუძლებელია მაშინ დამატებითი ტვირთის საკუთარ თავზე აღება ბიუჯეტმა უნდა იყოს.



უკანასკნელ წლებში განვითარებული და სხვა ქვეყნების მიერ დაგროვილი განსახელმწიფოებრივების გამოცდილება საკმარისია იმისათვის, რომ გამოვყოთ ამ პროცესის წამყვანი ტენდენციები. მიუთითოთ ძირითადად: ის ნაკლებად მოგვეგონებს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში ჩარევაზე უარის თქმას და საბაზრო სისტემისათვის უფლებამოსილების გადაცემას. ხომ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფო მეწარმეობის სფეროს შევიწროება, რომელსაც თან ახლავს წარმოების აქტიური სტიმულირება საგადასახადო, ფულად-საკრედიტო და სხვა მეთოდებით, ასევე, შემოსავლების გადანაწილებაში ჩარევის გაფართოება, სახელმწიფოს ეკონომიკური როლის შესუსტებაზე მეტყველებს? რასაკვირველია, არა. თანამდროვე საბაზრო მეურნეობა რეგულირებადად რჩება; სახელმწიფო არ თმობს მას, არამედ ცვლის თავისი საქმიანობის ფორმებს, ცდილობს, უკეთ შეეგუოს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

განსახელმწიფოებრივების პროცესის დეიდეოლოგიზაციის ტენდენცია საკმარისად ნათლად ისახება. სულ უფრო და უფრო იშვიათია ისეთი სიტუაციები, როდესაც, დაუშვათ, სოციალ-დემოკრატები სახელმწიფო სექტორის გაფართოებას მოითხოვენ, მათი პოლიტიკური ოპონენტები კი, რომლებიც მემარჯვენე პარტიებს წარმოადგენენ, მხოლოდ კერძო მეწარმეობის თავისუფლებაზე ზრუნავენ. მაგალითად, გავრცელებული სტერეოტიპების საპირისპიროდ, ბრიტანეთის ნათობის უდიდესი კომპანიის "ბრიტიშ პეტროლეუმის" დენაციონალიზაცია ინგლისელმა კონსერვატორებმა განახორციელეს. ეს მხოლოდ 70-იანი წლების შუა ხანებში მოხდა, როდესაც ხელისუფლება ლეიბორისტებს ეუთვნოდათ. მსგავსი რამ მოხდა შეეციაშიც. მას შემდეგ, რაც 1976 წელს, იქაური სოციალ-დემოკრატები არჩევნებში კონსერვატორებთან დამარცხდნენ, უკანასკნელებმა ნაბიჯი გადადგეს სახელმწიფო სექტორის მასშტაბების გასაფართოებლად. 1982 წელს როცა სოციალ-დემოკრატებმა აიღეს რევანში, ისინი პრივატიზაციის პროგრამის რეალიზაციას შეუდგნენ (მართალია, საკმაოდ ზომიერად), თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ იდეოლოგიური კანონების შესაბამისად მათ შებრუნებით უნდა ემოქმედათ. საფრანგეთის ეკონომიკის თანამდროვე დენაციონალიზაციის ტალღას მხარს უჭერდა პრეზიდენტი – სოციალისტი ფ.მიტერანი, ხოლო ავსტრიაში-კოალიციური მთავრობა სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით.

სახელმწიფო საკუთრების პრივატიზაციის საკითხებში ახლა ჯარბობს არა იმდენად იდეოლოგიური, რამდენადაც პრაგმატული მოსაზრება, მისი ეკონომიკური და პოლიტიკური მიზანშეწონილობისა და დროულობის შეფასებები. სწორედ ეს პრობლემები დგას დასავლეთის სხვადასხვა სოციალურ ძალებს შორის, პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში. რაც

შეეხება მთავარ პუნქტს (სახელმწიფო მეწარმეობა იმ ჩარჩოებში უნდა დარჩეს, რაც თანამედროვე საბაზრო მეურნეობის თავისებურებით არის განპირობებული), აქ, უკვე, როგორც წესი, პრინციპული უთანხმოება არ წარმოიშობა. მართალია, გამონაკლისიც ხდება, როდესაც მთავრობის იდეოლოგიური სიმპათიები მანც იმარჯვებს პრაგმატულ მოტივებზე. კერძოდ, როგორც მ.ტეტჩერის ეკონომიკური პოლიტიკის გამოკვლევებმა აჩვენეს, მისი პრიორიტეტის სკალაში "კერძო საკუთრებას უფრო მეტი ადგილი უჭირავს, ვიდრე თვით თავისუფალ კონკურენციას."

თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რაც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ხდებოდა, ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების თანამედროვე პროცესი საკმაოდ მრავალგვარია ფორმის მიხედვით. მაგალითად, ცხადია, რომ ის სულაც არ უტოლდება დენაციონალიზაციას, ეს უკანასკნელი კი არ დაიყვანება მხოლოდ პრივატიზაციაზე. უფრო ზშირად ლებულობენ შუალედურ და კომბინირებულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეფექტიანობით აჭარბებენ ისეთ უკიდურესობებს, როგორცაა სახელმწიფო ქონების ტოტალური პრივატიზაცია.

საბოლოო გამოცდილება ყელაფერში როდია ჩვენთვის გამათვალისწინებელი ალბათ ნაკლებ სარგებლობას მივიღებთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის გამოცდილებიდან, რომლის ეკონომიკაშიც თითქოს უკვე აღარაფერია საპრივატიზაციო. სამართლიანობისათვის აღვნიშნავთ, რომ ამ ქვეყანაშიც კი მოიპოვება სახელმწიფო საკუთრების ის ნარჩენები, რომელნიც კერძო ბიზნესის მფლობელობაში გადაცემას ეჭვემდებარებიან. ახლა ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარეობს "სასწრაფო დახმარების" მომსახურებისა და კერძო საპატიმროების კონკურენციული ბაზრების შექმნა. ხოლო თუ, დაეუშვათ, საფოსტო კავშირგაბმულობის მომსახურების ბაზარზე სახელმწიფოს ზვედრითი წილი უკვე 12%-მდე შემცირდა\*\*. მთლიანად, კერძო და სახელმწიფო მეწარმეობის თანაფარდობის თვალსაზრისით, ამერიკის სამეურნეო სისტემას, დასავლეთის სამყაროშიც კი, უნიკალური მდგომარეობა უჭირავს.

ჩვენთვის, ალბათ, ის უფრო ახლოსაა, რაც საფრანგეთის, იტალიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკაში ხდება. მაგალითად, ესპანეთში, პრივატიზაციის დაწყებამდე მოქმედებდა ეროვნული სატელეფონო კომპანია (ესკ). სახელმწიფო ფლობდა აღნიშნული კომპანიის აქციების 100%-ს და სრულ კონტროლს უწევდა მომსახურების

\* The politics of privatization in Western Europe Ed. By J.Vickers and V.Wright.London,1989,p.43.

\*\* Report of the President's commission on privatization. Washington. 1988, p.6

ნომენკლატურას, საინვესტიციო პროგრამებს, თანამშრომელთა ხელფასებს, ფასებს, ტარიფებს, უფრო მეტიც, ეროვნული სატელეფონო კომპანიის წილად მოდიოდა ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის ეროვნული წარმოების და რეალიზაციის თითქმის 60%. რაც შეეხება ტექნიკას, რომელიც წარმოების დანარჩენ 40%-ს შეადგენდა, მისი წლიური გამოშვების არანაკლებ 70%-ს, იგივე ეროვნული სატელეფონო კომპანია იძენდა\*. ცხადია, აქ უკვე არის გარკვეული მსგავსება ჩვენს კავშირგაბმულობის სამინისტროსთან. მართლაც, სასარგებლო იქნებოდა, ყურადღებით შეგვესწავლა ესპანეთის ეკონომიკის იმ სექტორის განსახელმწიფოებრივების პროცესი, სადაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ ესკ ბატონობდა.

როგორც მსოფლიოს გამოცდილებიდან ჩანს, ყურადღებას იმსახურებს განსახელმწიფოებრივების სულ ცოტა ოთხი წესი. მათგან პირველი ბაზრების ლიბერალიზაცია. იმისათვის, რომ ბაზრები უფრო თავისუფალი და ღია გახდნენ, სახელმწიფო ახდენს იმ შეზღუდვების შემცირებას ან ლიკვიდაციას, რომლებიც ხელს უშლიან ახალი კონკურენტების შეღწევას, სტიმულს აძლევს წარმოებისა და რეალიზაციის დივერსიფიკაციას. ამის შემდეგ იზრდება მრავალპროფილიანი ფირმები, რომელთა პროდუქტია სხვადასხვა ბაზარზე აღწევს, მათ შორის იქაც, სადაც ადრე სახელმწიფო საწარმოები დომინირებდნენ. ლიბერალიზაციის სხვა მეთოდებს შორის შესაძლებელია გამოეყოთ მცირე ბიზნესის წახალისება, რომელიც საბაზრო ზერელებს ავსებს, ეროვნულ ეკონომიკაში იმპორტული საქონლის შემოზიდვის ხელის შემშლელი საბაჟო და სხვა შეზღუდვების შესუსტება.

აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება: ბაზრის ლიბერალიზაცია ნიშნავს განსახელმწიფოებრივებას პრივატიზაციის გარეშე. მართლაც, დავუშვათ, რომ რომელიმე სახელმწიფო მონოპოლია აწარმოებს და ყდის გარკვეულ პროდუქციას 1000 ერთეულის ოდენობით, მთლიანად უწყევს რა კონტროლს ბაზარს, იგი ცდილობს, კიდევ 1000 ერთეულით გაზარდოს წარმოება და რეალიზაცია. თუ სახელმწიფო მტკიცედ დაადგა მოცემული ბაზრის ლიბერალიზაციას, მან შეიძლება იმას მიაღწიოს, რომ დამატებითი 1000 ერთეულის წარმოება უზრუნველყოფილ იქნეს სხვა ეროვნული მწარმოებლების (მაგალითად, მრავალპროფილიანი ფილიალების), საზღვარგარეთელი მიმწოდებლებისა და კონკურენტის სხვა მონაწილეების მიერ. მოხდება ბაზრის

---

\* Fregose R. The PEIN in Spain: telecommunications and government policy II Journal of communications. Philadelphia, 1988, Vol. 38, N1, p.88.

განსახელმწიფოებრივება (კარგავს რა მონოპოლიურ მდგომარეობას, სახელმწიფო საწარმო შეინარჩუნებს რეალიზაციის ახალი მოცულობის მხოლოდ 50%-ს) სახელმწიფო საკუთრების ყოველგვარი პრივატიზაციის გარეშე.

განსახელმწიფოებრივების სხვა საშუალებაა შერეული საწარმოების შექმნისა და მათი მოქმედი სფეროს გაფართოების სტიმულირება. ეს შეიძლება შეღავათიანი დაბეგვრის ან დაკრედიტების განსაკუთრებული რეჟიმით გაეთდეს. ისიც ზღბდა, რომ სახელმწიფო თავის საინვესტიციო პოლიტიკის ორიენტირებას მარტოოდნ იმ საწარმოებზე ახდენს, სადაც მისი წილი სააქციო კაპიტალში 100%-ზე ნაკლებია.

განსახელმწიფოებრივების კიდევ ერთი წესი არსებობს, რომელიც ითვალისწინებს იმ არასაბაზრო, შეღავათიანი ვითარების თანდათანობით ლიკვიდაციას, რომელშიც სახელმწიფო სექტორის ბევრი საწარმო იმყოფება. იგულისხმება საბიუჯეტო დახმარების შემცირება, საბანკო დავლიანებების ჩამოწერაზე უარის თქმა, საგადასახადო შეღავათების გაუქმება, სახელმწიფო საწარმოებზე კერძო ბიზნესის სფეროში არსებული მართვის პრინციპებისა და კაპიტალდაბანდებების ეფექტიანობის შეფასების გავრცელება და ა.შ. ასეთი ქმედებები მხოლოდ ეკონომიკის საერთო კონკურენციულ ტონუსს როდი ამალბებს. აქ მისი განსახელმწიფოებრივბაც სახეზეა. თუ დაუშვებთ, რომ საწარმო თავისი საინვესტიციო პროგრამის შექმნისას სულ უფრო ნაკლებად ეყრდნობა ბიუჯეტს და უფრო მეტად მიმართავს კერძო კაპიტალის ბაზარს, მაშინ იგი წარმოებაში სახელმწიფო საკუთრებად რჩება. მიმოქცევაში – თანდათანობით დამოუკიდებელი ზღბდა.

დაბოლოს, განსახელმწიფოებრივების ძირითადი წესებიდან აღსანიშნავია კიდევ საკუთრების დენაციონალიზაცია. ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ პრივატიზაცია (ყოფილი სახელმწიფო საწარმოების აქციების ინდივიდუალურ კერძო საკუთრებაში გადასვლა) დენაციონალიზაციის მრავალი ვარიანტიდან მხოლოდ ერთს წარმოადგენს. ამ აქციებს შეიძლება ასევე დაეპატრონონ ბანკები, გასაყიდი საწარმოების კოლექტივები, სააქციო საზოგადოებები, საზღვარგარეთის ფირმები, კოოპერატივები და ეკონომიკური სისტემის სხვა მონაწილეები. თვით დენაციონალიზაციაც სულაც არ არის აუცილებელი, ასპროცენტიანი იყოს. ზშირად ეკონომიკურად მიზანშეწონილია, სახელმწიფომ შეინარჩუნოს იმ საწარმოების სააქციო კაპიტალის ნაწილი, რომელიც ადრე მას ეკუთვნოდა.

თუმცა რეალურ პოლიტიკაში ჩვეულებრივ შემთხვევა განსახელმწიფოებრივების ყველა წესის კომბინაცია, მათი გადახლართვა (მცირე ბიზნესის

სტიმულირებისა და დივერსიფიკაციის ღონისძიების შეთავსება, დაეუშვათ შერეულ საწარმოებში ინვესტიციებისა და ნაწილობრივ პრივატიზაციასთან), მთავარი მანიც ორია: ლიბერალიზაცია და დენაციონალიზაცია. განვიხილოთ ისინი რამდენადმე დაწვრილებით.

ერთი მხრივ, ლიბერალიზაცია დენაციონალიზაციაზე ეფექტიანია. საქმე ისაა, რომ ლიბერალიზაცია უზრუნველყოფს არა უბრალოდ სახელმწიფო მეწარმეობის სფეროს შეფარდებით შემცირებას, არამედ ეკონომიკის დემონოპოლიზაციასაც განაპირობებს. როგორც ზემოთ მოტანილი ციფრობრივი მაგალითიდან ჩანს, ლიბერალიზაციის პროცესში სახელმწიფო საწარმომ დაკარგა ადრინდელი ბატონობა ბაზარზე, შეიცვალა თავისი სტატუსი, მონოპოლიურიდან კონკურენციულად გადაიქცა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ლიბერალიზაცია ერთბაშად ორ ეფექტს იწვევს – განსახელმწიფოებრივებასა და დემონოპოლიზაციას. ამ თვალსაზრისით არსებითად უფრო ვიწროა დენაციონალიზაციის შედეგი. მას მხოლოდ ერთი ეფექტი ახლავს – ხელი შეუწყოს განსახელმწიფოებრივებას, მაგრამ, საბოლოო ანგარიშით, არაფერს ცვლის ბაზრის სტრუქტურაში. ამასთან, ცხადია, რომ მომხმარებლისათვის საერთოდ სულერთია, რომელი მონოპოლისტი (სახელმწიფო ან არასახელმწიფო) გააუარესებს მის კეთილდღეობას, მომსახურების და საქონლის დაბალი ხარისხით, მაღალი ფასებით, თუ ღარიბი ასორტიმენტით.

მეორე მხრივ, დენაციონალიზაციას, ლიბერალიზაციასთან შედარებით, თავისი პლუსები აქვს. დენაციონალიზაცია, როგორც წესი, მიწოდების მნიშვნელოვან ზრდას იწვევს საფინანსო ბაზარზე, სადაც გაყიდული სახელმწიფო საწარმოების აქციები შედის. რამდენადაც ცვლას ბაზარი ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია, ხდება მიწოდების საყოველთაო ზრდა, რომელსაც (რაც ცვლასზე მთავარია) არ ახლავს თან რაიმე მნიშვნელოვანი დანახარჯები. მაგრამ თუ საქმე ეხება არა აქციების, არამედ, ვთქვათ, საქონლის მიწოდებას, მაშინ მიწოდების ზრდა ალბათ გამოიწვევდა დანახარჯების, კერძოდ, ხელფასის პარალელურ ზრდას. ამის კვალდაკვალ გაიზრდებოდა მოთხოვნის ოდენობაც. რაც შეეხება აქციებს, აქ მიწოდების ზრდა არ იწვევს მოთხოვნის ერთდროულ გაფართოებას.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ მომხმარებელთა თვალში აქციებს, საქონელთან შედარებით, განსაკუთრებული ფასი აქვთ და ხელსაყრელობის თვალსაზრისით. მისგან სულ ცოტა ორი თვისებით განსხვავდებიან. აქციები იმით იზიდავენ მომხმარებელს, რომ მათი დაუფლებით ის უფლებამოსილი ხდება, იქონიოს დივიდენდის მიღების და, მაშასადამე,

თავისი შემოსავლის საერთო რაოდენობის ზრდის იმედი. საქონლის შექმნა კი ამას არ ჰპირდება. ამასთან, აქციები შესაძლებელია ისევ გადააქციო ფულად, საქონლის მიმართ კი ასე ვერ მოიქცევი. ამიტომ საკვირველი არ არის ის, რომ მომხმარებელი ჩვეულებრივ უყურადღებოდ არ ტოვებს სახელმწიფო ქონების ორგანიზებულ მასობრივ გაყიდვას. როდესაც ფულადი შემოსავლების ნაწილი აქციების შექმნას მოხმარდება, საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე მიმდინარე მოთხოვნის მიმართ ზემოქმედება სუსტდება, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინფლაციურ სიტუაციებში.

გამოდის, რომ დენაციონალიზაციას არ შეუძლია არ მოგვეცეს ძლიერი ინფლაციის საწინააღმდეგო ეფექტი. ინფლაცია ხომ, მოთხოვნის მხრივ, ბაზრების ხანგრძლივ უწონასწორობაში ვლინდება, დენაციონალიზაცია კი საწინააღმდეგოდ მოქმედებს და ხელს უწყობს წონასწორობის აღდგენას. სხვათა შორის სწორედ ასე მოხდა იმ ქვეყნებში, სადაც დენაციონალიზაციის სწორი ორგანიზაცია შეძლეს.

აღნიშნული ეფექტი უფრო მეტად იმით ძლიერდება, რომ დენაციონალიზაცია არსებითად ასუსტებს საფინანსო დამაბულობას ბიუჯეტის გასავლის ნაწილში. ცნობილია, რომ სახელმწიფო საწარმო როგორც ეკონომიკურ მდგომარეობაშიც არ უნდა იმყოფებოდეს, მას თავისი სტატუსის გამო საფუძველი აქვს, სახელმწიფოს საფინანსო ინექციის იმედი იქონიოს. უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერ ეკონომიკაში (საბაზროშიც და არასაბაზროშიც) ეს იმედები, როგორც წესი, მართლდება. დენაციონალიზაცია ათავისუფლებს ბიუჯეტს მისი გასავლის ნაწილის მეტისმეტი ხელყოფისაგან, რაც ხელს უწყობს ხარჯების ეკონომიას და დეფიციტის შემცირებას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სახელმწიფო საკუთრების გაყიდვიდან მიღებული ამონაგები შედის ბიუჯეტში, აღიდებს შემოსავლებს. ყოველივე ეს ხელს უწყობს ინფლაციური პროცესის დამუხრუჭებას. ცხადია, ბაზრების ლიბერალიზაციას ასეთი ეფექტების მოცემა არ შეუძლია.

იმისათვის, რომ დენაციონალიზაცია წარმატებით გატარდეს, და გადაწყვიტოს ის ამოცანები, რისთვისაც იგი გამიზნულია, აუცილებელია გარკვეული პირობების შესრულება.

პირველ ყოვლისა, უნდა არსებობდნენ სახელმწიფო საკუთრების სუბიექტები, ანუ ის დაწესებულებები, რომელთაც კანონით უფლება აქვთ განაგებდნენ მას, გაყიდონ ან შეიძინონ სახელმწიფო საწარმოების აქციები. საბაზრო ეკონომიკის ტიპის ქვეყანაში ასეთი საწარმოები პოლდინგური (მფლობელი) კორპორაციებია, რომლებიც საკანონმდებლო

ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარებიან. აქვე ხაზი უნდა გაესვას პრინციპულად მნიშვნელოვან მომენტს: მათი უფლებების დელეგირება არავის არ შეუძლია. დაუშვავტებთ, რომ ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღმასრულებელ ორგანოებს, პირველ რიგში, სამინისტროებს აკრძალული აქვთ, ამასთან, საესებით კატეგორიულად, ფლობდნენ მათ მიერ კონტროლირებადი საწარმოების ქონებას. ჩვენს ქვეყანაში მსგავსი კორპორაციების ქსელი ახლა იწყებს ჩამოყალიბებას, ამასთან, ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი სახელმწიფო ქონების ფონდის შექმნა იყო.

რამდენადაც ჩვენი ეკონომიკის სახელმწიფო სექტორმა გიგანტურ საზღვრებს მიაღწია, ხოლო განსახელმწიფოებრივების ჩვევები საესებით არა გვაქვს, მსოფლიო გამოცდილებას შეუძლია ფასდაუდებელი სარგებლობა მოგვიტანოს. აღვნიშნავთ მთავარს: მსოფლიო პრაქტიკა ცალსახად მოწმობს, რომ როგორც სამინისტროებს, ასევე, მათ სუროგატებს, სახელმწიფო კონცერნების სახით, სახელმწიფო სააქციო საზოგადოებებს და ა.შ. უნდა ჩამოერთვათ საზოგადოებრივი დოვლათის ფლობისა და განკარგვის უფლება. თუ ფართომასშტაბურ დენაციონალიზაციას მანამ დავიწყებთ, ვიდრე კანონით განსაზღვრული სახელმწიფო საკუთრების სუბიექტები გაჩნდებიან, მაშინ იგი შემოგვიბრუნდება მისი დატაცებითა და განიავებით, მომხმარებლის არნახული, გაძლიერებული მონოპოლიური ჩავვრით და ექსპლოატაციით. თუ წინათ დარგობრივ მონოპოლიებს ანგარიშის გაწვევა უხდებოდათ ცენტრალური ეკონომიკური უწყებების მიერ დაწესებული ადმინისტრაციული კონტროლისადმი, საკუთრების სრულუფლებიან მფლობელად გახდომის შემდეგ, სრული საფუძველი ექნებათ მიაღწიონ შესაბამის სამეურნეო თავისუფლებას ფასების დაწესებაში, წარმოების და რეალიზაციის მოცულობის განსაზღვრაში და ა.შ. ამოქმედდება ეკონომიკური ინტერესი: სახელმწიფოს შემზღუდველი მეურვეობისაგან გათავისუფლების შემდეგ მონოპოლიას შეეძლება თავისი ბატონობის სრულყოფილი რეალიზაცია. ცხადია, რომ მოვლენების ასეთი შემობრუნების პირობებში ძალიან ძნელი იქნება თანამედროვე საბაზრო მეურნეობის შექმნა.

მეორე პირობაა განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურის, პირველ ყოვლისა, საფონდო ბირჟის არსებობა, ურომლისოდაც კაპიტალებისა და რესურსების არხები ოპერატიული დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი გადაადგილებისათვის ჩაკეტილი დარჩებოდა. ეს კი ნიშნავს, რომ დენაციონალიზაცია ვერ გადაწყვეტს თავის მთავარ ამოცანას, რომელიც ეკონომიკის საბაზრო პოტენციალის მობილიზაციით გამოიხატება.

შესაშე პირობა საფინანსო ბაზრების საკმარის ტევადობაში

მდგომარეობს. მათ ხომ დენაციონალიზებული საწარმოების აქციების "გადამუშავება" უნდა შეძლონ. აქედან გამომდინარეობს, რომ ასეთი აქციების მიწოდების მოცულობის განსაზღვრა სულაც არ არის სტიქიური პროცესი. იგი ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ აქციების მიწოდება არ გასცდეს ყოფილი სახელმწიფო საწარმოების კუთვნილ აქციებზე მოთხოვნის სავარაუდო ჩარჩოებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება აქციების კურსის დაცემა და ამ საწარმოების ჩალის ფასად გაყიდვა.

მეოთხე პირობაა დენაციონალიზებადი საკუთრების განაწილების წინასწარ მოფიქრებული პროცედურა. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ამ პრობლემის გადაწყვეტა წმინდა საბაზრო გზით ხდება, როდესაც გასაყიდი სახელმწიფო საწარმოები ხელმისაწვდომია ყველასათვის, ვინც მათ ყიდვას მოისურვებს. მაგალითად, საფრანგეთში განაწილების მკაცრი რეგლამენტაცია მოქმედებს: ასეთი საწარმოების 10% მათში დასაქმებულ მუშაკებს ეკუთვნით, ამასთან, პირველ რიგში და შემეცირებული კურსით; 15 - უცხოელებს; 50 - ნებისმიერ ფრანგ მოქალაქეს, საწარმოს, ბანკს, ფონდს და ა.შ., 25% - ქვეყნის უდიდეს საფინანსო ინსტიტუტებს. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სახელმწიფო იტოვებს პრივატიზებული ფირმების აქციების 51 ან 25,1%-ს.\* ნებისმიერ ვითარებაში სააქციო კაპიტალების ასეთი წილი მის მფლობელს სახელმწიფო ორგანოს კვალიფიციური უმცირესობის მდგომარეობაში აყენებს, რაც საშუალებას აძლევს მას, ზეგავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე.

მესამე პირობაა სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს შორის ძალებისა და უფლებამოსილების განაწილების ისეთი ბალანსის არსებობა, რომელიც ადგილობრივი ორგანოების მხრივ გამორიცხავდა პრივატიზაციის ეროვნული პროგრამის ბლოკირებას. ამ პირობის შესრულება ყველგან არ ხერხდება. ამასთან დაკავშირებით, საგულისხმოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მაგალითი, სადაც სახელმწიფო სექტორი განსაკუთრებული რეგიონული თავისებურებებით გამოირჩევა და მოიცავს ფედერალურ, საადგილმამულო, ადგილობრივ და სახელმწიფო საწარმოების სხვადასხვა ტიპს, ასევე, მათ ყოველნაირ კომბინაციას. ამ ქვეყანაში დენაციონალიზაციის პროგრამა ბევრ რამეში იმის გამო ფერხდება, რომ აწყდება მიწათმფლობელი მთავრობის წინააღმდეგობას, რომლებიც ფედერაციული ხელისუფლების ზეწოლის მიუხედავად, არ აპირებენ საკუთრების დათმობას. ალბათ

---

\* The politics of privatization in Western Europe, p.54,68



აუცილებელი არ არის იმის მტკიცება, რომ ასეთი კოლიზიების გადაწყვეტის გამოცდილება ჩვენთვის მეტად საინტერესოა.

დაბოლოს, უკანასკნელი პირობაა დენაციონალიზაციის საიმედო სამართლებრივი საფუძვლის შექმნა. მსოფლიოს პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დენაციონალიზაციის იმ კანონებისა და ინსტიტუტების გარეშე, რომლებიც მის შესრულებას უზრუნველყოფენ, საქმე კარგად ვერ მიდის. ყურადსაღებია, რომ განსახელმწიფოებრივებასთან დაკავშირებული უდიდესი სირთულეები იქ წარმოიშობა ხოლმე, სადაც წინდაუხედავად იღებდნენ ისეთ კანონებს, რომლებიც აფიქსირებდნენ სახელმწიფო სექტორისადმი ამა თუ იმ დარგის სავალდებულო კუთვნილებას. სამაგიეროდ, ვთქვათ, ინგლისური კანონმდებლობა, სადაც არ არის დენაციონალიზაციის დაბრკოლებები, ეხმარება სახელმწიფოს, ოპერატიულად გადაადგილოს საზღვარი სახელმწიფო და კერძო მეწარმეობას შორის.

ყელგან, სადაც სახელმწიფო ამ პირობების დაცვას ცდილობდა, დენაციონალიზაციამ საგრძნობი შედეგები მოიტანა. ის ხელს უწყობდა ეკონომიკის დემონოპოლიზაციასა და ბაზრის მექანიზმის გაძლიერებას, გადაიქცა ანტიინფლაციური პროფილაქტიკის ძლიერ საშუალებად, გააუმჯობესა სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა, უფრო დემოკრატიული გახადა საკუთრებრივი ურთიერთობები და საწარმოთა მართვა. ინგლისში, მაგალითად, ცნობილი კორპორაციის "ბრიტიშ ტელეკომის" ნაციონალიზაციის შემდეგ, მის თანამფლობელთა რიცხვში 2,25 მლნ ინგლისელი შევიდა, თვით "ბრიტიშ ტელეკომში" დასაქმებულთა 96%-ის ჩათვლით.\*

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო საკუთრების დენაციონალიზაცია, როგორც ჩანს, არაა თვითმიზანი, ან იდეოლოგიური სიმპათიებისა თუ ანტიპათიების განსახიერება. მისი განხორციელებით სახელმწიფო ცდილობს, თავისი საქმიანობა ისეთ ჩარჩოებში მოაქციოს, რომელიც საბაზრო ტიპის მეურნეობის თავისებურებებითაა განსაზღვრული, იმოქმედოს ისე, რომ ამ უკანასკნელმა იმუშაოს მაღალი ეფექტიანობით, დროულად მოახდინოს მოთხოვნაზე რეაგირება. მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს შეუძლია, ეს არის ის, რომ უზრუნველყოს კონკურენციული ბაზრის მექანიზმის ფუნქციონირების ნორმალური პირობები და შეავსოს იგი, შეასრულოს ის სამუშაო, რომელსაც ბაზარი ვერ სწევდა.†

კონკურენციული ბაზრის მოწყობა - ასეთია ციკლის მესამე განყოფილების ძირითადი პრობლემატიკა.

\* The politics of privatization in Western Europe, p.18,39.

საბაზრო სისტემა

ეფექტიანი ფუნქციონირების პირობები. საკუთრებითი ურთიერთობები. წარმოებრივი რესურსების გამოყენების პრობლემა. ბაზრების კლასიფიკაცია. საქონლის ბაზარი. ინვესტიციები და დანაზოგები. წონასწორობის მდგრადობა. ფულის ბაზარი. ფულზე მოთხოვნის ფუნქცია. მოკლევადიანი წონასწორობის პირობები. საქონლისა და ფულის ბაზრების ურთიერთქმედება. ჰიკსი-ჰანსენის მრუდები. "ინვესტიციების - დანაზოგების - ლიკვიდურობის უპირატესობის - ფულის" მოდელი. ლიკვიდური ხაფანგი. სახელმწიფო და ფულის ბაზარი. ფიშერის ეფექტი. ფულის გრედულაციანი წონასწორობის გათანაბრება.

საბაზრო მექანიზმის ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო ბაზრის კანონებით მოქმედებდეს. როგორც უკვე აღინიშნა, საბაზრო მეურნეობისათვის თანაბრად საზიანოა სახელმწიფოს როგორც მეტად მცირე, ისე მეტად დიდი ღოზით მონაწილეობა ეკონომიკურ პროცესებში. ამასთან, ეს პირობა აშკარად არასაკმარისია.

მწარმოებელი მოთხოვნის მომსახურებით მაშინ არის მატერიალურად დაინტერესებული, როცა თავისუფლად განაგებს წარმოების პირობებსა (შეუძლია საქიროებისამებრ მათი გადიდება, შემცირება და ა. შ.) და შედეგებს. ასეთ მოთხოვნებს საკუთრების სხვადასხვა ფორმა - კოლექტიური, კერძო, აქციონერული, კოოპერაციული და სხვ. - უპასუხებს, აგრეთვე მათი ყველა შესაძლებელი კომბინაცია. (რეალურ საბაზრო ეკონომიკაში (მაგრამ არა თავისუფალი ბაზრის სისტემაში!) სახელმწიფო საკუთრებაცაა დასაშვები. საკუთრების სახეობათა მრავალფეროვნება, ადამიანის უფლება რომელიმე მათგანის თავისუფლად არჩევაზე, შესაბამისი სამართლებრივი გარანტიები საბაზრო ეკონომიკის არსებობის აუცილებელ პირობას, ჰაერს წარმოადგენს, რომლის გარეშეც მას სუნთჭვა არ შეუძლია.

მიუხედავად ამისა, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო მეურნეობა მით უფრო ეფექტიანია, რაც უფრო აწყობილია კაპიტალების ოპერატიული და მიზანმიმართული გადაადგილება, პრიორიტეტი მთლიანად საკუთრების აქციონერულ ფორმას ეკუთვნის. კარგად წარმოაჩინეს თავი აქციონერულმა საზოგადოებებმა უცხოური კაპიტალის

მონაწილეობით, აკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მათი მეოხებით ორგანიზებულია წინავე ტექნოლოგიების გაცვლა, კაპიტალების დროებითი გაერთიანება (ეთქვათ კონსორციუმების სახით) დიდი სამეურნეო პრობლემების გადაწყვეტისათვის და სხვა ვარიანტები. აქციონერული სისტემა არა მხოლოდ კაპიტალების მობილიზაციას ახდენს და მათი შეერთების უპირატესად განსხვავებულ ფორმებს წარმოშობს, არამედ, მოსახლეობის ფართო მასების საკუთრების თანამფლობელებად გადაქცევით, მართვაში მათი გავლენის უზრუნველყოფითა და მოგების განაწილებაში მონაწილეობით, ეკონომიკის დემოკრატიზაციასაც განაპირობებს.

დაბოლოს, განვითარებული აქციონერული სტრუქტურების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა წარმოებისა და კაპიტალის დივერსიფიკაცია. მაგალითად, საქმე ეხება იმ პროცესს, რომლის მსვლელობაში რომელიმე გარკვეული პროდუქტის გამომუშავებასა და გაყიდვაში დასპეციალებული საწარმო იჭრება (აქციების გაყიდვის საშუალებით) სხვა დარგებში, იჭრება "სხვისი" ბაზრების ნაწილს. ასეთი მრავალპროფილიანი ფირმის ეკონომიკური მდგომარეობა უფრო მყარი, სიცოცხლისუნარიანი ხდება. ძირითადი წარმოების პროდუქტებზე მოთხოვნის დაცემით გამოხატულ ტექნოლოგიურ ძვრებსა და საბაზრო კონიუნქტურის ცვალებადობაზე მას შეუძლია კაპიტალის სწრაფი გადაადგილებით რეაგირება მოახდინოს იქ, სადაც მოთხოვნა იზრდება. უფრო მეტიც, ფართომასშტაბიანი დივერსიფიკაციის პირობებში, ბაზრის მიერ გადაცემულ სიგნალებს მრავალი საწარმო ეხიანება, რომელთა ძირითადი ინტერესები მეურნეობის მეტად განსხვავებულ დარგებს უკავშირდება. ამის შედეგად იზრდება კონკურენციაში მონაწილეთა რიცხვი და ბაზრების შინაგანი სიმჭიდროვე. მათი პარამეტრები თავისუფალი ბაზრის მახასიათებლებს უახლოვდება (უკიდურეს შემთხვევაში მის პირველ ნიშანს). რაც უფრო ძლიერია კონკურენციული რეჟიმი, მით უფრო ეფექტიანად მუშაობს საბაზრო მექანიზმი, მით უკეთესია საქონლისა და მომსახურების ხარისხი, პროგრესულია მათი სტრუქტურა.

განვითარებული ქვეყნების პრაქტიკა ბაზრების მეტად მაღალ სიმჭიდროვეს განსაკუთრებით იმ ქვეყნებში გვიჩვენებს, სადაც ტექნოლოგიურად სრულყოფილი პროდუქცია იყიდება. კერძოდ, ის, ვინც მიზნად ისახავს, დაიკავოს მიწისზედა სადგურების მიმღები ტელევიზორებისა და საოჯახო კომპიუტერების მსოფლიო ბაზრის 1%, უნდა იცოდეს, რომ მას არანაკლებ 6-7 წელი დასჭირდება. ის, ვინც ვიდეო-მაგნიტოფონებისა და სტერეოსისტემების მსოფლიო ბაზრის ასევე 1%-ის დაკავებაზე ოცნებობს, მას შესაბამისად 7-8 და 20 წლის შრომა

მოუწევს.\* ესეც სასიკეთო შემთხვევაში, ანუ იმ პირობით, თუ ამ ბაზრების ლიდერი ამერიკელი ან იაპონელი კორპორაციები თავიანთ პროდუქციას ისეთსავეს დატოვებენ, როგორც ეს 80-იანი წლების ბოლოს იყო. შევნიშნავთ, რომ მოტანილი ციფრები სრულიადაც არ მოწმობენ მონოპოლისტურ შეთქმულებას. ეს მხოლოდ პროგნოზებია. ბაზრები ღიაა და ყველ საწარმოს იქ თავისი ადგილის დაკავების შანსი აქვს. საჭიროა მხოლოდ კონკურენტთა მჭიდრო რიგების გარღვევა, ამისათვის კი აუცილებელია უფრო მაღალი ხარისხის საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის გამოშვება, ან მისი უფრო იაფად გაყიდვა.

✓ როგორ განვიხილოთ ქარბწარმოება? განა ასეთი საფრთხე უკვე აღარ არსებობს? ქარბწარმოების საშიშროება შენარჩუნებულია. თუმცა, მართალია, იგი ყველაზე მეტად იქაა რეალური, სადაც თანამედროვე საბაზრო მეურნეობა ახლად იწყებს აღმოცენებას, ამიტომაც მასში სტიქიურობა უფრო მეტია, ვიდრე მართვადობა, განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაში უკვე ისწავლეს ამ საშიშროების გაბათილების ხერხები მარკეტინგის გამართული სისტემის დახმარებით, მსხვილ საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის გრძელვადიანი სტრატეგიული დაგეგმვის გავრცელებით, ეკონომიკური კონიუნქტურის სახელმწიფო რეგულირების ქმედითი მეთოდებით, მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ხანგრძლივ კონტრაქტებზე საყოველთაო გადასვლით, ისეთი უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც შესაძლებელს გახდის მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების ყოველგვარი მოსალოდნელი ცვლილების წინასწარმეტყველებას.

ამრიგად, საბაზრო სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფო დარჩეს საბაზრო ტიპის ეკონომიკის მიერ გამოყოფილ ფარგლებში და არსებობდეს საკუთრების პლურალიზმი, რომელშიც აქციონერულ ფორმას მიენიჭება უპირატესობა აუცილებელია, მაგრამ, როგორც მათემატიკოსები ამბობენ, ეს კიდევ არაა საკმარისი.

დაუშვათ, მოთხოვნისა და ფასების ზრდის შესახებ საბაზრო ინფორმაციის მიღების შემდეგ, მწარმოებელი აპირებს უპასუხოს მას წარმოებისა და რეალიზაციის გადიდებით, გაფართოებული კლავწარმოებით. საესებით შესაძლებელია, რომ იგი საქმეში დააბანდებს საკუთარ სახსრებს, დაუმატებს იმასაც, რასაც აქციონერული კაპიტალის დარგთაშორისი მიგრაციით მიიღებს. სესხს აიღებს ბანკიდან და ყოველივე ამას დამატებითი წარმოებრივი რესურსების შესაძენად დახარჯავს. კარგია, როცა ისინი

---

\* High definition television Washington, 1989.

ეკონომიკაში მრავლადაა. მაგრამ თუ რესურსების მოდინება არ ხდება? ან, რაც მეტად აქტუალურია, როგორც ჩვენი, ისე მთელი მსოფლიოს ეკონომიკისათვის, რესურსები არის, მაგრამ მათი კომერციული ათვისება არ არის მიზანშეწონილი, ვინაიდან მეტად დიდია ისეთი თანმხლები ეფექტები, როგორცაა წარმოების საშუალებათა წარმოების ჰიპერტროფია, მოძველებული ტექნოლოგიების დამკვიდრება, გარემოს განადგურება და ა. შ.

მაშინ რჩება ორი ვარიანტი: ან კაპიტალის დაბანდება თანამედროვე მოწინავე ტექნოლოგიებში და ამის საფუძველზე ეფექტიანად, დამატებითი რესურსების მოზიდვის გარეშე, წარმოების გაზრდა, ან უკვე არსებული, მაგრამ ჭერჭერობით დაკონსერვებული წარმოებრივი რესურსების ამოქმედება. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული საბაზრო ურთიერთობის ქვეყნებში შესაძლებელი შეიქნა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ნაყოფიერი პრაქტიკული რეალიზაცია, ის ვერ გახდა და პრინციპში არც შეიძლება გამხდარიყო ინტენსიური ზრდის ერთადერთი წყარო, რომელიც რეაგირებას მოახდენდა მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ყველა ცვლილებაზე. რეალურ ცხოვრებაში ეკონომიკის ეფექტიანი განვითარების ორივე ვარიანტი ურთიერთგადახლართულია.

გამოდის, რომ სთანამედროვე საბაზრო მეურნეობა წარმოებრივი რესურსების გარკვეულ რეზერვებს, მათ არასრულ გამოყენებას საჭიროებს. თუკი წარმოებრივი სიმძლავრეების 100%-იანი ექსპლოატაცია ხორციელდება, მაშინ იგი სიამაყს კი არა, შემფოთების საფუძველს იძლევა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ ეკონომიკას აღარ გააჩნია მანევრირების სივრცე, არა აქვს მოთხოვნაზე მოქნილი რეაგირების უნარი, განწირულია სასაქონლო დეფიციტისა და რესურსების განაწილების მბრძანებლური მეთოდების ბატონობისათვის, ამიტომ იძულებულია, უსასრულოდ ზარდოს მათი წარმოება.

მაგრამ საწარმოო რესურსები მხოლოდ წარმოების საშუალებებით როდი შემოიფარგლება. მას მიეკუთვნება, აგრეთვე, სამუშაო ძალაც. გამოდის, რომ საბაზრო სისტემის ეფექტიანი მუშაობის პირობას წარმოადგენს როგორც საწარმოო სიმძლავრეთა რეზერვები, ასევე, სათადარიგო მუშაკებმის არსებობაც, ე. ი. შრომისუნარიანი მოსახლეობის მუდმივი, მაგრამ არახანგრძლივი დაუსაქმებლობა. დიახ, სწორედ ასეა. შემდგომში ჩვენ კიდევ მრავალჯერ დავუბრუნდებით ამ საკითხს, ახლა კი მხოლოდ შემდეგს აღვნიშნავთ: არც თეორიისა და არც პრაქტიკისათვის არაა ცნობილი საბაზრო ეკონომიკა ასპროცენტრიანი დასაქმებით. საბაზრო ეკონომიკამ სამუშაო ძალის რეზერვების ოპტიმალური სიდიდე უნდა

შენარჩუნოს, თანაც, როგორც პრაქტიკა მოწმობს, სახალხო მეურნეობა არა მხოლოდ ძალზე მაღალი უმუშევრობის სიტუაციაში ზარალდება (მასშტაბებისა და ხანგრძლივობის მიხედვით), არამედ მაშინაც, როცა იგი მეტად მცირეა, მითითებული ნიშნულას ქვემოთაა). ამიტომ საბაზრო ეკონომიკას მაღალი ეფექტიანობის შეხამება (ამისათვის კი საჭიროა რესურსების ოპტიმალური რეზერვები, მათ შორის შრომისაც) ადამიანის უფლებების სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების უზრუნველყოფასთან, რომელიც შრომის უფლებებსაც მოიცავს, სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი გადაჭრა შესაძლებელია.

/საბაზრო სისტემის ფუნქციონირების ძირითად პირობათაგან უკანასკნელია ისეთი ურთიერთდაკავშირებული ორგანიზაციული სისტემის არსებობა, რომელიც მომსახურებას უწევს საქონლის, მომსახურების, ფულის, ფასიანი ქაღალდების, სამუშაო ძალის იმ ნაკადებს, რომელთა გადაადგილება ეკონომიკაში საბაზრო სტიმულების ზემოქმედებით ხორციელდება. ასეთ ორგანიზაციებს საბაზრო მეურნეობის ინსტიტუტებს ანუ ინფრასტრუქტურას უწოდებენ. მათ შესახებ მომდევნო, მეორეხე ლექციაში ვისაუბრებთ.

როგორც /განვითარებული ქვეყნების/ გამოცდილება გვიჩვენებს, კონკურენციული ბაზრების განვითარების საერთო ტენდენცია თავისუფალი ბაზრის ახალ თვისებრიობასთან მათი თანამიმდევრული მიახლოებით გამოიხატება. აქ ითვალისწინებენ არა XIX საუკუნის ბაზარს, არამედ ბაზარს, სადაც მსხვილი კორპორაციები მონაწილეობენ; არსებობს განვითარებული ინფრასტრუქტურა, გამოიყენება სახელმწიფო რეგულირების ეფექტიანი საშუალებები, გავრცელებულია მარკეტინგისა და გრძელვადიანი დაგეგმვის თანამედროვე ხერხები და ა. შ. 80-იან წლებში ამ ტენდენციის გამოდევნებამ ბევრად განაპირობა მოწინავე სახელმწიფოების ეკონომიკური პროგრესი, წარმოების ეფექტიანობისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. ესენი და სხვა უდავო მიღწევები მნიშვნელოვანწილად იმით აიხსნება, რომ მოწესრიგებულია ავანგარდული ინფორმაციული ტექნოლოგიების ფართო კომერციული ექსპლოატაცია, ეკონომიკური მექანიზმი ზუსტად შეესაბამება თავისუფალი ბაზრის შესაძენი ნიშნის მოთხოვნებს, ტარდება ქმედითი ანტიმონოპოლისტური პოლიტიკა (მეხუთე ნიშანი), მკირდება ბაზარზე შეღწევის შემზღუდველი ბარიერები (პირველი ნიშანი), ხორციელდება საბაზრო სისტემის ნორმალური მუშაობის ხელშეწყობი სხვა ღონისძიებებიც.

მოვიტანთ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება თანაფარდობა რეალურ და თავისუფალ ბაზარს შორის მოწინავე

ინფორმაციული ტექნოლოგიების გავლენით. 1977 წლიდან დასავლეთში მოქმედებს კომპიუტერული ტელეკომუნიკაციების SWIFT (Society of worldwide interbank financial telecommunications) ბანკთაშორისი სისტემა. 1989 წლის მდგომარეობით ეს სისტემა მსოფლიოში 1500 უმსხვილესი ბანკის ერთობლივი საწარმო იყო, რომლითაც არა მხოლოდ თვით სარგებლობდნენ, არამერ არენდით აღუედნენ ტელეკომუნიკაციურ არხებს 2800 კორპორაციას. SWIFT-ი მუშაობს სადღეღამისო რეჟიმით, კვირაში შვიდ დღეს, დღე-ღამის განმავლობაში დედამიწის ყველა წერტილს 1,5 მლნ გადაცემას აწვდის, თანაც მონაცემთა ტრასპორტირების ხანგრძლივობა არ აღემატება რამდენიმე წუთს\*. სისტემა პრაქტიკულად საბანკო ინფორმაციის ყველა ნაირსახეობას მოიცავს. პერსპექტივაში კი მათი მმართველები აპირებენ ფასიან ჭაღალდებთან დაკავშირებულ ოპერაციათა მონაცემების გადაცემის ათვისებას და ამით საფონდო ბირჟებისათვის ბრძოლის გამოცხადებას.

ვინაიდან თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში ფუნქციონირებს არა ერთი, არამედ SWIFT-ის მსგავსი რამდენიმე სისტემა, თავისუფალი ბაზრის მესამე ნიშანი (აბსოლუტურად სრული ინფორმაცია) თანდათანობით არც ისეთი აბსტრაქტული ხდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როცა ინფორმაცია სრული მოცულობისაა და უტყუარია, და ამასთანავე დროულად შემოდის, მაშინ აღარ გვიანდება კომერციული გადაწყვეტილებების მიღება, იშვიათია შეცდომები ფასების, მოთხოვნის, დივიდენდის და სხვა მონაცემთა პროგნოზირებაში, ზუსტად ნაწილდება კაპიტალდაბანდებები და რესურსები, ეფექტიანად მუშაობს ბაზრის მექანიზმი. ცვლილებები, რომელსაც მოწინავე ინფორმაციული ტექნოლოგიები განიცდიან, მოწმობს, რომ საბაზრო სისტემა ჯერ კიდევ მრავალ ისეთ რეზერვს შეიცავს, რომელიც გამოუყენებელია თვით დიდი ხნის საბაზრო ტრადიციის ჭეჭებშიც კი.

პირველ თავში მივუთითებდით, რომ თავისუფალი ბაზარი აბსტრაქტული კატეგორიაა, რომელიც საკმაო მანძილითაა დაშორებული სინამდვილისაგან. მასთან ბევრად უფრო ახლოა კონკურენციული ბაზარი. დადგა დრო, როცა ორივე ბაზარი სხვა მხრიდან უნდა განვიხილოთ იმ თვალსაზრისით, რომ სწორედ იქ ყოფიან და ყოფილობენ. მაშინ თავისუფალი და კონკურენციული ბაზარი, როგორც მინიმუმი, შემდეგი ოთხი წარმონაქმნის ნაკრებად, განზოგადებად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

---

\* Jones D. Electronic messages: new role for the carriers//Banking world, London, 1989, vol.7, N2, p. 40.

საქონლის, მომსახურების, ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და სამუშაო ძალის ბაზრებად. <sup>ქ</sup> მათ მიღმა კომპიუტერების, რძის, ავტოსერვისის, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების, ვალუტის, ინჟინრებისა და სხვათა რეალურად მოქმედი ბაზრები. ისინი ურთიერთდაკავშირებულია. დაეუშვათ, როცა მწარმოებელი საქონლის ბაზარზე მოქმედებს, აფართოებს წარმოებასა და გაყიდვას, იგი მიმართავს სამუშაო ძალის ბაზარს, სადაც ყიდულობს შრომით რესურსებს, აგრეთვე ფულისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებს, საიდანაც იღებს სახსრებს კაპიტალდაბანდებათა დასაფინანსებლად.

~~რომლის~~ <sup>რომ</sup> ეკონომიკაში არსებობს არა მხოლოდ ცალკეული, იზოლირებული ბაზრები, არამედ, მთელი საბაზრო სისტემა, რომლის ყველა ელემენტი ერთმანეთთან გარკვეულ თანაფარდობაშია. ამ თანაფარდობათა (პროპორციების) როლი განსაკუთრებით დიდია. დაეუშვათ, პირველი თავიდან ჩვენთვის ნაცნობი ველოსიპედების ფაბრიკანტი მოთხოვნაზე რეაგირებით თუ განიზრახავს გამოშვების გადიდებას, მას შეუძლია დაეყრდნოს მასალების, დამატებითი მუშაკების, კაპიტალისა და სხვა რესურსების მხოლოდ იმ რაოდენობას, რომელთა შექენაც მეზობელ ბაზრებზე შეუძლია. შესაბამისად, მასალების წარმოებისათვის უმჯობესია თავისი ბიზნესი იმ ზღვრამდე გააფართოოს, რომელიც ველოსიპედების მწარმოებლის მიერ არის მინიშნებული.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი მეწარმის ეკონომიკური ცხოვრება ორ განზომილებაში მიედინება. ერთ-ერთი მათგანი (მაკროეკონომიკური) ახასიათებს მწარმოებლის ქცევას ერთ, ცალკე აღებულ ბაზარზე. იგი უკვე აღწერილია ჩვენთვის ცნობილი ისეთი კატეგორიებით, როგორიცაა მოთხოვნისა და მიწოდების ფასები, ნაწილობრივი წონასწორობა და ასევე სხვებითაც, რომელთაც მოგვიანებით შევხებით. იმავდროულად მწარმოებელი ობიექტურად ებმება უფრო ფართო ეკონომიკურ პროცესში, რომელიც მას არა იმდენად თავის მოძმებთან აკავშირებს ველოსიპედების წარმოებისა და გაყიდვისას, არამედ უფრო იმათთან, ვინც რესურსებს ფლობს და ამით სხვა ბაზრებზე ვაჭრობს. სახალხო მეურნეობის მასშტაბით ამ პროცესს კლავსწარმოებადი ანუ მაკროეკონომიკური ეწოდება. მის გამზომად ისეთი პარამეტრები გამოიყენება, როგორიცაა: ერთობლივი (ეროვნული) შემოსავალი, მოხმარება, ინვესტიციები, დანაზოგები, საბანკო სარგებლის საშუალო ნორმა, ფასების დონე და სხვ.

\* დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა განხილულია ციკლის ცალკე თავში



მიკროეკონომიკური ხასიათის მრავალი მოვლენა ზედაპირულია და ამიტომ მათ კვლევას დაახლოებით იმდენივე წლის ისტორია აქვს, რამდენიც თვით ეკონომიკურ მეცნიერებას. გაცილებით გვიანაა შეცნობილი სამეურნეო პროცესების კიდევ ერთი, მაკროეკონომიკური ასპექტი. ერთ-ერთი პირველი ეკონომისტთაგანი, რომელმაც ყურადღება მიაქცია ეკონომიკის სხვადასხვა სფეროს ურთიერთკავშირს და განსაზღვრა მათი თანაფარდობა (შემდეგ მათ ეწოდათ მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობები), იყო კ. მარქსი. სწორედ მან დაადგინა, რომ მითითებული წონასწორობის საფუძველში წარმოების პროპორციები დევს. შეუძლებელია არ გაეიხსენოთ, აგრეთვე, მისი გამოკვლევები საზოგადოებრივი წარმოების პირველი და მეორე ქვედანაყოფების შესახებ. მათ საფუძველზე გამოვლინდა პროპორციები ამ ქვედანაყოფებს შორის (ღირებულებითი და ნატურალური ფორმის მიხედვით), რომელთა დაცვა უზრუნველყოფს დანახარჯების სრულ ანაზღაურებასა და ეკონომიკის შეუფერხებელ განვითარებას. ამგვარი სახის კვლევა შეიძლება ინახოს ვ. ი. ლენინის და სხვა მარქსისტების შრომებში.

კ. მარქსი და მისი მიმდევრები ძირითადად მაკროეკონომიკური წონასწორობის მხარეს იკვლევდნენ, ისეთ ეკონომიკას სწავლობდნენ, სადაც ყველა ბაზარზე მოთხოვნა მიწოდების ტოლია. მათი მიღწევები აქ უდავოა. ეკონომიკური აზრის მთელ ისტორიაში ძნელად თუ მოიძებნება მეცნიერი, რომელსაც შესძლებოდა მარქსზე უკეთესად აეხსნა წონასწორობის ფასი. საბაზრო სისტემის ანალიზში ბევრს მიაღწიეს, აგრეთვე, სხვა, არამარქსისტული თეორიული მიმართულებების წარმომადგენლებმა. ემპირიკის სკოლის გარდა, მეტად მნიშვნელოვანი შედეგები აქვთ ინგლისელ ეკონომისტებს ჯ. მ. კეინზს და ჯ. ჰიკსს, ამერიკელ ეკონომისტებს ე. ჰანსენს, ი. ფიშერს, მ. ფრიდმენს, დ. პატნიკინს და სხვა სპეციალისტებს.

საბაზრო სისტემის შესწავლა დავიწყოთ საქონლის ბაზრით. ამთავითვე შევნიშნავთ შემდეგს: თუ მხედველობაში მაკროეკონომიკურ ასპექტს მივიღებთ, ამ ბაზრის აღსაწერად არაა საკმარისი ნაწილობრივი წონასწორობის მხოლოდ ერთი მოდელი, რომლის შესახებაც ლაპარაკი პირველ ლექციაში იყო. გაეიხსენოთ, მაგალითად, ის სიტუაცია, როცა ველოსიპედების ბაზარზე წონასწორობა დარღვეული აღმოჩნდა მოთხოვნის გაზრდის გამო. ბაზრის მექანიზმმა ამას ფასების დროებითი ზრდით უპასუხა, რამაც წარმოების გაფართოებისათვის სტიმულები შეუქმნა. ჩვენ აბსტრაქტირება მოვახდინეთ იმისაგან, თუ საიდან მიიღება რესურსები ასეთი გაფართოებისათვის, რა წყაროების ხარჯზე

ხორციელდება იგი. მაგრამ აშკარაა, რომ რესურსებიცა და წყაროებიც, რომლებიც ველოსიპედების ბაზრის მიღმაა და რომლებთანაც მწარმოებელი ამყარებს ურთიერთობას, ამით იგი მაკროეკონომიკურ პროცესში ერთვება. განვიხილოთ ეს დეტალურად.

ცხადია, წარმოების გაფართოება და მოდერნიზაცია თავისთავად არ მიმდინარეობს. საჭიროა კაპიტალდაბანდებები და მათი დაფინანსება, რისთვისაც შესაძლებელია სამი ძირითადი ვარიანტის გამოყენება.

[პირველ ყოვლისა, მეწარმე უფლებამოსილია გამოიყენოს თვითდაფინანსება. იგი ინახავს, ზოგავს მოგების ნაწილს, რათა შემდეგ დახარჯოს იგი გარკვეულ საინვესტიციო პროექტებზე,] წამოაყენოს საინვესტიციო მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ ასეთ გადაწყვეტილებას ის მაშინ მიიღებს, თუ განსაკუთრებული ყურადღებითაა საბანკო სარგებლის მოძიარობისადმი. დავუშვათ, მწარმოებელი აპირებს მოგების რაიმე ნაწილის კაპიტალდაბანდებებად გადაქცევას, თანაც ყველ 1000 მანეთ კაპიტალურ დანახარჯზე 50 მანეთი დამატებითი შემოსავლის მიღებას ელოდება. აქედან გამომდინარე, მოსალოდნელი მოგების ნორმა 5%-ს შეადგენს. თუ საბანკო განაკვეთი, ვთქვათ, 4%-ის ტოლია, მაშინ ფაბრიკანტი მატერიალურად დაინტერესებულია საინვესტიციო პროდუქციის რეალიზაციით და ინვესტიციური მოთხოვნის მოზღვაება მომხდარ ფაქტად იქცევა. იმ სიტუაციებში კი, როცა სარგებლის ნორმა 6%-ს მიაღწევს, იგი სავსებით სხვაგვარად იქცევა. სავსებით დასაშვებია, რომ მეწარმე საერთოდ უარს იტყვის კაპიტალდაბანდებებზე, რადგან მალალი სარგებლის მიღების ვარაუდით, უპირატესობას თავისი ფულის ბანკში მოთავსებას მიანიჭებს. როგორც ჩანს, რამდენადაც მალალია სარგებელი, იმდენად დაბალია ინვესტიციებისაკენ მიდრეკილება, ნაკლებია კაპიტალდაბანდებების სიდიდე.


არაა გამორიცხული ეკონომიკური ქცევის მეორე ვარიანტიც — პირდაპირი სესხება საბანკო სისტემიდან. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი ახდენს სხვადასხვა ტიპის დანაზოგის აკუმულაციას და გადაქცევს მათ საბანკო დეპოზიტებად (შენატანებად). ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო ნათელი ხდება საინვესტიციო მოთხოვნის კავშირი სარგებლის ნორმასთან. სარგებლის ზრდის, ე. ი. კრედიტის გაძვირების კვალობაზე კაპიტალის დაბანდება სულ უფრო ნაკლებ რენტაბელური ხდება. ახლა ხომ ამა თუ იმ ინვესტიციური პროექტის განხორციელების მიზანდასახულობის შეფასებით მწარმოებელი იძულებულია გაითვალისწინოს, რომ კრედიტის გამოყენებისათვის მეტი ექნება მას გადასახდელი. ამრიგად, მალალი სარგებელი აფრთხობს მეწარმეებს, აიძულებს მათ, თავი შეიკავონ კაპიტალდაბანდებებისაგან. იგი ნეგატიურად მოქმედებს ინვესტიციური მოთხოვნის მოცულობაზე.

დაბოლოს, პოტენციურ ინვესტიორს შეუძლია შეეცადოს კაპიტალების მოზიდვას, რისთვისაც მიმართავს საფონდო ბირჟებს. გასაგებია, რომ ის დაინტერესებულია, იქიდან მიიღოს ინვესტიციური პროექტის რეალიზაციისათვის საჭირო თანხა. ცამიტომ საჭიროა მისი კუთვნილი ველოსიპედების საწარმოს აქციების არა ნებისმიერი, არამედ საქმაოდ მაღალი კურსი. აქედან გამომდინარეობს, რომ დამატებითი რაოდენობის აქციების გამოშვება თავისთავად მეტად უმნიშვნელოდ ეხმარება მწარმოებელს დასახული მიზნის მიღწევაში: რაც უფრო მეტია მიწოდება, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ნაკლებია აქციების ფასი, კურსი. გამოდის, რომ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი მოთხოვნაა აქციებზე, შეუძლია თუ არა მწარმოებელს, როგორცაღ იმოქმედოს მასზე? დიახ, ასეთი შანსი მას აქვს, თუმცა, პირდაპირ რომ ვთქვათ, ის მეტად მოკრძალებულია. მწარმოებელს შეუძლია შეანაბრეს მხოლოდ ერთ რამეს — დივიდენდს დაპირდეს. ეს კი მომავალი შემოსავალია, რომელიც სინამდვილეში ჭერ არ არსებობს.

ახლა შევხედოთ სიტუაციას დანაზოგის მფლობელის თვალსაზრისით, რომელსაც ველოსიპედის ქარხნის აქციების ჯიღვის გარდა ფულის მომგებიანი გამოყენების კიდევ მრავალი სხვა ვარიანტი გააჩნია. ამ სუბიექტისათვის დივიდენდი შესაძლო მომავალია, ბანკის სარგებელი კი რეალური აწმყო. და რადგან ასეა, მაშინ სარგებლის განაკვეთის ზრდის პირობებში ის უმალ ბანკში დააბანდებს დანაზოგს, ვიდრე საფონდო ბირჟაზე. მაშინ არ არის გამორიცხული აქციებზე მოთხოვნის დაცემა, რამაც მიწოდების ზრდასთან ერთად, შეიძლება კურსის დაცემა გამოიწვიოს. ეს უარყოფითად იმოქმედებს ინვესტიციური მოთხოვნის სიდილეზე. მოკეპული შეფარდება (რაც მაღალია სარგებელი, მით დაბალია აქციების კურსი და პირიქით) ფუნდამენტური ხასიათისაა, და როგორც ჭკემოთ იჭნება ნაჩვენები, იგი ფულის ბაზრის მექანიზმს უღვეს საფუძვლად.

თუმცა შესაძლებელია, რომ დროთა განმავლობაში მდგომარეობა ძირეულად შეიცვალოს. თუ აქციების კურსი ძლიერ დაეცემა, დანაზოგის მსურველებს, ალბათ, გაუზრდებათ მათი შექმნის ინტერესი. დანაზოგი გადაინაცვლებს საფონდო ბირჟაზე, რაც ხელს უწყობს აქციების კურსის ზრდას და სარგებლის ნორმის დაცემას. მაგრამ ეს მოგვიანებით მოხდება, მხოლოდ იმის შემდეგ, როცა აქციების კურსი რეალურად დაეცემა. რაც შეეხება მიმდინარე მოკლევადიან პერსპექტივას, სარგებლის განაკვეთის ყოველ ზრდას (შემცირებას) თან სდევს აქციების კურსის დაცემა (ამაღლება).

ამრიგად, ჩვენ საკმაო საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ ავხსნათ ინვესტიციური მოთხოვნის დინამიკის // დამოკიდებულება სარგებლის დონის // ცვლილებასთან: თუ იზრდება სარგებელი კაპიტალდაბანდების დაფინანსების ნებისმიერი ვარიანტისას, მისი სიდიდე დაეცემა, და პირიქით. ინვესტიციური მოთხოვნის მრუდი გამოსახულია 3.1 ნახაზზე.




ნახ. 3.1

მნიშვნელოვან გარემოებას. როგორც მსოფლიო ეკონომიკურ ლიტერატურაშია დასაბუთებული, შემოსავალსა და დანაზოგს შორის კავშირი არის არა პირდაპირპროპორციული. არამედ არაწრფივი. ამ დამოკიდებულების ეკონომიკური აზრი ისაა, რომ მომხმარებელთა შემოსავლის ზრდის კვალობაზე მათ მფლობელებს სულ უფრო მეტი მიდრეკილება აქვთ დანაზოგისაკენ და ნაკლები - მიმდინარე მოხმარებისაკენ. დაუშვათ, როცა ადამიანი გამოიმუშავებს 300 მანეთს, გადანიხავს, ვთქვათ, 30 მანეთს (დანაზოგის ნორმა 10%-ია). თუკი შემოსავალი გაიზრდება 900 მანეთამდე, მაშინ, როგორც წესი, ეს ნორმა უცვლელი არ დარჩება. მდიდარი მომხმარებელი მას გაზრდის და დაზოგავს უკვე შემოსავლის არა 10%-ს (90მან.), არამედ ბევრად მეტს. შემოსავალზე დანაზოგის დამოკიდებულება ილუსტრირებულია 3.2 ნახაზზე (S - დანაზოგი, Y - შემოსავალი).

ახლა, როცა უკვე ვიცით მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციები, შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ წონასწორობის პირობები, ვივარაუდოთ, რომ ფულის ბაზარზე წარმოიქმნა გარკვეული სარგებლის განაკვეთი  $r_m$ . მაშინ

წონასწორობის მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილია, მეორე დანაზოგის მიწოდებაა. დანაზოგის ფუნქციის განსაზღვრა შედარებით მარტივა. ცხადია, რომ ყოველი შემოსავალი დარჩენილი გადასახადების გადახდის შემდეგ ორ ნაწილად იყოფა მიმდინარე მოთხოვნად და დანაზოგად. ასე რომ, ისინი ერთობლივი შემოსავლის სიდიდეებთან განსაზღვრულ დამოკიდებულებაში ექცევიან.

აღენიშნათ მხოლოდ ერთ



ნახ. 3.2

საქონლის ბაზრებთან დამოკიდებულებაში ის შეიძლება გარეგნულ ფაქტორად ჩავთვალოთ, რომლის სიდიდეც წინასწარაა ცნობილი. სარგებლის ასეთი ნორმის პირობებში მწარმოებლები მზად იქნებიან, წამოაყენონ  $I_m$  მოცულობის ინვესტიციური მოთხოვნა. მისი სრული დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია  $S_m$  სიდიდის დანაზოგის მიწოდება, რაც შეესაბამება  $Y_m$  შემოსავალს.


საქონლის ბაზრების წონასწორობა აღნიშნულია M წერტილით, როცა

$$I_m = S_m \quad (3.1)$$

მაგალითად, სხვა, უფრო დაბალი სარგებლის დონის პირობებში ინვესტიციური მოთხოვნა  $I_n$ -მდე გაიზრდება. ამ შემთხვევაში საქონლის ბაზრების წონასწორობას ასახავს N წერტილი, რომელსაც ერთობლივი შემოსავლისას უპასუხებს  $S_n$  დანაზოგის მიწოდება.

ამრიგად, ჩვენ გვაქვს უკვე ორი წერტილი /M და N/, ამასთან თითოეული მათგანის მიღმა საქონლის ბაზრების წონასწორობის გარკვეული მდგომარეობაა. ასეთი წერტილები შეიძლება საკმაოდ მრავალი იყოს: მათი რაოდენობა დამოკიდებულია სარგებლის მნიშვნელობისა და ერთობლივი შემოსავლის დიაპაზონებზე. თუ ამ დიაპაზონის საზღვრების თუნდაც ძალზე ზოგად განსაზღვრას შევეცდებით, აღმოჩნდება, რომ არც  $r$ -მა და არც  $Y$ -მა არ უნდა მიიღოს უარყოფითი ან ნულოვანი მნიშვნელობა; ამასთან, სარგებელი არასოდეს არ ეცემა მინიმალური ზღვრული ნიშნულს ქვეით და ა. შ. ლერქებზე  $r$  და  $Y$  კოორდინატების გადაზომვა და წონასწორობის ყველა წერტილის უწყვეტი ხაზით შეერთება მოგვცემს საქონლის ბაზრის წონასწორობის მრუდს /ნახ. 3. 3/. მას ჩვენ კიდევ დაეუბრუნდებით, როცა განვიხილავთ საქონლისა და ფულადი ბაზრის ურთიერთდამოკიდებულებას, აღწერთ მათ ერთობლივ წონასწორობას.

ზემოთ მოტანილი მსჯელობა თითქოს ძალზე აბსტრაქტულია, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნული შთაბეჭდილებაა. სინამდვილეში მას დიდი პრაქტიკული აზრი აქვს.



ნახ. 3.3

პირველ ყოვლისა, აღნიშნავთ რომ საქონლის ბაზრების მაკროეკონომიკური წონასწორობა მეტად მერყევი მწარმოებლები როცა აფლობებენ ინვესტიციურ მოთხოვნას მხედველობაში ის მოსალოდნელი მოგების ნორმა აქვთ, რომლის მიღებასაც ისინი მომავალში ფიქრობენ, მაშინ როდესაც ერთობლივი დანაზოგი სრულიად სხვა გარემოებით განისაზღვრება. ფულადი შემოსავლების მფლობელები ვერძნობან თუანთ შემოსავლებს, თანაც იმას, რაც

იყო წინათ, ან არის ამჟამად და დღეს მათ მოხმარებად და დანაზოგად ყოფენ. ამიტომ ისინი დაინტერესებული არიან გაიგონ, თუ რა ღირს სამომხმარებლო საქონელი და მომსახურება და ა. შ. ამიტომ, საერთოდ არ არის განსაკუთრებული გულდაჩვრებულობა იმის შესახებ, რომ ეკონომიკაში აუცილებლად მოხდება ბედნიერი შემთხვევა და ინვესტიციები გაუტოლდება დანაზოგებს. მათ დაუმთხვევლობას კი შეიძლება მოჰყვეს დიდი სამეურნეო უსიამოვნება. მაგალითად, თუ სარგებლისა და შემოსავლის მოცემული დონის პირობებში დანაზოგის მიწოდება ჩამორჩება საინვესტიციო მოთხოვნას, მაშინ შეიძლება ეკონომიკისათვის სულ მცირე ორი საშიში ეფექტი წარმოიშვას. ერთი მხრივ, იზღუდება კაპიტალდაბანდებების მოცულობა და, მაშასადამე, წარმოებისა და მიწოდების გაფართოების პერსპექტივები; მეორე მხრივ, რაც უფრო ნაკლებია დანაზოგი, მით მეტია მიმდინარე მოთხოვნა. ცხადია, ერთად შეერთებული ორივე ეფექტი გაძლიერებულ ზეწოლას ახდენს ფასების ზრდაზე, იწვევს საქონლის ბაზრების დეზორგანიზაციას, ინფლაციური პროცესების გაღრმავებას.

შესაძლებელია მოვლენათა ისეთი განვითარებაც, როცა დანაზოგის მიწოდება გადააჭარბებს ინვესტიციურ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში არ არის გამორიცხული დაბალი მიმდინარე მოთხოვნისა და კაპიტალდაბანდებების მძლავრი ნაკადის კომბინაცია, წარმოებისა და მიწოდების სწრაფი გაფართოება. ამას კი შეიძლება მოჰყვეს ფასების შემცირება, მრეწველობის დაკემა, უმუშევრობის ზრდა.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისეთ სიტუაციაში, როცა ერთობლივი ინვესტიციები და დანაზოგები მოცულობის მიხედვით გაწონასწორებული არიან, ისინი ჭერ იმ მწარმოებლების ხელში უნდა მოხვდნენ, რომლებიც მათ საჭიროებენ. თუმცა ასე ყოველთვის არ ხდება. იმ გზას, რომელზეც დანაზოგი მოძრაობს, ძლიერ მაღალი სარგებლის განაკვეთები გადალობავენ ხოლმე, რის გამოც მრავალი მეწარმისათვის კრედიტი ხელმიუწვდომელია, ასევე, სახელმწიფო, რომელიც დანაზოგს თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იზიდავს, და ამით ხელს უშლის მის გადაქცევას ინვესტიციებად, და სხვა გარემოებანი.

რა დასკვნების გამოტანა შეიძლება აქედან? პირველი, არსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ საბაზრო მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს მყარ შესაბამისობას ინვესტიციურ მოთხოვნასა და დანაზოგის მიწოდებას შორის, რომლის შენარჩუნების გარეშე, როგორც ჩვენ დაერწმუნდით, საბაზრო სისტემას ფუნქციონირება არ შეუძლია. გამოდის, რომ ამ პრობლემის გადაჭრა მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას. კერძოდ, ლაპარაკია მისი სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ, რომლის აუცილებლობა აღნიშნული იყო ციკლის მეორე ლექციაში.

ასეთი პოლიტიკა სხვადასხვა ფორმით ტარდება. დავუშვათ, როცა იგრძნობა მიმდინარე მოთხოვნის მოკარბება, დანაზოგის უქმარისობა ან კრედიტის მეტისმეტი სიძვირე, სახელმწიფომ, ინფლაციური გადახრების თავიდან აცილების მიზნით, შეიძლება თვითონ ითავოს საქონლისა და მომსახურების მიწოდების სტიმულირება. ერთდროულად იგი იყენებს ანტიინფლაციური რეგულირების მთელ კომპლექსს. თუ ეკონომიკაში დანაზოგის მეტად მაღალი დონე შეიმჩნევა, ხოლო მიმდინარე მოთხოვნის სიდიდე აშკარად არასაკმარისია, სახელმწიფო საწინააღმდეგო მიმართულებით წარმართავს რეგულირებას, შეეცდება, არ დაუშვას წარმოების შემცირება. ყველა შემთხვევაში მისი პოლიტიკა იმგვარად აეწყობა, რომ დაეხმაროს საბაზრო ძალებს ინვესტიციური მოთხოვნისა და დანაზოგის მიწოდების გაწონასწორებაში;

მეორე, თანამედროვე საბაზრო მეურნეობა საჭიროებს დანაზოგების აკუმულაციის განვითარებულ სისტემას. ასეთი სისტემის ბირთვია ბანკები და საფონდო ბირჟები, რომელთა შესახებაც მომდევნო ლექციაში გვექნება საუბარი. აღნიშნავთ მხოლოდ შემდეგს: ამ სისტემამ რაც შეიძლება მეტი დანაზოგი უნდა შეიწოვოს, ამათგან მინიმუმამდე დაიყვანოს ის, რაც ფულადი შემოსავლების მფლობელთა ჯიბებში რჩება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჭიროა დანაზოგების ისეთი ორგანიზაცია, რომლის დროსაც იგი ყოველთვის ხელმისაწვდომი იქნება პოტენციური ინვესტირებისათვის და ადვილად იქცევა კაპიტალდაბანდებად;

მესამე, საქონლის ბაზრების მაკროეკონომიკური წონასწორობის შენარჩუნება შეუძლებელია სახელმწიფოს გერგილიანი ფულადი პოლიტიკის გარეშე. კერძოდ, სახელმწიფომ არ უნდა დაუშვას მაღალი სარგებლის განაკვეთების ხანგრძლივი არსებობა, როცა ისინი ინვესტიციებსა და დანაზოგებს შორის გადაულახავ ბარიერებად იქცევიან და არ აძლევს მათ წარმოების სფეროში შექრის საშუალებას. ფულის მიმოქცევის დარგში სახელმწიფოს სარგებლიანობის ანალიზამდეც კი, დადგენილია, რომ მას მოეთხოვება დახვეწილი, შეიძლება ითქვას ვირტუოზული მუშაობა. სარგებლის განაკვეთებზე ზემოქმედების არაპირდაპირი ხერხების გამოყენებისას მან ასევე უნდა იზრუნოს იმაზეც, რომ არ მოხდეს ფულის ბაზარზე მიმდინარე პროცესების დეფორმირება;

მეოთხე, საქონლის ბაზარზე წონასწორობის დამყარებას ძლიერ უშლის ხელს ინფლაცია. მის მიერ წარმოშობილი ნეგატიური ეფექტების (ისინი განხილული იქნება ცალკე ლექციაში) მთელი ერთობლიობიდან აღნიშნავთ მხოლოდ ერთს: ინფლაციური გარემო ჩვეულებრივ იწვევს ცვლილებებს ფულის მფლობელთა არჩევანში, კერძოდ, დანაზოგის საზიანოდ სტიმულს აძლევს მიმდინარე მოთხოვნას. ვინაიდან ამის შედეგად იზრდება ფასები, შემოსავლის მფლობელები კიდევ უფრო მეტის დახარჯვასა და ნაყლების დაზოგვას ცდილობენ, რაც ფასების ზრდის ახალ ხვეულას წარმოშობს და ა. შ. როგორც ჩანს, აღნიშნულ ინფლაციურ მექანიზმს თვითკვლავწარმოების ტენდენცია აქვს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ განუსაზღვრელი ვადით ქიანურდება საქონლის ბაზრების წონასწორობის მიღწევა. ამიტომ სახელმწიფოს ყოველგვარ საქმიანობაში, რომელიც ინფლაციის აღმოფხვრისაკენაა მიმართული, შეიძლება საბაზრო სისტემის განმტკიცების, საქონლის ბაზრების ნორმალური ფუნქციონირების ხელშემწყობი ღონისძიებები დაეინახოს.

მეხუთე, აუცილებელია აღიკვეთოს, ან მნიშვნელოვნად შემცირდეს დანაზოგის არაწარმოებრივი ხარჯვა. როცა, მაგალითად, ბიუჯეტის დეფიციტი არსებობს, სახელმწიფო მის დასაფარავად სესხებს იღებს. მაგრამ ის, რომ ფულს იმათგან იღებს, ვინც დანაზოგს ფლობს და, მაშასადამე, მას მომავალ ინვესტორებს ართმევს, გამოდის, რომ თუ სახელმწიფო ხელგაშლილად ცხოვრობს, დასაშვებზე უფრო მეტს ხარჯავს, გარდაუვალია საქონლის ბაზრების უწონასწორობა, ეკონომიკის მზარდი დაჩქარებული განვითარების შენელება. კრიტიკულ სიტუაციებში წარმოიქმნება ბიუჯეტის უზომოდ დიდი დეფიციტი, მოსალოდნელია თვით ეკონომიკური ზრდის შეწყვეტაც.

როგორც ვიცი, საქონლის ბაზრები მუშაობენ არა დამოუკიდებლად,



არამედ საბაზრო სისტემის სხვა ელემენტებთან კონტაქტში. აქედან ერთ-ერთი მათგანია ფულის ბაზარი, რომელიც საქონლის ბაზართან, პირველ ყოვლისა, სარგებლის განაკვეთითაა დაკავშირებული.

ამ ბაზრის მექანიზმის გასარკვევად საჭიროა ფულის მიწოდებისა და მასზე მოთხოვნის ცალ-ცალკე განხილვა. სანამ ჭერ კიდევ არ შევხებივართ რეალურ ფულად პოლიტიკას, ფულის მიწოდების ახსნა შედარებით იოლია. სახელმწიფო მის ორგანიზაციას საბაზრო ეკონომიკაში ჩვენთვის უკვე ცნობილი ფუნქციების შესრულებით ახორციელებს. ამას აკეთებს ცენტრალური ბანკი - როგორც ფულადი ემისიის გზით, ასევე სხვა ბანკების მართვითა და ოპერაციებით საფონდო ბირჟაზე.

ბევრად უფრო რთულია ფულზე მოთხოვნის განსაზღვრა. ჭერჭერობით მხოლოდ მისი ის ნაწილია გამოკვეთილი, რაც სავაჭრო და საგადასახადო ოპერაციების მომსახურებასთან არის დაკავშირებული. სინამდვილეში, ეკონომიკური სისტემის ყველა მონაწილეს უნდა ჰქონდეს ფულის განსაზღვრული რაოდენობა, რათა ერთმანეთისაგან იყიდონ საქონელი, მომსახურება და წარმოების ფაქტორები. ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ასეთ ფრაგმენტს ჩვეულებრივ ოპერაციულს უწოდებენ. მასში ასევე შედის ფულის ის გარკვეული რეზერვი, რომლის დახმარებითაც მწარმოებლები და მომხმარებლები ცდილობენ როგორმე უზრუნველყონ თავიანთი უსაფრთხოება საბაზრო კონიუნქტურის ცვალებადობისაგან.

რაზეა დამოკიდებული ფულზე ოპერაციული მოთხოვნა? პირველ რიგში იგი იმითაა განპირობებული, თუ საქონლის, მომსახურებისა და წარმოების ფაქტორების რა რაოდენობაა ბაზარზე და რა ფასში იყიდება ისინი. გასაგებია, რომ საყიდლების მასა ერთობლივი შემოსავლის სიდიდესთანაა დაკავშირებული. ოპერაციული მოთხოვნის განმსაზღვრელი ბოლო ფაქტორია ბრუნვის სიჩქარე. ფულზე ოპერაციული მოთხოვნის ფუნქციის ხასიათი შეიძლება შემდეგნაირად აღწერათ: რაც უფრო მაღალია ერთობლივი შემოსავალი და ფასი, რაც უფრო დაბალია ბრუნვის სიჩქარე, მით უფრო მეტი ფულია საჭირო საქონლის, მომსახურების და წარმოების ფაქტორების გადაადგილების უზრუნველსაყოფად.\* თუ  $M^d$  ფულზე ოპერაციული მოთხოვნაა,  $P$  - ფასების ზრდის ტემპი,

---

\* ადვილად დაერწმუნდებით, რომ ფულზე მოთხოვნის ამგვარი გავება ნაკლებად განსხვავდება კ. მარტის მიერ ფორმირებული მიმოკვებისათვის საჭირო ფულის რაოდენობის კანონისაგან, რომელიც შეიძლება პოლიტეკონომიის ყველა სახელმძღვანელოში მოვეხებნოთ. ამ კონტექსტში, გარკვეული აზრით, მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერება მარტისტულად შეიძლება ჩათვალოს.

Y - ერთობლივი შემოსავლის მოცულობა, h - ფულის ბრუნვის სიჩქარე, მაშინ:

$$m'_p = \frac{1}{h} pY \quad /3.2/$$

მაგრამ ცხადია, რომ ფულადი შემოსავლების ნაწილი იზოგება. ამასთან, რაც პრინციპულად მნიშვნელოვანია, ეკონომიკური სისტემის მონაწილეებს თავიანთი დანაზოგის ამა თუ იმ ფორმის შერჩევის საკმაო თავისუფლება გააჩნიათ. მათ შეუძლიათ დააგროვონ იგი ნაღდი ფულის სახით (ლიკვიდური სახსრები), დააბანდონ ფასიან ქალაქებში (აქციები, ობლიგაციები და სხვ.), შეიძინონ მატერიალური ფასეულობა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მოხმარებისათვის. შევნიშნავთ, რომ დანაზოგის ეს ბოლო ფორმა ყველაზე ხშირად ინფლაციური ეკონომიკის პირობებში გვხვდება, რაც მოქალაქეების უნდობლობას არა მარტო ფულის მსყიდველობითი უნარისადმი, არამედ თვით საბაზრო მეურნეობის ინსტიტუტებისადმი - ბანკებისადმი, ბირჟებისადმი და სხვათა მიმართ გამოხატავს. გამორიცხული არ არის დანაზოგის ისეთი ვარიანტიც, როგორცაა რენტის მიღების მიზნით უძრავი ქონების ყიდვა (დაევშვით სახლის ან მიწის ნაკვეთის).

დანაზოგის განთავსების ყველ წესს თავის პლუსები და მინუსები აქვს, რომლებიც გაელენას ახდენენ საბაზრო ეკონომიკის სუბიექტების არჩევანზე. მათი მსჯელობით, ლიკვიდურ ფორმას თუმცა დივიდენდი არ მოაქვს (ისე როგორც ფასიანი ქალაქების შემთხვევაში), მაგრამ მინც უფრო საიმედოა, თუნდაც იმიტომ, რომ ფული, როგორც იტყვიან, ისე მის მფლობელთან რჩება. ის უფრო ნაკლები არაფრით არ გახდება, ხოლო ბირჟაზე თამაშს შეიძლება როგორც გამოიდრება, ისე გაკოტრება მოჰყვეს. სახელმწიფო ობლიგაციების ყიდვა მუდმივ, მყარ დივიდენდს იძლევა, მაშინ როდესაც აქციების შექენა - ალბათ გაცილებით მეტი შემოსავლის გარანტიას. თუმცა სუბიექტებს ეშინიათ, რომ მათი კურსის დაცემის შემთხვევაში შეიძლება არაფერი დარჩეთ.

ამრიგად, გამოდის, რომ მწარმოებლებიც და მომხმარებლებიც კიდევ ერთ მოთხოვნას წარმოადგენენ ფულზე, რომელიც არაფრით არ არის დაკავშირებული საქონლის მასის გადაადგილებასთან. ის განპირობებულია დანაზოგის განაწილებით, კერძოდ იმით, თუ მის რა ნაწილს იტოვებენ სუბიექტები ნაღდი ფულის სახით და რამდენს ხარჯავენ, პირველ ყოვლისა, ფასიანი ქალაქების შესაქენად. ფულის ასეთი მოთხოვნა, შეიძლება ითქვას, სპეკულაციურ ხასიათს ატარებს, რადგან საქონლისა და წარმოების ფაქტორების ყიდვისადმი მისწრაფებას კი არ ასახავს, არამედ დანაზოგის უფრო ხელსაყრელი განთავსების სურვილს.

რით ხელმძღვანელობს სუბიექტი დანაზოგის გამოყოფისას, როცა მისი არსებობის უფრო ეფექტიანი ფორმის მოძებნას ცდილობს? იგი უპირველეს მნიშვნელობას სარგებლის განაკვეთის მერყობას ანიჭებს, რადგან შესანიშნავად ესმის, რომ მასთან განუყოფლად დაკავშირებული ცვლილებები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. თუ დაეუშვებთ, რომ სარგებლის განაკვეთები მაღალია, მაშინ იგი იმაზე მეტყველებს, რომ ფასიანი ქაღალდები შედარებით იაფია. დანაზოგის მესაყუთრე ცდილობს ისარგებლოს ხელსაყრელი მდგომარეობით და ყიდულობს მათ. გასაგებია, რომ თუ დანაზოგის მოცულობა მუდმივი რჩება, ასეთი მოქმედებები ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის შემცირების თანაბარმნიშვნელოვანია.


აგიღოთ საპირისპირო სიტუაცია, როცა სარგებლის განაკვეთები დაბალია. დანაზოგის მფლობელი ამაში ხედავს სიგნალს, რომელიც ფასიანი ქაღალდების სიძვირზე მიანიშნებს. ის თავს შეიკავებს საფონდო ბირჟის დალაშქრისაგან და უპირატესობას ლიკვიდურობას მისცემს. შესაბამისად გაიზრდება სპეკულაციური მოთხოვნა ფულზე.

მთლიანობაში გამოვლინდება ფულზე სპეკულაციური მოთხოვნის გარკვეული ფუნქციური დამოკიდებულება სარგებლის განაკვეთების მოძრაობასთან: რაც უფრო მაღალია განაკვეთები, მით უფრო დაბალია მოთხოვნა და პირიქით. ახლა ჩვენ გვაქვს ყველაფერი იმისათვის, რომ ჩამოაყალიბოთ ფულზე ერთობლივი მოთხოვნის ფუნქცია. თუ  $r$  - სარგებლის განაკვეთის დონეა, მაშინ

$$m_d = \frac{1}{h} pY + L(r). \quad /3.3/$$

ფულზე მოთხოვნის გრაფიკული გამოსახულება მოცემულია 3.4 ნახაზზე.

ფულზე მოთხოვნის მრული მცირე კომენტარს საჭიროებს. აღენიშნავთ,




ნახ. 3.4

რომ იგი არ შეეხება ლერძ  $r$ -ს, რადგან შეგახსენებთ, ფულზე მოთხოვნის ერთი ნაწილი არაა დაკავშირებული სარგებლის სიდიდესთან, იმის გამო, რომ განისაზღვრება შემოსავლისა და ფასების დონით, ასევე ფულის ბრუნვის სიჩქარით. სარგებლის ნორმა არასოდეს არ დაეცემა  $r_0$  ზღვრული მინიმალური ნიშნულას ქვევით, ამიტომ ფულზე მოთხოვნის მრული ასიმპტოტურად უახლოვდება  $r=r_0$ -ს წრფეს.

ჩვენთვის უკვე ცნობილია ფულზე მოთხოვნის ფუნქცია. დაეუშვათ, იქ, სადაც ფულის მიწოდება ყალიბდება, მთლიანად ბატონობს სახელმწიფო, რომელიც მის სიდიდეს ისეთნაირად აწესებს, როგორც საჭიროდ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, განსახილველი ბაზრის წონასწორობის პირობა შეიძლება ფულის მიწოდება  $m_s$  და მასზე მოთხოვნის ტოლობის სახით განისაზღვროს:

$$m_s = m_d = \frac{1}{h} pY + L(r). \quad /3.4/$$

თუ ფულზე მოთხოვნას  $m_d$  მრუდი ასახავს, ხოლო ფულის მიწოდებას -  $m_s$  წრფე, მაშინ ფულის ბაზრის წონასწორობა მიიღწევა  $G$  წერტილში, რომელიც შეესაბამება  $r_g$  სარგებლის ნორმას (ნახ. 3. 5) გავეანალიზოთ ფულის ბაზრის მექანიზმი. დაეუშვათ, სარგებლის ნორმა წონასწორობის დონეს



ნახ. 3.5

სკარბობს და  $r_1$  სიდიდეს შეადგენს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფულზე საკუთლაციური მოთხოვნა მცირდება, რადგან დანაზოგის მფლობელები მას ფასიანი ქაღალდების შესაძენად წარმართავენ. ამ უკანასკნელზე გაიზრდება მოთხოვნა და კვალდაკვალ მათი ფასებიც, რაც სარგებლის ნორმაში აისახება. ეს უკანასკნელი წონასწორობის ნიშნულამდე მცირდება. პირიქით, როცა

სარგებლის განაკვეთი უფრო ნაკლები მნიშვნელობის აღმოჩნდება, ვიდრე წონასწორობისათვისაა დამახასიათებელი, შემცირდება იმათი რაოდენობა, ვისაც სურთ თავიანთი დანაზოგის დაბანდება. დანაზოგის მფლობელნი უფრო მეტ უპირატესობას ლიკვიდურობას მისცემენ, რადგან აცნობიერებენ, რომ დაბალი სარგებელი აქციების მაღალი ფასის ტოლია. მათზე მოთხოვნა დაეცემა, რაც კურსის დაცემას გამოიწვევს. ეს აისახება სარგებლის განაკვეთებში, რომლებიც წონასწორობის დონისკენ აიწევენ. ასე მუშაობს ფულის თავისუფალი ბაზარი.

ცნობილია, რომ სინამდვილეში ასეთი იდეალური მექანიზმი არ არსებობს. საბაზრო პროცესების დამახინჯება ხდება, სახელდობრ, ინფლაციის გამო. როგორც ადვილი მისახვედრია, მის პირველ მსხვერპლს სწორედ ფულის ბაზარი წარმოადგენს. ამიტომ ჩვენს წარმოდგენაში მისი წონასწორობის შესახებ საჭიროა შევიტანოთ პირველი კორექტივები.

მიემართოთ /3.3/ განტოლებას. ცხადია, მასში წარმოდგენილი ფულზე მოთხოვნა განუყრელ კავშირშია ფასების დინამიკასთან. ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკაში ბობოქრობს ინფლაცია, რომელიც ფასების სწრაფ ზრდაში აისახება. საქონლის ბაზრების განხილვისას ჩვენ ვნახეთ, რომ ინფლაციას შეუძლია შეანელოს ეკონომიკის განვითარება, ხოლო ზოგჯერ მთლიანად შეაჩეროს კიდევ იგი. თუკი /3.3/ ფორმულიდან გამოვალთ, მაშინ საესებით მოსალოდნელია, რომ ეკონომიკისათვის უაღრესად არასასურველი ინფლაციის მაღალი დონისა /P/ და გაყიდვისა და შემოსავლის ზრდის დაბალი მაჩვენებლის /Y/ შერწყმა შეიძლება ფულზე მოთხოვნის გადიდებით გამოისატოს. საჭიროა მხოლოდ, რომ ფასების ზრდამ შემოსავლის შემცირება დაფაროს, რაც არც თუ ისე იშვიათია პრაქტიკაში.

მაგრამ თუ /3.4/ გამოსახულებით ვიმსჯელებთ, სწორედ მოთხოვნის სიდიდე არის სახელმწიფოს ორიენტირი, რომელიც ცდილობს, მიუსადაგოს მას მიწოდება და ამგვარად გააწონასწოროს ფულის ბაზარი. გამოდის, რომ /3.4/ წონასწორობის პირობებზე დაყრდნობით, სახელმწიფო მხოლოდ ფულით მოამარაგებს აშკარად ინფლაციურ ეკონომიკას, ინფლაციის პროცესს არასაჭირო სიმყარეს მინიჭებს, ცეცხლზე ნავთს დაასხამს. აქედან შეიძლება შემდეგი დასკვნა გავაკეთოთ: /3.3/ და /3.4/ განტოლებები, რომლებიც გამოსადეგია თავისუფალი ფულის ბაზრის აღსაწერად და ფასების ასეთივე თავისუფალ მერყობაზე ახდენს რეაგირებას, სახელმწიფოს მცდარ სიგნალებს აძლევს, როცა იგი ინფლაციით დასწეულ ეკონომიკაში მოქმედებს. იმისათვის, რომ წარმოდგენა ვიჭონიოთ ნორმალურ, არაინფლაციურ ფულის ბაზარზე, რომელიც სახელმწიფოს ფულადი პოლიტიკის ნამდვილი ორიენტირია, მითითებული ფორმულები უნდა გარდაიქმნან, ისინი უნდა გავათავისუფლოთ ფასების გავლენისაგან. /3.3/ და /3.4/ განტოლებები გავყოთ P-ზე, მივიღებთ:

$$\frac{m_d}{p} = \frac{1}{h} Y + \frac{L(r)}{p} \quad /3.5/$$

$$\frac{m_s}{p} = \frac{m_d}{p} = \frac{1}{h} Y + \frac{L(r)}{p} \quad /3.6/$$

აქ საჭიროა კიდევ ერთი დაზუსტება შევიტანოთ. აქამდე ჩვენ ვუშვებდით, რომ ფულზე ოპერაციული და სპეკულაციური მოთხოვნა, ასე ერთგვარ, ნულიდან წალიბდება. მაგრამ სინამდვილეში, რა თქმა უნდა,

ასე არაა. დროის ყოველ მომენტში ეკონომიკური სისტემის მონაწილეებს უკვე გააჩნიათ ფულის განსაზღვრული მასა, ხოლო ფასები, შემოსავალი, ბრუნვის სიჩქარე, სარგებელი არსებითად მხოლოდ მის ცვლილებებზე ახდენს გავლენას. სამართლიანობა მოითხოვს მივუთითოთ, რომ ასეთი დამატება პრინციპში არ ცვლის არც ფულზე მოთხოვნის მრუდის ხასიათს, არც ფულის ბაზრის წონასწორობის პირობების მნიშვნელობას. თუ ფულის მასის არსებულ მოცულობას აღვნიშნავთ  $M_0$ -ით /3.5/ და განტოლებას უფრო ზოგად ფორმას მივცემთ, გამოვაყალიბებთ ფულის წონასწორობის ახალ პირობებს:

$$\frac{m}{p} = \frac{m_d}{p} = L(y, r, \frac{m_d}{p}) \quad /3.7/$$

ახლა გავანალიზოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ფულის ბაზარზე მოთხოვნისა და მიწოდების ცვლილებების შემთხვევაში.


დავიწყოთ მოთხოვნით. თუ ვივარაუდებთ, რომ ფულის მიწოდების სიდიდე მუდმივია, სიტუაცია ბაზარზე მოთხოვნის დინამიკაზე გახდება დამოკიდებული. უკანასკნელი ერთობლივი შემოსავლის მოძრაობით განისაზღვრება, თანაც ეს არა მარტო მის ოპერაციულ შემადგენელს ეხება, არამედ, მეორე, სპეულაციურ ნაწილსაც. საქმე ისაა, რომ თუმცა ლიკვიდურობისათვის უპირატესობის მინიჭება ძველებურად სარგებლით რეგულირდება, მაგრამ შემოსავლის ზრდის ან შემცირების კვალობაზე იზრდება ან მცირდება დანაზოგის საერთო ჯამი და, მაშასადამე, ფულზე სპეულაციური მოთხოვნის მოცულობაც.

მოვიტანოთ მაგალითი. დავუშვათ, 500 მანეთის ოდენობის შემოსავლიდან იზოგება 200 მანეთი. არსებული სარგებლის განაკვეთის შესაბამისად, შემოსავლის მფლობელი ამ თანხას შემდეგნაირად ანაწილებს: 100 მანეთს აბანდება ფასიან ქალაქებში, 100 მანეთს – ფულზე სპეულაციურ მოთხოვნაში. ვთქვათ, შემოსავალი გაიზარდა და შეადგინა 1000 მანეთი. მაშინ, თუ დანაზოგის მრუდის ხასიათს მივიღებთ მხედველობაში /იხ.ნახ.3.2/, შეიძლება ველოდოთ, რომ მისი რაოდენობა გაიზრდება, ვთქვათ, 500 მანეთამდე. ცხადია, ამის კვალდაკვალ გაიზრდება სპეულაციური მოთხოვნაც, რომელმაც შესაძლებელია 250 მანეთს მიაღწიოს.

ამრიგად, ერთობლივი შემოსავლის ზრდის შემთხვევაში ფულზე საერთო მოთხოვნას უკვე ახალი მრუდი  $M'_d$  ასახავს, რომელიც გაივლის  $M_d$  ძველი მრუდის მარჯვნივ და ზევით /3.6/. ფულის უცვლელი მიწოდებისას განსახილველი ბაზრის წონასწორობას ახლა  $K$  წერტილი

წარმოადგენს, რომელსაც შეესაბამება სარგებლის უფრო მაღალი ნორმა  $r_k$


როგორც ჩანს, თავდაპირველად ფულის ბაზრის წონასწორობას გამოხატავდა  $G$  წერტილი შემდეგ -  $K$  ამასთან მოძრაობა  $G$ -დან  $K$ -მდე მიმდინარეობდა სარგებლისა და შემოსავლის ცვლილებებთან ერთად. ამ შემთხვევაში ჩვენ სწორედ ისე შეგვიძლია მოვიქცეთ, როგორც საქონლის ბაზრების ანალიზისას. სახელდობრ,  $G$  და  $K$  წერტილების უწყვეტი ხაზით შეერთება მოგვცემს ფულის



ნახ. 3.6

წონასწორობის მრუდს (ნახ.3.7).

3.7 ნახაზზე LM მრუდი წერტილების გეომეტრიული ადგილია, რომელთაგან თითოეული მათგანი ფულის ბაზრის წონასწორობის განმსაზღვრელ მდგომარეობას წარმოადგენს.  $ab$  პორიზონტალური მონაკვეთი ასახავს იმ გარემოებას, რომ  $r_0$  მინიმალური სარგებლის განაკვეთის ქვევით მის საბაზრო მნიშვნელობებს დაშვება არ შეუძლიათ. მაშასადამე, იქ,




ნახ. 3.7

$r_0$ -ს ქვევით გამოირიცხულია ფულის ბაზრის ყოველგვარი წონასწორობა. განსხვავებული ეკონომიკური მნიშვნელობა აქვთ  $cd$  მონაკვეთის გასწვრივ განლაგებულ წერტილებს. ისინი სარგებლის ისეთ მაღალ დონეს წარმოადგენენ, რომლის დროსაც ფულზე სპეკულაციური მოთხოვნა მიუახლოვდება ნულს. ასეთ სიტუაციაში დანაზოგის მფლობელები ამჟობინებენ, ფული ფასიანი ქაღალდების სახით იჭონიონ.

ახლა კი საჭიროა გავიხსენოთ ჩვენი მსჯელობა საქონლის ბაზრების წონასწორობისა და შესაბამისად 3.3 ნახაზზე მოტანილი მრუდის შესახებ. თუ მას შევადარებთ იმას, რაც 3.7 ნახაზზეა გამოხატული, მაშინ ადვილად შევნიშნავთ: IS საქონლის ბაზრის წონასწორობის მრუდიც და LM

ფულის ბაზრის წონასწორობის მრუდიც ერთსა და იმავე კოორდინატებშია მოქცეული და სარგებლის /I/ და შემოსავლის /Y/ ცვალებადობაზეა დამოკიდებული. დარჩა მხოლოდ ამ ორი ნახაზის შეერთება, რის შედეგადაც მივიღებთ საქონლისა და ფულის ბაზრების საყოველთაო წონასწორობის სურათს. 3.8 ნახაზზე ნაჩვენებია, რომ ერთდროული წონასწორობა T წერტილში მიიღწევა, რომელსაც  $r_e$  სარგებლისა და  $y_e$  შემოსავლის მნიშვნელობები უპასუხებენ.




ნახ. 3.8

ასეთია "ინვესტიციების – დანაზოგების – ლიკვიდურობის – უპირატესობის მინიჭების – ფულის" სახელგანთქმული მოდელის /ISLM model/ გრაფიკული ილუსტრირება, რომელიც აგრეთვე ცნობილია ჰიკს-ჰანსენის მოდელის სახელწოდებით. მისი ანალიზური აპარატით წარმატებით სარგებლობენ თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთმანეთისაგან მეტად განსხვავებული მიმდინარეობები.

ჰიკს-ჰანსენის მოდელი დიდ შესაძლებლობებს იძლევა საქონლისა და ფულის ბაზრების ურთიერთქმედების გამოკვლევისათვის. კერძოდ, შევეცადოთ იმის გაგებას, თუ რამდენად მყარია მათი წონასწორობა, დიდი ხნით იჭრება თუ არა იგი შენარჩუნებული, როგორ გავლენას ახდენს მასზე სახელმწიფოებრივი რეგულირების ესა თუ ის ვარიანტი, ინფლაცია და ა.შ. დაუშვათ, როცა საბაზრო სისტემა წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ეკონომიკაში ინვესტიციური კლიმატი გაუმჯობესდა. ასეთი მოვლენა გვაქვს მოწინავე ტექნოლოგიების მასობრივი ათვისების პერიოდებში სახელმწიფოს მიზანდასახული ქმედებების შედეგად და სხვა მრავალი მიზეზითაც. მეწარმეები არსებული სარგებლის ნორმაზე ორიენტირებით ზრდიან კაპიტალდაბანდებებს და ამ მიზნისათვის იყენებენ დანაზოგის არსებულ მარაგს. ასეთ სიტუაციაში ბაზრების წონასწორობას ასახავს უკვე სხვა მრუდი /IS/, რომელიც გაივლის IS აღრინდელი მრუდის მარჯვნივ და ზემოთ /ნახ.3.9/.

ინვესტიციების ზრდა გამოიწვევს გაფართოებულ კვლავწარმოებას, რასაც, თავის მხრივ, ერთობლივი შემოსავლის გადიდება მოჰყვება.





ნახ. 3.9

პირობებში, ახდენენ რა მომავალი მოგების ნორმის შეფასებას, მწარმოებლები დაიწყებენ ინვესტიციური მოთხოვნის თანდათანობით შემცირებას. დამუხრუჭდება კაპიტალდაბანდების, წარმოებისა და ერთობლივი შემოსავლის ზრდა. პროცესები, წარმოქმნილი საქონლის ბაზარზე, თანდათანობით დაწყნარდება და ჩაქრება. იგივე მოხდება ფულის ბაზარზეც. ეს იმიტომ, რომ რაც უფრო სტაბილურია ერთობლივი შემოსავლის სიდიდე და ე.ი. ფულზე მოთხოვნაც, მით უფრო მყარია სარგებლის განაკვეთის დონეები. საბოლოო ანგარიშით, საბაზრო სისტემაში გამეფდება ახალი წონასწორობა, რომელიც 3.9 ნახაზე E წერტილით არის გამოსახული.

ამ მოსაზრებას დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო სისტემის შინაგანი სტრუქტურის გასაგებად. როგორც ჩანს, იმპულსების გარედან მიღებისას (ჩვენს მაგალითში ასეთი იმპულსი იყო ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესება),\* საბაზრო სისტემას აქვს წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის უნარი. მეტად არსებითია შემდეგი გარემოება: თუ დასაწყისში იმპულსს თან მოსდევს სამეურნეო საქმიანობის მკვეთრი გააქტიურება, შემდეგ კი საქონლისა და ფულის ბაზრები ერთიმეორეზე ზემოქმედებით ახშობენ მას და ამით ახდენენ მდგომარეობის სტაბილიზაციას. შემდეგ, როგორც მრავალრიცხოვანი მათემატიკურ-

\* ჩვენ განვიხილეთ სიტუაცია, სადაც ერთობლივი წონასწორობის დამრღვევის როლში გამოდიოდა საქონლის ბაზარი. მსგავსი რამ ხდება მაშინაც, როცა დამნაშავეა ფულის ბაზარი რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში საბაზრო მექანიზმი საწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

სტატისტიკური განგარიშებებით დასტურდება, ახალი ურთიერთწონასწორობის დამყარება ჩვეულებრივ შედარებით ნაკლებ დროს მოითხოვს.

ამრიგად, საბაზრო სისტემას გააჩნია მექანიზმი, რომელსაც ინვესტიციების, წარმოების, დანაზოგების, სარგებლის განაკვეთების და სხვა მრავალის საკმაოდ ეფექტიანი რეგულირება შეუძლია. მაგრამ ეს მექანიზმი უპირატესად მოკლევადიანი მოქმედებისაა. მას არ შეუძლია ისეთი ეკონომიკური პროცესების ორგანიზება, რომელთა დასრულება მხოლოდ პერსპექტივაშია შესაძლებელი. საჭიროა სახელმწიფოს საფუძვლიანი ჩარევა ისეთ სიტუაციებში, როცა ახლოვდება სტრატეგიული ცვლილებები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, წარმოების დიდმასშტაბიანი გარდაქმნა. გაეხსენოთ, რომ სწორედ ასეთი იყო მეორე ლექციაში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია.


ზემოთ აღინიშნა, რომ მდგომარეობას ფულის ბაზარზე ძირითადად ორი ფაქტორის ცვლილება - ფულზე მოთხოვნა და მისი მიწოდება - განსაზღვრავს. პირველი ფაქტორის გავლენის შესწავლა რომ დავიწყეთ, ბოლოს და ბოლოს მივადექით ჰიკს-ჰანსენის მოდელს და საქონლისა და ფულის ბაზრების ერთობლივი წონასწორობის ანალიზს. დარჩა გავკვიროთ, თუ რა ხდება ფულის ბაზარზე, როცა ფულის მიწოდება იცვლება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თუკი ფულზე მოთხოვნას მწარმოებლები და მომხმარებლები აყალიბებენ, ფულის მიწოდების მიღმა სახელმწიფო დგას. მას შეუძლია მოიქცეს სხვადასხვაგვარად. როცა ის ეფექტიანი ფულადი პოლიტიკის გატარებას და ფულის მიწოდების სწორ ორგანიზებას შეძლებს, იქმნება ეკონომიკის მყარი, არაინფლაციური განვითარების წინამძღვრები. მაგრამ თუ პრაქტიკას დავეყრდნობით, სახელმწიფო ამა თუ იმ მიზეზების გამო არც ისე იშვიათად ახდენს ფულის ბაზრის დეზორგანიზაციას, უზომოდ ზრდის ფულის მიწოდებას.\* ასეთ შემთხვევაში იგი ინფლაციური დაავადების - იმ მძიმე სენის გამომწვევ ფაქტორად გადაიქცევა, რომლისგანაც დიდხანს ზარალდება მთელი სახალხო მეურნეობა.

გავანალიზოთ სიტუაცია უფრო დაწერილებით. 3.10 ნახაზზე შენარჩუნებულია ის აღნიშვნები, რასაც ფულის ბაზრის წონასწორობის ასახსნელად ვიყენებდით /ნახ.3.5/. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ სახელმწიფომ გაზარდა ფულის მიწოდება  $M^1$ , სიდიდემდე. თუ მოთხოვნა მუდმივი დარჩა, სარგებლის განაკვეთი იწყებს მოძრაობას  $r_g$ -დან  $r_f$ -

---

\* ინფლაციისა და ანტიინფლაციური რეგულირების პრობლემებს ეძღვნება ციკლის რამდენიმე ლექცია

აქ  $\pi_s$  მრუდის გასწვრივ წონასწორობის დარღვევა იმოქმედებს საქონლის ბაზრების მდგომარეობაზე. ისინი კრედიტის გაიაფებას უპასუხებენ ინვესტიციების, წარმოების, დასაქმებისა და ერთობლივი შემოსავლის გადიდებით. შემდეგ, როგორც უკვე ვიცით /ნახ. 3.6/, საბაზრო პროცესები საწინა-



ნახ. 3.10

აღმდეგო მიმართულებით წავა, გადაინაცვლებს ფულის ბაზარზე, ერთობლივი შემოსავლის მოცულობის გაფართოება გამოიწვევს ფულზე მოთხოვნის ზრდას (იგი ახალი  $\pi'_s$  მრუდით გამოისახება), რომლის შედეგად სარგებლის ნორმა  $r_f$ -დან  $r_g$ -მდე ამაღლდება და ფულის ბაზრის წონასწორობა ამჯერად Q წერტილში დამყარდება.

ყურადღება მივაქციოთ ეკონომიკურ მექანიზმს, რომლის ფრაგმენტი 3.10 ნახაზზე GF მონაკვეთითაა გამოხატული. თუ დაფიქრდებით, მივხვდებით, რომ სახელმწიფოს, ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებითა და ფულის მიწოდების რეგულარული ზრდით, შეუძლია მოახდინოს დამაქვეითებელი ზემოქმედება სარგებლის განაკვეთებზე, ხოლო მათი მეშვეობით ინვესტიციების, წარმოებისა და დასაქმების სტიმულირებაც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საბაზრო სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ისეთ სიტუაციებში, როცა ეკონომიკის გამოცოცხლებაა საჭირო, სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა ფულის ბაზარზე, სადაც იგი ფულის მიწოდების მთავარი მარეგულირებელია.

სინამდვილეში ასეც მოხდა. მხედველობაში გვაქვს სახელმწიფოს მხრივ ბაზრის წონასწორობის წინასწარგანზრახული სისტემატური დარღვევები იმ მიზნით, რომ ემოქმედა სარგებლის ღონეზე, ინვესტიციური მოთხოვნა შესაბამისობაში მოეყვანა დანაზოგის მიწოდებასთან, ხელი შეეწყო სხვა მაკროეკონომიკური პროპორციების დადგენისათვის. ასეთ ფულად პოლიტიკას ჩვეულებრივ კეინზიანურს უწოდებენ და ამით ხაზს უსვამენ ჩვენი საუკუნის გამოჩენილი ეკონომისტის ჯ.მ.კეინზის დამსახურებას

თანამედროვე საბაზრო მეურნეობის ამ და სხვა მექანიზმების გამოკვლევაში.

ღროთა მსვლელობაში კეინზიანური ფულადი პოლიტიკა ეკონომიკაზე სახელმწიფოს ზემოქმედების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ გზად გადაიქცა. ამჟამად ძნელია განვითარებული საბაზრო მეურნეობით ისეთი ქვეყნის დასახელება, სადაც შეძლებდნენ გვერდი აეჭვიათ სარგებლის განაკვეთების ფულადი რეგულირების ამა თუ იმ ვარიანტისათვის, საკმაოდ მალე გამომჟღავნდა, რომ იგი ფრიად წინააღმდეგობრივია. ერთი მხრივ, როგორც თეორიაშია ნაგარაუდღევი, ინვესტიციებმა სარგებლის ნორმის მერყობისადმი გარკვეული მგრძობელობა გამოაჩინეს. ამიტომ, ვინაიდან ფულის თანამიმდევრული შემატება სინამდვილეში ხშირად იწვევდა კრედიტის გაიაფებას, ხდებოდა კაპიტლდაბანდებებისა და წარმოების, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მაინც გადიდება, უმუშევრობის შემცირება. მეორე მხრივ, ამ შედეგის მიღწევა სულ უფრო ძვირი ჯდება: ეკონომიკაში ინფლაციის პროცესი ვითარდებოდა. რაც უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს ინფლაცია, მით უფრო საეკეო ხდებოდა სახელმწიფოს გადამეტებული აქტიურობა ფულის მიმოქცევის სფეროში. თვით ცხოვრებამ, სამეურნეო პილიტიკამ ეკონომისტები და პოლიტიკოსები დააყენა იმ აუცილებლობის წინაშე, რომ გამოემუშავებინათ რაღაც რეგლამენტი, ფულის ბაზარზე სახელმწიფო ქცევის წესი, რომელიც იმედროულად საშუალებას მისცემდა მას, შეენარჩუნებინა ფულადი პოლიტიკის მარეგულირებელი ფუნქცია და არაინფლაციურიც გაეხადა იგი.

ამ რეგლამენტის კონტურებს ჩვენ მოგვიანებით განვსაზღვრავთ, როცა ახლოს შევვებით სახელმწიფოს ფულად პოლიტიკას. მანამ კი იმ სიტუაციის გარჩევას გავაგრძელებთ, რომელიც ფულის ბაზარზე აღმოცენდა ფულის მიწოდების ცვლილების გამო. სწორედ ის მოგვეცემს ფულადი პოლიტიკის ორგანიზაციისადმი სწორი მიდგომის დადგენის შესაძლებლობას.

ახლა დაეუბრუნდეთ 3.10 ნახაზს, სადაც ნაჩვენებია, თუ ფულის ბაზარი საქონლის ბაზრებთან ურთიერთქმედებით როგორ გადადის წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან (წერტილი G) მეორეში (წერტილი Q). ასეთი ტრანსფორმაცია იმიტომაა შესაძლებელი, რომ ფულის მიწოდება აღწევს  $M^1$  მნიშვნელობას. ალბათ მსგავსი რამ მაშინაც მოხდება, როცა ფულის მიწოდების სიდიდე ტოლი იქნება  $M^{11}$ -ს, ან კიდევ უფრო გაიზრდება და მიუახლოვდება  $M^2$  ნიშნულს. დასაწყისში სარგებლის განაკვეთები კვლავ დაეცემა, რითაც სტიმულს მისცემს

ინვესტიციებსა და წარმოებას. გაიზრდება ერთობლივი შემოსავალი და, მასთან ერთად, ფულზე მოთხოვნაც, რაც გამოიწვევს სარგებლის ღონის ზრდას და ფულის ბაზრის ახალი წონასწორობის დამყარებას. მაგრამ რა მოხდება თუ სახელმწიფო გადალახავს  $\pi$ , ზღვარს და წაიწვეს წინ, გააგრძელებს ეკონომიკაში სულ ახალ-ახალი ფულადი ინექციების კეთებას?

ასეთ შემთხვევაში მას მძიმე უამი დაუდგება. ვინაიდან სარგებელი არაერთად შემთხვევაში არ შეიძლება იყოს  $r_0$  მინიმალურ ზღვრულ ნორმაზე ნაკლები, ამდენად სახელმწიფო, რომელიც ფულის მიწოდებას  $\pi$  ზღვარს მიღმა გაიტანს, უკვე ვეღარ შეძლებს კრედიტის გაიფება. გამოდის, რომ  $\pi$  სიდიდე ის ზღვარია, რომლის მიღმა სარგებლის განაკვეთის ფულადი რეგულირება უკვე აღარ არსებობს. მაგრამ, როგორც ვიცით, ინვესტიციები მხოლოდ ამ განაკვეთთა ცვლილებებზე რეაგირებენ. თუ ისინი არ მცირდება, მაშინ საქონლის ბაზრები უკვე აღარ გრძობენ ფულის ბაზრის გავლენას, წყდება კაპიტალდაბანდებების ზრდა, რის შედეგადაც შეუძლებელი ხდება წარმოების, ერთობლივი შემოსავლისა და, მაშასადამე, ფულზე მოთხოვნის შემდეგი გაფართოება.

ამასთან, დავამატებთ, რომ, როცა სახელმწიფო მოუფიქრებლად ბერავს ფულის მიწოდებას და სარგებლის განაკვეთებს  $r_0$  კრიტიკულად დაბალ ნიშნულამდე ამცირებს, იგი ლიკვიდურობისათვის განსაკუთრებული მალალი უპირატესობების მინიჭების პროვოცირებას ახდენს. შეგახსენებთ, რომ დანაზოგის მფლობელი სარგებლის დაბალ ნორმაში ხედავს იმ უტყუარ ნიშანს, რომ ფასიანი ქალაქები ძალიან ძვირია და ამიტომ უარს ამბობს მათ შექენაზე, ელოდება, ინახავს ფულს თავისთან. ამრიგად, იზრდება ნეგატიური ზეწოლა კაპიტალდაბანდებებზე.

ამრიგად, ფულის მიწოდების შეუკავებელი ზრდის დროს ფულის ბაზარზე განსაკუთრებული, ეკონომიკისათვის მეტად საშიში სიტუაცია წარმოიშობა. მისთვის დამახასიათებელია საბაზრო სისტემის შიგნით კონტაქტების რღვევა, რაც ხელს უშლის ბაზრის წონასწორობის აღდგენას. მართლაც, 3.10 ნახაზი იმ გარემოებას ასახავს, როცა  $\pi$  ზღვარს იქით არ არის ფულზე მოთხოვნის არაერთადი ახალი მრუდი, და აქედან გამომდინარე, წონასწორობის წერტილიც, მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ასეთ სიტუაციას ლიკვიდურობის ხაფანგს უწოდებენ.

როგორ მდგომარეობაშია ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრილი ეკონომიკა? თუ დავუბრუნდებით ფულის ბაზარს, იქ სარგებლის სტაბილურად დაბალი ნორმის პირობებში გრძელდება ფულის მიწოდების

ზრდა. იმავდროულად საქონლის ბაზრებზე, რომლებიც მასტიმულირებელ იმპულსებს არიან მოკლებულნი ფულის ბაზრების მხრიდან, წდება ინვესტიციების, წარმოებისა და მიწოდების ზრდა. გამოდის, რომ სახალხო მეურნეობაში თავს იყრის მზარდი ფულადი მასა, რომელიც აშკარად მოკლებულია საქონლურ დაფარვას. ცხადია, ამ უსიამოვნო კომბინაციიდან, ინფლაციის გარდა, არაფერია მოსალოდნელი.

თითქოს ეკონომიკას აქვს ლიკვიდურობის ხაფანგიდან თავის დაღწევის მარტივი შანსი. ეს დაკავშირებულია პირველ ლექციაში ხსენებულ პიგუს ეფექტთან. მართლაც, ფულის მიწოდების გაფართოება ხომ არა მხოლოდ შემოვლით (სარგებლის განაკვეთის, ინვესტიციებისა და წარმოების მეოხებით), ახდენს გავლენას ერთობლივ შემოსავალზე, არამედ პირდაპირაც. და რადგან ეს ასეა, მაშინ უფრო მაღალი შემოსავლის პირობებში, ეკონომიკური სისტემის მონაწილენი მის ნამატს ხარჯავენ როგორც მიმდინარე მოხმარებაზე, ისე დანაზოგზეც. ვინაიდან ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრილ ეკონომიკაში მიმდინარეობს ფასების ინფლაციური ზრდა. სუბიექტები, რომლებიც ზუსტად პიგუს ეფექტის შესაბამისად მოქმედებენ, დაიწყებენ ნაყლების მოხმარებას და მეტის დაზოგვას. გაიხსენოთ, რომ მათი ასეთი ქცევა ნაკარნახევია ჩანმრთელი საბაზრო ფსიქოლოგიით, მომავალი ფასების შემცირების იმედით, დანაზოგის რეალური ფასეულობის შენარჩუნების სურვილით. ადვილი შესაძინევი, რომ ამ სიტუაციაში იწყება თავის დაღწევა ლიკვიდურობის ხაფანგიდან: დანაზოგების ნაწილი გადაიქცევა ფულზე დამატებით მოთხოვნად, სარგებლის განაკვეთი იწყებს ზრდას, რომელიც ხელს უწყობს ფულის ბაზრის წონასწორობის დამყარებას,  $M_2$  სიდიდის ტოლი ან მასზე მეტი ფულის მიწოდების დროსაც კი.

მაგრამ ასეთი რამ მხოლოდ შეიძლება მაშინ მოხდეს, როცა ნამდვილად არსებობს რეალური სალაროს ნაშთის ეფექტი. ეს კი ინფლაციით დაავადებული ეკონომიკისათვის მეტად საეკეოა. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ინფლაციური გარემოება არა მხოლოდ ფასების ზრდას წარმოშობს, არამედ ძირეულად ცვლის მასთან დაკავშირებულ სამეურნეო ფსიქოლოგიასაც. ფასების შემცირების შესაძლებლობისადმი უნდობლად განწყობილ სუბიექტებს უყალიბდებათ ინფლაციური მოლოდინი და თავისი ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღებისას მასზე იღებენ ორიენტაციას. ისინი დანაზოგის საზიანოდ ზრდიან მიმდინარე მოთხოვნას, რაც პიგუს ეფექტის მოქმედების შეწყვეტის ტოლფასია. ამრიგად, ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრილი ეკონომიკა ისევ მასში რჩება. უფრო მეტიც, ხაფანგი უფრო იკეტება ინფლაციური მოლოდინის საკეტით.


გამოდის, რომ ფულის ბაზარს არ გააჩნია ლიკვიდურობის ხაფანგიდან

თავის დაღწევის მექანიზმი. რა თქმა უნდა, უმჯობესია არ მოხედეს მასში. მაგრამ თუ ეს მოხდა, თავის დაღწევა შესაძლებელია მხოლოდ საქონლის ბაზრებზე მოვლენების ხელსაყრელი განვითარების პირობებში. მხედველობაშია, მაგალითად, ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესება (იხ.ნახ.3.9), ან რაღაც სხვა გარემოებანი, რომელთაც შეუძლიათ ფულის ბაზარზე სიტუაციის განმუხტვა და ლიკვიდურობის ხაფანგიდან მისი გამოყვანა. საქმე ისაა, რომ ამგვარი პოზიციური ცვლილებები ერთობლივი შემოსავლის ზრდაში აისახება, რასაც თან სდევს ფულზე მოთხოვნის გადიდება, სარგებლის განაკვეთის ამაღლება და სხვა.

თუ ლიკვიდურობის ხაფანგის ეფექტს გავითვალისწინებთ, მაშინ ფულის ბაზრის წონასწორობის პირობების ხელახალი კორექტირება მოგვიხდება. მისი /ადრინდელი/ ფორმულირებიდან თუ ვიმსჯელებთ, (განტოლება 3.7) წონასწორობა მიიღწევა ფულის მიწოდების ნებისმიერ პირობებში. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით, ეს სრულიადაც არ არის ასე. წონასწორობის აღდგენა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ფულის მიწოდება არ სცილდება  $\bar{m}_s$  მაქსიმალურ დასაშვებ ზღვარს. ამიტომ ფულის ბაზრის წონასწორობის გამოსახატავად არა ერთი, არამედ ორი პირობაა საჭირო:

$$\frac{m_s}{p} = \frac{m_d}{p} = L(Y, r, \frac{m_0}{p}), m_s < \bar{m}_s. \quad (3.8)$$

როცა სახელმწიფო ფულის ექსპანსიითაა გატაცებული, ეკონომიკას ინფლაცია ემუქრება, თუნდაც ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრის რისკის გამო. ეს კიდევ ყველაფერი როდია. ეკონომიკას სერიოზული ინფლაციური საშიშროება იმ პირობებშიც კი ემუქრება, როცა



ნახ. 3.11

სახელმწიფო უკიდურესად ფრთხილად მოქმედებს, ცდილობს გააკონტროლოს ფულის მიწოდება ან მიუახლოვდეს  $\bar{m}_s$  კრიტიკულ ზღვარს. 3.11 ნახაზე გამოსახულია ლიკვიდურობის ხაფანგისაგან შორსმყოფი ფულის ბაზრის მექანიზმის სისტემები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფულის მიწოდების ყველა მნიშვნელობა  $\bar{m}_s$  მაქსიმალურ დონეზე ბევრად მცირეა.

3.11 ნახაზე GFQ დაშ-

ტრისული ადგილით წარმოდგენილი საქონლისა და ფულის ბაზრების ურთიერთქმედების მექანიზმი ჩვენთვის უკვე ცნობილია. მხოლოდ იმას მიუთითებთ, რომ ის ისე როგორც სხვა საბაზრო მექანიზმები, დროის შედარებით მცირე მონაკვეთებში მოქმედებს. ესე იგი ფულის ბაზარი საკმაოდ სწრაფად გადის გზას G წონასწორობის მდგომარეობიდან Q მდგომარეობამდე.

ვთქვათ, ფულის ბაზარი იმყოფება Q წერტილით აღნიშნული წონასწორობის მდგომარეობაში. დავუშვათ, სახელმწიფო, რომელიც აპირებს კაპიტალდაბანდებებსა და წარმოებას კიდევ ერთი იმპულსი შეჰმატოს, აფართოებს ფულის მიწოდებას  $M^{11}$  სიდიდემდე. ცხადია, ამით კვლავ ამუშავდა საქონლის ბაზრების მექანიზმები, რაც ერთობლივი შემოსავლის მორიგ ზრდას გამოიწვევს. მაგრამ ის უკვე სულ სხვაგვარად განაწილდება, ვიდრე წინათ. ფულის ექსპანსიამ ხომ, რომელმაც დააჩქარა საბაზრო სისტემის მექანიზმები, იმავდროულად ხელი შეუწყო ინფლაციური მოლოდინის განმტკიცებას. ეკონომიკური სუბიექტები, რომლებიც ამით ხელმძღვანელობენ და თვალს ადევნებენ ყვასების ზრდას, ამგონივრებენ შემოსავლების ნამატის არა იმდენად დაზოგვას, რამდენადაც მის მიმდინარე მოხმარებისათვის გამოყენებას. ამას მოჰყვება დანაზოგის და, მამსადაძე ფულზე მოთხოვნის, ზრდის დამუხრატება. ამიტომ  $M^{11}$  მოთხოვნის ახალი მრუდი არა მხოლოდ წინა მრუდზე მარჯვნივ და ზემოთ გაივლის. ის უფრო დამრეცი გახდება და ასახავს იმ ფაქტს, რომ ფულზე მოთხოვნის ზრდა გაცილებით მდორედ წარიმართება. შესაბამისად შემცირდება GFQ სექტორის მარჯვნივ მყოფი დაშტრისული არეს ფართობი.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს აქვს უფლება, შემდგომაც გაზარდოს ფულის მიწოდება, განუხრელად წავიდეს წინ, მართლაც ლიკვიდურობის ხაფანგისაკენ. 3.11 ნახაზზე ასეთი პოლიტიკური ხაზი წარმოდგენილია  $M^{11}$ -დან  $M^{11}$ -ზე გადასვლით. ამასთან, ცხადია, რომ სულ უფრო მორუნდება ინფლაციის ქაობში ღრმად ჩაფლული საქონლის ბაზრების რეაქტია. ამას მოწმობს, მაგალითად,  $M^{11}$  მრუდის ფორმა. გამოდის, რომ სახელმწიფო რამდენადაც უფრო დაჟინებით ცდილობს სარგებლის განაკვეთის შემცირებას, იმდენად უფრო ნაკლებ შედეგებს აღწევს, იმდენად უფრო დაბალია მისი ფულადი პოლიტიკის ეფექტიანობა.

როგორც ვივარაუდეთ, ფულის ბაზრის მექანიზმი ფულზე მოთხოვნის, მისი მიწოდებისა და სარგებლის განაკვეთის მხოლოდ მოკლევადიან ცვალებადობებს მაშინ აკავშირებს, როცა მათი გაზომვა მიმდინარე საშუალო, ან, დავუშვათ, თვიური მაჩვენებლები ხდება. თუ ფულის მიწოდება გაიზარდა, მაშინ, ვთქვათ ერთ-ორი თვის შემდეგ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ სარგებლის ღონე რამდენადმე შემცირდება. მაგრამ



დროთა განმავლობაში ამ ცვალებადობის რხევა შემცირდება, და მაშასადამე, ბაზრის მექანიზმის მუშაობის მოკლევადიანი ეფექტი ნულს მიუახლოვდება. რა თქმა უნდა, ეს არა მხოლოდ ფულის ბაზრის G მდგომარეობიდან Q მდგომარეობაში გადაადგილებას, არამედ სხვა გარდაქმნებსაც ეხება.

ახლა განვიხილოთ ფულის ბაზარი გრძელვადიანი პერსპექტივის თვალსაზრისით. აქ ჩვენ დიდი მოულოდნელობა გველის. ფულის ბაზარზე მოვლენები ისე ვითარდება, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში სარგებლის განაკვეთები ყოველგვარ კავშირს კარგავენ ფულის მოთხოვნასა და მიწოდებასთან. მართლაც, თუ 3.11 ნახაზით ვიმსჯელებთ, სარგებლის სიდიდე, საბაზრო მერყობის პროცესში თავდაპირველად ეცემა და შემდეგ აუცილებლად მიდის მაღლა  $r_g$  წონასწორობის ნიშნულამდე. ასე მრავალჯერ ხდება. გამოდის, რომ სარგებლის მოცემული დონე, საერთოდ, არაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენჯერ მიმართავს სახელმწიფო ფულის ექსპანსიას და ბოლოს და ბოლოს მის რა რაოდენობას შეჰმატებს ეკონომიკას. ფულის ბაზრის ეს ფენომენი ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ფიშერის ეფექტის სახელწოდებით. შევნიშნავთ, რომ მისი რეალობა დამტკიცებულია ეკონომეტრიკულ დამუშავებათა ისეთი სერიებით, როცა ერთმანეთს ედარებოდა ფულის ბაზრის პარამეტრების — სარგებლის ნორმის, ფულის მიწოდების და სხვა (გაანგარიშებული, მაგალითად, ზუთი წლით) გრძელვადიანი მნიშვნელობა.

როგორც ჩანს, ფულის ბაზარი ორი რეჟიმით მუშაობს. პირველია მოკლევადიანი საბაზრო მერყობის რეჟიმი, რომლის თავისებურებებსაც ჩვენ უკვე გავეცანით. ფულის ბაზრის მოკლევადიან წონასწორობას /3.8/ პირობები განსაზღვრავს. რაც შეეხება გრძელვადიანი წონასწორობის პირობებს, ის ალბათ ცოტა სხვანაირად უნდა გამოიყურებოდეს. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ ცხადია: სარგებლის განაკვეთებისათვის აქ ადგილი არ რჩება.

ფულის ბაზრის წონასწორობის გრძელვადიან პირობას (მას ზოგჯერ ფრიდმენის განტოლებას უწოდებენ) შემდეგი სახე აქვს:

$$m_s = y + p_s \quad (3.9)$$

გავარჩიოთ იგი დაწვრილებით: პირველი ორი ცვლადი განსაკუთრებულ კითხვებს ალბათ არ ბადებს.  $m_s$ -ით აღნიშნულია ფულის მიწოდების გრძელვადიანი (საშუალო წლიური) ზრდის ტემპი,  $y$ -ით გრძელვადიანი (საშუალო წლიური) მაჩვენებელი, რომელიც რეალური ერთობლივი შემოსავლის (უცვლელ ფასებში) ცვლილებებს ახასიათებს. ადვილად შესაძინებია, რომ მსგავს კატეგორიებს ჩვენ უკვე მოკლევადიანი

წონასწორობის პირობების განხილვისას შევხვდით. მხოლოდ იქ ფულის მიწოდებასა და ერთობლივი შემოსავლის მოცულობების ამსახველი აბსოლუტური მაჩვენებლები ფიგურირებდნენ, აქ კი პროცენტებში გამოხატული მათი შეფარდებითი სიდიდეებია მოცემული.

რამდენადმე რთულდება საქმე ფასების ფაქტორის გათვალისწინებით. გაეხსენოთ, რომ მოკლევადიანი წონასწორობის პირობების თავდაპირველ ვარიანტში /3.4/ ფასების მიმდინარე დონე ფიგურირებდა. მათი კორექტირების შედეგად წარმოიქმნა ფულის ბაზრის მოკლევადიანი წონასწორობის საბოლოო პირობები /3.8/, სადაც ფასების გავლენა უკვე არ იგრძნობა. ეს სავესებით გამართლებულია, ვინაიდან, როგორც ვიცით, სახელმწიფო მოკლევადიან წონასწორობას მხოლოდ იმისათვის არღვევს, რომ იმოქმედოს სარგებლის განაკვეთებზე, რომლებშიც თავისი ფულადი პოლიტიკის მიზანს ხედავს. მომდევნო საბაზრო მერყობაში, ფულის ბაზრის წონასწორობის ერთი მდგომარეობიდან მეორეში გადასვლაში ფასები არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ.

ამასთან, ასეთი საზომები სავესებით უვარგისია გრძელვადიანი წონასწორობის ასახსნელად. ფიშერის ეფექტის თანახმად, ხანგრძლივ პერსპექტივაში ფულზე მოთხოვნა დამოუკიდებელი ხდება სარგებლის განაკვეთების მოძრაობისაგან. ახლა ის არ ემორჩილება სახელმწიფოს, რომელიც ფულის მიწოდების ორგანიზაციას ახორციელებს. მაშასადამე, მისი ამოცანები პრინციპულად იცვლება. გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკის მიზანი ეკონომიკის მყარი, არაინფლაციური ზრდის შენარჩუნება ხდება. თუ ვივარაუდებთ, რომ  $\hat{y}$  სიდიდე ცნობილია, მაშინ ამ ამოცანის გადასაწყვეტად ( $M_s$  სწორი მნიშვნელობის შერჩევა) გასარკვევია, ფასების ზრდის სახელდობრ როგორი ტემპია შესაფერისი მეურნეობის არაინფლაციური განვითარებისათვის. ამიტომ გძელვადიანი წონასწორობის ტოლობაში ჩნდება  $\hat{p}$ . ფასების დონე, რომელიც ისეთ ეკონომიკას ახასიათებს, სადაც ფულის ბაზარი მუდმივად იმყოფება მოკლევადიანი წონასწორობის მდგომარეობაში, ანუ უპასუხებს ინფლაციის გამომრიცხავ /3.8/ პირობებს. ვინაიდან სინამდვილეში ასეთი რამ არ არსებობს, იმის გამო, რომ წონასწორობას დროდადრო სახელმწიფო ძირს უთხრის სარგებლის განაკვეთის რეგულირებით,  $\hat{p}$  საანგარიშო ინდიკატორის სახით გვევლინება. ის მიუთითებს იმაზე, თუ როგორ გაიზარდებოდა ფასები ისეთ პირობებში, როცა სახელმწიფო თავს იკავებს სარგებლის, ინვესტიციებისა და წარმოების ფულადი რეგულირებისაგან. თუ გავითვალისწინებთ, რომ გრძელვადიან დიაპაზონში ფულის ბრუნვის სიჩქარის გავლენა უმნიშვნელოა, მივიღებთ

ფულის ბაზრის წონასწორობის სწორედ იმ პირობას, რაც 13.9/ ფორმულაშია გამოსახული.

\* ფულის ბაზრის შესახებ მსჯელობა რამდენიმე პრინციპული ხასიათის დანკენის ჩამოყალიბების შესაძლებლობას იძლევა.

მკითხველმა ალბათ შენიშნა, რომ ლექციის ტექსტში ძალზე ხშირად ვხვდებით გამოთქმას - "სარგებლის განაკვეთი". ეს არცაა გასაკვირი. როგორც ჩვენ ვრწმუნდებით, საბანკო სარგებელი ფულის ბაზრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეგულატორია, რომ აღარაფერი ვთქვათ ისეთ ძლიერ გავლენაზე, რომელსაც იგი ინვესტიციურ მოთხოვნასა და დანაზოგის მიწოდებაზე ახდენს. ზემოთ ჩატარებული ანალიზი დამაჩერებლად ამტკიცებს, რომ სარგებლის განაკვეთის საკმაოდ თავისუფალი რყევის გარეშე საბაზრო სისტემის მთელი მექანიზმი არ იმუშავებს.

ეს იმას ნიშნავს, რომ თანამედროვე ეკონომიკაში სარგებელი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ადმინისტრაციული ძალადობის ობიექტი. თუ სახელმწიფო მიმართავს მბრძანებლურ ხერხებს, აიძულებს კომერციულ ბანკებს, მიიღონ ანაბრები და გასცენ სესხები ზუსტად განსაზღვრული ფიჭირებული სარგებლით, მაშინ მოსალოდნელია საქონლისა და ფულის ბაზრებზე მოქმედი მექანიზმების არა მარტო შეფერხება, არამედ მთლიანად გაჩერებაც კი. დანაზოგი აუცილებლად იქით გადაინაცვლებს, სადაც სარგებელი საბაზრო მეთოდით ყალიბდება, კერძოდ ისეთ ეკონომიკაში, რომელსაც ჩვენ ჩრდილოვანს ვუწოდებთ. დაიწყება ფულით სპეკულაცია, აფხვდება იატაკქვეშა შევანშეობა. არსებითად იგივე მოხდება, რაც მაშინ ხდება, როცა გონივრულ საზღვრებს სცილდება ფასების ცენტრალიზებული დაგეგმვა. სპეკულაციურ მაღალ ფასებში გაყიდულ საქონელსა და მომსახურებას ფულიც მიემატება, რომელიც ოფიციალური ეკონომიკიდან სახელმწიფოს მოუფიქრებელი მოქმედებით ამოვარდება. შევნიშნავთ, რომ სახელმწიფოს მეტად გაუძნელდება ეკონომიკაში მყოფი ფულის მასის ხელში ჩაგდება, მისი მოძრაობის როგორღაც გაკონტროლება. ამას კი ინფლაციის მოულოდნელი აფეთქებები მოჰყვება.

ხომ არ გამოდის, რომ სახელმწიფო საერთოდ არ უნდა გაეყაროს სარგებლის განაკვეთებს და იგი ფულის ბაზრის სრულ განმგებლობაში დატოვოს? არა, ასე მოქცევა არ შეიძლება. საბაზრო სისტემის დაუნგრევლად სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს სარგებლის დონეზე მოქმედების არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ, გაატაროს მოკლევადიანი ფულადი პოლიტიკა. სხვაგვარად ის ვერ განახორციელებს ისეთ

აუცილებელ ფუნქციებს, როგორცაა მეურნეობის სტრუქტურული და ანტიინფლაციური რეგულირება. საერთოდ უნდა ვაღიაროთ, რომ თანამედროვე სახელმწიფოს თავის მარაგში ეკონომიკის მართვის არც ისე ბევრი ხერხი გააჩნია, რომ თავს ნება მისცეს, უარი თქვას სარგებლის, კაპიტალდაბანდებებისა და წარმოების ფულად რეგულირებაზე. ასეთი რამ არც შეიძლება სინამდვილეში.

სულ სხვაა, რომ ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტები დიდი სიფრთხილითაა გამოსაყენებელი. ვინც უკვე წაიკითხა მეორე ლექცია, ალბათ ახსოვს, რომ საბაზრო ტიპის მეურნეობა საკმაოდ მკაცრ მოთხოვნებს უყენებს ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის თორმებსა და მეთოდებს. ისინი მთლიანად შეეხებიან სახელმწიფოს ქმედებებს ფულადი მიმოქცევის სფეროში.

თუკი სახელმწიფო მოკლევადიანი ფულადი პოლიტიკის გატარებას დაიწყებს, ის მუდმივად უნდა ითვალისწინებდეს სულ ცოტა ორ გარემოებას მაინც: პირველი, ყოველი გადაწყვეტილება, რომელიც ფულის მიწოდების მოკლევადიან ცვლილებებს ეხება, ისე უნდა აიგოს, რომ გამოირიცხოს ლიკვიდურობის ხაფანგში მოხვედრის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში გარდუვალი გახდება ინფლაციის მკვეთრი დაჩქარება. მეორე, მოკლევადიანი ფულადი ტაქტიკა მხოლოდ იმ გრძელვადიანი ფულადი სტრატეგიის ჩარჩოებშია დასაშვები, რომელიც წონასწორობის ფუნდამენტურ განტოლებას /3.9/ ემყარება. მოვიტანოთ პირობითი მაგალითი. ვივარაუდოთ, რომ სამწლიანი პერიოდისათვის განსაზღვრული ფულის მიწოდების საანგარიშო საშუალო წლიური ტემპი 7%-ია. დაუშვათ, პირველსავე წელს სიტუაცია ეკონომიკაში ისე ყალიბდება, რომ სახელმწიფომ უნდა მიმართოს სარგებლის ნორმის, ინვესტიციებისა და წარმოების მოკლევადიან ფულად რეგულირებას, რის შედეგადაც მოცემული მაჩვენებელი გაიზრდება 10%-მდე. თუ მომდევნო წელს მდგომარეობა იგივე იქნება და ფულის ექსპანსია ძველებურად გაიზომება 10%-ით, მაშინ უკანასკნელ, მესამე წელს სხვა არაფერი დაჩება, გარდა ფულის მიწოდების ზრდის შეზღუდვისა უკიდურესად მკაცრი ლიმიტით - 1%-ის ოდენობით. ამასთან, იგულისხმება ისეთი პირობები, როცა სახელმწიფოს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, შეასრულოს ერთ-ერთი თავისი უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი ვალდებულება. კერძოდ, ეკონომიკის არაინფლაციური განვითარების უზრუნველყოფა. სახელმწიფოს როლი ფულად ბაზარზე იმდენად დიდია, რომ, საერთოდ, მისთვის მონოპოლიური თანრიგის მიკუთვნება შეიძლება. უფრო მეტიც, საბაზრო სისტემის სხვა მრავალი ელემენტისაგან განსხვავებით, ფულის

ბაზრის დემონოპოლიზაცია ახლო მომავალში არაა მოსალოდნელი. ასე რომ, სახელმწიფო კიდევ მრავალი წლის მანძილზე შეინარჩუნებს ძალაუფლებას ფულის მიწოდების მოცულობისა და ზრდის ტემპების განსაზღვრაში. ხოლო იმაზე, თუ როგორ გამოიყენებს იგი ამ ძალაუფლებას, დამოკიდებულია არა მხოლოდ ფულის ბაზრის, არამედ მთელი საბაზრო ეკონომიკის მდგომარეობაც. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ეკრძო, კოლექტიური და სხვა საწარმოების მიერ მონოპოლიზებულ ბაზრებზე მოქმედებს სახელმწიფო კონტროლის გამართული სისტემა, ხორციელდება დემონოპოლიზაციის ღონისძიებები და ა.შ. ცხადია, გაცილებით რთულია იმ მონოპოლისტებთან გამკლავება, რომლის როლშიც თვით სახელმწიფო გამოდის.

ამიტომ ფულის ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საჭიროა მოფიქრებული კანონმდებლობა, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო (ცენტრალური) ბანკისა და იმ სხვა ორგანოების საქმიანობის რეგლამენტირებას, რომლებიც პასუხს აგებენ ფულადი პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის. მაგრამ ეს საკმარისი როდია. ასევე საჭიროა ორგანიზაციები, ანუ როგორც მათ უწოდებენ, ინსტიტუტები, რომლებიც კანონის ფარგლებში მოქმედებით, ზღვს შეუწყობენ საქონლის, ფულის, მომსახურების, ფასიანი ქაღალდების, სამუშაო ძალის საბაზრო გადაადგილებას. ლაპარაკია, პირველ ყოვლისა, საბანკო სისტემაზე, საფონდო ბირჟაზე, სახელმწიფო ფინანსებზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თანამედროვე საბაზრო მეურნეობისათვის აუცილებელია შესაბამისი ინფრასტრუქტურა. იგი ციკლის მომდევნო ლექციაში განიხილება.

საბაზრო მუშაობის ინფრასტრუქტურა

კლასიფიკაცია. ვაჭრობა და რესურსების ნატურალური განაწილება. საფონდო ბირჟა. აქციები და ობლიგაციები. აქციების კურსი. საკრედიტო სისტემა. ცენტრალური ბანკის ფუნქციები და სტატუსი. ბანკთა შორისი კრედიტის განაწილება და სავალდებულო რეზერვების ნორმა. ცენტრალური ბანკის ოპერაციები ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. გადასახადები და სახელმწიფო ბარჯები. ბიუჯეტის დეფიციტი. მისი დაფარვის ხერხები.

როგორცაა საბაზრო სისტემის აგებულება, ასეთივეა მისი შესაბამისი ინფრასტრუქტურის კონფიგურაციაც. მასში შედის, სახელდობრ, ცალკეული ბაზრების ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული ორგანიზაციები. მაგალითად, საქონლისა და მომსახურების ბაზრებზე ფუნქციონირებს საქონლის ბირჟები, საბითუმო და საცალო ვაჭრობის სისტემები. კომერციულ საფუძველზე მომუშავე ფირმები, რომლებიც კონკურენციის მონაწილეებს ამარაგებს საბაზრო ინფორმაციით, მარკეტინგის მომსახურებით და ა.შ. მრავალრიცხოვანი შუამავალი კომპანიები, სერვისის მომსახურები და ინფრასტრუქტურის სხვა რგოლები. მათ უკავიათ მწარმოებლიდან მომხმარებელამდე გადაქიშული უდიდესი ეკონომიკური სივრცე. ისინი უდებენ ორგანიზაციას მიწოდებაზე კონტრაქტებს, ახდენენ საქონლის ნაკადების გადაადგილებას დარგებისა და რეგიონების მიხედვით, არეგულირებენ გასაღებას და მომხმარებლების მომსახურებას.

ცნობილია, რომ ჩვენს ეკონომიკაში საქონლის ბაზრების ინფრასტრუქტურა ერთ დროს ფაქტობრივად დაიშალა და შეიცვალა მატერიალური რესურსების ცენტრალიზებულ-ნეიტრალური განაწილებით, რომელიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემის ერთ-ერთი საყრდენი გახდა. სრულიად არ არის აუცილებელი იმის დაწვრილებითი დასაბუთება, რომ ამ ფართომასშტაბიანმა და ხანგრძლივმა ექსპერიმენტმა უარყოფითი შედეგი გამოიღო. აღენიშნავეთ მხოლოდ რამდენიმე პრინციპული ხასიათის მომენტს.

ნატურალური განაწილება პრინციპში შეუთავსებელია საბაზრო ეკონომიკის ფუნდამენტურ მახასიათებლებთან, პირველ ყოვლისა, თავისუფალი ბაზრის მეორე ნიშანია - ესაა "თრომბი", რომელიც

კეტავს საქონელმომოქცევას და შეუძლებელს ხდის მთლიანად საბაზრო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. მართლაც, თუ დავეშვებით დანაზოგებისა და ინვესტიციების საკმაოდ თავისუფალ საბაზრო ფორმირებას, საქონლის ბაზრები მაინც არ იმუშაებენ, თუნდაც იმიტომ, რომ ფინანსური ნაკადების მიღმა არ ხდება რეალური რესურსების (მასალების, მოწყობილობების და ა.შ.) შესაბამისი გადაადგილება. მას განაწილებითი სისტემა აფერხებს.

ეს სისტემა საგანგებო გარემოებათა ნაყოფია. იგი იმისათვის შეიქმნა, რომ პირველ ყოვლისა, გადაერჩინათ ეკონომიკა უციოდურესად შეზღუდული რესურსების პირობებში, ხოლო შემდეგ დაეძლიათ საქონლის ნაკლებობა. ახლა უკვე ექვსგარეშეა, რომ ადმინისტრაციულმა დანაწილებამ არა თუ ვერ შეასრულა თავისი ამოცანები, არამედ ჩვენი სახალხო მეურნეობა საქონლის ტოტალური დეფიციტისათვის გაწირა. მაგრამ ეს ფაქტი სრულიადაც არ შემოიფარგლება დანაწილების წარმმართველი და დეფიციტის შენარჩუნებით დაინტერესებული სოციალური ფენის წარმოქმნით. უფრო მნიშვნელოვანი სხვა გარემოებაა: ასეთი სისტემა კონტრაპროდუქტულია, მისგან არ მომდინარეობს მატერიალური რესურსების ეფექტიანი გამოყენების, მატერიალურ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა ბაზაზე წარმოების გაფართოების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების არც ერთი სტიმული. მაქსიმუმში, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, ეს არის ეკონომიკის იმ სტრუქტურის კვლავწარმოება, რომელიც მრავალი წლის წინათ ჩამოყალიბდა, ე.ი. მოთხოვნილებების უდიდესი ნაწილის დაუკმაყოფილებლობით ჩამორჩენილობის, ხარისხის დაბალი სტანდარტების და ა.შ. კონსერვაცია.

როგორც პირველ ლექციაში აღვნიშნეთ, მოთხოვნილებისა და მოხმარების დაშორიშორება ჩვეულებრივი მოვლენაა. ეს ნებისმიერ ეკონომიკაში ხდება, მაგრამ თუ პრაქტიკას დავეყრდნობით, იგი დეფიციტად მხოლოდ იქ გადაიქცევა, სადაც ბატონობს ნატურალური განაწილება.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა სიტუაცია, როცა უახლესი მაღალეფექტიანი კომპიუტერული ტექნიკის მიწოდება ჩამორჩებოდა მოთხოვნის ზრდას. წარმოიშვა საქონლის უკმარისობა, როგორც მოთხოვნილებებსა და მოხმარებას შორის შეუსაბამობის გამოხატულება. მაგრამ არავის არ უფიქრია ამ პრობლემის გადაწყვეტა მოეძებნა ნორმირებული განაწილების სხვადასხვა ვარიანტში. კორპორაციებისაგან მოეთხოვა განაცხადები კომპიუტერებზე, დაგეგმვა, ფონდები და სხვ. ამის ნაცვლად მიიღეს ზომები, რომლებიც ითვალისწინებდნენ კომპიუტერული ტექნიკის ბაზრების

შემდგომ ლიბერალიზაციას, ეროვნული წარმოების სახელმწიფოებრივ სტიმულირებას. მართალია, დასაწყისში ფასები გაიზარდა, მაგრამ შემდეგ, როცა ბაზრის მექანიზმმა მთელი ძალით დაიწყო მუშაობა, სწრაფად განვითარდა წარმოება და გაფართოვდა გაყიდვა, რაც დაუყოვნებლივ აისახა ფასებში. ამის შედეგად მომხმარებელმა მიიღო სასურველი პროდუქცია, რომელიც თანდათან იაფდებოდა. კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატების საშინაო ბაზარზე 1982-1987 წწ. ფასები საშუალოდ შემცირდა პერსონალურ კომპიუტერებზე 62,4%-ით, დისკლებზე – 65%-ით, პრინტერებზე – 93,2%-ით\*

როგორც ჩანს, განვითარებული ინფრასტრუქტურის პირობებში ბაზრები საკმაოდ ეფექტიანად ძლევენ საქონლის დროებით უკმარისობას და, რაც მთავარია, არ აძლევენ მას ფესვების გადგმის, დეფიციტად გადაქცევის შესაძლებლობას. მიზეზი უბრალოა: საქონლის ბაზრების ინფრასტრუქტურას აქვს უნარი, მიიღოს ის სიგნალები, რომლებიც მოთხოვნისა და მოთხოვნილებისაგან გამომდინარეობენ და ადევნატური რეაგირება მოახდინონ მათზე, მაშინ როცა ნატურალური განაწილების სისტემას ასეთი თვისებები არ გააჩნია.

თუ ფასიანი ქაღალდების ბაზარს ავიღებთ, იქ საფონდო ბირჟა ბატონობს, სადაც ხდება აქციებისა და ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვა, ყალიბდება მათი საბაზრო კურსი. ბირჟა აერთიანებს მომავალ ინვესტორსა და დანაზოგის მფლობელს, ახდენს დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი ფინანსური ნაკადების გადაადგილების ორგანიზაციას, რომლის გარეშე, როგორც ჩანს, საბაზრო სისტემას ფუნქციონირება არ შეუძლია. მას აქვს საკუთარი ინფრასტრუქტურაც, რომელიც, სახელდობრ, შედგება იმ საბროკერო კომპანიების ქსელისაგან, რომელთაც მათი კლიენტები ავალებენ საბირჟო ოპერაციების რეალურ შესრულებას.

საფონდო ბირჟა, ერთი მხრივ, დანაზოგების მოზიდვითა და ინვესტიციების დაფინანსების ხელშეწყობით საქონლის ბაზრებს აკონტროლებს, მეორე მხრივ ის მკიდრო კავშირშია ფულის ბაზრებთან, იქ მოქმედ საბანკო სისტემასთან. კავშირის ერთი არხი გადის დანაზოგებზე. რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ბირჟასა და ბანკს შუა მოძრაობს. მეორე არხი წარმოქმნილია აქციების კურსისა და სარგებლის განაკვეთების ურთიერთქმედებით. დაბოლოს, როგორც შემდგომ იქნება ნაჩვენები, ცენტრალური ბანკის განმგებლობაშია ის რეგულატორი (სახელმწიფო ობლტგაციებით ოპერაციები), რომელსაც შესწევს უნარი,

\* Survcy of current business. Washington, 1988, vol. 68, N11. p.22



ერთდროულად ზემოქმედება მოახდინოს ფულისა და ფასიანი ქაღალდების ბაზრებზე.

ამრიგად, საფონდო ბირჟა წარმოადგენს ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინფრასტრუქტურის წამყვან ელემენტს, რომელსაც მოქმედების საკმაოდ ფართო დიაპაზონი გააჩნია. საბოლოო ანგარიშით ეს იმით აიხსნება, რომ საბაზრო ეკონომიკაში წარმოების ძირითადი ნაწილის ორგანიზაციას სააქციო საზოგადოებები (კორპორაციები) ახორციელებენ, რომელთა არსებობა საფონდო ბირჟის გარეშე წარმოდგენილია. რაც უფრო მეტადაა გაერცვლებული საყუთრების აქციონერული ფორმა, მით უფრო მნიშვნელოვანია ფასიანი ქაღალდების, ბაზრისა და ბირჟის როლი, მით უფრო ძლიერია მათი გავლენა საბაზრო სისტემის სხვა რგოლებზე.

ფასიანი ქაღალდების ყველაზე გავრცელებულ სახედ სამართლიანად ითვლება აქციები. შეგახსენებთ, რომ მათ უშეებენ კორპორაციები დამატებითი კაპიტალის მოზიდვის მიზნით. აქციის მყიდველები კორპორაციის თანამფლობელნი ხდებიან, რის საფუძველზეც მათ მოგების წილის მიღების პრეტენზია აქვთ და აქციების სახეობების მიხედვით მონაწილეობენ მართვაში.

საფონდო ბირჟაზე მიმოიქცევა არა მხოლოდ აქციები, არამედ ობლიგაციებიც, რომლებიც შემოაქვს როგორც სახელმწიფოს, ისე ეკონომიკური სისტემის მრავალ სხვა მონაწილეს. თუმცა სარგებელი ობლიგაციაზე შეიძლება იყოს მუდმივიც და ცვალებადიც, მაგრამ არასოდეს არ ეცემა გარკვეული, წინასწარ დადგენილი დონის ქვევით. ეს ნიშნავს, რომ აქციონერისაგან განსხვავებით, ობლიგაციის მფლობელს არსებითად არ ეხება მისი გამომშვები საწარმოს საბაზრო ბედი (რა თქმა უნდა, გაოტრების სიტუაციის გამოკლებით), არაფერს არ კარგავს მაშინაც კი, როცა ამ საწარმოს ფინანსური მდგომარეობა უარესდება.

საფონდო ბირჟაზე აქციები და ობლიგაციები იყიდება საბაზრო ფასით, რომელიც განსაზღვრავს მათ კურსს. ისე როგორც ნებისმიერ სხვა ბაზარზე, ფასიანი ქაღალდების კურსი, პირველ ყოვლისა, მოთხოვნისა და მიწოდების ცვალებადობითაა განპირობებული.

ჭერ განვიხილოთ მოთხოვნა. იგი დამოკიდებულია იმათ შემოსავალზე, ვისაც გადაწყვეტილი აქვთ ფასიანი ქაღალდების ყიდვა და იმათზეც, თუ როგორ გაანაწილებენ ისინი თავიანთ დანაზოგს. ასეთი განაწილება, როგორც დავრწმუნდით, მოსალოდნელი დივიდენდების სიდიდესა და სარგებლის დონეზეა დამოკიდებული. მაგრამ ფასიანი ქაღალდები ხომ სხვადასხვაგვარია. მაგალითად, ცხადია, რომ რაც უფრო მეტია მოთხოვნა აქციებზე, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ნაკლებია მოთხოვნა ობლიგაციებზე, და პირიქით.

თითქოს არავითარ ექვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მყოფელმა უპირატესობა აქციებთან შედარებით ობლიგაციებს უნდა მიანიჭოს, მართლაც, ობლიგაციის მფლობელები დაცულნი არიან საბირჟო კონიუნქტურის მოულოდნელი ცვალებადობებისაგან. მათ ყოველთვის შეუძლიათ ჰქონდეთ სტაბილური შემოსავლის იმედი. უფრო მეტიც, თუ აქციონერი თავის ფულს კორპორაციას მუდმივად აძლევს, ობლიგაციის მფლობელი მხოლოდ აკრედიტებს მას, რადგან გარკვეული დროის შემდეგ უბრუნდება ფასიანი ქაღალდების შექენაზე დახარჯული თანხა.

მაგრამ, დავუშვათ, ეკონომიკაში არის ხანგრძლივი აღმასვლა. იზრდება წარმოება და მოგება და მასთან ერთად აქციონერის დივიდენდებიც. ეს აღმავლობა, როგორც იტყვიან, გვერდს უვლის ობლიგაციების მესაყუთრეს, რომელიც ერთ ადგილზეა და კმაყოფილდება თავისი სტაბილური შემოსავლით. მსგავსი რამ შეინიშნება ისეთ სიტუაციაში, როცა ეკონომიკაში ვითარდება ინფლაციის პროცესი. აქციონერი იმედოვნებს, თუნდაც ინფლაციურ, მაგრამ მაინც შემოსავლის ზრდაზე. მაშინ, როცა ობლიგაციის მფლობელი სრულიად დაუსაცელია და ვერ აცდება მისთვის განკუთვნილი სარგებლის რეალური ფასის შემცირებას.

გამოდის, რომ ფასიანი ქაღალდებზე მოთხოვნის სტრუქტურა განისაზღვრება საერთო ეკონომიკური ხასიათის ფაქტორებით, რომელთა დინამიკის წინასწარ გამოცნობა მეტად რთულია. ვთქვათ, თუ მოსალოდნელია ეკონომიკური აღმავლობა, მაშინ ყველაზე მომგებიანია საყუთარი ფულის აქციებში დაბანდება. როცა შეიქმნება დაცემის საფრთხე, მაშინ უფრო უშიშარია მისი ობლიგაციებში გადატანა. ანალოგიურად მსჯელობენ აქციების გამყიდველებიც. კორპორაციის მენეჯერები ლებულობენ რა გადაწყვეტილებას, სახელდობრ რომელი ფასიანი ქაღალდები გაუშვან საფონდო ბირჟაზე, პირველ რიგში ხელმძღვანელობენ არსებული მოთხოვნით, მაშასადამე ყურადღებას აქცევენ მოსალოდნელი დივიდენდის დონეს, საბანკო სარგებლის მოძრაობასა და საერთო ეკონომიკური სიტუაციის პროგნოზს. ამრიგად, ინფლაციის პირობებში ფირმები ხშირად ცდილობენ, იმ ვარაუდით გაავრცელონ ობლიგაციები, რომ მათი მფლობელების ვალს უკვე გაუფასურებული ფულით დაფარავენ.

ფასიანი ქაღალდების მიწოდების სტრუქტურა დამოკიდებულია აგრეთვე მაკროეკონომიკური ხასიათის ფაქტორებზე. თუ, დავუშვათ, კორპორაციას განზრახული აქვს, არ შეცვალოს თავისი სამეურნეო სტრატეგია, იგი კაპიტალების მოზიდვას ობლიგაციების ემისიით ცდილობს. ეს სასებით გასაგებია: სხვა გადაწყვეტილების (აქციების

გამოშვებისას) მიღების დროს ანგარიშგასაწევია მართვაში მონაწილეობის უფლების მქონე აქციონერების აზრი, რასაც შეიძლება მოჰყვეს ფირმის ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა. როცა ის მოქმედებს დინამიკურ საბაზრო გარემოში, რომელიც მოთხოვნის მაღალი ცვალებადობით ხასიათდება, პრიორიტეტს ჩვეულებრივ აქციები ღებულობენ. მათი გაყიდვით მიღებული ფულადი რესურსები კორპორაციის საკუთრებად იქცევა და მოქნილი ფინანსური მანევრირების განხორციელების შესაძლებლობას იძლევა. ობლიგაციების გამოშვება კი მაინც ბოჭავს მას, აიძულებს, რეგულარულად გადაიხადოს ვალზე პროცენტი იმისდა მიუხედავად, როგორი საბაზრო კონიუნქტურა ჩამოყალიბდება.

რამდენადაც სახელმწიფო განაგებს ზემოქმედების საკმაოდ ძლიერ საშუალებებს, ყოველ შემთხვევაში, სარგებლის განაკვეთზე, იმდენად ფასიანი ქაღალდების ბაზარი მთლიანად შეიძლება რეგულირებადთა რიგს მიეკუთვნოს. მართლაც, როცა სახელმწიფო, მაგალითად, ფულად რეგულატორებს რთავს და სარგებლის განაკვეთების დროებით შემცირებას აღწევს, ამით აქციების კურსის ხანმოკლე ამალღების ვარაუდის საფუძველს ქნის. ამასთან, ხაზგასმითაა აღსანიშნავი: სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ პირდაპირ იმოქმედოს იმაზე, რაც საფონდო ბირჟაზე ხდება. საქმე აქ მხოლოდ ის კი არ არის, რომ იგი ვერ ბატონობს იმ საერთო ეკონომიკურ სიტუაციაზე, რომელზეც დამოკიდებულია ფასიანი ქაღალდების მოთხოვნაცა და მიწოდებაც. საბირჟო კოტირება მრავალი სხვა, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური და ა.შ. ფაქტორების ზეგავლენას განიცდის, რომელთაც არაფერი აკავშირებთ არც დივიდენდთან, არც სარგებელთან, არც აქციებისა და ობლიგაციების მყიდველებისა და გამყიდველების ქცევის მიკროეკონომიკურ მოტივებთან. ალბათ შესაძლებელია იმის მტკიცებაც, რომ ბირჟა ეკონომიკის საბაზრო მექანიზმის მეტად მგრძნობიარე ელემენტია, რომელზეც თვით ყველაზე სუსტი სიგნალებიც კი ძლიერ რეაგირებს.

საბირჟო ოპერაციების განხორციელების მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგაა ცნობილი შემოსავლების ცვლილებებში გამოხატული მათი საბოლოო შედეგები. ამიტომ საბირჟო გარიგებების საფუძველია მოლოდინი — საალბათო შეფასება იმისა, თუ რომელი ფაქტორები განსაზღვრავს აქციის კურსს და როგორ აისახება ისინი მასში. მაგალითად, მარტოოდენ ერთ ცნობას მოტოციკლების წარმოების იმ ახალი ტექნოლოგიის შესახებ, რომლის კომერციული ათვისება გააუმჯობესებს მათ ხარისხობრივ მახასიათებლებს, ველოსიპედის ბიზნესის აქციების კურსის დაცემა შეუძლია. მათ მფლობელებს ეშინიათ

ველოსიპედებზე მოთხოვნის მოსალოდნელი შემცირების, თავიანთი კაპიტალების სხვა დარგებში გადატანას ამჯობინებენ. ბირჟა აუცილებლად რეაგირებს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ყოველ ცვლილებაზე, თვით მის იმ პოტენციურ შესაძლებლობაზეც, რომელიც დაკავშირებულია, დავუშვათ, მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობის რაღაც ცვლილებებთან. აქციების კურსის მოძრაობასთან უფრო ზოგადი ხასიათის ფსიქოლოგიური ტენდენციებიცაა კავშირში. სახელდობრ, აქციის კურსის დაცემა, განსაკუთრებით თუ ის საკმაოდ მყარია, ხშირად მასობრივ ცვლილებებს წარმოშობს მყიდველთა ფსიქოლოგიაში, იწვევს ფასიან ქაღალდებზე მოთხოვნის შემდგომ შემცირებას, რის გამოც კურსი კიდევ უფრო მკვეთრად ეცემა. სხვაგვარადაც ხდება. აქციის კურსის ხანგრძლივი ზრდა სტიმულს აძლევს აქციების შექმნით დაინტერესებულთ, განსაკუთრებით მათზე მოთხოვნის მოზღვაებას, რაც ფასიანი ქაღალდების კურსის სწრაფ ამაღლებას იწვევს.

ამრიგად, საბირჟო კოტირება დამოკიდებულია არა მხოლოდ ეკონომიკის მდგომარეობაზე, არამედ ისეთ მიზეზებზეც, რომლებიც მასთან არაფრით არ არიან დაკავშირებული. გამოდის, რომ მას შემდეგ, რაც საწარმომ გაყდა აქციები და ამით შექლო დამატებითი კაპიტალის დაბანდება, მის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები იწყებენ საყვებით დამოუკიდებელ საბირჟო ცხოვრებას. ისინი შეიძლება ხელიდან ხელში რამდენჯერმე გადავიდნენ, საბირჟო სპეკულაციის ობიექტად გადაიქცნენ, მათი ფასი კი მრავალ გაუთვალისწინებელ ფაქტორზე გახდეს დამოკიდებული. ამიტომ, ამჟამად აქციის კურსი სრულად როდი ასახავს იმ მდგომარეობას, რომელშიც სახალხო მეურნეობაა. მაგალითად, 1987 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გაყიდული აქციების შეჯამებული ღირებულება 2284 მლრდ დოლარს უდრიდა, ხოლო ერთობლივი ინვესტიციების მოცულობა ჰეიქნის ეკონომიკაში შეადგენდა მხოლოდ 713 მლრდ. დოლარს.\* ასეთი შედარება კიდევ უფრო მეტყველი იქნება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბირჟას არ გაივლის კაპიტალდაბანდებების მთელი ნაკადი. არის აგრეთვე მოგების დანაზოგი ნაწილი და საბანკო კრედიტები. აღნიშნულმა განსხვავებამ გაახშირა ისეთი სიტუაციები, როცა ეკონომიკის ზრდას თან სდევს აქციების კურსის პერიოდული დაცემა, რომელიც ვერ ახდენს თუნდაც რამდენადმე შესამჩნევ გაულენას მის რეალურ მდგომარეობაზე. ეს მრავალჯერ გამოვლინდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 80-იანი წლების მეორე ნახევარში და 90-იანი წლების დასაწყისში.

\* Survey of current business. Washington, 1968, vol 68, N11, p. 5-16,10.

საკრედიტო სისტემის არსის გარკვევისათვის საჭიროა ერთხელ კიდევ აღწეროთ საბაზრო მექანიზმი. ის, ვინც პირველ ლექციას გაეცნო, ყურადღებას მიაქცევდა კავშირს, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, მოთხოვნის, ფასების, მოგების ნორმის ზრდასა და, მეორე მხრივ, კაპიტალის ნაკადს შორის. მაგრამ ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ კონკურენციის მონაწილეს საჭირო მომენტში არ აღმოაჩნდეს კაპიტალის ის რაოდენობა, რაც საკმარისია მოთხოვნის დონემდე მიწოდების გაფართოებისათვის. საუკუნით შესაძლებელია, რომ სხვა მონაწილეებს ამავე პერიოდში საწინააღმდეგო ხასიათის პრობლემები აწუხებდეთ, ქარბი ფულადი სახსრების, დაეუშვათ, დანაზოგის დაბანდება. წარმოიშობა წინააღმდეგობა, რომელთა გადაწყვეტამდე დანაზოგები ვერ იქცევა ინვესტიციებად.

ამრიგად, საბაზრო ეკონომიკა გვერდს ვერ აუვლის იმ ინფრასტრუქტურას, რომელიც აღნიშნული წინააღმდეგობის გადაწყვეტას ემსახურება. მხედველობაშია საკრედიტო სისტემა. მას ქმნის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, პროფკავშირები და ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის ფონდები. რომელთაც აქვთ კომერციული საქმიანობის უფლება. ერთი სიტყვით, ყველას, ვისაც დროებით თავისუფალი სახსრების მობილიზაციის, მათი კრედიტებად და შემდეგ კაპიტალდაბანდებად გადაქცევის უნარი შესწევს. პრაქტიკაში არსებობს ამ სახსრების მომგებიანი გამოყენების მრავალი ვარიანტი, მაშინ როდესაც, დაეუშვათ, პროფკავშირების ფონდები ინვესტირდება აქციებში, სესხად კომერციულ ბანკებს გადაეცემათ და ა.შ. თანამედროვე ეკონომიკაში შეუძლებელია ერთი მანეთის ან დოლარის მოცდენაც კი, მათი ღიდი ხნით ამოვარდნა საბაზრო პროცესიდან.

რაც შეეხება საკრედიტო ინფრასტრუქტურის შემადგენელ ბირთვის – საბანკო სისტემას, ყველაზე ეფექტიანია მისი ორიარუსიანი აგებულება. პირველი იარუსი ცენტრალურ (სახელმწიფო) ბანკს უკავია, რომელიც მთლიანად აგებს პასუხს ფულის მიმოქცევის მდგომარეობაზე. როგორც მესამე თავში მოცემულმა ფულის ბაზრის ანალიზმა გვიჩვენა, ცენტრალური ბანკის სტრატეგიული ამოცანა ეკონომიკის არაინფლაციური განვითარების პირობების შექმნაა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ცენტრალურმა ბანკმა უნდა დაიცვას ქვეყანა ინფლაციისაგან და იგი არანაკლებ საიმედოდ უნდა გააყეთოს. ვიდრე არმია, რომელიც მის საზღვრებს იცავს. ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა დაემორჩილოს სხვა, არასახელმწიფოებრივი ბანკების მმართველობის მთელი სისტემა. მათ შორის გამოიყოფა კომერციული, იპოთეკური (ფულს იძლევა უძრავი

ჭონების დაჯირაფებით), ინოვაციური (აკრედიტებენ ტექნოლოგიურ სიახლეთა დამუშავებასა და ათვისებას), ინვესტიციური ბანკები. აღსანიშნავია, რომ კომერციული ბანკი უკვე დიდი ხანია, რაც აღარ იფარგლება, ასე ვთქვათ, ტვირთგადასაცლელი ფულადი ბაზის როლით (ანაბრების მიღება და მათი კრედიტებად გადაქცევა) და ასრულებს ათეულობით სხვა ოპერაციას.

ცენტრალური ბანკის პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი. ამ ცნებაში იგულისხმება სარგებელი იმ კრედიტზე, რომელსაც ცენტრალური ბანკი აძლევს ყველა სხვა ბანკს. დავუშვათ, თუ შემჩნევა ინფლაციური პროცესის დაჩქარება, ცენტრალური ბანკი, რომელიც მოვალეა წინააღმდეგობა გაუწიოს მას, როგორც წესი, ზრდის განაკვეთს. ამის შედეგად სულ ცოტა სამი ეფექტი მიიღება.

პირველ ყოვლისა, ზოგიერთ ბანკს არა აქვს საშუალება, ისარგებლოს ძვირი სახელმწიფო კრედიტით. ცხადია, ცენტრალური ბანკიდან სესხების მიღების რაც უფრო ნაკლები მსურველია, მით უფრო დაბალია მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის სიჩქარე. თუკი ბანკი მაინც შეძლებს ძვირადღირებული კრედიტის შეძენას, მას მოუწევს თავისი ოპერაციების ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება, მხოლოდ ისეთი პროექტების დაკრედიტება, რომლებიც ყველაზე უკეთესადაა მოთხოვნაზე ორიენტირებულნი და საკმაოდ მაღალ მოგებას ჰპირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრალურ ბანკთან ანგარიშის გასწორება გაძნელდება. დაბოლოს, კომერციული ბანკები, სარგებლის ამაღლების გამო, ბუნებრივია, არ ისურვებენ ჰქონდეთ ფინანსური დანაკარგები და შეეცდებიან, ისინი თავის კლიენტებს გადააქისროს. ამის შედეგად, ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთების ზრდას ამ ბანკების მიერ გაცემული კრედიტის გაძვირება მოჰყვება. ასეთ შემთხვევაში მოსალოდნელია ფულზე მოთხოვნის შემცირება, მამასადამე. ფულადი მასის მოცულობის უფრო ნელი მატებაც.

მსოფლიო გამოცდილების მიხედვით, ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთის ზრდა ინფლაციასთან ბრძოლის ეფექტიანი საშუალებაა. ამასთან, ცენტრალური ბანკის ამგვარ ქმედებას აუცილებლად მოსდევს ნეგატიური ეფექტები საქონლის ბაზრებზე, წარმოების სფეროში. გაიხსენოთ: რაც უფრო ძვირია კრედიტი, მით უფრო დაბალია ინვესტიციებისადმი მიდრეკილება, ძნელია კაპიტალდაბანდებების დაფინანსება და ნელა ვითარდება სახალხო მეურნეობა. შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ განაკვეთის სწრაფი ამაღლებით ცენტრალურ ბანკს შეუძლია ინფლაციასთან ერთად თვით ინვესტიციური პროცესიც ჩაახშოს. ამის

თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ წინასწარ უნდა იზრუნოს მსგავსი ეფექტების კომპენსაციისათვის, დროულად ჩართოს შესაბამისი ამორტიზატორები. ასეთი ამორტიზატორი შეიძლება იყოს, მაგალითად, მოგებაზე გადასახადის განაკვეთი, გადასახადის გადასახდელად გამიზნული სპეციალური კრედიტი და სხვ. რაც შეეხება საგადასახადო განაკვეთს, მაშინ, როცა კრედიტი ძვირია, ის ალბათ უნდა შემცირდეს, რაც საწარმოებს თვითდაფინანსების გამოყენების, მოგების წინანდელზე უფრო მეტი ნაწილის ინვესტიციებისათვის გამოყოფის შესაძლებლობას მისცემს.

ცენტრალური ბანკის მეორე იარაღია – სავალდებულო რეზერვების ნორმა. მის შესაბამისად გაიანგარიშება ფულადი თანხა, რომლის სესხად გაცემის უფლება კომერციულ ბანკს არა აქვს და მოვალეა ჰქონდეს თავის ანგარიშზე ცენტრალურ ბანკში. ინფლაციურ სიტუაციაში, როცა საჭიროა მიმოქცევაში ფულის მასის ზრდის შენელება, ცენტრალური ბანკი ზრდის სავალდებულო რეზერვების ნორმას. თუკი სიტუაცია სხვაგვარად ყლიბდება და აუცილებელია ფულის რაოდენობის გადიდება, ის იწყებს საწინააღმდეგო მოქმედებას. რეზერვების ნორმა მცირდება და კომერციული ბანკები, რომლებსაც "გაყინული" ჰქონდათ თავიანთი სახსრების ნაწილი, კრედიტებად აქცევენ მას.

შევნიშნავთ, რომ სავალდებულო რეზერვების ნორმათა ხანგრძლივი გამოყენებისას ფულის ემისია თანდათან კარგავს ეკონომიკურ მნიშვნელობას. მართლაც, რაც უფრო დიდხანს გამოიყენება რეგულირების ეს წესი, რაც უფრო დიდია ცენტრალურ ბანკებში რეზერვირებული კომერციული ბანკების რესურსების მოცულობა, მით უფრო ნაკლებად აქვს აზრი ახალი ფულის ბეჭდვასა და მათ გამოშვებას მიმოქცევაში. ვთქვათ, იმისათვის, რომ გაიზარდოს ფულის მასა, საკმარისია ცენტრალურმა ბანკმა მხოლოდ შეამციროს რეზერვების ნორმა. მაშასადამე, ემისია უფრო მეტად გაცვეთილი ფულადი ნიშნების შეცვლის ტექნიკურ ღონისძიებად იქცევა.

ცენტრალურ ბანკს ფულის მასის კიდევ ერთი რეგულატორი აქვს. ლაპარაკია ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფოს სავალდებულებათა ოპერაციების შესახებ. განვიხილოთ მისი მოქმედება პირობით მათგან.

დაეუშვათ, დანაზოგის მფლობელმა გადაწყვიტა მთავრობისათვის 1000 მანეთის სესხება. ამას იგი ახორციელებს სახელმწიფო სესხის ობლიგაციების შექენით, რის შედეგადაც ის გახდება მთავრობის კრედიტორი. უკანასკნელი დაეუფლება 1000 მანეთს და ამ ფულს იგი გამოიყენებს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად. ეს თანხა

შეიძლება შევიდეს გენერლის ხელფასში, გადაიქცეს უმუშევრის დახმარებად და სხვ. გასაგებია, რომ სახსრების ასეთი გადაადგილება ფულადი მასის საერთო მოცულობას არ შეეხება და ე.ი. ინფლაციასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სუბიექტი ხომ ფულს არ ბეჭდავს, ის მხოლოდ სარგებლობს იმ მარაგით, რაც უკვე დაგროვილია ეკონომიკაში.

სიტუაცია იცვლება, როცა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ბაზრის ცნობილ ფიგურანტებს (დანაზოგის მფლობელებსა და მთავრობას) შეუერთდება მესამე – ცენტრალური ბანკი. რადგან ცენტრალური ბანკი, დროადადრო მთავრობისათვის სესხების მიცემით, მუდამ იმყოფება მასთან კონტაქტში, ამიტომ იგი ყოველთვის ფლობს სახელმწიფო საჯარო ხელწერილების ტევად პორთფელს. მაგალითად, 1988 წ. ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ სარეზერვო სისტემას (ფრს), რომელიც ამ ჰეგსონაში ცენტრალური ბანკის ფუნქციებს ასრულებს, 228 მლრდ დოლარის სახელმწიფო ობლიგაციები ჰქონდა, რაც მთლიანი სახელმწიფო ვალის თითქმის 9%-ს შეადგენდა.\* ობლიგაციების მესაქუთრე ცენტრალურ ბანკს, ბუნებრივია, თავისი შეხედულებისამებრ მათი განკარგვის უფლება აქვს. კერძოდ, სახელმწიფო, ვალის ყიდვა-გაყიდვის ამ ოპერაციებს ფულადი მასის რეგულირების მეთოდად აქცევს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კეთდება სახელმწიფო ბიუჯეტის მდგომარეობისაგან დამოუკიდებლად, კერძოდ იმისაგან, არის თუ არა იქ დეფიციტი. სახელმწიფო ბანკი ყოველთვის ატარებს დამოუკიდებელ პოლიტიკას და ფასიანი ქაღალდების ბაზარზე გამოდის სახელმწიფო ობლიგაციების ხან მყიდველად, ხან გამყიდველად.

დავუშვათ, ცენტრალურ ბანკს სურს გაზარდოს ფულის რაოდენობა მიმოქცევაში. მაშინ ის ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შეისყიდის სახელმწიფო საჯარო ვალდებულებებს. სუბიექტი, რომელმაც ფული ასესხა სახელმწიფოს, თავის კუთვნილ სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს იმ შემთხვევაში მიჰყიდის ცენტრალურ ბანკს, თუ მისგან მიიღებს, დავუშვათ, 1100 მანეთს. წინააღმდეგ შემთხვევაში ობლიგაციის მფლობელის მიერ ცენტრალურ ბანკთან კავშირის დამყარებას აზრი არა აქვს.

მკითხველმა შეიძლება იკითხოვს: აკი მთავრობა, რომელიც ახლა სუბიექტის კი არაა, არამედ ცენტრალური ბანკის მეცალე გახდა, გაუსწორდება მას – დაუბრუნებს ვალს, თანაც სარგებლით. შეიძლება სწორედ იგივე თანხა – 100 მანეთი გამოვიდეს. მაშ, საიდანღა მიიღება ფულის მასის ნამატი? ყოველივე ეს, მართალია, სწორედ ასეც ხდება,

\* Federal reserve bulletin, Washington, 1989, p.75, N1, p.A30.



მაგრამ მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ. ფული კი, რომელიც ცენტრალურმა ბანკმა ობლიგაციის ყოფილ მფლობელს გადაუხადა, დაუყოვნებლივ მოხვდება მიმოქცევაში. თუ ახლა იმას წარმოვიდგინოთ, რომ ცენტრალური ბანკი ასეთ საჭმეებს სისტემატურად ეწევა, მუდმივად მონაწილეობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მუშაობაში, მაშინ აღმოჩნდება, რომ მის მიერ სახელმწიფო სავალო ხელწერილების ყიდვა ნიშნავს ფულის მოცულობის გაზრდას მიმოქცევაში.

სწორედ ასე იქცევა ფსს. მაგალითად, 80-იანი წლების მეორე ნახევარში, როცა ამერიკის ეკონომიკაში ხანგრძლივი აღმავლობა შეინიშნებოდა, ფსს ხელს უწყობდა მას ფასიანი ქაღალდების ბაზარზე სახელმწიფო ობლიგაციების მასობრივი შესყიდვით. ამგვარი ოპერაციების მოცულობა წლიურად 20-დან 30 მლრდ დოლარის ფარგლებში იყო, მაშინ, როცა სახელმწიფო სავალო ვალდებულებათა გაყიდვის მასშტაბები 2 - 4 მლრდ დოლარს არ აღემატებოდა. თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების დაგროვილ მარაგს /228 მლრდ დოლარს 1988 წელში/, მაშინ ნათელი გახდება, რომ ფსს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკის ანტიინფლაციური რეგულირების დიდ რეზერვებს ფლობს. სახელმწიფო სავალო ვალდებულებაზე ფსს-ის მოთხოვნის მკვეთრი მოზღვაება მხოლოდ 1987 წელს დაფიქსირდა /37 მლრდ დოლარი, ნაცვლად 24 მლრდ დოლარისა 1986წ./.\* ეს მეტად საგულისხმო პრაქტიკაა, რადგან სწორედ ამ დროს მოხდა კრიზისი ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე. ამგვარი მოქმედებით ფსს ცდილობდა ფულის მიწოდების გაზრდას, სარგებლის განაკვეთების შემცირებასა და, მაშასადამე, აქციების კურსის ამაღლებას.

მდგომარეობა სულ სხვაგვარადაა, როცა ცენტრალური ბანკი ეწინააღმდეგება ინფლაციას და ფულის მასის ზრდის შენელებას ცდილობს, ასეთ შემთხვევაში ის ყიდის თავის განკარგულებაში არსებულ სახელმწიფო ობლიგაციებს. ეს უკანასკნელი გადაინაცვლებს კერძო მფლობელებთან, ხოლო ამ ოპერაციის შედეგად მიღებული ფული ამოიღება მიმოქცევიდან და დაბინადრდება ცენტრალური ბანკის რეზერვებში. იქ კვლავ მოქმედებას იწყებს დროის ფაქტორი. ცენტრალური ბანკიდან სახელმწიფოს მიერ ნასესხი ფული საკმაოდ ნელა ბრუნდება უკან. იგი სახელმწიფო ობლიგაციების დაფარვის წინასწარ დადგენილ ვადაზეა დამოკიდებული. სამაგიეროდ, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე რეგულარული შერჩევა შესაძლებლობას აძლევს ცენტრალურ ბანკს,

\* Federal reserve bulletin. Washington, 1989, vol. 75. N1, p.A9.

შედარებით სწრაფად ამოქაჩოს ფული მიმოქცევიდან და ამით ქმედით გაელენა მოახდინოს ინფლაციური პროცესის მიმდინარეობაზე.

ასეთია ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული ფულადი მასისადმი კონტროლის ძირითადი რეგულატორები. პირველ ორს მოძრაობაში მოჰყავს არაპირდაპირი მოქმედების მექანიზმები, რომელთა მუშაობაში მონაწილეობს როგორც ცენტრალური ბანკის, ისე საბანკო სისტემის სხვა ელემენტები. ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთისა და სავალდებულო რეზერვების ნორმის შეცვლით, ცენტრალური ბანკი განსაზღვრავს ამ სისტემის ქცევის მიმართულებას, იყენებს მას სახალხომეურნეობრივი, პირველ ყოვლისა, ინფლაციის პრობლემების გადაწყვეტაში და, მაშასადამე, მართავს მას. მესამე რეგულატორის გამოყენებით ცენტრალური ბანკი უკვე უშუალოდ ახდენს გაელენას ფულის მიმოქცევის მდგომარეობაზე. აღვნიშნავთ, რომ სწორედ იგი ფლობს ფულად მასაზე ზემოქმედების უდიდეს ძალას.

რამდენადაც საბაზრო ინფრასტრუქტურის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს ცენტრალური /სახელმწიფო/ ბანკი, ამდენად უნდა განისაზღვროს. თუ როგორ თავსდება მისი ეს მეთოდები იმ შეზღუდვებში, რაც მეორე ლექციაშია ჩამოყალიბებული. მხედველობაშია საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს დასაშვები საზღვრები. მარსებობს იმის მტკიცების საფუძველი, რომ ცენტრალური ბანკის პოლიტიკის სამივე ვარიანტი წარმატებით უძლებს ასეთ გამოცდას. ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, რეზერვების ნორმა, სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებით ოპერაციები ფულის ბაზარს კი არ ანგრევენ, არამედ მხოლოდ არაპირდაპირ ზემოქმედებენ მასზე. მართლაც, როცა, დაეუშვათ, იზრდება განაკვეთი, კომერციულ ბანკს შეუძლია სესხის მიღება ცენტრალური ბანკიდან, მაგრამ შეუძლია არ გააკეთოს ეს. დანაზოგის მფლობელსაც არაფერ აიძულებს, მიჰყდოს სახელმწიფო ობლიგაციები ცენტრალურ ბანკს ან იყდოს მისგან ისინი. უფრო მეტად ინსტრუმენტია სავალდებულო რეზერვების ნორმა. მაგრამ არც ამას არა აქვს რაიმე საერთო ადმინისტრაციულ კონტროლთან კომერციულ ბანკებში სარგებლის განაკვეთებზე, კრედიტების ვადებზე და ა.შ. ასე რომ, ცენტრალური ბანკის მიერ გამოყენებული ფულადი მასის რეგულირების ხერხები ეკონომიკურად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მათ გარეშე სახელმწიფოს არ შეუძლია შეასრულოს თავისი ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – მოამარაგოს მეურნეობა საჭირო ფულის რაოდენობით და ამით უზრუნველყოს საბაზრო სისტემის ნორმალური, არაინფლაციური ფუნქციონირება.

ცენტრალურ ბანკს შეუძლია ეფექტიანად გააყეთოს ის, რაც მას ევალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა არ არის დამოკიდებული აღმასრულებელ ხელისუფლებაზე და ემორჩილება მხოლოდ კანონს. რატომ? იმიტომ, რომ, როგორც მრავალწლიანი მსოფლიო პრაქტიკა მოწმობს, ნებისმიერ მთავრობას არასოდეს არ ჰყოფნის ფული ყველა თავისი ჩანაფიქრის რეალიზაციისათვის. ბიუჯეტის შექმნა, ხარჯების დაფინანსების წყაროების გამოძებნა იყო, არის და კვლავ დიდხანს იქნება ერთ-ერთი მისი მნიშვნელოვანი პრობლემათაგანი. მაგრამ, ვინაიდან ცენტრალური ბანკი მთავრობის ხელქვეითია, მხოლოდ საბაბია საპოვნის მისი რესურსების გამოყენებისათვის, საემისიოსა და ამ მიზნის განხორციელებისათვის მოხერხებული ფორმების ჩათვლით. საბაბს ჩვეულებრივ ბიუჯეტის დეფიციტი წარმოადგენს, რომლის წარმოშობასაც მთავრობების უმრავლესობა, როგორც წესი, რასაც უნდათ. იმას უკავშირებენ, მხოლოდ არა საკუთარი საქმიანობის შედეგებს. რაც შეეხება ფორმას, იგი ცენტრალური ბანკისადმი თავსმოხვეულ სახელმწიფო საეალო ვალდებულებებამდე დაიყვანება. სანაცვლოდ მიღებული ფული დეფიციტის დასაფარავად წარიმართება.\*

ცხადია, ამ შემთხვევაში ცენტრალური ბანკი გარდაუვალად გადაიჭყვევება ფინანსთა სამინისტროს ან ბიუჯეტის მდგომარეობაზე პასუხისმგებელი რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოს დანამატად. მაგრამ ეს არაა მთავარი, უარესია მეორე: ფაქტობრივად ცენტრალურ ბანკს აიძულებენ, ისე შეცვალოს ფულადი მასის მოცულობა, რომ ის აღარ იყოს დამოკიდებული, წინა ლექციაში აღწერილ, გრძელვადიან ფულად სტრატეგიასა და მოკლევადიან ფულად ტაქტიკაზე. რადიკალურად იცვლება ყველა ფულადი პოლიტიკის მიზანი და, მაშასადამე, მისი ეკონომიკური როლი. მთავრობის საჭიროებასთან მისადაგებული ფულადი პოლიტიკა არათუ ამუხრუჭებს ინფლაციურ პროცესს, არამედ, პირიქით, ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას.

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს როდი ნიშნავს, რომ ცენტრალური ბანკი განზე იდგეს ბიუჯეტის პრობლემებისაგან და არ ჰქონდეს მასთან არაერთი ურთიერთობა. გულგრილი მეთვალყურის როლი მას არ შეეფერება. მთავრობა, ხომ, რომ ვთქვათ, არაფრით არაა კომერციულ ბანკზე ნაკლები, მასაც ასევე აქვს უფლება, ჰქონდეს ცენტრალური ბანკის კრედიტების იმედი. დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი კანონის

---

\*რაც თუ დიდი ხნის წინ ჩვენს ეკონომიკაში არ იყო ამის საჭიროება საბანკოდან ფულის გამოტანისათვის მთავრობის რიგითი განკარგულება იყო საკმარისი

ფარგლებში მოქმედებს, მას შეუძლია მთავრობას საერთო წესით მისცეს – უკან დაბრუნებითა და სარგებლით. ასეთი კრედიტის პირობების განსაზღვრისას (მოცულობის, დაფარვის ვადებისა და ა.შ.) იგი იხელმძღვანელებს როგორც მთავრობის სურვილებით, ისე მოვალეობითაც, რომ მტკიცედ გაატაროს არაინფლაციური გრძელვადიანი ფულადი სტრატეგია, არავითარ შემთხვევაში არ დაუშვას ეკონომიკის გაბერვა ზედმეტი ფულადი მასით. რა თქმა უნდა, ცენტრალური ბანკი თავისუფალი უნდა იყოს მისთვის შეუსაბამო, დამამძიმებელი ფუნქციების შესრულებისაგან. მაგალითად, საწარმოების დაკრედიტებისაგან. ამის ძალა კომერციულ ბანკებს შესწევთ. ცენტრალურ ბანკს მხოლოდ მათთან უნდა ჰქონდეთ საქმე. ამასთან, საჭიროდ მიგვაჩნია მივუთითოთ, რომ ცენტრალური ბანკის შესაძლებლობები სრულიადაც არაა უსაზღვრო. საბანკო მეურნეობა ისეა მოწყობილი, რომ ცენტრალური ბანკი ფულადი მასის მოძრაობას სრულად ვერ აკმაყოფილებს. საქმე ისაა, რომ მიმოქცევაში არის ის ფულიც, რასაც ცენტრალური ბანკი უშვებს (მანეთები, დოლარები, და არის სხვებიც – კომერციული ბანკების მიერ "გამოშვებული". პირველ ყოვლისა, ლაპარაკია საბანკო ჩეკებზე).

დაეუფათ, კომერციულ ბანკში შევიდა ანაბარი 5000 მანეთის ოდენობით. გასაგებია, რომ ოდესღაც ეს ფული გამოვიდა ცენტრალური ბანკიდან და, ხელიდან ხელში მრავალი გადასვლით, მენაბრის შემოსავლად გადაიქცა. ბანკში ჩეკის წიგნაკის მიღების შემდეგ იგი იწვებს ამით სარგებლობას, ისტუმრებს ნავეპრის ხარჯს, ვთქვათ, ჩვენთვის უკვე ცნობილი ველოსიპედების შესაძენად. ველოსიპედის მწარმოებელი, ჩეკების მიღების შემდეგ, სულაც არ არის ვალდებული, დაუფრენებლივ შეიტანოს ისინი ბანკში, მანეთებზე გადაცვალოს. მას თავისუფლად შეუძლია, საკუთარი შეხედულებებისამებრ გამოიყენოს ეს ჩეკები, კერძოდ, სათადარიგო ნაწილების და სხვა რაიმის გასანაღდებლად. რა თქმა უნდა, გარკვეული დროის გასავლის შემდეგ ჩეკები დაბრუნდება უკან, ბანკში. მაგრამ მაინც, ცხადია, რომ როცა შეაღწევენ ეკონომიკაში, ისინი გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩარჩებიან იქ და ფულად გადაიქცევიან.

წავიდეთ წინ. ბანკი მენაბრისაგან 5000 მანეთის მიღების შემდეგ, მას გასცემს სესხად. მაგრამ, რა თქმა უნდა, არა მთელ თანხას, არამედ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც დარჩება სავალდებულო რეზერვების გამოკლების შემდეგ. თუ სავალდებულო რეზერვების ნორმა შეადგენს, მაგალითად 20%-ს, მაშინ საბანკო კრედიტი 4000 მანეთის ტოლი იქნება. გამოდის, რომ დროის მცირე შუალედში თავდაპირველმა ხუთიათასმანეთიანმა ანაბარმა 4000 მანეთის სიდიდის ფულადი მასის ნამატი წარმოშვა.

მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. კრედიტის მიმღებიც ასევე უფლებამოსილია, ამ თანხით ისარგებლოს ისე, როგორც მას სურს. მოსალოდნელია, რომ ბანკში ნასესხი 4000 მანეთი მოხმარებისათვის, ფასიანი ქაღალდების, უძრავი ქონების შესაძენად დახარჯოს, გადააქციოს ინვესტიციურ მოთხოვნად და ა.შ. მართალია, გამორიცხული არ არის, რომ მსესხებელი სხვაგვარადაც მოიქცეს: ფული სხვა ბანკში შეიტანოს. ეს უკანასკნელი ზუსტად ისევე მოიქცევა, როგორც პირველი ბანკი – მენაბრეს მისცემს 4000 მანეთის ჩეკს და იმავდროულად გასცემს 3200 მანეთის ოდენობის კრედიტს (სავალდებულო რეზერვების ნორმა რჩება 20%-ის დონეზე).

ადვილი გამოსათვლელია, რომ მიმოქცევაში ახლა აღმოჩნდება დამატებითი ფულადი მასა 7200 მანეთის მოცულობით, თანაც მისი განსაზღვრული ნაწილი საბანკო ჩეკებით იქნება წარმოდგენილი. შეიძლება ეს პროცესი რამდენიმეჯერ განმეორდეს. რაც უფრო ფართოდ გაიშლება იგი და სწრაფად გაიზრდება ფულის რაოდენობა, მით უფრო გაუჭირდება სახელმწიფოს მისი მართვა. საეჭვოა, რომ მან შეძლოს საბანკო ფულის ყველა ტრანსფორმაციისათვის თვალის მიდევნება. სახელმწიფოსაგან იმას უფრო უნდა მოველოდეთ, რომ მან, რეგულირების არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით (პირველ რიგში სავალდებულო რეზერვების ნორმით) შეძლოს ფულადი მასის დინამიკისათვის საჭირო მიმართულების მიცემა, მიაღწიოს მის ზრდას ან შემცირებას.

ამრიგად, ცენტრალური ბანკის მარეგულირებელი პოტენციალი იდეალური მოქმედების პირობებშიც კი ძირითადად შეზღუდულია. აქედან გამომდინარეობს, რომ სახელმწიფო მხოლოდ სწორ ფულად პოლიტიკაზე დაყრდნობით ვერასოდეს ვერ დაძლევს ინფლაციას. დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი, თანამედროვე საბანკო სისტემა და სწორი ფულადი სტრატეგია უდავოდ აუცილებელია, მაგრამ არა საკმარისი. საჭიროა ინფლაციასთან ბრძოლის სხვა, არაფულადი ხერხები. ეს დასკვნა ჩვენ მაშინაც გამოგვადგება, როცა ეკონომიკის არაინფლაციური რეგულირების მექანიზმებს განვიხილავთ.

ბანკების გარდა, საერთო დანიშნულების ინფრასტრუქტურას მიეუთვნება სახელმწიფო ფინანსების სისტემა, რომლის საფუძველი ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტებია. სწორედ ბიუჯეტი აძლევს სახელმწიფოს იმ სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობას, რომელთა წინაშეც უკან იხევს ბაზრის მექანიზმი. ბიუჯეტის /გადასახადები და ხარჯები/ მეშვეობით შემოსავლები გადანაწილდება ისე, რომ იგი უფრო სამართლიანი გახდეს, ხორციელდება სოციალური პროგრამების (განათლება, ჯანმრთელობის დაცვა და სხვ.),

თავდაცვის, სახელმწიფო მმართველობის, ფუნდამენტური მეცნიერების დაფინანსება. ბიუჯეტის მუხლებს შორის შეიძლება დაინახოთ რეგიონული, სტრუქტურული და სხვა საერთოეროვნული ხასიათის პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებული ხარჯები. განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში ცდილობენ, ბიუჯეტის მოცულობა ჰქონდეთ ისეთ მინიმალურად აუცილებელ ფარგლებში, რომელიც სახელმწიფოს მისცემს მხოლოდ იმის გაკეთების შესაძლებლობას, რისი უნარიც ბაზარს არა აქვს, გამორიცხავენ მის დაუსაბუთებელ ჩარევას ეკონომიკაში. ამიტომ ბიუჯეტის ასიგნებათა გადატყვევა კაპიტალდაბანდებებად დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მიზნობრივი სახალხო მეურნეობრივი პროგრამების რეალიზაცია ხორციელდება და საკანონმდებლო ორგანიზაციების მიერ გულდასმით მოწმდება. ის, ვინც საბაზრო ეკონომიკაში ინვესტიციების დაფინანსების წყაროებს ეძებს, მიმართავს არა მთავრობას და მის ბიუჯეტს, არამედ ბანკებსა და საფონდო ბირჟებს.

რაც შეეხება ბიუჯეტის შემოსავლებს, აქ გამოიყოფა მოსახლეობის საშემოსავლო გადასახადები, სოციალური დაზღვევის გადასახადები და გადასახადები მოგებაზე. როგორც უკვე ვიცით, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის სისტემა პროგრესული სკალის საფუძველზეა აგებული. რაც შეეხება მოგებაზე გადასახადს, მისი განაკვეთები ისე ყალიბდება, რომ მაქსიმალურად შეუწყოს ხელი კაპიტალდაბანდებებს, სახალხო მეურნეობის სწრაფ განვითარებას.

ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენ სერიოზული გარდაქმნა მოგველის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში. საბაზრო ეკონომიკისაკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯით შემოსავლების მოცულობაში გაიზრდება საშემოსავლო გადასახადის წილი და დაეცემა მოგებაზე გადასახადის წილი. ეს მოხდება იმის გამო, რომ სახელმწიფო, რომელიც უარს ამბობს ფასების გაუმართლებელ ადმინისტრაციულ რეგულირებაზე, უკვე კვლარ შეძლებს მათ გამოაყენებას შემოსავლების გადანაწილების მიზნით. მთელი დატვირთვა ბიუჯეტს დააწვება. მაგრამ საბიუჯეტო მექანიზმმა რომ ვინმესათვის დამატებითი შემოსავლების უზრუნველყოფა შეძლოს, ჯერ ვილაციისგან უნდა მიიღოს ისინი. ეს კეთდება საშემოსავლო დაბეგვრის ეფექტიანი სისტემის დახმარებით, რომლის როლიც არსებითად იზრდება. მოგების დაბეგვრა თანდათანობით უფრო ლიბერალური გახდება და საწარმოებს სრულფასოვანი საინვესტიციო საქმიანობის განხორციელების საშუალებას მისცემს.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში არსებობს ასევე გადასახადები უძრავ ქონებასა და შემკვიდრებაზე. გადასახადები გაყიდვიდან და აქტიური გადასახადები. ეს უკანასკნელი მოიცავს საქონლის შეღებვას.

მკირე წრეს და წარმოადგენს განსაზღვრულ წანამატს მის ფასებზე. ვინაიდან ასეთი წანამატების ზრდა ფასების ავტომატურ ამღლებას იწვევს, აქციზურ გადასახადებს ფაქტობრივად შესაბამისი საქონლის მყიდველები იხდიან. აღსანიშნავია, რომ აქციზური გადასახადების ფიქსირებით, სახელმწიფო არსებითად ახორციელებს ფასებზე კონტროლს.

რა საქონელია ეს? იგი სხვებისაგან განსხვავდება ორი ძირითადი თავისებურებით: მათი გაყიდვის მოცულობა თითქმის არაა დამოკიდებული ფასზე; იგი სამომხმარებლო ნაყრების შეუცვლელი ელემენტია. დავუშვათ, თუ ერთი შეკვრა მარილი 10 კაპიკი ღირს, ფასების საკმაოდ ფართო დიაპაზონის მერყობის ფარგლებში, გაყიდულ შეკვრათა რაოდენობა, ალბათ, უცვლელი დარჩება. მომხმარებლებმა საექვრა, არსებითად გაზარდონ მარილზე მოთხოვნა მაშინ, როცა ერთი შეკვრის ფასი 5 კაპიკამდე შემცირდება, ასევე ნაკლებ სარწმუნოა, რომ ისინი უარს იტყვიან მის ყიდვაზე 15 ან 20 კაპიკად.

აქციზური გადასახადის შემოღებით სახელმწიფო უზრუნველყოფს შემოსავლების სტაბილურ ნაკადს ბიუჯეტში, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, იგი უსამართლოდ იქცევა. თუ საქონელი, რომლის ფასში ასახულია აქციზური გადასახადი, თანაბარი ზომით ესაჭიროება ღარიბსაც და მდიდარსაც, მაშინ გასაგებია, რომ პირველი თავისი შემოსავლის უფრო დიდ ნაწილს მისცემს სახელმწიფოს, ვიდრე მეორე. ალბათ, ამის გამო სახელმწიფო ჩვეულებრივ ცდილობს, მინიმუმამდე დაიყვანოს აქციზური გადასახადით დაბეგრული საქონლის სია. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში აქციზური დაბეგრიდან ფედერალური შემოსავლების 60%-ს მხოლოდ სამი სახის საქონელი – ალკოჰოლი, თამბაქო და ბენზინი იძლევა.\* ამ სიის გაფართოება ან აქციზური გადასახადების გადიდება, როგორც წესი, ხორციელდება მხოლოდ განსაკუთრებულ გარემოებაში და საკანონმდებლო ორგანოების ნებართვით.

სრულიად სხვაგვარადაა საქმე ჩვენს ეკონომიკაში. აქციზური დაბეგვრა მეტისმეტად ფართოდ გავრცელდა. იმათაც კი, რომელთაც არასოდეს სმენიათ ბრუნვის გადასახადის შესახებ, მასთან შეხება აქვთ ყოველდღიურად, ყოველთვის, როცა სამრეწველო საქონელს ყიდულობენ, რადგანაც ეს გადასახადი ჩართულია უმეტესი მათგანის ფასში. ბრუნვის გადასახადს ჩვენ კიდევ შევხვებით შემოსავლების განაწილების ანალიზისას. ახლა კი აღვნიშნავთ: ეფექტიან, სოციალურად ორიენტირებულ საბაზრო

\* Pechman S. Federal tax policy. Washington, 1987, p.193.

ეკონომიკაში მისი როლი რამდენადმე მოკრძალებული უნდა იყოს. ბრუნვის გადასახადის გამოყენების სფერო არსებითად უნდა შეიზღუდოს და მხოლოდ იმ საქონლით შემოიფარგლოს, რომელსაც არა აქვს შემცველი და ფასებისაგან დამოუკიდებლად იყიდება. ცხადია, ამ საქონლის წრე ხანგრძლივი დროის მანძილზე უცვლელი უნდა დარჩეს.

საბაზრო ტიპის მეურნეობაში გადასახადები არა მხოლოდ ფისკალური პოლიტიკის (სახელმწიფოს შემოსავლების მოკრეფა) იარაღია, არამედ ეკონომიკის მართვის ქმედითი ინსტრუმენტიც. ჭკვემთ ახსნილი იქნება, თუ როგორაა მოწყობილი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საგადასახადო რეგულატორები და რა როლს ასრულებენ ისინი ანტიინფლაციურ და სტრუქტურულ პოლიტიკაში.

საბაზრო ეკონომიკის მექანიზმები ყელაზე ეფექტიანად მაშინ მუშაობენ, როცა სახელმწიფოს შეუძლია შემოსავლების შესაბამისობაში მოყვანა ხარჯებთან. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოიშობა დეფიციტი და საბაზრო ურთიერთობების დამახინჯება გარდუვალი ხდება. დეფიციტის ყელა წესი აძლიერებს ინფლაციას, ამუხრუჭებს ეკონომიკის განვითარებას. განვიხილოთ ეს წესები დაწვრილებით.

იქ, სადაც ცენტრალურ ბანკს უყურებენ როგორც ფინანსთა სამინისტროს ჭკედანაყოფს და არ არსებობს სწორი ფულადი სტრატეგია, დეფიციტს ფულის ემისიით აფინანსებენ. ეს მეტად იშვიათად გვხვდება, რადგანაც ინფლაციის მკვეთრ დაჩქარებას იწვევს, ბიუჯეტის ზერელიდან მიმოქცევაში მოხვედრილი ყოველი მანეთი ზრდის დაუსაქონლებელ ფულად მასას, ინფლაციურ მიწოდებასა და მოთხოვნას შორის დაშორებას.

მეორე ვარიანტია მთავრობის მიერ სესხების აღება ცენტრალური ბანკიდან. თუ ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება არაინფლაციურ ფულად სტრატეგიას (შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელის მნიშვნელობას გამოხატავს 3.9 განტოლება), ინფლაცია მაინც გარდუვალია, თუმცა, როგორც წესი, რამდენადმე ნელა და უფრო ცივილიზებული ფორმებით მიმდინარეობს. დაეუშვათ, მთავრობამ ცენტრალური ბანკიდან ისესხა 100 მლნ მანეთი, რომლის დაბრუნება სარგებლით ივალდებულა ერთი წლის შემდეგ და მთლიანად შეასრულა თავისი დაპირება. ცენტრალურ ბანკთან ანგარიშის გასწორების შემდეგ იგი კვლავ მიმართავს მას კრედიტისათვის და ასეთ ოპერაციას იმეორებს ყოველ წელს. მიუხედავად იმისა, რომ დროდადრო ფული ბრუნდება უკან ცენტრალურ ბანკში, მაინც შეიმჩნევა ფულადი მასის თანდათანობითი ინფლაციური ზრდა.

შესაძლებელია დეფიციტის დაფარვის ისეთი ვარიანტიც, როცა მთავრობა იძულებულია, თავისი საგადასახადო ვალდებულებები ყელგან



მოათავსოს, გარდა საკუთარი ქვეყნის ცენტრალური ბანკისა. მსგავსი რამ იმ ქვეყანაში გვხვდება, სადაც ცენტრალურ ბანკს დიდი უფლებები აქვს და პასუხისმგებელია სახალხო მეურნეობის არაინფლაციური განვითარებისათვის. ის ემზადება მთავრობის მოთხოვნას და სესხს აძლევს მას განსაკუთრებულ, კანონით დაშვებულ, ზუსტად მინიშნებულ შემთხვევაში. ცხადია, მთავრობას მოუხდება ფულის სესხება თავისი და უცხოელი მოქალაქეებისაგან, ბანკებისაგან, კორპორაციებისაგან, ფონდებისაგან და ა.შ.

ერთი შეხედვით, ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების აღნიშნულ გზას გამოკვეთილი არაინფლაციური ხასიათი აქვს. ვინც სახელმწიფო სესხის ობლიგაციებს ყიდულობს, და ამით ზრდის მასთან მოხვედრილი ნაღდი ფულადი მასის ნაწილს, სრულიადაც არ ზრდის მის მოცულობას. სინამდვილეში ეს რამდენადმე რთულია. წინა ლექციაში, როცა საქონლის ბაზრების უწონასწორობას ვსწავლობდით, აღინიშნა, რომ სახელმწიფო დანაზოგის ყოველ მფლობელს გადასცემს თავის სავალო ხელწერილებს და ღებულობს იმ ფულად სახსრებს, რომელიც შეიძლება კაპიტალდაბანდებებად იქცეს. ეს ნიშნავს, რომ დეფიციტის დაფარვის ასეთი წესის დროს ინფლაციური მოთხოვნა სრულად არ კმაყოფილდება. ეს კიდევ ცოტაა. თუ სახელმწიფო აფართოებს თავისი ფასიანი ქაღალდების მიწოდებას, მათი კურსი ეცემა. ერთდროულად იზრდება სარგებლის განაკვეთის ზრდა, რაც ინფლაციური მოთხოვნის შემცირებას მიანიშნებს. ამის შედეგად ფერხდება ეკონომიკური განვითარება, ნელდება საქონლის მიწოდების ზრდა და, რა თქმა უნდა, ღრმავდება ბაზრების ინფლაციური უწონასწორობა.

მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში აღნიშნულმა მოვლენამ კერძო მოთხოვნის სახელმწიფო საკრედიტო რესურსებით გამოდევნის ეფექტის (crowding-out effect) სახელწოდება მიიღო. თავისი შინაარსით ეს ნეგატიური ეფექტი სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენამდე არ ქრება.

ამრიგად, დაფინანსების ნებისმიერი ვარიანტის დროს ბიუჯეტის დეფიციტი ყოველთვის ბოროტება, ეკონომიკური უბედურებაა. და მაინც განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას თუ მივმართავთ, ვნახავთ, რომ უპირატესობა მესამე წესს ეძლევა. მიზეზი გასაგებია: პირველი ორი ეკონომიკას, ადრე თუ გვიან, უმართავი ინფლაციის მდგომარეობამდე მიიყვანს.

ჩვენ დავამთავრეთ საბაზრო მეურნეობის ინფრასტრუქტურის მოკლე მიმოხილვა. სავაჭრო საწარმოები, საფონდო ბირჟა, ბანკები, საბიუჯეტო

დაწესებულებები საბაზრო სისტემას ორგანიზაციულად დასრულებულს ხდიან, მწარმოებლებს და მომხმარებლებს ერთმანეთთან აკავშირებენ ერთიან სამეურნეო პროცესში. მასში მონაწილეობა ყველას შეუძლია, მაგრამ წარმატებას მხოლოდ ის მიაღწევს, ვინც შეძლებს სწორი საბაზრო სტრატეგიის შემუშავებას, დროულად შეამჩნევს მოთხოვნის მოსალოდნელ ცვლილებებს.

მოთხოვნა რთული, მრავალფაქტორიანი მოვლენაა. მაგრამ მკითხველი საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების და საღი აზრის მოხმობით ადვილად გამოკვეთს სამ ფაქტორს. მომხმარებელი მოთხოვნის რელიზაციას დააპირებს მაშინ, როცა შეიქმნება რაიმე ნივთის შექმნის საჭიროება და მოისურვებს იმით სარგებლობას. გარდა ამისა, ის იხელმძღვანელებს იმით, თუ რა ღირს საქონელი და ეყოფა თუ არა ფული მის საყიდლად.

მომდევნო ლექციებში ცალ-ცალკე გავაანალიზებთ ზემოთ ჩამოთვლილ გარემოებათა გავლენას მოთხოვნაზე.

მოთხოვნილებები და მოთხოვნა

მარეინალიზმი. მეთოდოლოგიური ნარკვევი. მოთხოვნილება, მარაგი და სარგებლიანობა. სარგებლიანობა და მოთხოვნა. ავსტრიული სკოლა. ჰოსენის მეორე კანონი. ა.მარ შალი. ფასების მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეგულატორები. სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქცია. ე.პარეტო. ჯ.პიკსი. სარგებლიანობის ორდინალისტური ფუნქცია და სამომხმარებლო უპირატესობის მინიჭება. განურჩევლობის მრუდები. ზღვრული ნორმა და დოვლათის შენაცვლების ელასტიკურობა. საბიუჯეტო ხაზი. მომხმარებლის წონასწორობა. სლუკვი - პიკსის ეფექტი. შენაცვლების ეფექტი. შემოსავლის ეფექტი.

როგორია მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ურთიერთდამოკიდებულების მექანიზმი? დავუშვათ, თუ ორ მომხმარებელს თანაბარი შემოსავალი აქვს და ფასები მუდმივია, მაშინ ერთ-ერთი მათგანი რატომ ხარჯავს უფრო ბევრ ფულს ა საქონლის საყიდლად, ვიდრე ბ საქონლის შესაძენად, მეორე კი საწინააღმდეგოდ იქცევა?

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის ძიება დიდი ხანია დაიწყო. ამიტომაც ჩვენ ვერ აუვლით გვერდს ექსკურსს ეკონომიკური აზრის ისტორიიდან. შესაძლებელია, ეს ლექცია მკითხველს რამდენადმე აბსტრაქტულად მოეჩვენოს და უფრო თეორიას მიაკუთვნოს, ვიდრე სამეურნეო პრაქტიკას, მაგრამ საუბარი სწორედ იმ თეორიაზე გვექნება, საიდანაც მრავალდარგოვანი გამოყენებითი დამუშავებანი აღმოცენდა, რომელთაც საკმაოდ დიდი რეალური მნიშვნელობა აქვთ და კერძოდ, მომხმარებლის ქცევის, მოთხოვნის ზომის, სტრუქტურისა და დინამიკის საკმაოდ ზუსტი პროგნოზირების საშუალებას იძლევა. უფრო მეტიც, მათ, ვინც მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ურთიერთკავშირს იკვლევდა, მთელი მეცნიერული სისტემა, საკუთარი მეთოდოლოგია შექმნეს. პირდაპირ რომ ვთქვათ, ამის გარეშე შეუძლებელია თანაქედროვე ეკონომიკური თეორიის წარმოდგენა. საერთოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის პროგრესის ყოველი ნაბიჯის მიღმა კონკრეტული ადამიანები იდგნენ, რომლებიც აზოგადებდნენ გამოცდილებას, იკვლევდნენ პრობლემებს, გამოიმუშავებდნენ რეკომენდაციებს, ცდილობდნენ მათ შეთავსებას ეკონომიკურ პოლიტიკასთან და ა.შ. ყველა, ვინც

სარგებლობს თანამედროვე საბაზრო მეურნეობის მიღწევებით ან აპირებს ამის გაკეთებას, მათგან დიდად არიან დავალებულნი.

მოთხოვნებისა და მოთხოვნის თანაფარდობის ანალიზი იმ თეორიული მიმდინარეობის წარმომადგენლებმა დაიწყეს, რომელმაც მარკინალიზმის /margiinal – ზღვრული/ სახელწოდება მიიღო. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევარში ჩაისახა და ერთხანს საკმაოდ კომპაქტური თეორიული წარმონაქმნი იყო. ამჟამად თანამიმდევრული მარკინალიზმის თეორიული სკოლები შედარებით ცოტა დარჩა და ისინი არ ქმნიან ამინდს მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში. ისტორია ისე წარიმართა, რომ მარკინალიზმი ცალკე მიმდინარეობიდან თანდათან მეთოდოლოგიის გავრცელებულ ელემენტად იქცა. ისეთ დებულებებსა და დასკვნებს, როგორცაა სარგებლიანობის ფუნქცია, ჰოსენის მეორე კანონი, განურჩევლობის მრუდები, ზღვრული ნორმა და ერთი დოვლათის მეორეთი შენაცვლების ელასტიკურობა (ჩვენ მას მოგვიანებით შევხებით), ამჟამად შეიძლება მრავალ ეკონომიკურ თეორიაში შევხვდეთ.

მარკინალიზმის ერთ-ერთი დასაყრდენი – ეს ადამიანის რაციონალური ქცევის პრინციპია საბაზრო ეკონომიკაში. ამის შესაბამისად ეკონომიკური პროცესი იმ სუბიექტების ურთიერთქმედების სახით წარმოგიდგება, რომელთა მიზანიც თავისი კეთილდღეობის ოპტიმიზაციაა. ამ უკანასკნელს, როგორც რაციონალურობის კრიტერიუმს, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, რაციონალურადაა აღიარებული წმინდა ეკონომიკური ადამიანის მოქმედება, რომელიც პირადი მატერიალური სარგებლობის მაქსიმიზაციას ცდილობს; ფილანტროპი, რომელიც უდიდეს კმაყოფილებას ღებულობს სხვისათვის გაწეული დახმარებით; მათხოვარი, რომელსაც მოსწონს თავისი სიღარიბე და ა.შ. ინდივიდები სწორედ იმით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუ, კერძოდ, რომელ სფეროში იმედოვნებენ ისინი კუთვნილის მიღებას და, რა თქმა უნდა, იმითაც, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციას ისინი მხოლოდ სუბიექტურად აფასებენ, ხელმძღვანელობენ პირადი სარგებლობისა და მისი ოპტიმიზაციის ხერხების შესახებ მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი წარმოდგენით. სუბიექტის გარდა ამ ფასეულობათა შეცნობის უნარი არავის არა აქვს. მათზე მსჯელობა მხოლოდ შედეგებით შეიძლება, ე.ი. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანმა უკვე მიიღო მონაწილეობა წარმოების ან მოხმარების კონკრეტულ აქტებში.

ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მარკინალიზმს ეკონომიკურ მეცნიერებაში ზოგჯერ სუბიექტურ მიმართულებას უწოდებენ. ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსი ლ.ფონ მიზესი წერდა, რომ ეკონომიკური

მეცნიერება უნდა იყოს "ფორმალური კონსტრუქციების ერთობლიობა, რომელიც ადამიანური ქცევის წმინდა პრინციპების გაგების შესაძლებლობას გადალევს... ლოგიკისა და მათემატიკის მსგავსად, იგი კი არ გამომდინარეობს ცდიდან, არამედ წინ უძღვის მას".\* მარჩინალიზმის ფუძემდებლებს მტკიცედ სწამდათ, რომ სუბიექტურ შეფასებებზე დაყრდნობით შეიძლება ყველა სამეურნეო პროცესის ახსნა. მაგრამ თუ მოხდება ისე, რომ მარჩინალისტური თეორია დაშორდება პრაქტიკას, მაშინ პრაქტიკა უნდა შეიცვალოს და არა თეორია.

მარჩინალისტური ვერსიის შესაბამისად აბსოლუტურად რაციონალური ინდივიდი და ეკონომიკური მოვლენების რეალური მონაწილე სხვადასხვაგვარი ფიგურაა. პირველი – ეკონომიკური თეორიის პერსონაჟია, მეორე – ეკონომიკური სინამდვილისა. როგორც უკვე ვნახეთ, კავშირი თეორიასა და სინამდვილეს შორის სრულიადაც არაა სავალდებულო. რაციონალური სუბიექტი ანონიმური "მისტერ არაინ" (როგორც ამას "ზოგჯერ მარჩინალიზმის თეორიტიკოსები უწოდებენ) გამოდის პოსტულატის, ანალიზური ინსტრუმენტის იმ სახით, რომელიც თეორიის ასაგებადაა გამოსადეგი და არა აქვს პრეტენზია ადამიანის რეალური ეკონომიკური ქცევის უტყუარობის შესახებ. ცნობილი დასავლეთელი თეორეტიკოსი ფ. მაჰლუპი როცა განაზოგადებდა მარჩინალისტურ პოზიციებს, აღნიშნავდა, რომ რაციონალური ქცევის პრინციპები იმ პოსტულატების რიცხვში შედის, რომლებიც არ საკვიროებენ ემპირიულ შემოწმებას, მაგრამ შეიძლება არსებით ნაბიჯებს წარმოადგენდნენ არაგუმენტებისა და მისგან გამომდინარე დასკვნების შექმნაში, რომელთაც ექნებათ ფაქტობრივი დადასტურება.\*\* ეს ის მეთოდოლოგიური ხაზია, რომელიც შემდგომში გააგრძელა თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ლიდერმა მ. ფრიდმენმა.

მარჩინალისტებმა თავიანთი კონცეფციის ცენტრში სუბიექტური შეფასებების საკითხის წამოწვევით, მათგან არსებითად მხოლოდ ისინი აღიარეს, რომელთაც მოხმარების საგნებთან და მომსახურებასთან აქვთ ურთიერთობა. მათი მსჯელობით ადამიანს ხომ მხოლოდ სამომხმარებლო დოვლათი სჭირდება. მას შეუძლია ჰქონდეს რაღაც შეხედულება მისთვის საჭირო სწორედ ასეთი დოვლათის და არა წარმოების საშუალებების

---

\* Mises L.von. The science of human action II Philosophy and economic theory Ed. by F.Hahn and M.Hollis. Oxford, 1979,p.61

\*\* Machlup F.Methodology of economics and other social sciences. New York, 1978, p.147

სარგებლიანობაზე, პურზე და არა დაზგაზე. მარჩინალისტები სწორედ მსგავსი შეხედულებებით განსაზღვრავენ სამომხმარებლო საქონლის ფასებს (არაპირდაპირ, მოთხოვნის მეშვეობით, ან პირდაპირ). როგორც ჩანს, წარმოების სფეროს დამორჩილებულ, დამოკიდებულ როლს აკეთებენ.

მარჩინალიზმის მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი ადგილი იშვიათობის პრინციპს ეკავა. ეს იმას ნიშნავს, რომ მასში შემავალ მრავალ თეორიას თავდაპირველად საფუძვლად ედო მოსაზრება ამა თუ იმ საქონლის შეზღუდული, ფიქსირებული რაოდენობით წარმოების შესახებ. ამის შედეგად მისი ფასი, ბუნებრივია, მთლიანად მოთხოვნაზე ხდებოდა დამოკიდებული, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მკიდროდ უკავშირდებოდა სუბიექტურ შეფასებას. იშვიათობის პრინციპი გარკვეულწილად სინამდვილეს ასახავდა (ნებისმიერი ეკონომიკა მართლაც მუშაობს შეზღუდული რესურსების პირობებში) და იმავდროულად მარჩინალისტური თეორიის ცალკეული რგოლების შესაკავშირებლად, სუბიექტური შეფასებებიდან გამომდინარე, არაწინააღმდეგობრივ მსჯელობათა უზრუნველსაყოფად გამოიყენებოდა.

მარჩინალიზმის შემქმნელებმა მაინც ვერ შეინარჩუნეს ერთიანი პოზიცია იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ეკონომიკური ანალიზი – მიზეზშედეგობრივი თუ ფუნქციონალური. ის, ვინც მის სათავეებთან იდგნენ (კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბემ-ბავერკი და ეგრეთ წოდებული ავსტრიული სკოლის სხვა წარმომადგენლები), მტკიცედ გამოდიოდნენ პირველი თვალსაზრისის მხარდასაჭერად. ისინი შეუპოვრად ებრძოდნენ ეკონომიკურ მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს, განსაკუთრებული მონღომებით ცდილობდნენ აღმოეჩინათ ის, თუ რაზეა დამოკიდებული მოთხოვნა და ფასი. სხვა თეორეტიკოსები (ა. მარშალი, იტალიელი ეკონომისტი ვ. პარეტო, ჯ. ჰიკსი) ასეთივე კატეგორიულობით უარყოფდნენ ამ პრინციპს და ეკონომიკური ფენომენების მხოლოდ ფუნქციონალურ ურთიერთკავშირს სწავლობდნენ, იმისგან დამოუკიდებულად, თუ რომელია მათგან მიზეზი და რომელი – შედეგი. დაეუშვათ, თუ მათ მხედველობაში ჰქონდათ ფასი, მაშინ ეს უკანასკნელი მოთხოვნისა და მიწოდების ფუნქციად ზუსტად ისე განიხილებოდა როგორც მოთხოვნა და მიწოდება – ფასის ფუნქციად. ისინი გამოკვლევის მიზანს მიზეზსა და შედეგის მოჭებნაში კი არ ხედავდნენ, არამედ – ამ ფუნქციების მაქსიმალურად სრულ აღწერაში, აღნიშნული საბაზრო პარამეტრების დამაკავშირებელი ეკონომიკური მექანიზმის ახსნის მიზნით მათ რაოდენობრივ გაზომვასა და მიღებული შედეგების გამოყენებაში.

XX საუკუნის ეკონომიკური მეცნიერების განვითარების მიხედვით

თუ ვიმსჯელებთ, უპირატესობა მეორე შეხედულებამ მიიღო და ამით გზა გაუხსნა სამეურნეო მექანიზმის კვლევის რაოდენობრივი მეთოდების უფართოეს გამოყენებას. ავსტრიელები კი მის ისტორიაში დარჩნენ როგორც თეორეტიკოსების უანასენელი თაობა, რომლებიც ცდილობდნენ მიზეზშედგებობრივი მაგისტრალის მოძებნას, ამ მექანიზმის აგებულების გაგებას.

აი ასეთია ეს მეცნიერული სისტემა. ერთ თანამედროვე თეორიაში მისი კვალი მეტად თვალნათლივია, მეორეში – ნაკლებ შესამჩნევი, მაგრამ საბაზრო მეურნეობის ვერცერთი ანალიზი გვერდს ვერ აუელის ადრინდელი მარჟინალიზმის მიერ დაფუძნებულ პრინციპებს. ადვილად დასაჩერებელია, რომ ასეთი მეთოდოლოგია ბევრ რამეში ეწინააღმდეგება მარქსისტულ პოლიტიკურ ეკონომიას და შეუძლებელია არ გამოიწვიოს შესაბამისი რეაქცია. მარჟინალისტური კონსტრუქციები მარქსისტების რამდენიმე თაობის ამოჩემებულ სამიზნედ გადაიქცა. უნდა ვალიაოთ, რომ მათი ძალისხმევა მნიშვნელოვანწილად გამართლებული იყო. მრავალი კრიტიკული ისარი ზუსტად მიზანში მოხვდა.

მართლაც, წარმოების სფეროს უგულვებელყოფა, სუბიექტური შეფასებების როლის გადაჭარბება, საზოგადოების სოციალური სტრუქტურების სრული იგნორირება მარჟინალისტებს რეალობას აშორებდა. თუ ავსტრიული სკოლის პოზიციებს მივემხრობით, გამოვა, რომ მაკარონის წარმოებისათვის საჭირო მოწყობილობის ფასი მხოლოდ მაკარონის არსებულ მოთხოვნაზე და მის ფასზე დამოკიდებული, ეს კი დაუჭრებელია. მარქსისტებმა დამაჯერებლად დაამტკიცეს, რომ ამ სკოლის წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს მოთხოვნისა და ფასის არაწინააღმდეგობრივი თეორიის შექმნა. როცა შეუსაბამობა აღმოჩნდებოდა, მაშინ ავსტრიელებს, რომლებიც ცდილობდნენ, ერთი მილიმეტრითაც არ გადაეხვიათ "მოთხოვნილების – სუბიექტური შეხედულებების – მოთხოვნის – ფასის" ხაზიდან, იძულებულნი იყვნენ, ეს შეხედულებები და მოთხოვნის მოძრაობა ფასების ცვლილებით აეხსნათ და, მაშასადამე, თავიანთი კონცეფციის ლოგიკური ძაფი გაეწვიტათ.

მაგრამ მაინც შეუძლებელია იმ ღრმა კვლის დაუნახაობა, რომელიც მარჟინალიზმმა დატოვა მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში. ბევრ რამეში მისი წყალობით ეკონომიკურმა კვლევამ მრავალი მოვლენის მიზეზი კლასების ანტაგონიზმში კი არ დაინახა, არამედ – ცოცხალ ადამიანებში, მათ მოთხოვნილებებში, სამეურნეო ქცევის მოტივებში, მოთხოვნებში. ასეთი ორიენტაცია დღემდეა შენარჩუნებული. მარჟინალიზმის ანალიზურმა აპარატმა ხელი შეუწყო ბაზრის მექანიზმის აგებულების

შესწავლას, საბაზრო წონასწორობის პირობების თავისებურებათა გამოვლენას. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იშვიათობის პრინციპის დამუშავებას. რესურსების შეზღუდულობის განვრცობითი განმარტებით და მისი პრინციპად გარდაქმნით, იგი თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მოძღვრების ერთ-ერთი ფუნდამენტური საფუძველი გახდა. გასაგებია, რომ არც ინდივიდუალური ეკონომიკური ქცევის ფსიქოლოგიური მოტივებია გამოგონილი მარკინალისტების მიერ. მათ გამოკვლევებს, პირველ ყოვლისა მოლოდინის ანალიზს ვერ აუვლის გვერდს ეკონომიკური აზრის ვერცერთი მნიშვნელოვანი მიმდინარეობა. ისინი მეტად საინტერესოა პრაქტიკული პოლიტიკისთვისაც.

მარკინალიზმის დებულებები მთელი სისრულით გამოიყენეს ავსტრიული სკოლის ეკონომისტებმა. მოთხოვნილებასა და მოთხოვნას შორის თანათარობას ისინი შემდეგნაირად ხსნიდნენ: დაეუშვათ, მომხმარებელს აქვს მუდმივი შემოსავალი და არ იცის, რა ღირს მისთვის საჭირო საქონელი და მომსახურება. ასეთ შემთხვევაში გასაგებია, რომ მისი შემოსავლის განაწილებასა და მოთხოვნის მოცულობაში მოთხოვნილება დომინირებს. მაგრამ მოთხოვნილებები პირდაპირ არ უკავშირდება მოთხოვნას. მათ შორის სუბიექტების მიერ მოცემული სხვადასხვა დოვლათის სარგებლიანობის შეფასება დევს. მაგალითად, თუ მომავალი მომხმარებელი სკამის საყიდლად 10 მანეთს გაიღებს, ხოლო მაგიდისათვის 20 მანეთს, ასეთი ქცევა იმას მოწმობს, რომ სხვათა თანაბარ პირობებში მაგიდა მისთვის სკამზე ორჯერ უფრო სასარგებლოა. ვინაიდან ზუსტად ასევე მოქმედებენ სხვა პოტენციური მყიდველებიც, მათი მოთხოვნის მნიშვნელობა ჯამდება და სკამებსა და მაგიდებზე საერთო, ერთობლივი მოთხოვნა წარმოიქმნება. სწორედ ის განსაზღვრავს ამ ნივთების ფასებს.\* მოთხოვნილებისა და მოთხოვნის კავშირი საკმაოდ ნათელია: რაც უფრო მაღალია მოთხოვნილებათა ინტენსიურობა, მით უფრო მეტია სუბიექტური შეფასებები, მაშასადამე, მოთხოვნის სიდიდეც, და პირიქით.

დაეუშვათ, მოთხოვნილება მუდმივია. უცვლელი დარჩება თუ არა სარგებლიანობის შეფასებები? ეს სულაც არაა აუცილებელი. საქმე ისაა, რომ ეს შეფასებები მარტო მოთხოვნილებებზე კი არაა დამოკიდებული, არამედ მომხმარებლისათვის გამიზნული — საქონლის მარაგზეც (რაოდენობაზეც). გარკვეული დოვლათის მარაგის გადიდების შემთხვევაში მისი სარგებლიანობის შეფასება იწყებს შემცირებას, ხოლო ამ მარაგის

\* ზუსტად რომ ვთქვათ, მოცემული ვერსია ყელაზე ახლოსაა კენგერის იდეებთან. ვებმ-ბავერკის თეორიაში ჩვენ ვნახეთ ფასის სხვაგვარ ახსნას.



კლების დროს, პირიქით, გადიდებას. მაგალითად, ვინაიდან ჰაერი უსასრულოდ ბევრია, ადამიანი მის სარგებლიანობას ნულოვან შეფასებას აძლევს, მიუხედავად იმისა, რომ ამ სიკეთის გარეშე მას ცხოვრება საერთოდ არ შეუძლია. ამიტომ მოთხოვნა ჰაერზე არ არსებობს, მას ფასი არა აქვს და არც იყიდება. სამაგიეროდ სუბიექტი ძალზე მალა აყენებს მოხმარებაში მეტად შეზღუდული რაოდენობით არსებული ოქროს სარგებლიანობას.

როგორც ჩანს, მომხმარებლის შეფასება მთლიანადაა დამოკიდებული მარაგის დინამიკაზე. მაგრამ მოთხოვნილებები? საერთოდ, გამორიცხული არაა ისეთი ვარიანტიც, როცა კლებადი მოთხოვნილებებისა და კლებადი მარაგის შეერთებას მოსდევს სუბიექტური შეფასებებისა და მოთხოვნის ზრდა, რაც მყიდველის ინტერესების საწინააღმდეგოა. აღსანიშნავია, რომ სკამებისა და მაგიდების მაგალითიდან გამომდინარე, მოთხოვნის ჩამოყალიბებისათვის საჭიროა ერთმნიშვნელოვანი შეფასებები (10 და 20 მან.), რომელიც ერთდროულად მოთხოვნილების ინტენსივობასა და დოვლათის რაოდენობას ასახავს. მოცემულ მოთხოვნას პასუხობს არა ყელა, არამედ მხოლოდ ზღვრულ სარგებლიანობად წოდებული გარკვეული სუბიექტური შეფასებები. ეს სარგებლიანობის ისეთი შეფასებებია, რომელთაც მომხმარებელი ანიჭებს დოვლათის უქანასკნელ ერთეულს. მართლაც, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ საესებით დაუჭერებელი სიტუაცია – ბაზარზე მხოლოდ ერთი სკამი და ერთი მაგიდაა, აღმოჩნდება, რომ ადამიანი მხოლოდ მაშინ აჩვენებს, თუ სინამდვილეში როგორ აფასებს ამ საქონელს.

უზადოა თუ არა მოთხოვნილებისა და მოთხოვნის ასეთი დახასიათება? სრულიადაც არა. ნაკლი ზომაზე მეტია, და იმას, რაც ზემოთაა ჩამოთვლილი, საესებით შესაძლებელია სხვა მრავალიც დაემატოს. აღვნიშნავთ, რომ ადრეული მარქინალიზმის თეორეტიკოსებმა მართლაც შეამჩნიეს, სულ მცირე ორი რეალური გარემოება: საბაზრო ეკონომიკაში სამომხმარებლო საქონლის ფასები და მათზე მოთხოვნა იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია მომავალი მყიდველის შეხედულება ამ დოვლათის სარგებლიანობის შესახებ; მსგავსი შეფასებები განუყოფელია ბაზარზე გამოტანილი საქონლის რაოდენობისაგან. საესებით მცდარია (და აქ მარქსისტები აბსოლუტურად მართლნი არიან) მოთხოვნისა, და მით უმეტეს, ფასების ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად სარგებლიანობის მიჩნევა. ასევე მცდარია მისი სრული იგნორირება. სარგებლიანობის შეფასება ხომ სინამდვილეში იმ ფაქტორების ვრცელ ჯგუფში შედის, რომლებიც სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურაზე

და ფასების მოძრაობაზე ახდენენ ზემოქმედებას. მომხმარებლის ქცევის ფსიქოლოგიური მოტივების ანალიზი მართებულია. არამართებულია მხოლოდ მისი გადაქცევა ფასის საბოლოო საფუძვლად.

დავუბრუნდეთ რაციონალურ სუბიექტს, რომელიც სამომხმარებლო ბაზარზე ქცევის ხაზს შეიმუშავებს. სამართლიანია ვივარაუდოთ, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესში წარმოებისა და დოვლათის მარაგის სიდიდე გაიზრდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნდა ველოდეთ სარგებლიანობის შეფასების თანამიმდევრულ შემცირებას. გამოვლინდება მყარი ტენდენცია, რომელსაც ზღვრული სარგებლიანობის შემცირების კანონი ანუ წესი უწოდეს. როგორ მოიქცევა ასეთ პირობებში მომხმარებელი?

დავუშვათ, თავისი კეთილდღეობის ოპტიმიზაციისათვის სუბიექტი დროის განსაზღვრულ ლიმიტს განაგებს, ამასთან, საწყის მომენტში ის ა საქონლის სარგებლიანობას უფრო მეტად აფასებს, ვიდრე ბ საქონლის სარგებლიანობას. ცხადია, რომ რაციონალური ქცევის რეფლექსიდან გამომდინარე, მყიდველი დაუყვანებლივ აფართოებს ა საქონლის მოხმარებას და ამცირებს ბ საქონლის მოხმარებას. მაგრამ აღნიშნული კანონის თანახმად, მომხმარებლის განკარგულებაში გადაცემული ა საქონლის რაოდენობის გადიდება ხომ ამ საქონლის ზღვრული სარგებლიანობის დაქვეითებას გამოიწვევს. ცხადია, პირდაპირ საწინააღმდეგო დამართება ბ დოვლათის ზღვრულ სარგებლიანობას. გამოდის, რომ ბოლოს და ბოლოს ა და ბ საქონლების ზღვრული სარგებლიანობა უნდა დაბალანსდეს (გათანაბრდნენ). ასეთ სიტუაციაში მათი რაოდენობა სწორედ ისეთი იქნება, რა რაოდენობაც მაქსიმალურ კეთილდღეობას მოუტანს სუბიექტს. სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, იდეალური მდგომარეობა მაშინაა, როცა ადამიანისათვის არახელსაყრელია ერთი დოვლათის მოხმარება მეორის ნაცვლად, და საერთოდ მოხმარების სტრუქტურის რამენაირი შეცვლა, რადგანაც ყოველი ასეთი ცვლილება მის კეთილდღეობას მხოლოდ გააუარესებს. ესაა ჰოსენის მეორე კანონის დედააზრი.\*

ჰოსენის მეორე კანონმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა მოახდინა სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიაზე. როგორც მალე ვნახავთ, სწორედ ის დაედო საფუძვლად განუზრევლობის მრუდის კონცეფციას. აღსანიშნავია აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: ამ კანონით

---

\* ჰოსენი - გერმანელი ეკონომისტი. მათემატიკური სკოლის ერთ-ერთი დამაარსებელი.

მტკიცდება, რომ ნეკლეს აქვს მიდრეკილება. მუდმივად ცვალოს მოხმარების სტრუქტურა, გადაერთოს ერთი საქონლიდან მეორეზე, თანამიმდევრულად მიუახლოვდეს იდეალურ (შორეულს, როგორც პორიზონტს) მდგომარეობას, სადაც უკვე არაფერია შესაცვლელი. ასეთი დასკვნა პარეტოს ოპტიუმისა და სლუცი-პიკის ეფექტის ერთ-ერთი იდეური წყარო გახდა. მან შეუწყო ხელი მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობის გამოკვლევებს.

... მოთხოვნილება განუზომელია, ამიტომ მისი კავშირი სარგებლიანობასთან არ შეიძლება იყოს რაოდენობრივი ანალიზის საგანი. სხვა სარგებლიანობისა და მარაგის თანაფარდობა. ბაზარზე შემოსული საქონლის რაოდენობა შეიძლება გაიზომოს, სარგებლიანობაზე მისი გავლენა ცნობილია. როგორც ჩანს, ეკონომისტებს ყველა საფუძველი ჰქონდათ, სარგებლიანობის სუბიექტურ-ფსიქოლოგიური განმარტებიდან მათემატიკურზე გადასულიყვნენ, თვით "ზღვრული სარგებლიანობის" ცნებისათვის კი პრინციპულად ახალი ჟღერადობა მიეცათ. ისინი სწორედ ასე მოიქცნენ.

დაეუშვათ, რომ ეკონომიკაში იწარმოება და იყიდება  $n$  სამომხმარებლო დოვლათი  $X_1, X_2, \dots, X_n$  მოცულობით. მათი შეჯამებული სარგებლიანობა ყოველი სუბიექტისათვის შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

$$U = U(x_1, x_2, \dots, x_n). \quad (5.1)$$

ჩვენ წინაშეა სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქცია. როგორც მარჟინალიზმის ფუძემდებლები თვლიდნენ, იგი სამომხმარებლო ბაზარზე სუბიექტის ქცევის საერთო დახასიათებას იძლევა. როგორ გავიგოთ ახლა ზღვრული სარგებლიანობა? ნათელია, რომ მარაგის უკანასკნელი ერთეულის სარგებლიანობის სუბიექტურ შეფასებას უკვე ვერ განვსაზღვრავთ. თვით ფუნქცია ასაშუალებს მომხმარებლებს და შლის მათი ინდივიდუალობის ყოველგვარ კვალს. საქონლის ზღვრული სარგებლიანობა ამჯერად ფუნქციის ზღვრული მათემატიკური ანალიზის მსგელობაში (5.1) გამოვლინდება და კერძო წარმოებულების სახით გამოდის:

$$U_1 = \frac{\partial U}{\partial x_1}; U_2 = \frac{\partial U}{\partial x_2}; \dots; U_n = \frac{\partial U}{\partial x_n}; \quad (5.2)$$

სადაც  $U_i$  ( $i=1, \dots, n$ ),  $U_i$  საქონლის ზღვრული სარგებლიანობაა.

$U_i$  წარმოადგენს რა (5.1) ფუნქციის კერძო წარმოებულს, აჩვენებს, თუ რამდენად იცვლება სუბიექტის ხელში მოხვედრილი დოვლათის მთელი

მასის სარგებლიანობა  $i$  დოვლათის რაოდენობის უსასრულოდ მცირე სიდიდით გაზრდის შედეგად. მაშინ გამოდის, რომ მომავალი მყიდველი ბაზარზე გვევლინება ზღვრული სარგებლიანობის ( $U_1; U_2; \dots; U_n$ ) შეფასებათა მთელი მარათი, რომლის მნიშვნელობა და, მაშასადამე მოთხოვნის სტუქტურაც, ნამდვილად იცის.

მსგავსი წარმოდგენები მოთხოვნილებასა და მოთხოვნაზე თავის დროზე მეტად პოპულარული იყო. ავსტრიელების იდეას ნაწილობრივ მხარს უჭერდნენ ჩვენ მიერ უკვე ხსენებული კემბრიჯის სკოლის თეორეტიკოსები. თუმცა ამარშალი და მისი მომხრეები მთლიანად მარჯინალიზმის მეთოდოლოგიური ხაზის გასწვრივ მოძრაობდნენ, მათ საესებით დასაბუთებულად უარყვეს ბურჟუაზიული სარგებლიანობის ბატონობა ფასების ანალიზში, რომელსაც სამომხმარებლო მოთხოვნაზე გავლენის მქონე ერთერთი ფაქტორის მოკრძალებული როლი მიაკუთვნეს.

ამარშალის მიხედვით, მოთხოვნა და მიწოდება, ძირითადად თანაბარი ზომით მოქმედებს ფასებზე. განსხვავება მხოლოდ მაშინ ვლინდება, როცა დროის ფაქტორი იქნება გათვალისწინებული. მოკლევადიანი პერიოდისათვის ერთი სახის კანონზომიერებანი წარმოიშობა, ხოლო თუ საქმე გრძელვადიან პერსპექტივებს ეხება — მეორე სახის. თანასწორუფლებიანობა ქრება: ხან მოთხოვნა იღებს თავის თავზე ფასების რეგულატორის როლს, ხან კიღევ — მიწოდება.

მოკლევადიანი ინტერვალის ფარგლებში პრიორიტეტს მოთხოვნა იღებს. ეს იმით აიხსნება, რომ მიწოდება აშკარად ინერტულია და არსებითად არ შეუძლია მისდიოს მოთხოვნის მუდმივ მერყობას. იგი ჩამორჩება, აგვიანებს, რადგან მისი შეცვლა, რესურსების გადაადგილებას, წარმოების ახალი პირობების წარმოქმნას მოითხოვს. არაა გამორიცხული დამატებითი საწარმოო სიმძლავრეების შექმნის აუცილებლობაც, ეს კი ერთბაშად არ კეთდება. ამიტომ დროის მცირე მონაკვეთში მიწოდების სიდიდე მუდმივ ხასიათს ღებულობს. მაშინ მოთხოვნა ფასწარმოქმნის გადაწყვეტ ფაქტორად იქცევა და მისი ყოველი გადიდება ფასების ზრდას იწვევს.

ხანგრძლივი პერსპექტივის განხილვისას კი ძირითადი ფასწარმოქმნელი ძალის როლი მიწოდებაზე და მასთან დაკავშირებული წარმოების ფულად დანახარჯებზე გადადის. რაც უფრო დიდია დროის საანალიზო პერიოდი მოთხოვნის გავლენასთან შედარებით, მით უფრო ძლიერია მათი ზემოქმედება ფასზე. მიზეზი თუნდაც ისაა, რომ საბოლოო ანგარიშით სწორედ წარმოება განსაზღვრავს იმ მოთხოვნილებათა მოძრაობას, რომლებიც შემდგომ ზღვრული სარგებლიანობისა და მოთხოვნის სახით

გვევლინება. რა თქმა უნდა, ფასების ჩამოყალიბების მექანიზმის ასეთი აღწერა უკეთესადაა დაბალანსებული, ვიდრე ის, რაც ავსტრიული სკოლის ეკონომისტებმა მოგვცეს.

მაგრამ მხოლოდ ამ შეფასებით შემოფარგულა უსამართლობა იქნებოდა. დასკვნა ფასების მოკლევადიანი და გრძელვადიანი რეგულირების შესახებ იმ მეცნიერულ მიღწევათა რიგს მიეკუთვნება, რომელთაც ძლიერ გაუსწრეს დროს. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ იგი თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. თუ სამეურნეო პრაქტიკას მიემართავთ და სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენს ქვეყანაში დამუშავებულ სამომხმარებლო ბაზრის სტაბილიზაციასა და ინფლაციასთან ბრძოლის პროგრამებს ენახავთ, დავინახავთ, რომ საგანგებო, მოკლევადიანი ღონისძიებები უმეტესწილად მოთხოვნას ეხება, ხოლო ეკონომიკის ღრმა სტრუქტურული გარდაქმნებისაკენ მიმართული სახელმწიფო ქმედებები – წარმოებასა და მიწოდებას. სწორედ ამას წინასწარმეტყველებდა ამარშალი.

მიუხედავად იმისა, რომ ამარშალის მხარდაჭერას იმ წლებში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მან მაინც ვერ გადაარჩინა სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქცია ტოტალური რევიზიისაგან. ალბათ სხვაგვარად არც შეიძლებოდა. პრაქტიკას ესაჭიროებოდა მოთხოვნის უფრო რეალისტური თეორია, ასეთის შეთავაზება კი ადრეულ მარკინალიზმს არ შეეძლო. მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ სუბიექტს სინამდვილეში ჰქონდეს ზღვრული სარგებლიანობის და მოთხოვნის განაწილების ზუსტად განსაზღვრის უნარი და, ამავე დროს, ფასებზე არაეითარი წარმოდგენა არ გააჩნდეს. კიდევ ერთი მომენტი: თავისი სამომხმარებლო სტრატეგიის გამომუშავებისას სუბიექტი იძლევა არა გარკვეული დოვლათის, არამედ მისი მთელი ერთობლიობის, სამომხმარებლო ნაკრების სარგებლიანობის შეფასებას. ძლიერ საეჭვოა, რომ ადამიანმა ერთმნიშვნელოვნად მიუთითოს, თუ რამდენად სასარგებლოა მაგიდა სკამთან შედარებით, ან პური – რძესთან შედარებით. უფრო მოსალოდნელია, რომ იგი შეაფასებს იმას, თუ რა უფრო სასარგებლოა მისთვის – ორი პური და ერთი ქილა რძე (პირველი სამომხმარებლო ნაკრები), თუ ერთი პური და ორი ქილა რძე (მეორე სამომხმარებლო ნაკრები)\*.

ამას პირველმა ყურადღება მიაქცია კემბრიჯის სკოლის ეკონომისტმა


---

\* აღსანიშნავია, რომ საკმაოდ წარმატებით ჩატარეს სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქციის რეანიმაცია ამერიკელმა ეკონომისტებმა ჯ.ფონ ნემანმა და ომონვესტერმა მოსალოდნელი სარგებლიანობის თეორიაში

ფ. ეჭუორტმა, რომლის გამოკვლევები საფუძვლად დაედო განურჩევლობის მრუდის მარკინალისტურ კონცეფციას. მისი ანალიზური აპარატი შემდგომში სარგებლიანობის ორდინალისტური ფუნქციის ძირითადმა შემქმნელებმა – ვ.პარეტომ და ჯ.პიკსმა გამოიყენეს.

ჭერ განვიხილოთ განურჩევლობის მრუდები (ნახ.5.1).

5.1 ნახაზზე  $X, Y$  – ორი სახის დოვლათის რაოდენობაა, რომლებიც კმნიან სამომხმარებლო ნაყრებს: I, II, III მრუდები განურჩევლობის მრუდებია. თუ ავიღებთ ნებისმიერ განურჩევლობის მრუდს, მაგალითად, პირველს, მაშინ მისი ყოველი წერტილი ასახავს  $X$  და  $Y$  სამომხმარებლო საქონლის გარკვეულ ნაყრებს, თანაც მთელ ამ ნაყრებს სუბიექტების ზოგიერთი ჯგუფისათვის ერთნაირი სარგებლიანობა აქვს.\* კერძოდ, მათთვის სულ ერთია იყიდონ და მოიხმარონ დოვლათი  $X_a$  და  $Y_a, X_b, Y_b, X_c$  და  $Y_c$  თუ  $X_c$  და  $Y_c$  მოცულობით. ისინი, ვინც მომხმარებელთა მეორე ჯგუფში შედიან, თანაბარსარგებლიან ნაყრებად თვლიან იმას, რაც განლაგებულია II მრუდის გასწვრივ და ა.შ. II და III მრუდები



ნახ. 5.1

I მრუდისაგან მხოლოდ იმით განსხვავდებიან, რომ წარმოადგენენ ნაყრებს, რომლითაც  $X$  და  $Y$  დოვლათის დიდი რაოდენობა ხასიათდება. გასაგებია, რომ რაც უფრო დიდია ეკონომიკის შესაძლებლობები და მომხმარებელთა სურვილის მრავალფეროვნება, მით უფრო დიდი მოცულობისაა განურჩევლობის მრუდთა ოჯახი, ანუ როგორც მას ჩვეულებრივ უწოდებენ, განურჩევლობის რუკა.

ადვილი შესამჩნევია, რომ განურჩევლობის მრუდი გამოხატავს ფუნქციას, რომელიც წარმოადგენს სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქციის კერძო შემთხვევას (5.1)

\* მარკინალისტების მიერ საშუაო ჰიპოთეზად მიღებული ეს დებულება შემდგომ დამტკიცდა სტატისტიკურ გაანგარიშებთანა სერიებში.

და  $n$  ცვლადის მაგივრად შეიცავს მხოლოდ ორს -  $x$  და  $y$  ცვლადებს.  

$$U=U(x,y). \quad (5.3)$$

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ფუნქცია მეტად თავისებურია. როგორც თვით განურჩევლობის მრუდიდან ჩანს, დამოუკიდებელი ცვლადების ( $x$  და  $y$ ) ნებისმიერი მნიშვნელობისას დამოკიდებული ცვლადის სიდიდე ( $U$ ) ერთი და იგივე რჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ ასეთი ფუნქციის დიფერენციალი ყოველთვის ნულის ტოლია:

$$dU=0=\frac{\partial U}{\partial x} dx+\frac{\partial U}{\partial y} dy, \quad (5.4)$$

სადაც  $\frac{\partial U}{\partial x}$  და  $\frac{\partial U}{\partial y}$  -  $x$  და  $y$ , დოვლათის ზღვრული სარგებლიანობებია, ხოლო  $dx$  და  $dy$  - მათი რაოდენობის ნამატი.

5.4/ გამოხატულების მათემატიკურმა გამოკვლევებმა განურჩევლობის მრუდების ხასიათის დადგენის შესაძლებლობა მოგვცა. აღმოჩნდა, რომ ისინი ამოზნექილი არიან კოორდინატის დასაწყისში, არასოდეს არ იკვეთებიან და ა.შ. სხვანაირად რომ ვთქვათ, განურჩევლობის მრუდს შეიძლება მხოლოდ ის ფორმა ჰქონდეს, რაც ნაჩვენებია 5.1 ნახაზზე, და არა სხვაგვარი.

ახლა ნათელია ვპარეტოს და ჯ.პიკის მიერ შემოღებული სარგებლიანობის ფუნქციის რეფორმის აზრი. იგი უკვე სამომხმარებლო ნაკრებისათვის უპირატესობის მინიჭების ფუნქციის სიმრავლეების სახით წარმოგვიდგება. როგორც 5.1 ნახაზიდან ჩანს, მასში პირველ ადგილზეა III მრუდის კუთვნილი ნაკრები, შემდეგ II და მერე - I. მიიღება რაღაც თანამიმდევრობა, სუბიექტთა უპირატესობის მინიჭების რიგი, მათი სასურველობის ხარისხის მიხედვით განლაგებული, რომელიც სრულიად არაფერს მიუთითებს იმის თაობაზე, თუ ნაკრებთა ერთი კომბინაცია რამდენადაა სასარგებლო მეორეზე. ასეთ თანმიმდევრობას რიგითი ანუ ორდინალისტური ფუნქცია ეწოდება. ის უკვე რამდენადმე რეალისტურია, ვიდრე კარდინალისტური ფუნქცია და აღწერს სუბიექტის ქცევას სამომხმარებლო ბაზარზე.

როგორ გამოიყურება ეს ფუნქცია? დაეუშვათ, ბაზარზე წინანდებურად არის  $n$  დოვლათი  $X_1, X_2, \dots, X_n$  საერთო რაოდენობით. მაგრამ ჩვენ ახლა უკვე საქმე გვაქვს იმ მომხმარებელთან, რომელიც აფასებს არა ცალკეულ დოვლათს, არამედ მათი კომბინაციის - ნაკრების სარგებლიანობას. თუ, მაგალითად, პირველ ნაკრებში შედის საქონელი  $X_1, X_2, \dots, X_n$  მოცულობით,

მაშინ მისი სარგებლიანობა გაიზომება ჩვენთვის ცნობილი ფუნქციით:  

$$U^1 = U^1(x_1^1, x_2^1, \dots, x_n^1). \quad (5.5)$$

აქ ყურადსაღებია ერთი დეტალი. ვინაიდან, გარკვეული განურჩევლობის მრუდი მრავალ სამომხმარებლო ნაყრებს აერთიანებს,  $x_1^1, x_2^1, \dots, x_n^1$  კომბინაცია მასში მხოლოდ ერთი წერტილითაა წარმოდგენილი. მაგრამ როგორი იქნება ამ მრუდის სხვა წერტილებით გამოხატული დანარჩენი კომბინაციები? მასში ხომ საქონელი განსხვავებული რაოდენობითაა შესული. ყოველივე ეს ასეა, მაგრამ მაინც საესებით შესაძლებელია მითითებული კომბინაციების ანალიზიდან გამოთიშვა. საქმე ისაა, რომ ყოველ მათგანს იგივე სარგებლიანობა აქვს, რაც  $x_1^1, x_2^1, \dots, x_n^1$  ნაყრებს. ამ უკანასკნელს, რა თქმა უნდა, შეუძლია საესებით კანონიერად გამოვიდეს განურჩევლობის მრუდზე თავისი მეზობლების სახელით და თვით ეს მრუდი დაახასიათოს. ცხადია, რომ (5.5) მსგავსი ფუნქციები შეიძლება იმდენი აიგოს, რამდენი წარმომადგენლობითი სამომხმარებლო ნაყრებიც (განურჩევლობის მრუდი) არსებობს. ამ უკანასკნელისათვის,  $K$  ნაყრებისათვის იგი ასეთი იქნება:

$$U^k = U^k(x_1^k, x_2^k, \dots, x_n^k). \quad (5.6)$$

მაშინ სარგებლიანობის ორდინალისტური ფუნქცია თანამიმდევრული, სამომხმარებლო უპირატესობის მინიჭების რიგის სახით წარმოგიდგება:

$$U = U(U^1, U^2, \dots, U^K) \quad (5.7)$$

როგორც ჩანს, ეს ფუნქცია თვით შედგება სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქციისაგან. რატომ არის პირველ ადგილზე სწორედ  $U^1$ ? ეს პროცესი მხოლოდ იმ ფაქტს ასახავს, რომ მყიდველისათვის პირველ სამომხმარებლო კომბინაციას უპირატესობა აქვს მეორესთან შედარებით, ეს უკანასკნელი უკეთესია მესამეზე და ა.შ.

ამჟამად სარგებლიანობის ორდინალისტური ფუნქცია საკმაოდ დაწერილებითაა გამოკვლეული, თანაც ძირითადი სამუშაო ჩ.პიკსმა შეასრულა. მისი შრომების გამოსვლის შემდეგ დაიწყო მოთხოვნის თეორიის გაბედული გადასვლა სამომხმარებლო უპირატესობის მინიჭების თანრიგების ანალიზზე, რომელმაც ეკონომიკური მეცნიერებიდან პროგრესულად გამოდევნა თვით "ზღვრული სარგებლიანობის" ცნება. მის ნაცვლად გაჩნდა ერთი დოვლათის მეორეთი შენაცვლების ზღვრული ნორმის კატეგორია. თუ საქმე ეხება  $X$  დოვლათის შენაცვლებას  $Y$  დოვლათით (ნახ.5.1), მაშინ ზღვრული ნორმა გვიჩვენებს,  $Y$  საქონლის რა რაოდენობაა საჭირო  $X$  იმისათვის, რომ მოახდინოს  $X$  საქონლის უკანასკნელი ერთეულის სამომხმარებლო დანაკარგის კომპენსაცია.



შენაცვლების ზღვრული ნორმები ახასიათებს I, II, III განურჩევლობის მრუდის დახრილობას (ნახ.5.1), მათემატიკურად კი გამოიხატება როგორც ამ მრუდის ამსახველი  $y=f_1(x), y=f_2(x), y=f_3(x)$  წარმოებული ფუნქციები. შესაბამისად, კლებადი ზღვრული სარგებლიანობის კანონის ნაცვლად წარმოიშვა შენაცვლების ზღვრული ნორმის შემცირების პრინციპი. მეცნიერებაში ჯ.პიკსმა ერთი დოვლათის მეორეთი შენაცვლების ელასტიურობის ცნებაც შემოიტანა.

საჭიროა მითითებული კატეგორიები რამდენადმე დაწვრილებით იქნეს განხილული. ეს იმიტომ, რომ მათი გამოყენების სფერო (ისევე როგორც თვით განურჩევლობის მრუდებისა) არაა შეზღუდული მარტოოდენ მოთხოვნის თეორიით. ზღვრულ ნორმასა და შენაცვლების ელასტიურობას ჩვენ კიდევ ბევრჯერ შევხვდებით, მაგალითად, წარმოებრივი ფუნქციის შესწავლისას. ზღვრული ნორმისა და ელასტიურობის ცნებები საკმაოდ ხშირად გამოიყენება ეკონომიკური მეცნიერების სხვა განყოფილებებშიც.

თუ შენაცვლების ზღვრული ნორმა სამომხმარებლო ნაყრების შემადგენელთა დამაკავშირებელ ფუნქციას ახასიათებს, მაშინ საქმე ეხება  $X$  და  $Y$  დოვლათის რაოდენობათა უსასრულოდ მცირე ცვლილებების დაპირისპირებას. მაგრამ რეალურ ეკონომიკაში ასეთი ხასიათის ცვლილებები ხომ ძალიან იშვიათია. მოცულობათა თვით ყველაზე უმნიშვნელო მატება, როგორც წესი, სასრული სიდიდეს: პურისათვის – ერთი ბატონი, რძისათვის – ერთი ჭილა, ხოლო ვთქვათ, ფულადი შემოსავლისათვის – ერთი კაპიკი. გამოდის, რომ ეკონომიკური ანალიზი გაცილებით მოხერხებულია ჩატარდეს სხვა მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც ადგენს დამოკიდებულებას პარამეტრების შეფარდებით პროცენტულ ცვლილებებს შორის. სწორედ ასეთად გვევლინება შენაცვლების ელასტიურობა, რომელიც მიუთითებს, სახელდობრ, რამდენი პროცენტით უნდა გაიზარდოს  $Y$  დოვლათის რაოდენობა, რათა სუბიექტმა არ იგრძნოს  $X$  დოვლათის ერთი პროცენტის დაკარგვა.

ავიღოთ განურჩევლობის ნებისმიერი მრუდი. ზემოთ აღინიშნა, რომ მისი წარმოდგენა შეიძლება არა მხოლოდ  $U=U(x,y)$  სარგებლიანობის ფუნქციის სახით, არამედ მარტივად, როგორც  $y=f(x)$ . მაშინ შენაცვლების ზღვრული ნორმა ასეთ სახეს მიიღებს:


$$MRS_y = \frac{dy}{dx} \quad (5.8)$$

\*  $MRS$  \_ marginal rate of substitution (შენაცვლების ზღვრული ნორმა)

როგორ შევფასოთ ცვლადების შეფარდებითი (პროცენტული) ცვლილებები, როცა ცნობილია მათ შორის ფუნქციონალური დამოკიდებულება? ამისათვის ( $dx$  და  $dy$ ) ნამატი უნდა გაიყოს მათ აბსოლუტურ სიდიდეებზე ( $x$  და  $y$ ). ახლა ნათელი გახდება შენაცვლების ელასტიკურობის ფორმულა:

$$E_x^y = \frac{dy}{y} \cdot \frac{dx}{x} = \frac{dy}{dx} \cdot \frac{x}{y} \quad (5.9)$$

დაეშუათ, მომავალი მყიდველი თავის ქცევაში იყენებს სარგებლიანობის ორდინარულ ფუნქციას პარეტო-პიკის მიხედვით. ეს იმას ნიშნავს, რომ



ნახ. 5.2

მას ბაზარზე გამოსვლისას თავში აქვს სამომხმარებლო ნაყრებთა მოწესრიგებული თანამიმდევრობა (პირველი უკეთესია მეორეზე, მეორე — მესამეზე და ა.შ.). უფრო მეტიც, სუბიექტმა იცის შენაცვლების ელასტიკურობა და სურვილისამებრ შეუძლია თითოეული ნაყრებთა-განის ტრანსფორმირება, მასში შემავალი დოვლათის რაოდენობის შეცვლა თავისი კეთილდღეობისათვის ყველ-

გვარი ზიანის მიუყენებლად. როგორც ვიცით, ამისათვის საჭიროა მხოლოდ, რომ ასეთი ტრანსფორმაცია არ გამოვიდეს განურჩევლობის მრუდის განსაზღვრული ჩარჩოებიდან.\* როგორც იტყვიან, დარჩა სულ მცირე — მომხმარებლების მისწრაფების შეთავსება იმ შემოსავლებთან, რომელთა დაბარჯვაც მათ შეუძლიათ საჭონლისა და მომსახურების შესაძენად. შესაძლებელია თუ არა ისეთი შეთავსება, რომელიც

შეგახსენებთ, რომ ყველივე ამას მნიშვნელობა აქვს იმ სუბიექტების რაციონალური ქცევისათვის. რომლებიც სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიაში ფიგურირებდნენ. რა თქმა უნდა, რეალურ სინამდვილეში იდეალური სტეპიდან მრავალი გადაბრა არსებობს.

უზრუნველყოფს სუბიექტის სამომხმარებლო არჩევანის ოპტიმიზაციას, ან, რაც იგივეა, მომხმარებლის წონასწორობას? დიახ, ამ საკითხის გადაჭრა არსებობს, თანაც ერთადერთი. ამის საილუსტრაციოდ მოვიტანოთ ნახ.5.2-ზე გამოსახული მაგალითი (X,Y,I,II,III გამოხატავენ იგივეს, რაც ნახ.5.1-ზეა მოცემული).

დავუშვათ, სუბიექტი ხარჯავს მთელ თავის შემოსავალს ან X საქონლის შესაძენად, ან Y საქონლის საყიდლად. პირველ შემთხვევაში (მოცემული ფასების პირობებში) X დოვლათს იგი მიიღებს  $x_x$ -ის რაოდენობით, მეორე შემთხვევაში კი, Y დოვლათს მიიღებს  $y_y$ -ის მოცულობით. ამ წერტილების შეერთებით, ჩვენ ავაგებთ SS წრფეს ანუ საბიუჯეტო ხაზს. ალბათ შეიძლება იმის დამტკიცება, რომ იგი აუცილებლად შეეხება განურჩევლობის ერთ-ერთ მრუდს (ჩვენს მაგალითში მრუდი II). R შეხების წერტილი, რომელშიც შეხამებულია სუბიექტის სურვილი (სარგებლიანობის ორდინალისტური ფუნქცია) მის რეალურ შესაძლებლობებთან (SS საბიუჯეტო ხაზი), აჩვენებს  $(x_p, y_p)$  ოპტიმალურ სამომხმარებლო ნაკრებს, რომელიც ასახავს მომხმარებლის წონასწორობის პირობებს. თუმცა საბიუჯეტო წრფე გადის ასევე M და N წერტილებზე, მომხმარებელი უარყოფს  $(x_m, y_m)$  და  $(x_n, y_n)$  ნაკრებებს, იმის საფუძველზე, რომ ეს წერტილები ეკუთვნის სხვა განურჩევლობის მრუდს (მრუდი I), რომელსაც ის ნაკლებ უპირატესობას ანიჭებს, ვიდრე II მრუდს.

შევეცადოთ განესაზღვროთ წონასწორობის პირობები. როგორც უკვე ვიცით, სუბიექტის ამოცანაა საკუთარი კეთილდღეობის ოპტიმიზაცია და ამას ის აღწევს სიტუაციაში, რომელიც 5.2 ნახაზზე R წერტილითაა აღნიშნული. ამ სიტუაციის მათემატიკური ანალიზისათვის აუცილებელია მომხმარებლის შემოსავლის განაწილების ფუნქციის ფორმულირება და იმ პირობების მოძებნა, რომლის დროსაც იგი ექსტრემუმს აღწევს. თუ G მყიდველის შემოსავალია, მაშინ მისი განაწილება შეიძლება შემდეგნაირად წარმოვიდგინოთ:

$$G = xp_x + yp_y, \quad (5.10)$$

სადაც X და Y – შეძენილი დოვლათის რაოდენობაა;  $p_x, p_y$  – მათი ფასი.

ფასების მუდმივობის დაშვებით მოვახდინოთ ფუნქცია G-ის დიფერენციალი:

$$dG = \frac{\partial(xp_x)}{\partial x} dx + \frac{\partial(yp_y)}{\partial y} dy = p_x dx + p_y dy. \quad (5.11)$$

G ფუნქციის დიფერენციალის ნულთან გატოლებით მივიღებთ:

$$0 = p_x dx + p_y dy. \quad (5.12)$$

$$\frac{dy}{dx} = - \frac{p_x}{p_y}. \quad (5.13)$$

როგორც ჩანს, სამომხმარებლო ნაკრები ოპტიმიზირდება მაშინ, როცა ერთი დოვლათის შენაცვლების ზღვრული ნორმა მათი ფასების უუპროპორციულია. ასეთია შემოსავლის ფუნქციის მაქსიმუმის პირობა. აღნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას. თუ /5.13/ განტოლებით ვიხელომდვანელებთ, მაშინ გამოვა, რომ მოხმარების სტრუქტურისა და ერთი დოვლათის მეორეთი შეცვლის სუბიექტი უცილობლად აწვდება ფასების თანაფარდობას. მაგალითად, რაც უფრო ძვირია  $X$  საქონელი, მით უფრო მალაღია შენაცვლების ზღვრული ნორმა, მით უფრო მეტი რაოდენობის  $Y$  დოვლათია საჭირო  $X$  დოვლათის ერთეულის შესაცვლელად. შეიძლება ასეც ითქვას:  $X$  საქონლის ფასების გადიდება, სხვა თანაბარ პირობებში, ზრდის მოთხოვნას  $Y$  საქონელზე. ეს დასკვნა დიდად გამოგვადგება მოთხოვნის ელასტიკურობის ანალიზისას. ახლა უკვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ის კარგად ეხამება სამომხმარებლო ბაზარზე რეალურ პროცესებს.\*


როგორც 5.2 ნახაზიდან ჩანს, მოხმარებელთა შემოსავლების სიდიდის მიხედვით შეიძლება გაივლოს მრავალი საბიუჯეტო ხაზი, თანაც ბევრი მათგანისათვის დამახასიათებელი იქნება დოვლათის საუკეთესო ნაკრების საკუთარი მნიშვნელობა, წონასწორობის საკუთარი პირობა. ბევრისათვის, მაგრამ არა ყველასათვის, გასაგებია, რომ შემოსავლის ზრდისა და ბიუჯეტის წრფის მარჯვნივ და ზევით მოძრაობის კვალობაზე, მყიდველები ხდებიან დოვლათის მზარდი მოცულობის მფლობელები. მათი შემოსავლები გაიზრდება, ვინაიდან განურჩევლობის რუკა მალაღი სიმპიდროვით გამოირჩევა, ყოველი მათგანი იმ სამომხმარებლო ნაკრებს დაეუფლება, რომელიც ხელმისაწვდომია მისთვის შემოსავლის მიხედვით. მაგრამ ლარიბებიც ხომ არსებობენ, რომელთა საბიუჯეტო ხაზები ყველაზე პირველი განურჩევლობის მრუდის ქვემოთ გადის (SS წრფე ნახ.5.2-ზე), ე.ი. იმ მრუდისა, რომელიც სამომხმარებლო ნაკრებს წარმოადგენს მინიმალური საქონლური შევსებით. გამოდის, რომ მათ არავითარი დოვლათი არ შეხედებათ. მართალია, ეს შესაძლებელია, მაგრამ როგორც

\* (5.13) ტოლობაში მინუსის ნიშნის მნიშვნელობა ისაა, რომ  $y=f(x)$  წარმოებული ფუნქცია უარყოფითია და ამიტომაც განურჩევლობის მრუდი კლებადია.

მეორე ლექციაში აღინიშნა, ეს აუცილებლად მოითხოვს სახელმწიფოს აქტიურ მონაწილეობას შემოსავლების გადანაწილებაში.

განურჩევლობის მრუდების აპარატმა ფართო გზა გაუხსნა მომხმარებელთა ქცევების კვლევას ისეთ სიტუაციებში, როცა  $X$  და  $Y$  საქონლის ფასები მოძრაობაში მოდიან. ეს ძლიერ კარგად გამოიყენა ჯ.ჰიკსმა, რომელმაც სამომხმარებლო მოთხოვნის ფასების დინამიკასთან დამოკიდებულების ნაყოფიერი ანალიზი ჩაატარა. იმის გამო, რომ ჯ.ჰიკსის ფორმულირების ანალოგიური შედეგები ბევრად ადრე რუსმა ეკონომისტ-მათემატიკოსმა ე.ეს.ლუცკიმ მიიღო, მათ ზმირად აერთიანებენ სლუცკი-ჰიკსის ეფექტის სახელწოდებით.\*

განვიხილოთ იგი მაგალითზე:  
/ნახ.5.3/



ნახ. 5.3

ვთქვათ,  $X$  საქონლის ფასი ორჯერ დაეცა. ვინაიდან ნომინალური შემოსავალი უცვლელი რჩება, ამ მოვლენას  $AC$  ახალი ბიუჯეტური ხაზი ასახავს. ახლა მომხმარებლის წონასწორობა დამყარდება  $R_3$  წერტილში, რომელიც მოცემულ საბიუჯეტო ხაზს III განურჩევლობის მრუდთან აერთებს. თუ 5.3 ნახაზით ვიმსჯელებთ,  $X$  დოვლათის ფასის

\* ჯ.ჰიკსის ხაზი გააგრძელა პ.სამუელსონმა გამოკვნილ უპირატესობათა მინიკების თეორიაში. მან სავეებით უარყო სარგებლიანობის კარდინალისტური ფუნქცია და საბოლოოდ განდევნა ზღვრული სარგებლიანობა სამომხმარებლო მოთხოვნის თეორიიდან.

\*\* სურთოდ რომ ვთქვათ,  $Y$  შეიძლება გავიგოთ როგორც არა მხოლოდ ცალკეული დოვლათი, არამედ როგორც მთელი დანარჩენი / $X$ -ის გარდა/ სამომხმარებლო ნაკრები.

10 მანეთამდე შემცირებამ მომხმარებელზე შოკური ზემოქმედება მოახდინა. ალბათ სუბიექტს ძლიერ ესაჭიროებოდა ეს საქონელი და მასობრივი შექენისაგან თავს მხოლოდ იმიტომ იკავებდა, რომ იგი მისთვის ძლიერ ძვირი იყო. ახლა, როცა ფასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები გადაილახა, მომხმარებელი უკვე აღარ იზღუდავს თავს მოხმარების ძველი მოცულობით, რომელიც 5 ერთეულს შეადგენდა. ის არ კმაყოფილდება არც 10 ერთეულით. თვით  $y$  საქონლის მოხმარების შემცირება  $y_1$ -დან  $y_2$ -მდე იმაზე მეტყველებს, რომ მომხმარებელი  $x$  დოვლათზე მოთხოვნას 100 მანეთის ფარგლების მიღმა აღიდებს. ამ საქონლის დამატებითი რაოდენობის შესაძენად იგი იმ სახსრების ნაწილს იყენებს, რომელიც წინათ  $y$  საქონლის საყიდლად იხარჯებოდა.

რა მოხდა, რა მოტივებით ხელმძღვანელობდა სუბიექტი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად განვიხილოთ ორი სიტუაცია: რეალური შემოსავალი არ იცვლება და მყიდველის ქცევა ნაკარნახევია მხოლოდ ფასების თანაფარდობით; იგი განპირობებულია მხოლოდ რეალური შემოსავლის ზრდით.

ამრიგად, დაეუშვათ, რომ რეალური შემოსავალი მუდმივია. ამ სიტუაციაში მყიდველის ქცევის მნიშვნელობა ისაა, რომ იგი დასაწყისში მოხმარების ნაცადი სტერეოტიპებით ხელმძღვანელობდა და საქონლის იმავე რაოდენობით თავის დაკმაყოფილებას ფიქრობდა, როგორც წინათ კმაყოფილდებოდა, ანუ 5 ერთეულით. მის მისაღებად ახლა მას ესაჭიროება უკვე არა 100 მანეთი, არამედ მხოლოდ 50. სხვა სიტუაციით რომ ვთქვათ, სუბიექტი თითქოს დროებით იფიქნებს  $x$  საქონლის ფასის შემცირების შედეგად წარმოქმნილ ორმოცდაათმანეთიან რეზერვს და თავს იკავებს დამატებით შემოსავლად მისი გადაქცევისაგან.

შეგახსენებთ, რომ AC ბიუჯეტის ხაზმა ასახა  $x$  და  $y$  საქონლის ფასების ახალი თანაფარდობა. ზუსტად ასეთი თანაფარდობა დარჩა ზემოთ აღწერილ სიტუაციაში. იმიტომ მისი დამახასიათებელი ბიუჯეტური წრფე AC-ის პარალელურად უნდა გავიდეს, ამასთან,  $R_1$  წერტილზე გავლით, რითაც დაამტკიცებს, რომ პირველ ხანში მომხმარებელი თავს ძველი რეალური შემოსავლის მფლობელად გრძნობს. DE ბიუჯეტის წრფე ორივე მოთხოვნას უპასუხებს და ეხება უკვე II განურჩევლობის მრუდს, ხოლო მომხმარებლის ჰიპოთეზურ წონასწორობას შეესაბამება  $R_2$  წერტილი. აი, ახლა ის საბოლოოდ მიხვდა, რომ ფასების სტრუქტურა რადიკალურად შეიცვალა,  $x$  დოვლათი ხელმისაწვდომია და სტერეოტიპების ჩამოშორების შემდეგ, შეიძლება გასაქანი მისცეს თავის მოთხოვნილებებს. 5.3 ნახაზზე კარგად ჩანს, რომ მუდმივი რეალური

შემოსავლის პირობებშიც კი, დამატებითი 50 მანეთის გაუთვალისწინებლად, მყიდველი აშკარა უპირატესობას  $X$  საქონელს აძლევს, მისი ფასის შემცირება მოთხოვნის გადიდებით შეიცვლება ( $X_2 > X_1$ ), რომელიც გამოდევნის, შეცვლის  $Y$  საქონელზე მოთხოვნის ნაწილს ( $Y_2 < Y_1$ ). ასეთია შენაცვლების ეფექტის – სლუცკი-ჰიკის ეფექტის პირველი შესაყარების შინაარსი.

ახლა გავანალიზოთ მეორე სიტუაცია. საქმე იმას ეხება, თუ როგორ განაწილებს სუბიექტი იმ 50 მანეთ შემოსავალს, რომელიც  $X$  დოვლათის გაიაფების შედეგად გამოთავისუფლდა. ასეთი განაწილების ხასიათი განაპირობებს სლუცკი-ჰიკის მეთოდის ეფექტის მეორე ნაწილს – შემოსავლის ეფექტის მიმართულებას.

აქ ბევრი რამაა დამოკიდებული თვით საქონლის თვისებაზე, თუ ნივთი მაღალი ხარისხისაა და მასზე მოთხოვნა არაა გაჭვრებული, რეალური შემოსავლის ზრდა საქონელზე მოთხოვნის ზრდის ტოლი იქნება (შემოსავლის დადებითი ეფექტი). ჩვენს მაგალითში ეს ნიშნავს მთელი 50 მანეთის გადაქცევას  $X$  დოვლათის დამატებით რაოდენობად. ცხადია, ასეთი განაწილების დროს შემოსავლის ეფექტი იმავე მიმართულებით იმოქმედებს, საითაც შენაცვლების ეფექტი, ამასთან გააძლიერებს მას.

მაგრამ სხვაგვარადაც ხდება. როცა საქონელი დაბალი ხარისხისაა, შედარებით იაფია და მასზე მოთხოვნილება ახლოა დაკმაყოფილებასთან, ფასის შემცირებამ შეიძლება მოთხოვნის უკიდურესად ნელი ზრდა, ანდა მისი სტაბილიზაციაც კი გამოიწვიოს (შემოსავლის უარყოფითი ეფექტი). ისეც ხდებოდა ხოლმე, როცა შემოსავლის უარყოფითი ეფექტი ძალის მიხედვით ჭარბობს შენაცვლების ეფექტს. მაშინ ფასის შემცირებას თან სდევს მოთხოვნის დაცემა, მისი გადანაცვლება სხვა საქონელზე.\*

თუ 5.3 ნახაზს დავაკვირდებით, დავინახავთ შემოსავლის ეფექტის როგორც დადებით, ისე უარყოფით ნიშნებს. სინამდვილეში სახეზეა მოთხოვნის ზრდა არა მხოლოდ გაიაფებულ საქონელზე ( $X_2 > X_1$ ), არამედ  $Y$  ( $Y_3 < Y_2$ ) საქონელზეც.  $X$  დოვლათის ფასის დაცემის ყოველი შეხამება  $Y$  დოვლათზე მოთხოვნის ზრდასთან, მიუთითებს რაღაც ძალის არსებობაზე, რომელიც აბრკოლებს  $X$  საქონელზე მოთხოვნის ზრდას, ამუხრუჭებს მას. ეს, როგორც დავრწმუნდით, შემოსავლის უარყოფითი ეფექტია. მთლიანად კი შეიძინება, რომ  $X$  დოვლათზე მოთხოვნის საერთო შემცირება ( $X_1, X_3$  მონაკვეთი) მოხდა ( $X_1, X_2$ ) შენაცვლების ეფექტის და ( $X_2, X_3$ ) შემოსავლის ეფექტის ზემოქმედებით.

\* ერთ-ერთი მაგალითი – ჰიფენის ეფექტი მომდევნო ლექციაშია განხილული.

მარკინალისტურმა მიმდინარეობამ, რომლის საფუძველი პარეტო-პრინციპებია, მრავალი ფასეული მეცნიერული შედეგი მოგვცა, პირველ ყოვლისა, სამომხმარებლო მოთხოვნის ანალიზის სფეროში. მათ რიცხვს შეიძლება მიეკუთვნოს დებულებები, რომლებიც ეხება მომხმარებელთა უპირატესობის მინიჭებას, მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თანამიმდევრობას, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ოჯახის ბიუჯეტის ეკონომიკური გამოკვლევის პერიოდში მიიღეს ფაქტობრივი დადასტურება. რაც შეეხება სლუცი-პრინციპის ეფექტს, იგი მოთხოვნის ელასტიკურობის პრობლემის დამუშავების საფუძველს შეადგენს, რომელსაც მაღალი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. მას ჩვენ მორიგ ლექციაში შევხებით.



მოთხოვნა, ფასი, შემოსავალი

მოთხოვნის ფუნქცია. ფასის მიხედვით მოთხოვნის პირდაპირი ელასტიკურობა. განსაკუთრებული შემთხვევები. ჰიფენის ეფექტი. ფასის მიხედვით მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობა. ურთიერთ შემსებები და ურთიერთ შემცველი საქონლის კომბინაციები. შემოსავლის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობა. ენგელის პირველი კანონი. მოთხოვნა და ბარისხი. მოთხოვნის ელასტიკურობა და ბაზრის მექანიზმი.

1) თუმცა მოთხოვნაში ჩვეულებრივ გადახდისუნარიან მოთხოვნილებას გულისხმობენ, მაგრამ მის სიდიდეში, სტრუქტურასა და დინამიკაში მრავალი სხვა ეკონომიკური, სოციალური, ფსიქოლოგიური ფაქტორი ვლინდება. და მაინც, ცხადია, რომ მოთხოვნილების მოთხოვნად გადაქცევისას, ადამიანს პირველ რიგში აინტერესებს, თუ რა ღირს ის, რისი ყიდვაც მას სურს, ასევე თავისი სურვილებისა და ფინანსური შესაძლებლობების თანაზომადობა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მოთხოვნა გარკვეულ დოვლათზე ძირითადად დამოკიდებულია სამომხმარებლო საქონლის ფასებზე და მყიდველის მიერ მოხმარებისათვის გამოყოფილ შემოსავალზე, სწორედ ფასებზე და არა იმ საქონლის ფასზე, რომელზეცაა მოთხოვნა. როგორც ჰოსენის მეორე კანონიდან და სლუცკი-პიკის ეფექტიდან გამომდინარეობს, სუბიექტი მუდმივად გარდაქმნის მოთხოვნის სტრუქტურას, კერძოდ, ხელმძღვანელობს იმით, რომ იცვლება ფასები სამომხმარებლო ნაკრების ყველა შემადგენელზე.

დაეუშვათ, ბაზარზე ყოფიან  $n$  სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებას. თუ ფასებს აღვნიშნავთ  $P_1, P_2, \dots, P_i, \dots, P_n$ -ით,  $i$  დოვლათზე მოთხოვნას  $Q_i$ -ით, მოხმარებისათვის განკუთვნილ შემოსავალს --  $Y$ -ით, მაშინ  $i$  საქონელზე მოთხოვნის ფუნქციის ზოგადი სახე იქნება შემდეგი:

$$Q_i = f(P_1, P_2, \dots, P_i, \dots, P_n, Y). \quad (6.1)$$

თუ /6.1/ გამოსახულებით ვიმსჯელებთ, ცალკეულ საქონელზე მოთხოვნა  $Q_i$  სამი გარემოებით განისაზღვრება: მისი ფასით ( $P_i$ ), დანარჩენი სამომხმარებლო დოვლათის ფასებით ( $P_1, P_{i-1}, P_{i+1}, \dots, P_n$ ), შემოსავლით  $Y$ . განვიხილოთ ეს დამოკიდებულება ცალ-ცალკე.

დაეუშვათ, ფულადი შემოსავალი და ყველა საქონლის ფასი, გარდა  $i$ -სა, მუდმივია. ამ შემთხვევაში ფასის  $P_i$  და მოთხოვნის  $Q_i$  კავშირი



ნახ. 6.1

მეტად მარტივად წარმოგვესახება: რაც უფრო ძვირია საქონელი, მით უფრო ნაკლებია მისი მყიდველი, მით უფრო დაბალია მოთხოვნა, და პირიქით. მართლაც, საბაზრო მეურნეობაში ხშირია სიტუაციები, როცა მოხმარების საგნებზე მოთხოვნა სწორედ ასე იცვლება /6.1/.

შეიძლება თუ არა მოთხოვნაზე  $P_i$  ფასების ზემოქმედების ხარისხის გაზომვა, 6.1 ნახაზზე გამოსახული მრუდის ხასიათის, მისი დახრილობის განსაზღვრა?

დიახ, ასეთი მაჩვენებელი არსებობს და მას ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი ეწოდება.\* იგი ადგენს, თუ რამდენი პროცენტით იზრდება (მცირდება) საქონელზე მოთხოვნა მისი ფასის 1%-ით შემცირებისას (გადიდებისას). ცხადია, თუ მოთხოვნის დამოკიდებულება ფასზე ისე გამოიყურება, როგორც 6.1 ნახაზზეა მოცემული, მაშინ ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი ნულზე ნაკლებია.

წინა ლექციაში ჩვენ შევეხეთ ელასტიკურობის ცნებას, თუმცა მაშინ საუბარი იყო ერთი სამომხმარებლო დოვლათის მეორეთი შეცვლის შესახებ. ეს, რა თქმა უნდა, /5.9/ ფორმულას არ ართმევს მისთვის დამახასიათებელ უნივერსალობას. იმისათვის, რომ მოთხოვნის ელასტიკურობის განტოლება გამოვიყვანოთ, საჭიროა მხოლოდ ახალი ცვლადების ჩასმა. ამის შედეგად მივიღებთ:

$$E_{P_i}^i = \frac{\partial Q_i}{\partial P_i} \cdot \frac{P_i}{\partial Q_i} \quad (6.2)$$

სადაც  $E_{P_i}^i$  - ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტია.

მათემატიკური სტატისტიკის ცნობილი ხერხები მოთხოვნისა (მას ჩვეულებრივ უტოლებენ გაყიდვის რაოდენობრივ მოცულობას) და ფასის

\* მოთხოვნის ელასტიკურობის გამოკვლევაში პრიორიტეტი ა. მარშალს ეკუთვნის. "...მოთხოვნის ელასტიკურობის ხარისხი (ანუ რეაქციის სიჩქარე) ბაზარზე, - წერდა იგი, - დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზომით იზრდება მისი მოცულობა ფასების მოცემული სიდიდით შემცირებისას ან მცირდება ფასების მოცემული სიდიდით გადიდებისას" Marshall A., Принципы политической экономии, т.1, М., 1983, ст. 167

დამაკავშირებელი ფუნქციის საკმაოდ ადვილად აგების შესაძლებლობას იძლევა. თუ, მაგალითად, ეს დამოკიდებულება წრფივ ხასიათს ატარებს, მაშინ მოთხოვნის ფუნქციას, მის კერძო წარმოებულს  $P_i$ -ის მიხედვით და ელასტიკურობის პირდაპირ კოეფიციენტს შემდეგი სახე აქვთ (a, b, c – მუდმივია):

$$Q = a + b_1 p_1 + \dots + b_n p_n + cY. \quad (6.3)$$

$$\frac{\partial Q}{\partial p_1} = b_1. \quad (6.4)$$

$$E_{p_1}' = b_1 \cdot \frac{P_1}{Q}. \quad (6.5)$$

ვთქვათ,  $\bar{Q}$  და  $\bar{P}_i$  -გასული წლების სტატისტიკის საფუძველზე გაანგარიშებული მოთხოვნისა და ფასის საშუალო მნიშვნელობებია. ვინაიდან ახლა /6.5/ ფორმულის ყველა ცვლადი ცნობილია, მოთხოვნის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი რომელიმე რიცხვად იქცევა.

საბაზრო ტიპის ეკონომიკაში მისი განსაზღვრა დიდ პრაქტიკულ აზრს იძენს. წარმოვიდგინოთ ბაზრისათვის მომუშავე საწარმო, რომლის პარამეტრები მას თავისუფალ ბაზართან აახლოებს. თავისუფალი ბაზრის მებუთე ნიშნიდან გამომდინარე, ასეთ შემთხვევაში მეწარმე ფასებზე ვერ მბრძანებლობს. ცხადია, საწარმოს საბაზრო ბედი (რაც მოთხოვნაზე დროული ორიენტირების უნარიანაა განპირობებული) მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, შეძლებს თუ არა, განჭვრიტოს ფასის მოსალოდნელი მოძრაობა და სწორად განსაზღვროს მოთხოვნის ელასტიკურობა.

ან ავიღოთ სხვა, უფრო რეალური სიტუაცია, როცა საწარმოს აქვს გასაყიდი ფასების ცვლილების რაღაც დიაპაზონი. მართალია, ეს უფრო ხშირად მონოპოლიურ ბაზრებზე გვხვდება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფასწარმოქმნის გარკვეული თავისუფლება კონკურენციული ეკონომიკის მონაწილეებსაც აქვთ. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თავის პროდუქციაზე მოთხოვნის ელასტიკურობის წინასწარი პროგნოზის გარეშე მას გაუძნელებდა კომერციული წარმატების მიღწევა. ვიდრე ასეთი შეფასება არ არსებობს, გაურკვეველია, რამდენი საქონელი უნდა იქნეს გამოშვებული და რა ფასით გაიყიდოს. დაეუშვათ, საწარმო წელიწადში 1000 ნაკეთობას ყიდის, თითოეულს – 100 მანეთად. თუ, ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი, ვთქვათ, 2-ის ტოლია, მაშინ

ფასის 1%-ით შემცირება (ე. ი. 99 მანეთამდე) მას საშუალებას მისცემს გასაყიდი პროდუქცია 1020 ერთეულამდე გაზარდოს, რაც ფულად გამოხატულებაში 100 ათასი მანეთის ნაცვლად 100,98 მანეთს შეადგენს. საწარმოს უჩნდება შანსი, გაათავართოს წარმოება და გასაღება, განამტკიცოს თავისი საბაზრო პოზიციები. შეენიშნავთ, რომ მოვლენათა ასეთი შემობრუნება მხოლოდ მოთხოვნის საკმაოდ მაღალი ელასტიკურობის პირობებშია შესაძლებელი. როდესაც, ვთქვათ,  $Q > E_p > -1$ , რისკი აშკარად გაუმართლებელია. ფასების შემცირებას მოთხოვნის ისეთი მოდუნებული რეაქცია მოჰყვება, რომ საწარმომ შეიძლება იზარალოს კიდევ. ფასის ზრდის შემთხვევაში იგი, ალბათ, მოთხოვნისა და გაყიდვის დაჭევიანებასაც წააწყდება.

აქვს თუ არა სამომხმარებლო ბაზარს სიურპრიზების შექმნის, იმ სიტუაციების იგნორირების უნარი, რომლის დროსაც ფასების ზრდა მოთხოვნის დაცემით კი არ შეიცვლება, არამედ, პირიქით, — მისი გადიდებით, ფასების შემცირება კი — მოთხოვნის დაცემით? საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მსგავსი კოლიზიების შესაძლებლობა ე. სლუცკიმ და ჯ. ჰიკსმა იწინასწარმეტყველეს. მათ იმის გაშლილი დასაბუთება წარმოადგინეს, რომ პრინციპში თეორიულად შესაძლებელია შემოსავლის იმდენად ძლიერი უარყოფითი ეფექტი, რომელსაც შენაცვლების ეფექტის დაძლევა შეეძლება. ასეთი რამ სინამდვილეშიც ხდება ხოლმე. სამომხმარებლო ბაზარზე მოვლენათა განვითარების სულ ცოტა ოთხი ვარიანტია ცნობილი, როცა მოთხოვნის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი აღარ არის უარყოფითი, ან დადებით მნიშვნელობასაც კი იძენს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოთხოვნის ელასტიკურობის მითითებული ინდიკატორის უარყოფითობის საერთო წესიდან, როგორც მინიმუმში, ოთხი გამონაკლისი არსებობს.

პირველი განსაკუთრებული სიტუაცია იმ ბაზრებზე წარმოიქმნება, სადაც სამომხმარებლო ნაყრების შეუცვლელი შესაკრებლებით ვაჭრობენ (ასანთი, მარილი და ა. შ). ცხადია, ბაზარზე გაყიდულ ამ საქონელთა რაოდენობა ნაკლებადაა კავშირში მათ ფასებთან და ზოგჯერ არ არის მათზე დამოკიდებული. მაგალითად, საერთოდ რომ ვთქვათ, მარილზე ფასების გადიდებისას მას იმდენსავე რაოდენობით იყიდიან, რამდენსაც გაძვირებამდე, რადგანაც ასეთი ნაწარმისათვის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი ნულს უახლოვდება; მათ ხშირად არაელასტიკური მოთხოვნის საქონელს უწოდებენ.


ადვილი დასარწმუნებელია: ამგვარი დოვლათის თვისებები ისეთია, რომ მის მწარმოებლებს განსაკუთრებულ, პრივილეგიურ მდგომარეობაში

აყენებენ, შესაძლებლობას აძლევენ, ფაქტობრივად დაუბრკოლებლად გაზარდონ ფასები და ექსპლოატაცია გაუწიონ მომხმარებლებს. სწორედ ამიტომ მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანაში აღნიშნული პროდუქციის ფასები და ზოგჯერ მათი წარმოებაც კი, სახელმწიფოს მკაცრ კონტროლს ექვემდებარება. ეს საესებით გამართლებულია და შედის ბუნებრივი სახელმწიფო მონოპოლიების წრეში. თუმცა, შიგადაშიგ სიტუაციას სახელმწიფო თავისი ინტერესებისათვის იყენებს და მომხმარებელს აქტიური გადასახადებით ბეგრავს. როგორც მეოთხე ლექციაში იყო აღნიშნული, ამ სფეროში მისი მოქმედება ეკონომიკურად სრულებითაც არ არის ყოველთვის გამართლებული.

სხვა მაგალითი: ბაზრები გავსებულია იმ საქონლით, რომელზეც მოთხოვნილება უკვე გაჩერებულია. ასეთ ვითარებაში მწარმოებლები, როგორც იტყვიან, სამჭერ უფრო ფრთხილად უნდა იყვნენ. თუ ისინი უსაფუძვლოდ ამყარებენ იმედს ფასის მიხედვით მოთხოვნის მაღალ პირდაპირ ელასტიკურობაზე, ამცირებენ ფასებს და ასეთი გზით ვარაუდობენ მყიდველების მოზიდვასა და გაყიდვის გაფართოებას, მაშინ შედეგები შეიძლება მათი მოლოდინის საწინააღმდეგო აღმოჩნდეს. საესებით შესაძლებელია, რომ მოხდება არა მოთხოვნის გაზრდა, არამედ მისი კიდევ უფრო შემცირება, რაზედაც მიანიშნებს ფასების მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტის დადებითი ნიშანი. როგორც განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნების პრაქტიკა გვიჩვენებს, მაშინაც კი, როცა იაფად იყიდება მოძველებული, მაგრამ

საესებით ვარგისიანი და ჭერ კიდევ ადამიანებისთვის საჭირო ნივთები, მოთხოვნის სასურველ მოძალებას, როგორც წესი, მხოლოდ ნატომისებური, მომხმარებლისათვის შოკისმომგვრელი ფასების შემცირება უზრუნველყოფს.

განსაკუთრებული მდგომარეობა ხანდახან შეიძლება ბევრი სასურსათო საქონლის ბაზარზეც ჩამოყალიბდეს, როგორცაა, მაგალითად, პური ან კარტოფილი. თუ ქვეყნის განვითარების დონე საკმაოდ დაბალია, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი მათ შექმნაზე თავისი შემოსავლის საგრძნობ ნაწილს ხარჯავს. ფასების ზრდის შემთხვევაში ადამიანები



ნახ. 6.2

იძულებული იქნებიან გაზარდონ მოთხოვნა ამ, სიცოცხლისათვის აუცილებელ დოვლათზე და უარი თქვან სხვა საქონლის ყიდვაზე. მოცემულმა მოვლენამ მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ჰიფენის ეფექტის სახელწოდება მიიღო (ნახ. 6.2)

6.2. ნახაზზე წარმოდგენილი მოთხოვნის მრუდი შეიძლება სხვაგვარადაც აიხსნას. რეალურ ეკონომიკაში იგი გაცილებით უფრო ფართო მოვლენას ახასიათებს, ვიდრე მხოლოდ პურზე მოთხოვნას ღარიბ ქვეყნებში. ინფლაციის პირობებში სამომხმარებლო ქცევის ცნობილი სტერეოტიპი – რაც უფრო მაღალია ფასი, მით მეტია მოთხოვნა – ორ-სამ ბაზარზე კი არა, არამედ საქონლის ბაზრების უმეტესობაში ვლინდება.

როცა ეკონომიკა დაავადებულია ღია ტიპის ინფლაციით, გარდაუვალია მომხმარებელთა ფსიქოლოგიის ღრმა დეფორმაცია. აწყდებიან რა ფასების მუდმივ მომატებას, ისინი თანდათან ეგუებიან აზრს იმის თაობაზე, რომ საქონელი და მომსახურება არასოდეს აღარ გაიადფდება და ძირითად საკითხად მხოლოდ ის რჩებათ, რომ განპერტონ, თუ რამდენჯერ გაძვირდება ისინი. მომხმარებლები ასეთ პროგნოზებს (მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში მას ადაპტურ ინფლაციურ მოლოდინს უწოდებენ) ეგუებიან და სამომხმარებლო გადაწყვეტილებებს იმას უსადაგებენ, თუ შემოსავლის რა ნაწილი დახარჯონ მიმდინარე მომხმარებაზე და რა ნაწილი – დანაზოგზე. ცხადია, მომხმარებლები ცდილობენ თავიანთი ცხოვრების დონის შენარჩუნებას და მიმდინარე მოთხოვნას დანაზოგის შემცირების ხარჯზე გაზარდიან. სწორედ ასე ხდება ჩვენს ეკონომიკაში, სადაც ადაპტური მოლოდინი აეიოტაეური მოთხოვნის აწევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ინფლაციური მექანიზმის წამყვანი რგოლი გახდა.

ინფლაციური ავადმყოფობით გაწამებული მკედველები, ფასების ზრდის ყოველ ახალ ხვეულაში თავიანთი გადაწყვეტილებების სისწორის, გონივრულობის დადასტურებას ხედავენ და, ქედან გამომდინარე, აგრძელებენ მოთხოვნის ზრდას. ამ უკანასკნელის გაფართოება ფასების მორიგ ზრდას იწვევს, რომელიც ადაპტურ ინფლაციურ მოლოდინს კიდევ უფრო განამტკიცებს; რასაც კვლავ მოთხოვნის მოქარბება მოჰყვება და ა. შ. სწორედ ამით წარმოიქმნება ეკონომიკისათვის ძლიერ საშიში ინფლაციის თვითყოლაწარმოებადი მექანიზმი, მანკიერი წრე, რომლისგანაც თავის დაღწევა შემდგომში ძალზე ძნელია.

ინფლაციის ანალიზისას ამ მექანიზმს ჩვენ უფრო დაწვრილებით განვიხილათ, ახლა კი მოკლედ აღვნიშნავთ შემდეგს: ინფლაციის


წინააღმდეგ ბრძოლის გზაზე მდგომი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ინფლაციური მოლოდინის დაძლევაა. განვითარებული ქვეყნების უახლესი წარსულის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, დავინახავთ, რომ ინფლაციური ფსიქოლოგიით დაავადებული ადამიანების განკურნების პრობლემა, რომელიც ბაზარზე აეიოტაჟური მოთხოვნის სახით წარმოჩინდება, არანაკლებ რთული და მრავალმხრივია. ვიდრე, ვთქვათ, წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, ანდა ბიუჯეტისა და ფულის მიმოქცევის ნორმალიზაცია. მათ გამოიჯანმრთელებაზე მხოლოდ მაშინ შეიძლება ვიქონიოთ იმედი, როცა ყველმხრივ განმტკიცდება საბაზრო მექანიზმი. მას ხომ ფასების საერთო ზრდის პირობებშიც აქვს უნარი, გამოიწვიოს მათი შემცირება თუნდაც ზოგიერთი საქონლის ბაზარზე, ეს კი გაზრდის მომხმარებლების მიდრეკილებას დაზოგვისაკენ, ხელს შეუწყობს მიმდინარე მოთხოვნის სტაბილიზაციას. რალა თქმა უნდა, აუცილებელია სახელმწიფოს მიერ მკაცრი ანტიინფლაციური ღონისძიებების კომპლექსის თანამიმდევრული, განუხრელი განხორციელება.

ასეთია გარკვეული სახის საქონელზე მოთხოვნის დამოკიდებულება მის ფასზე. ახლა ენახოთ, როგორ აისახება მასში სამომხმარებლო ნაკრებში შემავალი სხვა საქონლის ფასების დინამიკა იმ პირობით, რომ ფულადი შემოსავალი ძველებურად უცვლელი დარჩება. ასეთი ზემოქმედების ძალას ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის ჯვარედინი კოეფიციენტი  $E_{p_i}^i$  ზომავს. ის გვიჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით იცვლება მოთხოვნა  $i$  საქონელზე საქონლის ფასების ერთპროცენტთან შეწყობის დროს  $j$  ( $j = 1, \dots, i-1, i+1, \dots, n$ )

$$(E_{p_i}^i = \frac{\partial Q_i}{\partial p_i} \cdot \frac{p_i}{Q_i}) \quad (6.6)$$

პირდაპირი კოეფიციენტებისგან განსხვავებით, ელასტიკურობის ჯვარედინმა კოეფიციენტებმა არ იცის არც წესები, არც გამოთვლისები. მათი ის მნიშვნელობა, რითაც მოთხოვნაზე ფასების გავლენა ხასიათდება, შეიძლება მეტად სხვადასხვაგვარი იყოს. ყელაფერი იმაზეა დამოკიდებული, დოვლათის როგორ კომბინაციებს წარმოშობს სამომხმარებლო ბაზარი და როგორ თანაფარდობაში არიან ისინი ერთმანეთთან /ნახ.6.3/

საეჭვოა, რომ, მაგალითად, აეტომობილებზე მოთხოვნა რაიმე გავლენას მოახდენს კომბოსტოს ფასების მოძრაობაზე. ეს, და მრავალი სხვა, მისი ანალოგიური დოვლათის კომბინაციები 6.3 ნახაზზე 1 წრფით არის გამოხატული. ცხადია, ასეთ შემთხვევაში საქონელი დამოუკიდებელია და ფასის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის ჯვარედინი კოეფიციენტები ნულის ტოლია.



ნახ. 6.3

ოცნებასთან დამზიდობება და გამოთავისუფლებული სახსრების ველოსიპედის საყიდლად გამოყენება მოუწევს. გამოდის, რომ მოტოციკლზე ფასების გადიდებისას იზრდება მოთხოვნა ველოსიპედებზე. ამ შემთხვევაში ელასტიკურობის ჯვარედინი კოეფიციენტი დადებით რიცხვად იქცევა, ხოლო მოთხოვნა ფასის მზარდ ფუნქციად (II მრუდი 6.3 ნახაზზე).

დაბოლოს, ურთიერთშემავსებელი სამომხმარებლო დოვლათიც გვხვდება. დავუშვათ, როცა იზრდება საათების ფასი და, შესაბამისად, ეცემა მათზე მოთხოვნა, მსგავსი რამ ხდება საათების სამაჯურების მოთხოვნაზეც. ამ შემთხვევაში სამაჯურებზე მოთხოვნა გამოდის როგორც საათების კლებადი ფუნქცია (III მრუდი 6.3 ნახაზზე),  $E'_{ij} < 0$ .

როგორც ჩანს, მოთხოვნის ჯვარედინი ელასტიკურობის მრავალგვარი ეფექტი შესაძლებელია ართულებს სამომხმარებლო მოთხოვნის პროგნოზირების ამოცანას. ამასთან, მხოლოდ ელასტიკურობის პირდაპირი კოეფიციენტი საკმარისი როდია. კონკურენციაში გამარჯვებისათვის, სწორი საბაზრო სტრატეგიის არჩევისათვის,  $i$  საქონლის მწარმოებლებს მოთხოვნის ელასტიკურობის არა ერთი, არამედ მრავალი სარწმუნო შეფასება უნდა ჰქონდეთ. ამასთან, განსაკუთრებულ შემთხვევებში ჩვეულებრივ იწვევს საქონელ-შემცვლელებზე ფასების მოულოდნელი შემცირება. ჩვენს მაგალითში ის წარმოდგენილია მოტოციკლზე ფასების მოძრაობით  $P_{im}$ -დან  $P_{jn}$ -მდე. შეცდომა, სიტუაციის მოახლოების განჭვრეტის უუნარობის შედეგად მოთხოვნის მოსალოდნელმა დაცემამ  $Q_{in} < Q_{im}$  შეიძლება დიდი უსიამოვნება და გაკოტრებაც კი გამოიწვიოს. როგორ მოვიგერიოთ ასეთი

სულ სხვა, როდესაც კომბინაციებში ურთიერთ-შემცვლელი სამომხმარებლო საქონელი და მომსახურება მონაწილეობს. დავუშვათ, თუ მოტოციკლეტი გაძვირდება, მაშინ ალბათ იმ ადამიანების რიცხვი გაიზარდება, რომლებსაც არ ექნებათ მათი შეძენის შესაძლებლობა. არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთ მომხმარებელს მოთხოვნის სტრუქტურის შეცვლა, მოტოციკლზე



საფრთხე? ალბათ ამისათვის ველოსიპედების ისეთი მასშტაბური გააფრება იქნება საჭირო, რომელიც უზრუნველყოფს მოტოციკლზე ფასების შემცირების ნეგატიური ეფექტის დაფარვას, ხარისხის გაუმჯობესებას, მომსახურების სრულყოფას, ერთი სიტყვით, ყოველივე იმას, რაც მომხმარებლის შენარჩუნებისა და მოთხოვნის შეკვეცის დაუმშებლობის საშუალებას იძლევა. მაგრამ ისეც ხდება, რომ მათ არ მოაქვთ წარმატება. მაშინ ველოსიპედის მწარმოებლები იძულებულნი იქნებიან, რადიკალურად გარდაქმნან წარმოება, ნაწილობრივ შეცვალონ იგი, მაგალითად, მოტოციკლების გამოშვებით.

მოთხოვნის ელასტიკურობის ამ მაჩვენებლების დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა. მაგრამ ისინი სრულიადაც არ იძლევიან სამომხმარებლო მოთხოვნის სრულ სურათს. უთუოდ ძლიერია შემოსავლის გავლენა, რომლის სიდიდესაც ჩვენ აქამდე მუდმივად ვთვლიდით. ფასების უცვლელობის პირობების დაშვებით გავაანალიზოთ მოთხოვნაზე შემოსავლის დამოკიდებულება.

პირველ ყოვლისა მივუთითებთ: ჩვენ გვინტერესებს არა მთლიან შემოსავალი, რომელიც მოსახლეობას რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ, არამედ მისი მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც მიმდინარე მოხმარებაზე იხარჯება. დანარჩენი ნაწილი, როგორც ვიცით, დანაზოგია. მის სხვადასხვა სახეებს შორის ისეთიც არის, რომელიც ყოველ მომენტში შეიძლება შემოსავლად გადაიქცეს და მოხმარებისათვის იქნეს გამოყენებული — დანაზოგი ნაღდი ფულის სახით, დეპოზიტები (ანაბრები) მოთხოვნამდე და სხვ. მათი მხედველობაში მიღების გარეშე მოთხოვნაზე შემოსავლის ზემოქმედების ხარისხის შეფასება ზუსტი არ იქნება.


შევნიშნავთ, რომ სწორედ შემოსავლის მხარესაა თავმოყრილი მოთხოვნისა და მთელი ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების საკმარე ზეზღვრები. მაგალითად, ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით, სახელმწიფოს შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ერთობლივი შემოსავლის სიდიდე და, მაშასადამე, მოთხოვნაც. არსებობს დანაზოგის ნორმაზე (დაბეგვრის შემდეგ ერთობლივ შემოსავალში დანაზოგის წილი) ზემოქმედების ნაცადი ბერკეტები, რომელიც მიმდინარე მოთხოვნის სიდიდის გაზრდის ან შემცირების საშუალებას იძლევა.

მოთხოვნისა და შემოსავლის ურთიერთზემოქმედების რაოდენობრივი მხარე ზუსტად ისევე აღიწერება, როგორც ფასების შემთხვევაში. მას შემოსავლის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტი ასახავს,

რომელიც გვიჩვენებს თუ როგორ იცვლება მოთხოვნა შემოსავლის ერთპროცენტული ცვლილების შედეგად:

$$E_Y^i = \frac{\partial Q}{\partial Y} \cdot \frac{Y}{Q} \quad (6.7)$$

ერთი შეხედვით შემოსავლისა და მოთხოვნის თანაფარდობის განსაზღვრა ადვილია: რაც უფრო დიდია შემოსავალი, მით მეტია მოთხოვნა, და პირიქით. მაგრამ თუ დავუკვირდებით, აღმოჩნდება, რომ მოთხოვნის ერთიანი, უნივერსალური მრუდი, რომელიც ნებისმიერი საქონლის ბირჟაზე შემოსავლის მფლობელის ქცევას ახსნიდა, არ არსებობს. მოთხოვნის მრუდის ფორმებიც და ელასტიკურობის კოეფიციენტების მნიშვნელობაც იმაზე დამოკიდებული, თუ სახელდობრ, რომელ საქონელს ყლიდან და ყიდულობენ. ყველა ეს საქონელი შეიძლება სამ ძირითად ჯგუფად დაიყოს: სასურსათო საქონელი; მომხმარებლის სტანდარტულ ნაკრებში შემაჯავლი სამრეწველო საქონელი; ხანგრძლივი მოხმარების მაღალხარისხიანი საქონელი და მომსახურება.



ნახ. 6.4


პირველი ჯგუფის საქონელზე მოთხოვნის ფუნქცია ნაჩვენებია 6.4. ნახაზზე.

ჩვენ ვხედავთ, რომ თავდაპირველად შემოსავლის ზრდა მოთხოვნის შედარებით სწრაფ გაფართოებას იწვევს (ელასტიკურობის კოეფიციენტი  $A$  წერტილთან ახლოს ერთზე მეტია). შემდეგ მოთხოვნის მატების სიჩქარე კლებულობს, ელასტიკურობის მაჩვენებელი ერთის ტოლი ხდება.

მერე კი ეშვება ამ ნიშნულს ქვევით. გარდატეხა იწყება  $B$  წერტილში, რომელიც მოცემული სასურსათო საქონლით მოთხოვნილების გაჭერებას აღნიშნავს. სამომხმარებლო შემოსავლების შემდგომი ზრდა უკვე სუსტად აისახება მოთხოვნაზე: ის ნაკლებად განსხვავდება  $Q_1$ -სგან, მიუხედავად იმისა, რომ შემოსავლები  $V_b$ -დან  $V_c$ -მდე გაიზარდა. ხაზგასმით აღვნიშნავთ: თუ კვების პროდუქტებზე მოთხოვნა  $BC$  მონაკვეთით ხასიათდება, ის უკვე საბაზრო მეურნეობის განვითარების საკმაოდ მაღალ დონეზე მეტყველებს. გამოდის, რომ საშუალო მომხმარებელს საკმაოდ შესაძლებლობა აქვს, რათა თავისი შემოსავლების ნამატი ჩვეულებრივი სახის სურსათის

საყდლად კი არ დახარჯოს (ასეთით იგი ისეც საკმაოდაა უზრუნველყოფილი), არამედ უფრო მაღალი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, ისეთი სახის საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომლებიც მეორე და, განსაკუთრებით, მესამე ჯგუფს მიეკუთვნება. CD მონაკვეთი კეთილდღეობის ისეთ დონეს ასახავს, როცა ადამიანები ამცირებენ დაბალი რიგის სასურსათო საქონლის მოხმარებას და არჩევენ მაღალი ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების ყიდვას და ა.შ.

გამოიკვეთება გარკვეული კანონზომიერება: რაც უფრო მაღალია მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი, მომხმარებლების ფულადი შემოსავლების მით უფრო ნაკლები ნაწილი იხარჯება დაბალი რანგის სასურსათო საქონლის შესაძენად. ასეთია ენგელის პირველი კანონის შინაარსი, რომელსაც საკმაოდ საიმედო სტატისტიკური დასაბუთება აქვს.\* იმ მწარმოებლებისათვის, რომლებიც პირველი ჯგუფის საქონლის ბაზრებზე ფუნქციონირებენ, მოთხოვნის  $Q_1$  დონესთან მიახლოება იმის შესახებ იძლევა ნიშანს, რომ გასაყდი პროდუქციის რაოდენობის გადიდების შესაძლებლობები თითქმის ამოწურულია და მათი ბიზნესის პერსპექტივები დამოკიდებულია, მაგალითად, პროდუქციის ხარისხის სრულყოფაზე, საგარეო ვაჭრობაში გზის გაკაფვის უნარზე და სხვა გარემოებებზე.




ნახ. 6.5

მეორე ჯგუფის საქონელზე მოთხოვნის მრუდის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (ნახ. 6. 5/ მომხმარებლის შემოსავლის გადიდება თავიდან სამრეწველო საქონელზე მოთხოვნის მნიშვნელოვან გაფართოებას იწვევს. ამის შემდეგ დგება სტაბილიზაციის შედარებით ხანმოკლე პერიოდი (მონაკვეთი EF). როცა შემოსავალი აღწევს საკმაოდ მნიშვნელოვან  $Y_1$  სიდიდეს, მომხმარებელი უკვე იმდენად შეძლებულია, რომ აღარ ზრდის კვების პროდუქტებზე მოთხოვნას, სულ უფრო მეტადაა გადასული სამრეწველო საქონლისა და მომსახურების შეძენაზე. კიდევ

\* ე. ენგელი - XIX საუკუნის გერმანელი სტატისტიკოსი, რომელმაც პირველმა გამოიკვლია კავშირი. მიუძღვოდა შემოსავლებისა და სამომხმარებლო ხარჯების სტრუქტურას შორის.

მეტი, ის უკვე აღარ კმაყოფილდება სამრეწველო ნაწარმის მხოლოდ ფუნქციონალური შინაარსით. მისთვის უკვე ცოტაა, ვთქვათ ის, რომ ფეხსაცმელში არ შედის წყალი და სკამზე შეიძლება ჯდომა. მომხმარებელი მკვეთრ რეაგირებას იწყებს ხარისხზე, ყურადღებას აქცევს მოდას, პრესტიჟს, ცდილობს არ ჩამორჩეს კეთილდღეობის დონის მიხედვით იმათ, ვინც ამავე სოციალურ ჯგუფში შედის. ამის შედეგად შეიძინევა მოთხოვნის მკვეთრი ამაღლება  $Q_2^1$ , სიდიდემდე.

აღბათ არ საჭიროებს. ვრცელ კომენტარს შესამე ჯგუფის საქონელზე მოთხოვნის ფუნქცია /ნახ. 6. 6/. ხანგრძლივი მოხმარების მაღალხარისხიან საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნას, როგორც ჩანს, აქვს შემოსავლის მიხედვით მეტად მაღალი ელასტიკურობა. დასკვნა ასეთია: სამივე მრუდი, და, მაშასადამე, მოთხოვნის ელასტიკურობის კოეფიციენტები ჩვეულებრივ განისაზღვრება იმ ოჯახების ბიუჯეტების სტატისტიკური გამოკვლევების საფუძველზე, რომლებსაც სხვადასხვა სიდიდის ფულადი შემოსავლები აქვთ. თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე მათემატიკურ-ეკონომიკური ანალიზის მაღალ დონეს, ასეთი მრუდები მოსახლეობის ფულადი შემოსავლების დინამიკასთან სამომხმარებლო მოთხოვნის დამოკიდებულების საიმედო პროგნოზების გამომუშავების შესაძლებლობას იძლევა.



ნახ. 6.6

ამრიგად, მოთხოვნის განქვერცისათვის საჭიროა სულ მცირე ფასების მიხედვით ელასტიკურობის ერთი პირდაპირი კოეფიციენტისა და ჯვარედინი კოეფიციენტების სერიის, აგრეთვე შემოსავლის მიხედვით მოთხოვნის ელასტიკურობის მაჩვენებლის გაანგარიშება. ამასთან, თანამედროვე საბაზრო მეურნეობის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ხარისხის მიხედვით პირდაპირი და ჯვარედინი მოთხოვნის ელასტიკურობა. მისი გაანგარიშება საკმაოდ რთულია. ყელაზე მეტად ასეთი წესია გავრცელებული: იღებენ ფასების ინდექსს, რომელსაც შემდეგ "ასუფთავენ" ყველგვარი

ფასწარმომქმნელი ფაქტორის გავლენისაგან, გარდა საქონლის ხარისხისა. მიიღება პირობითი მაჩვენებელი (აღნიშნოთ იგი  $\bar{P}$ -ით), რომელიც ჩვენთვის უკვე ცნობილი ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატის დახმარებით შეუპირსპირდება მოთხოვნის დინამიკას. ამის შედეგად

წარმოიქმნება სარისხის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობის კოეფიციენტი:

$$E_p' = \frac{\partial Q}{\partial p} \cdot \frac{p}{Q} \quad (6.8)$$

ჩამოთვლილ ელასტიურობის მაჩვენებლებს ავსებს ბაზარზე არსებული ნაწარმის სასიცოცხლო ციკლის ხანგრძლივობის განაგარიშებები, მოთხოვნილებისა და მოთხოვნის საზოგადოებრივ აზრზე დაფუძნებული წინასწარი შესწავლის წესები, სარეკლამო ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებები, საერთო ეკონომიკური კონიუნქტურის პროგნოზირების მეთოდები, პრაოდუქციის მიწოდებაზე გრძელვადიანი კონტრაქტების დადების პროცედურების შესახებ დამუშავებები და ა. შ. ერთობლივად ყალიბდება ის, რასაც მარკეტინგის საფუძვლებს უწოდებენ.

ზემოაღნიშნული ახასიათებს მოთხოვნის, ფასისა და შემოსავლის ურთიერთმოქმედების რაოდენობრივ მხარეს. მათ შორის დამოკიდებულება აღწერილია ელასტიურობის სხვადასხვა ტიპებით. მაგრამ ამ ცნებას კიდევ ერთი, უფრო ღრმა თვისებრივი ასპექტი აქვს. თუ სხვადასხვა სახის განსაკუთრებული შემთხვევებიდან მოვხდენთ აბსტრაქტირებას (პიფენის ეფექტი, არაელასტიკური მოთხოვნის საქონლის სივრცე და ა. შ.), მაშინ მოთხოვნისა და მიწოდების\* ელასტიურობის არანულოვან მაჩვენებლებში შესაძლებელია მომუშავე საბაზრო მექანიზმის ნამდვილი ნიშნების დანახვა. და პირიქით: რაც უფრო ძლიერადაა დეფორმირებული საბაზრო პროცესები, მით უფრო სუსტია მოთხოვნისა და მიწოდების რეაგირება ფასებისა და შემოსავლების მერყეობაზე, მით უფრო სწრაფად უახლოვდებიან ელასტიურობის კოეფიციენტები ნულოვან ნიშნულას.

მაგალითად, ბარათების, ტალონებისა და მოხმარების საგნების ნორმირებული განაწილების სხვა წესების შემოღება, რომელიც არღვევს საბაზრო კავშირებს, დაუყოვნებლივ იწვევს შემოსავლის მიხედვით მოთხოვნის ელასტიურობის დაცემას. მომხმარებლის მიერ მიღებული საქონლის რაოდენობა ხომ არაფრით არ ეფარდება მის ზელფასს. მოთხოვნის მრუდის ეკონომიკური აზრი წარმოდგენილი, დაუშვათ, 6. 4. ნახაზზე, რადიკალურად იცვლება: B წერტილი უკვე გაჭერებულ მოთხოვნას კი არ აღნიშნავს, არამედ საბარათო სისტემის დანერგვას, რის შედეგადაც კვების პროდუქტების ყიდვა აღარ იქნება დამოკიდებული

\* რა თქმა უნდა, მიწოდებასაც გააჩნია ელასტიურობა, ვანსაკუთრებით ფასის მიხედვით. მისი ანალიზი სცილდება მოცემული ლექციის ჩარჩოებს.

მოსახლეობის შემოსავლებზე. მაშინ თვით ეს "ყიდვებიც" მართლაც სულ უფრო ნაკლებად ემსგავსება მოთხოვნას. მათ მიღმა ახლა არა ადამიანის მოთხოვნილებები დგას, რომელიც თავისი ნაშრომი ფულითაა უზრუნველყოფილი, არამედ ვილაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, თუ რამდენი საპონი ან სიგარეტი ეკუთვნის მას. რაც შეეხება ფულის მიხედვით ელასტიკურობას, მას არანულოვანი მნიშვნელობა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია შეინარჩუნოს, თუ გამოჩნდება საკმაოდ მრავალი მყიდველი, რომელიც უარს იტყვის ძეხვის ან შაქრის ტალონების დასაქონლებაზე სიძვირის გამო, ასეთი კი, როგორც ვიცით, არ ზდება.

მოვიტანოთ სხვა მაგალითიც – საბაზრო ელასტიკურობის რღვევა მონოპოლიზმის დარტყმების შედეგად. ცნობილია, რომ მონოპოლია ახდენს რა ბაზრის ოკუპირებას, თავისი ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციას ახორციელებს მაღალი ფასების დაწესებით, წარმოებისა და მიწოდების შეზღუდვით. პროდუქციის ხარისხის ხარჯზე მიღწეული ეკონომიით. მაგრამ ეს კიდევ ცოტაა. მონოპოლიური მდგომარეობა მუდმივი არაა. საჭიროა მისი გაფრთხილება და განმტკიცება არა მხოლოდ პოტენციური კონკურენტების შემოტევების მოგერიებით, არამედ იმ მომხმარებელთა დათრგუნვითაც, რომლებიც აწყდებიან რა მაღალ ფასებს, ცდილობენ მონოპოლიის ზუნდებისაგან თავის დაღწევას, მოთხოვნის სტურქტურის შეცვლას, ფულადი შემოსავლის გადართვას სხვა, მონოპოლიური წარმოების პროდუქციის შემცვლელ, უფრო იაფი ნაწარმის ყიდვაზე. ბაზარზე ბატონობის შენარჩუნებისა და მოთხოვნის დაცემისაგან თავის დაღწევის მიზნით მონოპოლია ისეთი ეკონომიკური სიტუაციის შექმნას ცდილობს, რომლის დროსაც ფასების მიხედვით პირდაპირი და ჯვარედინი ელასტიკურობის კოეფიციენტები ახლოა ნულთან. ყველაზე უფრო კომფორტულად ისინი მაშინ იგრძნობენ თავს, როცა ყველა საქონელი ისეთივე გახდება, როგორც ასანთი ან მარილია. მსგავსი რამ კი მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ, მაგალითად, მხოლოდ ერთი მოდელის მაცივრის, ყველის ერთი სახეობის და ა. შ. გამოშვება ზდება. რადგან ასეთ ეკონომიკაში იწარმოება მხოლოდ არაელასტიკური მოთხოვნის საქონელი, მომხმარებელს მართლაც არა აქვს გასაქანი. მონოპოლია აღწევს აბსოლუტურ ბატონობას. მკითხველი ალბათ დაგვეთანხმება, რომ ჩვენს ეკონომიკაში 90-იანი წლების დასაწყისში მონოპოლისტური ქვეყნის მრავალი დადასტურება შეიძლებოდა მოგვეჩვენა, რომელიც მას ამ შეტად საშიშ ზღვართან აახლოებდა.

ამრიგად, მოთხოვნის ელასტიკურობის ინდიკატორები მრავალ

შინაარსიან ინფორმაციას იძლევიან იმის თაობაზე თუ როგორია საბაზრო პროცესების ინტენსიურობა და მიმდინარეობენ თუ არა ისინი საერთოდ. ელასტიურობის კოეფიციენტების ამაღლება, მათი ნორმალური დინამიკის გამოჩენა საბაზრო მეურნეობის ეფექტიანობისაგან რეალურ წინსვლას მიანიშნებს.

რამდენიმე გვერდით ადრე ჩვენ შევეხეთ ინფლაციის მექანიზმს. უფრო ზუსტად – მის იმ ნაწილს, რაც ადაპტური ტიპის ინფლაციურ მოლოდინთან არის დაკავშირებული. უფრო დაწერილებით ეს საკითხები მომდევნო ლექციაში განიხილება.

ინფლაცია: მემანიჟემზი, მიზუზემზი, შედემზი

მოვლენის არსი.) ღია ინფლაცია. ადაპტური მოლოდინი. ხარჯების ინფლაცია და მოთხოვნის ინფლაცია. ფილიპსის მრული დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმები და მოლოდინის შესაბამისი ტიპები. ჰიპერინფლაციის კრიტერიუმები. ფასების ზრდის გაზომვა. პააშეს ინდექსი. ინფლაციის მიზეზები. სახელმწიფო და ფულის მიმოქცევა. ბიუჯეტის დეფიციტი. წარმოების სტრუქტურული ანომალიები. მილიტარიზმი. საგადასახადო სისტემის როლი. განუსაზღვრელობა და ფასწანამატი. მსოფლიო მურნეობრივი ფაქტორები. ინფლაციის შედეგები. ცხოვრების ხარისხი. დანაზოგი და მიმდინარე მოხმარება. ინფლაციური დაბეგვრის ეფექტი. მტპ და წარმოების ეფექტიანობა. საბაზრო მურნეობით მართვა.

შეგახსენებთ, ინფლაცია თანამედროვე ეკონომიკის მძიმე, ძნელად განსაკურნავ დაავადებათა ჯგუფს მიეკუთვნება. და თუ პრაქტიკის მიხედვით ვიმსჯელებთ, მისგან არაა დაზღვეული როგორც განვითარებული საბაზრო მურნეობის ქვეყნები, ასევე ისინიც, სადაც შენარჩუნებულია სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკა. ამიტომ ინფლაციის საწინააღმდეგო ქმედება სახელმწიფოს აუცილებელ მოვალეობად იქცევა. როცა ინფლაცია უკვე მომხდარი ფაქტია, იგი ამ ნეგატიური პროცესების ჩასაქრობად გამართულ კომპლექსურ ღონისძიებათა სახით გამოდის. მაგრამ მაშინაც, როცა ინფლაცია ნაკლებ შესამჩნევია, სახელმწიფო ფხიზლად უნდა იყოს, მუდმივად უნდა ეწეოდეს ინფლაციის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას. ინფლაცია ფულადი მოვლენაა. უფრო კონკრეტულად – ეკონომიკაში საკუროზე ბევრად უფრო მეტი ფულის არსებობით წარმოშობილი ფულის გაუფასურებაა. ინფლაციის გარღმავებასთან ერთად ფულს სულ უფრო მეტად უჭირს თავისი ფუნქციების შესრულება, საქონლის მიმოქცევის, საგადასახადო ოპერაციების და ა. შ. მომსახურება. ფულის ბაზარზე ჩასახული ინფლაციის ვირუსები შორს იჭრებიან და აავადებენ ეკონომიკური ორგანიზმის სხვა ნაწილებსაც. ეს იმას ნიშნავს, რომ იმ სიტუაციებში, როცა ინფლაციური დაავადება ძლიერ ფესვგადგმულია, მარტოოდენ ფულის ბრუნვის ნორმალიზაციით მას არ ეშველება. საკურო კიდევ რაღაც ისეთი ქმედებები, რომლებიც ეხება ფინანსებს,



კაპიტალდამბანდებებს, წარმოებას. ამასთან, სახელმწიფოს სწორი ფულადი პოლიტიკა წარმოქმნის ინფლაციის დამუხრუჭების მხოლოდ აუცილებელ პირობას. რეალურად კი მასზე მხოლოდ მაშინ შეიძლება დაყრდნობა, როცა სახელმწიფო ასეთ პოლიტიკასთან ერთად განამტკიცებს ბაზრის მექანიზმებს, ასტიმულირებს საქონლის წარმოებასა და მიწოდებას, ცდილობს, შეამციროს მიმდინარე მოთხოვნა, იყენებს სხვა ქმედით ღონისძიებებს ინფლაციით დაზარალებული ეკონომიკის სფეროების მიმართ. /

მოთხოვნის მხრივ ინფლაცია გამოიხატება ბაზრების ხანგრძლივ საყოველთაო უწონასწორობაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ყოველგვარი უწონასწორობა არაა ინფლაციური. ჩვენ უკვე დავაწმუნდით, მაგალითად, მიწოდებაზე მოთხოვნის შედარებითი ხანმოკლე გადამეტება მიგვანიშნებს მხოლოდ ბაზრის მექანიზმის მუშაობაზე, და არავითარ ინფლაციას არ ეხება. მაგრამ, როცა უწონასწორობა ქიანურდება, გადაიქცევა არა ერთი ან ორი, არამედ, ერთბაშად მრავალი ბაზრის დამახასიათებელ თავისებურებად, მაშინ დროულია ვილაპარაკოთ ინფლაციური პროცესის გაშლის შესახებ.

თითქოს ძალიან ადვილია იმის გაგება, არის თუ არა ინფლაცია. მოთხოვნისაყენ ეკონომიკის მყარი გადახრა გარდუვლად უნდა აისახოს ფასებში, გამოიწვიოს მისი განუწყვეტელი ზრდა და მართლაც ეს ასეც ხდება იქ, სადაც არსებობს საბაზრო ტიპის მეურნეობა. მაგრამ ზომ არსებობენ სხვა კვეყნებიც, კერძოდ, ჩვენი, რომლის ეკონომიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე ემყარებოდა სხვა, არასაბაზრო პრინციპებს. ცხადია, აქ ინფლაცია არა მხოლოდ ფასობრივი, არამედ თავისი განსაკუთრებული ფორმებითაც გამოვლინდება.

ამრიგად, ფასების მუდმივი ზრდა სრულიადაც არ არის ინფლაციის ერთადერთი ნიშანი. ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს სტაბილური ფასების პირობებშიც, თუკი იმ მოთხოვნისაგან მიწოდების ქრონიკულ ჩამორჩენასთანაა შეხამებული. შემდგომში ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაში ინფლაციის უარყოფითი ზემოქმედება ადამიანების კეთილდღეობაზე არანაკლები სიძლიერისაა, ვიდრე მაშინ, როცა მათ მოუხდებათ ცხოვრება საქონლისა და მომსახურების მუდმივი გაძვირების პირობებში. არც თუ ისე ცოტას კარგავს წარმოებაც.

/იმის მიხედვით, თუ როგორ ფორმებს იღებს ბაზრების ინფლაციური უწონასწორობა, განასხვავებენ ინფლაციის ღია და დათრგუნულ ტიპებს.

ღია ინფლაციისათვის დამახასიათებელია ფასების ზრდის ტენდენცია, ხაზგასმით აღენიშნაეთ: ფასების სახალხომეურნეობრივი ინდექსით

გაზომილი საერთო ტენდენცია. აქედან გამომდინარე, ღია ინფლაცია საესებით უთავსდება ცალკეული საქონლის ბაზრებზე ფასების პერიოდულ შემცირებას ან უკეთეს შემთხვევაში, მათი ზრდის შენელებას. რადგან ასეა, გამოდის, რომ ღია ინფლაცია, მართალია, ახდენს ბაზრის მექანიზმის სერიოზულ დეფორმაციას, მაინც არ ანგრევს მას. თუმცა, ამ მექანიზმს უჭირს, მაგრამ მაინც აგრძელებს მნიშვნელოვანი სიგნალების გენერირებას, აჩვენებს ინვესტიციების მიმართულებებს, სტიმულს აძლევს და აფართოებს წარმოებასა და მიწოდებას, რაც ფასების შემცირებას უწყობს ხელს. აქედან დასკვნა: სანამ საბაზრო მექანიზმი ცოცხალია, არსებობს ინფლაციის დაძლევის იმედიც. /

რას წარმოადგენს ღია ინფლაციის მექანიზმები? პირველი მათგანია ჩვენთვის უკვე ცნობილი ადაპტური ინფლაციური მოლოდინის მექანიზმი. დავუმატებთ მხოლოდ იმას, რომ მისი მოქმედების სფერო არ იზღუდება მარტოდენ მომხმარებლებით, რომლებსაც მტკიცედ სწამთ რა ფასების ზრდის ტენდენციის უცვლელობა, ამცირებენ დანაზოგს, ზეწოლას ახდენენ მიმდინარე მოთხოვნაზე და ამით თვით ახდენენ საქონლისა და მომსახურების მორიგი გაძვირების პროვოცირებას. ისიც გასათვალისწინებელია, რომ დანაზოგის დეფიციტი დამლუპველად ზემოქმედებს საკრედიტო რესურსების მოცულობაზე. ეს კი აფერხებს კაპიტალდაბანდებების, წარმოებისა და მიწოდების ზრდას. როგორც ჩანს, რაც უფრო მეტ სიმტკიცეს იჩენს ადაპტური მოლოდინი, მით უფრო ძნელია ინვესტირების დაფინანსება, მით უფრო ნელა იზრდება საქონლის მასა. ინფლაციის პირობებში ხომ ისედაც იგრძნობა მოთხოვნისაგან მიწოდების საკმაოდ დიდი ჩამორჩენა.

სიტუაცია შეიძლება გაუარესდეს, თუ მწარმოებლები და ვაჭრები, რომლებიც ფასების ზრდას ვარაუდობენ, დაიწყებენ გაყიდვის დამუხრატუქებას, საქონლის გადამალვას იმ იმედით, რომ დროთა მსვლელობაში მას უფრო ძვირად გაასაღებენ. მსგავსი ქმედება ზოგჯერ განვითარებულ საბაზრო ეკონომიკაშიც გვხვდება, სადაც საქონლის დიდი ხნით გადამალვას მოსდევს გაკოტრება. როგორც საკუთარი გამოცდილებით ვიცით, ბევრად ფართოდაა გავრცელებული ეს მოვლენა ჩვენს მეურნეობაში. ისინი, ვინც საქონელს არ უშვებს მყიდველებთან, არავითარ რისკს არ ეწევიან, ვინაიდან იმყოფებიან სახელმწიფო ვაჭრობაში, აქვთ განუსაზღვრელი ტევადობის გასაღების ჩრდილოვანი ბაზრები. მთლიანობაში გამოდის, რომ ადაპტური ინფლაციური მოლოდინის ზემოქმედებით ეკონომიკაში ყალიბდება მიწოდების ნელი

ზრდისა და მიმდინარე მოთხოვნის სწრაფი გადიდების მეტად არასასიამოვნო კომბინაცია\*. წარმოიქმნება ფასების გაზრდის მექანიზმი.

აღნიშნავთ მნიშვნელოვან დეტალს: ადაპტურ მოლოდინს აქვს მიკროეკონომიკური ბუნება, განისაზღვრება კონკრეტულ ბაზრებზე მიმდინარე რეალური მოვლენებით. რიგითი მომხმარებელი, რომელიც ფიქრობს, რამდენი დახარჯა საყიდლებზე, ხელმძღვანელობს იმ ფასების მოძრაობით, რასაც ხედავს მეზობელ უნივერსამში, კინოთეატრში, სამრეცხაოებში, ავეჯის მაღაზიაში. მაკროეკონომიკური (სახალხოეურნობრივი) პირობების ყოველ ცვლილებაზე, რომელიც, დაეუშვათ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებით ან არაინფლაციური ფულად პოლიტიკაზე გადასვლით გამოიხატება, იგი მხოლოდ მაშინ ახდენს რეაგირებას, როცა მის გარშემო არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შემობრუნებაში დარწმუნდება. სანამ ასეთი შეცვლა არ მოხდება, ადაპტური ინფლაციური მოლოდინი ძველებურად იდომინირებს მომხმარებლის ფსიქოლოგიაში, რომელიც დანაზოგის საზიანოდ გააგრძელებს მიმდინარე მოთხოვნის გადიდებას. თვით ადაპტურ მოლოდინს გაკიანურებული ხასიათი აქვს, ინფლაციურ მექანიზმს მაშინაც კი ინარჩუნებს, როცა სახალხო მეურნეობის დონეზე ინფლაციის ასალაგმავად თითქოსდა ყველაფერი აუცილებელი გაკეთებულია. ცხადია, ამ ფაქტორის გაუთვალისწინებლად, ინფლაციური მოლოდინის ჩასაქრობად მიმართული სპეციალური ღონისძიებების გარეშე, ნებისმიერ ანტიინფლაციურ პოლიტიკას არ ექნება სასურველი შედეგი.

ღია ინფლაციის მექანიზმს საფუძვლად უდევს, აგრეთვე, ხარჯებისა და ფასების ურთიერთკავშირი. ლაპარაკია ეგრეთწოდებულ ხარჯების ინფლაციაზე (cost-push inflation), რომელსაც ზოგჯერ "ხელფასი-ფასის" სპირალს უწოდებენ. მისი დედაბარი შემდეგში მდგომარეობს: თუ დაეუშვებთ, რომ ეკონომიკაში ადგილი აქვს ფასების საერთო ზრდას, მაშინ დასაქმებულთა რეალური შემოსავლების დაცემა გარდუვალია. იმისათვის, რომ თუნდაც უცვლელად შეინარჩუნოთ მშრომელთა კეთილდღეობა, საჭიროა ფულადი შემოსავლების ზრდა. ჩვეულებრივ ამის ინიციატორი პროფკავშირებია. მათი ზემოქმედებით იწყება ნომინალური ხელფასის გადიდება. ის ხორციელდება სხვადასხვა გზით, დასაქმებულთა შემოსავლების სახელმწიფო ინდექსაციის მრავალგვარი ვარიანტის ჩათვლით. მაგალითად, იმავდროულად წარმოების ხარჯებიც ხომ იზრდება,

---

\* ინფლაციური მოლოდინის გამოკვლევისას თავი გამოიჩინა სოციოლოგიის აპარატმა, კერძოდ, საზოგადოებრივი აზრის ანალიზის მეთოდებმა.

რაც იწვევს ფასების ზრდას. საქონლის გაძვირება აუცილებლად მოითხოვს ხელფასის განაკვეთების მორიგ გადასინჯვას და ა. შ. სწრაფად დატრიალდება ინფლაციური სპირალი, ამასთან, ყოველი ახალი ხვეულიდან მისი შეჩერება სულ უფრო ძნელი ხდება.

როგორც ჩანს, ფასებისა და შემოსავლების ზრდა სახელმწიფოს აყენებს დილემის წინაშე: ერთი მხრივ, ინფლაციის ამაღლებაში სრულიად უდანაშაულო მოსახლეობას მაქსიმალურად უნდა აუნაზღაურდეს მიყენებული ზარალი; მეორე მხრივ, სრულფასოვანი კომპენსაცია აუცილებლად გამოიწვევს ხარჯების ინფლაციის მექანიზმის მთელი სიძლიერით ამუშავებას, ამას კი მოჰყვება ფასების ახალი ზრდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, თუ დღეს სახელმწიფო შეიცოდებს მომხმარებელს და მას სამართლიანად მოექცევა, მაშინ ხვალ, ალბათ, მოხდება მათი კეთილდღეობის მორიგი დაქვეითება.

როგორ მოვიქცეთ? პირველ რიგში ცალსახად უნდა ვაღიაროთ: როცა ეკონომიკაში ვითარდება ღია ინფლაციური პროცესი, მაშინ "ხელფასი - ფასის" სპირალის მოქმედება, ზოგადად რომ ვთქვათ, გარდუვალაა. მისგან თავის დაღწევა შეუძლებელია, ასევე - დამნაშავეის პოვნა, ზუსტად დადგენა, ვინ (პროფუკავშირებმა თუ საწარმოებმა) მისცა დასაბამი ინფლაციურ ხარჯებს. მაგრამ მისი გაძლიერების სისწრაფე, ფასებისა და შემოსავლების ზრდის ტემპი შეიძლება სხვადასხვა იყოს. ეს კი ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს ამოცანაა, არ დაუშვას ეკონომიკის დამლუპველი, ხარჯების ინფლაციის უკონტროლო, ნახტომისებური დაჩქარება და ერთდროულად მინიმუმამდე დაიყვანოს მომხმარებელთა დანაკარგები.

ამიტომ საჭიროა ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციების ისეთი ორგანიზაცია, რომ ის რაც შეიძლება ნაკლებად შეეხოს წარმოების ფულად ხარჯებს. ალბათ, მიზანშეწონილია ნატურალური კომპენსაციის რაღაც ფორმები, ვთქვათ სასურსათო ტალონების სახით, რომელიც გაუნაწილდება დაბალშემოსავლიან მოსახლეობას. მხოლოდ პროდუქტის შესაძენად განკუთვნილი ასეთი ტალონებით ღარიბები თავს გაიტანენ და, ამავე დროს ისინი არსებითად არ იმოქმედებენ წარმოების ხარჯების სიდიდეზე. რაც შეეხება მაღალშემოსავლიან ადამიანებს, ისინი, გულახდილად რომ ვთქვათ, დაზარალდებიან. მდიდრებზე გაცემული ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ამომწურავი, რადგან სხვაგვარად გარდუვალა იქნება ხარჯების მსხვილმასშტაბური ინფლაცია. ხაზი გავეუსვით კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: დასაქმებულთა შემოსავლების ინდექსაცია არა ავტომატურად უნდა განხორციელდეს, არამედ პროფუკავშირების ჩარევის შემდეგ, მხოლოდ

მათი წარდგენით. ეს არა მხოლოდ დროს მოაგებინებს მთავრობას, არამედ დაეხმარება პროფკავშირებს, განამტკიცონ თავიანთი როლი სწორედ ისეთი პრობლემის გადაწყვეტაში, რისთვისაც ისინი არსებობენ, მაშინვე მიუჩინს მათ საბაზრო ტიპის ეკონომიკის მიერ მონიშნულ ადგილს. ამასთან, საჭიროა თვით ინფლაციის საწინააღმდეგო გასაცემლების დიფერენცირება, თუნდაც დარგების მიხედვით, შრომის ეფექტიანობაზე დამოკიდებულებით. სხვაგვარად, ე. ი. თანაბარი განაწილებისას, ინფლაცია საბოლოოდ ჩაახშობს ყოველგვარ სტიმულს.

რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მათი დიდი სოციალური პასუხისმგებლობა, ვინც ზრდის ფასებს, და მათგანაც, ვინც ხელფასის ამაღლებას ცდილობს. არსებითად ეს არის პასუხისმგებლობა მთელი სახალხო მეურნეობის ბედისათვის. თუ, მაგალითად, საქმე ეხება პროფკავშირებს, მას მხოლოდ მთელ ეკონომიკაზე ფიქრით შეუძლია მშრომელთა ინტერესების რეალური დაცვა. მინიმალურ შემოსავლებზე უზომოდ მაღალი ეკონომიკურად უპასუხისმგებლო მოთხოვნების წამოყენებით, პროფკავშირებს შეუძლიათ მხოლოდ დროებით შეამსუბუქონ დასაქმებულთა ცხოვრება. მაგრამ თუ წინ გავიხედავთ? მაშინ აღმოჩნდება, რომ თავისებურად ისინი ცეცხლზე ნავთს ასხამენ, აჩქარებენ ინფლაციური ხარკების ზრდას, ეწევიან ფასების პროვოცირებას და, ბოლოსდაბოლოს, აუარესებენ იმ ადამიანების მატერიალურ მდგომარეობას, რომლებმაც მათ მიანდეს თავიანთ კეთილდღეობაზე ზრუნვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, როცა სახალხო მეურნეობა გასაქირშია, დაავადებულია ღია ინფლაციით, მისგან თავის დაღწევა უნდა მოხდეს ერთობლივად, ერთიმეორისათვის ზიანის მიუყენებლად.

ამ თვალსაზრისით ჩვენი ეკონომიკის მდგომარეობამ შეუძლებელია არ გამოიწვიოს შეშფოთება. თუ განვითარებულ საბაზრო მეურნეობაში ძლიერი პროფკავშირების ზემოქმედებას აწონასწორებენ არანაყოლებ ძლიერი კორპორაციები, ჩვენთან ამის მსგავსი არაფერია. უფრო მეტიც, პროფკავშირების ყველა ქმედება სოციალურად პასუხისმგებლური როდია. ხშირად ისინი მოითხოვენ ნორმალური ხელფასის ისეთ ზრდას, რომელიც სცილდება ეკონომიკის რეალური შესაძლებლობის ფარგლებს, ბოროტად იყენებენ მოწოდებებს გაფიცვებისაკენ და ა. შ. სიტუაცია კი არ შეიცვლება მანამდე, სანამ არ წარმოიქმნება მეწარმეთა გავლენიანი კავშირები და დაიწყება ინფლაციური ხარკების შემამციკებელი გონივრული კომპრომისების ძიება.


ინფლაციისაკენ განსაკუთრებით იმ ეკონომიკას აქვს მიდრეკილება, სადაც უზომოდ გამოიყენება არსებული წარმოებრივი რესურსები,

შენარჩუნებულია სრული დასაქმება და თითქმის არ არსებობს უმუშევრობა. მართლაც, დაეუშვათ, ასეთი მეურნეობის ერთ-ერთმა სექტორმა განიცადა მზარდი მოთხოვნის იმპულსი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ასეთ პირობებში ბაზრის ნორმალური რეაქციაა ფასების ზრდა, რაც, თავის მხრივ, სიგნალს მისცემს ინვესტიციებს. მწარმოებლები მიიღებენ რესურსების ნაკადს ან შექმნიან მათ ახალ კომბინაციას უფრო სრულყოფილი ტექნოლოგიის გამოყენებით. საბოლოო შედეგი იქნება წარმოებისა და გაყიდვის ზრდა, ფასების შემცირება, მორიგი წონასწორობის დამყარება. მაგრამ, დაეუშვათ, რომ წარმოებას არ გააჩნია სიმძლავრეთა საკმარისი მარაგი და სამუშაო ძალის რეზერვები. ცხადია, მაშინ მისი რეაქცია მოთხოვნისა და ფასების ზრდაზე შენელებულია, ფასების მიხედვით მიწოდების ელასტიურობა დაბალი დარჩება. ესეც მხოლოდ უკეთეს შემთხვევაში, უარესში კი – ასეთი რეაქცია საერთოდ არ იქნება. მაგრამ რაც უფრო ვიწროა სივრცე წარმოების მოქნილი მანევრირებისათვის და სუსტია მისი დინამიკა, მით უფრო ხანგრძლივია უწონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის (ინფლაციური გარღვევა), და მყარია ფასების ზრდა. მსგავს მოვლენას მოთხოვნის ინფლაცია ეწოდება (demand-pull inflation): სრული დასაქმებისა და მოუქნელი წარმოების ეკონომიკაში მოთხოვნის ყოველი ნახტომი იწვევს ფასების ხანგრძლივ ზრდას.

გამოდის, რომ გონივრულმა ზღვარს ჰქვემოთ უმუშევრობის შემცირებამ, როცა იგი ოპტიმალურ რეზერვზე, ბუნებრივ ნორმაზე ნაკლები იქნება, უნდა გამოიწვიოს ინფლაციის დაჩქარება. ეს ასეცაა. ფასების ინფლაციური ზრდასა და უმუშევრობის ხელოვნურ შემცირებას შორის ნამდვილად არსებობს უკუდამოკიდებულება. შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლების შემაერთებელ წარფეს ფილიპსის მრუდი ეწოდება.\* იგი წარმოდგენილია 7. 1 ნახაზზე (წ – ფასების ზრდის

---

\*. ა უ ფილიპსი – ინგლისელი ეკონომისტი, რომელსაც ეკუთვნის მნიშვნელოვანი გამოკვლევები მაკროეკონომიკურ თეორიაში ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც 1958 წ. გამოქვეყნდა, წარმოდგენილი იყო ორი დინამიკური მწკრივის – ნომინალური ხელფასის ზრდის ტემპისა და უმუშევრობის დონის ანალიზის შედეგები სიბრტყეზე შესაბამისი წერტილების განლაგებითა და მათი უწყვეტი ხაზით შერთობით ა უ ფილიპსმა მიიღო ისეთივე ფორმის მრუდი, რაც ნაჩვენებია 7. 1 ნახაზზე. თუ ვილაპარაკებთ გამოკვლევებზე, რომლებიც უშუალოდ ეხება უმუშევრობასა და ინფლაციის ურთიერთკავშირს, მათ საფუძველი ჩაუყარა არა ფილიპსმა, არამედ ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილია პ. სამუელსონმა და მეორე ამერიკელმა თეორეტიკოსმა რ. სოლოუმ. მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტერმინი დამკვიდრდა და 7. 1 ნახაზზე გამოხატული ტიპის მრუდებს დღესაც ფილიპსის მრუდებს უწოდებენ.



ნახ. 7.1

ტემპი,  $U$  - უმუშევრობის დონე).  
 თუ  $U_n$  - უმუშევრობის საუკეთესო დონე, მისი ბუნებრივი ნორმა, მაშინ საკუთრო ინფლაციურ მოთხოვნას ახასიათებს  $N$  წერტილის მარცხნივ განლაგებული ფილიპსის მრუდის მონაკვეთი. იგი არაბუნებრივად დაბალი უმუშევრობის დადგენის სახელმწიფო ცდის ინფლაციური შედეგების დემონსტრირებას ახდენს. მასში მრავალი ფაქტობრივი დადასტურებაა. საბაზრო ტიპის

ეკონომიკაში ამის მაგალითია სწორი ფულადი სტრატეგიის ფარგლებს გარეთ არსებული უპასუხისმგებლო ფულადი პოლიტიკა.\* ცნობილია, რომ ინვესტიციური პროცესის სტიმულირებით იგი აინტერესებს მწარმოებლებს წარმოებისა და გასაღების გაფართოებით, სამუშაო ადგილების რაოდენობის ზრდით. მაგრამ, რაც უფრო დაბალია უმუშევრობა, მით უფრო მეტად გადაიხრება ის ბუნებრივი ნორმიდან, მით ძნელია საჭირო პროფესიის, სათანადო კვალიფიკაციის მქონე დაუსაქმებელი მუშების მოძებნა და ა. შ. აღმოცენდება და დროთა განმავლობაში ფართოვდება გარღვევა სამუშაო ძალაზე მზარდ მოთხოვნასა და მის სულ უფრო მეტ სტაბილურ მიწოდებას შორის. შესაბამისად, ხელოვნურად მაღალი დასაქმების პირობებში წარმოიქმნება ნომინალურა, ხელფასის ზრდის ტენდენცია. დამატებით გაეითვალისწინოთ, რომ მეწარმეებს, რომლებიც განიცდიან სამუშაო ძალის რეზერვების შემცირებას, სწორედ ასეთი წესით უხდებათ მუშების გადმობირება ეკონომიკის სხვა სექტორებიდან. როცა უმუშევრობა მეტისმეტად დაბალია, როგორც წესი, პროფკავშირები მკვეთრად აქტიურდებიან. ისინი სარგებლობენ წარმოქმნილი მდგომარეობით და აძლიერებენ ზემოქმედებას სამუშაოს მიმცემლებზე, აღწევენ ხელფასის ამაღლებას. რადგან ამ უკანასკნელის ზრდა ცოტათი, ან სრულიადაც არაა დაკავშირებული შრომის ნაყოფიერების ზრდასთან, მოთხოვნის ინფლაცია სულ უფრო მეტ გასაქანს აძლევს ხარჯების ინფლაციას და კიდევ უფრო აჩქარებს ფასების ზრდას.

მოთხოვნის ინფლაცია იქაცაა, სადაც საბაზრო კავშირები

\* მის ინფლაციურ ეფექტებს ჩვენ ჯერ კიდევ მესამე ლექციაში შევხვით

მონოპოლიზმითა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის ხანგრძლივი ბატონობითაა მოშლილი. თუმცა ის საკმაოდ თავისებურ ფორმებს ღებულობს. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი ეკონომიკა, სადაც წლების მანძილზე შენარჩუნებული იყო არაბუნებრივად დაბალი უმუშევრობა. ეს მიღწეული იყო საკმაოდ დიდი რაოდენობის არარენტაბელური საწარმოებისა და ქარბი სამუშაო ადგილების, შრომატევადი წარმოების კონსერვაციის შენარჩუნების ფასად, რაც ნეგატიურად ზემოქმედებდა შრომის ნაყოფიერებაზე. ხოლო როცა ხელფასის ნაწილი არსებითად უშრომელია, იგი აუცილებლად იქცევა ინფლაციურ მოთხოვნად, ზრდის ფასებს.

N წერტილის მარჯვნივ მდებარე ფილიპსის მრუდის მონაკვეთი, და განსაკუთრებით მისი ის ნაწილი, რომელსაც შეესაბამება ფასების ინდექსის უარყოფითი მნიშვნელობები, უკვე სხვა ეკონომიკურ სიტუაციას ახასიათებს. ფასების დაცემის კომბინაცია მხოლოდ მაღალ უმუშევრობასთან – პოლიტეკონომიის სახელმძღვანელოდან ჩვენთვის ცნობილი ქარბწარმოების კლასიკური კრიზისის ნიშანია. განვითარებულ საბაზრო მიურნეობაში ასეთი რამ ხშირად არ გვხვდება, ყოველ შემთხვევაში, ინფლაციურ მოთხოვნაზე ბევრად იშვიათად.

უკანასკნელ ათწლეულებში ფილიპსის მრუდმა განიცადა საგულდაგულო ეკონომიკური შემოწმება, რომლის მთავარი შედეგი ისაა, რომ იგი დამაჯერებლად აჩვენებს მიმდინარე მაჩვენებლებით გაზომილ ინფლაციისა და უმუშევრობის მხოლოდ მოკლევადიან დინამიკას. გრძელვადიან პერსპექტივაში კი ფასებსა და დასაქმების მოძრაობას შორის დამოკიდებულება საესებით სხვაგვარად ხდება. დაიხსომეთ ეს მნიშვნელოვანი გარემოება. იგი დაგვხმარება გავერკვეთ უმუშევრობის პრობლემებსა და სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების იმ პრინციპებში, რომელთაც ჩვენ შევისწავლით მომდევნო ლექციებში.

ინფლაცია არა მხოლოდ ღია სახით არსებობს. ხდება ხოლმე, რომ ბაზრების ინფლაციური უწონასწორობით შეწუხებული სახელმწიფო ყურადღებას იმდენად არ აქცევს მის წარმომშობ მიზეზებს, რამდენადაც მის შედეგებს. იმის ნაცვლად, რომ სისტემატურად ახდენდეს ინფლაციის საწინააღმდეგო პროფილაქტიკას, და თუ ეს აუცილებელია, თანმიმდევრულად ახორციელებდეს ინფლაციის უკვე ჩამოყალიბებული მექანიზმის დემონტაჟს, იგი ცდილობს მისი გამოვლენის ფორმების ჩაქრობას, დათრგუნვას. ეს სხვადასხვაგვარად ხდება. მაგალითად, შემოიღებენ ხოლმე ფასებისა და შემოსავლების დროებით გაყინვას, ადგენენ მათი ზრდის ზედა საზღვრებს და ა. შ. ზოგჯერ სახელმწიფო მიზნად



ისახავს ხელფასის დინამიკის ისეთ დონეზე შენარჩუნებას, რომელიც არ გადააჭარბებს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპს.\* პრაქტიკა ადასტურებს იმას, რომ შესაძლებელია უკიდურესი ვარიანტიც – ფასებსა და შემოსავლებზე ტოტალური ადმინისტრაციული კონტროლი. როდესაც სწორედ ასე ვითარდება მოვლენები, მაშინ ღია ინფლაცია ადგილს უთმობს დათრგუნვილს.

რამდენადაც დათრგუნვილი ინფლაციის აუცილებელი ნიშნებია ფასების ადმინისტრაციული რეგულირების ესა თუ ის წესები, იმდენად მას გარდუვალად თან სდევს საბაზრო მექანიზმის დეფორმაცია. მაე ი სიღრმე და ხანგრძლივობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რა ფორმებით ხორციელდება ეს რეგულირება. თუ, დავუშვათ, პრაქტიკაში ფასების ყოვლისმომცველი ცენტრალიზებული დაგეგმვა გამოიყენება, მაშინ საქმე ეხება საბაზრო სისტემის არა დეფორმაციას, არამედ მის დაშლას. ინფლაციის სიმპტომების დათრგუნვა ასეთი გზით ძირითადად შესაძლებელია, მაგრამ მასთან ერთად საბაზრო სისტემაც განადგურდება. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ინფლაციის ძირფესვიანი აღმოფხვრა უიმედო საქმეა.

მიუხედავად ამისა, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს დასკვნა, რომ ფასებზე ადმინისტრაციული კონტროლი აბსოლუტური ბოროტებაა და მას საერთოდ არა აქვს არსებობის უფლება. იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ხდება სინამდვილეში, მისი გვერდის ავლა შეუძლებელია თანამედროვე საბაზრო მეურნეობის ფორმირების პერიოდში, მეტადრე ისეთზე მონოპოლიზებულ ეკონომიკაში, როგორიც ჩვენია. ფასწარმოქმნის სფეროში სახალხო მეურნეობისათვის არაბუნებრივ, დამლუპველი მონოპოლიზმი და ადმინისტრირება ერთმანეთისაგან განუყოფელია. მათი მოცილება აუცილებელია არა ცალ-ცალკე, არამედ ერთდროულად, ორივე პროცესის სათანადო სინქრონიზაციით.

აღვნიშნოთ, რომ ფასების ძალისმიერი სახელმწიფოებრივი რეგულირება მეტად აუცილებელია და ეკონომიკურად გამართლებულია იქაც, სადაც განვითარებული საბაზრო მეურნეობა უკვე არსებობს და

---

\* რეგულირებისადმი ასეთი მიდგომა ძირითადად ემყარება ორმოციან წლებში ამერიკელი ეკონომისტის ა. ლერნერის მიერ ჩატარებულ გამოკვლევებს (Lerner A. Stagflation ist cause and cure - Publik policy: issues analysis and ideology. Chatam, 1982, p. 292-293). თანამედროვე პრაქტიკაში ის ნაკლებად გამოიყენება აშშ-ში, მაგალითად, უკანასკნელად ამით იხელმძღვანელეს ჟ. კენედისა და რ. ნიქსონის პრეზიდენტობის დროს.

ეფექტიანად ფუნქციონირებს. მასშიც ხომ შენარჩუნებულია მონოპოლისტური სტრუქტურები, რომელთა დაუფლება სახელმწიფოს შეუძლია მხოლოდ მბრძანებლური ხერხების გამოყენებით. ამ მხრივ სამაგალითოა ჩვენთვის უკვე ცნობილი ინგლისური კორპორაცია "ბრიტიშ ტელეკომი" (ბტ). როგორც ბრიტანეთის ტელეკომუნიკაციების სამმართველოს მიერ ახლახან ჩატარებულმა შემოწმებამ აჩვენა, ბტ-ის გაყიდვის წლიური მოცულობის 50% მოდის იმ ბაზრებზე, სადაც მას დღემდე მონოპოლიური მდგომარეობა უკავია. ამიტომ სამმართველომ გადაწყვიტა, რომ ამ ბაზრებზე ბტ-ის მოქსახურებაზე ტარიფების ზრდის ტემპი სამი პროცენტული პუნქტით ნაკლები ყოფილიყო ინგლისის ეკონომიკაში ფასების საშუალო წლიურ ინდექსზე." ე. ი. თუ აღნიშნული ინდექსი შეადგენს, მაგალითად, 5%-ს მაშინ ბტ-ის პროდუქცია შეიძლება გაძვირდეს წელიწადში არა უმეტეს 2%-სა. ასეთი მოქმედება შეიძლება შეფასდეს მხოლოდ როგორც ფასებით სახელმწიფო ადმინისტრაციული მართვა.

ამრიგად, ფასებზე ადმინისტრაციული კონტროლი ცუდი როდია თავისთავად. თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში სწორია ზემოაღწერილის მსგავსი სიტუაციები, როცა ამის გარეშე უბრალოდ შეუძლებელია მომხმარებელთა დაცვა მონოპოლიზმის საშიში გამოვლინებებისაგან. მაგრამ, საქმე ისაა, რომ თუ ფასებზე ცენტრალიზებული კონტროლი გამონაკლისის ნაცვლად წესად იქცევა, ეკონომიკურად დაუსაბუთებლად გამოიყენება, იღებს ფართომასშტაბიან და ხანგრძლივ ხასიათს, მაშინ ბაზრის მექანიზმი წყვეტს მუშაობას. ამის შესახებ ხაზგასმით აღნიშნავდა ავტორიტეტული ამერიკელი თეორეტიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი მ. ფრიდმანი. "ფასების სისტემის უნარი – მართოს ეკონომიკური აქტიურობა – ეცემა",\*\* რაც აშკარა წარუმატებლობისათვის გაწირავს ინფლაციის დაძლევის ყველა ცდას.

ამის მოწმეა ჩვენი ეკონომიკის ისტორია. ის საკმაოდ საფუძველს იძლევა იმის დასამტკიცებლად, რომ სახელმწიფოს მართო, ბაზრის დახმარების გარეშე, არ ძალუძს ინფლაციის დაძლევა. რამდენი წლის განმავლობაშიც ჩვენ ვიყენებდით გაუმართლებელ ადმინისტრირებას ფასების დარგში, იმდენსავეს ვცხოვრობთ დათრგუნვილი ინფლაციის პირობებში. სწორედ ეს ავადმყოფობა აღმოჩნდა უყურნებელი, რის თქმაც არ შეიძლება ღია ტიპის ინფლაციაზე.

\* The politics of privatisation in Western Europe. London, 1989, p. 39.

\*\* Friedman M. Nobel lecture on inflation and unemployment // Journal of political economy. Chicago, 1977, vol. 85, N3, p. 467-468.

დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმის ერთ-ერთი წამყვანი რგოლი დაკავშირებულია გარდუვალი გარღვევის აღმოცენებასთან ადმინისტრაციულად დადგენილ და სხვა, გაცილებით უფრო მაღალ ფასებს შორის, რომელიც მიწოდებას ინფლაციურ მოთხოვნასთან ათანაბრებს. წარმოიქმნება მძლავრი ეკონომიკური სტიმული, რომელიც იწვევს საჭონელთა მასის გადაადგილებას ოფიციალური ეკონომიკიდან ჩრდილოვან ეკონომიკაში, ჩნდება. ზერელი, რომელიც შთანთქავს მრავალ იმათგანს, რაც ხალხის შრომითაა შექმნილი. როგორც დაერწმუნდით, მისი ჩაკეტვის ნებისმიერ მცდელობას სამართალდამცავი ორგანოების, მუშათა კონტროლის და ა. შ. დახმარებით, უკეთეს შემთხვევაში შეუძლია სიტუაციის მხოლოდ დროებითი გამოსწორება. ინფლაციური მექანიზმის დანგრევა მათ არ ძალუძთ. ამის გაკეთება შეუძლებელია ფასების ადმინისტრაციული ამაღლებითაც, რადგან ისეთ პოლიტიკას, რომელიც ინფლაციას დათრგუნვილ მდგომარეობაში აჩერებს, თითქმის არ ეხება მის ფუნდამენტურ საფუძველს – ფულის მიმოქცევის დეფორმაციასა და ბაზრების ინფლაციურ უწონასწორობას. მართლაც, მოთხოვნა თუნდაც ელასტიკურაა გახდეს ფასების მიმართ, მცირედით რომ შემცირდეს, ანტიინფლაციური გადასახდელები მას კვლავ გაზრდიან და უწონასწორობა აღდგება. აღნიშნული მექანიზმის მოქმედების შედეგი კარგადაა ცნობილი: სახალხო მეურნეობის ოფიციალურ სექტორში ქრონიკულ სასაქონლო შიმშილს თან სდევს ჩრდილოვანი ეკონომიკის იმ ნაწილის აფხვება, რომელიც სპეციალიზებულია საჭონლის გადაყიდვაზე წონასწორობის ფასთან მიახლოებული ფასებით.

დათრგუნვილი ინფლაცია მწარმოებლებს უკარგავს მათთვის ესოდენ აუცილებელ ფასობრივ სტიმულს, რაც ხელს უშლის ინვესტიციური პროცესების გაშლას, წარმოებისა და მიწოდების გაფართოებას. ვინაიდან ფასების დამოკიდებულება მოთხოვნაზე შესაძინევად სუსტდება, ზოგჯერ კი მთლიანად ქრება, გაუგებარია, რა სახის საჭონელსა და მომსახურებას საჭიროებს მოსახლეობა, საით წარმართოს კაპიტალდაბანდებების ნაკადები. ინვესტორები კარგავენ ორიენტირებას, ხოლო ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების დარგობრივი განაწილება აშკარად არაოპტიმალური ხდება. რა რჩება მომხმარებლებს? მხოლოდ ზემდგომი ორგანოების სიბრძნის იმედი, რომელთაც აქვთ უნარი, ზებუნებრივი ძალით განჭვრიტონ ადამიანთა მოთხოვნილებების მოძრაობა (ზოგჯერ უცნობი მათი მატარებლებისთვისაც კი) და ზუსტად განსაზღვრონ, რა და რამდენი აწარმოონ და გაყიდონ. როგორც კარგად ვიცით, მსგავსი იმედები, რბილად რომ ვთქვათ, ყოველთვის როდი ამართლებს. როგორც

ჩანს, განხილული მექანიზმი მუშაობს იმავე მიმართულებით, როგორც პირველი, ინარჩუნებს რა მოთხოვნის მქონე საქონლის მყარ ნაკლებწარმოებას.

ისეც ხდება, რომ დათრგუნვილი ინფლაცია გადაეხლართება ხოლმე ხარჯების ინფლაციის ელემენტებს. ამას ადგილი აქვს ისეთ სიტუაციაში, როცა სახელმწიფო, შემოსავლების ფორმირებაზე აღუნებს რა ადმინისტრაციულ კონტროლს, უცვლელად ტოვებს მას ფასწარმოქმნის სფეროში. ასეთ შემთხვევაში საწარმოთა ფინანსური მდგომარეობა მეტად არასახარბიელოა: აწყდებიან რა წარმოების ფულადი ხარჯების ზრდას, მათ ერთმევათ შესაძლებლობა, მოიგერიონ დარტყმა თავის პროდუქციაზე ფასების ზრდის მეშვეობით. ასეთ რთულ ვითარებაში მოხვედრილი საწარმოები იძულებული არიან შეკვეცონ წარმოება. უკანასკნელი წლების ჩვენს ეკონომიკაში მსგავსი ქმედებანი საკმაოდ ფართოდ გავრცელდა.

როგორც ჩანს, ღია ინფლაციას აუცილებლად მოჰყვება ფასების საერთო ზრდა, დათრგუნვილ ინფლაციას კი თან სდევს საქონლისა და მომსახურების ქრონიკული უმარისობა და მათი პერმანენტული დეფიციტი.

დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმის ზემოაღნიშნული ძირითადი ნიშნები უმთავრესად წარმოებას ეხება. ახლა მივუბრუნდეთ მომხმარებელთა ქცევის ანალიზს. შეგახსენებთ, რომ ღია ინფლაციაზე ისინი რეაგირებენ ადაპტური ინფლაციური მოლოდინის ჩამოყალიბებით. მაგრამ თუ ინფლაცია დათრგუნვილია? მაშინ წარმოიშობა ახალი, პირველისაგან განსხვავებული მოლოდინის ტიპი, რომელსაც შეიძლება დეფიციტური ვუწოდოთ.

ჩვენი მკითხველისათვის ამ მექანიზმის აგებულების გაგება არაა რთული. დათრგუნვილი ინფლაციის პირობებში ხანგრძლივი ყოფნითა და თვალყურის დევნებით მომხმარებლები თანდათან რწმუნდებიან თუ როგორ ქრება ესა თუ ის საქონელი, ან რა მოვლით მათ მომავალში. მტყიცდება დეფიციტური მოლოდინი, რომელიც წარმოქმნის სამომხმარებლო ქცევის განსაზღვრულ მიმართულებებს. იგი ვლინდება აეიოტაქური მიმდინარე მოთხოვნის მძლავრ მოზღვავებაში, რომელიც ნაკარანაზვია არა იმდენად საქონლის გაძვირების პროგნოზით, არამედ მისი საერთოდ გაქრობის შიშით. რაც უფრო საფუძვლიანია დეფიციტური მოლოდინი, მით მეტია მიმდინარე მოთხოვნის სიღრმე, ნაკლებია სასაქონლო მარაგი და მწვავეა დეფიციტი. შეიცნობენ რა ამას მომხმარებლები, უფრო მეტად რწმუნდებიან თავიანთი მოქმედების სისწორესა და რაციონალურობაში. ამას მოჰყვება მოთხოვნის მორიგი აზვირთება და ა. შ. როგორც ჩანს,

დეფიციტის ნიადაგზე აღმოცენებული მსგავსი მოლოდინები ობიექტურად ხელს უწყობენ მის დამკვიდრებას, თვითკვლავწარმოებას. ყოველივე ეს დამატებით სიმტიცეს ანიჭებს დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმს.

ინფლაციურ მოლოდინთა აღნიშნული ტიპები სრულიადაც არ ამოწურავენ მათ მრავალსახეობას. მივუთითოთ, თუნდაც მოლოდინის განსაკუთრებულ ტიპზე, რომელიც აღმოცენდება ისეთ გარემოებაში, როცა ინფლაცია არაყვეს ფულადი სისტემის სიმტიცეს, ფულისადმი ნდობას. იმისგან დამოუკიდებლად, ფასები იზრდებიან თუ არა, შემოსავლების მფლობელები ცდილობენ, თავიდან მოიშორონ ფული, აძლიერებენ მოთხოვნას მატერიალურ ფასეულობებზე და ამით ზრდიან ინფლაციურ უწონასწორობას. ასეთ სიტუაციაში სახელმწიფო ჩვეულებრივ ცდილობს ფულადი სისტემის სტაბილიზაციას, რაც, რა თქმა უნდა, საეხებით გამართლებულია. მაგრამ თუ იგი მოქმედებს სპონტანურად, იმპულსურად, მომხმარებლისათვის მოულოდნელად, მაშინ კარგი კი არა, ცუდი იქნება. ჩვენი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უცაბედი გადაწყვეტილება ფულის ნიშნების გამოცვლის, ბანკების ანაბრების ნაწილობრივი გაყინვის, ნაღდი ფულის შეზღუდვის შესახებ და ა. შ., მომხმარებლებს აიძულებენ, რომ კიდევ უფრო დაეკედნენ ფულადი სისტემის საიმედოობაში, უბიძგებენ მათ მიმდინარე მოთხოვნის გაზრდისაკენ.

ინფლაციური მოლოდინის თავისებური სახესხვაობა, რომელიც, ალბათ, მხოლოდ ჩვენი ეკონომიკისათვისაა დამახასიათებელი, განპირობებულია დაუსაბუთებელი საკრედიტო და საბიუჯეტო ექსპერიმენტებით, საბანკო დაფალიანებათა რეგულარული ჩამოწერით. დაეუშვათ, სახელმწიფო საწარმომ ფული ისესხა ბანკისაგან, რის შედეგადაც მისმა წარმომადგენელმა საკანონმდებლო ორგანოებში მიაღწია დაუბრუნებელი კრედიტების ანულირებას, და ეს წლიდან წლამდე მეორდება. რამდენადაც ბანკმა მსესხებლებს მისცა ვილაციის დეპოზიტები, ამდენად დაფალიანების ჩამოწერა არის ეკონომიკაში ჰარბი ინფლაციური ფულის ამოძრავების ტოლფასი. მაგრამ ინფლაციური საშიშროება მხოლოდ აქედან როდი მოდის. იმ მევალებებს, რომლებსაც "აპატიეს", თანდათანობით უყალიბდებათ იმის მტიციე მოლოდინი, რომ მომავალშიც შეიძლება სესხის აღება დაუბრუნებლად. ამ პროგნოზის მიხედვით ყალიბდება წარმოებრივი სტრატეგია, განისაზღვრება ხელფასის სიდიდე, რომელიც, ძირითადად ინფლაციური ხასიათისაა და ა. შ. ამგვარად იკერება ინფლაციის მანკიერი წრე.

რა თქმა უნდა, გაკოტრებული მევალების მძიმე ფინანსური მდგომარეობა ხშირად დაკავშირებულია მანქანებისა და მოწყობილობების

განუწყვეტელ გაძვირებასთან, ბუნებრივ პირობებთან და სხვა, ობიექტურ, მათზე დამოკიდებულ გარემოებებთან. თუნდაც ასე იყოს, მაგრამ ზომ შესაძლებელია პრობლემის სხვა, უფრო მოქნილი გადაჭრა. საკმე ეხება კრედიტების დაფარვის ვადების გაგრძელებას, სარგებლის შემცირებას, და ბოლოს, თვით ვალებით თავისუფალ ვაჭრობას. თუმცა მითითებული ვარიანტები ალბათ არაა უნაყოფო, მაგრამ ისინი მაინც არ იძლევიან ბანკის დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებული მოლოდინის დამკვიდრების შესაძლებლობას.

დადგა წინასწარი შედეგების შეჯამების დრო. მსოფლიო ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილია ინფლაციის ორი ძირითადი ტიპი. ღია ინფლაციის გზით სვლა იძლევა ეკონომიკის გამოჯანსაღების იმედს, თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოს, რომელიც ანტიინფლაციურ ღონისძიებებს ახორციელებს, უერთდება თუმცა დეფორმირებული, მაგრამ მაინც მომუშავე ბაზრის მექანიზმი. სავსებით უპერსპექტივოა ფასწარმოქმნის სფეროში ინფლაციური დაავადებების სიმპტომების მკურნალობა ტოტალური ადმინისტრირების საშუალებით. მას არა თუ არ შესწევს ძალა ეკონომიკა იხსნას ინფლაციისაგან, არამედ, ანგრევს რა საბაზრო მექანიზმს, მოსახლეობას თავს ახვევს უღიმღამო საქონლის დეფიციტს.

"თუ ღია ინფლაცია მნიშვნელოვნად აყალიბებს ბაზრის მარეგულირებელ ფუნქციას, - წერდა ჩვენი დროის გამოჩენილი ეკონომისტი ფ. ფონ ზაიცი, - დათრგუნვილი ინფლაცია მთლიანად აჩერებს მას."\* მსგავსი შეხედულებები აქვს მ. ფრიდმენს: "გაცილებით მეტი ზიანი მოაქვს ინფლაციის შეჩერების ღონისძიებებს, ვიდრე თვით ღია ინფლაციას."\*\* შევნიშნავთ, რომ ასეთი იდეები სახელმწიფოებრივი ანტიინფლაციური პოლიტიკის კონცეპტუალური საფუძველი გახდა. იქ, სადაც არსებობს განვითარებული საბაზრო ეკონომიკა, დიდი ზანია აღარ ჩანს დათრგუნვილი ინფლაციის არც ერთი ვარიანტი. მაგალითად, აშშ-ში ფასებისა და შემოსავლების დროებითი გაყინვის ბოლო შემთხვევა 70-იანი წლების დასაწყისით თარიღდება, როცა რ. ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში შეიქმნა ფასებზე კონტროლის ფედერალური კომისია. კომისიის ხელმძღვანელი ჯ. გრეისონი მის საქმიანობას შემდგომში "უაზრო ბიუროკრატიულ კოშმარს" უწოდებდა. მართლაც თავისი მუშაობის პირველ სამ კვირაში ამ სახელმწიფო სამსახურმა მიიღო

\* Hayck F. 1980's unemployment and unions. London, 1980, p. 22.

\*\* Friedman M. Unemployment versus inflation? An evaluation of the Phillips curve. London, 1975, p. 32.

400 ათასამდე განაცხადი ფირმებიდან თხოვნით – მიეცათ ფასების შეცვლის ნება, რის შედეგადაც მან მალე შეწყვიტა არსებობა.\*\*\*

გამოდის, რომ ინფლაციით დასნეულებულ ეკონომიკას აქვს მხოლოდ ერთი გამოსავალი – ფასების მაქსიმალურად დასაშვები თავისუფლება? თუ ხანგრძლივ პერსპექტივას ავიღებთ, უდავოა, ხსნის გზა სხვა არ არსებობს. მაგრამ მიმდინარე მოკლევადიანი პერიოდის თვალსაზრისით საქმე სრულიადაც არაა ასე მარტივად. ღია ინფლაციის რეჟიმზე დაუყოვნებლივი გადასვლა ყველა ეკონომიკას არ შეუძლია. თუ სახალხო მეურნეობა მონოპოლიზებულია, არ გააჩნია განვითარებული საბაზრო ინფრასტრუქტურა, აქვს ჰიპერტროფირებული, ტექნოლოგიურად ჩამორჩენილი მძიმე მრეწველობა, იტანჯება მეტისმეტი პოლიტიზაციითა და გიგანტური სახელმწიფო სექტორით, ხოლო მოქალაქეთა კეთილდღეობის პარამეტრები ისედაც ძალიან დაბალია, ასეთ მკვეთრ ნახტომს ის ვერ გაუძლებს. აქ საჭიროა ნელი, მეტად წინდახედული გარდატეხა ღია ინფლაციისაკენ, და შესაბამისად, საბაზრო ძალების ამოქმედება.

ამასთან, ასეთი კურსი უნდა გატარდეს განსაკუთრებული თანმიმდევრობით, ყოველგვარი გადახვევების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში დათრგუნვილი ინფლაციის ყოველი ახალი ზეწულა ეკონომიკას უკან დასწევს, მას მიაახლოებს საქონლამდელ და ფულამდელ მდგომარეობას.

განვითარდება ჰიპერინფლაციის პროცესი, რომლის კრიტერიუმი ფულის მიერ თავისი ფუნქციების პროგრესული დაკარგვაა. თუ, ვთქვათ, ნომინალური ხელფასის თავისუფალი გადაქცევა რეალურად შეუძლებელია (მათ შუაა ტალონები, კუპონები, განაწილების ნორმები და ა. შ.), ეს იმას ნიშნავს, რომ ფული უკვე სავსებით არ ასრულებს გადახდისა და მიმოქცევის საშუალებათა როლს. იგი იმდენად უფასურდება, რომ ხელფასის მნიშვნელოვანი ნაწილი გაიცემა ტალონებით, რომლებიც შემდეგ ხდება მიმოქცევაში (ვაჭრობაში და იცვლება მოხმარების საგნებზე. იგივე ხდება მაშინაც, როცა საწარმო-მიმწოდებელი მომხმარებლისაგან მოითხოვს არა ფულს, არამედ, დაეუშვათ, მიღებს ან აგურს. ჰიპერინფლაციის ერთ-ერთი დადასტურება ისიცაა, რომ მოქალაქეებს აღარა აქვთ სურვილი, იქონიონ თავიანთი დანაზოგები ფულადი ფორმით და ცდილობენ მათ დაბანდებებს მატერიალურ ფასეულობებში.

თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენს ეკონომიკას, მაშინ უნდა აღვნიშნოთ: უკვე ხანგრძლივი დროის მანძილზე იგი იმყოფება

---

\* The illusion of wage and price control: essays on inflation, its causes and its cures. Vancouver, 1976, p. 169, 171.

დათრგუნვილი ჰიპერინფლაციის მდგომარეობაში. მაგრამ ეს არაა საშიში მომავალი, რომლის თავიდან აცილება შეუძლებელი იყოს, არამედ – სავალალო აწმყა.

შეიძლება თუ არა ინფლაციის დონის გაზომვა? თუ ლაპარაკია ღია ინფლაციაზე, ამის გაკეთება შედარებით ადვილია: არც თუ ისე ცოტა ფასების ინდექსებია დამუშავებული. კერძოდ, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია პააშეს ინდექსი:

$$g^{t+1} = \frac{\sum_{i=1}^n p_i^{t+1} q_i^{t+1}}{\sum_{i=1}^n p_i^t q_i^{t+1}} \quad (7.1)$$

სადაც  $g^{t+1}$  – ფასების ინდექსია  $t+1$  წელიწადში,  $p_i^{t+1}$ ,  $p_i^t$  საქონლის ფასი შესაბამისად  $t+1$  და  $t$  წლებში,  $q_i^{t+1}$  საქონლის გაყიდვის მოცულობა  $t+1$  წელს,  $n$  – სასაქონლო პროდუქციის სახეობების რაოდენობა.

როცა  $q_i^{t+1}=1$ , შეიძლება ვამტყიკოთ რომ მოცემულ წელში ფასები საშუალოდ სტაბილური იყო, უტოლობა  $q_i^{t+1}>1$  ადასტურებს ფასების ზრდას,  $q_i^{t+1}<1$  – მათ შემცირებას.

პააშეს ინდექსი არაა უნაკლო.\* მაგალითად, აშკარაა, რომ იგი აგრეგირების ძალიან მაღალი დონით გამოირჩევა. მრავალ  $n$ -ში ხომ შედის აბსოლუტურად ყველა საქონელი, ერთი წლის მანძილზე ეკონომიკაში გაყიდული და ნაყიდი, მაშინ, როცა მოსახლეობის სხვადასხვა ფენის სამომხმარებლო კალათები ერთმანეთისაგან განსხვავებულია. თუ, დავუშვათ, გაძვირდა მეტროთი მგზავრობა მოსკოვში, ინდექსის სიდიდე გაიზრდება, რაც ხაზგასმით აღნიშნავს რეალური შემოსავლების დაცემის თითქმის საერთო ტენდენციას. მაგრამ, სინამდვილეში ის მოიცავს მხოლოდ მოსკოვის მცხოვრებლებს და მის სტუმრებს და არაერთარ ზემოქმედებას არ მოახდენს დანარჩენი მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პააშეს ინდექსი მოკლებულია არჩევითობას და ალიკვამს ფასების ნებისმიერ ზრდას, თუმცა, როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ის ყოველთვის ვერ ჩაითვლება ინფლაციურად. იგი სრულიად არ რეაგირებს ფასების ფარულ ზრდაზე, რომელიც მიმდინარეობს ასორტიმენტული ძალების შედეგად საქონლის მიწოდების სტრუქტურაში და უმნიშვნელო ცვლილებებით პროდუქციის ხარისხში. ამ ინდექსის მიხედვით მხოლოდ იმ საქონელთა ფასებია

\* სხვათა შორის, იგივე შეიძლება ითქვას სხვა ინდექსების შესახებაც. საერთოდ კი იდეალური სტატისტიკური ინდიკატორები, ალბათ, ჭერჭეროვით არ არსებობს.



შესადარისი, რომლებიც იყიდება  $t$  წელს, და  $t+1$  წელს. ამიტომ უქანასკნელ წელს "ახალი" და უფრო ძვირი ნაწარმის გამოჩენა უკვე აღარ მიიღება მხედველობაში.

დაბოლოს, შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ინდექსი არ იძლევა ნათელ წარმოდგენას ღია ინფლაციის მიმდინარეობის შესახებ იმის გამოც, რომ შეიწოვს ფასის მიხედვით მოთხოვნის ჯვარედინ ელასტიკურობასთან დაკავშირებულ მრავალრიცხოვან ეფექტს. დავუშვათ,  $i$  და  $j$  ურთიერთშემცვლელი საქონელია. მაშინ, მაგალითად,  $P_i$  გაზრდამ  $t+1$  წელს შეიძლება გამოიწვიოს  $i$  საქონელზე მოთხოვნის ამაღლება და მისი  $Q_i^{t+1}$  გაყიდვის გაფართოება. ინდექსი "ჩაჟღავნებს" ამ ეფექტს. ამის საფუძველზე კი ის შედეგი მიიღება, რომელიც დამოკიდებული იქნება არა მხოლოდ ფასზე (მოეთხოვებოდა კი სწორედ ეს), არამედ რაოდენობაზეც.

როგორც ჩანს, ღია ინფლაციის გაზომვა, ხოლო შესაბამისად, რეალური შემოსავლისა და ინფლაციის საწინააღმდეგო გადასახდელების სიდიდეთა მოძრაობა დაკავშირებულია მრავალ სტატისტიკურ სიძნელესთან. მაგრამ ბევრად რთულია დათრგუნვილი ინფლაციის დონის შეფასება. ცხადია, არავითარი ფასების ინდექსი აქ უკვე არ გამოდგება. საჭიროა არატრივიალური მეთოდები. ალბათ, საჭირო იყო განაწილებული მოხმარების საგნებისა და ბარტერული გაცვლის წილის განსაზღვრა საქონელბრუნვის მთლიან მოცულობაში. რაც უფრო მაღალია ასეთი მაჩვენებლები, როგორც ჩანს, მით უფრო ძლიერია დათრგუნვილი ინფლაცია.

ასეთია თანამედროვე ინფლაციის მექანიზმების ზოგიერთი ნიშანი და მისი გაზომვისადმი მიდგომები. ისინი მუშაობას იწყებენ ბაზრების გამოკვეთილად აღნიშნულ მყარ ინფლაციური უწონასწორობის სიტუაციაში. როცა იგი შერწყმულია ფასების ზრდასთან, მაშინ ფუნქციონირებს ღია ინფლაციის მექანიზმები. თუ ასეთ უწონასწორობას თან ახლავს ფასებზე ფართომასშტაბიანი აღმინისტრაციული კონტროლი, მასში ჩაერთვება დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმები. უმეტესწილად დაკავშირებული არიან რა ინფლაციურ მოლოდინთან, ისინი ინარჩუნებენ და კვლავ აწარმოებენ თავიანთ თავს, ქმნიან "დაგორებული ბორბლის" ეფექტს, რის გამოც ეკონომიკისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენენ.

აქედან გამომდინარეობს, რომ ინფლაციის მიზეზები უნდა მოიძებნოს ფულის მიმოქცევის მადეზორგანიზებულ, ბაზრებში ინფლაციური უწონასწორობის გამომწვევ ფაქტორებს შორის. კერძოდ, ასეთი ხდება მაშინ, როდესაც სახელმწიფოს წარმომადგენელი ცენტრალური ბანკი

ახორციელებს არასწორ ფულად პოლიტიკას, რის გამოც მიმოქცევაში ჩნდება ფულის ჭარბი მასა, რომელიც საჭონლით არაა უზრუნველყოფილი. განვიხილოთ ეს დაწერილებით

როგორც ფულის ბაზრის ანალიზმა გვიჩვენა მესამე ლექციაში, ცენტრალური ბანკის მთავარი სტრატეგიული ამოცანა საჭირო ფულის რაოდენობით სახალხო მეურნეობის მომარაგებისა და მისი არაინფლაციური განვითარების გრძელვადიანი პირობების შექმნით უნდა გამოიხატოს. მაგრამ ეკონომიკაში დროადადრო აღმოცენდება სხვა, ინფლაციასთან არაპირდაპირ დაკავშირებული პრობლემები. მათი გადაწყვეტა ასევე მოითხოვს იმ ძლიერმოქმედი ინსტრუმენტების გამოყენებას, რომლებიც არსებობს ცენტრალური ბანკის განკარგულებაში. განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნების პრაქტიკიდან ჩანს, რომ ფულადი პოლიტიკის გარეშე ძნელია წარმოების მოსალოდნელი დაცემის თავიდან აცილება ან საფონდო ბირჟაზე აქციების კურსის პროგრესირებადი შემცირების შეჩერება. ასეთ სიტუაციაში ცენტრალური ბანკი, როგორც წესი, იწყებს ფულის მიწოდების გაღივებას. ფულის ბაზარი რეაგირებს მას ფულის "ფასის" (საბანკო სარგებლის განაკვეთის) შემცირებით. იაფდება კრედიტი. იგი უფრო ხელმისაწვდომი ხდება იმ მეწარმისათვის, რომლებიც საბანკო სესხს ან საფონდო ბირჟაზე მიღებული მოგების ნაწილს, იყენებენ კაპიტალდაზღვრებათა დასაფინანსებლად, ზრდიან წარმოებასა და გაყიდვას. როგორც საკუთარი გამოცდილებიდან კარგად ვიცით, ცენტრალური ბანკი იმ შემთხვევაშიც კი ზრდის ფულად მასას, როდესაც მთავრობა სესხულობს და ასეთი გზით სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტს ფარავს.

აღნიშნულ სიტუაციებში იზრდება მიმოქცევაში მყოფი ფულის რაოდენობა. თუ ფულადი მასის ზრდის სიჩქარე არ სცილდება ფულის ბაზრის გრძელვადიანი წონასწორობის პირობების ფარგლებს (3.9), მაშინ ეკონომიკაში, საერთოდ რომ ვთქვათ, საშიში არაფერია. ინფლაცია არაა, რადგანაც სახალხო მეურნეობაში შედის იმდენი ფული, რამდენიც საჭიროა უფრო უხვი საჭონლის ნაკადის მომსახურეობისათვის. მისი უზრუნველყოფით სახელმწიფო გზადაგზა წყვეტს თავის სხვა ამოცანებსაც. იმისგან დამოუკიდებლად თუ რა საბაბით ჩაერთო ფულადი რეგულატორები (სარგებლის დონის შემცირების აუცილებლობა, სახელმწიფოსათვის სესხის მიცემა და ა.შ.), ცენტრალური ბანკის ასეთი პოლიტიკა სწორი, არაინფლაციურია.

მაგრამ, რბილად რომ ვთქვათ, ეს ყოველთვის ასე არ ხდება. გაცილებით ხშირია შემთხვევა, როცა სახელმწიფო ცდილობს წარმოების ამოქმედებას.

ბიუჯეტის ხერხების დახურვას ან რალაც სხვა მიზნის მიღწევას, მიმართავს ეკონომიკურად დაუსაბუთებელ ფულად ექსპანსიას. იმისკენ მისწრაფება, რომ ჩქარა გადაწყდეს წუთიერი, მიმდინარე პრობლემები, იგი მიმართავს ისეთ საშუალებებს, რომლებიც გამოვლინდებიან, მაგალითად, ცენტრალური ბანკის ჩართვით ნებისმიერი ამ ამოცანის გადაწყვეტაში. ინფლაციური ფულადი პოლიტიკის გრძელვადიანი უარყოფითი შედეგებისადმი ზერელე დამოკიდებულება იწვევს იმას, რომ იკარგება მისი ჭეშმარიტი დანიშნულება. შესაბამისად, რადიკალურად იცვლება ცენტრალური ბანკის დანიშნულების ეკონომიკური არსი. იმის ნაცვლად, რომ მეურნეობა დაიცვას ინფლაციისაგან, იგი აესებს ეკონომიკას ჭარბი ფულადი ნიშნებით, რითაც მხოლოდ ხელს უწყობს მის დაჩქარებას.

ომის შემდგომ წლებში მოვლენათა მსგავსი განვითარება აღინიშნა მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში. საჭმე იმით დამთავრდა, რომ 80-იანი წლების დასაწყისიდან ზოგიერთმა მათგანმა ფაქტობრივად დაკარგა კონტროლი ინფლაციაზე. ეკონომიკამ დიდი ზარალი განიცადა, და მრავალი ათეული წელი დასჭირდა ფულის მიმოქცევის ნორმალისაციას, იმას, რომ ინფლაცია გამხდარიყო უფრო ზომიერი და მართვადი. ეს პროცესი ჭერ კიდევ არ დამთავრებულა.

რაც შეეხება ჩვენს სახალხო მეურნეობას, აქ ყველაზე ნეგატიური სახით აისახა ხელისუფლების მალალი ეშელონების საერთო არასაბაზრო და არაფულადი ფილოსოფია, მართვის ორგანოებში ღრმად დამკვიდრებული ფულისადმი ნიჰილისტური, დაუდევარი დამოკიდებულება, თანამედროვე საბაზრო სისტემასა და დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკის უქონლობა, სახელმწიფო ბანკის მრავალწლიანი სრული დაქვემდებარება ფინანსთა სამინისტროსადმი, ფულის შეუჩერებელი ემისია, რაც მთავრობას შესაძლებლობას აძლევს, აკეთოს ყველაფერი, რაც მოესურვება, გიგანტურ საკრედიტო დავალიანებათა რეგულარული ჩამოწერა და მრავალი სხვა. მხოლოდ უკანასკნელ წლებში, როცა საბაზრო ურთიერთობების განვითარების პირველი ნაბიჯები გადაიდგა და გაჩნდა საბანკო სისტემის ფუნქციების მარეგულირებელი კანონები, ჩაისახა მდგომარეობის თანდათანობითი გამოსწორების იმედი. ახლა უკვე ნათელია, რომ რადგან ინფლაციური დაავადება ძალიან ღრმად და წასული, მისი გამოჩანმართლება დიდ დროს მოითხოვს. ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას ექნება გაკვიანურებული ხასიათი და მისი მოგება შეუძლებელია სწორი ფულადი პოლიტიკის გარეშე.

ინფლაცია იმ შემთხვევაშიცაა გარდუვალი, როცა სახელმწიფოს ხარჯები ჰარბობენ მის შემოსალებს. თუ ბიუჯეტი დეფიციტურია, როგორადაც არ უნდა დაფინანსდეს იგი, ინფლაციას თავს მაინც ვერ დააღწევს. მაგრამ ამ უკანასკნელის ზრდის სიჩქარე დიდადა დამოკიდებული ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვის ორგანიზაციაზე.\*

ინფლაცია აღმოცენდება იქაც, სადაც მიმდინარეობს მილიტარიზაციის პროცესი. როცა სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საქმიანობის მასშტაბები საკმაოდ დიდია, აღმოჩნდება, სულ მცირე, სამი საგრძნობი ინფლაციური ეფექტი. პირველ ყოვლისა სამხედრო სექტორი ქმნის მუდმივ დაძაბულობას სახელმწიფო ბიუჯეტის გასაღლის ნაწილში. იზრდება დეფიციტი, ხოლო მის კვალობაზე – ინფლაციური ზემოქმედება. მაგრამ, დავუშვათ, სახელმწიფომ შეძლო გასაღლების სხვა სტატიებიდან ეკონომია და თავისი ფინანსები ისე დაარეგულირა, რომ მილიტარიზებული ეკონომიკის პირობებშიც კი ბიუჯეტის დეფიციტი მცირე აღმოჩნდა და მისი როლი ინფლაციური პროცესების გაშლაში მინიმუმამდე დავიდა. შენარჩუნებული იქნება თუ არა მაშინ მილიტარიზმისა და ინფლაციის კავშირი?

ღიახ, ის დარჩება. მაგრამ მიიღებს სხვა, არაბიუჯეტურ ფორმებს. კერძოდ, როგორც არ უნდა იყოს ბიუჯეტის მდგომარეობა, სამხედრო ეკონომიკა მაინც შთანთქავს მატერიალურ, ინტელექტუალურ და სხვა რესურსებს, რომელთა გამოყენებაც გაცილებით უფრო პროდუქტულად შეიძლება, მაგალითად, სამშვიდობო დანიშნულების პროდუქციის, იმავე სამომხმარებლო საქონლის გამოსაშვებად. თუ რესურსები იქითკენ არ წარიმართა, მაშინ მათი განაწილება ეკონომიკაში მთლიანად არაოპტიმალური ზდება, დეფორმირდება. აღმოცენებული დისპროპორციების გამო სულ უფრო რთულდება არა მხოლოდ სამოქალაქო წარმოების განვითარება, არამედ გაცვეთილი მოწყობილობის უზარუნველყოფაც, რაც დამლუპველად აისახება საქონლის მიწოდების მოცულობასა და ღირებულებაზე, აღრმავებს ბაზრების უწონასწორობას მოთხოვნის სასარგებლოდ. ასეთია მილიტარიზმის მეორე ინფლაციური ეფექტი. დაბოლოს, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თავდაცვის სექტორში დასაქმებულები სამომხმარებლო ბაზარზე გამოდიან მხოლოდ მყიდველების როლში, აყენებენ ისეთ მოთხოვნას, რომელიც არაფრით არ უწყობს ხელს მიწოდების ზრდას.

წყველივე ეს მნიშვნელოვანად მოწმობს ეკონომიკის დემილტარიზაციის

\* ეს პრბლემები განხილულია მეოთხე ლექციაში. შეგახსენებთ, რომ რამდენადმე უმჯობესია ვარიანტი, როცა მთავრობა დეფიციტის დაფინანსებისას ცდილობს, გვერდი აუაროს ცენტრალური ბანკის დახმარებას.

აბსოლუტურ აუცილებლობას/რომლის გარეშე ინფლაცია არ მოიხსნება. სამხედრო წარმოების კონვერსიის ყოველ ნაბიჯზე აღნიშნული ეფექტების მოქმედება თანამიმდევრულად სუსტდება.

/ინფლაციური პროცესების ინტენსივობა ძლიერადაა დამოკიდებული ბაზრების მდგომარეობაზე, იმაზე, არსებობს იქ კონკურენციული რეჟიმი თუ ბატონობს მონოპოლია. თუ ჩვენ პრაქტიკას მივმართავთ, მაშინ დავინახავთ, რომ ინფლაცია ყველაზე სწრაფად პროგრესირდება იმ ეკონომიკაში, რომელიც გამოირჩევა ბაზრების მონოპოლიზაციის მაღალი დონით. /რატომაა ასე? რა დააშავეს მონოპოლისტებმა? მსხვილი კორპორაცია, მოქმედი, დაეუშვათ, ფოლადსა და მრეწველობაში, ანდა მძლავრი დარგობრივი პროფესიონარი, ზედმეტ ფულს მიმოქცევაში არ უშვებს და, მაშასადამე, არავითარი კავშირი არა აქვს ინფლაციის წარმოშობასთან.

მართლაც, მონოპოლიები არ იწყებენ ინფლაციას. მაგრამ ისინი მას აქტიურად აგრძელებენ და აძლიერებენ. ბაზარზე თავიანთი დომინირებული მდგომარეობის შესანარჩუნებლად მონოპოლიები მაღალი ფასების არა მხოლოდ დაწესებას ცდილობენ, არამედ წარმოებისა და მიწოდების მოცულობის შემცირებასაც. ეს უკიდურესად ცუდად ზემოქმედებს ერთობლივი მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობაზე, ზრდის მათ შორის გარღვევას. ამასთან, მონოპოლისტური სტრუქტურები არღვევენ რა ბაზრის მექანიზმებს, ამცირებენ ფასის მიხედვით მიწოდების ელასტიკურობას, აკიანურებენ წარმოების რეაქციას მოთხოვნის მერყეობაზე (თუნდაც ინფლაციურზე), და, მაშასადამე ახანგრძლივებენ ინფლაციურ უწონასწორობას. მთლიანობაში შეიძლება ვამტყიცოთ, რომ თუმცა ინფლაცია პრინციპში შესაძლებელია კონკურენციული ეკონომიკის დროსაც, მაგრამ მონოპოლიზმი მას კიდევ უფრო აჩქარებს.

/დაახლებით ასეთივე საბოლოო ეფექტი შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფოს არასწორმა მოქმედებამ დაბეგვრის სფეროში. პირველ ყოვლისა, ლაპარაკია მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შესახებ, როცა ის მეტისმეტად მაღალია, იწყებს მოქმედებას წარმოებისა და გაყიდვის დამუხრუჭების მექანიზმი. მეწარმენი, რომელთაც ბიუჯეტში შეაქვთ მოგების საკმაოდ დიდი ნაწილი, აწყდებიან კაპიტალდაბანდების დაფინანსების მზარდ სიძნელეებს. უფრო მეტიც, თანდათან იკარგება ინვესტიციების სტიმულირება. ასულ უფრო ხშირად წარმოიქმნება სიტუაცია, როცა გადასახადების გადახდის შემდეგ დარჩენილი მოგების ნაწილის ბანკში დაბანდება, მაღალი სარგებლის მიღების ვარაუდით, უფრო მომგებიანია, ვიდრე მისი დახარჯვა ახალი ტექნოლოგიის,

მანქანების, მოწყობილობებისა და სხვათა შესაძენად./ მეწარმესაც უნდა გაეუფროსოს: მას არა აქვს ისეთი ბიზნესის განვითარების ინტერესი, რომლის ნაყოფით ისარგებლებს არა ის, არამედ სახელმწიფო. ალბათ, მოვლენების ასეთი შემობრუნებისას, გარღვევა ინფლაციურ მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეიძლება მხოლოდ გაიზარდოს. /დამატებით შევნიშნავთ: გადასახადების კანჩების მოკერის სახელმწიფოს მოუფიქრებელი მოქმედების გამო, მეწარმე იძულებული იქნება, ფასების ზრდით უპასუხო. თუ ყველა ამ ეფექტს შევაჯამებთ, ნათელი გახდება საგადასახადო ინფლაციის მექანიზმის მოხაზულობა / (tax \_ push inflation).

ფასების შესაძლებელ მოულოდნელ ზრდას სახელმწიფო ანგარიშს უნდა უწევდეს, როცა ის იწყებს თავისი საქმიანობის მსხვილმასშტაბურ ორგანიზაციულ გარდაქმნას. მეწარმესგან კარგს არაფერს ელის (უახლოეს პერსპექტივაში მაინც), პირიქით, საესებით სამართლიანად ფრთხილობს მოგების ნაწილის ხელყოფას, ახალი ინსტიტუტების, გაუთვალისწინებელი ფინანსური სანქციების, კონტროლის წესების შეცვლას თუ სხვ. რამდენადაც ეს ასე თუ ისე იწვევს ხარჯების ზრდას, რომლის ოდენობის წინასწარი განსაზღვრა შეუძლებელია, მეწარმე ფასებს ზრდის იმ ვარაუდით, რომ ასეთი გზით მოახდენს მომავალი ზარალის კომპენსირებას. მსოფლიო ეკონომიკურ მექანიზმებში ამ მოვლენამ მიიღო ფასწანამატის ინფლაციის (mark-up inglation) სახელწოდება.

როგორც ჩანს, ინფლაციის ძირითადი ფაქტორები კონცენტრირდება ეროვნული ეკონომიკის შიგნით. მაგრამ არის ისეთებიც, რომლებიც იმყოფებიან მის საზღვრებს გარეთ. მხედველობაშია ინფლაციის გავრცელება მსოფლიო ვაჭრობის არხებით მაშინ, როცა, მაგალითად, იმპორტულ ნედლეულზე ან ენერგომატარებლებზე ფასების ზრდა ახალ იმპულსს აძლევს ხარჯების ინფლაციის მექანიზმს. დიდი ინფლაციური მუქარის მატარებელია მოკლევადიანი სპეკულაციური კაპიტალების ნაკადები, რომლებიც გადის საზღვრებს იქით სარგებლის უფრო მაღალი განაკვეთის ძიების მიზნით. დაეუშვათ, თუ ა ქვეყნის ბანკები მოკლევადიან დეპოზიტზე წელიწადში იხდიან 5%-ს, ხოლო ბ ქვეყნის ბანკები - 7%-ს; ეს უკანასკნელი განაკვეთი მოქმედებს მაგნიტის მსგავსად და კაპიტალს იზიდავს ა ქვეყნიდან. ამ სახსრების მიღების შემდეგ, ბ ქვეყნის ბანკები მათ ნაწილს აქცევენ კრედიტად და უშვებენ მიმოქცევაში. აქ წარმოიქმნება დამატებითი ფულადი მასა, რომელსაც არ მოსდევს საქონლის მიწოდების არავითარი მატება. ბ ქვეყნის ეკონომიკაში მიმდინარე ინფლაციური პროცესი, შესაბამისად, უფრო ინტენსიური ხდება. სარგებლის განაკვეთების თანაფარდობის რადიკალური ცვლილების შემთხვევაში კაპიტალები იწყებს გადაადგილებას უკუმიმართულებით.

თუ ა ქვეყნის ბანკები უფრო მეტს გადაიხდიან ანაბრებზე, მდრე ბ ქვეყნის ბანკები, კაპიტალები დატოვებენ ამ უკანასკნელთ და ინფლაციის დარტყმას უკვე იგრძნობს ა ქვეყნის ეკონომიკა.

როდესაც სახალხო მეურნეობა დაავადებულია ინფლაციით, დანაკარგები გარდუვალა. მისი პირველი მსხვერპლი მომხმარებლებია, რომლებიც დაზარალდებიან ცხოვრების დონის გარდუვალა დაქვეითებით. ეს პროცესი მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით.

ერთ-ერთი მათგანია პირადი დანაზოგების რეალურ ფასეულობათა შემცირება. თუ ინფლაცია ღია ხასიათს ატარებს, გამოვლინდება ფასების საერთო უწყვეტი ზრდით. ეს ყველაზე ცუდია მათთვის, ვისაც დანაზოგი ნაღდი ფულის სახით აქვთ, ინახავენ მას ბანკის ანგარიშზე თუ აბანდებენ ობლიგაციებში: ფასების ზრდის ყოველი ახალი ხვეულა უღობლად ამცირებს საქონლის იმ მასას, რომლის შექმნაც მათ შეუძლიათ. რამდენადმე უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდებიან აქციის მფლობელები, რომლებიც იმედოვნებენ თუნდაც ინფლაციური, მაგრამ მაინც შემოსავლის გადიდებას. ყველაზე ნაკლებს იზარალებს ის, ვინც მოასწრო დანაზოგის დაბანდება უძრავ ქონებასა და მატერიალურ ფასეულობაში (სახლი, მიწის ნაკვეთი, ოქრო და სხვ.).

გამოდის, რომ ღია ინფლაციის პირობებში (ის, შეგახსენებთ, ყველაზე მეტად გავრცელებულია საბაზრო ტიპის ეკონომიკაში) ბანკებს შეუძლიათ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნონ დანაზოგი, თუ მათ მიერ დაწესებული სარგებელი ანაბრებზე რამდენადმე გაასწრებს ფასების ზრდის ტემპს. მაშინ სარგებელი, რომელიც თუმცა როგორცაც იცავს დანაზოგს გაუფასურებისაგან, ხელს შეუწყობს ანაბრების მოზიდვას. შეიძლება სხვაც აღინიშნოს: თუ სახელმწიფოს უნდა, მინიმუმამდე დაიყნოს ღია ინფლაციით გამოწვეული მოსახლეობის დანაზოგები, მან მოქალაქეები უნდა უზრუნველყოს დანაზოგების თავისუფალი დაბანდების შესაძლებლობით აქციებში ან უძრავ ქონებაში. რამდენადაც სახელმწიფომ ვერ შეძლო ინფლაციისაგან ეკონომიკის დაცვა, ის ვალდებულია, ადამიანებს მაინც დაეხმაროს ფასების მუდმივი ზრდისაგან დანაზოგის დაცვაში. ასეთი მოთხოვნა სამართლიანია, პირველ ყოვლისა, იმიტომ, რომ მომხმარებლები ინფლაციის მხოლოდ მსხვერპლნი არიან, რადგან არავითარი ურთიერთობა არა აქვთ ფულადი მიმოქცევის დეფორმაციასთან, ბიუჯეტის დეფიციტთან, მილიტარიზმთან და მის სხვა მიზეზებთან.

ეკონომიკაში, სადაც ადგილი აქვს დათრგუნვილ ინფლაციას, დანაზოგის მფლობელთა მდგომარეობა უფრო მძიმეა. რადგანაც იგი შემოუბრუნდება მათი საქონლის ქრონიკულ დეფიციტად, ანაბრებზე

სარგებლის ისეთივე გადიდება ალბათ ძლივს თუ მისცემს რაიმე შედეგს. მას გარკვეულწილად შეუძლია თანაგონ აიცილოს მხოლოდ დანაზოგის გაუფასურება, მაგრამ ეკონომიკურ ხისნის საქონლის ტოტალური ნაკლებობისაგან, როცა ფულს ებრალოდ ვერაფერზე ვერ ხარჯავ. დათრგუნვილი ინფლაციის პირობებში შეუძლებელია დანაზოგის ნაწილის ფიზიკური დანაკარგების თავიდან აცილება, განსაკუთრებით იმათი, რაც ინახება ნაღდი ფულისა და საბანკო ანაბრების ფორმის სახით. გამოდის, რომ ფულის რაღაც ნაწილს, რომელშიც განიფთებულია ადამიანთა წარსული შრომის შედეგები, არ უწერია საქონლად გადაქცევა.

ამას მოწმობს ჩვენს ქვეყანაში 1991 წლის დასაწყისში ჩატარებული 50 და 100 რუბლიანი ღირებულების ფულადი კუპონების გამოცვლა. კიდევაც რომ დავუშვათ, რომ სახელმწიფო ბანკში დაუბრუნებელი ყველა ფული ჩამორთმეოდნა ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს, სახეზე ერთობლივი დანაზოგების ნაწილობრივი კონფისკაცია იქნებოდა. დამოუკიდებლად იმისა, ვის ხელში (პატიოსნისა თუ უპატიოსნოსი) იყო ადრე ეს მილიარდები, თვით მათი დაუბრუნებელი ამოღების ფაქტი შემდეგზე მეტყველებს: ამ დანაზოგის უკან არ არის საქონელი არა მხოლოდ ამჟამად, არ იქნება იგი არც მომავალში.

მომხმარებელთა დანაკარგების მინიმიზაციისათვის აბსოლუტურად აუცილებელია თანდათანობითი გადასვლა ღია ტიპის ინფლაციაზე, რომელიც იძლევა ბაზრის მექანიზმების ჩართვის შესაძლებლობას. ამასთან. იგულისხმება, რაც უფრო მეტია დათრგუნვილი ინფლაციის მიერ დანაზოგებისათვის მიყენებული ზარალი, მით უფრო აქტიურად უნდა მოქმედებდეს სახელმწიფო. აუცილებელია გაიშალოს ეკონომიკის ეკონომიკურად დასაბუთებული დენაციონალიზაცია, გაიხსნას ის არხები, რითაც დანაზოგები გადაიქცევა აქციებად, განვითარდეს საცხოვრებელი ბინების ბაზარი და ა.შ.

ინფლაციის დროს მომხმარებელი თავიდან ვერ აიცილებს მიმდინარე რეალური შემოსავლების შემცირებას, არა ხვალისდელი (როგორც დანაზოგების შემთხვევაში), არამედ დღევანდელი კეთილდღეობის პარამეტრების გაუარესებას. ცხოვრების დონის დაცემა უფრო მეტად შეიძინევა იქ, სადაც მოქმედებს დათრგუნვილი ინფლაციის მექანიზმი. ნომინალური შემოსავლების ინდექსაციისა და მოსახლეობის ინფლაციისაგან დაცვის სხვა მეთოდები ეხება მხოლოდ კეთილდღეობის ფულად მახასიათებლებს და ვერაფერს მოუხერხებს ადამიანებისათვის საჭირო საქონლისა და მომსახურების ფიზიკურ უქონლობას.

გარეგნულად ისე ჩანს, რომ ღია ინფლაციის პირობებში მომხმარებლის



მდგომარეობა არსებითად იცვლება. მომხმარებელი ვერ გარჩობს სასაქონლო შიშვინს, და თუ სახელმწიფო, ყურადღებით ადევნებს თვალს ფასების ზრდას, დროულად ახდენს შემოსავლების შესაბამისი ამაღლების ორგანიზაციას, მაშინ ის თითქოს არაფერს კარგავს. სინამდვილეში კი კეთილდღეობა მაინც ეცემა. ამას სულ მცირე სამი მიზეზი აქვს.

ჯერ ერთი, როგორი სრულყოფილიც არ უნდა იყოს ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციის სისტემა, ეს უკანასკნელი მაინც ვერასოდეს ვერ დაეწევა ფასების მოძრაობას. დაეუშვას, ინფლაცია ღიაა და ფასები ყველდღიურად იზრდება. მაგრამ, ცხადია, ხელფასისა და ფიქსირებული შემოსავლების განაკვეთების გადასინჯვა გარკვეულ დროს მოითხოვს. არც სახელმწიფო, რომელიც განაგებს ნომინალური შემოსავლების ინდექსაციას და შეიმუშეებს გადასახადების წესს, არც ხელფასის გადიდებისათვის მებრძოლ პროფკავშირებს, არც შემოსავლების წარმოქმნაში მონაწილე სხვა ორგანიზაციებს ძირითადად არ შეუძლიათ უცბად მოახიზინონ რეაგირება ფასების ზრდაზე. არსებობს ტექნიკური ხასიათის მარტივი გარემოებანი, რომლებიც ხელს უშლიან შემოსავლების ისეთსავე სწრაფ ზრდას, როგორც იზრდება ფასები. შემოსავლები ყველთვის ჩამორჩება ფასებს, და რაც უფრო მეტად დაფუნდება, მით საგრძნობია ინფლაციის დარტყმები მიმდინარე მოხმარებაზე.


მეორე, ფასების მომავალი ზრდის წინასწარი განჭვრეტა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეკონომიკაში ბობოქრობს უმართავი პიპერინფლაცია, ძალიან რთულია. რამდენადაც მთავრობა, რომელიც შექმნილია ბიუჯეტური პრობლემებით, ცდილობს მომჭირნობით ხარჯოს გასავლების ნებისმიერი სტატიით და ჩვეულებრივ სათანადოდ ვერ აფასებს ინფლაციური საშიშროების დონეს, იმდენად ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციები იშვიათადაა საკმარისი. გასაგებია, რომ ასეთი პირობებით შეუძლებელია ცხოვრების დონის დაცემის თავიდან აცილება.

მესამე, როგორც დავრწმუნდით, მსგავსი კომპენსაცია ძირითადად არ შეიძლება სრულფასოვანი იყოს. დანახარჯების ინფლაციის პირობებში სახელმწიფოს სხვა არაფერი რჩება კომპრომისული გადაწყვეტილებების გარდა, როცა შემოსავლებზე ინფლაციის საწინააღმდეგო დამატებები მთლიანად ვერ ფარავს ფასების ზრდით გამოწვეულ დანაკარგებს. ცხადია, ნებისმიერი კომპრომისისას გარდუვალია რეალური შემოსავლების ასეთი შემცირება.

ამრიგად, როგორც ღია, ისე დათრგუნვილი ინფლაცია მოსახლეობის კეთილდღეობაზე ნეგატიურად ზემოქმედებს ერთდროულად ორი მიმართულებით – დანაზოგისა და მიმდინარე მოხმარების შეშვეობით. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. ცხოვრების ხარისხის გაუარესებას დიდად უწყობს ხელს ინფლაციური დაბეგერის ეფექტი (bracket creep effect).

იგი ილუსტრირებულია 7.2 ნახაზზე ( $m$  - საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი,  $Y$  - ნომინალური შემოსავლის სიდიდე,  $SS$  - შემოსავლის დაბეგვრის პროგრესული სკალის ამსახველი მრუდი).

ეს ეფექტი ვლინდება მხოლოდ იმ ეკონომიკაში, სადაც არსებობს შემოსავლის დაბეგვრის პროგრესული სისტემა. თუ მიმდინარეობს ღია ინფლაცია, მაშინ გადასახადის გადამხდელი რეგულარულად ღებულობს რა ფულად კომპენსაციას, ხდება სულ უფრო მაღალი ნომინალური შემოსავლის მფლობელი. იმავდროულად ის გადასახადის გადამხდელთა ერთი ჯგუფიდან გადაადგილდება მეორეში. როცა, მაგალითად, ადამიანი გამოიმუშაებდა თავში 250 რუბლს, ის მიეკუთვნება იმ ჯგუფს, სადაც შედიან ადამიანები, დაეუშვათ 200-დან 300 რუბლამდე შემოსავლებით. ხელფასზე 100 რუბლის ოდენობის ინფლაციის საწინააღმდეგო წანამატის მიღებით მუშაკი უკვე აღმოჩნდა იმათ კომპანიაში, ვისი შემოსავლებიც მერყობს 300-დან 400 რუბლამდე. რადგანაც დაბეგვრა აგებულია პროგრესული სკალის საფუძველზე გადასახადის გადამხდელი, ერთი ჯგუფიდან მეორეში გადასვლით სახელმწიფოს აძლევს თავისი ხელფასის სულ უფრო მეტ ნაწილს.



ნახ. 7.2

დაეუშვათ,  $Y_a$ -დან  $Y_b$ -მდე არა იმიტომ, რომ ადამიანმა უკეთესად დაიწყო მუშაობა, აიმაღლა კვალიფიკაცია ან იპოვა ახალი მაღალანაზღაურებიანი სამუშაო ადგილი. დაბეგვრის სკალაზე მაღლა ( $m_b > m_a$ ) ის მიჰყავს ინფლაციის ტალღას. აქედან გამომდინარე, ღია ჰიპერინფლაციის პირობებში, როცა უდიდესი სიჩქარით იზრდება ფასებიც და შემოსავლებიც, შეიძლება მოხდეს მეტისმეტად მკაცრ საგადასახადო წნეხში. შეუძლებელია ასეთი ვარიანტის გამორიცხვა. პროგრესული გადასახადის გამოქვითვის შემდეგ დარჩენილი თანხა თავისი ვებერთელა მსყიდველობითი უნარიანობით აღმოჩნდება მასზე ნაკლები, რაც იყო ხელფასის ინფლაციური ზრდის დაწყებამდე.

დაეუშვათ, რომ გადასახადის გადამხდელის შემოსავალი შეადგენდა

300 რუბლს. 15%-იანი საგადასახადო განაკვეთისას, მას მოხმარებისა და დანაზოგისათვის რჩებოდა 255 რუბლი. ეთქვით, ფასები და მათი მიყვლებით, ხელფასიც, გაიზარდა 10-ჯერ. გადასახადის გადამხდელი სწრაფად გახდა მდიდარი, თუმცა თავისი სამიათისიანი შემოსავლით გადაინაცვლა იმ ჯგუფში, სადაც მას ელოდა 50%-იანი საგადასახადო განაკვეთი. როგორც იტყვიან, ხელზე იგი მიიღებს მხოლოდ 1500 რუბლს. გამოდის, რომ თანხა, რომლის დახარჯვაც გადასახადის გადამხდელს შეუძლია, გაიზარდა თითქმის 6-ჯერ. თუ გავიხსენებთ, რომ ამ პერიოდში საქონელი და მომსახურება 10-ჯერ გაძვირდა, ცხადი გახდება ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება.

რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ ეფექტს? ანტიინფლაციური რეგულირების ღონისძიებების კომპლექსთან ერთად საჭიროა ასევე სრულყოფილი საგადასახადო კანონმდებლობა. მასში, კერძოდ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ფასების ინდექსის დინამიკაზე დამოკიდებულებათა საშემოსავლო დაბეგვრის განაკვეთის რეგულარული ავტომატური ცვლილებების პრინციპი. 7.2. ნახაზზე. SS<sup>1</sup> და SS<sup>2</sup> მრუდების უკან დგას პროგრესული გადასახადების შესაბამისი სკალები. მათი საერთო კონფიგურაცია, როგორც ჩანს, უცვლელი რჩება, ხოლო მარჯვნივ გადანაცვლება მიუთითებს, ღია ინფლაციის გაძლიერების შესაბამისად, საგადასახადო განაკვეთების რეგულარულ კორექტივებზე.

ღია ინფლაციის მუდმივი თანამგზავრია მოსახლეობის სოციალურ ფენებად სწრაფი დაყოფა, ქონებრივი უთანასწორობის გაღრმავება. ეს თუნდაც იმიტომ ხდება, რომ მრავალი დოვლათი მიეკუთვნება არაელასტიკური მოთხოვნის საქონლის ჯგუფს, რომელიც შედის ნებისმიერ სამომხმარებლო ნაკრებში. და თუ ღარიბებისათვის ასეთი საქონლის მუდმივი გაძვირება იწვევს მათი ცხოვრების დონის პირდაპირ დაქვეითებას, მდიდრებისათვის, რომელთაც ახასიათებთ თავიანთი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის დანაზოგისაყენ მიდრეკილება — მხოლოდ დანაზოგის შემცირება. მიმდინარე მოხმარება შეიძლება უცვლელი დარჩეს ან გაიზარდოს კიდევ. გამოდის, რომ ინფლაციის დროს ხდება შემოსავლების გადანაწილება, რომელიც აშკარად უსამართლოა.

ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციების მეშვეობით უთანასწორობის შემცირების სახელმწიფო მცდელობას მოჰყვება ახალი უსამართლობები. მართლაც, რადგან ასეთი მისაცემლები ჩვეულებრივ არჩევითი ხასიათისაა და მისი დიდი ნაწილი განკუთვნილია ღარიბების, მრავალშვილიანი ოჯახების, პენსიონრებისათვის და ა.შ. რეალური შემოსავლების ყველაზე მეტი შედარებითი დანაკარგები მოდის საზოგადოების საშუალო ფენებზე. კაცმა რომ თქვას, რატომ? ხომ ცხადია, რომ ინფლაციაში ისინი ისევე

უდანაშაულონი არიან, როგორც ღარიბები და მდიდრები. თანაც აღსანიშნავია, რომ საშუალო კლასი თანამედროვე საზოგადოების ყველაზე პასობრივი და ეკონომიკურად აქტიური ნაწილია და მისი ინტერესების შელახვა საკმაოდ საშიშია.

თუ პრობლემას განვიხილავთ, მთლიანობაში საკმაოდ რთული კოლიზია გამოიკვეთება. როგორც ზემოთ აღინიშნა, ინფლაციის საწინააღმდეგო მისაცემლების განაწილებით სახელმწიფოს არ შეუძლია მიაღწიოს იმას, რომ არაფერს დარჩეს დაზარალებული. მით უმეტეს, იგი ამისკენ არც უნდა ისწრაფოდეს. თუ, რა თქმა უნდა, არ სურს უმართავე ხარჯების ინფლაციას წაუბიძგოს. ამავ დროს, ნებისმიერი არჩევითობა ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციების განაწილებაში აუცილებლად იწვევს უთანასწორობისა და უსამართლობის გაძლიერებას, ახდენს შემოსავლის სტრუქტურის დეფორმაციას, რაც არყვეს შრომისა და ინვესტირების მოტივაციებს, ზრდის სოციალურ დაძაბულობას. მსოფლიო პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კოლიზია გადაუჭრელია მანამ, სანამ არსებობს გაუკონტროლებელი ინფლაცია.

ინფლაცია ნეგატიურად ზემოქმედებს არა მხოლოდ ადამიანების კეთილდღეობაზე, საკმაოდ ზარალდება წარმოებაც. მაგალითად, დათრგუნვილი ინფლაციის ზრდის კვალობაზე აუცილებლად მიმდინარეობს შრომისადმი სტიმულირების ეროზია. ეს იმით აიხსნება, რომ დათრგუნვილი ინფლაცია წარმოადგენს რა საქონლის დეფიციტის ერთ-ერთ მთავარ მიზეზს, იწვევს მოხმარების საგნების ნორმირებულ ნატურალურ განაწილებას. რამდენადაც ნორმების დაკავშირება შრომის ეფექტიანობასთან შეუძლებელია, გამოიყენება გათანაბრებითი განაწილების სხვადასხვა სტეპა. იქ კი, სადაც ბატონობს გათანაბრება, ეკონომიკური ინტერესი ქრება. აიძულებს რა გაცემულ იქნეს მშრომელებსა და უქნარებზე ერთნაირი რაოდენობის ტალონები და კუპონები, დათრგუნვილი ინფლაცია აქრობს მაღალნაყოფიერი შრომისადმი მოტივებს, ეკონომიკას გაწირავს დაბალი ეფექტიანობისა და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისათვის. ...

ასევე, ღია ინფლაცია არ უქადის წარმოებას არაფერს კარგს. როდესაც ის აღარ ემორჩილება სახელმწიფო კონტროლს და მწვავე ფორმებს ლეზულობს, იწვება საბაზრო მექანიზმის ღრმა დეფორმაცია. საქმე ისაა, რომ ინფლაცია აზიანებს მის ცენტრალურ რგოლს – ფასების სისტემას. რაც უფრო ძლიერია ინფლაცია და სულ უფრო მეტად ზემოქმედებს იგი მოთხოვნასა და ფასებზე, ეს უკანასკნელი მით უფრო ნაკლებად ასახავს რეალურ მოთხოვნებს, მათ დინამიკას. ეს იმას ნიშნავს, რომ ინფლაციურ ეკონომიკაში ფასები ვერ იძლევა სწორ სიგნალებს კაპიტალდაბანდებებისათვის. ახდენს მათ დეზორიენტაციას. მაგრამ თუ

ინვესტიციები იქითენ არ მოძრაობს, საითაც წარიმართებოდა არაინფლაციური ეკონომიკაში, გარდუვალი ხდება დარგობრივი და რეგიონული დისპროპორციები.

უკვე აღინიშნა, რომ ღია ინფლაციის პერიოდებში ფასები ჩვეულებრივ ნომინალურ შემოსაღლებზე სწრაფად იზრდება. თუ სიტუაციას შევხედვით იმ მეწარმის თვლით, რომელიც ყდულობს სამუშაო ძალასაც და მატერიალურ რესურსებსაც, აღმოჩნდება, რომ ხელფასთან დაკავშირებული ხარჯები ნელა იზრდება წარმოების საშუალებების შესაძენ ხარჯებთან შედარებით. გამოდის, რომ ხშირად მეწარმეებისათვის ხელსაყრელია, იქონიონ მოძველებული და შედარებით იაფი მოწყობილობა, ვიდრე შეკვალონ იგი ახლით და უფრო ძვირით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფასების წინგამსწრები ზრდის გამო ძველ შრომატევად ტექნოლოგიას ზოგჯერ უფრო მეტი მოგება მოაქვს, ვიდრე ახალს. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს წარმოების ტექნიკურ მდგომარეობაზე, ამუხრუჭებს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის მიღწევების ათვისებას. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ღია ინფლაციის პირობებში წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას ხელს უშლის ინფლაციური დაბეგვრა, რომელიც ისრუტავს მოგების იმ ნაწილს, რომლის დაბანდებაც შეიძლებოდა ბიზნესის განვითარებაში. დაბოლოს, აქტიური ინფლაციის პერიოდებში შეინიშნება ეკონომიკური განვითარების საერთო შენელება: იმის გამო, რომ ფასებისა და ხარჯების წინასწარი განჭკვრეტა პრაქტიკულად შეუძლებელია, მეწარმენი ამკობინებენ თავი შეიკავონ გრძელვადიანი გამოსყიდვის მსხვილი კაპიტალური ხარჯებისაგან. ეკონომიკური ქცევის ამ მოდელის არჩევა ასევე ნაკარანახევი ინვესტიციების დაფინანსებაში გაურკვეველი პერსპექტივებით, ვინაიდან წარმოების მფლობელებს აშინებთ თავიანთ ფულთან დიდი ხნით განშორება, ვადიან დეპოზიტებად მათი გადაქცევა.

ინფლაციის უარყოფითი შედეგების სია, როგორც ჩანს, საკმაოდ გრძელი გამოდის. და მიანიც, მთავარი უბედურება ისაა, რომ უმართავი ინფლაცია მთელ სახალხო მეურნეობას ცუდად მართავს ხდის.

საბაზრო ეკონომიკის რეგულირების ორგანიზებისას, სახელმწიფო, როგორც ვიცით, ძირითადად ეწინააღმდეგება არაპირდაპირ მეთოდებს (მოგებაზე გადასახალი, ბიუჯეტური სუბსიდიები, სარგებელი ცენტრალური ბანკის კრედიტზე და სხვ.). ზემოქმედების ობიექტად იქცევა საწარმოს ეკონომიკური საქმიანობის, მომხმარებლის, ბანკის ფულადი პარამეტრები - შემოსავალი, მოგება, დანახოვი და სხვ. გასაგებია, რომ ასეთ მართვას სასურველი შედეგების მოტანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თუ ფულადი სისტემა საკმაოდ მყარია. მისი დესტაბილირებით ინფლაცია ავტომატურად ამცირებს ეკონომიკური რეგულირების ეფექტიანობას, ზოგჯერ მიზანშეუწინელსაც კი ხდის თვით მათ გამოყენებას. სახელმწიფოს უბიძგებს ზემოქმედების სხვა, ადმინისტრაციული ზედხევის გამოყენებისაკენ.

სხვა სიტყვებით, ინფლაცია აუფასურებს არა მხოლოდ ფულს, არამედ საბაზრო მეურნეობის რეგულირების მთელ სისტემასაც. რაც შეეხება ჰიპერინფლაციას, ის ზოგჯერ სახელმწიფოს არ უტოვებს არავითარ ალტერნატივას, მბრძანებლურ მართვაზე ორიენტაციის გარდა.

ყოველივე ამას პირდაპირი კავშირი აქვს ჩვენს ეკონომიკასთან. დათრგუნვილი ინფლაციის ათწლეულებმა, ამ პროცესის დიდი საშიშროების აშკარა შეუფასებლობამ, ფულის მიმოქცევის და სახელმწიფო ფინანსების კრიზისულმა მდგომარეობამ, საბაზრო ურთიერთობის მოგვარების შეუწყნარებელმა დაყოვნებამ გამოიწვია ის, რომ ქვეყნის სახალხო მეურნეობაში შესამჩნევი გახდა ჰიპერინფლაციის ნიშნები. ეკონომიკაზე კონტროლის სრული დაკარგვის პერსპექტივამ რეალური გამოხატულება მიიღო. სწორედ ამ გარემოებებმა და არა სხვისმა ბოროტმა ნებამ ან არაკომპეტენტურობამ გამოიწვია და, როგორც ჩანს, კიდევ რალაც დროში გამოიწვევს პერიოდულ მობრუნებას ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეგულირებისაკენ. თუ ეკონომიკური რეგულატორების ძალა ჰიპერინფლაციისა შერყეულია, მაშინ სახელმწიფოს უბრალოდ სხვა გამოსავალი არა აქვს.

ინფლაცია ფრიად გავრცელებული ეკონომიკური სნეულებაა. მართო უკანასკნელ ათწლეულებში მისი ზემოქმედება მწვავედ განიცადეს აშშ-მა, ინგლისმა. საფრანგეთმა, იტალიამ და სხვა განვითარებულმა ქვეყნებმა და ჭერჯერობით მთლიანად არც კი გამოჯანმრთელებულან. სხვებისაგან განსხვავებით საბჭოთა ეკონომიკაში სნეულება ძლიერ მიშვებული იყო, მწვავედ და რამდენადმე უჩვეულო ფორმით მიმდინარეობდა. მაგრამ თუ მსოფლიო პრაქტიკას მივმართავთ, მისი დაძლევა შესაძლებელია. მაგალითად, იაპონიაში სამომხმარებლო ფასების ინდექსი შეადგენდა 1986 წელს +0,4%-ს, 1987 წელს - 0,2%-ს, 1988 წელს - +5%-ს, ხოლო გფრ-ში ანალოგიური მაჩვენებელი შესაბამისად უტოლდებოდა -0,2%-ს, +0,2%-ს, +1,2%-ს.\* შევნიშნავთ, რომ ასევე ხდება სხვა განვითარებულ საბაზრო მეურნეობებშიც, სადაც საქონელმწარმოებლები მოქმედებენ საკმაოდ თავისუფლად და სახელმწიფო ძირითადად იყენებს ანტიინფლაციური რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებს.

რატომ შეძლეს მათ ამის გაკეთება? როგორაა აგებული ანტიინფლაციური რეგულირების სტრატეგია და ტაქტიკა? ამ კითხვებზე პასუხს გაუცემთ მომდევნო ლექციაში.

---

\* Main economic indicators. Paris. March 1989. p.45.

როგორ შევანეროთ ინფლაცია

*ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზნები. / სტრატეგია. სახელმწიფო და ინფლაციური მოლოდინის სტაბილიზაცია. ფულადი შეზღუდვები. საბიუჯეტო დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტის გზები. დაბეგვრის რეფორმა. სამხედრო წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა და კონვერსია. საგადასახადო ბალანსის ლიკვიდური ეფექტის სტერილიზაცია. ვალუტის კურსის რეგულირება. ტაქტიკა. მიწოდების ზრდის მოკლევადიანი რეზერვები. ეკონომიკის საქონლურობის ხარისხის ამაღლება. პრივატიზაცია. დანაზოგის ნორმის გაზრდის ბერბები და მისი ლიკვიდურობის შემცირება. კონფისკაციური ტიპის ფულის რეფორმა.*

პირველ ყოვლისა, უნდა გაირკვეს, სახელმწიფოს რომელი ქმედებები შეიძლება მიეუთვნოს ანტიინფლაციურს. წინა ლექციაში მოხსენიებული ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციების სხვადასხვა ვარიანტი და მოსახლეობის სოციალური დაცვის ზოგიერთი ბერბი ენება არა ინფლაციის მიზნებებსა და მექანიზმებს, არამედ მხოლოდ მის შედეგებს. ამიტომ ეს ღონისძიებები ანტიინფლაციურები არ არიან და, როგორც იტყვიან, ღმერთმა ქნას, რომ მათ არ გააძლიერონ ინფლაციური პროცესი და დარჩნენ მის მიმართ თუნდაც ნეიტრალურნი. ასევე არასწორია ფასებზე ტოტალური ადმინისტრაციული კონტროლის მიკუთვნება ანტიინფლაციური რეგულირებისადმი. უკვე აღინიშნა, რომ ასეთ პოლიტიკას, უკეთეს შემთხვევაში, შეუძლია მხოლოდ დროებით, და ისიც არასავსებით, მოხსნას ინფლაციის ფასებთან დაკავშირებული სიმპტომები. ერთდროულად ის აღმოჩნდება დათრგუნვილ მდგომარეობაში, რაც ეკონომიკას არც თუ ისე ცოტა ზარალს აყენებს. საკმარისი საფუძველია იმისა, რომ ვამტკიცოთ: მბრძანებლობა ფასწარმოქმნის სფეროში იმდენად არ ხსნის ინფლაციურ კვანძებს, რამდენადაც უფრო მჭიდროდ კრავს მათ. აქედან გამომდინარეობს, რომ ნამდვილ ანტიინფლაციურ მეთოდებს უშუალო ურთიერთობა უნდა ჰქონდეთ ან ბაზრების მყარ უწონასწორობასთან (როგორც მიწოდებასთან, ისე, მოთხოვნასთან), ან თვით ინფლაციის მექანიზმებთან.

როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ ღია ინფლაციისადმი შეიძლება წინააღმდეგობის გაწევა. დათრგუნვილზე გამარჯვება შეუძლებელია, მისგან

მოსახლეობის დაცვაც შეუძლებელია. მართლაც, თუ ნომინალური შემოსავლების ინდექსაცია, სხვადასხვა სახის ფულადი მისაცემლები და ა. შ. ანელებს ცხოვრების დონის დაცემას, საქონლის ქრონიკული უკმარისობით გამოწვეული ადამიანთა დანაკარგები უბრალოდ ვერაფრით ანაზღაურდება. დათრგუნვილი ინფლაცია სახელმწიფოს არ უტოვებს სხვა არჩევანს, გარდა მისი ღია რეჟიმზე გადათვისა, მაგრამ, როდესაც, ინფლაცია ღიად გადაიქცევა, მაშინ შესაძლებელია მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში ცნობილი ანტიინფლაციური რეგულირების ხერხების გამოყენება.

ქალუძს კი სახელმწიფოს მთლიანად ამოძირკვოს ინფლაცია, საბოლოოდ გაიმარჯვოს მასზე? ალბათ, არა. ამისათვის ხომ საჭირო იქნებოდა ინფლაციის ყველა მიზეზის აღკვეთა, მისი მექანიზმების მთლიანად დანგრევა. მაგრამ ძნელია ისეთი ეკონომიკის წარმოდგენა, სადაც ყოველთვის დაცულია ბიუჯეტის წონასწორობა და არ არის წარმოების ნებისმიერი სტრუქტურული ანომალიები (მათი ჩართვით, რაც დაკავშირებულია სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის საქმიანობასთან), სადაც ადგილი არ რჩებათ მონოპოლიებს. ინფლაციისაგან თავის დაღწევისათვის საჭირო იქნებოდა ეკონომიკის მოკლევადიანი რეგულირების სრული შეწყვეტა, კერძოდ, სარგებლის განაკვეთზე, აქციის კურსზე, ინვესტიციებსა და წარმოებაზე ზემოქმედების მიზნით, ფულადი პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებაზე უარის თქმა, რომლის გარეშე, ხაზს ვუსვამთ, ამჟამად იოლად ვერ გავა ვერცერთი საბაზრო მეურნეობა. აშშ-ში, ინგლისსა და სხვა ქვეყნებშიც აგრძელებენ მოკლევადიანი ფულადი პოლიტიკის გატარებას, მაშასადამე, შენარჩუნებულია მისი ყველა ინფლაციური ეფექტი.

ასევე, გარედან, მსოფლიო ეკონომიკის მხრიდან მოსული ინფლაციური იმპულსების ჩაქრობაც ხომ არის საჭირო. ცნობილია, მაგალითად, მოკლევადიანი სპეკულაციური კაპიტალების უმართავ გადაადგილებებში ჩამალული დიდი ინფლაციური საფრთხე, რასაც ხელს უწყობს სარგებლის განაკვეთების მერყეობის აშკარა ასინქრონიულობა. სახელდობრ, 1988 წელს სარგებლის საშუალო დონე მოკლევადიან კრედიტებზე ინგლისის ბანკებში უდრიდა 12,5%-ს, საფრანგეთისაში - 8,8%-ს, ამერიკისაში - 8,4%-ს, დასავლეთ გერმანიისაში - 5,3%-ს, იაპონიაში - 4,2%-ს.\* სარგებლის მოძრაობის შეთანხმება საეჭვოა თუნდაც იმიტომ, რომ განაკვეთების ყოველ ადმინისტრაციულ რეგულირებას შეიძლება მოჰყვას

\* Main economic indicators. Paris, March 1989, p. 28.



ეროვნული ფულის ბაზრების სერიოზული დეფორმაციები, რაც არაფის არ სურს. დაბოლოს, სრულიად არაინფლაციური ეკონომიკაში უნდა ცხოვრობდნენ აბსოლუტურად ჯანმრთელი საბაზრო ფსიქოლოგიის მქონე მოქალაქეები, რომლებსაც არ ექნებათ ინფლაციური მოლოდინის არავითარი ნიშნები. საჭიროა ხალხი, რომელიც ფასების ნებისმიერი ზრდის შემთხვევაში მხოლოდ ერთს დაინახავს – მათი გარდუვალნი შემცირების სიგნალს უახლოეს პერსპექტივაში. /

ცხადია, თვისებათა ასეთი ერთობლიობა თავისუფალი კონკურენციის სისტემას უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე საქმის რეალურ მდგომარეობას თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში. იგი ინფლაციურია თავისი აგებულებით და კიდევ დიდხანს დარჩება ასეთად. /გამოდის, რომ ერთხელ და სამუდამოდ სახელმწიფოსაგან ინფლაციის მოსპობის მოთხოვნა, ნიშნავს მის წინაშე არარეალური, აშკარად შეუსრულებელი ამოცანის დაყენებას. ამიტომ სახელმწიფოებრივი ანტიინფლაციური პოლიტიკის მიზანი, როგორც წესი, მეტად მოკრძალებულია და იმით გამოიხატება, რომ ინფლაცია გახადოს მართვადი, ხოლო მისი დონე საკმაოდ ზომიერი. / განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან ჩანს, რომ მხოლოდ ასეთი მიზანია რეალურად მისაღწევი. სწორედ ასეა დამუშავებული და პრაქტიკით მრავალჯერ შემოწმებული ანტიინფლაციური რეგულირების ქმედითი ღონისძიებების მთელი კომპლექსი. /

ასეთი მიდგომა სავსებით მისაღებია დათრგუნვილი ჰიპერინფლაციით დაზიანებული ჩვენი სახალხო მეურნეობის მიმართაც. /ტრთი მხრივ/ დროა თავიდან მოვიცილოთ ილუზია, უარი ვთქვათ ისეთი სასწაულმოქმედი წამლების უნაყოფო ძიებაზე, რომელსაც შეუძლია ბოლო მოუღოს ინფლაციას. ისინი უბრალოდ არც არსებობენ. მსოფლიოს ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი ჭერჭერობით ინფლაციის მხოლოდ გაკონტროლება, მისი საგრძნობი დარტყმების ეფექტიანად მოგერიება ისწავლეს და თვალმისაწვდომ მომავალში სიტუაციის რამდენადმე სერიოზული ცვლილება არაა მოსალოდნელი. ამიტომ ინფლაციასთან ბრძოლა არ შეიძლება დაყენოთ რაიმე პროგრამის შესრულებამდე, რომლის დამთავრების შემდეგ შეგვეძლება ანგარიში ჩავაბაროთ წარმატებულად ჩატარებული სამუშაოს შესახებ. რამდენადაც ინფლაციასთან ბრძოლა კვლავაც დიდხანს მოგვიწევს. საჭიროა არა პროგრამა, არამედ პოლიტიკა, რომელიც სახელმწიფოს მუდმივ ფუნქციას განახორციელებს და თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ თუ ნებისმიერ სხვა პოლიტიკას. / მეორე მხრივ, პანიკისათვის არ არის საფუძველი. /

ჩვენს ეკონომიკაში მომხდარი ინფლაციური პროცესი, სპეციფიკურობის მიუხედავად, სრულიადაც არ არის უნიკალური, ინფლაციური სენის იერიშს, ჰიპერინფლაციის ჩათვლით, განიცდიდა და განიცდის ბევრი ქვეყნის ეკონომიკა, როგორც იტყვიან, ჩვენ არც პირველები ვართ და არც უკანასკნელნი. ძირითადად პრობლემა შეიძლება დამაკმაყოფილებლად გადაწყდეს. საქმე მხოლოდ ისაა, რომ მარჩვედ გამოვიყენოთ ინფლაციასთან ბრძოლის უკვე არსებულ საშუალებათა არსენალი.

გარკვეული პირობითობით იგი შეიძლება ორ ნაწილად დაიყოს. ცნობილია ანტიინფლაციური სტრატეგია, რომელიც აერთიანებს გრძელვადიანი ხასიათის მიზნებსა და მეთოდებს. არსებობს ანტიინფლაციური ტაქტიკა, რომლისგანაც უნდა ველოდეთ შედეგებს დროის შედარებით მოკლე პერიოდში.

ანტიინფლაციური სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ინფლაციური მოლოდინის, პირველყოვლისა, ადაპტურ-ფასობრივის, ჩაქრობაა. როგორ დაეძლიოთ ეკონომიკური სისტემის სუბიექტების ფსიქოლოგია, ვიხსნათ ისინი დანაზოგთა გაუფასურების შიშისაგან, თავიდან ავიცილოთ საქონლისა და მომსახურების განუხრელი გაძვირებით განპირობებული მიმდინარე მოთხოვნის დათრგუნვა?

ამისათვის, მკითხველის აზრით, ალბათ უნდა შევაჩეროთ ინფლაცია. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ მოსალოდნელი პრობლემა სასურველია სწრაფად გადაწყდეს, მანამ, სანამ ინფლაცია კონტროლს დაექვემდებარება. ანტიინფლაციური რეგულირების პრაქტიკიდან გამომდინარე, ამის გაკეთება შესაძლებელია. იგი გვიჩვენებს, რომ ინფლაციური მოლოდინი ყელაზე მალე იქ დაძლიეს. სადაც სულ ცოტა ორი პირობა სრულდებოდა.

მათგან პირველია საბაზრო სისტემის მექანიზმების ყოველმხრივი განმტკიცება. თითქოს, იმპორტული პროდუქციის შემოტანაზე საბაჟო და სხვა შეზღუდვების შესუსტება, მცირე ბიზნესის წახალისება, წარმოებისა და გაყიდვის დივერსიფიკაციის სტიმულირება, სისტემატური კონტროლი ბაზრების მდგომარეობაზე და მონოპოლისტური ქცევის ფაქტების დროული აღკვეთა, ფასების ლიბერალიზაცია და სხვა მსგავსი ქმედებანი პირდაპირ არ არიან დაკავშირებულნი ინფლაციის მექანიზმებთან. ეს ასეა, და, მიუხედავად ამისა, მათ გარეშე ინფლაციური მოლოდინის ლიკვიდაცია შეუძლებელი ხდება. მხოლოდ ეფექტიანად მომუშავე საბაზრო მექანიზმებს შეუძლიათ გამოიწვიონ ფასების ბუნებრივი შემცირება, ან თუნდ მათი ზრდის შენელება. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი სამომხმარებლო ფსიქოლოგიის შეცვლა, ინფლაციური მოტივებისაგან მისი განთავისუფლება. ვიდრე რიგითი

მომხმარებელი არ დარწმუნდება. რომ ფასების მერყეობამ (თუნდ შედარებით მცირე რაოდენობის საქონელსა და მომსახურებაზე) მიიღო "საბაზრო მოხაზულობა", ის შეინარჩუნებს ეკონომიკისათვის დამლუპველ ერთგულებას მიმდინარე მოთხოვნის ინფლაციური ზრდისადმი.

მეორე პირობა ისეთი მთავრობის არსებობაა, რომელიც ურყევად იცავს უმართავი ინფლაციის თანდათანობითი აღმოფხვრის კურსს და სარგებლობს მოსახლეობის უპრავლესობის ნდობით. ამის დამსახურება, მართლაც, შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მთავრობა მიზნად ისახავს სრულიად გარკვეულ, პრაქტიკულად განხორციელებად ანტიინფლაციურ ამოცანებს, წინასწარ აცნობებს ამის შესახებ მოქალაქეებს და მტკიცედ აღწევს მათ გადაწყვეტას. მხედველობაშია, მაგალითად, რეგულარული შეტყობინება ინფლაციის იმ დონის შესახებ, რომლის შენარჩუნებასაც იგი მოსახლეობას ჰპირდება, და – ამისთვის აუცილებელი ფულადი მასის ზრდის ტემპის შესახებ მიმოქცევაში. თუ მთავრობა განუხრელად ასრულებს თავის დაპირებას, თუნდ რამდენიმე წლის განმავლობაში, არ დააყოვნებს განცხადების ეფექტი: მწარმოებლებიცა და მომხმარებლებიც თანდათანობით დარწმუნდებიან, რომ მთავრობამ არა მხოლოდ გადამქრელი ბრძოლა გამოუცხადა ინფლაციას, არამედ შესწევს უნარი, გააყონტროლოს მდომარეობა, მიაღწიოს დასახული მიზნების რეალიზაციას\*. ისინი რაც უფრო მეტად გაითავისებენ იმას, რომ მთავრობა არაეითარ შემთხვევაში არ გადაუხვევს დასახულ ანტიინფლაციურ ხაზს და აუცილებლად გააყეთებს იმას, რასაც განცხადების სახით ჰპირდებოდა ხალხს, მით უფრო მეტად ენდობიან მას, მით მეტი ხალისით უხამებენ თავიანთ გადაწყვეტილებას ფასებზე. მიწოდებაზე, მოთხოვნაზე, დანაზოგებზე და ა. შ. ფულადი მასის მატებაზე წინასწარ დადგენილ ლიმიტს.

გამოდის, რომ ეს ლიმიტი, ზეგაულებს ახდენს რა ეკონომიკურ ქცევაზე, გადაიქცევა რეალურ ძალად, რომელსაც ინფლაციური მოლოდინის შემცირება შეუძლია. რადგან ასეა, ეკონომიკური სისტემის მონაწილენი იწყებენ მოქმედებას მთავრობასთან უნისონში, ეხმარებიან მას ინფლაციის დაძლევაში. განცხადების ეფექტი ერთბაშად კი არა, არამედ გარკვეული დაყოვნებით ვლინდება. იგი უმთავრესად დამოკიდებულია ფულადი შეზღუდვების შემოღებასა და მიწოდებისა და ფასების რეალურ ცვლილებებს შორის დროის მონაკვეთზე.

\* განცხადების ეფექტთან დაკავშირებული პრობლემების თეორიული დამუშავება დაიწყო ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის ე. ფელპსის გამოკვლევებით (Phelps E. Employment and inflation, New York, 1979, p. 256, 280).

განცხადების ეფექტი, როგორც ჩანს, ტექნიკურად მარტივი და სრულიად უპრეტენზიოა. მაგრამ სწორედ ის გახდა ანტიინფლაციური სტრატეგიის ქმედითი ელემენტი ისეთ ქვეყნებში, როგორცაა აშშ, ინგლისი, გერ, სადაც უკანასკნელ წლებში შეიმჩნევა ინფლაციური მოლოდინის შესუსტება.\* ამასთან დაკავშირებით აუცილებელია ხაზგასმით აღინიშნოს: როდესაც ეკონომიკაში ინფლაცია ბობოქრობს, ხალხი სწრაფად ხვდება, რომ კეთილდღეობის დაქვეითება გარდუვალია და ვერავითარი ფულადი მონაცემები ამას ვერ უშველის. მათი იმედები მთავრობისკენაა მიმართული, რომლისგანაც მოელიან არა იმდენად დანაშაულებს შემოსავალზე, რამდენადაც ინფლაციასთან ბრძოლაში წარმატებას. თავის მხრივ მთავრობას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს თავისი ანტიინფლაციური წამოწყებების პოზიტიური შედეგების იმედი, თუ მოქალაქეთა მხარდაჭერა ექნება. ამიტომ ინფლაციურ გარემოში, მით უმეტეს, ჰიპერინფლაციის პირობებში, ქვეყანა არ მისცემს თავს უფლებას, ჰყავდეს ისეთი მთავრობა, რომელსაც არა აქვს ხალხის ნდობა. აღსანიშნავია, რომ ნდობის დონე სრულიადაც არ განისაზღვრება ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციების სიდიდით – ყველასათვის ნათელია, რომ ისინი უღმობლად შთაინთქმება ხარჭების ინფლაციით. ხალხი ენდობა არა კეთილ, არამედ ძლიერ მთავრობას, რომელსაც აქვს უნარი, გაბედულად წინ აღუდგეს ინფლაციას და განახორციელოს ეს პრაქტიკულად.

ანტიინფლაციური სტრატეგიის მეორე განუყოფელი კომპონენტი გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკაა. მისი განმასხვავებელი თავისებურება ფულის მასის ყველწლიურ მატებაზე მკაცრი ლიმიტების შემოღებაა. ეს მაჩვენებელი ყლიბდება რეალური წარმოების ზრდის გრძელვადიანი ტემპისა და ინფლაციის ისეთი დონისაგან, რომელსაც მთავრობა მისაღებად თვლის და მისი გაკონტროლების ვალდებულებას იღებს\*\*. სახელმწიფო ასეთი ქმედებით ეკონომიკას ამარაგებს ფულის მინიმალურად აუცილებელი რაოდენობით, გადააქცევს მას თავისებურ საპოხ მასალად, რომლის ძირითადი დანიშნულება საბაზრო სისტემის სწრაფი განვითარების უზრუნველყოფაა.

\* გ. სპრინკლი, რომელსაც ეკავა ფინანსთა მინისტრის მოადგილის თანამდებობა რ. რეიგანის მთავრობაში, ხაზგასმით აღნიშნავდა: ადმინისტრაციის მთავარი ამოცანაა დაარწმუნოს ამერიკელი ხალხი მისი ანტიინფლაციური კურსის უცვლელობაში და უზრუნველყოს ინფლაციური მოლოდინის სტაბილიზაცია (Monetary policy and the President's economic recovery program. Washington, 1981, p. 3).

\*\* ადვილი შესამჩნევია, რომ მსგავსი ლიმიტის განსაზღვრა ემყარება ფუნდამენტურ ტოლობას (3.9)

იმისათვის, რომ ფულადი პოლიტიკა ნამდვილად ანტიინფლაციური იყოს, აღნიშნული ლიმიტი დიდი ხნის მანძილზე უნდა შენარჩუნდეს (მაშინ ეკონომიკა, ყველაფერთან ერთად, განცხადების ეფექტსაც 'შეიგრძნობს) და, რაც მთავარია, დამოკიდებული არ უნდა გახდეს ბიუჯეტის მდგომარეობაზე. კაპიტალდამანდების ინტენსიურობაზე, უმუშევრობის დონეზე და ა. შ. სხვა სიტყვებით, ინფლაციურ ეკონომიკაში ფულადმა პოლიტიკამ უნდა იმუშაოს სრულიად განსაკუთრებული, გაბატონებული როლი. ფულადი ექსპანსიის ზღვარი უნდა გადაიჭყეს ქერად, რომელიც შეზღუდავს ფულის მასის ცვლილებებთან დაკავშირებულ სახელმწიფოს ნებისმიერ საქმიანობას. "ინფლაციურ გარემოში არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი მიზეზები, რომლებიც იძულებულს გახდის ფულის ლიმიტის გადამეტებას" – მხოლოდ ამ იმპერატივით ხელმძღვანელობის შემთხვევაში აქვს სახელმწიფოს ინფლაციის შეჩერების შანსი.

დაუშვათ, დროის რომელიმე მონაკვეთში ძალზე აუცილებელია ინვესტიციური პროცესის დაჩქარება. ჩვეულებრივ ეს კეთდება ფულადი ექსპანსიის დახმარებით, რაც იწვევს კრედიტის გაიზარებას და, მაშასადამე, კაპიტალდამანდებების დაფინანსების შესუბუქებას. როდესაც ეკონომიკაში ანტიინფლაციური სტრატეგია ხორციელდება, ასეთი მოქმედება მხოლოდ იმ პირობითაა დასაშვები, თუ სარგებლის განაკვეთის შემცირებისათვის გამიზნული ფულის რაოდენობის გაზრდა არ სცილდება ფულის ლიმიტის წინასწარდადგენილ ფარგლებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფულადი პოლიტიკის როლი რადიკალურად შეიცვლება: ინფლაციის დამუხრუჭების ნაცვლად, ის უფრო გააძლიერებს მას. იგივე შეიძლება ითქვას ცენტრალური ბანკის ჩართვაზე ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსებაში. როგორც არ უნდა იყოს ის, ცენტრალურ ბანკს შეუძლია, მთავრობას ასესხოს ზუსტად იმდენი ფული, რამდენის შესაძლებლობასაც იძლევა აღნიშნული ლიმიტი. მეტი კი – არა. ნებისმიერ სხვა შემთხვევაში ცენტრალური ბანკი მთავრობასთან ერთად უსათუოდ გადაიჭყევა ინფლაციის ორგანიზატორად. ცხადია, ანტიინფლაციური ფულადი სტრატეგიის განხორციელება შეუძლია მხოლოდ თანამედროვე საბანკო სისტემას, რომელსაც სათავეში უდგას აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი ცენტრალური ბანკი.

მაგრამ, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მაშინაც კი არ არის ადვილი ანტიინფლაციური ფულადი პოლიტიკის ორგანიზება. მაგალითად, აშშ-ში, სადაც მოქმედებს მაღალეფექტიანი საბანკო სისტემა, 1965-1980 წლებში სულ მცირე ოთხჯერ მაინც იყო ამისი მცდელობა.

მაგრამ ყველა ცდა წარუმატებლად დასრულდა, ვინაიდან ბიუჯეტური უწყესრიგობით, სამეურნეო კონიუნქტურის მხარდაჭერის აუცილებლობით და ა. შ. დამძიმებული სახელმწიფო მერყობდა, გადაუხვევდა ხოლმე დასახული ანტიინფლაციური კურსიდან, ეკონომიკას "ბერაედა" ფულის ზედმეტი რაოდენობით. ამგვარმა გადახრებმა მხოლოდ გააძლიერეს ინფლაციური მოლოდინი, გაართულეს ინფლაციის დაძლევის ამოცანა. ცხადი გახდა, რომ თუ სახელმწიფო დარწმუნებული არ არის თავის უნარში – ბოლომდე მიიყვანოს ანტიინფლაციური ფულადი სტრატეგია, უკეთესია საერთოდ არ წამოიწყოს ეს საქმე. მეტ-ნაკლებად თანმიმდევრული ფულადი სტრატეგია განხორციელდა რ. რეიგანის დროს, რაც სწრაფად დაეტყო ფასების მოძრაობას ამერიკის ეკონომიკაში.

მკაცრი ფულადი შეზღუდვების რეჟიმი მიეკუთვნება ეკონომიკის ძლიერმოქმედი რეგულატორების ჯგუფს. მაგრამ მისი გამოყენება ძალზე საფრთხილოა. საქმე ისაა, რომ განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში, სერიოზული ინფლაციის პირობებშიც კი, აგრძელებენ ფუნქციონირებას წარმოების მხარდაჭერი მექანიზმები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მის მკვეთრ დაცემას. ეს საბაზრო მექანიზმები მოთხოვნაზე ფასების გარკვეულ ელასტიკურობას ინარჩუნებენ. და როდესაც ამ უკანასკნელის ზრდას ამუხრუჭებს ფულადი შეზღუდვები, მათ ზეგავლენას ფასებიც განიცდიან. ამიტომაც სახელმწიფოს მიერ ფულადი ლიმიტების შემოღებასა და მათ განუხრელ დაცვას ბოლოს და ბოლოს ნამდვილად შეუძლია გამოიწვიოს ინფლაციური პროცესის გარკვეული სტაბილიზაცია. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, აშშ-ისა და ინგლისის ეკონომიკების განვითარება 80-იანი წლების მეორე ნახევარში.

აღსანიშნავია ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება. საემარისია, მხოლოდ ფულადი შეზღუდვებით როგორმე მოხერხდეს ფასების ზრდის ტემპის სტაბილიზება, რომ ცვლილებას იწყებს ინფლაციური მოლოდინი, ხოლო მის კვალდაკვალ პროპორცია ფულადი შემოსავლების მოსახმარებელ და დასაგროვებელ ნაწილებს შორის. რაც უფრო სუსტია ადაპტური ინფლაციური მოლოდინი, მით უფრო (სხვა თანაბარ პირობებში) მეტია მიდრეკილება დაზოგვისადმი, მაღალია მისი მოცულობა. თავის მხრივ, დანაზოგის მოცულობის გაფართოება საბიუჯეტო პრობლემების გადაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა, კერძოდ, დეფიციტის დაფინანსებისას, ცენტრალური ბანკის სესხის სულ უფრო ნაკლები გამოყენებით. ასეთ პირობებში თანამიმდევრული ანტიინფლაციური ფულადი პოლიტიკის გატარება ბევრად იოლია. ამრიგად, გრძელვადიანი ფულადი სტრატეგიის რეალიზაცია თვითგაძლიერებადი პროცესია.

ფულადი რეგულირების ყოველი წარმატება ერთდროულად არის მისი შემდგომი ეფექტიანი განხორციელების პირობა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, რადგან საბაზრო მექანიზმები არსად არ მუშაობენ იდეალურად, ფულადი შეზღუდვების რეჟიმის დანერგვა, რომელიც თავდაპირველად აუცილებლად იწყება სარგებლის განაკვეთის მკვეთრი ზრდით, სრულიადაც არ მიმდინარეობს უმტყვენეულოდ. ახლა უკვე ცხადია, რომ 70-იანი წლების დასაწყისში აშშ-ის ფსს-ის ამგვარი ქმედება გახდა გამაყოტრებელი ტალღების ერთ-ერთი მიზეზი, რომელმაც სხვებთან ერთად არ დაინდო ისეთი მსხვილი კორპორაციაც კი, როგორც არის "პენსენტრალ რეილროუდი".\* ხოლო 1981-1982 წლებში ხელი შეუწყო დაცემას, რომელმაც მთელი ამერიკის ეკონომიკა მოიცვა. აქ არაფერია გასაკვირი. დამოუკიდებელი ბიზნესის ეროვნული ფედერაციის (რომელიც აერთიანებს ნახევარმილიონზე მეტ წვრილი და საშუალო საწარმოების წარმომადგენლებს) მონაცემებით, 1982 წლის დასაწყისში იძულებული იყო გადაეხადა მოკლევადიან კრედიტებზე განსაკუთრებით მაღალი განაკვეთები (16-18,9%) აშშ-ის მცირე ფირმების 79%-ს (ორი წლით ადრე ანალოგიური მაჩვენებელი შეადგენდა მხოლოდ 35%-ს)\*\*. სარგებლის ასეთმა "წნებმა" გაანადგურა ბევრი სიცოცხლისუნარიანი საწარმო, გამოიწვია წარმოებისა და სამუშაო ადგილების ნაწილის დაკარგვა.

რალა უნდა ითქვას ჩვენს მაღალ მონოპოლიზებულ მეურნეობაზე, სადაც აქამდე დომინირებს სახელმწიფო სექტორი და არ არის მუშაობისუნარიანი საბაზრო მექანიზმები? მსგავსი რყევები მან შეიძლება ვერც გადაიტანოს. სრულიად მოსალოდნელია, რომ მკაცრი ფულადი შეზღუდვების დაუყოვნებელი გამოყენება გამოიწვევს არა ფასების სტაბილიზაციას, არამედ წარმოების მოკულობის ზეავისებურ შემცირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ ანტიინფლაციურ ფულად პოლიტიკაზე გადასვლა (ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ უიმისოდ ინფლაციის შეჩერება შეუძლებელია) უნდა განხორციელდეს თანდათანობით, ეკონომიკის განსახელმწიფოებრივების პარალელურად. მისი დემონოპოლიზაციით, საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებით.

ანტიინფლაციური რეგულირების კიდევ ერთი სტრატეგიული ამოცანაა ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება მისი სრული ლიკვიდაციის პერსპექტივით, ვინაიდან, როგორც დაინახეთ, დაფინანსების ნებისმიერი

---

\* Silk L. Nixonomics. New York, 1972, p. 10-11.

\*\* Federal budget crisis. Washington, 1982, p. 140

წესის დროს ის გარდაუვალად აძლიერებს ინფლაციას. ამ პრობლემის გადაჭრა შეიძლება ორი გზით — გადასახადების გადიდებით ან სახელმწიფო ხარჯების შემცირებით. ამათგან უპირატესობა მაინც მეორე გზას ენიჭება. საქმე ისაა, რომ საგადასახადო წნეხის გამკაცრებამ უკეთეს შემთხვევაში შეიძლება მოიტანოს მხოლოდ წუთიერი ანტიდეფიციტური შედეგი. გრძელვადიანი ასპექტით კი ასეთი პოლიტიკა ჩვეულებრივად იწვევს შრომისა და ინვესტირების სტიმულების ძირის გამოთხრას, ეკონომიკური განვითარების შეწყვეტას, და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტის შენატანების შემცირებას. არ უნდა დაგვავიწყდეს მეორე გარემოება: მაღალი საგადასახადო განაკვეთი, განსაკუთრებით, საწარმოს მოგებაზე, საგადასახადო სისტემის საყოველთაო რყევადობა თავისთავად ინფლაციური ფაქტორებია. თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკა კი ევოლუციას ახდენს საწინააღმდეგო მიმართულებით — ლიბერალიზაციის, განაკვეთების შემცირებისაკენ. მაგალითად, აშშ-ში მოგებიდან გადასახადების წილი ფედერალური ბიუჯეტის შემოსავლებში უკვე 8%-ს არ აღემატება\*. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მთავრობის სწორი ხაზი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტის აღკვეთა, იმით კი არ გამოიხატება, რომ მან რაც შეიძლება მეტი აიღოს ეკონომიკისაგან, არამედ იმით, რომ ნაკლები მისცეს მას სახელმწიფო ხაზინიდან.

აღსანიშნავია შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტიც: საგადასახადო სისტემის სრულყოფა შეიძლება დაუბრკოლებლივ გარდაიქმნას ანტიინფლაციური სტრატეგიის ელემენტად. მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება დამატებით იმპულსს მისცემს ინვესტიციურ პროცესს, რისგანაც შორეულ პერსპექტივაში მოსალოდნელია წარმოებისა და დასაქმების და, შესაბამისად, დასაბეგრი შემოსავლების მასის გაზრდა. საბოლოო ანგარიშით, მოსალოდნელია სახელმწიფო შემოსავლების ზრდა და დეფიციტის შემცირება. რაც შეეხება საშემოსავლო გადასახადის განაკვეთს, მისი შემცირება გამოიწვევს პირადი დანაზოგების გაზრდას. ამ უქანასენელის მატება მოხმარდება როგორც ეკონომიკური განვითარების დაფინანსებას, ისე ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას. ასეთი ვარიანტი შედარებით უკეთესია, ვიდრე სამთავრობო სესხები ცენტრალურ ბანკში ან ფულადი ემისია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მოვლენათა ასეთი შემობრუნება შესაძლოა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განაკვეთების შემცირება ძირითადად შეეხება მაღალ შემოსავლებს, რადგანაც სწორედ მათ მფლობელებს აქვთ მიდრეკილება შემოსავლების გაზრდილი ნაწილის

--- \* Pechman J. Federal tax policy. Washington, 1987, p. 370.



დანაზოგებად გადაქცევისაკენ, ღარიბები კი მათ მოხმარებაზე დახარჯავენ.

მაგრამ ყოველივე ეს მომავლის საქმეა. თუკი განვიხილავთ უახლოეს პერსპექტივას, უნდა ვღლიაროთ: ანტიინფლაციური რეზერვები, რომლებიც დაბეგვრას ექვემდებარება, ძირითადად შეზღუდულია. ამიტომ ძირითადი დატვირთვა მაინც სახელმწიფო ხარჯების შემცირებაზე მოდის. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ საბიუჯეტო ასიგნებების, და მასთან ერთად დეფიციტის შემცირება რთული პროცესია, რომელიც საკმაოდ ხანგრძლივ დროს მოითხოვს. დაუშვებელია ბიუჯეტის ამა თუ იმ სტატიის მასშტაბური წუთიერი ამპულტაციები. საჭიროა სტრატეგია, სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობის აღდგენის პერსპექტიული გეგმა.

დამოუკიდებლად იმისა სახელმწიფო სწორად მოქმედებს თუ არა, რამდენად ეტევა საბაზრო ეკონომიკის მიერ მისთვის განკუთვნილ ფარგლებში, ბიუჯეტის ხარჯების თითოეული მანეთის, დოლარის, გირანქის უკან დგას მისი ვალდებულებები ეკონომიკისა და მოსახლეობის წინაშე. მოულოდნელმა უარის თქმამ კი ამ ვალდებულებების შესრულებაზე, შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი სამეურნეო დანაკლისი. მაგალითად, ავიღოთ სახელმწიფო. დოტაციები ან ზარალიანი საწარმოების ეკონომიკური საქმიანობის მხარდაჭერის ხერხები ბიუჯეტის საშუალებათა ხარჯზე. საბაზრო მეურნეობის ორგანიზაციის პრინციპების თვალსაზრისით ბევრი ასეთი ქმედება დაუსაბუთებელია. დაეუშვათ, ისინი ერთბაშად შეწყდა. ალბათ, დაუყოვნებლივ შემცირდება დეფიციტი. მაგრამ, სრულიად ნათელია, რომ ამას მოჰყვება საწარმოთა მასობრივი გაკოტრება და მუშაკთა სამუშაოდან განთავისუფლება, და იწყება უმუშევრობის სწრაფი ზრდა, რაც ორმაგ დარტყმას მიაყენებს ბიუჯეტს. საჭირო გახდება უმუშევართა დამატებითი რაოდენობის სოციალურ უზრუნველყოფასთან, მათ გადამზადებასთან, შრომით მოწოდებასთან და ა. შ. დაკავშირებული სახელმწიფო ხარჯების გაზრდა. გარდაუვალი შეიქმნება შემოსავლების შემცირება. ბიუჯეტი დარჩება გადასახადების იმ ნაწილის გარეშე, რომელიც საწარმოებიდან შედის მასში, რადგან იმათგან, ვინც გაკოტრდა, ბუნებრივია, ვერაფერს ვერ აიღებს. შემცირდება საშემოსავლო გადასახადის თანხაც, ხელფასდაკარგული უმუშევრები გადავლენ გაცილებით მწირ სახელმწიფო უზრუნველყოფაზე.

მაგრამ ჭერ კიდევ უცნობია, როგორი იქნება საბოლოო შედეგი. გამორიცხული არაა, როცა მთავრობა ცდილობს ინფლაციის შეზღუდვას, მაგრამ აკეთებს მას ძალიან აჩქარებით, სახელმწიფო ხარჯების მასირებული შემცირების გრძელვადიანი შედეგების გაუთვალისწინებლად, ის წააწყდება დეფიციტის გაზრდის, ინფლაციის დაჩქარების უკუშედეგულ ეფექტს.

მაგალითად, აშშ-ში უმუშევრობის მხოლოდ ერთი პროცენტი ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტის ზრდის მინიმუმ 30 მლრდ დოლარით, რომელთაგან 25 მლრდ დოლარი საგადასახადო შემოსავლების შეფარდებითი შემცირებაა, ხოლო 5 მლრდ დოლარი დამატებითი მისაცემლები და შეღავათები სახელმწიფო სოციალური უზრუნველყოფის პროგრამით.\*

ბიუჯეტის დეფიციტის აღკვეთის გარეშე ინფლაციაზე კონტროლის დაწესების ყოველგვარი ცდა, უდავოდ, უპერსპექტივოა. ამასთან, დეფიციტის საწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება მოითხოვს განსაკუთრებულ წინდახედულობას (იმაზე არანაკლებს, რაც საქირთა ანტიინფლაციური ფულადი პოლიტიკის ორგანიზაციის დროს), მოსალოდნელი ნეგატიური ეფექტების წინასწარ შეფასებასა და მათ თავისდროულ კომპენსაციას. რაც შეეხება პრინციპებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ბიუჯეტის ხარჯების შემცირებას, მთავარი მათ შორის ცნობილია: თანდათანობით უნდა შეიკვეცოს სახელმწიფოს საქმიანობის იმ სახეების დაფინანსება, რომელთა გადაცემაც თავისუფლად შეიძლება საბაზრო სისტემაზე. ლაპარაკია სახელმწიფოს ზედმეტი ჩარევის შეწყვეტაზე საინვესტიციო პროცესებში და საბიუჯეტო კაპიტალდაზღვევების მოცულობის შემცირებაზე, დაუსაბუთებელი დოტაციებისა და სუბსიდიების გაუქმებაზე, განათლების ნაწილობრივ პრივატიზაციაზე და ა. შ.

ყელაზე უკეთესია, როდესაც ბრძოლა დეფიციტთან მიმდინარეობს ერთიანი ანტიინფლაციური სტრატეგიის ფარგლებში და განმტკიცებულია მისი სხვა ელემენტებით. მათ რიცხვს მიეკუთვნება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სახელმწიფო სტიმულირება და წარმოების სტრუქტურული გარდაქმნა, საინვესტიციო ნაკადების ორიენტაცია იმ სექტორებზე, რომლებიც საქონლით უზრუნველყოფენ სამომხმარებლო ბაზარს, სამხედრო ეკონომიკის დემილიტარიზაცია და კონვერსია. სწორი ფულადი პოლიტიკის ორგანიზებითა და ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებით, სახელმწიფო ინფლაციის პრობლემას უდგება მოთხოვნის მხრიდან, ცდილობს მის ისე დარეგულირებას, რომ მოხსნას ბაზრების ინფლაციური უწონასწორობა. როდესაც ეს ეხმარება სტრუქტურულ გარდაქმნებს და აწესრიგებს სამხედრო წარმოების კონვერსიას, ამით ხსნის ინფლაციაზე შეტევის მეორე ფრონტს, რომელიც გადის საქონლის მიწოდებაზე.

მარეგულირებელი მექანიზმების (პირველ ყოვლისა, საგადასახადო და

---

\* Unemployment and its underlying causes. Washington, 1983, p 214.

საკრედიტო) ამოქმედებით სახელმწიფო ხელს უწყობს მეცნიერებატყეადი, ტექნიკურად სრულყოფილი საქონლისა და მომსახურების (საყოფაცხოვრებო ელექტრონიკის, კავშირგაბმულობის, ინფორმაციის საშუალებების და ა. შ.) გაყიდვის გაფართოებას, ახალი დინამიკური ბაზრების ჩამოყალიბებას. მიწოდების მატება, კარბი მოთხოვნის კომპენსირებით, დამატებითებელ ზეგავლენას ახდენს ფასებზე, ამუხრუქებს ინფლაციას. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოწინავე პოზიციებზე მყოფი ქვეყნები, მაგალითად იაპონია, იმავდროულად მიეკუთვნება მათ რიცხვს, სადაც ინფლაცია საიმედოდ კონტროლდება და ეკონომიკისათვის უკვე აღარ წარმოადგენს სერიოზულ მუქარას.

ეფექტიანი ანტიინფლაციური სტრატეგია ისე უნდა აიგოს, რომ მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ეროვნულ ეკონომიკაზე გარეშე ინფლაციური იმპულსების ზემოქმედება. განსაკუთრებით ეს ეხება მათ, რომლებიც დაკავშირებულია სპეკულაციური მოკლევადიანი კაპიტალის საზღვრებს იქით გადასვლასთან. რადგანაც კაპიტალის მოძრაობა კონცენტრირებულ გამოსახულებას საგადამხდელო ბალანსის სალდოში იღებს, აუცილებელია მისი ინფლაციური ეფექტის მოხსნა.

დაეუშვათ, საგადამხდელო ბალანსის სალდო დადებითია, რაც ქვეყანაში საზღვარგარეთიდან კაპიტალების ნაღდ მოზღვაებას ნიშნავს. შემდეგ, კაპიტალი იყოფა ორ ძირითად ნაკადად. მისი ერთი ნაწილი საბანკო სისტემაში შეაღწევს, ზოგიერთი გადაიყვანება ეროვნულ ვალუტაზე და, გადაიქცევა რა, დაეუშვათ, მოკლევადიან კრედიტად, იღებს ლიკვიდურ ფორმას, ავსებს ფულის მარაგს ეკონომიკაში. კაპიტალის მეორე ნაკადს ღებულობს მთავრობა, რომელიც სესხულობს საზღვარგარეთ და უკან აბრუნებს თავის სასესხო ვალდებულებებს. სწორედ ასე იქცეოდა რ. რეიგანის ადმინისტრაცია მაშინ, როცა აფინანსებდა აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტს. 80-იანი წლების შუა პერიოდში ის საზღვარგარეთის წყაროებიდან ყველწლიურად იღებდა დაახლოებით 100 მლრდ დოლარს, რაც თითქმის უტოლდებოდა ფედერალური დეფიციტის ნახევარს.\*

როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაშიც ინფლაციური ეფექტები თვალში საცემია. შეიძლება თუ არა მათი მოხსნა ან, როგორც ეკონომისტები იტყვიან, სტერილიზება? ეს ეროვნული ცენტრალური ბანკის დახმარებაზეა დამოკიდებული. აღნიშნულ სიტუაციებში მას მოუწევს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის მოცულობის

---

\* Conduct of monetary policy. Washington, 1985, p.16.

არსებითი გაფართოება. რათა შეამციროს ფულის გაზრდილი მასა, მათი გარკვეული ნაწილი გადაიტანოს ცენტრალიზებულ რეზერვებში.\*

ინფლაციის საწინააღმდეგო საშუალებად შეიძლება ვალუტის კურსის ამალღების გამოყენება. იგი იწვევს საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელსა და მომსახურებაზე ფასების დაწევას, მაშასადამე, შემცირებისკენ უბიძგებს ფასების საერთო დონეს ეკონომიკაში. არ შეიძლება არ აღენიშნოთ ამ რეგულირების დიდი წინააღმდეგობრიობის შესახებ, რაც არსებითად ამცირებს მის ეფექტიანობას.

თუმცა ვალუტის კურსის ამალღების შემთხვევაში ნამდვილად ჩნდება იმპორტული ფასების შემცირების ტენდენცია, მაგრამ გარდუვლად ძვირდება ექსპორტი, რომელსაც სულ უფრო უძნელდება საგარეო ბაზრებზე გასვლა. ამიტომ უარესდება სავაჭრო და მის კვალობაზე, საგადამხდელი ბალანსიც. მაგალითად, 80-იანი წლების პირველ ნახევარში, აშშ-ის სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ყოველი 100 დოლარიდან 75 დოლარი "დაბანდებული" იყო ამერიკული ვალუტის ძალზე მაღალი კურსით.\*\* ვალუტის კურსის დაცემა ასტიმულირებს ექსპორტის გაფართოებას. სამაგიეროდ, იმავდროულად იწყება ფასების ზრდა იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე. ადრე თუ გვიან ის ზეგავლენას ახდენს ქვეყანაში ფასების საერთო დონეზე, მათ რიცხვში საექსპორტო პროდუქტიაზეც. ფასები მასზე იზრდება, რის გამოც მოსალოდნელია ექსპორტის კონკურენტული პოზიციების შესუსტება მსოფლიო ბაზარზე და მისი მოცულობის შემცირება. სხვა სიტყვებით, ნეგატიურ ტენდენციებს, რომლებიც თავს იყრიან იმპორტულ ფასებში, ბოლოს და ბოლოს შეუძლიათ გადაძლიონ ის პლუსები. რასაც ვალუტის კურსის შემცირება აძლევს ექსპორტს (ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ბევრი შემოაქვს თუ არა ქვეყანას და, კერძოდ, რა – ნედლეული თუ მზა პროდუქტია).

ასეთია ანტიინფლაციური სტრატეგიის ძირითადი ნიშნები. შევნიშნავთ, რომ მას წარმოქმნის ხანგრძლივი მოქმედების მექანიზმები, რომელთა ეფექტს ეკონომიკა მხოლოდ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ შეიგრძნობს. თუ, მაგალითად, დაწყებულია სტრუქტურული გარდაქმნა, რომლისთვისაც გამოყოფილია ბიუჯეტი ასიგნებები, ვთქვათ,

---

\* ასეთი რეგულირების მექანიზმი პირველად გამოკვლეულ იქნა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თანამშრომლის კ. კურის მიერ /Kouri P The hypothesis of offsetting capital flows: a case study of Germany / Inflation, unemployment and monetary control. Berlin, 1979, p. 93/.

\*\* A simposium of the 40th anniversary of the joint economic committee. Washington, 1986, p. 707

ფეხსაცმელების ფაბრიკის ასაშენებლად, მაშინ პირველ წლებში ინფლაციური გარღვევა მოიხსენასა და მიწოდებას შორის არაიმდენად შემცირდება, რამდენადაც გაიზრდება. თავდაპირველად გაიზრდება მხოლოდ მოთხოვნა იმათი ხელფასის ანგარიშზე, ვინც კვებულს თხრიდა, ამონტაჟებდა შენობას, დგამდა მოწყობილობას და ა. შ და მხოლოდ ამის შემდეგ, შეიძლება იმედი გვქონდეს. რომ გამოიჩნდება საძიებელი მიწოდება (ფეხსაცმელი), რომელიც წარმოების სტრუქტურული ცვლილებების შედეგებს ასახავს. როგორც დავინახეთ, ბიუჯეტის გაწონასწორებისათვის, ინფლაციური მოლოდინის ჩასაქობად, გრძელვადიანი ფულადი პოლიტიკის მოსაწესრიგებლად დიდი დროა საჭირო, მაგრამ როგორ მოვიქცეთ მაშინ, როდესაც ინფლაციური გარემო აუტანელია და ლოდინი უკვე შეუძლებელი? ამ შემთხვევაში მხოლოდ გრძელვადიანი მექანიზმებით ვერაფერს გახდება. საჭიროა ანტიინფლაციური რეგულირების ტაქტიკური, სწრაფმოქმედი პორტეციალის მობილიზება.

მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკის მეთოდები გათვალისწინებული არ არის ინფლაციის მიზეზების აღკვეთისა და მისი ძირითადი მექანიზმების დემონტაჟისათვის. მეტწილად ისინი საგანგებო ხასიათისაა და ინფლაციური დაძაბულობის დროულად შენელების, ინფლაციური პროცესის ტემპერატურის დაკლებისაკენაა მიმართული. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მოკლევადიანი რეგულირების რეზერვები სრულიადაც არაა უსაზღვრო, მაშინ გამოდის: ანტიინფლაციურმა ტაქტიკამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეცვალოს ანტიინფლაციური სტრატეგია. ლაპარაკია ეკონომიკაზე წინასწარი, თერაპიული ზემოქმედების შესახებ, რომელიც მოწოდებულია მოამზადოს იგი ინფლაციური სენისაგან უფრო რადიკალური მკურნალობისათვის.

რამდენადაც, შეგახსენებთ, მხოლოდ იმ ეკონომიკის განკურნება შეიძლება, სადაც ღია ტიპის ინფლაცია აღინიშნება, დაავადების სიმძიმე იზომება ფასების ზრდის ტემპით, ხოლო ეს უკანასკნელი გაპირობებულია მიწოდებასა და მოთხოვნას შორის ინფლაციური გარღვევის სიდიდით. აქედან გამომდინარე, ანტიინფლაციური ტაქტიკა მაქსიმალურ შედეგს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ან მოთხოვნის ადგივადური ამაღლების გარეშე დაეხმარება მიწოდების ზრდას ან ხელს შეუწყობს. მიმდინარე მოთხოვნის შემცირებას მიწოდების შესაბამისი დაცემის გარეშე. ნებისმიერი ინფლაციასაწინააღმდეგო სხვა ღონისძიება ნაკლები ეფექტის მომტანია, ხოლო თუ მაინც შეამცირებენ ინფლაციურ გარღვევას, მაშინ ის უთუოდ არამაქსიმალური შესაძლო ღონისა იქნება.

ანტიინფლაციური ტაქტიკის პირველი ვარიანტის ფარგლებში უნდა

გამოიყოს სახალხო მეურნეობის საქონლურობის დონის ამაღლების სამთავრობო მხარდაჭერა. მხედველობაშია, ვთქვათ, იმ საწარმოთა შეღავათიანი დაბეგრვა, რომლებიც ახდენენ წარმოების თანამდევ პროდუქტებისა და მომსახურების თავისუფალ გაყიდვას, ან კიდევ, კეთილი განწყობილება იმ ბანკების მიმართ, რომლებმაც ხელი მოჰკიდეს კომერციული ინფორმაციის მარაგების დამუშავებასა და საქონლის ბაზების მონაცემებით ვაჭრობას. როგორც წესი, დივერსიფიკაციის ასეთი სახესხვაობა, მით უმეტეს, თუ იგი სახელმწიფოს დანმარებას ემყარება, არსებით დანახარჯებს, მათ შორის, ხელფასზეც, არ მოითხოვს, ამიტომაც ხელს უწყობს მიწოდების მატებას, თუნდაც ინფლაციური გადახრების დროებით გამოსწორებას. ცხადია, აღნიშნული ანტიინფლაციური რესურსი ტექნიკური ხასიათისაა: ეკონომიკის საქონლურობის დონის გაზრდა მხოლოდ გარკვეულ ზღვარამდეა შესაძლებელი.

განვითარებულ ქვეყნებში ასეთი პროცესები მიმდინარეობს დიდი სიჩქარით და ძირითადად მომსახურების სფეროს მოიცავს. მაგალითად, ინგლისის ფირმა "შარს ენდ სპენსერი", რომელიც სპეციალიზებულია საკრედიტო ბარათების გავრცელებაზე და ემსახურება დაახლოებით 1,3 მლნ კლიენტს, აანალიზებს მათგან მიღებულ მრავალფეროვან მონაცემებს, რომელთა შედეგები შემდგომ გადაიქცევა საქონლად და სარფიანად იყიდება. ამერიკის სახელგანთქმულმა კორპორაცია იბმ-მა შექმნა რა კომპიუტერული კომუნიკაციების სპეციალური ქსელი, წარმატებით ვაჭრობს თავისი სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციით.\* ხდება ისეც, რომ მსხვილი კორპორაცია აყალიბებს რა ფილიალებს, "გამოზრდის" მათ საქონლურ მდგომარეობამდე, ხოლო შემდეგ გაყიდის ბაზარზე. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ ყოფილ სსრ კავშირის ეკონომიკას, შევამჩნევთ, რომ აქ უზარმაზარი გამოუყენებელი რეზერვებია.

განსაკუთრებით ღრმა ინფლაციის საწინააღმდეგო ფენები დევს ეკონომიკის იმ სექტორებში, სადაც მიმდინარეობს გადასვლა ნატურალურიდან საქონლურ მდგომარეობაში, ფორმირდება ახალი ბაზრები. ამის მაგალითად შეიძლება გამოვლენოთ ინფორმაციული წარმოების თავბრუდამხვევი დენატურალიზაცია, რომელმაც ბოლო პერიოდში განვითარებული სახელმწიფოების უმრავლესობა მოიცვა. ცალკეულ ქვეყნებში იგი მკვეთრი აღმავლობის პროცესშია, ინფორმაციული რესურსების მსოფლიო ბაზარი კი ჭერჭერობით ჩამოყალიბების

---

\* Howells J. Economic, technological and locational trends in European services Aldershot, 1988, p. 104.

სტადიაშია: ამჟამად ინფორმაციის საერთაშორისო ნაკადების დაახლოებით მხოლოდ 30%-ია ნამდვილად საქონლური, დანარჩენი კი რჩება რაღაც ბაზრის მიღმა, გადის ტრანსეროვნული კორპორაციების შინაგანი არხებით.\*

აღსანიშნავია, რომ ინფორმაცია, როგორც საქონელს, აქვს უნიკალური ანტიინფლაციური ღირსებები. მისი დამზადება ხომ მხოლოდ დასაწყისშია დაკავშირებული მნიშვნელოვან ხარჯებთან, ვთქვათ, სამეცნიერო გამოკვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავებების დაფინანსებასთან. შემდგომი კელაქარმოება (ტირაჟირება) უკვე ხორციელდება მინიმალური დანახარჯებით, რაც არსებითად საქონლის მიწოდების აბსოლუტურ ნამატს უტოლდება. უფრო მეტიც, ინფორმაცია, სხვა მრავალი საქონლისა და მომსახურებისაგან იმით განსხვავდება, რომ თავისი სასიცოცხლო ციკლის მანძილზე არ ქრება საბოლოო მოხმარების სფეროში (როგორც მაგალითად, ქიქა რძე ან თეატრის ბილეთი), არამედ იქიდან ბრუნდება იმავე სარგებლიანობით. სამომხმარებლო თვისებებით შენარჩუნებული, იგი ხელახლა იქცევა ყიდვა-გაყიდვის ობიექტად. ეს კი ნიშნავს მიწოდების მრავალჯერად გაზრდას მოთხოვნის ადეკვატური გადილების გარეშე.

მსლავრ ანტიინფლაციურ მუხტს წარმოქმნის სახელმწიფო საკუთრების გონივრულად ორგანიზებული პრივატიზაცია. წინა ლექციებში აღინიშნა, რომ პრივატიზაცია განაპირობებს სახელმწიფო შემოსავლების ზრდასა და ბიუჯეტის გასავლის ნაწილში დაძაბულობის შესუსტებას, რითაც ხელს უწყობს დეფიციტის პრობლემის გადაწყვეტას. უფრო მეტიც, განსახელმწიფოებრიობის ეს ფორმა იძლევა პირდაპირი ზემოქმედების ეფექტს: პრივატიზებული საწარმოების აქციების ბაზარზე გამოჩენა თავისკენ მიიქცევს ინფლაციური მოთხოვნის ნაწილს. ეს ეფექტი დაფიქსირებულია ყველა ქვეყანაში, სადაც განხორციელდა მსხვილმასშტაბიანი პრივატიზაცია. ინგლისში, მაგალითად, მხოლოდ ერთი "ბრიტიშ ტელეკომ"-ის დენაციონალიზაციამ ბაზარზე გამოიტანა 7-8 მლრდ გირვანჯა სტერლინგის საერთო მოცულობის აქციები, რაც ბრიტანეთის ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ისტორიაში რეკორდი იყო და საგრძნობი ზეგავლენა მოახდინა ინფლაციური პროცესის მიმდინარეობაზე.\*\* გაცილებით ძლიერი იქნება ის ჩვენს ეკონომიკაში, სადაც საპრივატიზაციო სივრცე ჭერჭერობით თვალუწვდენელია.

მოკლევადიანი ანტიინფლაციური პოლიტიკის ქმედით საშუალებად

\* Howells J. Op. cit., p. 127.  
\*\* Hills J. Deregulating Telecoms. London. 1986. p. 125.

შეიძლება იქცეს მასობრივი სამომხმარებლო იმპორტი და სახელმწიფო სტრატეგიული მარაგების ნაწილობრივი რეალიზაცია. ჩვენთან კიდევ რჩება ისეთი ანტიინფლაციური რეზერვი, როგორცაა საწარმოების მიერ დაგროვილი წარმოებრივი დანიშნულების მატერიალური რესურსების ნაწილის მოსახლეობისათვის მიყვება. მბრძანებლურ-განაწილებითი სისტემის მრავალწლიანი ბატონობით წარმოშობილ, უკვე დიდი ხნის წინათ საბჭოთა ეკონომიკისათვის ნამდვილ უბედურებად ქცეულ ამ რესურსებს სწორედ ახლა შეუძლია შევლა, დახმარების გაწევა ჰიპერინფლაციური ქაობიდან თავის დასაღწევად, თუმცა, აღსანიშნავია, რომ ინფლაციის ყოველი ახალი ხვეულა ამ რეზერვის სიმძლავრეს სულ უფრო ასუსტებს. რაც უფრო საგრძნობია ინფლაციის დარტყმები და მოახლოებულია ფულადი სისტემის დამბლა, მით უფრო ძლიერად მოქმედებს ის სტიმულები, რომლებიც საწარმოებს აქეზებენ თავი შეიკაონ ქარბი მატერიალური რესურსებით ვაჭრობისაგან და შემოინახონ ისინი პირდაპირი პროდუქტგაცვლისათვის.

ახლა განვიხილოთ ანტიინფლაციური პოლიტიკის მეორე ვარიანტი, რომელიც მიმდინარე მოთხოვნის რეგულირებას ითვალისწინებს. ჩვეულებრივ, მისი მიზანი დანაზოგის ნორმის ამაღლება და მისი ლიკვიდურობის დონის შემცირებაა.

თუ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, შემოქმედება მოახდინოს ფულადი შემოსავლების მფლობელთა ქცევაზე, აღუძრას მათ მიმდინარე მოთხოვნის ხარჯზე დანაზოგის გაზრდის სურვილი, როგორც ცნობილია (ღია ინფლაციის პირობებში მომხმარებლები სწორედ საწინააღმდეგოში არიან დაინტერესებულნი), მან, პირველ ყოვლისა, ანაბრებზე სარგებლის განაკვეთის არსებითი ამაღლებისათვის უნდა იზრუნოს. ისე უნდა გაკეთდეს, რომ იგი არაერთარ შემთხვევაში არ უნდა იყოს ფასების ზრდის მიმდინარე ტემპისა და ადაპტური მოლოდინის დონის ჯამზე ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში სათუთა დანაზოგის ნორმის გაზრდა, რადგან მეანაბრე, რომელიც თავის ფულს აძლევს ბანკს და ამით გარკვეული ვადით განშორდება მას, უფლებამოსილია ივარაუდოს, რომ არ იზარალებს არც დღეს, არც მომავალში. მაგრამ, ცხადია, ანტიინფლაციური საპროცენტო პოლიტიკის შესაძლებლობები არაა უსაზღვრო. ანაბრებზე სარგებლის სწრაფი ამაღლება იწვევს კრედიტის დაუყოვნებლივ გაჭირებას, რამაც შეიძლება დამლუპველად იმოქმედოს ინვესტიციებისა და წარმოების მოცულობაზე.

მაგრამ ადამიანს ხომ თავისი დანაზოგები მარტო ბანკებში არა აქვს შენახული, იგი შეიძლება და აუცილებელიცაა გამოიყენოს საკმაოდ მაღალი სარგებლით სახელმწიფო ობლიგაციების შესაძენად, ყველაზე ფართოდ გავრცელებულ საკუთრების აქციონერულ ფორმებში, პრივატიზებაში,



მიწის ნაკვეთებზე, ოქროსა და სხვა ფასეულობებზე პერსპექტიულ დაბანდებებში. ხაზგასმით აღენიშნაეთ: ჰიპერინფლაციის პირობებში მისაღებია ნებისმიერი საშუალება, რომელიც შეაჩერებს ამ დამანგრეველ პროცესს. მთავარია, მათ ჰქონდეთ რეალური ანტიინფლაციური ეფექტი. იგი შესაძინევად მაშინ იზრდება, როცა სახელმწიფო არ იზღუდება მხოლოდ დანაზოგის ნორმის გადიდებით. საქმე ისაა, რომ დანაზოგი მრავალნაირია. არის, მაგალითად, დეპოზიტები მოკითხვამდე, რომელთაც აქვთ ძალზე მაღალი ლიკვიდურობა, ე. ი. ნებისმიერ მომენტში შეუძლიათ გადაიქცნენ ნაღდ ფულად. ინფლაციური უწყონასწორობის გამაძლიერებელ დამატებით მიმდინარე მოთხოვნად. ცხადია, რომ ინფლაციურ ეკონომიკაში საჭიროა დანაზოგის ლიკვიდურობის დონის შემცირებისაყენ მიმართული ღონისძიებები. კერძოდ, პრაქტიკაში მიღებულია ვადიან ანაბრებზე გაზრდილი სარგებლის დაწესება და მრავალი სხვა ზერხი. მიმართული დეპოზიტების რაც შეიძლება ხანგრძლივად შენარჩუნებისაყენ საბანკო სისტემაში. ზოგჯერ კი იყენებენ მოკითხვამდე ანაბრების დროებით გაყენვასაც.

რა თქმა უნდა, სახელმწიფოს რეზერვში ყოველთვის აქვს ისეთი რადიკალური ვარიანტი, როგორიცაა კონფისკაციური ტიპის ფულადი რეფორმა. სარგებელთან და დანაზოგთან დაკავშირებული დავიდარაბის ნაცვლად, რომლის შედეგი, ზოგადად რომ ვთქვათ, პრობლემატურია. მას შეუძლია მიიღოს ყველაზე მარტივი გადაწყვეტილება – ექსპროპრიაცია გაუყეთოს მოსახლეობის კუთვნილი ფულადი შემოსავლების ნაწილს და ამით შეამციროს მიმდინარე მოთხოვნა. მაგრამ ადვილი შესაძინევია, რამ მსგავს ქმედებას არსებითად არა აქვს ურთიერთობა ინფლაციის ფესვებთან და მექანიზმებთან, და ყველაზე დიდი, რაც მას შეუძლია, მხოლოდ ინფლაციური გარღვევის ოდენობის მოკლე დროით შემცირებაა. კონფისკაციური რეფორმები არ ხორციელდება. ხშირად, როგორც წესი, ისინი თან ახლავს ომების დამთავრებას და სხვა სოციალურ-პოლიტიკურ კატაკლიზმებს. რაც შეეხება მშვიდობიანი დროის ეკონომიკას, ესოდენ სარისკო ღონისძიების წამომწყება მთავრობამ წარმატებაზე შეიძლება იოცნებოს მაშინ, თუ სარგებლობს მოქალაქეთა უსაზღვრო ნდობით, რომლებიც მზად არიან თავიანთი დღევანდელი შემოსავლები შესწირონ ეკონომიკის მომავალ აყვავებას, ან როდესაც მთლიანად ამოწურულია ინფლაციის საწინააღმდეგო მოქმედების სხვა ზერხები.

ჩვენ გავეცანიით იმას, თუ სახელმწიფო საბაზრო სისტემასთან ურთიერთქმედებით როგორ ცდილობს შეაჩეროს ინფლაცია. არანაყლებ მნიშვნელოვანია იძულებითი უმუშევრობის პრობლემაც, რომელიც ასევე არ ემორჩილება მხოლოდ ბაზრის მექანიზმს. ამის შესახებ შემდეგ ლექციაში.

უმუშევრობის პრობლემები

წარმოებრივი რესურსების ოპტიმალური რეზერვი და "სრული დასაქმება". უმუშევრობის დონე და ხანგრძლივობა. ბუნებრივი ნორმა. ფრაქციული, ინსტიტუციური და ნებაყოფლობითი უმუშევრობა. ხელოვნურად მაღალი დასაქმება და სტაგფლაცია. იძულებითი დაუსაქმებლობა. ტექნოლოგიური, სტრუქტურული, რეგიონული და ფარული უმუშევრობა. საბაზრო კონკურენცია და დასაქმების პრობლემა. სამუშაო ძალის ბაზრის სახელმწიფო რეგულირება. უმუშევართა სოციალური დაცვა.

წინა ლექციებში ნაჩვენები იყო, რომ თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში აუცილებელია არსებობდეს მუშაკთა ოპტიმალური რეზერვი და შენარჩუნებულ იქნეს უმუშევრობის ბუნებრივი ნორმა. ბაზრისათვის თანაბრად უკუნაჩვენებია არითმეტიკული "სრული დასაქმებაც" და მეტისმეტად მაღალი უმუშევრობაც. პირველ შემთხვევაში ეკონომიკას მოელის მოთხოვნის ინფლაცია, წარმოების დაბალი ეფექტიანობა, დარგებისა და ტერიტორიების მიხედვით შრომითი რესურსების განაწილების მბრძანებლური ზერხების გამოყენება. სტაგფლაცია და სხვა მრავალი უსიამოვნება. მეორე შემთხვევაში — წარმოების შრომითი ფაქტორის აშკარა გამოუყენებლობა, ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური უფლებების მასობრივი დარღვევა. სახელმწიფო ფინანსებზე ნეგატიური ზემოქმედება, რაც დაკავშირებულია უმუშევართა დიდი რაოდენობის შენახვის აუცილებლობასთან და ა. შ.

{ უმუშევრობა იზომება ორი ძირითადი მაჩვენებლით. ამათგან პირველია უმუშევრობის დონე, რომელიც გაიანგარიშება როგორც ოფიციალურად რეგისტრირებულ საესებით უმუშევართა წილი თვითმოქმედი მოსახლეობის რიცხოვნობაში, ე. ი. იმ ადამიანებით, რომლებიც უმთავრესად ცხოვრობენ თავიანთი შრომითი შემოსავლის ხარჯზე. მაგრამ ეს ინდიკატორი არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას იმ სიტუაციებზე, რომლებიც ფაქტობრივად დასაქმების სფეროში. მათი სწორი შეფასებისათვის უნდა ვიკოდეთ არა მხოლოდ სამუშაო დაკარგულ ადამიანთა რაოდენობა, არამედ ისიც, რამდენი ხნის მანძილზე არიან ისინი ასეთ მდგომარეობაში. მართლაც, მაგალითისათვის ჩვეუფიქრდეთ ასეთ საკითხს: რომელია

უკეთესი – სამპროცენტუანი უმუშევრობა იმ პირობით, რომ საშუალო დაუსაქმებელი სამუშაოს გარეშე დარჩება ერთი წლის მანძილზე, თუ უფრო მაღალი, ხუთპროცენტუანი უმუშევრობა, როცა მისი საშუალო ვადა სულ მხოლოდ ერთი თვეა? მეორე კომბინაცია აშკარად უკეთესად გამოიყურება. სრულიად გასაგებია, რომ იგი გულისხმობს შრომითი რესურსების ინტენსიური მიგრაციის გამოიწვევ თაბრუდამხვევ სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრესს, სამუშაო ძალის ბაზრის მაღალ მობილურობას, ვაკანსიებსა და მუშაობა კვალიფიკაციის გამოცვლაზე ინფორმაციის ეფექტიანი სისტემის არსებობასა და სხვა პოზიტიურ გარემოებებს. ამიტომ დასაქმების პრობლემების კვლევა და შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაც წარმოებს უმუშევრობის დონისა და ხანგრძლივობის ანალიზის საფუძველზე.

განვიხილოთ უმუშევრობის ბუნებრივი ფორმა.\* გავიხსენოთ, რომ იგი ახასიათებს ეკონომიკისათვის საუკეთესო იმ სამუშაო ძალის რეზერვს, რომელსაც შესწევს უნარი, მოთხოვნის ცვლელადობაზე დამოკიდებულებით, საკმაოდ სწრაფად მოახდინოს დარგთაშორისი და რეგიონთაშორისი გადაადგილება და დააკმაყოფილოს ამითვე გაპირობებული წარმოების მოთხოვნილებები. ეს ნიშნავს, რომ ბუნებრივს, პირველ ყოვლისა, უნდა მივაკუთვნოთ ეგრეთ წოდებული ფრიქციული უმუშევრობა. საქმე კი ეხება იმ ადამიანებს, რომლებმაც მიატივეს რა ძველი სამუშაო ადგილები ახალ საწარმოებში გადასვლასთან დაკავშირებით, იმყოფებიან მოძრაობის პროცესში. ასეთი უმუშევრობის მთავარი ნიშანია მისი საკმაოდ მცირე ხანგრძლივობა.

მაგალითად, აშშ-ში 80-იანი წლების ბოლოს უმუშევრების დაახლოებით 49% ასეთ მდგომარეობაში იყო 5 კვირაზე ნაკლები დროის მანძილზე. თუკი ამ აღნიშნულ საზღვარს გადავწევთ 14 კვირამდე (სამ თვეზე ცოტათი მეტი), მაშინ მოცემული მაჩვენებელი უკვე მიაღწევს 79%-ს.\*\* როგორც ჩანს, ამერიკული უმუშევრობა შეიძლება მნიშვნელოვანწილად ჩავთვალოთ ფრიქციულად. ბუნებრივად. იგი უფრო მიუთითებს სამუშაო ძალის ბაზრის მაღალ ეფექტიანობაზე, აღმაველ ეკონომიკაში შრომითი რესურსების გადანაწილების ნორმალურ პროცესზე, ვიდრე სამუშაოდაკარგული ადამიანების განცლებზე.

---

\* ბუნებრივი უმუშევრობის ანალიზს საფუძველი ჩაუყარა მ. ფრიდმენმა ეკონომიკური პარამეტრების ბუნებრივსა და მიმდინარე მნიშვნელობებს შორის განსხვავების პრობლემა უფრო ზოგადი საბით პირველად დააყენა გამოჩენილმა შვედმა ეკონომისტმა კ. ვიქსელმა.

\*\* Employment and earning. Washington, 1988, vol. 35, N 12, p.23.

ბუნებრივი უმუშევრობა სრულიადაც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფრიკციული ტიპით. კერძოდ, ის მოიცავს ინსტიტუციურ უმუშევრობასაც – ისეთს, როგორსაც წარმოშობენ თვით სამუშაო ძალის ბაზრის ინსტიტუტები და ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მოთხოვნასა და მიწოდებაზე. მაგალითად, ავიღოთ ზომაგადასული მისაცემლები სოციალური ბიუჯეტიდან, რაც იწვევს შრომისუნარიანი მოსახლეობის ნაწილის გადახრას უსაქმურობისაკენ. შეიძლება თუ არა მოსახლეობა სოციალურად დაუცველი დავტოვოთ? რა თქმა უნდა, არა. ისევე როგორც ვერ გავქცევით შემოსავლების ამ ნაკადის გადაქცევას ისეთ ფაქტორად, რომელიც საგრძნობ ზეგავლენას ახდენს შრომის მიწოდებაზე მისი შემცირების ხაზით, ხელს უწყობს უმუშევრობის დონის ზრდას. უფრო მეტიც, რაც უფრო დიდია დახმარება, მით მეტია ახალი სამუშაო ადგილის ძებნის პერიოდი და, მაშასადამე, უმუშევრობის ხანგრძლივობაც. ზოგიერთი შეფასების მიხედვით, ამერიკელები, რომლებიც ოდესმე ცხოვრობდნენ უმუშევრობის დახმარების ხარჯზე და აქვთ შესაბამისი გამოცდილება, შემდგომში, ყოველ წელს, შრომობენ საშუალოდ 2 კვირით ნაკლებს, იმათთან შედარებით, რომლებსაც ასეთი დახმარებით არასოდეს უსარგებლიათ. უმუშევრობის დონეც მოსახლეობის ამ ჯგუფში 4%-ზე უფრო მეტად აჭარბებს იმას, რაც შეიძლება ყოფილიყო დახმარების უქონლობისას.\*

ინსტიტუციური უმუშევრობა გამოწვეულია აგრეთვე ხელფასის გარანტირებული მინიმუმის შემოღებით. კვლავ ჩვენ წინაშეა თანამედროვე საზოგადოებაში აბსოლუტურად აუცილებელი მშრომელთა სოციალური დაცვის ფორმა, რომელიც შრომის ბაზრის მუდმივ ინსტიტუტად იქცა. მაგრამ საბაზრო ეკონომიკაში ხომ ხშირად წარმოიქმნება სიტუაცია, როდესაც ადამიანი თანახმაა იშრომოს შედარებით დაბალი ხელფასის პირობებში, სამუშაოს მიმოცემა მზადაა, მას გადაუხადოს იგი, მაგრამ მათი შეერთება მაინც შეუძლებელია, ვინაიდან სამუშაოს მიმოცემს უფლება არა აქვს, ხელფასი დააწესოს კანონით დადგენილ ზღვარს ქვევით.

ხდება ისეც, რომ ინსტიტუციური უმუშევრობა პროვოცირებულია არასრულყოფილი საგადასახადო სისტემით. მართლაც, საშემოსავლო გადასახადების ძალზე მაღალი განაკვეთები ამცირებენ მუშაობა განკარგულებაში დარჩენილი შემოსავლების მოცულობას. რაც უფრო ნაკლებია სხვაობა შემოსავლებსა და სოციალური პროგრამებით

---

\* Capen M, Cohn S. , Elson R. Labour supply effects of unemployment insurance benefits // Applied economics. London, 1985, vol.17, N11, p. 81.

გათვალისწინებულ მისაცემლების თანხას შორის, მით უფრო ძლიერად მოქმედებს მექანიზმები, რომლებიც ზღუდავენ სამუშაო ძალის მიწოდებას და ახანგრძლივებენ უმუშევრობის ვადებს. ინსტიტუციურ თანრიგს უნდა მივაკუთვნოთ აგრეთვე ისეთი უმუშევრობა, რომელიც დაკავშირებულია სამუშაო ძალის ბაზრის ინერციულობასთან. თუ პრაქტიკას დავეყრდნობით, მას პრინციპში არ შეუძლია იმავე სიჩქარით გარდაქმნა, როგორც წარმოებას. პროფესიათა სტრუქტურა, კვალიფიკაციის დონეები და შრომის ბაზრის სხვა მახასიათებლები შედარებით ნელა იცვლებიან, ჩამორჩებიან წარმოების მოთხოვნილებებს, რის შედეგადაც წარმოიშობა უმუშევრობის განსაკუთრებული სახესხვაობა. ინსტიტუციურად შეიძლება ჩაითვალოს ასევე უმუშევრობა, რომელიც წარმოიქმნება თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ ინფორმაციის არასრულყოფილების გამო.

მთლიანობაში შეიძლება ვამტკიცოთ, რომ უმუშევრობის აღნიშნული ტიპები ისევე ბუნებრივია, როგორც მათი გამომწვევი შრომის ბაზრის ინსტიტუტები.

დაბოლოს, შეგახსენებთ, ნებაყოფლობით უმუშევრობას. მართლაც, შრომისუნარიან მოსაზრებას შორის ყოველთვის არიან ადამიანები, რომლებსაც ამა თუ იმ მიზეზით, უბრალოდ, არ უნდათ მუშაობა. ცხადია, ასეთ უმუშევრობას აგრეთვე აქვს ბუნებრივობის ნიშნები.

ამგვარად, ბუნებრივი უმუშევრობა განისაზღვრება სამუშაო ძალის თანამედროვე ბაზრის კონსტრუქციით და რეგულირდება მისი მექანიზმებით. მილტონ ფრიდმენი მას უთანაბრებდა "უმუშევრობის ისეთ დონეს, რომელიც შეთავსებადია შრომის ბაზრის რეალურ ბუნებრივ პირობებთან".\*

ჭთუ ახლა გადავხედავთ რეალურ ეკონომიკას, დავინახავთ, რომ არც თუ იშვიათია სიტუაცია, როდესაც მიმდინარე უმუშევრობა დაბალია ბუნებრივ ნორმაზე. ხდება სხვანაირადაც: უმუშევრობა აჭარბებს ბუნებრივ ნიშნებს. რატომ ხდება ასე? რომელი მექანიზმები მოქმედებენ აქ და რა გავლენას ახდენენ ისინი სახალხო მეურნეობაზე?

ხელოვნურად დაბალი უმუშევრობა, როგორც წესი, არის სახელმწიფოს მცდარი პოლიტიკის შედეგი, მისი მცდელობა – ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოს "სრულ დასაქმებას". რეგულირების მაკროეკონომიკური საშუალებების გამოყენებით სახელმწიფო შრომის ბაზარზე მოქმედებს მოვლენათა ბუნებრივი მსვლელობის საპირისპიროდ, სცილდება საბაზრო პროცესებში ჩარევის მაქსიმალურად დასაშვებ საზღვრებს. როგორც ამის

\* Friedman M. Price theory. Chicago, 1976, p. 228.


შესახებ ჭერ კიდევ მეორე ლექციაში აღინიშნა, მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა, დაეხმაროს ყველას, ვისაც უნდა და შეუძლია მუშაობა, განახორციელოს თავისი შრომის უფლება. გასაგებია, რომ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს შეიძლებოდეს ყოველი ადამიანისათვის გარანტირებული სამუშაო ადგილის მიცემა/თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში დასაქმება ნამდვილად ხდება "სრული" და ეფექტიანი მხოლოდ მაშინ, როცა უმუშევრობის დონე ახლოსაა ბუნებრივ ნორმასთან, რომელიც არასდროს არ გაუტოლდება ნულს. საპირისპიროს გაკეთების მცდელობა კი ნიშნავს ეკონომიკისათვის დიდი ზიანის მიყენებას.

არასწორი პოლიტიკის ვარიანტები დასაქმების სფეროში ჩვენ უკვე შეგვხვდა. აღნიშნოთ თუნდაც მოკლევადიანი ფულადი რეგულირების შესახებ, როდესაც სახელმწიფო ანგარიშს არ უწევს ინფლაციის მძიმე შედეგებს და ცდილობს რა, რეგულარულად ასტიმულიროს წარმოებისა და დასაქმების გაფართოება. სისტემატურად, ახდენს შემამკირებელ ზემოქმედებას სარგებლის განაკვეთებზე. მსგავსი მაგალითებით მდიდარია ჩვენი ეკონომიკაც. შეიძლება გამოვყოთ მასირებული სახელმწიფო კაპიტალდაბანდებები, დოტაციები და სუბსიდიები, რომლებიც აუძლურებენ სახელმწიფო ფინანსებს და გარდუვლად იწვევენ მსხვილმასშტაბურ ბიუჯეტურ დეფიციტს, საბანკო დავალიანებების სისტემატურ ჩამოწრას, მზარდი წარმოების ხარჯებთან სახელმწიფო შესყიდვის ფასების მისადაგებას. ყველა ეს მოქმედება, რომლის უაღრესად ინფლაციური ხასიათი აშკარაა, არსებითად ზედმეტი სამუშაო ადგილებისა და არაბუნებრივი დაბალი უმუშევრობის შენარჩუნებას იწვევს.

თუ სახელმწიფო სწორედ ასე იქცევა, წარმოებრივი რესურსების გამოყენების ხარისხი, შრომითის ჩათვლით, ძალიან მაღალი ხდება. ამ შემთხვევაში, როგორც ვიცით, ძალზე მოსალოდნელია მოთხოვნის ინფლაცია (გარკვეულ წარმოდგენას მასზე ფილიპსის მრუდი იძლევა). მაგრამ ეს უკანასკნელი ასახავს "სრული დასაქმების" პოლიტიკის მხოლოდ მოკლევადიან, მიმდინარე ეფექტს. გაცილებით სერიოზულია მისი გრძელვადიანი შედეგები /ნახ. 9.1/.

19.1/ ნახაზზე -  $\bar{p}$  - ფასების ზრდის მიმდინარე ტემპია.  $U$  - უმუშევრობის დონე,  $U_n$  - მისი ბუნებრივი ნორმა. დაეუშვათ, ამოსავალი ეკონომიკური სიტუაცია ხასიათდება  $E_1$  წერტილით, რომლის თავისებურებაა  $\bar{p}$  ინფლაციის ტემპი და  $U_1$  უმუშევრობის დონე. უმუშევრობა, როგორც ჩანს, აღემატება ბუნებრივ ნორმას, და, მაშასადამე, წარმოადგენს იძულებითს.\* როდესაც ეკონომიკა ასეთ მდგომარეობაშია,

\* ეს ცნება განხილული იქნება ცოტა მოგვიანებით.



ნახ. 9.1

შეწყიტოს დასაქმების მაკროეკონომიკური რეგულირება, შესაძლებლობა მისცეს მას, მოახდინოს საბაზრო რყევები  $S_n$  პუნქტის რაიონში. აუცილებლობის შემთხვევაში კი მოახდინოს მათი კორექტირება მაკროეკონომიკური პოლიტიკის მეთოდებით. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ინფორმაციის სრულყოფა ვაქანსიებზე, ახალი კვალიფიკაციის მიღების სისტემის განვითარება, ხელფასის გარანტირებული მინიმუმის რეგულირება და ა. შ. სახელმწიფოს მთავარი საზრუნავი ხდება ფასების ზრდის ტემპის შენარჩუნება შედარებით დაბალ  $P_2$ -ის დონეზე. ამის გაკეთება შეიძლება სწორი ფულადი პოლიტიკით და ჩვენთვის ცნობილი ანტიინფლაციური რეგულირების სხვა ზეგებით.

სახელმწიფოს, სამუშაო ძალის ბაზრის მაკროეკონომიკური რეგულირების გაგრძელებით. შეუძლია წავიდეს სხვა გზითაც. გაზრდის რა ფულის მიწოდებას. სუბსიდიებისა და დოტაციების ოდენობას, გააფართოებს ინვესტიციების ნაკადს ბიუჯეტიდან, მას შეუძლია, უმუშევრობა შეამციროს  $S_3$  სიდიდემდე. რომელიც შესაძლებელია დაბალია ბუნებრივ ნორმაზე. მართალია, უმუშევრობის მოკლევადიანი შემცირება გარკვეული მსხვერპლის გაღებას მოითხოვს – ინფლაციის ტემპი გაიზრდება  $P_3$ -მდე, რაც მოთხოვნის აშკარა ინფლაციას გამოხატავს.

$E_2$  მდგომარეობიდან  $E_3$  მდგომარეობაში ეკონომიკის გადასვლის ხანგრძლივობა ორი ძირითადი ფაქტორით განისაზღვრება. მათგან

სახელმწიფოს ჩარევა სრულიად გამართლებულია. მაკროეკონომიკური პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. იგი აღწევს უმუშევრობის შემცირებას თითქმის  $S_n$  ნიშნულამდე. თვით ეს ინსტრუმენტები სინამდვილეში ისეთებია, რომ გარდუვალს ხდიან ინფლაციის ტემპის მოკლევადიან ამაღლებას  $P_2$ -მდე.

$E_2$  წერტილით აღნიშნულ სიტუაციაში მიღწეულია უმუშევრობის ბუნებრივი დონე. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფომ მთლიანად უნდა

პირველია შრომითი შეთანხმებების მოქმედების ვადები. თუ ისინი არ შეიცავენ ფასების ზრდის ტემპთან ხელფასის კორექტირების ვალდებულებებს, მშრომელები იძულებული გახდებიან, შეურიგდნენ რეალური შემოსავლების დაცემას ინფლაციის დაჩქარების გამო  $P_2$ -დან  $P_3$ -მდე. მხოლოდ შემდეგ, როდესაც დაიწყება ახალი შრომითი კონტრაქტების დადება და საქმეში ჩაერთვებიან პროფკავშირები, მათ უფლება აქვთ, მიადწიონ ხელფასის განაკვეთების გადახედვას, რომელიც შეცვლის სიტუაციას შრომის ბაზარზე და მთლიანად ეკონომიკაშიც. როგორც ჭკვეთ იქნება ნაჩვენები, შედეგი იქნება  $E_3$ - $E_4$  გადაადგილება.

მეორე ფაქტორია დასაქმებულთა ინფლაციური მოლოდინი. ვინაიდან მას საფუძვლად უდევს ინფლაციური გამოცდილება, რომელიც ხასიათდება  $P_2$  ფასების ზრდის ტემპით, სამუშაო ადგილების მფლობელებს რალაც დროისათვის უკეთესი იმედი აქვთ, ვარაუდობენ ფასების სტაბილურობას, ეგუებიან რეალური შემოსავლების შემცირებას. ამიტომ გარკვეული დროის განმავლობაში, როდესაც ეკონომიკა მოძრაობს  $E_2$ -დან  $E_3$ -კენ, ნომინალური ხელფასი არ იზრდება. შრომის ეფექტიანობის ამაღლება იწვევს ხედრითი ხარჯების შემცირებას, მოგების, ინვესტიციებისა და დასაქმების გაზრდას.

ეკონომიკური სიტუაცია, რომელსაც ასახავს  $E_3$  წერტილი, აღინიშნება ადაპტური ინფლაციური მოლოდინის დაფუძნებით. მშრომელები ემშვიდობებიან ინფლაციური პროცესის სტაბილიზაციის ილუზიას, ხედებიან, რომ ინფლაციამ შეამცირა მათი რეალური შემოსავლები და მომავალი კარგს არაფერს უქადის. იწყება დაწოლა ნომინალური და რეალური ხელფასის ამაღლებაზე. პროფკავშირების მხარდაჭერით დასაქმებულები ბოლოს და ბოლოს თავისას აღწევენ. მაგრამ ხელფასის მომატება ზომ პირწმინდად ინფლაციურ ხასიათს ატარებს, იქცევა ფაქტად არა იმიტომ, რომ, ვთქვათ, გაიზარდა მოთხოვნა სამუშაო ძალაზე ან იქ ამუშავდა შრომის ბაზრის სხვა მექანიზმები, არამედ ფასების მორიგი ნახტომის მიზეზით. ნახტომით, რომელიც, ხაზგასმით აღვნიშნავთ, გამოწვეული იყო სახელმწიფოს არასწორი ფულადი პოლიტიკით. ვინაიდან ახალ, უფრო მაღალ ხელფასს აქვს არასაბაზრო წარმოშობა და დაკავშირებულია სახელმწიფოს საქმიანობასთან, შრომის ბაზარი აღმოჩნდება დაუბალანსებელი, ამასთან, როგორც იტყვიან, არა თავისი მიზეზით. ეს კი ნიშნავს, რომ ის იმოქმედებს ჩვენთვის ცნობილი მიმართულებით — წონასწორობის აღდგენისაკენ. სამუშაო ძალის მფლობელებს, რომლებიც თავიანთი საქონლით ვაჭრობენ ჰელოვნურად მაღალი ფასებით, უკვე აღარ შეეძლებათ მისი გაყიდვა წინანდელი



რაოდენობით. გაიზრდება უმუშევრობა, ეკონომიკა გადაინაცვლებს  $E_4$  მდგომარეობაში. აქ კვლავ აღდგება უმუშევრობის ბუნებრივი დონე, მაგრამ შეენიშნავთ,  $\bar{p}_3$  ინფლაციის გაცილებით საკმაოდ მაღალი ტემპის პირობებში.

როდესაც ეკონომიკური მდგომარეობა ხასიათდება  $E_4$  წერტილით, ნათელი ხდება, რომ სახელმწიფოს ადრინდელმა საჭიანობამ გამოიწვია ინფლაციის დაჩქარება და უმუშევრობის მოკლევადიანი შემცირება. მისი დონე მხოლოდ ხანმოკლე პერიოდით დაეცა  $S_1$ -დან  $S_3$ -მდე, რის შემდეგაც ისევ ზევით, ბუნებრივი ნორმისაკენ დაიძრა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ უმუშევრობას იქითეცნ სამუშაო ძალის ბაზრის მექანიზმები იზიდავს.

ახსანიშნავია აგრეთვე, რომ დრეიფის პერიოდში გატარებულმა ინფლაციურმა პოლიტიკამ ეკონომიკის  $E_2$ -დან  $E_3$ -კენ არსებითად შეცვალა ეკონომიკური სისტემის მონაწილეების მოლოდინი. ახლა მათ შეიძინეს ინფლაციური გამოცდილება, რომელიც მოიცავს  $\bar{p}_3$ -ის ტოლი ფასების ზრდის ტემპს. თუ სახელმწიფო ამჟამადაც გააგრძელებს თავისი მცდარი ბაზის გატარებას, ჩიუტად შეეცდება უმუშევრობის მორიგ შემცირებას, მისი ძალისხმევის ეფექტიანობა ადრინდელზე გაცილებით ნაკლები იქნება. მართლაც, უმუშევრობა შემცირდება მხოლოდ  $S_5$  სიდიდემდე, რადგანაც დასაქმებულები მალე მიხვდებიან, რომ მათ არსებითად ატყუებენ (ფასები იზრდება განუწყვეტლივ და აქ არ არის არავითარი იმედის ნაპერწკალი, ხოლო დასაქმების დროებითი ამადლება გარდაუვლად იცვლება მისი დაქვეითებით), და მოითხოვენ ხელფასის გაზრდას. შემდეგ კი ხელახლა ამუშავდება შრომის ბაზრის მექანიზმი.

გავაკეთოთ წინასწარი დასკვნები. ცდილობს რა "სრული დასაქმების" მიღწევას, სახელმწიფოს შეუძლია უმუშევრობის დონის მხოლოდ მოკლევადიანი შემცირება, რომელსაც აუცილებლად მოჰყვება მისი ზრდა. თანაც ეს შედეგი უნდა ანაზღაურდეს მოთხოვნის მზარდი ინფლაციით. როდესაც სახელმწიფო სწორედ ასე იქცევა, – ხაზგასმით აღინიშნავდა მ. ფრიდმენი, – ეკონომიკა ემსგავსება "კოსმოსურ ხომალდს, რომელსაც არა აქვს აღებულები სწორი ორიენტაცია. როგორი მგრძნობიარე და რთული მოწყობილობითაც არ უნდა იმართებოდეს იგი, ხომალდი გარდაუვლად ასცდება გზას."\*

შენიშნავთ, რომ ყოველივე ამას აქვს საკმაოდ დასაბუთებული ფაქტობრივი დადასტურება. კერძოდ, 70-იან წლებში, როდესაც ამერიკის

---

\* Friedman M The role of monetary policy / Modern macroeconomics New York 1979, p.100

ეკონომიკაში ბუნებრივი უმუშევრობის გაანგარიშებითი მაჩვენებელი 6-6,5%-ის დონეზე იყო, ერთიმეორის შემცველი ადმინისტრაციები წარუმატებლად ცდილობდნენ უმუშევრობის შენარჩუნებას უფრო დაბალ ნიშნულზე (5-5,5%) და უტოლებდნენ მას სრული დასაქმების მაჩვენებელს.\* სწორედ ამ პერიოდში ინფლაციამ ყველაზე საგრძნობი დარტყმები მიაყენა აშშ-ის ეკონომიკას.

ახლა შევფასოთ გრძელვადიანი პერსპექტივა. როგორც ჩანს, ეკონომიკა  $E_3$  მდგომარეობიდან (ინფლაციისა და უმუშევრობის მაჩვენებლებია  $\bar{P}_3$  და  $S_3$ ) გადავიდა გაცილებით ცუდ  $E_5$  მდგომარეობაში, რომელსაც პასუხობს  $\bar{P}_5$  და  $S_5$  მნიშვნელობები. წარმოიქმნა SS სტაგფლაციის გრძელვადიანი მრუდის  $E_3E_5$  უბანი, რომელიც გამოხატავს ყველაზე უსიამოვნო პროცესს, რაც შეიძლება მოხდეს ეკონომიკაში – უმუშევრობისა და ინფლაციის ერთდროულ გაზრდას.

მას შემდეგ, რაც ეკონომიკა აღმოჩნდა  $E_5$  სიტუაციაში, კვლავ თავი იჩინა ადაპტურმა ინფლაციურმა მოლოდინმა, მიმდინარეობს დასაქმებულთა რეალური შემოსავლების ზრდა. ამოქმედდა შრომის ბაზრის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის გადასვლას  $E_6$  მდგომარეობაში. ეს ციკლი კიდევ შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს, და იმდენჯერვე სახელმწიფო იძულებული იქნება, "შეუფუცხუნოს" ინფლაციას, რათა მიაღწიოს უმუშევრობის, თუმცა თავისი მასშტაბით სულ უფრო ნაკლებ შემცირებას. მართლაც, თუ დაეუყვირდებით 9.1 ნახაზს, დავინახავთ, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ეფექტიანობის გამზომი ჰორიზონტალური მონაკვეთების სიგრძე  $E_3E_4$ -დან  $E_7E_8$ -მდე მცირდება და მიემართება ნულისაკენ.

აქედან გამომდინარეობს, რომ როგორც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მოქმედება, ბაზრის მექანიზმები გარდაუვალად წასწევნ წინ ეკონომიკას გრძელვადიანი წონასწორობის მიმართულებით. როგორც ვ. ფელსი წერდა, საბოლოო ანგარიშით, წარმოიქმნება ვერტიკალური ხაზი, რომელიც გამოხატავს "წონასწორობის შესაბამის უმუშევრობის უნიკალურ, მყარ დონეს"\*\*\* (9.1) ნახაზზე ეს ხაზი იწყება  $P_n$  წერტილიდან. როდესაც სახელმწიფო სწორად არ იქცევა, ეწინააღმდეგება ბაზრის ძალებს, ამ უკანასკნელის მექანიზმები ადრე თუ გვიან მაინც აწევს

\* Inflation, unemployment and monetary control. Berlin, 1979, p. 210.

\*\* Phelps E. Employment and inflation. New York, 1979, p. 57.

უმუშევრობას ბუნებრივ ნორმად, მაგრამ მხოლოდ ინფლაციის განსაკუთრებულად მაღალი დონის პირობებში, რომელიც აღემატება  $\bar{p}_2$ -ს.\* ამ შემთხვევაში საზოგადოება გარდუვლად ზარალდება სტაგფლაციისაგან ( $E_3 E_5 E_7$  წერტილებზე გამავალი SS მრუდი). ეკონომიკური პოლიტიკის სწორად დაყენებისას ბუნებრივი უმუშევრობის თანმდევი იქნებოდა  $\bar{p}_2$  სიდიდით გაზომილი ზომიერი, მართვადი ინფლაცია.

სტაგფლაციის განხილულ მექანიზმს შეიძლება მიეცეს სრულიად მარტივი მათემატიკური ინტერპრეტაცია:

$$h(U_n - U) = \bar{p} - \bar{p}_3; \quad h > 0, \quad (9.1)$$

სადაც  $\bar{p}_3$  – მოსალოდნელი ინფლაციის ტემპია,\*\* ხოლო  $h$  – მუდმივი. ადვილად შესაძენვეია, რომ სიტუაციაში, როდესაც მიმდინარე უმუშევრობის მაჩვენებელი ბუნებრივი ნორმის ტოლია, რეალური ინფლაცია სრულიად მოსალოდნელად გადაიჭყევა. სახელმწიფომ მხოლოდ იმაზე უნდა იზრუნოს, რომ შეინარჩუნოს ის ამ მდგომარეობაში. თუ სახელმწიფო დაადგება არასწორ გზას – შეეცდება მიმდინარე უმუშევრობა დაიყვანოს ბუნებრივზე დაბლა, მაშინ დაიწყება ინფლაციის დაჩქარება. მთლიანობაში შეიძლება ვამტყიცოთ: რა ფორმითაო არ უნდა გამოდიოდეს ხელოვნურად დაბალი უმუშევრობის, "სრული დასაქმების" შენარჩუნებისაკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა, ის ბოლოს და ბოლოს აუცილებლად დამთავრდება სტაგფლაციით. ამის შედეგად შეუძლებელია მაღალი დასაქმებისა და სტაბილური ფასების შენარჩუნება. ეს დასკვნა მტყიცდება მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილებით, რომლებმაც გამოიარეს 70-იანი წლების მძიმე ეკონომიკური ძვრები, გადაიტანეს სტაგფლაცია.} ის მნიშვნელოვანია ჩვენი ეკონომიკისთვისაც, სადაც უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტიანი, ნამდვილად თანამედროვე პოლიტიკა დასაქმების სფეროში.

სრულიად სხვაგვარად ვითარდება მოვლენები ისეთ პირობებში,

\* ხელოვნურად დაბალ დონეზე უმუშევრობის შენარჩუნების ცდები არა მხოლოდ უსარგებლო, არამედ საზიანო საქმეცაა. მსგავსი პოლიტიკის განხორციელება, – აღნიშნავენ ცნობილი ამერიკელი ეკონომისტები ტ. სარჯენტი და ნ. უოლესი, – იგივეა, რაც "ჭარბი საწინააღმდეგოდ გადაფურთხება" / Sargent T. and Wallace N. Rational expectations and the theory of economic policy / Modern macroeconomics. New York, 1979, p. 109/

\*\* მასში იგულისხმება ფასების ზრდის ისეთი ტემპი, რომელიც ეკონომიკაში იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო უარს იტყუდა ისეთ ქმედებაზე, რომელიც მიმართულია ბუნებრივი ნორმის ფარგლებს დაშორებული უმუშევრობის შემცირებისაკენ. ჩვენს მავალითში ინფლაციის ამ დონის გაზომვა შესაძლებელია, მავალითად,  $\bar{p}_2$  სიდიდით.

როდესაც მიმდინარე უმუშევრობა აქარბებს ბუნებრივ ნორმას და იქცევა იძულებითად. მისი მრავალი სახესხვაობა არსებობს. ალბათ, ყველაზე მეტად ცნობილია ტექნოლოგიური უმუშევრობა, რომლის გამოკვლევა დაიწყო კ. მარქსისა და იმ დროის სხვა ეკონომისტების შრომებით. ტექნოლოგიური უმუშევრობისაგან არც ერთი ეკონომიკა არაა დაზღვეული, მაგრამ განსაკუთრებით შესამჩნევია იგი იქ, სადაც სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მაგისტრალებზე სწრაფად გადასვლა ერწყმის დასაქმებულთა შემოსავლების მაღალ დონეს. გასაგებია, რომ სწორედ ასეთი კომბინაცია დიდ ეკონომიკურ ეფექტიანობას ანიჭებს სამუშაო ადგილების რაოდენობის შემცირებას. რადგანაც მეწარმეები სწორედ ამით ხელმძღვანელობენ, იძულებითი უმუშევრობის აღნიშნული ტიპი გადაიქცევა საბაზრო მეურნეობის მუდმივ მოვლენად.

ეკძოდ. აშშ-ის საავტომობილო მრეწველობის მზარდმა რობოტიზაციამ იქ შექმნა მასობრივი ტექნოლოგიური უმუშევრობის რეალური საფრთხე. ზოგიერთ ოპერაციაზე საშუალო ამერიკული მუშის ხელფასი 25 დოლარს აღწევს საათში, მაშინ, როდესაც რობოტს იმავეს გაკეთება შეუძლია 6 დოლარად საათში, მისი შეძენისა და მომსახურების ხარჯების ჩათვლით.\* მსგავსი რამ ხდება მოწინავე კომპიუტერული ტექნოლოგიების ათვისების დროსაც. თუ ამჟამად ტიპოგრაფიის 40 მაღალი კვალიფიკაციის მუშას შეუძლია საათში აკრიფოს 170 ათასი ასო, კომპიუტერული პრინტერების გამოყენება შესაძლებელს ხდის, 10-მა მუშამ ამავე დროში აკრიფოს 1 მლნ ასო.\*\* რაც ტექნოლოგიური უმუშევრობის ოცკერადი გაზრდის საშიშროებას შექმნის. არასაიმედოა ისეთი სამუშაო ადგილებიც კი, რომლებიც თავმოყრილია ეკონომიკის უახლეს დარგებში. მაგალითად, განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში უმუშევრობა ემუქრება ცენტრალიზებულ გამოთვლით ცენტრებში დასაქმებულ სპეციალისტებს, სადაც ექსპლოატაციაში ადრინდელი თაობის კომპიუტერებია. მათ დაუნდობლად დევნიან კავშირგაბმულობის ინტეგრირებულ სისტემებში გაერთიანებული პერსონალური კომპიუტერები.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი თავისებურად მიმდინარეობს: ის არა მხოლოდ დევნის, არამედ ძლიერ იზიდავს კიდევ სამუშაო ძალას. ეს დაკავშირებულია მომსახურების, ტექნოლოგიური დამუშავებებისა და ა.შ. საკმაოდ შრომატევადი პროცესების განვითარებასთან. ასე, მაგალითად,

\* Перспективы информатизации общества. М., 1990, с. 154.

\*\* Hassig C. Angst vor dem computer? Die schweiz angesichts eine moderne technologie. Bern, 1987. S 150.

აშშ-ში ყოველ 150 ათას სამუშაო ადგილას, რომელიც შეკვეცილია მოწინავე ტექნოლოგიის ათვისების შედეგად. იგივე ტექნოლოგიები უმატებენ 50 ათას სამუშაო ადგილს. შეფარდება, როგორც ჩანს, არის 3:1-თან და აქვს ტენდენცია შემდგომი შემცირებისაკენ. ამასთან, ავანგარდული ტექნოლოგიები, განსაკუთრებით კომპიუტერული, რადიკალურად ცვლიან თვით "სამუშაო ადგილის" ცნების შინაარსს. ცნობილია, რომ ინტეგრირებულ კომუნიკაციურ სისტემებში ჩართული პერსონალური კომპიუტერების გავრცელება იწვევს შინადასაქმების სწრაფ ზრდას. ამჟამად ასეთი კომპიუტერები გააჩნია ყოველ მესამე ამერიკულ ოჯახს, ხოლო 1995 წ. არანაკლებ 20 მლნ ამერიკელი შინ იმუშაავებს და გამოიყენებს საკუთარ კომპიუტერულ ტექნიკას.\* ცხადია, ამ შემთხვევაში არც სამუშაოს მიძიებებს, არც სახელმწიფოს უკვე აღარ მოუხდება ხარჯების გაღება ჭარხნის ან კანტორის შენობის ასაგებად, მათი მოწყობილობით აღჭურვისათვის და ა. შ. , ხოლო რადგანაც ერთი სამუშაო ადგილის შექმნასთან დაკავშირებული ხარჯები შესამჩნევად კლებულობს, დაუყოვნებლივ იზრდება იძულებით უმუშევრობასთან ბრძოლის პროგრამების ეფექტიანობა. ამასთან, დაეუმატებთ იმასაც, რომ თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ეხმარებიან დასაქმების სამსახურის მოდერნიზაციას ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის ხარისხის გაუმჯობესებით, რაც აგრეთვე იწვევს უმუშევრობის ხანგრძლივობისა და ღონის შემცირებას.

არ არის გამორიცხული, რომ ინფორმატიზაცია, რაც ამჟამად სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ცენტრალური მიმართულებაა, პირველი იქნება ეკონომიკის ღრმა ტექნოლოგიური ტრანსფორმაციის ისტორიაში, რომელიც ნეიტრალური დარჩება იძულებითი უმუშევრობის პრობლემასთან მიმართებაში, გაუტოლებს გამოთავისუფლებული სამუშაო ადგილების რაოდენობას ახალთა რიცხვს. რამდენადაც სხვა ტექნოლოგიებზე ასეთი რამის თქმა არ შეიძლება, მათი ზემოქმედება დასაქმებაზე რჩება იმ მთავრობათა დღის წესრიგში, რომლებიც შეშფოთებული არიან იძულებითი უმუშევრობის შედეგებით. ეს ეხება განსაკუთრებით იმ ჯგუფებს, რომლებიც იმყოფებიან სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა მასობრივი დანერგვის მისაღვამებთან.

იძულებითი უმუშევრობის თანრიგს მიეკუთვნება სტრუქტურული უმუშევრობა. ის წარმოიქმნება ისეთ სიტუაციებში, სადაც სამეცნიერო-

---

\* Tooley G. Leaving the office nest // US news and world report. Washington, 1988/ 89, vol 105, N 25, p 120

ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით ხდება ეკონომიკის მასშტაბური სტრუქტურული გარდაქმნები. იქ, სადაც ბაზრები დინამიკური არიან, მატულობს ინვესტიციები, გამოშვება და დასაქმება, ხოლო სხვა დარგებში წარმოება იკვეცება და მცირდება სამუშაო ადგილები. ვინაიდან ეს პროცესები ობიექტურია, სრულიად ბუნებრივია, ამიტომ სტრუქტურული უმუშევრობის თავიდან აცილება შეუძლებელია. ის შეიმჩნევა ყელგან, მაღალ განვითარებული ქვეყნების ჩათვლით.

მაგალითად, თუ 1988წ. უმუშევრობის საშუალო მაჩვენებელი ამერიკის ეკონომიკაში შეადგენდა დაახლოებით 5%-ს, მაღაროელთა შორის მისი დონე აღწევდა 7,4%-ს.\* რამდენიმე წლით ადრე, როცა აშშ-ში სრული სვლით მიმდინარეობდა წარმოების ღრმა სტრუქტურული გარდაქმნა, ამ კატეგორიის მშრომელების მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე იყო. მაღაროელთა პროფესიონარების მონაცემებით, 1983 წ. მაღაროელთა ზოგიერთ რეგიონში უმუშევრობა იმყოფებოდა 45-68%-ის დონეზე, ხოლო ქალაქ ჰერში (დასავლეთ ვირჯინიის შტატი), სადაც მან აიწია 90%-მდე, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი, რომელიც ფაქტობრივად გადასახადების გარეშე და, მაშასადამე, უფულოდ დარჩა, იძულებული იყო შეეჩერებინა ქუჩების განათების რემონტი და ხელფასი აღარ გაეცა პოლიციელებზე.\*\*

სტრუქტურული უმუშევრობა, როგორც წესი, მეტად მტკივნეულ ფორმებში მიმდინარეობს. აქ საქმე არ არის მხოლოდ პროფესიონარების გაათფრებულ წინააღმდეგობაში, რომლებიც ხშირად ცდილობენ, ნებისმიერი ღონისძიებით შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები. აღწევენ შრომითი ხელშეკრულებების ვადების გაგრძელებას, რითაც რაღაც დროით მაინც თავიდან იხსნიან იძულებით უმუშევრობას, ვადების გაგრძელებას და ა. შ. მსგავსი ქმედებები ხშირად მხოლოდ აძლიერებენ შრომის ბაზრის ინერციულობას და ზიანს აყენებენ დასაქმებულებს, მაგრამ ვერაფრით ვერ მოხსნიან თვით სტრუქტურული უმუშევრობის პრობლემას, რომელიც ჯერ კიდევ წარმოადგენს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის გარდუვალ თანამგზავს. პრობლემის სირთულე ისიცაა, რომ მოქმედებას იწყებენ სოციალური, ფსიქოლოგიური და სხვა ფაქტორები. ისევ მაღაროელების მაგალითს დავუბრუნდეთ. იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა მიზეზით არის გამოწვეული მაღაროების დახურვა, მათთვის ეს ნიშნავს არა მხოლოდ სამუშაო ადგილების დაკარგვას, არამედ მთელი

\* Employment and earning. Washington, 1988, vol. 35, N 12, p. 21.

\*\* Unemployment and its underlying causes. Washington, 1983, p. 350, 354.

ცხოვრების წესის რადიკალურ შეცვლას. ამიტომ სტრუქტურული უმუშევრობით დაზარალებული ადამიანების სოციალური დაცვა და მისი ხანგრძლივობის მაქსიმალურად შესაძლო შემცირება, როგორც წესი, დასაქმების სფეროში სახელმწიფოს პოლიტიკის ცენტრია. რაც შეეხება ჩვენს სახალხო მეურნეობას, ჩვენ მხოლოდ ვხვდებით ამ მთელი პრობლემის გადაწყვეტის მისაღდგომებს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადრე თუ გვიან მისი გადაწყვეტა აუცილებლად მოგვიწევს.

უმუშევრობა იძულებითად ჩათვლება მაშინაც, როდესაც იგი რეგიონული წარმოშობისაა. ასეთი უმუშევრობა ყლობდება ისტორიული, დემოგრაფიული, სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემოებების რთული კომბინაციის ზემოქმედებით და ამიტომაც ის დაუძლეველია მხოლოდ ეკონომიკური პოლიტიკის საშუალებებით. მსოფლიო პრაქტიკიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებსაც არ შეუძლიათ ამ პრობლემის გამოკვლევა. მისი გადაწყვეტა ჩვეულებრივ ხდება მხოლოდ საერთო სახელმწიფოებრივი მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე. ალბათ, სწორედ ასე უნდა მოქმედებულიყო ჩვენც იმის გათვალისწინებით, რომ ჩამორჩენილი რეგიონების არსებობა დასავლეთ ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში აწუხებს არა მხოლოდ მის მთავრობას. რეგიონული გადასრების გასწორება, იმათი ჩათვლით, რომლებიც სამუშაო ძალის ბაზარზე არსებობენ, წარმოადგენს მთელი ევროპული გაერთიანების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც, როგორც ცნობილია, ჭერ კიდევ არ გამხდარა ერთიანი სახელმწიფო.

იძულებითი უმუშევრობა ზოგჯერ ფარულ ფორმებს იღებს. საქმე ეხება იმ ადამიანებს, რომლებიც შრომობენ არასრული სამუშაო დღის განმავლობაში ან, დაეუშვათ, მხოლოდ ერთ-ორ დღეს კვირაში (ოფიციალური სტატისტიკით ისინი არ ითვლებიან უმუშევრებად), მათ, რომლებმაც იმედი დაკარგეს სამუშაო ადგილის მოძებნისა და შრომის ბირჟაზე რეგისტრირებაზე უარის თქმით, დაკარგეს დასმარების მიღების უფლება. აღსანიშნავია, რომ ფარული უმუშევრობა განსაკუთრებულ გაქანებას იღებს იმ ეკონომიკაში, სადაც საბაზრო მექანიზმები ღრმად და დეფორმირებული. მას აქვს იძულებითობის ყველა ნიშანი, რადგანაც მუშაკი, ცხადია, სრულიადაც არ არის დამნაშავე, რომ მოხვდა ისეთ ეკონომიკურ გარემოში, სადაც არ არსებობს შრომის სრულყოფილი სტიმულები და ამიტომაც კონსერვირებულია მისი დაბალი ეფექტიანობა. თუ, დაეუშვათ, ორი ადამიანი თავიანთი რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, სანახევროდ მუშაობენ, მაშინ ერთი სამუშაო ადგილი აშკარად ზედმეტია. ფარული უმუშევრობის დონე მაშინ შეიძლება 50%-ით განისაზღვროს.

ხშირად ხდება ისე, რომ იძულებით უმუშევრობას წარმოშობენ წმინდა ეკონომიკური მიზეზები, თვით ბაზრის მექანიზმები. საწარმოების კონკრეტული საცერით გაცრისას, ისინი წუნს სდებენ არასიცოცხლისუნარიანებს, რომლებიც ყველთვის არ არიან აუტსაიდერები წარმოების ტექნოლოგიური დონის ან მისი ორგანიზაციის თვალსაზრისით. გაკორება შეიძლება იყოს მოთხოვნის ჯვარდინი ელასტიურობის შეუფასებლობის, საკრედიტო ოპერაციების ჩატარების დროს დაშვებული შეცდომებისა და ა. შ. შედეგი. საბოლოო ანგარიშით, წარმოიშობა განსაკუთრებული სახის უმუშევრობა, რომელიც არ არის დაკავშირებული სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, სტრუქტურულ ძვრებთან და სხვა გარემოებებთან.

ასეთი უმუშევრობა განსაკუთრებით ძლიერად იგრძნობა იმ ქვეყნებში, რომლებმაც დაიწვეს მობრუნება თანამედროვე საბაზრო მეურნეობისაკენ. მისი დონე, როგორც წესი, აკარბებს იმათსას, რომელიც დამახასიათებელია ჩამოყალიბებული საბაზრო სტრუქტურებიანი სახელმწიფოებისათვის. ეს სრულიად გასაგებიცაა: ასეთ ქვეყნებში ხომ ბერი საწარმო ვითარდებოდა სახელმწიფო სოციალიზმის ორანჟერულ გარემოში. გასაღების გარანტიებით განებივრებულნი, ისინი ძლივს დგანან ფეხზე. როდესაც გამოდინა ეკონომიკურ სივრცეში, სადაც უბერავს საბაზრო კონკურენციის ქარი.

უმუშევრობის პრობლემა სახელმწიფოს დაძაბული ყურადღების საგანია. ასე იყო ყველთვის და სათუთა, რაიმე რადიკალური ცვლილებები მოხდეს თვალსაწიერ მომავალში. თუმცა არსებობს ჩარევის საფუძველი, იგი, როგორც დავრწმუნდით, არ უნდა დაიყვანებოდეს თითოეული შრომისუნარიანი მოქალაქის სამუშაო ადგილით უზრუნველყოფაზე. სწორი იქნება სახელმწიფოს ეკონომიკური საქმიანობის განვითარება წარიმართოს ორი ძირითადი მიმართულებით: უმუშევრობის დონისა და ხანგრძლივობის რეგულირებით, მისგან დაზარალებული ადამიანების სოციალური დაცვით.

პირველი მიმართულებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ამოცანაა, რეალური უმუშევრობა გადააქციოს ბუნებრივად – დონითაც და ხანგრძლივობითაც. რატომ ასე? განა ბუნებრივი უმუშევრობის ჩამოყალიბება არ განეკუთვნება საბაზრო მოვლენათა რიგს? მართლაც, სიტუაციებში, როდესაც მიმდინარე უმუშევრობა დაიწვეს ბუნებრივი ნიშნულის ქვემოთ, სახელმწიფოსაგან არავითარი განსაკუთრებული რეგულირება არ არის საჭირო. აუცილებელია მხოლოდ შრომის ბაზრის დაბრკოლებების აღკვეთა, მისადმი თავის დანებება, თამაშიდან დროებით



გამოსვლა, უნაყოფო ეკონომიკისათვის ძალზე საშიში "სრული დასაქმების" დაწესების ცდების უკუგდება. ეს იქნება არა უარის თქმა საერთოდ რეგულირებისადმი, არამედ მხოლოდ მისი უეარგისობისა და მავნებლობის აღიარება ხელოვნურად მაღალი დასაქმების პირობებში.

რა თქმა უნდა, ეკონომიკისათვის, რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში ძალისმიერად ნერგავდნენ "სრულ დასაქმებას", პოლიტიკური კურსის ასეთი გადამწყვეტი მობრუნება უკვალოდ არ ჩაივლის. მას აუცილებლად მოჰყვება უმუშევრობის გაზრდა (თუმცა, როგორც ჩანს, არახანგრძლივად) ბუნებრივ ნორმამდე. ცხადია, ეფექტი არასასიამოვნოა, მაგრამ მისი ალტერნატივა ხომ სტაგფლაციაა, რომელსაც, გავიხსენოთ, მოაქვს გაცილებით მეტი უბედურება. ხაზი გავუსვათ კიდევ ერთ მნიშვნელოვან გარემოებას: უმუშევრობის აღნიშნული ზრდა იმის დადასტურება იქნება, რომ სახელმწიფოს გაუმართლებელი ჩარევისაგან განთავისუფლებული სამუშაო ძალის ბაზარი ამუშავდება. მაშინ, შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ფუნქციონირებას მთელი საბაზრო სისტემა დაიწყებს.

ტექნოლოგიურ, სტრუქტურულ, რეგიონულ და იძულებითი უმუშევრობის სხვა სახესხვაობებზე სახელმწიფო უკვე სხვაგვარად რეაგირებს. აქ იგი საეხსებო ახორციელებს თავის მარეგულირებელ პოტენციალს, ცდილობს რა უმუშევრობის შემცირებას ბუნებრივ ნორმამდე. მაგრამ ამის ორგანიზება არაა მარტივი. საქმე ისაა, რომ დასაქმების სფეროში შექრისას, სახელმწიფოს არ შეუძლია გამოიყენოს ზემოქმედების ყველა მეთოდი. რაშიც მთავარი მალიმიტირებელი გარემოება უმართავი ინფლაციის საშიშროებაა. ძირითადი მოთხოვნა შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: დასაშვებია რეგულირების ნებისმიერი ხერხი, თუ ისინი, შეინარჩუნებენ რა თავიანთ მაღალ ეფექტიანობას, იმავდროულად ნეიტრალური იქნებიან ინფლაციის მიმართ ან გამოიწვევენ მინიმალურ ინფლაციურ შედეგს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც ცნობილია, ეკონომიკა აღმოჩნდება სტაგფლაციის მანკიერ წრეში.

სახელმწიფო მთლიანად იცავს ამ პირობას მაშინ, როდესაც, დაეუშვათ, ორგანიზებას უკეთებს ან სრულყოფს ინფორმაციის სისტემას თავისუფალი სამუშაო ადგილების შესახებ და ამით ამცირებს ადამიანის სამუშაოს ძიებით დაკავებულ დროს. [სახელმწიფო სწორად იქცევა, როდესაც თავის თავზე იღებს პასუხისმგებლობას პროფესიული სწავლებისა და ახალი კვალიფიკაციის მიღების განვითარებაზე, აწესრიგებს შრომის ბირჟების მუშაობას, ახორციელებს მუდმივ კონტროლს სამუშაო ძალის ბაზრის მდგომარეობაზე, აფინანსებს დასაქმების პრობლემების

კვლევას და ა. შ. ასევე უნდა შეფასდეს ახალი ტექნოლოგიების დამუშავების სახელმწიფოებრივი სტიმულირება, რომლის ათვისებაც დამატებით სამუშაო ადგილებს ან მცირე ბიზნესის შეღავათიან დაბეგვრას განაპირობებს, რაც სამუშაოთი უზრუნველყოფს განვითარებული ქვეყნების შრომისუნარიანი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს. კარგ შედეგებს იძლევა როგორც რეგიონული ხასიათის, ისე ახალგაზრდებისა და სხვა გულგატეხილი საზოგადოებრივი ჯგუფების შრომითი მოწყობის გაიოლების მიზნობრივი პროგრამები. რეგულირების ასეთი ფორმების ქმედითობა მრავალჯერაა შემოწმებული პრაქტიკით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ თითოეული მათგანი ინფლაციურად უვნებელია, რასაც ვერ ვიტყვით რეგულარულ ფულად მოზღვაებაზე ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან მასირებული ასიგნების საშუალებით სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე.

რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკაში, სადაც მაღალი ფარული უმუშევრობაა? აქ უნდა გავიხსენოთ რეცესტები, რომლებიც გამოიყენებიან დათრგუნვილი ინფლაციის აღკვეთისათვის. სახელმწიფოს მოეთხოვება დაუღალავე ზრუნვა იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად ფუნქციონირებს საბაზრო მექანიზმები. ასეთი ხასიათის ღონისძიებები დაუყოვნებლივ გამოიწვევს ფარული ტიპის იძულებითი უმუშევრობის შემცირებას. თავისთავად უმუშევრობა, რა თქმა უნდა, არ გაქრება და მხოლოდ ღიად იქცევა, წარმოჩნდება ტექნოლოგიური, სტრუქტურული ან სხვა რომელიმე ფორმით. მხოლოდ მაშინ შეუძლია სახელმწიფოს იძულებით უმუშევრობასთან მთელი ძალით გამოიყნოს მის განკარგულებაში არსებული ბრძოლის საშუალებები. თუ ყოველივე ეს არ გაკეთდება. ფარული უმუშევრობის დაძლევა ისეთ უიმედო, გადაუჭრელ ამოცანად დარჩება, როგორც დათრგუნვილი ინფლაციის ლიკვიდაცია. ფარული უმუშევრობის ღია მდგომარეობაში გადაყვანისას, რა თქმა უნდა, საჭიროა დიდი სიფრთხილე. კერძოდ, ჩვენს ეკონომიკაში ასეთი გადასვლა, ალბათ, საკმაოდ დიდ დროს დაიკავებს. ფარული უმუშევრობის ყოველი შემცირება დასაწყისში ხომ ღია უმუშევრობის გაზრდას, თუნდ ეკონომიკურად ფიქტიური, მაგრამ მაინც იმ რეალური სამუშაო ადგილების დაკარგვას გამოიწვევს. რომელთაც მოჰქონდათ შემოსავალი მათი მფლობელებისათვის.

სახელმწიფოს დიდი წინდახედულებ. მაშინაც მოეთხოვება, როდესაც ის შეუდგება სოციალური დაცვის (დახმარებები უმუშევრობისათვის, ხელფასის გარანტირებული მინიმუმის დადგენა და ა. შ.) ფორმებისა და ოდენობის, აგრეთვე მისი განაწილების წესების განსაზღვრას. სოციალური პოლიტიკა რეალურ ეფექტს იძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში,

თუ ის ეკონომიკის ნამდვილ შესაძლებლობებს ემყარება. გამორიცხავე, ინფლაციის დაჩქარებას და ინსტიტუციური უმუშევრობის გაზრდას, როგორც არ უნდა ყალიბდებოდეს გარემოება, ხელფასმა აუცილებლად უნდა შეინარჩუნოს შრომისადმი წამყვანი მასტიმულირებელი როლი.

სახელმწიფოებრივი სოციალური დახმარება უნდა გახდეს არჩევითი და განაწილდეს იმის მიხედვით, თუ უმუშევრობის რომელ ჯგუფს მიეუთვნება მისი მიღების პრეტენდენტი. ავილოთ, ვთქვათ. ნებაყოფლობითი უმუშევარი. ე. ი. ის ადამიანი, რომელმაც მისი შრომითი მოწყობისათვის ყველა ძალისხმევის მიუხედავად, შეგნებულად აირჩია უსაქმურობა. ცხადია, თუკი სახელმწიფო მართლაც აპირებს ასეთი უმუშევრის შენარჩუნებას, მაშინ ყოველ შემთხვევაში ეს უნდა განხორციელდეს არა იმ სახსრებით, რომელიც გამიზნულია დახმარების გასაცემად უმუშევრობისათვის. ამის იმედი არ უნდა ჰქონდეთ იმათაც, ვინც მოხვდა ხანმოკლე ფრაქციული უმუშევრობის ზოლში. შეუდარებლად უარესია იმ მშრომელთა მდგომარეობა, რომლებმაც განიცადეს იძულებითი უმუშევრობის დარტყმები. სამუშაო ადგილები დაკარგეს არა თავიანთი ნებით. სწორედ მათზე უნდა იზრუნოს სახელმწიფომ.

საბაზრო ეკონომიკაში ინფლაციისა და იძულებითი უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა შედის სახელმწიფოს აუცილებელ ფუნქციებში. მათ მიეუთვნება შემოსავლების განაწილების სფეროში ჩარევაც. ამ საკითხებს ჩვენ უკვე შევხვით, როდესაც ვეცნობოდით ინფლაციის საწინააღმდეგო კომპენსაციებისა და იძულებითი უმუშევრობისაგან სოციალური დაცვის ორგანიზაციას. უფრო დაწერილებით მათ მომდევნო ლექციაში განვიხილავთ.

შემოსავლების განაწილება

საბაზრო მექანიზმი და განაწილების სამართლიანობა. შემოსავლების განაწილებაში სახელმწიფოს მონაწილეობის მინიმალური და მაქსიმალური საზღვრები. გადასახადები, ტრანსფერტული გადასახდელები და შრომის მოტივაციები. გადანაწილების ზემოქმედება ერთობლივ დანაზოგებზე. საბაზრო ეკონომიკა და შრომის მიხედვით განაწილება. ოფიციალური და ჩრდილოეთი ეკონომიკა. შემოსავლების გადანაწილების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. გაზომვის ბერბები. ლორენცის მრუდი. ჭინის ინდექსი.

შემოსავლების განაწილების პრობლემას პირველად მეორე ლექციაში შევხვით, სადაც აღინიშნა, რომ, განაწილების თელსაზრისით, საბაზრო სისტემა ერთვარიანტიანია. მისგან წარმოშობილი. წმინდა საბაზრო განაწილება უსამართლოა იმ გაგებით, რომ ობიექტულ ადამიანს არ აძლევს გარანტიას, მიიღოს ის შემოსავალი, რომელიც უზრუნველყოფს მის საკადრის ცხოვრებას ეკონომიკური საქმიანობის შედეგების მიუხედავად, ამიტომაც ის მიუღებელია. წარმოიქმნება სახელმწიფოს ჩარევის აუცილებლობა. იგი, იღებს რა თავის თავზე პასუხისმგებლობას ადამიანის ღირსეულად ცხოვრების უფლების ხელშეუვალობის დაცვაზე, ახორციელებს შემოსავლების შესაბამის გადანაწილებას. აღსანიშნავია, რომ მოქმედების ასეთი ფართო დიაპაზონით სახელმწიფო, ამასთან ერთად, წყვეტს ბევრ მნიშვნელოვან პრობლემას. კერძოდ, მოსახლეობის ხელმოკლე ფენების შემოსავლების ზრდა ქმნის სამუშაო ძალის ნორმალური კვლავწარმოების პირობებს, აღმოფხვრის დისპროპორციებს რესურსების განაწილებაში, ანელებს სოციალურ დაძაბულობას და ა. შ.

მაგალითისათვის შეიძლება შერჩევითი ტიპის სახელმწიფო სოციალური პროგრამების მოტანა, რომელიც, დაეუშვათ, ეხება, შრომითი რესურსების დინამიკის მდგომარეობას. სახელმწიფო, მუშებისათვის ხელფასის განსაზღვრული მინიმუმის მეწარმეებისაგან გადახდის მოთხოვნით, უმუშევრობისათვის დახმარების მიცემით, მრავალშვილიანი ოჯახების შესანახად ბიუჯეტიდან სახსრების გამოყოფით, ღარიბებისათვის სურსათის ტალონების დარიგებით, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების გაწევით, ხდება სამუშაო ძალის წარმოების პროცესის სრულუფლებიანი მონაწილე. მის მიერ შექმნილი კვალიფიკაციის შეცვლის

სისტემა მშრომელებს უადვილებს სამუშაო ადგილების ძებნას, ამცირებს უმუშევრობის პერიოდს და, მაშასადამე, ზღვს უწყობს ეკონომიკის სექტორებს შორის რესურსების უკეთ განაწილებას. გამოდის, რომ სახელმწიფო ბევრს იღებს თავის თავზე სამუშაო ძალის მიწოდების საქმეში, ცდილობს, ისე მოიქცეს, რომ იგი პასუხობდეს მეწარმეთა მოთხოვნას. თუ სამუშაო ძალის კვლავწარმოების საკითხი მოგვარებულია, მაშინ, ბუნებრივია, უფრო პოპულარული ხდება მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოების პროცესიც.

შენიშნავთ, რომ სახელმწიფო, შემოსავლების განაწილების სფეროში შეჭრით, ბუნებრივია, ასუსტებს სოციალურ-ეკონომიკური უთანაბრობის ხარისხს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეცადოს მის სრულ ლიკვიდაციას. უთანაბრობა არა მხოლოდ საბაზრო სისტემის პროდუქტია, არამედ მისი ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობაც, მხოლოდ მას შეუძლია შექმნას შრომისა და ინვესტირების ნამდვილად ქმედითი მოტივები.

ვინაიდან საბაზრო ტიპის მეურნეობებში შემოსავლები უმთავრესად გადანაწილდება ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშუალებით, სახელმწიფოს აქტიურობა შეიძლება გაიზომოს მისი სოციალური ხარჯების მოცულობითა და დინამიკით. ამ კრიტერიუმებიდან გამომდინარე, განვითარებულ ქვეყნებში ისინი მეტად მნიშვნელოვანია. მაგალითად, აშშ-ში, ომის შემდგომი წლებიდან მოყოლებული, ტრანსფერტული გადასახდელების წილი (დახმარება უმუშევრებისათვის, გასაცემები სოციალური უზრუნველყოფის ხაზით, სახელმწიფო პენსიები და ა. შ.) შეადგენს ფედერალური ბიუჯეტის ხარჯების მინიმუმ 60%-ს და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის დაახლოებით 15%-ს.\* თუ ამერიკის ეკონომიკაში დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობას გავყოფთ იმ ადამიანთა რაოდენობაზე, რომლებიც სარგებლობენ სახელმწიფო სოციალური პროგრამებით და თავიანთ შემოსავლებს ბიუჯეტის ხარჯზე ზრდიან, მაშინ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე ეს თანაფარდობა 16:1-დან 3:1-მდე შემცირდა\*\*. აშშ-ს ხომ შემოსავლების გადანაწილების სფეროში სრულიადაც არ უკავია ლიდერის პოზიცია. ბევრ სხვა ქვეყანაში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია.

როგორც ჩანს, სახელმწიფოს ჩარევამ შემოსავლების განაწილებაში ამჟამად მიაღწია შთაბეჭდავ მასშტაბებს. რამდენადაა ეს გამართლებული?

\* Beck M. Government spending. New York. 1981, p. 21, 125.  
\*\* The President and economic policy. Philadelphia, 1986, p. 11.

თუმცა ზემოთ მოტანილმა კრიტერიუმმა (თითოეულისათვის ისეთი შემოსავლის მიცემა, რომელიც სამეურნეო საქმიანობის შედეგებისაგან დამოუკიდებლად უზრუნველყოფს მის ღირსეულ ცხოვრებას) ამჟამად მიიღო ძალზე დიდი აღიარება და გავრცელება. ის მეტად ზოგადი ხასიათისაა და აქვს სხვადასხვა განმარტება. ამიტომ მართლზომიერია კითხვა – თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფო ინტერვენციის ჰველა და ზედა საზღვრები.

რაც შეეხება შემოსავლების განაწილების პროცესში სახელმწიფოს ჩარევის მიზნობრივ საზღვრებს, ის მეტად მოძრავია. მასზე ზემოქმედებს, მაგალითად, სამომხმარებლო სტერეოტიპები: ზოგჯერ ადამიანები ეჩვევიან სიღარიბეში ცხოვრებას, კმაყოფილდებიან მცირედით, კეთილდღეობის ასეთ სტანდარტებს თვლიან "ღირსეულ ცხოვრებად" და არსებითად არც ითხოვენ შემოსავალზე ბიუჯეტურ წანამატებს. ბევრია დამოკიდებული ეკონომიკის მიმდინარე მდგომარეობაზე, დემოგრაფიულ სიტუაციაზე და სხვა გარემოებებზე. ზაზგასმით უნდა აღენიშნოთ მნიშვნელოვანი მომენტი: საზოგადოებას სწორედ აქ აქვს საკმაოდ დიდი სივრცე სოციალური მანევრირებისათვის იდეოლოგიურ, პოლიტიკურ და სხვა ფასეულობებზე ორიენტაციისათვის. თუ, უპირატესობა, დაუშვათ, ეძლევა საბაზრო მეურნეობის მკაცრ მოდელს, როცა გადაამწყვეტი როლი ნებისმიერი შემოსავლების ჩამოყალიბებაში, იმათ ჩათვლით, რაც ღარიბებს ეძლევათ, თვით ბაზარს აკისრია, ეს თამასა შედარებით დაბალ დონეზე შენარჩუნდება. სოციალისტური ვარიანტის არჩევისას, რომელიც ითვალისწინებს საბაზრო განაწილების ძლიერ კორექციას, სახელმწიფოს ჩარევა უფრო საფუძვლიანია.

გაცალებით რთულია განაწილებაში სახელმწიფოს მონაწილეობის მაქსიმალურად დასაშვები საზღვრის, იმ ზღვრული ნიშნულის გარკვევა, რომელსაც მან არ უნდა გადააბიჯოს საბაზრო ეკონომიკის ნებისმიერი მოდელის დროს. ზაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ ჩვენ წინაშეა თანამედროვე მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე ძნელი და მწვავე პრობლემა, რომელიც ჭერ კიდევ შორსაა დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტისაგან.

პირველ ყოვლისა, სოციალური მისაცემლების სიდიდე აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფოს ფინანსურ შესაძლებლობებს. სრულიად დაუშვებელია მათი თავშეკავებული ზრდა საგადასახადო შემონატანთა ჩარჩოებს მიღმა და ბიუჯეტის დეფიციტისა და ინფლაციის ერთ-ერთ ფაქტორად გადაქცევა. მაგრამ ეს თუ მაინც ხდება, ქრება თვით გადანაწილება, რაც ნომინალური შემოსავლების წმინდა ინფლაციური ზრდით იცვლება. იმათი მოგებაც სათუთაა, ვინც ფულად

წანამატებს მიიღებს, რადგანაც ის სწრაფად განადგურდება ფასების შეუჩერებელი ზრდით. დანარჩენები უეჭველად წააგებენ: ჯამობრივი შემოსავლის დროს (მიმდინარე მოხმარება პლუს დანაზოგები) როგორც ღია, ასევე, დათრგუნული ინფლაციაც განურჩევლად მოქმედებს და მთელი მოსახლეობის კეთილდღეობას აქვეითებს.

დაეუშვათ, სახელმწიფომ შეძლო გადანაწილების ინფლაციური ეფექტების ნეიტრალიზება და სოციალური პროგრამების დაგეგმვისას დაეყრდნო მხოლოდ მიღებული შემოსავლების მოცულობას, მაგრამ ზომ ცხადია, რომ ბიუჯეტის მეოხებით აკრეფილი გადასახადების გადაცემით ღარიბებსა და მრავალშვილიან ოჯახებზე, იგი ამცირებს წარმოების ფაქტორების მეპატრონეთა შემოსავლებს, ე. ი. მათ შემოსავლებს, ვინც კონკურენციაში მონაწილეობენ, ქმნიან პროდუქციას. ამ შემოსავლების ღონეები (დივიდენდის, ხელფასის, მოგების და ა. შ.) დაიწვეს თავისუფალი კონკურენციის სისტემისათვის დამახასიათებელი იმ ნიშნულის ქვევით, რომელიც შეუთავსებელია შემოსავლების გადანაწილებასთან, ოღონდ, გარეგნულ ეფექტებთან და საზოგადოებრივ საქონელთან დაკავშირებული სიტუაციის გამოკლებით. არადა თითოეული ასეთი შემოსავლის უკან დგას შრომის ან კაპიტალის დაბანდების სტიმული, მოტივი და რამდენადაც ის სუსტია, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო დაბალია ეკონომიკის ეფექტიანობა. მაშასადამე, მცირეა იმ ფულადი და მატერიალური რესურსების მოცულობა, რომელიც შემდგომში გადანაწილდება.

აქედან გამომდინარე, მოსახლეობის წინაშე თავისი ვალდებულებების შესრულებისას, სახელმწიფო უნდა მოქმედებდეს ძალზე წინდახედულად, არ უნდა დაუშვას ისეთი ზომადგადსული დაბეგვრა, რომელიც ძირს გამოუთხრის საბაზრო სტიმულებს. თუ სახელმწიფოს იპყრობს იმის სურვილი, რომ, რეალურ გარემოებათა გაუთვალისწინებლად სწრაფად უზრუნველყოს ღარიბების კეთილდღეობა, დახმარება შეიძლება სწორედ ისეთ სიკეთედ იქცეს, რომელიც ქურდობაზეც უარესია. მოსალოდნელია ბაზრის მექანიზმების ღრმა, კონტრპროდუქტული დეფორმაციები, რომლებიც გამოიწვევენ ეკონომიკური ზრდის შენელებასა და ინფლაციის დაჩქარებას. ისინი ზიანს მოუტანენ ყველას, მათი ჩათვლით, ვისთვისაც ეს შემოსავლები გადანაწილდება. უფრო მეტიც, როდესაც უზომო სოციალური ხარჯები იწვევს გადასახადების ღონის ზრდას, თავს იჩენს არასასიამოვნო მაკროეკონომიკური ეფექტი – დანაზოგების მყარი დეფიციტი. მართლაც, თუ მოხმარებელს წავართმევთ შემოსავლის მზარდ ნაწილს, დანაზოგების შებოქვის გარდა მას სხვა არაფერი დარჩება.

არადა, როგორც ვიცით, სწორედ ისინი წარმოქმნის გაფართოებული კვლავწარმოების ფინანსურ საფუძველს, გასაქანს აძლევს ინვესტიციურ პროცესს.

დავუმატებთ, რომ შემოსავლების გადანაწილების ორგანიზებით, სახელმწიფო აწყდება კიდევ ერთ რთულ პრობლემას: უნდა განსაზღვროს, საზოგადოების რომელმა ფენებმა და რატომ უნდა აიძულონ იგი შეინახოს უმუშევრები, ინვალიდები, მოხუცები და ა. შ. როგორც პირველი ლექციის მასალიდან ირკვევა, თუ საზოგადოებრივი საქონლის დაფინანსებისათვის მეტ-ნაკლებად პროგრესული დაბეგვრის სისტემა გამოდგება, ხოლო გარეგნული ეფექტების კომპენსაციისათვის პიგუს გადასახადზე დაფუძნებული სქემები, მაშინ აქ ყველაფერი გაცილებით რთულადაა. მიუხედავად იმისა, რომ ლექციაში – საბაზრო ინფრასტრუქტურის შესახებ – განვიხილეთ საბაზრო ტიპის მეურნეობებში გავრცელებული სხვადასხვა სახის გადასახადები, ჭერ კიდევ ბევრი რამ რჩება გაუგებარი საგადასახადო ტვირთის ეფექტიანი და სამართლიანი განაწილების პრობლემაში.

ახლა დავუბრუნდეთ მათ საკითხს, ვის სასარგებლოდაც სახელმწიფო შემოსავლებს გადაანაწილებს. თუ მხედველობაში მივიღებთ საზოგადოების არაშრომისუნარიან წევრებს, მაშინ საერთოდ ეჭვი უნდა შევიტანოთ სახელმწიფოს ასეთი ქმედების მართლზომიერებასა და საბაზრო სისტემისათვის მათ უსაფრთხოებაში. გამონაკლისს შეიძლება შეადგენდეს მხოლოდ სახელმწიფო პენსიები, რომელიც შეუძლებელია არ დაეტყოს ადამიანთა ეკონომიკურ ჯგუფებს. საპენსიო პერიოდში სახელმწიფოს დახმარების მტკიცე იმედის ვარაუდით, ისინი მეტს დახარჯავენ და ნაკლებს დაზოგავენ, რაც პირადი დანაზოგების მოცულობის შეფარდებით შემცირებას განაპირობებს. ამით, ზომაგადასული დაბეგვრის ზემოაღნიშნული მაკროეკონომიკური ეფექტი უფრო გაძლიერდება. შენელებს შენატანების ზრდა საკრედიტო სისტემაში, რამაც შეიძლება ნეგატიურად იმოქმედოს როგორც ინვესტიციების, ისე სარგებლის განაკვეთების დონეზე.

ისმის კითხვა: სახელმწიფომ თავიდან უნდა მოიხსნას საპენსიო უზრუნველყოფის მოვალეობანი? რა თქმა უნდა, არა. უბრალოდ, საპენსიო სისტემის გაშლის, გადასახადების სიდიდის დადგენის, სოციალური უზრუნველყოფის სხვა ფორმების ორგანიზაციის დროს მას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ეს არასასურველი ეფექტები, ანგარიში გაუწიოს მათ და დროულად მიიღოს ზარალის მინიმიზაციის ღონისძიებები. მით უმეტეს, თუ მსოფლიო პრაქტიკით ვიმსჯელებთ, ისინი სრულიად რეალურია. მაგალითად, ამერიკელი ეკონომისტის მ. ფელდსტაინის მიერ



ჩატარებული გაანგარიშების შესაბამისად, აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტიდან დაფინანსებული სოციალური პროგრამები ხელს უწყობს ერთობლივი დანაზოგებისა და ინვესტიციების მატების შემცირებას თითქმის 50%-ით\*.

რამდენადმე სხვაგვარად დგას საკითხი სახელმწიფო სოციალური დახმარების იმ მიმდებარე მიმართ, რომლებიც შრომისუნარიან მოსახლეობას მიეკუთვნებიან, მაგალითად, უმუშევრების მიმართ. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ ეფექტებს ემატება კიდევ ერთი – სამუშაო ადგილების ძებნისადმი, შრომის მოტივიზაციისადმი მისწრაფების გარკვეული შესუსტება. წინა ლექციაში აღინიშნა, რომ ამან შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს სამუშაო ძალის ბაზრის მდგომარეობაზე, კერძოდ, გამოიწვიოს მისი მიწოდების შემცირება.

ასეთი რამის მოხდენას შრომის ბაზარი გასაყიდი საქონლის ფასის აწევით, ე. ი. ხელფასის გადიდებით, უპასუხებს. ვინაიდან ასეთი ზრდა არაფრით არ არის დაკავშირებული გარჯის შედეგებთან, ამიტომ დასაქმებულთა შემოსავლების გაზრდა მეტწილად ინფლაციურ ხასიათს ატარებს. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სამუშაო ძალის მიწოდების ნაკლებობა ინსტიტუციური უმუშევრობის ზრდის ტოლფასოვანია, ამას კი სხვა უსიამოვნებებთან ერთად შეიძლება მოჰყვეს შენატანების შემცირება ბიუჯეტში, დეფიციტის პრობლემის გამწვავება. ამრიგად, ორივე მექანიზმი ურთიერთგამძლიერებით, ზრდის ინფლაციურ ზეწოლას. სახელმწიფო მას მიმართავს მაშინ, როდესაც ზრდის უმუშევრობისათვის დახმარებას, იმის გაუთვალისწინებლად თუ რა გავლენას მოახდენს იგი შრომის მიწოდებაზე.

უნდა აღინიშნოთ, აგრეთვე, ერთი საშიშროების შესახებ, რომელიც ემუქრება შემოსავლების გადანაწილების გზაზე დამდგარ სახელმწიფოს. მხედველობაში გვაქვს განსაკუთრებული ბიუროკრატიული სტრუქტურების წარმოქმნა, რომლებიც შეიძლება შეიქმნა გადანაწილების წესებს, ახორციელებენ მას, ასრულებენ კონტროლის ფუნქციას და ა. შ. საქმარის გამოცდილებაა საიმისოდ, რომ ვამტყიცოთ კანონმდებელი ორგანოების ჭეროვანი მოქმედების გარეშე ასეთ სტრუქტურებს მიდრეკილება აქვთ თვითკლავწარმოებისაკენ, გამოირჩევიან მაღალი მდგრადობით, დროთა განმავლობაში იძენენ საკუთარ ინტერესებს, ისწრაფვიან ეკონომიკური ძალაუფლების გაფართოებისაკენ. მოულოდნელად მსგავსი განვითარების

---

\* Feldstein M. The effect of social, security on saving - Macroeconomik analysis: essays in macroeconomics and econometrics. London, 1981, p. 4.

ნეგატიური შედეგები საყოველთაოდაა ცნობილი. მისგან არ არის დაზღვეული საბაზრო ტიპის ეკონომიკებიც.

როგორც ჩანს, შემოსავლების გადანაწილების ჯანსაღი ორგანიზაცია საკმაოდ რთული მისაღწევია. სახელმწიფომ, ერთი მხრივ, ის უნდა გახადოს ნამდვილი სრულფასოვანი, შესამჩნევი, არ უნდა დაუშვას სოციალური ხარჯების ინფლაციური გაუფასურება, ხოლო, მეორე მხრივ, იგი ისე უნდა გატარდეს, რომ არ მოხდეს საბაზრო მექანიზმების სერიოზული დეფორმაციები, წარმოების ეფექტიანობის შემცირება, დანაზოგების ქრონიკული დეფიციტის წარმოქმნა, უმუშევრობისა და ინფლაციის ზრდა, ბიუროკრატიზმის დამკვიდრება. პირდაპირ უნდა ითქვას – ასეთი ძნელად შესადგენი ბალანსი ჭერჭერობით არსებობს მეტწილად თეორიაში, ვიდრე პრაქტიკაში. ეს ეხება არა მხოლოდ ჩვენს სახალხო მეურნეობას, არამედ მაღალგანვითარებულ საბაზრო ეკონომიკებსაც.

თუ შემოსავლები უმეტესწილად გადანაწილდება იმისათვის, რომ მოხდეს ადამიანის ზემოაღნიშნული უფლებების გარანტირება, მაშინ როგორ მოხდება შრომის მიხედვით განაწილება? გამოდის, რომ ის საერთოდ შეუთავსებელია საბაზრო ეკონომიკის წყობასთან? არა, ეს ასე არაა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო კონკურენციის შედეგად წარმოშობილი შემოსავლები, როგორც წესი, თავის თავში ატარებს შრომის მიხედვით განაწილების მძლავრ მუხტს. თუ უარყოფთ ზოგიერთ ჩვეულ სტერეოტიპს და ვალიარებთ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის რეალობას, აღმოჩნდება, რომ შრომის მიხედვით განაწილების ელემენტები არის მუშის, მეწარმის, ფერმერის, ვაჭრის, ბანკირის, მენეჯერის, ბიზნის ბროკერისა და სხვათა შემოსავლებში. უფრო მეტიც, სწორედ ბაზარი აძლევს ნამდვილ შეფასებას შრომის რაოდენობას, ხარისხს და, რაც მთავარია, მის შედეგებს. საბაზრო შემოსავალი ვერ მიიღება მანამ, სანამ საქონელი არ გაიყიდება და არ ექნება აღიარებული თავისი საზოგადოებრივი სარგებლიანობა. მიუხედავად ჩვენთვის უკვე ცნობილი არასრულყოფილებისა, საბაზრო განაწილება ბევრად უფრო ახლოსაა შრომის მიხედვით განაწილებასთან, ვიდრე ის, რომელიც ინერგებოდა მბრძანებლურ-ადმინისტრაციული მეთოდების დახმარებით. როგორც ჩვენი სამეურნეო პრაქტიკიდანაა ცნობილი, სწორედ მან ბოლოს და ბოლოს გამოიწვია შრომის მაღალეფექტიანი სტიმულების დაკარგვა.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომით ძალისხმევას კონკურენციის

მონაწილეთა საერთო შემოსავლის მხოლოდ ნაწილი პასუხობს, ხოლო დანარჩენი წაწილი? იგი ნაკლებად ან საერთოდ არ არის დაკავშირებული შრომასთან. შემოსავალი შეიძლება გაიზარდოს ან შეცირდეს თუნდაც იმიტომ, რომ შეიცვალა საბაზრო სიტუაცია, რომელიც საკმაოდ დიდი მანძილითაა დაშორებული ცალკეული მეწარმის ან მომხმარებლის საკმარისობისაგან და მათ მიერ არ კონტროლდება.

დავუშვათ, მუშამ დახარჯა თავისი ხელფასის ნაწილი სხვა საწარმოს აქციის შესაძენად. ამის შედეგად მიღებული დამატებითი შემოსავალი მან კვლავ დააბანდა აქციებში და შემდგომში ასეთი ოპერაცია რამდენჯერმე გაიმეორა. თუ ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ხელსაყრელი პირობები ჩამოყალიბდება, ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ მუშის შემოსავლის მხოლოდ ერთი ნაწილი ასახავს მისი შრომის ეფექტს. სამაგიეროდ სხვა, ამასთან, მუდმივად მზარდი ნაწილი, აშკარად არაშრომითი (მუშის თვალსაზრისით) წარმოშობის იქნება. მუშას ხომ არავითარი ურთიერთობა არა აქვს იმ სხვისი საწარმოს საკმარისობასა და მოგებასთან, საიდანაც მას წილად ხვდა გარკვეული თანხა აქციებზე შემოსავლის სახით. ხელფასიც ხომ როგორც შრომის შედეგებზე, ასევე, საბაზრო კონიუნქტურის ცვლილებებზეა დამოკიდებული.

შესაძლებელია თუ არა საბაზრო ეკონომიკის განთავისუფლება არაშრომითი შემოსავლებისაგან, შრომის მიხედვით განაწილების განუყოფელი ბატონობის უზრუნველყოფა სახელმწიფო პოლიტიკის საშუალებების დახმარებით? პასუხი მხოლოდ ცალსახა იქნება: ეს საქმე როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად უიმედოა. ვინაიდან შემოსავლების შრომითი და არაშრომითი ნაწილები განუყოფელია და სამეურნეო საკმარისობის მთავარ შემავალიანებელ მოტივს წარმოქმნიან, ამდენად ლეგალური არაშრომითი შემოსავლები საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილებია. მათი აღკვეთა შეიძლება მხოლოდ თვით საბაზრო მექანიზმების ერთდროული დანგრევის შედეგად. დავუშვათ, ზემოაღნიშნულ მუშას თუ ჩამოვართმევთ შემოსავალს აქციებზე, წავართმევთ ამ არაშრომით შემოსავალს, მაშინ უნდა აყრდნობოთ თვით აქციებიც (რალა საკმარისა მაშინ ისინი?), ხოლო აქციონერული კაპიტალის გადაადგილების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე საბაზრო მეურნეობის ფუნქციონირება. იმისათვის, რომ მოიხსნას წმინდა საბაზრო განაწილების უსამართლობა, სავსებით საკმარისია შემოსავლების გადანაწილების ზემოაღნიშნული ხერხები.

რაც შეეხება ნებისმიერი არაშრომითი შემოსავლების აღმოფხვრის გრანდიოზულ პროექტს, მისი განხორციელება მუშაობის, ფულის

დაზოგვისა და წარმოებაში დაბანდების ყველგვარი სურვილის მოსპობის ტოლფასია. სწორედ ასე მოხდა ჩვენს ეკონომიკაში, ხოლო სრულფასოვანი შრომის მიხედვით განაწილება მაინც არ მოხერხდა. მის მაგივრად მივიღეთ ეკონომიკისათვის დამღუპველი გათანაბრება ნატურალური განაწილების პრივილეგიურ სისტემებთან შეხამებით.

ცნობილია, რომ შემოსავლები არა მხოლოდ ლეგალურია, არის აგრეთვე არალეგალური, უკანონო შემოსავლები, რომელთა მისაღებადაც ხდება ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზება. ჩრდილოვანი შემოსავალი ლეგალურისაგან, პირველ ყოვლისა, განსხვავდება იმით, რომ მისი მფლობელი გადასახადებს არ იხდის.

ყველა უკანონო შემოსავალი, ალბათ, შეიძლება დაიყოს ორ ძირითად ჯგუფად. პირველ მათგანს მიეკუთვნება ზოგადკრიმინალური წარმოშობის შემოსავლები, ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია კორუფციასთან, ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, კონტრაბანდასთან და ა. შ. თუ ფაქტებს მივმართავთ, შევამჩნევთ: მიუხედავად გარკვეული სპეციფიკისა, შემოსავლების აღნიშნული ტიპები თავისთავად ნაკლებადაა დამოკიდებული ოფიციალურ ეკონომიკურ წყობილებაზე. იმაზე, არის თუ არა ის თანმიმდევრულად საბაზრო თუ სხვა რაიმე. მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ასეთი საქმიანობა, და მამასადამე, მისგან წარმოქმნილი შემოსავლები სოციალურად საშიშადაა აღიარებული და აუცილებელ ლიკვიდაციას ექვემდებარება.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მეორე ნაწილი და შესაბამისი შემოსავლები, პირიქით, განპირობებულია სწორედ ოფიციალური ეკონომიკის კონსტრუქციით და ძირითადად მისი სარკისებური ასახვაა. კავშირი აქ არა პირდაპირი, არამედ ირიბია, იგი სამართლებრივი ნორმების მეშვეობითაა დამყარებული. მაგალითისათვის ავიღოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა. საბაზრო პროცესების ღრმა დეფორმაციებმა, დათრგუნვილი ინფლაციის ათწლეულებმა, ნორმირებული განაწილების დაფუძნებამ და სხვა მიზეზებმა განაპირობა ის, რომ მის ოფიციალურ სექტორში მრავალი წელია შენარჩუნებული მყარი სასაქონლო დეფიციტი. არაოფიციალურმა, ჩრდილოვანმა სექტორმა იმოქმედა სპეკულაციური ბიზნესის გაშლაზე, რომელმაც მისი ორგანიზატორებისა და შემსრულებლებისათვის გიგანტური არალეგალური შემოსავლები მოიტანა. ასეთი საქმიანობა უკანონოდ ითვლება. ის ისეა, რაც სავსებით სამართლიანია, მაგრამ მხოლოდ ჩვენს პირობებში – ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული კოორდინატების განსაკუთრებული სისტემის ჩარჩოებში. ანალოგიურ მიდგომას იმსახურებს არალეგალური ქონებრივი პრივილეგიებიც. იმავე

ქრონიკული სასაქონლო უკმარისობის ნაყოფს ჩრდილოვანი ეკონომიკური საქმიანობის აშკარა ნიშნები აქვს.

როგორია მდგომარეობა უძველესი საბაზრო ტრადიციების მქონე ქვეყნებში? იქ შემოსავლის მიღების მიზნით საქონლის ხელშეორედ გაყიდვა საესებით კანონიერ ბიზნესად ითვლება, ხოლო პრივილეგიური ნატურალური განაწილება საერთოდ არ არსებობს. სპეკულაციური გარიგებების მოცულობა შედარებით მცირეა, რადგანაც არ არსებობს საქონლის დეფიციტის წარმოშობის მექანიზმები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ საბაზრო ტიპის მეურნეობა დარღვეული იყოს ჩრდილოვანი სექტორისაგან. იგი, რა თქმა უნდა, რჩება, მაგრამ იღებს სხვადასხვა ფორმას, მათგან განსხვავებულს, რომლებიც დამახასიათებელია არასაბაზრო სისტემისათვის. კერძოდ, ასეთ ეკონომიკებში ფართოდაა გავრცელებული სავაჭრო მარკების ფალსიფიკაცია, როდესაც იატაკქვეშ დამზადებული დაბალი ხარისხის კუსტარული ნაწარმი საღდება როგორც მსოფლიოში ცნობილი იმ ფირმების პროდუქციად, რომლებიც თვალისჩინივით უფრთხილდებიან თავიანთი პროდუქციის რეპუტაციას. მსგავს ოპერაციებს დიდი ოდენობის ჩრდილოვანი შემოსავლები მოაქვთ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ საქმონებს საზოგადოება დიდი აღშფოთებით ხვდება, ყოველ შემთხვევაში არა ნაკლებ, ვიდრე ჩვენ – სპეკულანტებს.

ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბებისა და იქ მიღებული შემოსავლების განსაზღვრა საკმაოდ ძნელია: მისი წარმომადგენლები ცდილობენ იყვნენ მოშორებით არა მხოლოდ საგადასახადო ინსპექციისაგან, არამედ სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებისაგანაც. საორიენტაციო შეფასებით ყველა სახის ჩრდილოვანი ეკონომიკის ოპერაციების მოცულობა აშშ-ში შეადგენს ერთობლივი ეროვნული პროდუქტის (ეეპ) 2,9%-დან 8,2%-მდე. ანალოგიური მაჩვენებელია ინგლისისათვის 3,3%-8,1%, საფრანგეთისთვის – 6,7%-8,7%, კანადისათვის – 8,6%-10,1%, გერმანიისთვის – 3,7%-8,3%. განსაკუთრებით განვითარებულია იტალიის ეკონომიკის ჩრდილოვანი სექტორი, რომელიც უმთავრესად მოიცავს მშენებლობასა და მომსახურების სფეროებს. იქ ის აღწევს ეეპ-ის 30%-ს.\*

როგორც ჩანს, ჩრდილოვანი ბიზნესის გაქანება განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში მეტად მნიშვნელოვანია. რადგან ეს ასეა, ამდენად საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისაგან, მათი შემდგომი განვითარებისაგან უნდა ველოდოთ არა იმდენად ჩრდილოვანი ეკონომიკის

---

\* Howells I. Economic, technological and locational trends in European services. Aldershot, 1988, p.85-86

ლოკვიდაცის, რამდენადაც მისი ფორმების თანდათანობით შეცვლას. რეალობა ისეთია, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის საბოლოო დამბობა, უკანონო შემოსავლების აღმოფხვრა ჯერ არსად მომხდარა და არც არავის შეძლება. მაგრამ ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების შეზღუდვა შეიძლება და აუცილებელიცაა. ვინაიდან ჩრდილოვანი ეკონომიკის ზოგადკრიმინალურ შესაკრებებთან ბრძოლის მეთოდები საყოველთაოდ ცნობილია, ამიტომ უფრო მეტ სირთულეს წარმოადგენს სწორი პოლიტიკის გამომუშავება მისი მეორე ნაწილის მიმართ, დაეუშვათ, როდესაც ქვეყანა მიდის ბაზრისაკენ, ჩრდილოვანი ეკონომიკის ის ელემენტები, რომლებიც ასეთებად ცნობილი იყვნენ სწორედ თავიანთი საბაზრო წარმოშობის მიზეზით, მიზანშეწონილია მათი ლეგალიზება და სახალხო მეურნეობის ოფიციალურ სექტორში ჩართვა. მაშასადამე, კანონიერად უნდა ჩაითვალოს შესაბამისი შემოსავლებიც.

მეორე ლექციაში განსახილველი იყო ის შეზღუდვები, რომლებიც საბაზრო ეკონომიკას წარმოქმნის სახელმწიფო რეგულირების ფორმებისა და მეთოდებისათვის. მათი ანალიზიდან ჩანს, რომ სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს შემოსავლების გადანაწილებას, უფლებამოსილია, ძირითადად საბიუჯეტო არხები გამოიყენოს. ფასების ადმინისტრაციული მანაჟულირებით შემოსავლების გადანაწილების ნებისმიერი ცდა მიუღებელია და თვით საბაზრო მეურნეობის კონსტრუქციასთან შეუთავსებელი.

სწორედ ასეთი მექანიზმი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა ჩვენს ეკონომიკაში. გარკვეული დოზით მისი გამოყენება გრძელდება ახლაც, საქმე ეხება ბრუნვის გადასახადს. როდესაც სახელმწიფო არა მხოლოდ ადგენს ფასებს, არამედ წინასწარგანზრახულად აფიქსირებს მის გარკვეულ ნაწილს (ბრუნვის გადასახადი, რომელიც მრავალი სამრეწველო საქონლის ფასებში არსებობს), ჩამოყალიბდება მომხმარებლებიდან ბიუჯეტში შემოსავლების გადანაწილების სპეციალური არხი, თუმცა შემდეგ, სახელმწიფო მოსახლეობას უბრუნებს შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც ბრუნვის გადასახადიდან აქვს აღებული. ეს კეთდება იმ საბიუჯეტო დოტაციის დახმარებით, რომლითაც შენარჩუნებულია შედარებით დაბალი სახელმწიფო ფასები ზოგიერთ კვების პროდუქტზე.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი, ასეთი სისტემა იმითაა ცუდი, რომ ანგრევს ბაზრის მექანიზმს და ამიტომ აუცილებლად უნდა იქნეს უარყოფილი. მეტიც, საერთოდ საეჭვოა შემოსავლების გადანაწილების მსგავსი ხერხის პრაქტიკული ეფექტიანობა.

პირველი, ბრუნვის გადასახადიდან მიღებული თანხა სისტემატურად აკარბებს დოტაციის მოცულობას. ე.ი. იმ შემოსავლის ნაწილი, რომელიც


ამოიღება სამრეწველო საქონელზე მაღალი ფასების დაწესებით, იმაზე მეტია, რაც შემდეგ უბრუნდება მოსახლეობას შედარებით დაბალი ფასების სახით. სასურსათო საქონელზე. ნებისმიერი მომხმარებელი იკითხავს: რატომ არსებობს ეს სხვაობა და სად მიდის იგი? მეორე, ხანგრძლივი მომხმარების საგნებსა და მომსახურებაზე (ავტომანქანები, რთული საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვ.) ფასების რეგულარული ამაღლებით სახელმწიფო ორგანოები არაორაზროვნად გადაუყარვენ სიტყვას მდიდარ მომხმარებლებს: რაც უფრო მეტი იქნება თქვენი შემოსავლები, მით უფრო მეტი ბრუნვის გადასახადის გადახდა მოგიწევთ. მაგრამ გაუგებარია, რა დააშავეს მათ, ვინც კარგად მუშაობენ და ბევრს გამოიმუშავენ; მესამე, ბრუნვის გადასახადი ფიგურირებს არა მხოლოდ ძვირადღირებული საქონლის, არამედ, იაფი საქონლის ფასებშიც. მას იხდიან, როგორც მდიდრები, ისე ღარიბები, ერთი სიტყვით, ყველა ვინც ყიდულობს მაგიდას, პერანგს, უთოს, რადიომიმღებს, მაგრამ თუ ბრუნვის გადასახადი თანაბრად "კრიკავს" ყველა შემოსავალს, ის ვერც ასრულებს თავის დანიშნულებას, არ იძლევა გადანაწილებით ეფექტს; მეოთხე, ბიუჯეტისათვის ბრუნვის გადასახადის მიცემით, მომხმარებელს შეუძლია კომპენსაციის მიღება მაშინ, როდესაც შეიძენს საკმაო რაოდენობის სასურსათო საქონელს, ამასთან, დაბალ სახელმწიფო ფასებში. რაც უფრო ნაკლებია ასეთი საქონელი სახელმწიფო ვაჭრობაში, მით უფრო ნაკლებია კომპენსაციების სიდიდეები, მით მეტად ჰგავს ბრუნვის გადასახადი დამატებით აქციზურ გადასახადს, რომლითაც სახელმწიფო ბეგრავს მოსახლეობას და სანაცვლოდ არაფერს აძლევს მას.

ამრიგად, შემოსავლების გადანაწილების ფასობრივი მექანიზმი არასაბაზრო მეურნეობაშიც კი არ იძლევა სათანადო ეფექტს. თუ საგნებს თავის სახელებს დავარქმევთ, მაშინ მისი შემოღება იყო ეკონომიკური ავანტიურა, რომლის საბოლოო ფასი ჭერაც არ არის ცნობილი. ბრუნვის გადასახადის დაწესება ადვილია, მაგრამ მისი მოშორება ძალზე ძნელია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ მის წილად მოდის სახელმწიფო ბიუჯეტში შენატანების სოლიდური ნაწილი.

ზემოთ ჩვენ ძირითადად შევეხეთ შემოსავლების გადანაწილების პირდაპირ არხებს, რომლებიც გადასახადებსა და სახელმწიფო ხარჯებზე გადიან. არის მრავალი არაპირდაპირი მეთოდიც. თუ, მაგალითად, მოსახლეობის ხელმოკლე ფენა იბეგრება შეღავათიანი პირობებით, მაშინ ბიუჯეტოდან არაფრის მიღების მიუხედავად, ის მაინც ხდება უფრო მაღალი შემოსავლების მფლობელი, რაც რამდენადმე ამცირებს საბაზრო განაწილების უსამართლობას. მსგავს ეფექტებს იძლევა უფასო

მოსახურების განაწილების საარჩევნო პროცედურა, როდესაც, ვთქვათ, ღარიბები იღებენ უპირატესობის უფლებას სახელმწიფო განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის საქმეში, საკუთრების აქციონერული ფორმების განვითარებასა და მოგების განაწილებაში, მონოპოლიურ ფასებზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში და სხვ. ყველა ეს ღონისძიება უფრო სამართლიანს ხდის, და, ამავე დროს, რამდენადმე შესაძლებელია ნეგატიურ ზემოქმედებას არ ახდენს საბაზრო პროცესების მიმდინარეობაზე. კარგი შედეგები იმ შემთხვევაში მიიღება, როდესაც, სახელმწიფო აღწევს ეკონომიკის საერთო სტაბილიზაციას. კერძოდ, ყველი წარმატება ინფლაციასთან ბრძოლაში შეიძლება შეფასდეს, როგორც მისგან გამოწვეული სოციალური უთანასწორობის ლიკვიდაციისაქენ წინგადადგმული ნაბიჯი.  $\downarrow$

თუ საბაზრო ეკონომიკაში გარდუვალა უთანასწორობის წარმოქმნა შემოსავლების განაწილებაში, შეიძლება თუ არა მისი გაზომვა? ამ



ნახ. 10.1

საქითხზე პასუხისათვის ყურადღება მივაპყროთ ნახ. 10.1.


Y - ერთობლივი შემოსავლის განაწილებაა, N - მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის განაწილება. თუ  $\bar{Y}$  ერთობლივ შემოსავალს მივიღებთ ერთ ერთეულად და იმავეს გავაკეთებთ მოსახლეობის რიცხოვნობის (n) მხრივაც, მაშინ, დავუშვათ, A წერტილი გამოხატავს იმ ფაქტს, რომ შემოსავლის 100% განაწილებულია მოსახლეობის 100%-ზე. ვთქვათ, ერთობლივი შემოსავალი ცალკეულ ადამიანებს შორის აბსოლუტურად თანასწორად ნაწილდება. გრაფიკულად ეს ნიშნავს იმას, რომ OEA წრფე OCAB კვადრატს გაყოფს ორ თანაბარ ნაწილად. მაშინ, მაგალითისათვის, E წერტილი მიუთითებს: მოსახლეობის 50%-ს ეკუთვნის საერთო შემოსავლის 50%.

მაგრამ, როგორც ვიცი, საბაზრო ეკონომიკაზე უარყოფითად მოქმედებს სრული თანასწორობა. მაშასადამე, რეალური განაწილება დახასიათდება არა წრფით, არამედ OFA მრუდით (მას ლორენცის მრუდს უწოდებენ). თუ ჩვენ შევძლებთ გამოვიანგარიშოთ ფართობი, რომელიც



წარმოქმნილია OEA წრფითა და OFA მრუდით (10,1 ნახ-ზე იგი დაშტრახულია), მაშინ მისი OEAB სამკუთხედის ფართობზე გაყოფით მივიღებთ მაჩვენებელს, რომელიც უთანაბრობის დონეს ზომავს და რომელიც ზინის კოეფიციენტის სახელს ატარებს. რაც უფრო მეტია ეს კოეფიციენტი, და რაც უფრო ახლოსაა ლორენცის მრუდი OB და AB მონაკვეთთან, მით ძლიერია უთანასწორობა.

ზინის კოეფიციენტის განსაზღვრისათვის, ლორენცის მრუდი შევცვალოთ ტეხილი ხაზით, რაც სრულად პასუხობს პირადი შემოსავლების სიდიდეებზე არსებული სტატისტიკური მონაცემების ხასიათს. ვინაიდან მოსახლეობის მთელი რიცხოვნობა  $n$ -ს უდრის და ერთეულადაა მიღებული, ამიტომ თითოეული ადამიანის წილი შეადგენს  $\frac{1}{n}$ -სიდიდეს. ახლა განვიხილოთ ერთობლივი შემოსავლის განაწილება.  $\frac{Y_1}{Y}$  გვიჩვენებს მასში არსებული ერთი სუბიექტის წილს,  $\frac{Y_2}{Y}$  - მეორისას



ნახ. 10.2

და ა.შ.  $N$  ლერძზე დავალაგოთ სიდიდით თანატოლი  $\frac{1}{n}$  პონაკვეთები,  $Y$  ლერძზე  $n$ -ერთობლივი შემოსავლების განაწილების შესაბამისი მაჩვენებლები (ნახ. 10.2).

თავდაპირველად განვსაზღვროთ OFAB ფართობი, მისი პირველი ელემენტი გახდება მართკუთხოვანი სამკუთხედის ფართობი  $\frac{1}{2} \frac{1}{n} \frac{y_1}{\bar{y}}$ , რადგანაც მისი ერთი მხარე  $\frac{1}{n}$ -ს უდრის, ხოლო მეორე  $= \frac{y_1}{\bar{y}}$ -ს. ანალოგიურად გაიანგარიშება

OFAB ფართობის დანარჩენი ნაწილები:

$$S_{OFAB} = \frac{1}{2} \frac{y_1}{\bar{y}} + \frac{1}{2} \frac{y_2 - y_1}{\bar{y}} + \frac{1}{2} \frac{y_3 - y_2}{\bar{y}} + \dots + \frac{1}{2} \frac{y_n}{\bar{y}} \quad (10.1)$$

მარტივი გარდაქმნების გატარებით მივიღებთ:

$$S_{OFAB} = \frac{y_1 + y_2 + \dots + y_{n-1}}{n\bar{y}} + \frac{1}{2} \frac{y_n}{\bar{y}} \quad (10.2)$$

სამართლიანია თუ არა ეს შედეგი იმ შემთხვევაში, როდესაც შემოსაულების ნამდვილი განაწილება მაინც წარმოადგენს ლორენცის მრუდს? 10.1 ნახაზით თუ ვიმსჯელებთ, ის გამოიყურება  $\frac{Y}{Y}$  (N) ფუნქციის სახით. მაშინ OFAB ფართობი ამ ფუნქციის ინტეგრალის ტოლი იქნება 0-დან 1-მდე ინტერვალში. თუ გამოვიყენებთ ინტეგრალის გამონაგარიშების რიცხობრივ მეთოდებს, კერძოდ, ტრაპეციის კვადრატულ ფორმულას, ჩვენ უნდა მივიღეთ გამოსახულებასთან, რომელიც (10.2) ნახაზის ანალოგიურია:

$$S_{OFAB} = \int_0^1 \frac{Y}{Y} (n) dN = \sum_{i=1}^{n-1} \frac{1}{n} \cdot \frac{1}{2} \left( \frac{Y_i}{Y} + \frac{Y_{i+1}}{Y} \right) =$$

$$= \frac{1}{n} \left( \frac{1}{2} \cdot \frac{Y_0 + Y_n}{Y} + \frac{Y_1}{Y} + \dots + \frac{Y_{n-1}}{Y} \right) = \frac{Y_1 + \dots + Y_{n-1}}{nY} + \frac{1}{2} \cdot \frac{Y_0 + Y_n}{nY} \quad (10.3)$$

რადგანაც ამოცანის ეკონომიკური აზრი ისეთია, რომ  $y_0=0$ -ს (0 წერტილი), გამოსახულება (10.3) ფორმულა (10.2)-ის იდენტური გახდება.

დაგვრჩა დაშტრიხული არის სიდიდის გამოთვლა, რომელიც OFA წრფესა და OFA მრუდს (ტეხილი ხაზი) შორის მდებარეობს. იმის გათვალისწინებით, რომ მარკუთხოვანი სამკუთხედის (OEAB) თითოეული მხარე უდრის ერთ ერთეულს, ხოლო მისი ფართობი  $-\frac{1}{2}$  -ს, გვექნება:

$$S_{OEAF} = S_{OEAB} - S_{OFAB} = \frac{1}{2} - \frac{Y_1 + \dots + Y_{n-1}}{nY} - \frac{Y_n}{2nY} \quad (10.4)$$

ჩინის კოეფიციენტის მისაღებად  $S_{OEAF}$  ფართობი უნდა გავყოთ  $S_{OEAB}$  ფართობზე:

$$h = 1 - \frac{2(Y_1 + \dots + Y_{n-1})}{nY} - \frac{Y_n}{nY}, \quad (10.5).$$

სადაც:  $h$  - ჩინის კოეფიციენტია.

(10.5) ფორმულა გამოდგება მატერიალური უთანაბრობის დონის გაზომვასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პრაქტიკული ამოცანების ამოსახსნელად. მოვიტანოთ პირობითი მაგალითი. დავუშვათ, რომ "საზოგადოება" შედგება ორი ადამიანის - ივანოვისა და პეტროვისაგან. ამათგან პირველის შემოსავალი ( $y_1$ ) 100 მანეთს შეადგენს, მეორის

შემოსავალი ( $y'_n$ ) – 200 მანეთს, ერთობლივი შემოსავალი ( $y'$ ) კი – 300 მანეთს. გამოვიანგარიშოთ ჯინის კოეფიციენტი:

$$h^1 = 1 - \frac{2 \cdot 100}{2 \cdot 300} - \frac{200}{2 \cdot 300} \approx 0.33$$

დავუშვათ, თითოეულის ხელფასი 100 მანეთით გადიოდა. მაშინ,  $y^2$ , 200 მანეთის ტოლი იქნება,  $y'_n$  – 300 მანეთის, ხოლო  $\bar{y}^2$  – 500 მანეთის, ქონებრივი უთანასწორობის დონე გახდება:

$$h^2 = 1 - \frac{2 \cdot 200}{2 \cdot 500} - \frac{300}{2 \cdot 500} = 0.3$$

უთანასწორობა იმიტომ შემცირდა, რომ შემოსავლების შეფარდება ივანოვის სასარგებლოდ შეიცვალა. როდესაც ორივე მონაწილე ლარიბი იყო, მის წილად მოდიოდა ერთობლივი შემოსავლის დაახლოებით 33%. მას შემდეგ, რაც ივანოვი და პეტროვი ცოტათი გამდიდრდნენ, პირველის წვლილი ერთობლივ შემოსავალში 40%-მდე გაიზარდა, რაც დააფიქსირა ჯინის კოეფიციენტმაც.

ანტიინფლაციური რეგულირება, იძულებითი უმუშევრობის წინააღმდეგ ქმედება, შემოსავლების გადანაწილება ჯერ კიდევ ვერ ამოწურავს სახელმწიფო ფუნქციების მრავალსახეობას საბაზრო ეკონომიკაში. მისი მონაწილეობის გარეშე წარმოუდგენელია სახალხო მეურნეობისათვის საშიში მონოპოლიზმის გამოვლინებათა დაძლევა. მონოპოლისტურ სტრუქტურათა ტიპების ანალიზს, საბაზრო პროცესებზე მათი ზემოქმედების შედეგებს, დემონოპოლიზაციის პრინციპებს და სხვა საკითხებს განვიხილავთ შემდეგ ლექციაში.

მონოპოლიზმი და მისი დაკლვის გზები

მოვლენის შეფასება. მონოპოლია. კონკურენცია და სახელმწიფო. მონოპოლიზმის ტექნოლოგია. ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები. სახელმწიფო ბუნებრივი მონოპოლიები. მონოპოსონია. ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა და მონოპოლიზმის განსაკუთრებული ფორმა. ბუნებრივი მონოპოლიის ზონა. ქარბი მონოპოლიზმის ნეგატიური შედეგები: ფასები, პროდუქციის ხარისხი, წარმოებისა და მიწოდების სიდიდეები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, კვლავწარმოებითი კავშირების სიმტკიცე. ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი და მომხმარებელთა მონოპოლისტური ექსპლუატაციის მასშტაბების გაზომვა. სახელმწიფო კონტროლი მონოპოლიურ ბაზრებზე. ანტიმონოპოლიური პოლიტიკის მიზნები, პრინციპები და ფორმები. სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები.

(მონოპოლია განეკუთვნება საბაზრო მოვლენათა რიცხვს. მისი არსებობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მონოპოლისტური ქცევის ნიშნების მიხედვით, სახელდობრ — საბაზრო მექანიზმების მსხვერუთ (მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამუხრუჭება, მაღალი ფასების შენარჩუნება და ა. შ.). მაგალითად, თუ წარმოებაში, ვაჭრობაში, საბანკო საქმეში წარმოიქმნა მსხვილი საწარმო, რომელიც დომინირებს ეკონომიკის რომელიმე სექტორში, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ის ბაზარზე აუცილებლად იმოქმედებს როგორც მონოპოლია. ავიღოთ აშშ-ის კორპორაცია — "ინტერნეინშელ ბიზნეს მეშინზი" (იბმ) — მსოფლიოში წამყვანი ელექტრონული კომპანია, რომელიც ითვლება კომპიუტერული ტექნოლოგიის ელემენტების წარმოების აღიარებულ მსოფლიო ლიდერად. უკვე მრავალი წელია, რაც ის ზრდის (და არ ზღუდავს) წარმოებასა და გაყიდვას, მუდმივად სრულყოფს (და არ აუარესებს) ნაწარმის ხარისხს და აფართოებს მის ასორტიმენტს, იმყოფება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე საზზე (და ხელს არ უშლის მისი შედეგების ათვისებას), ახდენს ფასების მოქნილ მანევრირებას (და არ ცდილობს მათ მონოპოლიურ მაღალ ფასებად შენარჩუნებას). თუნდაც ამიტომ იბმ და მისი მსგავსი კორპორაციები სათუთა ჩაითვალოს მონოპოლიებად. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მონოპოლიზმის სახესხვაობანი,

რომელთა წარმოქმნასთან კორპორაციებს საერთო არაფერი აქვთ. მონოპოლისტური ტენდენციების წყაროებს შეიძლება წარმოადგენდეს წერილი და საშუალო ზომის საწარმოები, სახელმწიფო და ა. შ.

რა თქმა უნდა, მსხვილ ბიზნესში ყველთვისაა მონოპოლიზმის მნიშვნელოვანი პოტენციალი. ნებისმიერი მძლავრი კორპორაცია უარს არ იტყვის, ისარგებლოს წარმოებაში უპირატესი მდგომარეობით; მას იზიდავს დიქტატის დამყარება ბაზარზე, რადგანაც ეს უკანასკნელი ითვლება ეკონომიკური ქცევის ერთ-ერთ ეფექტიან ვარიანტად. თუმცა თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში ასეთი შესაძლებლობა ყველთვის არ გადაიქცევა რეალობად. მონოპოლიზაციას აკავებს პრაკტიკული ძლიერმოქმედი მექანიზმი. მათ შორის უნდა გამოიყოს თვით ბაზარი, უკვე ჩვენ მიერ ნახსენები წარმოებისა და გაყიდვის დიფერსიფიკაცია, ცალკეული ქვეყნების ღრმა ინტეგრაცია მსოფლიო მეურნეობაში, სახელმწიფოს პოლიტიკა.

(ბაზარი და კონკურენცია ყველთვის იყო მონოპოლიზმის ანტიპოდები. მათი პირისპირ დგომის პრაკტიკული წლის განმავლობაში სწორედ ბაზარი წარმოადგენდა იმ რეალურ ძალას, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ეკონომიკის ტოტალურ მონოპოლიზაციას. იქ, სადაც ბაზარი აგრძელებდა მუშაობას, მონოპოლიზმის გავრცელება ძალიან შორს არ წასულა. დამყარდა მერყევი წონასწორობა, როდესაც მონოპოლია კონკურენციასთან თანაარსებობით ინარჩუნებს ძველს და ბადებს მის ახალ ფორმებს. იქ კი, სადაც ბაზარი დაანგრის, მონოპოლიზმმა, რამდენადაც იგი არ აწყდებოდა წინააღმდეგობებს, დააზიანა მთელი სახალხო მეურნეობა.)

განვითარებული საბაზრო სისტემების ქვეყნებში ეს მერყევი ბალანსი დიდხანს იყო შენარჩუნებული, ვიდრე ბაზრის ბუღსა და მის ეფექტიან ფუნქციონირებაზე პასუხისმგებლობა სახელმწიფომ არ აიღო, რომელმაც შეძლო სიტუაციის ძირეული შეცვლა. საბაზრო კონკურენციის დასაცავად, მტკიცედ მდგომმა სახელმწიფომ მონოპოლიზმს დაუპირისპირა მთელი თავისი ეკონომიკური და პოლიტიკური პოტენციალი, მოქმენა ანტიმონოპოლიური პროფილაქტიკის ქმედითი საშუალებები და ეკონომიკისათვის საშიში მონოპოლისტური სტრუქტურების დემონტაჟის მექანიზმები. ბევრ რამეში ამ მიზეზით მსხვილი კორპორაციები, რომელთაც, თითქოს, განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე შეეძლოთ დაეთრგუნათ კონკურენციის ნებისმიერი ფორტები, ხშირად ამჯობინებენ თავისი შეკავებას მონოპოლისტური ქცევისაგან. / და იქცევიან ასე არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეშინიათ ანტიმონოპოლიური კანონების სანქციებისა, უბრალოდ, ისინი მოქმედებენ სახელმწიფოს მიერ

ჩამოყალიბებულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გარემოში, სადაც ადგილი აქვს არა მონოპოლიზმის, არამედ კონკურენციის წახალისებას, სადაც პირველი ვარიანტი მეორესთან შედარებით უფრო მომგებიანია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უკვე დიდი ხანია ებრძვის უპატიოსნო კონკურენციას, ცდილობს შეზღუდოს მონოპოლისტური ტენდენციები, მათგან დაიცვას ეკონომიკა. მაგრამ მხოლოდ 80-იან წლებში ამ პოლიტიკამ შეიძინა ისეთი მასშტაბები, რომ დროა, ალბათ, ითქვას ახალი თვისებრიობის – სახელმწიფოს რეგულარულ ფუნქციად, მისი საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად დემონოპოლიზაციის გადაქცევის შესახებ. აქ, რა თქმა უნდა, ბევრი რამ გააკეთა კონსერვატორული ორიენტაციის მთავრობებმა, რომლებიც აშშ-ის, ინგლისისა და სხვა განვითარებული ქვეყნების ხელისუფლებაში მოვიდნენ. და მაინც მათ მხოლოდ პოლიტიკური იმპულსი მისცეს, უბიძგეს დემონოპოლიზაციის ობიექტურად აუცილებელ პროცესს, სწორად აღიქვეს, რომ საერთო კონკურენტული ტონუსის გარეშე ვერ განხორციელდება ვერც წარმოების სტრუქტურული გაარდაქმნები თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე, ვერც ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებრიობაზე გადასვლა. დემონოპოლიზაციის პრობლემები, ისევე როგორც განსახელმწიფოებრივება, იმდენად გამწვავდა, რომ, თუკი ნეოკონსერვატორები ოპოზიციაში დარჩებოდნენ, მათ გადაწყვეტილებას უქველად გაითვალისწინებდნენ სოციალ-დემოკრატები, ლიბერალები, ლეიბორისტები და დასავლეთის სხვა პოლიტიკური ძალები.

ამჟამად მონოპოლიზმზე შეტევა ფართო ფრონტით მიდის, მაგრამ უფრო თანმიმდევრულად – ტექნოლოგიური პროგრესის განმსაზღვრელ სექტორებში. სახელმწიფო მართლზომიერად ეყრდნობა საბაზრო სტიმულებს და ცდილობს, ისე წარმართოს საქმე, რომ ლოკომოტივის ძრავა, რომელსაც თან მიჰყავს მთელი ეკონომიკა, შეუფერხებლად მუშაობდეს. ამა თუ იმ ბაზრის დემონოპოლიზაციის საკითხი წყდება სრულყოფილი ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის საფუძველზე. ის სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდება საბოლოო შედეგებზე, იმაზე, შეუძლიათ თუ არა იქ მოქმედ კორპორაციებს, უზრუნველყონ თავისდროული, მოთხოვნით განპირობებული გამოსაშვები პროდუქციის სტრუქტურის განახლება, მისი მაღალი კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, ხარისხის ამაღლება, ფასების ელასტიკურობა. თუ ამ პარამეტრებს აქვთ უკუქმედების ნიშანი, ბაზარი მონოპოლიზებულად იქნება აღიარებული. ხოლო იქ მოქმედი სტრუქტურები დაექვემდებარება

დემონოპოლიზაციას. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მართვის სრულყოფას, განსაკუთრებით, ახალი ბაზრებისას. მათი გამოჩენისთანავე, როგორც წესი, ევოლუციას იწყებს სახელმწიფო ინსტიტუტებიც, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია მაღალი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება ხდება. ანტიმონოპოლიური რეგულირება არ იზღუდება რაღაც დროებითი ჩარჩოებით. ვინაიდან თანამედროვე ეკონომიკა ისეა მოწყობილი, რომ იგი აუცილებლად ბადებს მონოპოლიზმს, მის წინააღმდეგ მოქმედება სახელმწიფოს მუდმივ მოვალეობად გადაიქცა.

მსოფლიო ეკონომიკური თეორიისა და პრაქტიკისათვის ცნობილია მონოპოლიზმის სულ მცირე ექვსი ნიშანი,\* ჩვენი მკითხველებისათვის, ალბათ, ყელაზე მეტად ცნობილია მათგან ის, რომელიც ლენინის მიერ არის გამოკვლეული. შეგახსენებთ, რომ ლენინის მიხედვით მონოპოლიზმი აღმოცენდება კონკურენციისაგან, რომელიც ეყრდნობა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციასა და ცენტრალიზაციას. ყურადღება მივაქციოთ უკანასკნელ გარემოებას. გამოდის, რომ მონოპოლია, რომელიც იღგა იმპერიალიზმის ლენინური ანალიზის ცენტრში, სხვადასხვა სახით გამოჩნდება სინათლეზე, ისეც ხდება, რომ საბაზრო მეურნეობის პირობებში ის წარმოგვიდგება საწარმოო ძალების განვითარების პირდაპირ შედეგად, განასახიერებს წარმოების მატერიალური და ორგანიზაციული სტრუქტურების ცვლილებებს. შეიძლება სხვანაირადაც მოხდეს, როდესაც საბანკო საქმეში, სადაზღვევო ბიზნესში და ა. შ. წარმოქმნილი მონოპოლია არაპირდაპირ კავშირშია ამ ცვლილებებთან და წარმოიშობა მხოლოდ კაპიტალის თვითზრდის შედეგად. კონკურენციის გვერდით არსებული ასეთი მონოპოლია განაპირობებს ტექნოლოგიური პროგრესის შენელების ტენდენციას და საერთო ეკონომიკურ მოდუნებას.

საკვებით ნათელია, რომ მონოპოლიზმის აღნიშნული ტიპი ამჟამადაც შეიქმნევა. მართლაც, იგი დიდ საფრთხეს წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკისათვის და მუდმივად იმყოფება სახელმწიფოს ყურადღების ცენტრში, რადგანაც არის დემონოპოლიზაციის ყელაზე მეტად გავრცელებული ობიექტი. საქმე ეხება არა იმას, რომ შეიცვალოს კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ობიექტური პროცესები. სრული მოცულობით ამისი გაკეთება შეუძლებელია, თუმცა იმავე ცენტრალიზაციას თანამედროვე სახელმწიფო საკმაოდ მკაცრად

---

\* მონოპოლიების ორგანიზაციული ფორმების ახსნა პოლიტეკონომიის ნებისმიერ სახელმძღვანელოში მოცემული

აკონტროლებს და საწარმოთა ყოველი შეერთება არ ითვლება კანონიერად და დასაშვებად. სახელმწიფო ისახავს სხვა მიზანს — კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის საფუძველზე აღმოცენებული მსხვილი ბიზნესის ისეთი სახის მონოპოლიებად გადაქცევის თავიდან აცილებას, რომლებიც არღვევენ საბაზრო მექანიზმების ნორმალურ ფუნქციონირებას.

მონოპოლიზმის მეორე ტიპია ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები. მასში იგულისხმება რამდენიმე მსხვილი კორპორაცია, რომელიც აკონტროლებს გარკვეული პროდუქციის წარმოებასა და გასაღებას. მათი ბატონობა ბაზარზე ატარებს განსაკუთრებულ ხასიათს: ის მხოლოდ ტექნოლოგიის სპეციფიკურობითაა განპირობებული. მაგალითისათვის გამოგვადგება მეტალურგია, ელექტროენერგეტიკა, რკინიგზის ტრანსპორტი, ე. ი. დარგები, რომლებშიც თვით ტექნოლოგია ხდის ეკონომიკურად ეფექტიანს მხოლოდ მსხვილ, ხშირად ცენტრალიზებულ წარმოებებსაც კი, და რომლებიც აკონტროლებენ მატერიალური, ფინანსური და ადამიანთა რესურსების მნიშვნელოვან ნაწილს.

ერთი მხრივ, ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები მოქმედებენ როგორც პირველი ტიპის მონოპოლიზმის სახესხვაობანი, მეორე მხრივ, მათ აქვთ უნიკალური თვისებები, რომლებიც პირველი ჯგუფის სხვა მონოპოლიებს არ გააჩნიათ. ტექნოლოგიურ ოლიგოპოლიებს შეიძლება ბუნებრივად ვუწოდოთ, რამდენადაც ბუნებრივია მისი წარმომშობი წარმოების თავისებური კონფიგურაცია. აქ ეკონომიკური გარემოებების როლი ნაკლებია, რამეთუ ტექნოლოგიური ოლიგოპოლიების გაჩენა ნაკლებადაა დაკავშირებული კაპიტალის თვითზრდასთან, მოგების მაქსიმიზაციასთან.

აქედან გამომდინარეობს ის, რომ ეკონომიკის იმ სექტორებზე, სადაც ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები დომინირებენ, დემონოპოლიზაცია არ ვრცელდება. მართლაც, ძნელი წარმოსადგენია მაღალკონკურენტუნარიანი ბაზრის გაჩენა ათეულ ათასობით საწარმოს მონაწილეობით, დავუშვათ, ფოლადსახმელ მრეწველობაში ან მოქმედი რკინიგზის გვერდით ახალი, მისი კონკურენტი რკინიგზის მშენებლობა. ეს წინააღმდეგობას გაუწევდა გაბატონებული ტექნოლოგიის პარამეტრებს და, მაშასადამე, საღ აზრსაც. ბაზრები, რომლებიც დაპყრობილია ოლიგოპოლიების მიერ, მონოპოლიურნი არიან ბუნებრივ საფუძვლებზე და ასეთებად ისინი კიდევ დიდხანს დარჩებიან.

პირველ ლექციაში ჩვენ უკვე შევეხეთ პროდუქციის დიფერენციაციით განპირობებული მონოპოლიზმის განსაკუთრებულ სახესხვაობას. მაშინ როდესაც, მაგალითად, საწარმოთა თვისებების პროდუქციას ადებს სავაჭრო მარკას, ხოლო ვაჭარი მყიდველებს იტყუებს მაღაზიაში საქონლის



არაჩვეულებრივი შეფუთვით ან ფასდაკლებით მუდმივი მყიდველებისათვის, საბაზრო კონკურენციაში შეიტანება ახალი, მონოპოლისტური მოტივები. კომერციული წარმატება მოდის არა მარტო თვით ნივთის ფასისა და სამომხმარებლო თვისებების გავლენით, არამედ იმითაც, შეძლებს თუ არა გამყიდველი, თავისი თავი დააყენოს ბაზარზე პრივილეგირებულ, მონოპოლიურ მდგომარეობაში. განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში მონოპოლიზმის ეს ტიპი ძალზე ფართოდ გავრცელდა და თუ პრაქტიკას დავეყრდნობით, მისი რეგულირება საკმაოდ ძნელია. შევნიშნავთ, რომ წარმოების მასშტაბების, კაპიტალის კონცენტრაციისა და ცენტრალიზაციის ზეგავლენა აქ თითქმის არ იგრძნობა. პროდუქციის დიფერენციაციით მონოპოლიად გადაქცევა ძალუძს არა მხოლოდ მსხვილ, არამედ ნებისმიერ სხვა ფირმასაც.

იგივე შეიძლება ითქვას მონოპოლიზმის მეოთხე ტიპზეც, რომელიც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამა თუ იმ მიმართულების ლიდერ საწარმოებს მოიცავს. ასეთი სახის მონოპოლია დროებით ხასიათს ატარებს და ქრება მეცნიერული გამოკვლევებისა და ტექნოლოგიური დამუშავებების შედეგების გავრცელებისა და კომერციული ათვისების კვალობაზე. ადვილად შესამჩნევია, რომ აქ საქმე გვაქვს ბუნებრივი მონოპოლიზმის მორიგ ფორმასთან. ამიტომ სახელმწიფოს ჩარევა მინიმალური უნდა იყოს და უმთავრესად შემოიფარგლოს სამართლებრივი ნორმების შემოღებით, რაც ხელს შეუწყობს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის უფრო თავისუფალ გაცვლას, როგორც ცალკეული ქვეყნების შიგნით, ისე მათ შორისაც.

მესამე გზაზე შეიძლება ჩაერთოს ბუნებრივი სახელმწიფო მონოპოლიები. ბევრ მათგანს ჩვენ უკვე შევხვდით. კერძოდ, აბსოლუტურად ბუნებრივად გამოიყურება სახელმწიფო მონოპოლია ცენტრალური ფულის (რუბლის, დოლარის და ა. შ.) მიწოდების ორგანიზაციასა და რეგულირებაზე. სწორედ ის აძლევს თავისებურებას ფულის ბაზარს, სადაც სახელმწიფო-მონოპოლისტს უპირისპირდებიან ფულზე მოთხოვნის მქონე ეკონომიკური სისტემის დანარჩენი სუბიექტები. არანაკლებ ბუნებრივია სახელმწიფო მონოპოლია იმ არაელასტიკური მოთხოვნის საქონელთა ბაზრებზე, რომლებიც ნებისმიერი სამომხმარებლო ნაკრების განუყოფელ და შეუცვლელ ელემენტებს შეადგენენ. ის შეიძლება გამოიხატოს ასეთი ნაწარმის წარმოების ნაციონალიზაციით, მის სახელმწიფო საკუთრებაში ჩართვით, ფასებზე ადმინისტრაციული კონტროლით, აქციზური დაბეგვრის ფიქსირებული განაკვეთების დადგენით ან რომელიმე სხვა ფორმით.

სავესებით გამართლებულია, როდესაც სახელმწიფო ბაზრის მაგიერ თავის თავზე იღებს მთელ პასუხისმგებლობას მოსახლეობის საზოგადოებრივი საქონლით მომარაგებაში.\* ასე ქმედებისას სახელმწიფო ხშირად იმყოფება ზოგიერთი საქონლისა და მომსახურების მონოპოლიური მომხმარებლის როლში. მართლაც, ის ასრულებდა, ასრულებს და უახლოეს წლებში უეკველად შეასრულებს ბუნებრივი მონოპოლისტის ფუნქციას, როცა გამოდის, ვთქვათ, სამხედრო ტექნიკის ან სტრატეგიული დანიშნულების სხვა ნაკეთობების და მომსახურების ერთადერთ მყიდველად.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ სამომხმარებლო მონოპოლია არ არის მხოლოდ სახელმწიფოებრივი. ძნელი არ არის წარმოიდგინო სიტუაცია, როდესაც, მაგალითად, ერთი ან რამდენიმე მეტალურგიული კომბინატი მონოპოლისტი ხდება ნედლეულის გასაღების საქმეში, რომელსაც მოიპოვებს და ყიდის მრავალი საწარმო. ამ შემთხვევაში საბაზრო ვითარება მოგვაგონებს იმას, რაც დამახასიათებელია ტექნოლოგიური ოლიგოპოლისათვის. მაგრამ, თუ ეს უკანასკნელი ატარებს ბუნებრივ ხასიათს, მაშინ შემსყიდველი მონოპოლიის მრავალ სახეზე ამის თქმა არ შეიძლება. იმ ქვეყნებში, რომლებიც დაზარალდნენ ადმინისტრაციულ-შბრძანებლური სისტემის ძალადობით, მონოპოლისტური სტრუქტურები როდი იპყრობენ მხოლოდ წარმოებასა და მიწოდებას. თავიანთი გავლენის ქვეშ ისინი მოთხოვნის სფეროსაც მოაქცევენ. ამასთან, როგორც წესი, მათ არა აქვთ ბუნებრიობის სულ მცირე ნიშანიც კი. მყიდველის მონოპოლიის ეს და მრავალი სხვა სახესხვაობა მსოფლიო ეკონომიკური მეცნიერების მიერ აღინიშნება მონოპოლისტური ტერმინით.

მონოპოლიზმის მეექვსე და უკანასკნელი ტიპი დამახასიათებელია იმ ეკონომიკისათვის, სადაც ადმინისტრაციულ-შბრძანებლური ძარტვა ბატონობს. თუ მას შევხედავთ ეკონომიკური მიზანშეწონილობის თვალთახედვით და -თანამედროვე საბაზრო მეურნეობის მიღწევების გათვალისწინებით, მაშინ მხოლოდ მისი უმნიშვნელო ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს ბუნებრივად. დანარჩენში კი მეექვსე ტიპის მონოპოლიზმი უაღრესად ნეგატიური მოვლენაა. მან დიდი ზარალი მიაყენა იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც მიდიოდნენ სახელმწიფო სოციალიზმის გზით, პირველ ყოვლისა კი, საბჭოთა სახალხო მეურნეობას. ასეთი ტიპის მონოპოლისტური წარმონაქმნები აუცილებლად უნდა გაუქმდეს.

მონოპოლიზმის: მოცემული სახესხვაობა მისი სხვა ფორმებისაგან განსხვავდება მინიმუმ სამი თვისებით. პირველი, მონოპოლიზმის ეს ტიპი

\* მათი დამახასიათებელია მოცემულია პირველ ლექსიაში.

სწრაფად ხდება ტოტალური, მთლიანად ფარავს ეკონომიკას, აღწევს ეკლავწარმოების ყველა სფეროში. საბაზრო მეურნეობის ქვეყნებში მონოპოლიზაცია ძირითადად მოიცავს წარმოებასა და მოხმარებას, ამასაც მხოლოდ ნაწილობრივ. მაგრამ მათ არ იციან განაწილებისა (ჩვენს ეკონომიკაში მრავალი წელი განუყოფლად ბატონობდა სახმომარაგება) და გაცვლის (აქ ბატონობდა ვაჭრობის სამინისტრო, ფასების სახელმწიფო კომიტეტი და სხვა სახელმწიფო სტრუქტურები) საყოველთაო მონოპოლიზაცია. მერვე, ამ ტიპის მონოპოლიზმისათვის დამახასიათებელია ბაზრების მონოპოლიზაციის განსაკუთრებით მაღალი დონე. სსრ კავშირის სახალხო დემუტატთა I ყრილობაზე გამოსვლისას მაშინდელმა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ი. რიეკოვა ისაუბრა იმის თაობაზე, რომ ქვეყანაშია ათასზე მეტი საწარმო, რომლებიც მთლიანად აკონტროლებს ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებას, ე. ი. არაან წმინდა წყლის მონოპოლისტები. მაგრამ რას ნიშნავს "მეტი?" ამის მერე გასაგებია, რომ გაცილებით მეტი იქნება ფარული მონოპოლისტები, რომელთა ხელშიცაა, ვთქვათ, წარმოებისა და გასაღების 90 ან 80%. საერთოდ კი შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მონოპოლიზმის ასფალტის სატყენმა საბჭოთა ეკონომიკა დატყენა უპრეცედენტოდ საფუძვლიანად. ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რომ სამუდამოდ ჩაეხშოთ მეწარმეობისა და კონკურენციის ნებისმიერი ყლორტები. არც ერთ საბაზრო ეკონომიკის ქვეყანაში ასეთი მდგომარეობა არ არის და არც შეიძლება იყოს. მესამე, სახელმწიფო მონოპოლიზმისათვის დამახასიათებელია განსაკუთრებული შინაგანი სტრუქტურა. თუ შევხედავთ ჩვენს ეკონომიკას, დავინახავთ სამსაფეხურიანი მონოლითის კონტურებს. მას საფუძვლად უდევს სახალხო მეურნეობაში დომინირებული სახელმწიფო სექტორი. შემდგომ მოდის უწყბრივი გიგანტები, რომლებიც აკონტროლებენ ეკლავწარმოების ცალკეულ სფეროებს, თავის მხრივ, თითოეული მათგანი დაყოფილია იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის, რომელთა ხელშიც მონოპოლიზებულია გარაკვეული საქონლის მომსახურების გამოწვება.

ასეთი რამ შეიძინევა წარმოებაში, გაცვლასა და განაწილებაში, ხოლო მოხმარებაში მონოპოლიზმის მასშტაბზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ თუნდაც სახელმწიფო დაკვეთების თამასის სიმაღლით. მისი დადგენით, გასაღების გარანტიით სახელმწიფო ითვისებს ათასობით მომხმარებლის მონოპოლიური წარმომადგენლის ფუნქციას. და რაც უფრო მეტია სახელმწიფო დაკვეთების წილი საწარმოს სამეურნეო პროგრამაში, მით უფრო მეტად ჩანს მისი მონოპოლიზმის კონტურები. თუ ავიღებთ ჩვენს ეკონომიკას, მართებული იქნება ვილაპარაკოთ ზემონოპოლიის შესახებ, ვინაიდან

სახელმწიფოს ჩარევა მოხმარებაში დიდად გასცილდა საზოგადოებრივი საქონლის ჩამონათვალის ბუნებრივ ზღვარს.

ამრიგად, განსახელმწიფოებრივების გარეშე საბჭოთა ეკონომიკის დემონოპოლიზაციის პრობლემა არ გადაწყდება. ამასთან, ამისათვის მხოლოდ განსახელმწიფოებრივება როდია საკმარისი, მისი მეშვეობით შესაძლებელია მონოპოლისტური შენობის მხოლოდ ერთი სართულის დანგრევა, ხოლო ორი სხვა უვნებელი დარჩება. ამიტომ საჭირო იქნება უწყებრივი სტრუქტურების რადიკალური რეფორმა. ზოგიერთი მათგანი წარსულს ჩაბარდა, სხვებს კი ელის ფუნქციების ისეთი შეცვლა, რომელიც გამორიცხავს უწყებრივი მონოპოლიზმის შენარჩუნებას. მაშინ შესაძლებელი გახდება დემონოპოლიზაციის ბოლომდე მიყვანა, თვით ბაზრების გაწმენდის პროცესის დაწყება ისე, რომ ისინი ნამდვილად კონკურენტული გახდნენ.

(სახელმწიფო ზემონოპოლიზმის წარმოშობა საკმაოდ უჩვეულოა. ის აღმოცენდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მართვასთან ერთად, ხოლო შემდგომ სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკური სისტემის ეს წამყვანი რგოლები ვიფარდებოდნენ პარალელურად, ურთიერთგაძლიერების მიმართულებით.)

საბაზრო სტრუქტურების დანგრევისა და ეკონომიკის ფართომასშტაბიანი გასახელმწიფოებრივების შედეგად ჩამოყალიბდა უნიკალური ზემონოპოლიზებული სისტემა, რომლის სამართავდაც საჭირო გახდა განსაკუთრებული, აქამდე არნახული ფორმები და მეთოდები. ჩვეულებრივი ეკონომიკური რეგულატორები (საგადასახადო განაკვეთები, კრედიტზე სარგებელი და ა. შ.), ბაზრების აბსოლუტური მონოპოლიზაციის პირობებში თავიანთი არაეფექტიანობის გამო უკვე აშკარად გამოუსადეგარი გახდა. კონკურენციის არარსებობით მონოპოლისტი განუსაზღვრელად ბატონობს უუფლებო მომხმარებელზე, რის შედეგად აღმოჩნდება ისეთ განსაკუთრებულ სამეურნეო მდგომარეობაში, როცა ის უკვე ვეღარ აღიჭვამს ეკონომიკურ რეგულირებას, არანაირად არ რეაგირებს არც სანქციებსა და არც სტიმულებზე. ასეთი ეკონომიკის გაძლოლა შეიძლება მხოლოდ ბრძანების მეშვეობით, ძალობრივი ხერხების გამოყენებით. და რაც უფრო ღრმა იყო მონოპოლიზაციის პროცესი, რაც უფრო მტკიცედ მკვიდრდებოდა მონოპოლისტური სტრუქტურები, მით უფრო საჭირო გახდა ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის გამოყენება.

თუ 90-იანი წლების საბჭოთა ეკონომიკას ამ კუთხით შევხედავთ, შევაჩინებთ მისი დემონოპოლიზაციის ტემპის მნიშვნელოვან ჩამორჩენას ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის დემონტაჟის ტემპებთან

შედარებით. რადგანაც ეს უკანასკნელი გაცილებით სწრაფად ინგრევა, გამოდის, რომ ჩვენს მაღალმონოპოლიზებულ მეურნეობას, რომელიც შეჩვეული იყო ადმინისტრაციულ მათრახს და ცუდად ერკვეოდა ეკონომიკური სტიმულების ენაში, არ ესმის მათი, ვინც ცდილობს ამაზე ლაპარაკს, ის არ იძლევა საჭირო პროდუქციას, ზრდის დეფიციტს. მართვის გარდაქმნასა და დემონოპოლიზაციას შორის შეიქმნა საშიში ზღვარი, წარმოიქმნა ზერელი, სადაც ინთქება ჩვენი კეთილდღეობის დიდი ნაწილი. ეს ხდება იმიტომ, რომ სამამულო მონოპოლიები, ბოლოს და ბოლოს განთავისუფლდნენ სახელმწიფოს ადმინისტრაციული დიქტატისაგან, წარმატებით დაიწყეს თავიანთი საბაზრო უპირატესობების რეალიზაცია და მოქმედებენ ისე, როგორც მათ შეჰფერით, ე. ი. ლენინის მიხედვით. ისინი ზრდიან ფასებს, ზღუდავენ წარმოებას და რეალიზაციას, ეკონომიას ეწევიან ხარისხის გაუარესების ხარჯზე.

ასეთი მოვლენების წარმოქმნის ფაქტი მოწმობს იმას, რომ ეკონომიკური რეფორმის გატარებისას დაშვებულია სერიოზული შეცდომები. მათი გამოსწორება შეიძლება სხვადასხვაგვარად: ან უნდა დაეუბრუნდეთ მბრძანებლურ მეთოდებს, რათა მართვის სისტემა მოვიყვანოთ ეკონომიკის რეალურ მდგომარეობასთან შესაბამისობაში, სადაც აქამდე იფურჩქნებოდა მონოპოლიზში, ან მკვეთრად უნდა დაჩქარდეს დემონოპოლიზაციის პროცესი, რომლის თითოეული ნაბიჯი ამაღლებს ეკონომიკური რეგულატორების ქმედითობას, ანდა არაფერი არ უნდა შეიცვალოს და ძალას ძალა უნდა დაუპირისპირდეს, უნდა მოხდეს მოხმარებისა და მოთხოვნის სფეროში ახალი, არასახელმწიფოებრივი მონოპოლისტური სტრუქტურების ორგანიზება, რომლებიც იმათზე სუსტი როდია, ვიდრე წარმოებისა და მიწოდების სფეროში მოქმედი სტრუქტურები. მართალია, მეორე ვარიანტი ბევრად უკეთესია, მაგრამ მისი განხორციელების ყოველი დაყოვნება გამოიწვევს ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემისაკენ ეკონომიკურად დასაბუთებულ და აუცილებელ უკან დახევას. სწორედ ამით და არა სხვა ბოროტი განზრახვით, აიხსნება პერიოდული უკან დახევები ადმინისტრირებისაკენ. ეს ყველაზე ხშირად სწორედ მაშინ ხდება, როდესაც სრულიად რეალურია მონოპოლიზებულ ეკონომიკაზე კონტროლის სრული დაკარგვის შიში.

რაც შეეხება მესამე ვარიანტს, იგი ითვალისწინებს როგორც მოხმარების საგნების, ისე წარმოების საშუალებების მოხმარებელთა გაელენიანის ასოციაციების შექმნას მუდმივი სტატუსითა და ფუნქციითა ძალზე ფართო სპექტრით, მათ სამართლებრივ და, შესაძლოა, სახელმწიფოს მხრივ ფინანსურ მხარდაჭერასაც კი და ა. შ. ასეთი

სტრუქტურების ჩამოყალიბებას შეუძლია მოგვეცეს გარკვეული დროებითი ეფექტი, უფრო მეტად ეს შესაძლებელია მხოლოდ საწყის, დემონოპოლიზაციის უფრო რთულ პერიოდში, ისიც მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი იმუშავენ, ასე ვთქვათ, წმინდა დამოუკიდებლობის წესით, მაგრამ თუ პერსპექტივაში გაერთვალისწინებთ მათ პროფესიონალიზმს, მით უმეტეს ეკონომიკური ძალაუფლების გაძლიერებას, უკეთეს შემთხვევაში იგი გამოიწვევს მხოლოდ მონოპოლიზმის ფორმის შეცვლას (მწარმოებლურის სამომხმარებლოთი), უარეს შემთხვევაში – ბაზრის საბოლოო დანგრევას. მის ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსებზე განლაგებულ და ერთმანეთთან მეტროლ მონოპოლისტურ გიგანტებს სათუთა აგონდებოდეთ რიგითი მომხმარებლები, რომლებიც მათ მხოლოდ ფასებში ებლანდებიან და ამიტომაც იგივე მონოპოლიები უთუოდ ზღუდავენ მათი არჩევის თავისუფლებას. ეს უკვე ბაზრისაყენ კი არა, მის საწინააღმდეგოდ მოძრაობას ნიშნავს. გარდა ამისა, სამომხმარებლო ასოციაციების (ჩენსასაც და საზღვარგარეთისასაც) მიზანი, როგორც წესი, წარმოება, მაშინ, როცა ყველაზე ძლიერი და დამლუპველი სამამულო მონოპოლიზმის ფორმის ეკონომიკისათვის რჩება განაწილებითი მონოპოლიზმი. ის მთლიანად უნდა იქნეს ამოძიკვეული, რისი გაკეთებაც დამოუკიდებლად მოქმედ ორგანიზაციებს არ შეუძლიათ.

სახელმწიფო ზემონოპოლიზმსა და ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ მართვას შორის არსებობს უკუაყმირიც. ეკონომიკაში დამკვიდრებული ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემა დაინტერესებულია თავისი თავის კვლავწარმოებით, საყუთარი მდგომარეობის სიმყარით, გავლენის გაფართოებით. ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახალხო მეურნეობაზე ზემოქმედების ძალისმიერი ზერხები საგრძნობ ეფექტს იძლევა. რამდენადაც მისი აღსრულება შეიძლება მხოლოდ მალალმონოპოლიზებულ ეკონომიკაში, ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ბატონობა ყოველთვის მიმდინარეობს მონოპოლისტური სტრუქტურების შენარჩუნებითა და ყოველმხრივი განმტყიცებით. ერთდროულად მიმდინარეობს ნებისმიერი საბაზრო წარმონაქმნების ენერგიული, თანმიმდევრული და დაუნდობელი განადგურება. ეს გასაგებიცაა. მბრძანებლური მეთოდების დახმარებით შეიძლება საბაზრო სისტემის მხოლოდ მსხვერვეა და არა იძულებითი დამორჩილება. თვით თავისი არსებობის ფაქტით ის ტოტალურ ადმინისტრირებას ხდის სრულიად გამოუსადეგარს და ეკონომიკურად აბსურდულს.

ასეთია მონოპოლიზმის ძირითადი ტიპები. ცხადია, იგი არ არის

ცალსახოვნაი. თუ, მაგალითად, ის მონოპოლისტური სტრუქტურები, რომლებიც განეუთვნებიან პირველ და მეექვსე ჯგუფებს, საშუალო ეკონომიკისათვის და აუცილებელია მათი დემონტირება, ზოგიერთი სხვა სრულიად განსხვავებულ მიდგომას იმსახურებს. ძალზე გამოკვეთილად ჩანს ბუნებრივი მონოპოლიზმის ზონის გამოსახულება, რომელსაც შეიძლება მიეკუთვნოს ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები, სახელმწიფო ბუნებრივი მონოპოლიები და ყველა ის, რომლებიც ლიდერობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში. ასეთი წარმონაქმნები არაფრით ეწინააღმდეგება თანამედროვე საბაზრო მეურნეობას და სრულიად შეესაბამება მას.

ბუნებრივი მონოპოლიზმის სფეროს საზღვრები სრულებითაც არ არის მუდმივი. ისინი მოძრავია თუნდაც იმიტომ, რომ მონოპოლია, რომელიც განპირობებულია ამა თუ იმ ფირმის ან ორგანიზაციის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე ხაზზე დაწინაურებით, არ არის ხანგრძლივი და მონოპოლისტის სტატუსი, როგორც იტყვიან, ხელიდან ხელში გადადის. ფიქსირებული ჩარჩოები არა აქვს ტექნოლოგიური ოლიგოპოლიის სექტორსაც, ეს კი იმას ნიშნავს, რომ არც ერთ მათგანს არა აქვს უფლება, ჰქონდეს იმედი ბუნებრივი მონოპოლისტის მუდმივი ტიტულისა. აქ ბევრია დამოკიდებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მსვლელობაზე, რომელიც ხშირად იწვევს თვისებრივ ცვლილებებს თვით ეკონომიკური საქმიანობის ხასიათში. თუ, მაგალითად, რომელიმე ბუნებრივ ოლიგოპოლიურ ბაზარზე გამოიჩნდება მალაქეფექტიანი ტექნოლოგია ან პრინციპულად ახალი მასალები, რომლებიც არსებითად ამცირებენ ხარჯს, მაშინ, ბუნებრივია, მცირდება ამ ბაზრის მისაწვდომობის ზღურბლი პოტენციური კონკურენტებისათვის. მონოპოლიური რეჟიმი თანდათან კარგავს თავის ადრინდელ უპირატესობებს, მისი ბუნებრიობა სულ უფრო საეჭვო ხდება, რაც გზას უხსნის კონკურენციულ ბაზარს.

მაგალითად, სწორედ ასე ვითარდებოდა მოვლენები თანამგზავრული კავშირგაბმულობის მომსახურების მსოფლიო ბაზარზე. არც თუ ისე დიდი ხნის წინ ეს იყო არა ოლიგოპოლიური, არამედ არსებითად წმინდა მონოპოლიური ბაზარი, სადაც მოქმედებდა საერთაშორისო კოოპერაციული ორგანიზაცია ინტელსატში, რომელიც აკონტროლებდა სამოქალაქო დანიშნულების გლობალური კოსმოსური ტელეკომუნიკაციების დიდ ნაწილს. ბაზრის ასეთი კონფიგურაცია სრულიად ბუნებრივად, ეკონომიკურად გამართლებულად გამოიყურებოდა, რადგანაც მაშინ კოსმოსური ტექნოლოგია ითხოვდა რესურსების საკმაოდ დიდ

კონცენტრაციასა და ფინანსურ ხარჯს. ამ გაგებით ინტელსატნი თითქმის არ განსხვავდებოდა ტექნოლოგიური ოლიგოპოლიისაგან, რომელიც მოქმედებდა მეტალურგიაში, ატომურ ენერგეტიკასა და სხვა დარგებში.

დროთა განმავლობაში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით ბაზრებზე, სადაც იყოლებოდა თანამგზავრული ტექნოლოგიის კომპონენტები, დაიწყო ფასების პროგრესული დაცემა, რამაც გამოიწვია მისაწვდომობის ზღურბლის შესაძინევი დაქვეითება. გაიჩნდა, რომ არა მხოლოდ ინტელსატს, არამედ სხვა კორპორაციებსაც შეძლებიათ ინვესტიციების გაცემა კოსმოსური კავშირების სისტემებში და მათი ეფექტიანი კომერციული ექსპლუატაცია თანამგზავრული არხების იჯარით გაცემის წესის მეოხებით. ამის შედეგად ინტელსატის ბუნებრივი მონოპოლია დაიკარგა და ძველი ბაზრის ადგილზე ახალი აღმოცენდა, საკმაოდ ძლიერი კონკურენციული რეჟიმით. მონოპოლია, აბსოლუტურად ბუნებრივიც კი, მაინც მონოპოლიად რჩება. მაშასადამე, სადაც იგი მოქმედებს, საბაზრო მექანიზმები ფუნქციონირებს ცუდად ან საერთოდ არ მუშაობს. ამიტომ ბუნებრივი მონოპოლიზმის ზონა მოითხოვს სახელმწიფო რეგულირების განსაკუთრებულ ფორმებს. კერძოდ, იმისათვის, რომ აეწყოს იმ სექტორის ეფექტიანი მართვა, რომლებიც დაკავებული აქვთ ტექნოლოგიურ ოლიგოპოლიებს, მეტწილად საჭიროა ადმინისტრაციული მეთოდები, წარმოებისა და ინვესტიციების მიმდინარე და პერსპექტიული დაგეგმვის ჩათვლით, კონტროლი ფასებსა და ხარისხზე და ა. შ. ჩვენს ეკონომიკაშიც, რომელიც ბოლოს და ბოლოს აუცილებლად გახდება ნამდვილად საბაზრო, მაღალეფექტიანი, ადგილი უნდა დარჩეს ტრანსპორტის, მეტალურგიისა და ენერგეტიკის სამინისტროებისათვისაც. სწორედ აქ გამოდგება ადმინისტრაციული რეგულირების მრავალწლიანი გამოცდილება, რომლის შესაძლებლობებიც ჭერაც არ არის ამოწურული. იმის ნაცვლად, რომ შეეცადონ მოიციან თვალუწვდენელი სივრცე და გახდნენ სამიზნედ მბრძანებლური სისტემის პროფესიონალი კრიტიკოსებისათვის, უკეთესი იქნებოდა, დარგობრივი მართვის - სახელმწიფო ორგანოებს ყურადღება გაემახვილებინათ იმ პრობლემების გადაწყვეტაზე, რომელთა დაძლევა მათ გარდა არავის არ შეუძლია - კერძოდ, იმ დარგების ეფექტიანი მუშაობის უზარუნველყოფაზე, რომლებიც ბუნებრივი მონოპოლიზმის ზონას განეკუთვნება.

საკმაოდ რთული სიტუაციები წარმოიქმნება ამ ზონის იმ ნაწილში, სადაც თავმოყრილია საწარმოები, რომლებიც ემსახურებიან სახელმწიფოს, როგორც ბუნებრივად მონოპოლიურ მომხმარებელს. ამ უკანასკნელის



დაწოლა, შესაძლოა, არც ისე შესაძინეია, როგორც ჩვენთვის კარგად ცნობილი მწარმოებლის დიქტატისა, მაგრამ მონოპოლიზმი მონოპოლიზმია. ბაზარი სერიოზულად დეფორმირდება და მწარმოებლები მნიშვნელოვნაწილად ეთხოვებიან დამოუციდებლობას წარმოების მოცულობისა და სტრუქტურის, თავიანთი პროდუქციის სამომხმარებლო თვისებების, ფასების, მიმწოდებლების შერჩევის განსაზღვრაში. ურთულეს მდგომარეობაში იმყოფება, პირველ ყოვლისა, თავდაცვის საწარმოები, რომელთა მეურნეობრივი თავისუფლება სამუდამოდ შეზღუდულია მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი იძულებული არიან, გამოუშვან ისეთი პროდუქცია, რომლის მყიდველი ერთადერთია. ამას დავუმატებთ კიდევ, რომ მათ მიერ წამოყენებული მოთხოვნა მეტად ცვალებადია, დამოკიდებულია საშხედრო-პოლიტიკური სტრატეგიის ზიგზაგებზე და სხვა ძნელად განსაკვერტ გარემოებებზე.

თანამედროვე საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფო ისწრაფვის სიმეტრიული მიდგომის შენარჩუნებისაკენ, რათა დაიცვას მომხმარებელთა ინტერესები წარმოებრივი მონოპოლიისაგან ან ზუსტად ისევე, როგორც მწარმოებელთა ინტერესები – სამომხმარებლო მონოპოლიისაგან. ამ უკანასკნელში იგულისხმება სახელმწიფო მოხმარებაზე მიჭკვეული საწარმოებისათვის განსაკუთრებული კომფორტული რეჟიმის შექმნა (დასაქმებულთა შემოსავლების, მატერიალური, ინფორმაციული და სხვა რესურსებით უზრუნველყოფის, სახელმწიფო დაკვეთების მოცულობათა პერსპექტიული დაგეგმვის და ა. შ. თვალსაზრისით). ამ რეჟიმის დანიშნულებაა ასეთი საწარმოებისათვის ღია ბაზრისაგან იზოლაციასთან დაკავშირებული დანაკარგების კომპენსირება.


ცნობილია, რომ ბაზრების მონოპოლისტური ნგრევა ეკონომიკას არაფერ სიკეთეს არ აძლევს. ძლიერი კონკურენტული ტონუსის შენარჩუნების დამამძიმებელი ზრუნვისაგან განთავისუფლებული მონოპოლია აუცილებლად ბადებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დამუხრუჭების ტენდენციას. იმისათვის, რომ მიიღოს თავისი წილი (მოგება), მისთვის სრულიადაც არ არის სავალდებულო ეფექტიანი ტექნოლოგიების ათვისება. ხარჯების შემცირება და გასაღების გაფართოება. საკმარისია მონოპოლიურად მაღალი ფასების დაწესება და მომხმარებლებზე მათი თავზე მოხვევა. ეს უკანასკნელები იმასაც უნდა შეეგუონ, რომ საკონელი გაიყდება შეზღუდული რაოდენობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მონოპოლია ფასების გაზრდით ვერ შეძლებს მოთხოვნის მოცემულ ჩარჩოებში ჩატევას. უფრო მეტიც, გარდუვალაია პროდუქციის ხარისხის თანდათანობითი დეგრადაცია. ბაზარზე გაბატონებული მონოპოლია

ხარისხის ხარჯზე ეკონომიით ხედავს ჩვეულებრივ, მისთვის სრულიად დასაშვებ მეურნეობრივ ჭკევას, რომელიც არაფრით არ განსხვავდება, ეთქვამთ, გაყიდვათა შებოქვისა ან ფასების გაზრდისაგან. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ მონოპოლიზმი იწვევს კვლავწარმოებადი მექანიზმების სიმტკიცის შესუსტებას, სამეურნეო კავშირების გაწყვეტას. ამის მაგალითი ბევრია, განსაკუთრებით ჩვენს ქვეყანაში, სადაც ნებისმიერი უწესრიგობები საწარმოებში, რომლებშიც მონოპოლიზებულია რომელიმე დეტალის ან ნახევარფაბრიკატის წარმოება ან გასაღება, უმაღლვე დაეტყობა ასობით მომიჯნავეთა მუშაობას.

(მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის სტიმულების დათრგუნვით მონოპოლია ეკონომიკას აქცევს უკიდურესად გამფლანგველად, რომელიც ძირითადად ვითარდება დამატებითი მატერიალური და შრომითი რესურსების ჩართვის ანგარიშზე, წარმოებას უბიძგებს დაბალი ეფექტიანობისაყენ. დიდ დანაკარგებს განიცდის მოსახლეობა. აქ საქმე არ ეხება მარტო მაღალ ფასებს, რომელიც აძლიერებს ინფლაციურ ზემოქმედებას და სამომხმარებელ ბაზარზე მიწოდების დაბალ დონეს. მონოპოლიზებულ ეკონომიკაში ფასები კარგავს საბაზრო მოქნილობას, სუსტად რეაგირებს მოთხოვნისა და მიწოდების მერყობაზე, ხასიათდება დაბალი ელასტიკურობით. მონოპოლია აბზობს იმპულსებს, რომლებიც მოთხოვნიდან წარმოებისაკენ მიემართება, რის შედეგადაც წარმოიშობა საინვესტიციო ნაკადების დეზორიენტაცია, ხოლო მომხმარებლები დიდხანს რჩებიან მათთვის აუცილებელი საქონლისა და მომსახურების გარეშე. როგორც საკუთარი გამოცდილებიდან ვიცით, მონოპოლია ბოლოს და ბოლოს საქონელს აძლევს მომხმარებელს, მაგრამ არა იმას, რომელიც მას უნდა და არა მაშინ, როდესაც სჭირდება.

შეიძლება თუ არა გაიზომოს მომხმარებელთა დანაკარგები, რომლებიც მოხვდნენ მონოპოლისტური წნეხის ქვეშ? ამისათვის უნდა მივმართოთ ჩვენთვის პირველი ლექციიდან კარგად ცნობილ ბაზრის ნაწილობრივ წონასწორობის გრაფიკს (ნახ.11.1)

შეგახსენებთ, რომ  $Q$  - გასაყიდი და შესაძენი საქონლის რაოდენობაა,  $P$  - ამ საქონლის ერთეულის ფასი. მყიდველ-გამყიდველის ჭკევას ასახავს მოთხოვნის მრუდი  $P_d$ , მწარმოებელ-გამყიდველისას - მიწოდების მრუდი -  $P_s$ . საბაზრო ფასს არასოდეს არ შეუძლია აიწიოს  $P_s$  მრუდით აღნიშნული დონის ზევით, რადგანაც მისი თითოეული წერტილი ასახავს მაქსიმალურ, ზღვრულ ფასს, რომლის მიხედვითაც მომხმარებლები მზად



ნახ. 11.1

არიან იყიდონ მოცემული რაოდენობის საქონელი.\* ერთდროულად საბაზრო ფასი არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვა  $P_e$  მრუდის კუთვნილი მნიშვნელობის ქვევით. ამ უკანასკნელის თითოეული წერტილის შემდეგ დგას მინიმალური, ზღვრული ფასები, რომელთა მიხედვითაც გამყიდველები ჯერ კიდევ მზად არიან, დაუთმონ საქონელი მყიდველებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ არავინ არ აწარმოებს და არ გაყიდის საქონელს ზარალით, ეს

ფასები ზღვრული ხარჯების ტოლი იქნება.

T წერტილი ახასიათებს საბაზრო წონასწორობის სიტუაციას, მწარმოებლებისა და მომხმარებლების ინტერესების საუკეთესო შერწყმას. რადგანაც ნავარაუდევია, რომ ერთნიც და მეორენიც ძალზე რაციონალურად მოქმედებენ, ისწრაფვიან მაქსიმალურად შესაძლო ეკონომიკური შედეგების მიღწევისაკენ, საქონელს ყდიან და ყიდულობენ  $q_e$  რაოდენობისას ერთეულს  $P_e$  ფასით. მაშინ გაყიდვის საერთო რაოდენობა გაიზომება  $O_e T q_e$  მართკუთხედი ფართობით, რომელიც  $P_e q_e$ -ს ტოლია.

სიტუაციას შევხედოთ მწარმოებელთა თვლით. მათთვის  $P_e q_e$  წარმოადგენს საქონლის გაყიდვით მიღებულ ერთობლივი შემოსავლის სიდიდეს. რადგან  $P_e$  მრუდი გამოხატავს წარმოების ხარჯებსა (მიწოდების ფასი) და გამომუშაებული პროდუქციის რაოდენობას შორის კავშირს, მაშინ შემოსავლის ერთი ნაწილი ( $P_e$  მრუდის ფართობი) შეიძლება ჩაითვალოს  $q_e$  ეროვნული საქონლის წარმოების ჯამობრივ ხარჯებად:

\* A და B წერტილების არსებობაზე შეიძლება ლაპარაკი საკმაოდ პირობითად. რეალურ სინამდვილეში, რა თქმა უნდა, არ არსებობს მოთხოვნის ფასი (OB) და მიწოდების ფასი (OA), რომლებიც განეკუთვნებიან სასაქონლო პროდუქციის ნულთან რაოდენობას. და მაინც, თუ ორიენტაციას ავიღებთ მასობრივ წარმოებასა და მომხმარებლებზე, გრაფიკი სრულიად კორექტული იქნება. მანძილი P ლერძსა და Pd და Ps მრუდებს შორის იზომება მხოლოდ ერთი ერთეული საქონლით.

$$S_{OAT, q_i} = \int_0^{q_i} p_s(q) dq \quad (11.1)$$

შემოსავლის დანარჩენი ნაწილი შეადგენს მეწარმეთა მოგებას:

$$S_{A, p_i, T} = p_i q_i - \int_0^{q_i} p_s(q) dq \quad (11.2)$$

ახლა დადგა დრო, ყურადღება მივაქციოთ მომხმარებელთა მდგომარეობას. მას ახასიათებს არა მხოლოდ პირდაპირი შექმნა (საქონლის ყიდვა  $p_i q_i$  მოცულობით), არამედ კონკურენტული ბაზრის ფუნქციონირებით განპირობებული შეფარდებითი მოგება. ამ უკანასკნელის სიდიდე განისაზღვრება "ზედა" ფართობით, რაც აღნიშნულია  $p_i, B, T$  წერტილებით. მართლაც, მთელი  $p_d$  მრუდი, იმ მონაკვეთების ჩათვლით, რომელიც განლაგებულია  $T$  წერტილის მარცხნივ, წარმოადგენს მომხმარებელთა მზადყოფნის ხარისხს საქონლის შესაძენად. შესაძინებია, მაგალითად, რომ ზოგერთი მათგანი თანახმაა, იყიდოს ის უფრო მაღალ  $p_m$  ფასად შედარებით  $q_m$  მცირე ოდენობით. მაგრამ თვით ბაზრის წყობა, შექმნილი კონკურენტული სიტუაცია მსურველთათვის კმნის საქონლის შექმნის ხელსაყრელ გარემოს. იქმნება საქონლის მნიშვნელოვნად დიდი რაოდენობის მეპატრონედ გახდომის ( $q_i > q_m$ ) შესაძლებლობა, ამასთან მისი შექმნა შეიძლება იაფად ( $p_i < p_m$ ). გამოდის, რომ მყიდველები თითქონ ეკონომიას ეწევიან. იქმნება კეთილდღეობის ან სამომხმარებლო რენტის (C) შეფარდებითი ზრდა, რომლის ოდენობაც შემდეგნაირად განისაზღვრება:

$$C = S_{p_i, BT} = \int_0^{q_i} p_d(q) dq - p_i q_i \quad (11.3)$$


დაუშვათ, შეიცვალა საბაზრო რეჟიმი, უფრო ლიბერალური გახდა. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, სახელმწიფოს წინასწარგანზარახული მოქმედების შედეგად, როცა ის ამსუბუქებს ბაზარზე სამამულო და საზღვარგარეთის კონკურენტების დაშვებას, ზრდის დივერსიფიკაციას, მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიის მასიურ გავრცელებას და სხვ. როგორ რეაგირებას გააქეთებენ ამაზე მწარმოებლები? თუ მოთხოვნის კონფიგურაცია ძველებურად დარჩება, მათ უნდა იზრუნონ წარმოების სერიოზულ ინტენსიფიკაციაზე, ხარჯების შემცირებაზე, რათა სათანადოდ შეხედნენ კონკურენტების დაწოლას. სხვაგვარად მწარმოებელ-გამყიდველთა გაზარდილი რაოდენობა ვერაფრით ვერ ჩაეტევა მოთხოვნის ძველ

საზღვრებში. ამჟერად ახალი საბაზრო სტრატეგია უნდა ასახოს მიწოდების  $p_s'$  მრუდმა. ხოლო წონასწორობა  $N$  წერტილმა (ნახ.11.2).  
 კარგად ჩანს სამომხმარებლო რენტის საგრძნობი გაზრდა. თუ ადრე ის იზომებოდა  $p_t BT$  ფართობით, ახლა წარმოდგენილია  $p_n BN$  საკმაოდ დიდი ფართობით:

$$S_{p, BN} = \int_0^{q_n} p_d(q) dq - p_n q_n \quad (11.4)$$

იმისათვის, რომ განესაზღვროთ მომხმარებელთა შეფარდებითი მოგების წმინდა ნამატი ( $C+$ ), ე.ი.  $p_n p_t TN$  ფართობი (ის 11.2 ნახაზზე დაშტრიხულია) (11.4)-დან უნდა გამოირიცხოს (11.3):

$$\begin{aligned} S_{p, BN} - S_{p, BN} &= C + = \int_0^{q_n} p_d(q) dq - p_n q_n - \int_0^{q_t} p_d(q) dq - p_t q_t = \\ &= \int_{q_t}^{q_n} p_d(q) dq + p_t q_t - p_n q_n \end{aligned} \quad (11.5)$$



ნახ. 11.2

იოლია დარწმუნდეთ, რომ სამომხმარებლო რენტის ზრდა შედგება ორი შესაყრებისაგან, რომელთა ეკონომიკური აზრი სხვადასხვაგვარია. მუდგელები ხომ მაშინ აღმოჩნდნენ უკეთეს მდგომარეობაში, როცა მათთან საქონელი შემოვიდა დიდი რაოდენობით ( $q_n > q_t$ ) და იმიტომაც, რომ ის გაიფუდა ( $p_n < p_t$ ). 11.2 ნახაზზე პირველი ეფექტი გამოსახულია DTN ფართობით, ხოლო მეორეზე -  $p_n p_t TD$  ფართობია:

$$S_{DTN} = \int_{q_t}^{q_n} p_d(q) dq - p_n (q_n - q_t) \quad (11.6)$$


$$S_{p, p, TD} = p_t q_t - p_n q_n \quad (11.7)$$

$$S_{DTN} + S_{P, P, TD} = C + \cdot$$

(11.8)

ახლა წარმოვიდგინოთ, რომ ბაზარი მთლიანად მონოპოლიზებულია ეს ნიშნავს: მრავალი კონკურენტის ნაცვლად, რომელთა მოქიშეობა წარმოქმნის წონასწორობის ფასებს და გაყიდვის შესაბამის მოცულობებს, იქ ბატონობს ერთადერთი გამყიდველი, რომელიც ერთსაც და მეორესაც ისე ადგენს, როგორც საჭიროდ თელის. სხვა სიტყვებით, წმინდა მონოპოლისტს მოთხოვნის მრუდზე ( $P_d$ ) შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი წერტილი, დაადგინოს საბაზრო ფასი, ხოლო შემდეგ მას მიუსადაგოს თავისი წარმოებრივი სტრატეგია, განსაზღვროს საქონლის ის რაოდენობა, რომლის გაყიდვაც მას სურს ბაზარზე. ამასთან, გასაგებია, მონოპოლისტი იხელმძღვანელებს კომერციული წარმატების საერთო კრიტერიუმით - მოგების მაქსიმუმით.

თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება დაბეჭითებით ვამტყიცოთ, რომ მონოპოლიური ბაზრისათვის დამახასიათებელი მიწოდების მრუდი  $P_s^{11}$  აუცილებლად გაივლის  $T$  წერტილის მარცხნივ. სხვაგვარად არც შეიძლება, რადგანაც ეს წერტილი აფუქსირებდა არა ნებისმიერ, არამედ სწორედ კონკურენტული ბაზრის წონასწორობას. მისი ახალი მონოპოლისტური თვისებრიობა შესაძლებლობას აძლევს ერთადერთ გამყიდველს, მოგება გაზარდოს იმ სიდიდის საზღვრების მიღმა, რომელიც გამოხატულია (11.2) ფორმულით.  $R$  წერტილი, რომელიც მდებარეობს  $P_d$  ადრინდელი



ნახ. 11.3

მოთხოვნის მრუდისა და  $P_s^{11}$  ახალი მიწოდების მრუდის გადაკვეთაზე, აღნიშნავს მონოპოლიური ბაზრის წონასწორობას. გამოდის, რომ ასეთი საბაზრო რეჟიმის დროს საქონელი შეზღვევა მომხმარებლებს გაცილებით ნაკლები რაოდენობით ( $q_r < q_t$ ) და უფრო მაღალ ფასში ( $p_r > p_t$ ) (ნახ.11.3).

აი, ახლა კი ნათელი ეფინება დანაკარგების სიდიდეს, რომელსაც

გაიღებენ მომხმარებლები, რომლებიც იძულებული არიან, საქონელი ეძებონ მონოპოლიურ ბაზრებზე, აშკარადება მონოპოლისტური ექსპლუატაციის ერთობლივი მასშტაბები. ამასთან, ნაწილობრივი წონასწორობის მოდელი არ იძლევა სრულ წარმოდგენას ჯამობრივ ზარალზე და დემონსტრირებას უკეთებს მონოპოლიზმის მხოლოდ ორ ნეგატიურ ეფექტს (ფასების გაზრდასა და მიწოდების შემცირებას), თუმცა, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, ისინი გაცილებით მეტია. ნათლად შეიმჩნევა სამომხმარებლო რენტის ( $S_{p, BR} < S_{p, BT}$ ) დაცემა (11.5) ფორმულის მიღებისას გამოყენებულ მოსაზრებებზე დაყრდნობით შეგვიძლია განვსაზღვროთ მისი შემცირების აბსოლუტური სიდიდე:

$$S_{p, BT} - S_{p, BR} = C - \int_0^{q_t} p_d(q) dq - p_t q_t - \int_0^{q_r} p_d(q) dq + p_r q_r =$$

$$= \int_{q_t}^{q_r} p_d(q) dq + p_r q_r - p_t q_t \quad (11.9)$$

შესაბამისად განიზომება გაყიდვათა მოცულობის შემცირებისა და საქონლის გაძვირების შედეგად მიღებული რანაკარგების სიდიდეებიც:

$$S_{ERT} = \int_{q_t}^{q_r} p_d(q) dq - p_t(q_t - q_t), \quad (11.10)$$

$$S_{p, p, RE} = p_r q_r - p_t q_t, \quad (11.11)$$

$$S_{ERT} + S_{p, p, RE} = C - . \quad (11.12)$$

აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: 11.3 ნახაზზე კარგად ჩანს, რომ მონოპოლია აღწევს მაქსიმალურ კომერციულ შედეგებს, მთლიანად ახორციელებს თავის ბატონობას ბაზარზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ფლობს ფასწარმოქმნის სრულ თავისუფლებას და განსაზღვრავს საქონლის მიწოდების მოცულობას. ამას ამტკიცებს ადრე მოტანილი დებულება იმის თაობაზე, რომ ვიდრე არსებობს მონოპოლისტური ბაზრები, მათი დატოვება სახელმწიფო კონტროლის გარეშე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, უმეტესწილად ადმინისტრაციულია. მხოლოდ ასე, რადგანაც ცონომიკური რეგულირების გამოყენებას მონოპოლია უპასუხებს ფასების შემდგომი გაზრდითა და წარმოების შეკვეცით, ე.ი. თავის პრობლემებს გადაწყვეტს მომხმარებელთა

ხარჯზე. მონოპოლიების ინტერესი მაღალ სამეურნეო თავისუფლებაშია, მოქალაქეთა ინტერესი კი — პირადი კეთილდღეობისათვის მონოპოლისტური ხელყოფისაგან მაქსიმალურ თავისუფლებაშია და რადგანაც სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს არა პირველის, არამედ მეორის დაცვა, მას აქვს უფლება, მოხსნას ადმინისტრაციული კონტროლი მხოლოდ ბაზრების დემონოპოლიზაციის კვალობაზე.

ხაზგასმითაა აღსანიშნავი, რომ (მონოპოლისტური სექტორის ადმინისტრაციული მართვა ეფექტიანია მაშინ, როდესაც ეს ვრცელდება სამეურნეო საქმიანობის ყველა ძირითად მხარეზე. თვით კონტროლი, მისი შესუსტებაც მონოპოლიზაციის ყოველ ნაბიჯზე უნდა ხორციელდებოდეს სინქრონულად. (როდესაც მონოპოლიისთან გვაქვს საქმე, უაზრობაა, მაგალითად, შეეცადო წარმოების დაცემის შეჩერებას დაგვეგმოს, სახელმწიფო შეაკეთებისა და სხვა ადმინისტრაციული ღონისძიებების გამოყენებით, იმავდროულად ყველა დანარჩენში დატოვო თავისუფალი საბაზრო ქცევა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს წარმოება წარმატებით დასრულდა და წარმოებას მიეცა სტიმული, მონოპოლია მაინც მოახდენს თავისი ეკონომიკური ინტერესების რეალიზებას მაღალი ფასებითა და პროდუქციის ხარისხის გაუარესებით, ასევე არ შეიძლება მხოლოდ ადმინისტრაციული კონტროლის დატოვება ფასებზე, რასაც მონოპოლია, ალბათ, უპასუხებს ხარისხის გაუარესებითა და წარმოების შეზღუდვით აღნიშნული ასინქრონულობა, რომელიც არ არის იშვიათი, ყოველ შემთხვევაში უკანასკნელი წლების ჩვენს ეკონომიკაში, არაფრით არ ამცირებს საზოგადოების დანაკარგებს, მხოლოდ ფორმას უცვლის მათ.

მონოპოლია, როგორც კი გაბატონდება ბაზარზე, როგორც წესი, ისწრაფვის თავისი პოზიციების შემდგომი გამტკიცებისაკენ. მსოფლიო ეკონომიკურმა პრაქტიკამ იცის მონოპოლისტური კონკურენციის მრავალი ხერხი. იმისათვის, რომ მოიგერიოთ კონკურენტების შემოტევა, უნდა ეცადო მათ მოწყვეტას საკრედიტო და სანედლეულო წყაროებიდან, გამოიყენო პირდაპირი ფასობრივი კონკურენციის მეთოდები, დახმარება სთხოვო სახელმწიფოს და ა.შ. თუმცა მსგავსი ხერხების უმრავლესობა მრავალი წელია ცნობილია (მათ შესახებ ჭერ კიდევ ვ.ი.ლენინი წერდა), მონოპოლისტთა თანამედროვე თაობა მათ მაინც იყენებს განსაკუთრებით კრიტიკულ სიტუაციებში.

ასეთ ვითარებაში აღმოჩნდა, მაგალითად, ჩვენთვის უკვე ცნობილი საერთაშორისო ორგანიზაცია ინტელსატნი, როცა ის შეჩვდა მზარდ კონკურენციას კერძო თანამგზავრული კორპორაციების მხრიდან. ბრძოლა მკაცრი იყო და მის მსვლელობაში ინტელსატმმ ვერ გამოაგლინა



განსაკუთრებული სიფხიზლე იარაღის შერჩევაში. კერძოდ ბაზრებზე, სადაც მას წინააღმდეგობას უწევდა საკმაოდ ძლიერი კორპორაცია პანამსატნი, ინტელსატმა გამოიყენა თავის მომსახურებაზე მეტოქისათვის შემაცბუნებელი ტარიფების შემცირება, რითაც ცდილობდა კლიენტების შენარჩუნებას, თავის გაყიდვათა შემცირების არდაშეებას. როგორც შემდგომში გამოირკვა, ინტელსატის სათანამგზავრო არხის არენდის წლიური ფასი საექსპლოატაციო ხარჯებზე დაბალი გახდა.\* ასე რომ, პირდაპირი ფასობრივი კონკურენციის მეთოდიც კი, რომელიც თითქმის დიდი ხნის წინ იყო საარქივოდ ჩამოწერილი, თურმე არ მოძველებულა.

ინტელსატისათვის მონოპოლისტური კონკურენციის მოქმედი ხერხი გახდა გრძელვადიანი კონტრაქტების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს შეღავათების სიდიდეთა დამოკიდებულებას მომხმარებლებთან დადებული შეთანხმებების ვადებთან: რაც უფრო ხანგრძლივია ვადა, მით უფრო იაფია სათანამგზავრო არხის არენდა. 80-იანი წლების ბოლოს ინტელსატის გაყიდვათა მოცულობის 87.5% იფარებოდა შეიდი და მეტი წლის ვადით დადებული კონტრაქტებით.\*\* რადგანაც კლიენტურის გადმობირების ასეთ მეთოდზე ხელი მიუწვდება მხოლოდ ფინანსურ ინსტიტუტებთან მტკიცე კავშირში მყოფ ძლიერ, მდიდარ ორგანიზაციებს (სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნებოდა ინტელსატნი), იგი შესაძლებლობას იძლევა, იმედიანად იყოს გასაღებაში და მოიგერიოს კონკურენტების მრავალი სახიფათო შემოტევა.

მონოპოლიის ბედის განმსაზღვრელ ფაქტორად ითვლება სახელმწიფოს პოზიცია. იმაზე დამოკიდებულებით, თუ საით წავა ის, როგორ განაგებს თავის დიდ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, უფლებრივ პოტენციალს, ბევრად არის დამოკიდებული, დარჩება თუ არა ეკონომიკა მაღალმონოპოლიზებული, თუ განვითარდება ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის მიმართულებით. ამიტომ ბრძოლა გამოვლენისათვის სახელმწიფო ხელისუფლების ეშელონებში, მცდელობანი ხელისუფლების ჩაყენებისა საკუთარი ინტერესების სამსახურში იყო და ამჟამად რჩება მონოპოლიების სტრატეგიული გეგმების წამყვან ელემენტებად. სრულიად გასაგებია, რომ ეს ტენდენციები მეტი სისრულით გამოვლინდა სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკაში, სადაც თვით მონოპოლიზმს სახელმწიფოებრიობის ყველა ნიშანი აქვს. რაც ჩვენს ეკონომიკას შეეხება, რომ ჩამოთვალა

\* International satellite systems Washington, 1988, p.255.

\*\* იქვე, p.342.

მონოპოლიისა და სახელმწიფოს ურთიერთზემოქმედების ყველა ფორმა – იგივეა, რომ მოყვება სსრკ-ის ეკონომიკური ისტორია. გავიხსენოთ თუნდაც პირადი უნია, როდესაც პარტიული ნომენკლატურის ჭედა და საშუალო რგოლები ძირითადი მიმწოდებლები იყვნენ მონოპოლისტური გაერთიანებების მმართველებისა, ხოლო ამ უკანასკნელთა რიცხვიდან შემდგომში ირჩეოდა კადრები პარტიულ-სახელმწიფოებრივი ელიტისათვის.

დღეისათვის მონოპოლიისა და სახელმწიფოს ინტერესების გადახლართვა ძალზე შესაძინებელია, თუმცა მან სპეციფიკური ფორმები შეიძინა, რაც დამახასიათებელია გარდამავალი პერიოდისათვის. მაგალითად, აქციების გრძელი რიგი მიმართულია კოოპერაციული მოძრაობის დათრგუნვისა და თავისუფალი მეწარმეობის შეზღუდვისაკენ, იმ საერთაშორისო პროექტებისადმი შეუპოვარი წინააღმდეგობისაკენ, რომლებიც ითვალისწინებენ საშინაო ბაზარზე მასიურ სამომხმარებლო იმპორტს. ცხადია, ეს წინააღმდეგობები მთლიანადაა შეთანხმებული სამამულო მონოპოლისტური სტრუქტურების საკვიროებებთან, რომლებიც მზად არ არიან ღია და პატიოსანი კონკურენციისათვის.

სახელმწიფოს დახმარების გარეშე, ყოველ შემთხვევაში, მისი ჩუმი თანხმობით, ჩვენს მონოპოლიებს საქმე მიჰყავთ არაელასტიკური მოთხოვნის საქონლის სიის განუხრელი გაფართოებისაკენ, რითაც რეალიზაციას უწევს მონოპოლისტური სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე მაღალეფექტიან ვარიანტს. მართლაც, თუ საქონელზე მოთხოვნა ინარჩუნებს ელასტიკურობას (პირდაპირი და ჯვარედინი) ფასითა და შემოსავლით, ფასებით მონოპოლისტური მანიპულირების შესაძლებლობები არსებითად იზღუდება. მათ გაზრდაზე მომხმარებლებს სავსებით შეუძლიათ რეაგირება მოთხოვნის შემცირებით, მისი გადართვით სხვა საქონელთა ყიდვაზე. გამოდის, რომ მონოპოლია სისხლხორცეულადაა დაინტერესებული მეტად დაბალი, მოთხოვნის ნულოვანი ელასტიკურობით. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეუძლია მომხმარებლები მოიგლიჯოს გულიდან. სხვა სიტყვებით, მონოპოლისტური დიქტატის შენარჩუნება მხოლოდ მაშინაა საიმედოდ გარანტირებული, როდესაც ტელევიზორი, დივანი ან ავტომობილი ემსგავსება მარილს ან ასანთს, ხოლო მომხმარებლებს ავიწყდებათ ის, რომ, ვთქვათ, მაკიერები სხვადასხვა მოდელისაა და არაერთნაირი ფასის, და ოცნებობენ მაკიერის, როგორც ასეთის, ყიდვაზე. სწორედ ასე ხდება სინამდვილეში, რაც იძლევა სამამულო მონოპოლიების ქემპარიტ ყოვლისშემძლეობაზე ლაპარაკის საშუალებას. სოციალიზმის იმ მოდელს, რომელზედაც უარი ვთქვით, თავისუფლად შეგვიძლია ვუწოდოთ სახელმწიფო-მონოპოლისტური.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ მონოპოლიების ინტერესებს ობიექტურად შეესაბამება ნატურალური განაწილების სისტემის გაერყელება. ტალონების გაჩენით მოთხოვნა ავტომატურად ხდება არაელასტიკური როგორც ფასით, ისე შემოსავლით. მონოპოლისტებსაც სწორედ ეს უნდათ. საბარათო სისტემა მაქსიმალურად უწყობს ხელს მონოპოლიზმს, რითაც ეს შესაძლებლობას აძლევს მათ, ვინც აკონტროლებს ბაზრებს, დაუბრკოლებლად გაზარდონ ფასები, შეზღუდონ წარმოება. ასეთი ხერხით ის კარნახობს მოსახლეობას დასაქონლების ნორმებს, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებზე ეწევა ეკონომიას.

ჩვენი ეკონომიკის დემონოპოლიზაცია ფაქტია, რომელიც ბოლოს და ბოლოს გამოიღებს რეალურ ნაყოფს. მაშინ შესაძლოა, ველოდოთ სერიოზულ ცვლილებებს მონოპოლისტურ სტრუქტურაში. ალბათ, ბაზარზე ბატონობის მკაცრ კონკურენტულ სიტუაციაში მოხვედრა და ადრინდელი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის დაკარგვა მონოპოლიას აიძულებს, შეინარჩუნოს ადრინდელი ძალაუფლების ნარჩენები და დაიტოვოს ბაზარზე დაშვების კონტროლის უფლება. შევნიშნავთ, რომ ლიცენზირების პროცესის მონოპოლიზების ცდებზე, რომელსაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს იმათთვის, ვინც ფიჭობს მონაწილეობის მიღებას საბაზრო კონკურენციაში, შესაძრწვე ტენდენციად გამოიკვეთა თანამედროვე მსხვილი ბიზნესის ყოფიერებაში. პრეტენზიები ასეთ მონოპოლიაზე ჩვეულებრივად არგუმენტდება მრავალწლიანი ლიდერობით ეკონომიკის მოცემულ სექტორში, მძლავრი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალით, კვალიფიციური სპეციალისტებისა და რეალური გარემოებების არსებობით. მართალია, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ როცა თავისას აღწევს და ხდება საბაზრო პროცესების ოფიციალური მარეგულირებელი, კორპორაციას არასდროს არ ავიწყდება ამის გამოყენება საკუთარი ინტერესებისათვის. იგივე შეიძლება მოხდეს ჩვენთანაც, ამიტომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილება უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს.

სახელმწიფოსადმი აპელაციები დამახასიათებელია არამხოლოდ იმ მონოპოლიებისათვის, რომლებიც მოქმედებდნენ სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკაში. მრავალი წლის მანძილზე სახელმწიფოს მხარდაჭერა შედიოდა მონოპოლისტური სტრუქტურების გეგმებში, რომლებიც მოქმედებდნენ საბაზრო ტიპის მეურნეობებში. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მდგომარეობა ნაწილობრივ დღესაც შენარჩუნებულია, მაინც ჭარბობს სხვა ხაზი. მსოფლიო ეკონომიკაში ღრმად ინტეგრირებული ამჟამინდელი მსხვილი ბიზნესი უფრო მეტადაა დაინტერესებული, საერთაშორისო მასშტაბით დაამყაროს მაღალკონკურენტული საბაზრო

რეჟიმი, ვიდრე იმით, რომ სახელმწიფომ იმუშაოს ძველებურად და დაიცვას ისინი საზღვარგარეთელი მეტოქეების მკაცრი შემოტევებისაგან.

ამ გაგებით, ნიშანდობლივია მოვლენები, რომლებიც გაიშალა ამერიკის ელექტრონულ მრეწველობაში მას შემდეგ, რაც იბმ-ის (ინტერნეშნლ ბიზნეს მეშინსი) ერთ-ერთ ევროპულ ფილიალში აღმოაჩინეს მაღალტემპერატურიანი ზეგამტარობის ეფექტი. რამდენადაც მისი კომერციული ათვისება ნამდვილი რევოლუცია იქნებოდა მიკროელექტრონიკისა და კომპიუტერულ ტექნოლოგიაში, რეიგანის ადმინისტრაციას ამოძრავებდა საუკეთესო სურვილები და შეეცადა კანონმდებლობით დაეცვა ამერიკული მონოპოლიები ამ აღმოჩენისაგან. 1988 წლის დასაწყისში მან კონგრესს გაუგზავნა კანონ-პროექტი, რომლის მიხედვითაც აშშ-ის სახელმწიფო სამეცნიერო დაწესებულებები ვალდებული იქნებიან, არ გაეთქვათ კომერციული თვალსაზრისით ფასეული ინფორმაცია, რომელსაც საქმე ჰქონდა ზეგამტარობასთან. ასეთმა წამოწყებამ წარმოშვა მკვეთრი საწინააღმდეგო აზრი. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ მთავარი ოპონენტები აღმოჩნდნენ ამერიკული ბიზნესის ფლაგმანები (იბმ, ვესტინჰაუსი, ატტ-ბელ ლებორატორიზი), ე.ი. სწორედ ისინი, ვისი დახმარება სურდა სახელმწიფოს. აშშ-ს კორპორაციებს სამართლიანად ეშინოდათ იაპონური ფირმების სავასუზო ღონისძიებებისა, გარდა ამისა, თავიანთ თავს თვლიდნენ საკმაოდ ძლიერად, რათა დამოუკიდებლად, სახელმწიფოს დახმარების გარეშე, შეხედროდნენ კონკურენტების შესაძლო შემოტევას.

უკვე აღინიშნა, რომ საბაზრო ეკონომიკაში დემონოპოლიზაცია განეკუთვნება სახელმწიფოს მუდმივი ფუნქციების რიგს, რომელიც შეიძლება შევადაროთ, ვთქვათ, შემოსავლების გადანაწილებას ან ანტიინფლაციურ რეაგირებას. სახელმწიფოს ძირითადი ამოცანა საკმაოდ ნათლადაა გამოხატული — მოიქცეს ისე, რომ სახალხო მეურნეობაში დარჩეს მონოპოლიზმის მხოლოდ ბუნებრივი ფორმები. როგორც ვნახეთ, მონოპოლიზმი თავისთავად არაა ცუდი, ის ასეთად იქცევა მხოლოდ სიჭარბის, ზემონოპოლიებად გადაქცევის შემთხვევაში. მაშასადამე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკა არ უნდა იყოს მიმართული საერთოდ მონოპოლიზმის წინააღმდეგ, არ უნდა ჩამოყალიბდეს მისი ტოტალური მსხვერვის იარაღად. ის ნამდვილად ეფექტიანი იქნება, თუ წინასწარ ჩატარდება ბაზრების ძირეული ინვენტარიზაცია, ერთმანეთს გაემიჯნება კონკურენტული და ძირითადად არაკონკურენტული ბაზრები, ე.ი. ისეთები, სადაც მონოპოლიზმის შენარჩუნება ეკონომიკურად გამართლებულია და ბუნებრივია. ერთი სიტყვით, უნდა მოინიშნოს დემონოპოლიზაციის საწყისი ადგილი, განისაზღვროს ბუნებრივი მონოპოლიზმის ზონა და დალაგდეს მისი რეგულირების მექანიზმები,

ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფოს ანტიმონოპოლიური სტრატეგიის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპი.

ცნობილია, რომ მონოპოლიზმი მით უფრო სუსტია, რაც უფრო ეფექტიანად მუშაობს საბაზრო მექანიზმები. ეს კი ნიშნავს, რომ დემონოპოლიზაციის სხვა პრინციპი საბაზრო სტრუქტურების ყოველმხრივი განმტკიცებაა. არსებობს კიდევ ერთი პრინციპი — დემონოპოლიზაციის და ეკონომიკის მართვის რეფორმების პროცესების სინქრონიზაცია. მისი რეალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ქვეყნებისათვის, ვისი ეკონომიკაც დეფორმირებულია ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის მიერ. ჩვენს სიტუაციასთან დაკავშირებით შეიძლება იმის მტკიცება, რომ ზემონოპოლიზმი და ადმინისტრაციული სისტემა პრაქტიკულად ერთდროულად წარმოიქმნენ და ერთიმეორის მხარის გამაგრებით თანდათანობით შეავსეს სამეურნეო ცხოვრების ასპარეზი. საჭიროა იმის მიღწევა, რომ მათ ასევე მეგობრულად სამუდამოდ დატოვონ იგი.

დემონოპოლიზაციის შედეგიანობა ბევრადაა დამოკიდებული პოლიტიკის, სამართლებრივი ნორმებისა (ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის) და ორგანიზაციული მექანიზმების, ინსტიტუტების სწორ შეთანაწყობაზე. თუკი განვითარებულ ქვეყნებში ასეთი ტრიადა უკვე დიდი ხანია მოქმედებს, ჩვენთან ის მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაზეა. ამასთან, როგორც აღმოჩნდა, ყელაზე. სუსტი რგოლია ინსტიტუციური სტრუქტურა. ვინაიდან იგი ცარიელ ადგილზე იქმნებოდა, თავიდანვე უნდა განთავისუფლდეს მბრძანებლური მართვის სამშობიარო ნიშნებისაგან. საჭიროა ცენტრალურ და ადგილობრივ საკანონმდებლო ორგანოებში შეიქმნას დემონოპოლიზაციის კომიტეტები და კომისიები, საშემსრულებლო ხელისუფლების შესაბამისი რგოლები, პრინციპულად ახალი სამინისტროები, რომელთა მოვალეობაც გახდება ანტიმონოპოლიური კანონების პრაქტიკაში განხორციელება და გასაკონტროლებელ ბაზრებზე ეფექტიანი კონკურენტული რეჟიმისათვის მხარდაჭერა. გამორიცხული არ არის, რომ მართვის ახალი სისტემის მასშტაბებმა შეიძლება გადააქარბოს კიდევ არსებულს, და ამაში გასაკვირი არაფერია. ზემონოპოლიზებული მეურნეობის მბრძანებლობა გაცილებით იოლია, ვიდრე კონკურენტული ბაზრების რეგულირება და მათი განთავისუფლება ძალზე მეტი მონოპოლიზმისაგან. უკეთესია, იყოს ახლებურად მოქმედი ბევრი უწყება, ვიდრე ძველებურად მომუშავე ოცობა.

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, სახელმწიფო დემონოპოლიზაციას ატარებს ორი ძირითადი მიმართულებით. პირველი მათგანის ჩარჩოებში დაჭკუფებულია რეგულირების ფორმები და მეთოდები, რომელთა დანიშნულებაა ბაზრების თანდათანობით

ლიბერალიზაცია. ისინი არ ეხება მონოპოლიას როგორც ასეთს და ცდილობს, ეკონომიკაში შექმნას ისეთი ვითარება, რომელიც მონოპოლიურ ქცევას გახდიდა არახელსაყრელს მსხვილი ბიზნესისათვის. ასეთი შედეგის მიღწევას ხელს უწყობს, მაგალითად, საბაჟო გადასახდლების შემცირება, რაოდენობრივი შეზღუდვების (კვოტების) გაუქმება, სხვა ბარიერების ლიკვიდაცია, რომელიც ხელს უშლის საშინაო ბაზარზე უცხოეთის პროდუქციის შემოტანას, საზღვარგარეთული კაპიტალისათვის ინვესტიციური კლიმატის გაუმჯობესებას, დიფერსიფიკაციის სტიმულირებას, მცირე ბიზნესისა და ვენჩურული ფირმებისათვის მხარდაჭერას, ლიცენზირების ლიბერალურ პროცედურას, სახელმწიფო რეზერვების ნაწილის გაყიდვას ღია ბაზარზე, დახმარების გაწევას ტექნოლოგიის დამუშავებასა და ათვისებაში, რომლებიც გამოუშვებენ ისეთ საქონელს, რომელიც შეცვლის მონოპოლიზებული წარმოების პროდუქციას და სხვა მრავალი ხერხი. დიდ ნაწილში ისინი ატარებს პრევენტულ ხასიათს, წარმოქმნის თავისებურ ანტიმონოპოლიურ პროფილაქტიკას.

მეორე მიმართულება აერთიანებს თვით მონოპოლიაზე ზემოქმედების ხერხებს. ისინი მიჰქმედებს იწყებენ მაშინ, როდესაც პროფილაქტიკა უშედეგოა და მონოპოლიის ნიშნების აღკვეთა არ ხერხდება. შეიძლება გამოიყოს, მაგალითად, სახელმწიფო კონტროლი კაპიტალის ცენტრალიზაციის პროცესზე, ფინანსური სანქციები, რომლებიც გამოიყენება ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში და ა.შ. იშვიათად, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც კორპორაციები, რომლებიც გამოაშკარავებული არიან უპატიოსნო კონკურენციის მეთოდების სისტემატურ გამოყენებაში და სასამართლო პროცესს წააგებენ, უსიტყვოდ უნდა დაიშალონ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო სოციალიზმის ეკონომიკის დემონოპოლიზაციისას აღნიშნულ მიმართულებებს უნდა დაემატოს სულ ცოტა ორი მიზნ. საქმე ეხება განსახელმწიფოებრივებასა და იმ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართული არიან უწყობრივი მონოპოლიზმის აღმოფხვრისაკენ.

დემონოპოლიზაციის ერთ-ერთი მთავარი დადებითი ეფექტი მდგომარეობს იმ წინააღმდეგობათა გადაჭრაში, რომლებსაც ქმნის მონოპოლისტური სტრუქტურები ეკონომიკური განვითარების გზაზე. ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობა და სახელმწიფოს მხრივ მათი სტიმულირება – ასეთია მეთორმეტე ლექციის პრობლემატიკა.

ზრდის ახალი თვისებრიობა. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო რეგულირება. ზრდის საზღვრები. ანტიციკლური პოლიტიკა. სტრუქტურული და რეგიონული რეგულირება. დანაზოვის სტიმულირება. საგადასახადო და კომბინირებული მექანიზმები. ლაფერის ეფექტი. დაჩქარებული ამორტიზაცია.

თანამედროვე საბაზრო მეურნეობის განმასხვავებელი თვისებურებაა მისი გადასვლა ზრდის ახალ თვისებრიობაზე. რას გულისხმობს იგი? ეკონომიკის განვითარების ახალ თვისებრიობაზე მაშინ შეიძლება ლაპარაკი, როცა სრულდება სულ ცოტა სამი პირობა მაინც.

პირველი, ეკონომიკური ზრდა განსაკუთრებით ინტენსიური ხდება, მას თან სდევს წარმოების ეფექტიანობის ამაღლება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა საფუძველზე, რესურსდამზოგველი ტექნოლოგიის გამოყენებით.

მეორე, წარმოების მატების ნივთობრივი შევსება ძირითადად იმ დარგების პროდუქციის ხარჯზე ხორციელდება, რომლებიც განსაზღვრავენ ტექნოლოგიურ პროგრესს და ემსახურებიან ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი რამ შესაძლოა მხოლოდ იქ, სადაც ეკონომიკას აქვს მიდრეკილება პროგრესული სტრუქტურული გარდაქმნებისადმი. თუ ავიღებთ, მაგალითად, დასავლეთი ევროპის ქვეყნებს, აღმოჩნდება, რომ 80-იან წლებში უფრო დინამიკური იყო ის დარგები, რომლებიც ბაზრებზე უშვებდა მოწინავე ინფორმაციული ტექნოლოგიის დახმარებით წარმოებულ მომსახურებას და ვაჭრობდა თვით ინფორმაციით. 1984 წელს ევროპის საინფორმაციო ბაზრის მიერ მიღებული მთლიანი შემოსავალი უტოლდებოდა მხოლოდ 270 მლნ დოლარს, 1991 წელს კი - 5 მლრდ დოლარს, რაც უპრეცედენტოდ მაღალ, ორმოცპროცენტთან საშუალოწლიური მატების ტემპზე მიუთითებს. 90-იან წლებში სიტუაცია უცვლელი დარჩება. კერძოდ, კომპიუტერული საინფორმაციო ბიზნესი ევროპაში გაიზარდება 20-დან 70%-მდე წელიწადში და შეაფიწროებს ძველ დარგებს.\* სწორედ ეკონომიკის ასეთ სექტორებს შეაჯტ სულ უფრო

\* Howells L Economic technological and locational trends in European services. Aldershot, 1988, p. 98-100.

შესამჩნევი წვლილი ეროვნული შემოსავლის მატებაში, განსაზღვრავენ მის თვისებრივ შინაარსს;

მესამე, საზღვრების დადგენა, რომელთა მიღმაც ეკონომიკური განვითარება ითვლება სოციალურად საშიშად. შეზღუდვების შემოღება ნაკარნახევია, პირველ ყოვლისა, ადამიანის საარსებო გარემოსა და არაკვლავწარმოებადი რესურსების შენარჩუნების აუცილებლობით.

სათუთა, ამჟამად შეიძლებოდა ქვეყნის დასახელება, სადაც მთლიანად იყოს სამივე პირობა დაკული. მაგრამ მსოფლიო მეურნეობაში უკვე დაიწყო ზრდის ახალი თვისებრიობისაქენ მოძრაობა. ვინ მივა ფინიშთან პირველი? აქ ბევრი რამაა დამოკიდებული ეროვნული ეკონომიკური სისტემების მოწყობაზე. მიუხედავად მათი სხვადასხვაობისა, ერთი ნათელია: არასაბაზრო ტიპის ეკონომიკებში, სადაც არ არსებობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის და მოწინავე ტექნოლოგიის განვითარების ქმედით მექანიზმები, ბატონობს რესურსების მფლანგველი ექსპლუატაცია, შენარჩუნებულია წარმოების ჩამორჩენილი სტრუქტურა, ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობა აქ მიუღწეველია. შეიძლება დაბეჭითებით ვამტყიცოთ, რომ არასაბაზრო მეურნეობები განწირულია მზარდი ჩამორჩენისათვის მეცნიერებისა და ტექნოლოგიის სფეროში, ისინი ვერასოდეს ვერ გასცდებიან თანამედროვე ეკონომიკური პროგრესის ნაპირს. აქ საბაზრო სტიმულების გარეშე განვითარება შეუძლებელია.

ყოველივე ზემოთქმულზე ნათლად მიუთითებს ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდა ჩვენი ეკონომიკა. მაგალითად, იმ დონეთა ეკონომიკურიულმა ანალიზმა, რომელზეც 80-იანი წლების შუა პერიოდში იმყოფებოდა ის ქვეყნები, რომლებიც ნერგავდა კომპიუტერულ ტექნოლოგიასა და წარმოების ავტომატიზაციას, მოგვცა ასეთი შედეგები (შეფასებულია ათბალიანი სკალის მიხედვით): აშშ-9,9 ბალი; იაპონია - 7,3; დასავლეთი ევროპის ქვეყნები - 4,4; სსრკ - 1,5. ბიოტექნოლოგიის სფეროში მაჩვენებლები იყო შემდეგი: აშშ - 8,9 ბალი; იაპონია - 5,7; დასავლეთი ევროპის ქვეყნები - 4,9; სსრკ - 1,3. მნიშვნელოვანი ჩამორჩენა იყო სამეცნიერო-ტექნოლოგიური დამუშავებების ათვისებაშიც. მაგალითად, აშშ-ში გამოგონებათა 66% წარმოებაში ინერგება საავტორო მოწმობის მიღების მომენტიდან პირველი ორი წლის განმავლობაში. გფრ-ში - 64. ხოლო სსრკ-ში მხოლოდ 23% ინერგებოდა.\*

გარდა ამისა, ავტონომიური რეჟიმით მოქმედი ბაზრის მექანიზმები

\* Советологические прогнозы о проблемах экономического развития СССР. М., 1988, с. 33-35.



ასევე არ არიან მზად, გადაწყვიტონ ზრდის ახალ თვისებრიობაზე გადასვლის პრობლემები. ასეთია ეკონომიკური შეცნირების დასკვნა (გაუიხსენოთ თუნდაც პირველი სამი ლექციის მასალები), ასეთია განვითარებული საბაზრო მეურნეობის ქვეყნების მრავალწლიანი გამოცდილება. ამიტომ ეკონომიკური განვითარების საკითხები იყო, არის და კიდევ დიდხანს იქნება სახელმწიფოს მაღალი აქტივობის ზონა.

ვიდრე შევუდგებოდეთ სახელმწიფო რეგულირების ანალიზს, გამოეთქვამთ ორ მოსაზრებას. დავიწყით იმით, რომ მსოფლიო თეორიასა და პრაქტიკაში არსებულ ეკონომიკურ ზრდაზე მოქმედი ხერხების უმრავლესობა არაპირდაპირი ხასიათისაა. მათი საბოლოო დანიშნულებაა, თითოეულ პოტენციურ ინვესტორს ჰქონდეს საკმარის ძლიერი მოტივები საკუთარი და ნასესხი კაპიტალისა და ფინანსური რესურსების დაბანდებისათვის, რომელიც მას ამის შესაძლებლობას მისცემს. ინვესტიციური პროცესის მატერიალური მხარე, მისი უზრუნველყოფა სხვადასხვა სახის რესურსებით რჩება, როგორც იტყვიან, კადრს მიღმა. სხვანაირად საკითხი ასე დგას: ინვესტიციისათვის საჭიროა სტიმულები და ფული (და სახელმწიფო ამით უნდა დაეხმაროს ბაზარს), ხოლო მუშაკები და წარმოების საშუალებები თავისთავად გამოიწოდებიან. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი პოლიტიკური ხაზი, ერთი შეხედვით, ცალმხრივი ხასიათისაა, იგი საკმარის ზუსტად ასახავს საბაზრო ეკონომიკის რეალობას, სადაც არ იციან, რა არის საქონლის ქრონიკული დეფიციტი, არ იგრძნობა ხანგრძლივი უცმარისობა სამუშაო ძალისა, რომელთაც ინვესტორები იძენენ შრომის არა მხოლოდ სამამულო, არამედ მსოფლიო ბაზარზე. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, სრულიადაც არ გამორიცხავს მოკლევადიან ჩაეარდნებს საინვესტიციო ნაკადების სარესურსო შეესებაში.

აქედან გამოდის, რომ მოწინავე ქვეყნების მიერ ეკონომიკური ზრდის რეგულირების შესახებ დაგროვილ მდიდარ გამოცდილებას შეზღუდული მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ეს-ეს არის შეუდგენენ თანამედროვე საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებას. რადგანაც მათთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ღრმა ფულად-საქონლური დაუბალანსებლობა, საზღვარგარეთული პრაქტიკისადმი დაუფიქრებელმა მიბაძვამ შეიძლება ცუდი შედეგები გამოიწვიოს. რა სიკეთეა, ვთქვათ, საგადასახადო სტიმულებში, მაშინაც კი თუ ისინი აფართოებენ ინვესტიციების დაფინანსების შესაძლებლობებს, როდესაც სახალხო მეურნეობაში სწრაფად იზრდება ბარტერი და სულ უფრო ძნელი ხდება ბენზინით, ჩარხებით ან ცემენტით ფულის დასაქონლება? როგორც

ინფლაციის ან უმუშევრობის შემთხვევებში, სხვა ქვეყნებში აპრობირებული ეკონომიკური რეგულატორები ეფექტიანი გახდება მაშინ, როდესაც რეალურად დაიწყება მოძრაობა ბაზრისაკენ, შეიქმნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა, დაიწყება გაბედული განსახელმწიფოებრივება, დემონოპოლიზაცია და ა. შ.

აღნიშნავთ სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან გარემოებას: საბაზრო მეურნეობის ზრდას ხელს უწყობს როგორც პირდაპირი, არჩევითი მოქმედების მარეგულირებელი მექანიზმები (მათ ჩვენ ცოტა ქვემოთ შევხებით), ისე სხვებიც, რომლებსაც მათთან თითქოს არაფერი აქვთ საერთო. მაგალითად, თუ, მძლავრი უმართავი ინფლაცია სერიოზულად ასუსტებს სახალხო მეურნეობის შემოქმედებით პოტენციალს, ხელს უშლის ნორმალურ განვითარებას, მაშინ ანტიინფლაციური რეგულირების ყოველი წარმატება, ნებისმიერი წინსვლა ზომიერი კონტროლს დაქვემდებარებული ინფლაციისაკენ, ერთდროულად მუშაობს ეკონომიკური ზრდის სასარგებლოდ, აახლოებს მის ახალ თვისებრიობას. ასევე შეიძლება შეფასდეს ეფექტიანი ანტიმონოპოლიური პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემაფერხებელი მექანიზმების მსხვერველს ან შემოსავლების განაწილების სწორ ორგანიზაციას, რაც არ იწვევს კაპიტალის ინვესტირებისადმი სტიმულირების შესამჩნევ შესუსტებას. როგორც ჩანს, სახელმწიფოს შედეგიანი მოქმედება უმაღლეს იძლევა ორ ეფექტს (ძირითადად და თანმდევს, ზრდასთან დაკავშირებულს), მეურნეობას აძლევს სათანადო დინამიზმს.

რაც შეეხება სახელმწიფოს საქმიანობას, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ეკონომიკურ ზრდასთან, იგი მიმდინარეობს ხუთი ძირითადი მიმართულებით.

პირველ ყოვლისა, სახელმწიფო თავის თავზე იღებს იმ პრობლემებს, რომელთა გადაწყვეტაც არსებითად არ შეუძლია საბაზრო სისტემას. თუ პირველ ლექციაში მიღებულ ტერმინოლოგიას დავეყრდნობით, მაშინ საქმე ეხება საზოგადოებრივი საქონლის ისეთ სახესხვაობას, როგორიცაა ფუნდამენტური მეცნიერება. ერთი მხრივ, მის გარეშე წარმოუდგენელია როგორც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, ისე ეკონომიკურ განვითარებაში ახალი თვისებრიობის წარმოქმნა. მეორე მხრივ, ცხადია, რომ ბიზნესს არ აინტერესებს ასეთი "საწარმოს" წარმოება და გაყიდვა, რადგან შედეგები მისთვის. გაურკვეველია, ასევე, სრულიად გაურკვეველია კაპიტალურ დანახარჯებზე მოთხოვნა და გამოსყიდვის ვადები. პირველი მიმართულების ფარგლებში საჭიროა კიდევ გამოიყოს სახელმწიფოს ღონისძიებები, რომლებიც გამიზნულია გარემოსა და

არაკლავწარმოებადი რესურსების დაცვისათვის, ეკოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, იგი განსაზღვრავს ეკონომიკური ზრდის საზღვრებს და, შესაბამისად, მას ახალ თვისებრიობას აძლევს.

ცნობილია, რომ საბაზრო ეკონომიკა ძირითადად არ არის დაზღვეული წარმოების პერიოდული დაჭვეთების ან მისი ზრდის შენელებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ არასტაბილურობა ხანმოკლეა, შორეულ პერსპექტივაში ის ეკონომიკური დინამიკის მაჩვენებლების შემცირებით ხასიათდება. რაც უფრო ღრმა და ხანგრძლივია დაცემა, მით უფრო დაბალია საშუალოდ რამდენიმე წლისათვის გაანგარიშებული ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი. გამოდის, რომ სახელმწიფოს ანტიციკლური პოლიტიკა მისი გრძელვადიანი შედეგებით სრულიად თავისუფლად შეგვიძლია მივაკუთვნოთ ეკონომიკური განვითარების რეგულატორებს<sup>1</sup>

ანტიციკლურ რეგულირებას (მას ხშირად მოკლევადიანი სტაბილიზაციის პოლიტიკას უწოდებენ) აქვს ხანგრძლივი, წინააღმდეგობრივი ისტორია, საგრძნობი წარმატებებითა და მწარე იმედგაცრუებით. ისინი, ვინც 30-იან წლებში მას აპროექტებდნენ, სახელმწიფოს ამოცანად თვლიდნენ ბაზრების მკვეთრი და მყარი შეუსაბამობის დაუშვებლობას მიწოდების მხრიდან. რადგან მიწოდების რეგულირება საკმაოდ რთულია (ის უფრო მეტად კერძო სექტორში კონცენტრირდება), საჭირო იყო მოთხოვნის მართვის სისტემის გაუმჯობესება. ვარაუდობდნენ, რომ აქ სახელმწიფოს შესაძლებლობები გაცილებით ფართო იყო, რადგანაც იგი აკონტროლებდა ბიუჯეტს და ფულად მიმოქცევას. სახელმწიფოს მოეთხოვებოდა, ისე წარემართა მოთხოვნის სტიმულირება წარმოების საშუალებებსა და მოხმარების საგნებზე, რომ მიუახლოვებინა იგი მიწოდებასთან, გაეწონასწორებინა ბაზრები, ეს კი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ დაუშვებდა დაცემას და ეკონომიკურ ზრდას მისცემდა დიდ სიმყარეს.

ანტიციკლური რეგულირების მთავარი ხერხი გაჩადა ექსპანსიური ფულადი პოლიტიკა.\* მისი განხორციელებით სახელმწიფო ორმხრივ ზემოქმედებას ახდენს მოთხოვნაზე. პირველი, მიმოქცევაში ფულადი მასის გაზრდით ის ახერხებს ღია ტიპის ინფლაციის, ფასების ზრდის პროვოცირებას. მომხმარებლები ექცევიან ისეთ მდგომარეობაში, როცა ემორჩილებიან რა ადაპტური მოლოდინის რეფლექსს, იძულებულები არიან, დანაზოგები დახარჯონ, აამალონ მიმდინარე მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე. სწორედ ეს უნდა სახელმწიფოსაც. მეორე, ფულის

---

\* მისი განხორციელების შექანიზმი ჩვენთვის ცნობილი შესაძებ და შეთხე ლექციებიდან.

მიწოდების გადიდებით ის იწვევს სარგებლის განაკვეთების მოკლევადიან შემცირებას. კრედიტი იაფდება, ხელმისაწვდომი ხდება მეწარმეებისათვის, რომლებიც მისი მიღებით ზრდიან მოთხოვნას წარმოების საშუალებებზე. გარდა ამისა, მათთვის ასლა უფრო მომგებიანია არა იმდენად ფულის ბანკში შეტანა (სარგებელი ხომ მცირეა), რამდენადაც მისი დახარჯვა აქტივების შესყიდვაზე, რაც ასევე ხელს უწყობს საქმიანი აქტიურობის ამაღლებას. ამასთან, მოკლევადიანი სტაბილურობის მიღწევით, სახელმწიფო ხშირად იყენებს არა მხოლოდ ფულად, არამედ საგადასახადო პოლიტიკასაც. როდესაც წარმოება ეცემა, ის ცდილობს შეამციროს გადასახადები, რათა ამ გზით გაზარდოს მიმდინარე მოთხოვნა, ხოლო აღმავლობის პერიოდებში მოქმედებს ამის საპირისპიროდ.

თუ არც ფულადი, არც საგადასახადო პოლიტიკა არ იძლევა დადებით შედეგებს, არ აწონასწორებს ბაზრებს, სახელმწიფო თვითონ კმნის დამატებით მოთხოვნას. იზრდება საბიუჯეტო ხარჯები, ზოგჯერ, შემოსავლებზე მეტადაც. წარმოიქმნება ბიუჯეტის დეფიციტი, რომლის დასაფარავადაც სახელმწიფო სხვადასხვა წყაროდან იღებს სესხებს, სესხულობს საკუთარი ცენტრალური ბანკიდანაც. სწორედ ისინი წარმოქმნის დამატებით მოთხოვნას.

ანტიციკლური რეგულირება გამოიყენება ყველგან, სადაც ფუნქციონირებს საბაზრო ეკონომიკა. სახელმწიფომ, რომელიც ეკონომიკის მოკლევადიანი სტაბილიზაციით ათეული წლებით იყო დაკავებული, დააგროვა უდიდესი გამოცდილება, შეიმუშავა ერთობლივი მოთხოვნის მართვის სხვადასხვაგვარი მექანიზმები. ამ უკანასკნელთა მოქმედება წარმოების კლების (როგორც სიღრმით, ისე ხანგრძლივობით), შესამჩნევად შემცირების არსებითი მიზეზია. აღსანიშნავია ისიც, რომ დროთა განმავლობაში დადებით შედეგებს სულ უფრო მეტად ნეგატიური ეფექტები აჟარბებდა, რამდენადაც სახელმწიფო ძირითადად ეყრდნობოდა რეგულირების ინფლაციურ მეთოდებს, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ფულადი სისტემა შერყეული აღმოჩნდა, წარმოიქმნა ქრონიკული საბიუჯეტო დეფიციტი, ხოლო ფასების ზრდაზე თანდათანობით დაიკარგა კონტროლი.

ბოლოს და ბოლოს გამოაშკარავდა ანტიციკლური რეგულირების ტრადიციული ხერხების მინუსების აშკარა გადამეტება პლუსებთან. როგორც უკვე დავრწმუნდით, უმართავი ინფლაცია შესამჩნევად ასუსტებს ეკონომიკური რეგულატორების ქმედითობას, უმართავს ხდის მთელს სახალხო მეურნეობას. 70-იან წლებში საბაზრო ეკონომიკის ბევრმა ქვეყანამ იგრძნო ინფლაციის მძიმე დარტყმები. ამიტომ ბოლო დროს მოკლევადიანი სტაბილიზაციის ჩვეულებრივმა სქემამ ბევრი ცვლილება

განიცადა. ინფლაციური მეთოდები (ფულის ექსპანსია და საბიუჯეტო ხარჯების ზრდა) სულ უფრო მეტად ბარდება წარსულს, გზას უთმობს საგადასახადო პოლიტიკას. ძირითადად აქცენტი ეთოვება მოგების დაბეგვრის მყარ შემცირებაზე, რომელიც დაგროვების მიზნით იხარჯება. გამოთავისუფლდება საფინანსო რესურსები, რომლებსაც ბიზნესი აქცევს კაპიტალდაბანდებად, ამალღებს მოთხოვნას წარმოების საშუალებებზე, აყარათოებს ბაზრის საზღვრებს.

ადრე აღინიშნა, რომ ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობისაკენ მოძრაობა ნიშნავს, კერძოდ. წარმოების პროგრესულ სტრუქტურულ გარდაქმნას. თუმცა, საერთოდ თუ ვილაპარაკებთ, ეს ბაზრის ამოცანაა, მაგრამ სახელმწიფოც მონაწილეობს მის გადაწყვეტაში. ის ეხმარება ბაზრის მექანიზმს, რათა ეკონომიკური მანქანა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ამოცანებს დაუჭევდებაროს. ცდილობს შეამციროს რისკის ღონე კაპიტალდაბანდებების განხორციელებაში, ბიზნესის წახალისებით ხელი შეუწყოს ეკონომიკის ახალი სექტორების ათვისებას, სადაც გასაღების პერსპექტივები და მოგების შესაძლო ნორმა დასაწყისში ბუნდოვანია. ხდება ისიც, რომ სახელმწიფო მხარს უჭერს საექსპორტო დარგებს და იმთავაც, რომლებიც იმპორტის შემცელებლებს უშვებენ და ცდილობენ ამ წესით გააუმჯობესონ საგაქრო ბალანსი, სტიმულს აძლევენ ეკონომიკის იმ სფეროებს, რომლებსაც შეუძლიათ სულ უფრო მეტი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ა. შ. სტრუქტურული რეგულირება. როგორც ჩანს, მოიცავს საკმოდ ფართო სამეურნეო სივრცეს და არ იფარგლება მხოლოდ ერთი, ზრდის ახალი თვისებრიობის მიღწევის ამოცანით.

სტრუქტურული რეგულირების ძირითადი ფორმების რიცხვს მიეკუთვნება საბიუჯეტო და საკრედიტო პოლიტიკა. მაგალითად. პრაქტიკაში გამოიყენება საბიუჯეტო სუბსიდიების (გრანტების) საკონკურსო განაწილება, რომლებიც ჩვეულებრივ ეხება იმ ფირმებს, რომელთაც მოწინავე დარგების სწრაფი პროგრესის უზრუნველყოფილი სტრუქტურული გარღვევის უტყუარი უნარი შესწევთ. მათ ემატებათ საგადასახადო სტიმულები. რეგულირების კონკრეტულ სტეპებს ჩვენ ცოტა ჭკემოთ გავარჩევთ, ახლა კი აღვნიშნავთ: ისინი აგებულობა ისე, რომ, თუ მეწარმეები თავიანთ კაპიტალს დააბანდებენ იქ. სადაც სახელმწიფო მოუწოდებს, გადასახადის ოდენობა, როგორც წესი, მცირდება. იმ კორპორაციებს, რომლებიც ცდილობენ პრიორიტეტული დარგების განვითარებას, სახელმწიფო ბანკები აძლევენ კრედიტებს უფრო ღირსებით და დაბალი გადასახადით. როდესაც ასე იქცევა კერძო ბანკები.

მათი მოგება ჩვეულებრივი წესით კი არ იბეგრება, არამედ, შელავათიანით. ხდება ისიც, რომ ბიზნესს სახელმწიფო მხარს უჭერს საბიუჯეტო ასიგნებების გამოყოფით და მიზნობრივი მარშრუტებით უშვებს ეკონომიკის იმ სექტორებში, რომელთა განვითარების დაჩქარება აუცილებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო მეურნეობის პირობებში რეგულირების უკიდურესი ზერხი არის არა წესი, არამედ გამონაკლისი. სახელმწიფოს შეუძლია, საწარმოებს მისცეს საგადასახადო შელავათები, გააუმჯობესოს სიტუაცია დაკრედიტებაში, თავის თავზე აიღოს საზღვარგარეთული კაპიტალდბანდების უსაფრთხოება, შეამციროს საინვესტიციო რისკის დონე, აღკვეთოს წინააღმდეგობანი, რომლებიც ზელს უშლის დანაზოგების ინვესტიციებად გადაქცევას და ა. შ., მაგრამ ის ჩვეულებრივ არ აკეთებს იმას, რისი გაკეთებაც ბიზნესს შეუძლია, ცდილობს არ შეცვალოს იგი, შორს დგას საინვესტიციო პროცესში პირდაპირი მონაწილეობისაგან. ეფექტიანად მომუშავე საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოს საინვესტიციო საქმიანობა ძირითადად შეზღუდულია ბუნებრივი მონოპოლიზმის ზონის ფარგლებით და მისი საზღვრების გარეთ გასვლა დაშვებულია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ისიც მხოლოდ დროებით.

თუ სახელმწიფოს აქვს სტრუქტურული გარდაქმნის მსვლელობაში ჩარევის საკმაო მოტივები, მით უფრო გამართლებული ხდება მისი რეგიონული პოლიტიკა. რეგიონული დისპროპორციები, რომლებიც მრავალ განვითარებულ ქვეყანაში არსებობს და ამუხრუჭებს ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებრიობაზე გადასვლას, წარმოქმნილია სხვადასხვა მიზეზთა კომპლექსით, რომელთა შორისაც ეკონომიკური (და, მაშასადამე საბაზრო) ხშირად სრულიადაც არ დომინირებს. სახელმწიფო არ იზღუდება რეგიონული უმუშევრობის პრობლემის გადაწყვეტით (ჩვენ ის განვიხილეთ მეცხრე ლექციაში) და ცდილობს დანარჩენი რეგიონული გადახრების გამოსწორებისათვის წარმართოს საინვესტიციო პროცესი. რათა დაეხმაროს ჩამორჩენილ რაიონებს დაცემის მდგომარეობიდან გამოსვლაში. პრინციპები და ბერკეტები აქ იგივეა, რაც გამოიყენება სტრუქტურული რეგულირების გატარებისას (გადასახადები, კრედიტები, საბიუჯეტო ხარჯები და ა. შ.), იცვლება მხოლოდ მიზეზები და მიზნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ზენაციონალური პროგრამების მნიშვნელოვანი როლი, მაგალითად, მათი, რომლებიც შეიმუშავება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში და გამიზნულია ევროპული ინტეგრაციის დამთავრებისათვის.

ამგვარად, სტრუქტურული და რეგიონული პოლიტიკა უნდა

მივაკუთვნოთ დამოუკიდებელ, ეკონომიკური ზრდის სახელმწიფო რეგულირების რიგით მესამე მიმართულებას.

ვიდრე გადავიდოდეთ მეოთხე მიმართულების ანალიზზე, უნდა გავიხსენოთ მესამე ლექციის მასალები, უფრო ზუსტად, მისი ის ნაწილი, რომელიც მიეძღვნა სასაქონლო ბაზრების მაკროეკონომიკური უწონასწორობის ფორმებს. მაგალითად, მითითებული იყო, რომ ეკონომიკა ექცევა რთულ მდგომარეობაში, თუ მასში იგრძნობა დანაზოგების უკმარისობა და ამ უკმარისობის მიწოდება ნაწილობრივ ფარავს წარმოების მოთხოვნილებებს, საინვესტიციო მოთხოვნას. ამ სიტუაციაში გარდუვალაა გაფართოებული კლავწარმოების ფინანსური საფუძვლების შევიწროება, რაც ეკონომიკური ზრდის შენელებას იწვევს.

რატომ ხდება ასე? როგორაა მოწყობილი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც წარმოქმნის და ამრავლებს დანაზოგების დეფიციტს? ამ მექანიზმის კონსტრუქციის გარკვევისა და მისი დემონტაჟის საშუალებების დასახვისას ჩვენ ერთდროულად მოვნიშნავთ სახელმწიფო პოლიტიკის კონტურებს, რაც ამსუბუქებს ინვესტიციების დაფინანსებას და, შესაბამისად, ხელს უწყობს ეკონომიკის ნორმალურ განვითარებას.

აღნიშნული მექანიზმის მთავარი ზამზარა ჩვენთვის ცნობილია – საბაზრო სისტემის პრინციპული უუნარობა საინვესტიციო მოთხოვნასა და დანაზოგების მიწოდებას შორის თანფარდობის მუდმივ დაბალანსებასა და მაკროეკონომიკური წონასწორობის სიმყარის უზარუნველყოფაში. სხვა დანარჩენ ელემენტებს შორის გამოიყოფით დაბეგერის არასრულყოფილებას, რომელიც იქ გამოჩნდება, სადაც სახელმწიფო ხელმძღვანელობს ამწუთიერი ფისკალური მოტივებით, ჯიუტად ცდილობს, აიღოს რაც შეიძლება მეტი ფული დღეს, ძალზე ზრდის საგადასახადო განაკვეთებს მოგებასა და პირად შემოსავლებზე. პირველ შემთხვევაში გარდუვალაა კაპიტალის დანახარჯების ეფექტიანობის შემცირება, რომელიც გამოიწვევს მოგების იმ წილის შესაბამის შემცირებას, რაც იზოგება. და ინვესტიციებისთვისაა გამიზნული. გადასახადების გადახდის შემდეგ მოქალაქეთა ხელში დარჩენილი პირადი შემოსავლების შემცირების შემთხვევაში საქმეში ერთვება ჩვენთვის ცნობილი მექანიზმები, რომლებიც მათ გადაჭარბებულ მიმდინარე მოხმარების სფეროში. ისეც ხდება, რომ იგივე ნეგატიური ეფექტი იწვევს სახელმწიფოს არაშორსმკვრეტელურ მოქმედებას სოციალურ დარგში. მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, სოციალური პროგრამების დაუსაბუთებელი გაბერვა, ინსტიტუციური უმუშევრობა, შრომითი შემოსავლების მოცულობის და, მასადას, დანაზოგების შემცირებაც.

ეკონომიკურ განვითარებას დიდ ზიანს აყენებს ინფლაცია. მისი

უარყოფითი ზემოქმედება სრულიადაც არ იფარგლება ინვესტიციური ნაკადების დეზორიენტაციით, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დამუხრუჭებით, მოგების ინფლაციური დაბეგვრის ეფექტის გაჩენით, რისკის დონის ამაღლებით, განსაკუთრებით გრძელვადიანი კაპიტალდაბანდების დროს. არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ინფლაციას თან მოსდევს სარგებლის განაკვეთების მხოლოდ მოკლევადიანი შემცირება, შემდეგ კი, ფიშერის ეფექტის თანახმად, იცვლება მათი გაზრდით, რაც ზღუდავს მეწარმეებისათვის ხელსაყრელი კრედიტის წყაროებს. როდესაც ინფლაცია გადაეხლართება მოგების კონტროლუქტულ დაბეგვრას, მოსალოდნელია დივიდენდების შემცირება, რაც აქციონერებს უბიძგებს, თავი შეიკავონ კაპიტალის დამატებითი დაბანდებისაგან.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს საბიუჯეტო დეფიციტის დამლუპველი როლის შესახებ, რაც იწვევს საკრედიტო რესურსებზე კერძო მოთხოვნის სახელმწიფოებრივის მიერ გამოდენის ეფექტს. მაშინაც კი, თუ არ არის ინფლაცია, დაბეგვრის სისტემა სრულიად იდეალურია, ხოლო დანაზოგების ერთობლივი მოცულობა საკმარისი ეკონომიკური ზრდის სრულფასოვანი დაფინანსებისათვის, მათი განმსაზღვრელი ნაწილი ვერასოდეს ვერ აღწევს საინვესტიციო პროცესამდე. ამ რესურსებს სახელმწიფო იყენებს დეფიციტის დასაფინანსებლად. ასეთი რამ ხშირად ხდება, უფრო ზუსტად, ყველგან ხდება, სადაც სახელმწიფო არსებობს. სახსრების გარეშე, ამასთან, იგი ფლობს ფასიანი ქალაქების ბაზარზე ზემოქმედების მძლავრ ხერხებს. შეგახსენებთ, რომ კორპორაცია, იღებს რა მისგან ინვესტიციებისათვის საჭირო ფულს, შემდგომში მას ისტუმრებს საბაზრო საქმიანობის შედეგად მიღებული დივიდენდებით. ამ ზღვარზე გადაბიჯება არ შეიძლება. სახელმწიფოსთვის სესხის აღება გაცილებით იოლია, რადგანაც პროცენტი მის სასესხო ვალდებულებებზე არაფრით არ უკავშირდება საქონლისა და მომსახურების გაყიდვას, მოგების ნორმას და ა. შ., მაშასადამე, არა აქვს მკაცრი ზედა ზღვარი და ითქვიფება საბიუჯეტო დანახარჯების საერთო ნაკადში. სახელმწიფოს ძალა ისაა, რომ დანაზოგებისათვის ბრძოლის დასრულება უფრო მეტად წინასწარაა განსაზღვრული.

გამოდის, რომ, რადგან სახელმწიფომ ხელი მოჰკიდა ეკონომიკური ზრდის რეგულირებას, მან უნდა იზრუნოს დანაზოგებსა და ინვესტიციებს შორის ოპტიმალური პროპორციის დაცვაზე, შეაჩეროს ფულადი აქტივების გადაადგილება დანაზოგებიდან მოხმარებისაკენ, მათი არამწარმოებლური გამოყენება აღუკვეთოს მათ, ვინც ვერ შეძლო სახელმწიფო ფინანსების გააჩნსალება, ეცადოს დაუსაბუთებელი ხელყოფის გზით დამალოს თავისი არაკომპეტენტურობა ინვესტიციურ რესურსებზე, შევნიშნავთ, რომ ეს შეეხება ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურას,




რომელიც პასუხისმგებელია ბიუჯეტის დეფიციტზე, მიუხედავად იმისა, თუ სად მოქმედებს იგი – საბაზრო თუ არასაბაზრო ეკონომიკებში. ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობის მიღწევას ხელს შეუწყობს ქმედითი ანტიინფლაციური რეგულირება, ფართილი სოციალური პოლიტიკა, ბიუჯეტის დეფიციტის ლიკვიდაციის გეგმის დამუშავება და თანდათანობითი რეალიზაცია. და, რა თქმა უნდა, საჭიროა მოქნილი საგადასახადო პოლიტიკა, რომელიც 80-იან წლებში იყო ეკონომიკური განვითარების სახელმწიფო სტიმულირების მთავარი ბერკეტი.

სწორედ ისაა სახელმწიფო რეგულირების ბოლო, მესხეთე მიმართულების ცენტრში. თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკის დამახასიათებელი თავისებურებაა დაბეგვრის განაკვეთების, პირველ ყოვლისა, მოგების დიფერენცირებული შემცირება. ეს პრინციპი დაედო საფუძვლად ბევრი განვითარებული ქვეყნის მთავრობათა ეკონომიკურ პოლიტიკას. მ. ფელდსტაინი, რომელიც სათავეში ედგა სახელმწიფო რეგულირების რეფორმას აშშ-ში პრეზიდენტ რ. რეიგანის დროს, წერდა: "კორპორაციის დანაზოგების წამახალისებელი საგადასახადო პოლიტიკა აუცილებლად გამოიწვევს ერთობლივი ინვესტიციების ზრდას".\* სინამდვილეში ეს, მართლაც, ასე განხორციელდა. ამას მოწმობს ის საგრძნობი შედეგები, რომლებსაც მიაღწიეს მოწინავე სახელმწიფოებმა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში, ეკონომიკური ზრდის საქაოლ მყარი ტემპები, ახალი თვისებრიობისაკენ მისი სწრაფი წინსვლა.

თუმცა, აქ არის ერთი წერილმანი: თითქოს, დაბეგვრის ლიბერალიზაციას აუცილებლად უნდა მოჰყვეს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების დანაკარგები. საბაზრო ეკონომიკაში ეს მართლაც შეიძლება მოხდეს, მაგრამ მხოლოდ მოკლევადიანი პერსპექტივით. გრძელვადიანი შედეგები სხვაგვარია – შენატანების გაზრდა ბიუჯეტში და, მაშასადამე, დეფიციტის შემცირება და ინფლაციის დამუხრუჭება. ეკონომიკურ მეცნიერებაში ამ მოვლენას ხშირად ლაფერის ეფექტს უწოდებენ (ხახ. 12.1).\*\*

\* Feldstein M. Capital taxation. Cambridge (Mass.), 1963, p. 112.

\*\* ეს ეფექტი გამოაჯერავა ამერიკელმა ეკონომისტმა ა. ლაფერმა ორი ფუნქციის მათემატიკური კლასის მსვლელობაში, რომელიც აქენებდა ბიუჯეტის შემოსავლების დამოკიდებულებას მოგებისა და ხელფასის საგადასახადო განაკვეთებთან (Canto V., Joines D. Laffer A. A. foundations of supply side economics. New York, 1983, p. 1-3) გამოვლინდა დაბეგვრის არსებითი ოპტიმალური დონეები, რომლის დროსაც ორივე ფუნქცია აღწევს მაქსიმუმს. აგრეთვე მათი კლება იმ შემთხვევაში, როცა ეს დონე მგტი ან ნაკლებია ოპტიმალურ ნიშნულზე შემდეგ დაიწყო ეფექტის მასშტაბური ეკონომეტრიული შემოწმება სხვადასხვა ქვეყნისათვის, დროის პერიოდებისათვის და ა. შ.



ნახ. 12.1

12.1 ნახაზზე  $t$  – საგადასახადო განაკვეთების საშუალო დონეა პროცენტებში,  $G$  – სახელმწიფო შემოსავლების საშუალო წლიური (გრძელვადიანი) მოცულობის მაჩვენებელი. ლაფერის მრუდის შეხების წერტილები  $t$  ლერძზე ასახავს მეტად პირობით ეკონომიკურ სიტუაციებს. თუ დავეშვით, რომ დაბეგვრის დონე ნულს უდრის, მაშინ, გასაგებია, სახელმწიფო კარგავს შესაბამის შემოსავლებს. როდესაც ის მიზნად ისახავს მთელი მოგების მითვისებას ( $t=100$ ), ეკონომიკური პროცესი ჩერდება და ბიუჯეტი რჩება საშემოსავლო ნაწილის გარეშე ( $G=0$ ).

დაეუშვათ, რეალურად არსებული საგადასახადო განაკვეთები იმყოფება  $t_n$  ნიშნულზე, ხოლო შემოსავლების ნაკადი ბიუჯეტში იზომება  $G_n$  სიდიდით. თუმცა უფრო ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის უახლოესი შედეგი ( $t_s < t_n$ )<sup>\*</sup> იქნება სახელმწიფო შემოსავლების მოცულობის დროებითი დაცემა, ხანგრძლივ პერსპექტივაში ის გამოიწვევს დანაზოგების ზრდას, პირველ ყოვლისა, მათსას, რომლებიც წარმოიქმნება კორპორაციების მოგებიდან. დანაზოგების გაფართოება გააუმჯობესებს კაპიტალდაბანდებების დაფინანსების პირობებს, ინვესტიციურ პროცესს მისცემს სიმყარეს. მისი ზემოქმედების შედეგად გაიზრდება წარმოება. დასაქმება, ხოლო მათ კვალობაზე – დაბეგვრას დაქვემდებარებული შემოსავლების მასა. გამოდის, რომ მოგებაზე გადასახადის განაკვეთის შემცირება, საბოლოო ანგარიშით, ზემოქმედებს საშემოსავლო გადასახადის თანხაზე. მაგრამ ეს მექანიზმი ყოველთვის როდი მოქმედებს. იმისათვის, რომ ლაფერის ეფექტი რეალობად იქცეს და სახელმწიფო შემოსავლების დინამიკა ხასიათდებოდეს მოძრაობით  $G_B$ -დან  $G_0$ -მდე, საჭიროა განვითარებული საბაზრო ურთიერთობები, დანაზოგების განუწყვეტელი გადაქცევა ინვესტიციებად, საიმედო კონტროლი ინფლაციაზე, ფასების სტაბილურად დაბალი ტემპი და ა. შ. საჭიროა კვლავ საშემოსავლო

\* 12.1 ნახაზზე მოცემული ეფექტი შეუმჩნეველია, ვინაიდან ლაფერის მრუდი აქვენებს მხოლოდ გრძელვადიან დამოკიდებულებას საგადასახადო განაკვეთებსა და ბიუჯეტის შემოსავლებს შორის.

გადასახადების მოცულობის საკმაოდ სწრაფი ზრდა, რაც შესაძლებელია მხოლოდ პროგრესული სკალის საფუძველზე მათი წარმოქმნისას.

მსოფლიო სამეურნეო პრაქტიკაში ცნობილია ეკონომიკური განვითარების სტიმულირების ბევრი ეფექტიანი ზერხი კარგად მოფიქრებული საგადასახადო განაკვეთების მანიპულაციების გზით. მაგალითისათვის ავიღოთ ინვესტიციების საგადასახადო შეღავათების მექანიზმი. ის ასეა მოწყობილი: როდესაც ფირმა ინვესტირებას ახდენს მოწინავე ტექნოლოგიებში ან, უბრალოდ, ახალ მოწყობილობაში, დაბეგვრას დაქვემდებარებული მოგების საერთო სიდიდიდან სახელმწიფო გამორიცხავს გარკვეულ თანხას, რომელიც დაბანდებული კაპიტალის რაღაც ნაწილის ტოლია. ეს ნაწილები დიფერენცირებულია დარგების მიხედვით, ამასთან, ავანგარდულ დარგებში ისინი აღწევენ მაქსიმალურ სიდიდეებს. გამოდის, რომ, რაც მეტია ინვესტიციები და პროგრესულია მათი სტრუქტურა, მით ნაკლებია გადასახადი, რომელიც ბიუჯეტში მიდის.

დაეუშვათ, გადასახადით უნდა დაიბეგროს მოგება, რომელიც 100 ათას რუბლს უდრის. ოცდაათპროცენტიანი საგადასახადო განაკვეთისას, ამ თანხიდან ბიუჯეტში გადაირიცხება 30 ათასი რუბლი. ჩავთვალოთ, რომ საწარმო ახალ მოწყობილობაში 50 ათას რუბლს აბანდებს, ხოლო მაჩვენებელი, რომელიც გამოხატავს შეღავათიანი დაბეგვრის რეიმს, შეადგენს 20%-ს. ეს ნიშნავს, რომ მოგება, რომლის საფუძველზეც გაიანგარიშება გადასახადი, უნდა შემცირდეს 10 ათასი რუბლით (0,2 X 50 ათას რუბ.). ეს უკანასკნელი შემცირდება 90 ათას რუბლამდე, სახელმწიფოსათვის შენატანის მოცულობა 27 ათას რუბლამდე. გამოდის, რომ, თუკი არ შევხებით თვით საგადასახადო განაკვეთსაც კი და შემოვიფარგლებით მხოლოდ შეღავათების რეჟიმის ცვლილებებით (მათი დონე შეიძლება ამაღლდეს 30%-მდე ან დაეცეს 10%-მდე), სახელმწიფოს ძალუძს განახორციელოს წარმოების ქმედითი სტიმულირება.

დაახლოებით ასევე მუშაობს საინვესტიციო საგადასახადო კრედიტების სისტემა. მისი აღწერისათვის კვლავ გამოვიყენებთ პირობით მაგალითს.

წარმოვიდგინოთ დარგი, რომელიც შედგება ათი საწარმოსაგან. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი ფულს აბანდებს ახალი ტექნოლოგიის დამუშავებაში, შექენასა და გამოყენებაში, ასეთი დანახარჯების წილი წარმოების ხარჯებში არაერთგვაროვანია. ერთ საწარმოში ეს მაჩვენებელი უდრის, დაეუშვათ, 5%-ს, მეორეში – 7%-ს და ა. შ. იმისათვის, რომ წინ წასწიოს, სტიმული მისცეს ტექნოლოგიურ პროგრესს, სახელმწიფო ადგენს შემდეგ წესს: იმ ფირმებს, რომლებშიაც აღნიშნული ინდიკატორი საშუალო დარგობრივ სიდიდეზე

მალალია, უფლება აქვთ მიიღონ გადასახადების დასაფარავად გამიზნული სპეციალური კრედიტი. კრედიტი გაიცემა სარფიანი პირობებით (დაბალი სარგებლითა და ხანგრძლივი ვადით) და უზრუნველყოფილია სახელმწიფო დაზღვევით, საბანკო მოგების შეღავათიანი დაბეგვრით და სხვა ხერხებით.

ცხადია, საწარმოები, რომლებიც მიიღებს მძლავრ ეკონომიკურ სტიმულს, დაიწყებს უფრო აქტიურ ინვესტირებას. ეცდება დაილოს საშუალოდარგობრივი ნიშნული, ე. ი. იმას გააყეთებს, რასაც ცდილობს სახელმწიფო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ უკანასკნელის ხარჯები საექვოა გახდეს მეტისმეტად დამამძიმებელი. იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებმაც შექლეს საშუალოდარგობრივი ზღვარის გადალახვა, უთუოდ იქნება იმათზე ნაკლები რაოდენობის, რომლებიც ჩაერთენენ საინვესტიციო საგადასახადო კრედიტებისათვის ბრძოლაში.

განხილულ მარეგულირებელ მექანიზმებს უერთდება დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკა. მისი არსი ისაა, რომ სახელმწიფო ძირითადი კაპიტალის ჩამოწერის ნორმების გაზრდით, მეწარმეებს აძლევს შესაძლებლობას, სწრაფად განაახლონ მათი კუთვნილი შრომის საშუალებები. ეს ნორმები სხვადსხვაა. მათი დიდი მნიშვნელობა (და, მამასადამე, მოწყობილობათა სამსახურის მცირე ვადები) ყველაზე მოწინავე დარგებისთვისაა დამახასიათებელი. ეს უკანასკნელები, ასრულებენ რა ტექნოლოგიური პროგრესის მამოძრავებლის როლს, მთელი დანარჩენი ეკონომიკაც მიჰყავთ თან. დაჩქარებული ამორტიზაციის პოლიტიკა იძლევა კიდევ ერთ მნიშვნელოვან ეფექტს. ძირითადი კაპიტალის განახლების მალალი ტემპების დროს სწრაფად ფართოვდება მოთხოვნა თანამედროვე შრომის საშუალებებზე, იზრდება ბაზრის ტევადობა. განსაკუთრებით მანქანათმშენებელი პროდუქციისა. როგორც ჩანს, ასეთი პოლიტიკა ეხმარება რა ტექნოლოგიურ პროგრესს, იქცევა საბაზრო მეურნეობის ანტიციკლური რეგულირების დამატებით მეთოდად.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განვითარება წარმოშობს ბევრ რთულ პრობლემას. ამიტომ გასაკვირი არ არის ის ინტერესი, რომელსაც მისდამი იჩენს ეკონომიკური მეცნიერება. მისი ყველაზე ცნობილი მიღწევები – ეკონომიკური ზრდის კვლევის მეთოდები განხილული იქნება მეცამეტე ლექციაში.

ეკონომიკური დინამიკის ანალიზი

ეკონომიკური ზრდის ფაქტორული გამოკლევა. წარმოებრივი ფუნქცია. გამოშვების ელასტიურობა წარმოების ფაქტორების დანახარჯების მიხედვით. კობა-დუგლასის ვარიანტი. მასშტაბის ეფექტი. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეგზოგენურად და ენდოგენურად მოცემული წარმოებრივი ფუნქცია. ზღვრული ნორმა და ფაქტორების შენაცვლების ელასტიურობა. შენაცვლების მუდმივი და ცვლადი ელასტიურობა. ტექნოლოგიური პროგრესის ნეიტრალობის კრიტერიუმი. ნეიტრალობა ბიკის, ხაროდისა და სოლოუს მიხედვით. კვლავწარმოების დარგთა შორის სტრუქტურა. ლეონტიევის მოდელი. ზრდის მექანიზმი. მულტიპლიკაციისა და აქსელერაციის ეფექტები.

თანამედროვე ეკონომიკური თეორია ეკონომიკური დინამიკის კვლევის ბევრ ეფექტიან მეთოდს ფლობს. თუ გავზომავთ სამეურნეო განვითარების ტემპებს, სხვადასხვა ფაქტორის წვლილს გამოშვებული პროდუქციის მატებაში, პრიორიტეტს წარმოებრივი აპარატის ფუნქციას მივაკუთვნებთ. საერთოდ, წარმოებრივი ფუნქცია კანონიკური სახით ასე გამოიხატება:

$$Y = Ax_1^{\alpha_1} \cdot x_2^{\alpha_2} \cdot \dots \cdot x_n^{\alpha_n} , \quad (13.1)$$

სადაც  $Y$  – წარმოების შედეგია (მაგალითად, ეროვნული შემოსავლის მოცულობა);  $x_1, x_2, \dots, x_n$  – წარმოების ფაქტორების დანახარჯები (კაპიტალის, შრომის, ინფორმაციის, ტექნოლოგიისა და ა. შ.).

$A$  მუდმივი არაერთმნიშვნელოვნად განიხილება. როდესაც გამოშვებულ პროდუქციას და მასზე დახარჯულ რესურსებს აქვთ ერთნაირი, ვთქვათ, ფულადი საზომი,  $A$  სიდიდე შედეგზე იმ ზემოქმედებას ასახავს, რომელიც არ მიეკუთვნება  $n$  სიმრავლეს, წარმოების ფაქტორებს. წარმოებრივი ფუნქცია ზოგჯერ ისე აიგება, რომ ცვლადი მაჩვენებლები სხვადასხვანაირად გაიზომებიან, ნატურალურ მაჩვენებლებში (შრომის დანახარჯები, დავუშვათ, კაცდღეებით, ინფორმაცია – ბაიტებით, ეროვნული შემოსავალი – მანეთებით, და ა. შ.) ასეთ შემთხვევაში  $A$  მაჩვენებელს ეძლევა დამატებითი დატვირთვა, რაც ცვლადების თანაზომვაში მდგომარეობს.

რამდენადაც ტოლობაში (13.1) წარმოების ფაქტორები წარმოდგენილია თანამართლებების სახით, მას წარმოებრივი ფუნქციის მულტიპლიკაციურ ფორმას უწოდებენ. მისი არსი ისაა, რომ წარმოების ყველა ფაქტორი გამოშვების განუყოფელ პირობადაა აღიარებული: თუნდაც ერთიც რომ დააკლდეს (ნულს გაუტოლდეს), მთელი წარმოებრივი პროცესი შეუძლებელი ხდება.

გასარკვევი დარჩა  $a_1, a_2, \dots, a_n$ -ის კოეფიციენტების ეკონომიკური შინაარსი. ამისათვის უნდა მოვახდინოთ მათემატიკური გარდაქმნები. განვსაზღვროთ, მაგალითად, კერძო წარმოებული ფუნქცია (13.1)  $X_1$ -ის მიხედვით:

$$\frac{\partial V}{\partial x_1} = a_1 A x_1^{a_1-1} \cdot x_2^{a_2} \dots x_n^{a_n}. \quad (13.2)$$

გავამრავლოთ და გავყოთ მარჯვენა ნაწილი /13.2/  $X_1$ -ზე, მივიღებთ

$$\frac{\partial V}{\partial x_1} = \frac{\alpha_1 V}{x_1}, \quad (13.3)$$

$$a_1 = \frac{\partial V}{\partial x_1} \cdot \frac{x_1}{V}. \quad (13.4)$$

ანალოგიურად მიიღება დანარჩენი კოეფიციენტებიც -  $a_2, \dots, a_n$  თუ განვაზოგადებთ, გვექნება:

$$a_i = \frac{\partial V}{\partial x_i} \cdot \frac{x_i}{V} \quad (i=1, \dots, n). \quad (13.5)$$

(13.5)-ის მსგავს გამოსახულებას ჩვენ არაერთხელ შეხვედრივართ. პირველად - მეხუთე ლექციაში, მაშინ, როდესაც განურჩევლობის მრუდის საფუძველზე ვსაზღვრავდით ერთი სამომხმარებლო დოვლათის მეორით შენაცვლების ელასტიკურობის ცნებას. ახლა ჩვენ წინაა გამოშვების ელასტიკურობა წარმოების ფაქტორების დანახარჯების მიხედვით.  $a_i$  აჩვენებს, თუ რამდენი პროცენტით გაიზრდება (შემცირდება)  $Y$  შედეგი  $X_i$  რესურსის დანახარჯების ერთი პროცენტით ცვლილებისას.

წარმოებრივი ფუნქციის მოდელი სხვადასხვა რაოდენობის ფაქტორების ანალიზს უშვებს, მაგრამ რესურსები არასოდეს არ შეიძლება ორზე ნაკლები იყოს: პროდუქცია რომ გამოვუშვათ, აუცილებელია წარმოების

საშუალებები და ის ადამიანები, რომლებიც მათ მოიყვანენ მოძრაობაში. სწორედ ეს სიდიდეები (კაპიტალი და შრომა) ფიგურირებენ წარმოებრივი ფუნქციის ცნობილ ვარიანტში, რომელსაც კობა-დუგლასის ფუნქცია ეწოდება. იგი ღირსშესანიშნავია არა მხოლოდ თავისი სიმარტივით, არამედ იმითაც, რომ მისმა შემუშავებელმა ამერიკელმა ეკონომისტებმა, აშშ-ის 20-30-ანი წლების მაკროეკონომიკური სტატისტიკის გამოყენების საფუძველზე, ჩაატარეს ეროვნული შემოსავლის დინამიკის ერთ-ერთი პირველი ეკონომეტრიკული გამოკვლევა. კობა-დუგლასის ფუნქციას შემდეგი სახე აქვს:

$$Y = A K^{\alpha} L^{\beta}, \quad (13.6)$$

სადაც  $K, L$  – შესაბამისად კაპიტალისა და შრომის დანახარჯებია,  $\alpha, \beta$  – წარმოების ელასტიკურობის კოეფიციენტები კაპიტალისა და შრომის მიხედვით.

$$\alpha = \frac{\partial Y}{\partial K} \cdot \frac{K}{Y}, \quad (13.7)$$

$$\beta = \frac{\partial Y}{\partial L} \cdot \frac{L}{Y}. \quad (13.8)$$

თუ  $\alpha$  და  $\beta$  ცალ-ცალკე აჩვენებენ გამოშვების პროცენტულ ზრდას ან შემცირებას, კაპიტალის და შრომის სიდიდის ერთპროცენტიანი მერყობის პირობებში, მაშინ ამ კოეფიციენტების ჯამი ასახავს წარმოების საერთო რეაქციას დანახარჯების მითითებულ ცვლილებებზე. მაშასადამე, შესაძლებელია დავამტკიცოთ, რომ კობა-დუგლასის ტიპის ფუნქცია წარმოადგენს ერთგვაროვანს  $\alpha + \beta$  ხარისხში.

მოვიტანოთ პირობითი მაგალითი. დაეუშვათ, რომ როგორც კაპიტალის, ისე შრომის დანახარჯი 5%-ით გაიზარდა. გადავიწეროთ განტოლება /13.6/ ამ გარემოების გათვალისწინებით:

$$Y = A(105K)^{\alpha}(105L)^{\beta} = A(105)^{\alpha+\beta} K^{\alpha} L^{\beta}. \quad (13.9)$$

როგორც ჩანს, გამოშვების მოცულობაზე დანახარჯების გავლენის ხასიათი შესაძლებელია სხვადასხვა იყოს. რა თქმა უნდა, იგი ბევრადაა დამოკიდებული წარმოების მასშტაბებზე, რომლის ეფექტიც გაიზომება წარმოებრივი ფუნქციის ერთგვაროვნების მაჩვენებლით,  $\alpha + \beta$  სიდიდით. როცა  $\alpha + \beta = 1$ . წარმოებრივი ფუნქცია ხდება ერთგვაროვანი პირველ ხარისხში. შეიმჩნევა ფაქტორების მუდმივი უკუგება, მასშტაბების

ნეიტრალური ეფექტი. გამოდის, რომ რესურსების დანახარჯების ხუთპროცენტიანი გაზრდისას წარმოების შედეგიც 5%-ით იზრდება. არც ასეთი ვარიანტია გამორიცხული:  $a+b > 1$ . რამდენადაც ამ შემთხვევაში წარმოების ზრდა აღემატება ხუთპროცენტიან ზღვარს, სახეზეა მასშტაბის დადებითი ეფექტი. მისი ეკონომიკური მნიშვნელობა კარგად არის ცნობილი პოლიტიკური ეკონომიის კურსიდან და მდგომარეობს რესურსების კონცენტრაციის, შრომის კოოპერაციისა და ა.შ. ზემოქმედების საფუძველზე წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში. დაბოლოს, გვხვდება მასშტაბის უარყოფითი ეფექტიც ( $a+b < 1$ ). როდესაც წარმოების დანახარჯების ფაქტორების ზრდა მისი პროდუქტულობის შემცირებით შემობრუნდება. მსგავსი რამ ხდება, მაგალითად, სიტუაციაში, როცა კონცენტრაციით ზომას გადასული წარმოების ოდენობა ოპტიმალურ საზღვარს შორდება.

ზემოთ აღინიშნა, რომ თანამედროვე საბაზრო მეურნეობის ინტენსიური ზრდის მთავარი წყაროა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, მისი საშუალებით წარმოიშობა რესურსების ახალი ტექნოლოგიური კომბინაციები, მალდება ეკონომიკის ეფექტიანობა, ხდება სტრუქტურული ძვრები და იცვლება წარმოების მატების ნიეთობრივი შეესება. ამ გარემოებებს არ შეეძლო არ ეპოვა წარმოებრივი შეესება, ამასთან ერთად მას არ შეეძლო არ ასახულიყო წარმოებრივი ფუნქციის მოდელეებში, კობა-დუგლასის ვარიანტის ჩათვლით.

მტპ-ის აღრიცხვის წესიდან გამომდინარე, განასხვავებენ ეგზოგენურად და ენდოგენურად მოცემული ტექნოლოგიური პროგრესის წარმოებრივ ფუნქციებს. პირველი მიმართულება აღმოაჩინა ცნობილმა ჰოლანდიელმა ეკონომისტმა ი. ტინბერგენმა 40-იანი წლების დასაწყისში. მის მიერ შემოღებული ტერმინი "ეგზოგენური" მტპ ნიშნავს იმას, რომ ტექნოლოგიური პროგრესი წარმართება გარედან, გამოდის როგორც წარმოების ავტონომიური (კაპიტალსა და შრომასთან მიმართებით) ფაქტორი. ჩვეულებრივ იგი აღიწერება დროის მაჩვენებელი ფუნქციით, რის შედეგადაც კობა-დუგლასის ტიპის ფუნქციაში ჩნდება ახალი სიდიდე:

$$V = A K^{\alpha} L^{\beta} e^{\pi t} \quad , \quad (13.10)$$

სადაც  $\pi$  – ტექნოლოგიური პროგრესის ტემპია.


ამასთან არსებობს წარმოებრივი ფუნქციების სხვა კლასიც, სადაც მტპ მოცემულია ენდოგენურად. ეს ნიშნავს, რომ იგი მდებარეობს შიდა წარმოებრივ ფუნქციაში, განზავებულია წარმოების ფაქტორებში და ელინდება შრომასა და კაპიტალს შორის თანაფარდობის ცვლილებებში,



მათ ურთიერთშეცვლაში. წარმოებრივი ფუნქციის ასეთი კონფიგურაცია საესებით რეალურია. ცნობილია, მაგალითად, რომ მტკ სულ უფრო ნაკლებ შრომატევადს ხდის, და ამიტომ, ცვლის კაპიტალისა და შრომის ოდენობებს შორის პროპორციას.

დავუშვათ, საქმე გვაქვს კობა-დუგლასის ტიპის ფუნქციასთან, ამასთან წარმოების ორივე ფაქტორი ხასიათდება ურთიერთშენაცვლებით განსაზღვრულ ფარგლებში. სხვა სიტყვებით, რესურსების მარაგები და ტექნოლოგიის თვისებები ისეთია, რომ შრომის ერთი ერთეული შეიძლება შეიცვალოს კაპიტალის ნებისმიერი რაოდენობით და, პირიქით. დავუშვათ, აგრეთვე გამოსაშვები პროდუქციის (ეროვნული შემოსავლის) უცვლელობა. რამდენადაც უკანასკნელი შედეგი მიიღწევა ფაქტორების მნიშვნელობის სხვადასხვა შეთანხმებით, ყოველი შეხამების (წყვილი მნიშვნელობის) წარმოდგენა შესაძლებელია მრუდზე წერტილის სახით, რომელიც რაოდენობრივ კავშირს ამყარებს კაპიტალსა და შრომის დანახარჯებს შორის (ნახ. 13.1).

აღნიშნული კავშირის ხასიათი იმით განისაზღვრება. თუ რამდენი



ნახ. 13.1

ერთეული კაპიტალია საჭირო ერთი ერთეული შრომის შესაცვლელად და, პირიქით, შრომის რამდენი ერთეულია საჭირო კაპიტალის ერთი ერთეულის შესაცვლელად. შესაბამისმა მაჩვენებელმა მიიღო წარმოების ფაქტორის მეორეთი შეცვლის ზღვრული ნორმის სახელწოდება:

$$MR S_L^K = \frac{dK}{dL} \quad (13.11)$$

მნელი არაა დავრწმუნდეთ, რომ ფორმულა /13.11/ იმავე საფუძველს ეყრდნობა, რასაც ფორმულა /5.8/, რომელიც სარგებლიანობის ფუნქციის ანალიზისას არის მიღებული  $U=U(x,y)$ .

ზღვრული ნორმიდან ადვილია წარმოების ფაქტორების შენაცვლების ელასტიკურობაზე გადასვლა. მისი სიდიდე გვიჩვენებს, რამდენი პროცენტით იცვლება კაპიტალის ხარჯი შრომის დანახარჯების ერთი პროცენტით შეცვლისას, თუ გავიხსენებთ, რომ პროდუქციის მოცულობა უცვლელი რჩება:

$$E_L^K = \frac{dK}{dL} \cdot \frac{L}{K} = MR S_L^K \cdot \frac{L}{K} \quad (13.12)$$

ყურადღებით დაეკვირდეთ /13.12/ ფორმულას. აღსანიშნავია, რომ მასში ჩართულია ფაქტორების ნატურალური მოცულობა, მაშინ, როდესაც წარმოების რეალური წესები მათი თანაფარდობებით განსხვავდებიან. ასეთი წესი იმით არის თავისებური, რომ კაპიტალის ერთეულზე მოდის შრომის  $a$  ერთეული, სხვა შემთხვევისათვის ეს მაჩვენებელი უდრის  $b$ -ს და  $a$ . შ. რაზეა დამოკიდებული ასეთი თანაფარდობები? ისინი განპირობებული არიან შენაცვლების ზღვრული ნორმით, რომლის თვითველ მნიშვნელობას უპასუხებენ განსაზღვრული ტექნოლოგიები. ჩვენ მივედით აუცილებლობამდე, რათა განესაზღვროთ დამოკიდებულება იმ ორ თანამამრავლს შორის, რომელიც /13.12/ ფორმულაში ფიგურირებდა. დაეშვათ,

$$\frac{L}{K} = p; \text{MRS}_L^* = g,$$

მაშინ ელასტიკურობის გაანგარიშების ცნობილ პრინციპზე დაყრდნობით მივიღებთ:

$$\bar{E} = \frac{dp}{p} : \frac{dg}{g}, \quad (13.13)$$

(13.13)-ის მნიშვნელობა გამოიხატება იმით, რომ შენაცვლების ზღვრული ნორმის 1%-ით ცვლილებამ უნდა გამოიწვიოს წარმოების ფაქტორთა თანაფარდობის შეცვლა  $E$  პროცენტით. არსებითად ჩვენ წინაშე აგრეთვე შენაცვლების ელასტიკურობა, მაგრამ უკვე არა თვით ფაქტორების, არამედ მათი თანაფარდობის, მაშასადამე, მთელი ტექნოლოგიური კომბინაციებისა.

შენაცვლების ელასტიკურობის ცნება იმ თვალსაზრისით, რომელსაც მას /13.13/ ფორმულა ანიჭებს, იკავებს საკვანძო ადგილს ენდოგენურად მოცემულ მტპ-ის წარმოებრივი ფუნქციის თეორიაში, იგი საშუალებას იძლევა, საფუძვლიანად იქნეს კლასიფიცირებული ტექნოლოგიური პროგრესის ტიპები და გამოკვლეული მათი გავლენა წარმოებაზე.

დაეშვათ, ეკონომიკაში გაბატონებული ტექნოლოგიური წარმოების წესის დროს ფაქტორების შენაცვლების ელასტიკურობა უდრის 3:1. მისი შემდგომი დინამიკა უკვე დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ წარიმართება მტპ. როგორც კანონიკური ტიპის წარმოებრივი ფუნქციის ანალიზმა გვიჩვენა (ფორმულა 13.1), აქ უკიდურეს შემთხვევაში სამი ვარიანტია შესაძლებელი: ელასტიკურობის კოეფიციენტის გადიდება 4:1-მდე; მათი შემცირება 2:1-მდე; ამ მაჩვენებლის უცვლელობა. პირველ შემთხვევაში შენაცვლების ელასტიკურობის სტატისტიკური გაანგარიშება

აფიქსირებს მტპ-ის 'შრომდამზოგავ ტიპს, მეორეში – კაპიტლდამზოგავს. რამდენადაც ელასტიკურობის ინდიკატორი ცვალებადია, ასეთი კლასის წარმოებრივ ფუნქციებს უწოდებენ შენაცვლების ცვლადი ელასტიკურობის ფუნქციებს (ტიპი VES – variable elasticity of substitution). თუ შენაცვლების ელასტიკურობა უცვლელია, მაშინ ასეთი შედეგის გამოწვევი ტექნოლოგიური პროგრესი ნეიტრალურად ჩაითვლება. სხვანაირად რომ ვთქვათ, როგორც არ უნდა იყოს ტექნოლოგიური და მისი შენაცვლების ზღვრული ნორმის თავისებურებანი, ნორმების ფაქტორების თანფარდობა იგივე რჩება. ამ გარემოებათა ამოსავალი წარმოებრივი ფუნქციები მიეკუთვნება ფუნქციათა უმრავლესობას შენაცვლების ფაქტორთა მუდმივი ელასტიკურობით (ტიპი CES – constant elasticity of substitution).

ბოლო პრინციპი (მას ჰიქსის კრიტერიუმს უწოდებენ) მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იძლევა ტექნოლოგიური პროგრესის ნეიტრალურობის შესახებ. მას აღრმავებს ჰაროდისა\* და სოლოუს კრიტერიუმები. მასში გარკვევისათვის შემოვიტანთ დამატებით აღნიშვნებს.

ჩავთვალოთ, რომ B – წარმოების შეკრებითი ეფექტია საბაზრო მეურნეობის პირობებში. მის გასაზომად საჭიროა შედეგის სიდიდეს (Y) გამოვავლოთ კაპიტალისა და შრომის ერთობლივი ბარჯები:

$$B = V-rK-wL, \quad (13.14)$$

სადაც r – კაპიტალის ფასია (რომელიც მისი მასის პროცენტის ერთეულზე მოდის); w – შრომის ფასი (ხელფასის საათობრივი ან დღიური დონე).

K-ს რა მნიშვნელობისას აღწევს B=f(V,K,L) ფუნქცია მაქსიმუმს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია B ფუნქციის დიფერენციალით K-ს მიხედვით და წარმოებულის ნულთან გატოლებით:

$$\frac{\partial B}{\partial K} = \frac{\partial V}{\partial K} - r = 0, \quad (13.15)$$

$$r = \frac{\partial V}{\partial K} \quad (13.16)$$

/13.16/ განტოლების მიხედვით, წარმოების ეფექტი მაქსიმალური ხდება იმ პირობით, როცა პროცენტი კაპიტალის ზღვრულ პროდუქტს უდრის. ასეთი დასკვნა საფუძვლით შეესაბამება ჩვენთვის ცნობილ იმ საბაზრო

---

რ. ჰაროდი – ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნეოკლასიკურობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

მეურნეობის თავისებურებებს, რომელიც წონასწორობის მდგომარეობაში იმყოფება. მართლაც, როგორც აღინიშნა, მაგალითად, შეათე ლექციაში, რომელიც შემოსავლების განაწილებას მიეძღვნა, კაპიტალის მფლობელს მაშინ აქვს ინვესტირებისათვის დიდი სტიმულები, როცა ამოსაღები შემოსავალი (პროცენტი) შეესაბამება მის საკუთრებაში არსებული წარმოების ფაქტორების გამოყენების ეფექტს. საბაზრო მექანიზმის ნებისმიერი დეფორმაცია, რომელიც ხელს უწყობს შემოსავლის შეზღუდვას, ასუსტებს კაპიტალის დაბანდების მოტივაციას, ეკონომიკა გამოაყუას წონასწორობის მდგომარეობიდან.

თუ გავითვალისწინებთ, რომ  $\frac{V}{K}$  კაპიტალ-უკუყვების მაჩვენებელია, მაშინ გამოიკვეთება ტექნოლოგიური პროგრესის ნეიტრალობის ახალი კრიტერიუმი: ჰაროდის თვალსაზრისით მტკ ითვლება ნეიტრალურად, როდესაც სარგებლის დონესა და კაპიტალ-უკუყვების კოეფიციენტს შორის თანაფარდობა მუდმივად რჩება.

ნეიტრალურობის ძირითად კრიტერიუმთან უკანასკნელი სიმეტრიულია წინასთან შედარებით. მისი ფორმულირებისათვის საჭიროა განესაზღვროთ  $B=f(V,K,L)$  ფუნქციის მაქსიმუმის კიდევ ერთი პირობა, რომელიც ამკერად წარმოების შრომითი ფაქტორების დანახარებებთანაა დაკავშირებული:

$$\frac{\partial B}{\partial L} = \frac{\partial V}{\partial L} - w = 0, \quad (13.17)$$

$$w = \frac{\partial V}{\partial L}. \quad (13.18)$$

ახლა უკვე ირკვევა მტკ-ის ნეიტრალურობის მესამე კრიტერიუმი: სოლოუს მიხედვით, ტექნოლოგიური პროგრესი ხდება ნეიტრალური, თუ ხელფასის სიდიდესა და შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელს შორის  $\frac{V}{L}$  თანაფარდობა უცვლელადაა შენარჩუნებული.

წარმოების ფაქტორთა შენაცვლების ელასტიურობისა და მტკ-ის ტიპთა გამოკვლევამ არსებითად გაამდიდრა წარმოებრივი ფუნქციის ეკონომიკურ-მათემატიკური აპარატი, უფრო ეფექტური გახდა იგი მრავალფუნქციანი ეკონომეტრიული ანალიზისა და ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისათვის. უფრო მეტიც, კობა-დუგლასის ტიპის მოდელების ბაზაზე მასშტაბურ ემპირიულ გაანგარიშებათა პროცესში აღმოჩნდა, რომ მხოლოდ კაპიტალისა და შრომის ცვლილებებით არ ამოიწურება წარმოების მოცულობის მთელი დინამიკა. ამასთან, ასეთი შედეგი

მიღებული იქნა შენაცვლების ელასტიკურობის როგორც ცვლადი, ისე მუდმივი ფუნქციისათვის. გამოვლინდა "ნამეტები", რომლებიც განპირობებულია არა ორი ტრადიციული ფაქტორით, არამედ, რაღაც სხვა ძალებით ეროვნულ შემოსავალზე ზემოქმედების ნიადაგზე. ვინაიდან პირველად, ჯერ კიდევ 50-იანი წლების შუა ხანებში მათ ყურადღება მიაქცია ამერიკელმა ეკონომისტმა მ. აბრამოვიტცმა, ეკონომიკურ მეცნიერებაში "ნამეტებმა" მიიღეს "აბრამოვიტცის ნარჩენების" სახელწოდება.\*

მრავალი ანალიტიკური შესაძლებლობის ფლობით წარმოებრივი ფუნქციის აპარატი თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების ყველაზე უფრო ეფექტიანი მეთოდოლოგიური ბერკეტების ჩვუფს განეუთვნება. წარმოებრივი ფუნქცია გამოიყენება სტატიკურ რეიმში, როდესაც ყველა მაჩვენებელი (რესურსების ხარჯვა, წარმოების შედეგი, გამოშვების ელასტიკურობა ფუნქციითა დანახარჯების მიხედვით) უკვე ცნობილია, სტატისტიკურად განსაზღვრულია. ასეთ შემთხვევაში იგი წარმოების მატებაში სხვადასხვა ფაქტორის წვლილის დაზუსტების, სახალხო მეურნეობაში ტექნოლოგიური პროგრესის დომინირებული ტიპის დადგენის საშუალებას იძლევა და ა. შ. არსებობს ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებისათვის განკუთვნილი დინამიკური ვარიანტები. მათი დახმარებით შესაძლებელია, მაგალითად, გავიგოთ, თუ როგორი იქნება ეროვნული შემოსავალი წარმოების ტექნოლოგიასა ან რესურსების დანახარჯებში მოსალოდნელი ცვლილებებისას.

წარმოებრივი ფუნქცია წარმატებით გამოიყენება საწარმოს სამეურნეო საქმიანობის შესწავლისას. ამასთან, სახალხო მეურნეობრივი პროცესების მოდელირების საშუალებად გადაქცევის საფუძველზე ადვილია მისი აგრეგირება. ამ შემთხვევაში წარმოების შედეგი ხასიათდება მაკროეკონომიკური მაჩვენებლებით (ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ან ეროვნული შემოსავლის სიდიდით), ხოლო ფაქტორების დანახარჯები – კაპიტალის, შრომისა და ა. შ. ერთობლივი მნიშვნელობით. დასასრულს აღვნიშნავთ, რომ ეკონომიკური დინამიკის პრობლემები სულაც არ არის წარმოებრივი ფუნქციების მოდულების ეფექტიანი გამოყენების ერთადერთი სფერო. ჩვენ წინაშეა კვლამარტად უნივერსალური ინსტრუმენტი, რომელიც დასაშვებს ხდის არსებითად

---

\* "ნარჩენი" შემდეგ იქცა წარმოებრივი ფუნქციის თეორიის მთელი მიმდინარეობის საგნად. მის გაშიფვრაში ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ინგლისელმა მეცნიერმა უ. სოლტერმა.

ნებისმიერი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ფაქტორულ ანალიზს. მხოლოდ საჭიროა, რომ ზუსტად იყოს განსაზღვრული კვლევის ობიექტი, გამოიყოს ფაქტორები, რომელთა გავლენა მასზე არსებითია, გვექონდეს მოცულობითი სტატისტიკა, რომელიც ერთსა და მეორესაც გაზომავს.

შეგნიშნავთ, რომ როგორც თვით წარმოებრივი ფუნქციები, ისე მათ საფუძველზე ჩატარებული ეკონომიკური გაანგარიშებანი ეხება მხოლოდ და მხოლოდ ფაქტორების დანახარჯებსა და გამოშვების ოდენობას შორის რაოდენობრივ თანაფარდობას, ასევე, წარმოებრივი რესურსების დანახარჯების სტრუქტურაში ცვლილებებს. მათში ასახული ეკონომიკური კავშირები აბსოლუტურად რეალურია, მრავალი სტატისტიკური მაჩვენებლითაა განმტკიცებული. და თუ ასეა, მაშინ წარმოებრივი ფუნქციის მოდელები სავსებით ნეიტრალურია პროდუქციის შექმნის, ღირებულებისა და ფასების ფორმირების პროცესის ნებისმიერი თვისებრივი აღწერილობის მიმართ. შეიძლება, ვთქვათ, ღირებულების წარმოშობა ჩავთვალოთ როგორც წარმოების სხვადასხვა ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგი, რომელთაგანაც არცერთს, სხვებთან შედარებით, არა აქვს პრიორიტეტი. დაინახოთ მასში, როგორც ამას კ. მარქსი აცეთებდა, მხოლოდ შრომის პროდუქტი, დავუკავშიროთ ზღვრულ სარგებლიანობას და ა. შ. გარდა იმისა, რომ წარმოებრივი ფუნქცია არაფრით არ ეწინააღმდეგება არც ერთ მტკიცებას, იგი მათ აძლევს რაოდენობრივ საზომს.\*

კვლავ დავუბრუნდეთ წარმოებრივი ფუნქციის მაკროეკონომიკურ ვარიანტს. ყურადღება მივაქციოთ ეროვნული შემოსავლის მოცულობის დამოკიდებულებას კაპიტალურ ხარჯებთან. ცხადია, ეს კავშირი შესაძლებელია უფრო დაეკონკრეტოთ, განვიხილოთ დარგების მიხედვით. ეკონომიკა ხომ პროდუქციის გამოშვები მრავალი დარგისაგან შედგება, რომლის ერთი ნაწილი მატერიალურ დანახარჯებად იქცევა, ხოლო მეორე მიდის საბოლოო მოხმარებასა (მარტივი კვლავწარმოების დროს) და დაგროვებაში (გაფართოებულ კვლავწარმოების დროს), გადაიქცევა ეროვნულ შემოსავლად.

სწორედ ამის, ეკონომიკური ზრდის სტრუქტურული ასპექტის ნამდვილი კვლევა გაიშალა ცნობილი ამერიკელი თეორეტიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ვ. ლეონტიევის ნაშრომების გამოქვეყნების შემდეგ. აიღო რა წარმოებრივი ფუნქცია ერთ-ერთ მთავარ საფუძველად,\*\* ვ.

\* თუ, დავუშვათ, წარმოებაში მონაწილე მატერიალურ რესურსებს (კაპიტალს) განვიხილავთ როგორც განივებულ შრომას, მაშინ წარმოებრივი ფუნქცია მთლიანად ეხამება შრომითი ღირებულების თეორიაზე დამყარებულ მარქსისტულ ვერსიას.

\*\* სხვა წყაროს ლ. ვალდასის საყველთაო საბაზრო წონასწორობის მოდელი წარმოადგენდა

ლენტიევმა ააგო წრფივი ტოლობის სისტემა, რომელიც აღწერს თანათარდობას, ერთი მხრივ, მატერიალურ ხარჯებს შორის და, მეორე მხრივ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების პროდუქციის სრულ და საბოლოო მოცულობებს შორის. მან დაამყარა დარგთაშორისი პროპორციები, რომლებიც უზრუნველყოფენ წონასწორობას ყველა სასაქონლო ბაზარზე, შემდეგ ჩაატარა მათი ემპირიული შემოწმება აშშ-ის სტატისტიკური მასალებით. და თუ საყოველთაო წონასწორობის საკმაოდ აბსტრაქტული მათემატიკური მოდელები ვ. ლენტიევამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი (მას ჯერ კიდევ ლ. ვალრასი ქმნიდა), ეკონომეტრიული, წონასწორობის პირობების, საუკეთესო დარგთაშორისი პროპორციების დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე გაანგარიშებები სწორედ მან გააკეთა.\* განვიხილოთ ვ. ლენტიევის ძირითადი მოდელი დაწერილებით.

დავუშვათ, ეკონომიკაში არსებობს  $n$  დარგები. ყოველი დარგი ერთ პროდუქტს უშვებს, რომელიც სამ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილი მოიხმარება თვით მწარმოებელი დარგების მიერ, მეორე. გადადის მატერიალური წარმოების სხვა დარგებში, მესამე გ მიზნულია საბოლოო მოხმარებისათვის. ამრიგად, ნებისმიერი დარგი აწარმოებს და მოიხმარს კიდევ:

თუ "1" ნომერი მიეკუთვნება, მაგალითად, ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობას, მაშინ კოეფიციენტი  $a_{11}$  გვიჩვენებს ფოლადის იმ რაოდენობას, რაც აუცილებელია თვით ამ დარგის პროდუქციის ერთეულის წარმოებისათვის.  $a_{12}$  - ფოლადის მოცულობაა, რაც საჭიროა, ვთქვათ, მანქანათმშენებლობის ერთეული პროდუქციის წარმოებისათვის და ა. შ. მთლიანად მაჩვენებელი  $a_{ij}$ , რომელსაც პირდაპირი დანახარჯების კოეფიციენტი ეწოდება, გამოხატავს  $i$  პროდუქტის რაოდენობას, რაც  $j$  ერთეული პროდუქტის გამოშვებაზე დაიხარჯა. ცხადია,  $a_{ij}$  სიდიდე გაპირობებულია  $j(i, j = 1...n)$  დარგში წარმოების მოქმედი ტექნოლოგიით.

დავუშვათ  $x_j$  წარმოების მოცულობაა ფოლადჩამომსხმელ მრეწველობაში,  $y_j$  - ამ დარგის საბოლოო პროდუქტის რაოდენობა, რომელიც მატერიალური წარმოების სფეროს გარეთ გადის. თუ ჩვენი

\* Leontief W. Essays in economics. Theories and theorizing. Oxford, 1977, p. 44.  
 ვ. ლენტიევის დიდი დამსახურების მიუხედავად, უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში დარგთაშორისი ბალანსები გამოიყვლია საბჭოთა ეკონომისტებმა პირველ ხუთწლიან გეგმაზე მუშაობისას, მათ შორის ცოტა თუ ვადურჩა სტალინური რეპრესიების წლებს.

მაგალითის მიხედვით ვიმსჯელებთ,  $y_1$ -ში შევა აგარაკის სახურავისათვის დახარჯული ლითონი,  $y_2$ -ში ("2" ნომრით წარმოდგენილია მანქანათმშენებლობა) – მტვერსასრუტი ან ტელევიზორი. მაშინ პირველი დარგის პროდუქტის განაწილების განტოლება შეიძლება ასე ჩაიწეროს:

$$x_1 = a_{11}x_1 + a_{12}x_2 + \dots + a_{1n}x_n + y_1, \quad (13.19)$$

სადაც  $a_{11}x_1$  – ფოლადის რაოდენობაა, რომელიც მთელ ფოლადის ჩამომსხმელ მრეწველობაში დაიხარჯა;  $a_{12}x_2$  – მისი შეჯამებული დანახარჯია მანქანათმშენებლობაში და ა. შ.

ანალოგიურად ყალიბდება განტოლება, რომელიც მანქანათმშენებლობის პროდუქციის განაწილებას გვიჩვენებს:

$$x_2 = a_{21}x_1 + a_{22}x_2 + \dots + a_{2n}x_n + y_2, \quad (13.20)$$

ერთობლიობაში მიიღება წრფივი განტოლების სისტემა:

$$X_1 = \sum_{j=1}^n a_{ij} X_j + y_i. \quad (13.21)$$

განაწილების მატრიცული ჩანაწერის გამოყენებით, ლეონტიევის სისტემა წარმოვიდგინოთ უფრო კომპაქტურად:

$$X = AX + Y, \quad (13.22)$$

სადაც  $X$  – წარმოების მოცულობების ვექტორია,  $Y$  – საბოლოო პროდუქტის სიდიდის ვექტორი,  $A$  – პირდაპირი დანახარჯების მატრიცა.

ლეონტიევის სისტემაში  $A$  მატრიცის ელემენტები (მათ ტექნოლოგიურ კოეფიციენტებსაც უწოდებენ) ცნობილია სტატისტიკიდან. მაშინ მიიღება  $n$  სისტემის განტოლება  $2n$  უცნობით ( $X$  და  $Y$ ). აქ, შესაძლებელია ორი ვარიანტის გადაწყვეტა, თუ წინასწარ მოცემულია დარგების მთლიანი პროდუქტების მნიშვნელობა (ვექტორი  $X$ ), მაშინ შესაძლებელია, გამოვიანგარიშოთ საბოლოო პროდუქტების სიდიდეები (ვექტორი  $Y$ ):

$$Y = (E - A) X, \quad (13.23)$$

სადაც  $E$  – ერთეული მატრიცაა.

როდესაც ცნობილია საბოლოო პროდუქტების ვექტორი, სისტემას აქვს გადაწყვეტა  $X$ -ის მიმართ. ეს კი ნიშნავს, რომ ჩნდება შესაძლებლობა, განისაზღვროს წარმოების ის მოცულობები და, შესაბამისად, დარგთაშორისი პროპორციები, რომელთა დაცვისას უნდა მივიღოთ ყველა დარგის საბოლოო პროდუქტების საჭირო მნიშვნელობა:

$$X = (E - A)^{-1} Y = B Y, \quad (13.24)$$

$B$  მატრიცის წარმომშობმა  $b_{ij}$  ( $i, j = 1 \dots n$ ) ელემენტებმა მიიღო სრული მატერიალური დანახარჯების კოეფიციენტების სახელწოდება. ისინი



გამოხატავენ დარგის პროდუქტის რაოდენობას, რომელიც აუცილებელია საბოლოო პროდუქტის ერთეულის გამოშვებისათვის.

წარმოებრივი ფუნქცია და ლეონტიევის მოდელი განკუთვნილია ეკონომიკური ზრდის ფაქტობრივი და კვლავწარმოების დარგთაშორისი პროპორციების კვლევისათვის. აცი არსებობს კიდევ ეკონომიკური განვითარების მექანიზმები. ამას აქვს თავის ახსნა და ანალიზის მეთოდები, ამასთან ყველაზე ავტორიტეტულია მულტიპლიკატორისა და აქსელერატორის მოდელები.\*

როგორც ცნობილია, ეროვნული შემოსავლის ზრდას საფუძვლად საინვესტიციო პროცესი უდევს. კაპიტალის დაბანდება ჩართვის დასაწყისის თავისებური გასაღებია, რომლის საშუალებითაც მოძრაობაში მოდის მთელი სამეურნეო სისტემა. რა მოსდევს ყოველ დამატებით ინვესტიციას? პროდუქციის გამოშვებისა და გაყიდვის ზრდა, და მაშასადამე, იმათი შემოსავლების ზრდა, ვინც საქმეში თავისი წარმოების ფაქტორი დაბანდა. თუმცა მათი მფლობელები შემოსავლების ზრდას სხვადასხვანაირად იყენებენ: ერთი ნაწილი იხარჯება მიმდინარე მოხმარებისათვის, მეორე გადაიქცევა დანაზოგად.

დავიწყეთ ჭერ ინვესტიციური პროცესების მოკლევადიანი შედეგებით, იმ ვარაუდით, რომ დანაზოგები გარკვეული დროით გაქრებიან ეკონომიკური ბრუნვიდან. ეს სარწმუნო ვარაუდია, რადგან საფონდო ბირჟაზე ან საბანკო სისტემაში მოხვედრილ დანაზოგებს ხანგრძლივი გზის გავლა უხდებათ, ვიდრე ისინი კაპიტალურ დაბანდებად იქცევიან. რამდენადაც მოკლე დროში შემოსავლების მფლობელები შესაძლებელია ჩაითვალოს წმინდა მომხმარებლებად, მათი მოქმედება ბაზარზე შემოსავლების წარმოშობას იმათთვის გამოიწვევს, ვინც მათ საქონელსა და მომსახურებას მიჰყიდის. თუ, ვთქვათ, მუშამ შემოსავლის ნაწილი დახარჯა (მისი ნაშატი, ხაზს ვუსვამთ, წარმოშობილია ინვესტიციით) მაცივრის შექმნაზე, ამით მან ხელი შეუწყო ამ საქონლით მოვაჭრის შემოსავლის ზრდას. უკანასკნელმა დამატებითი შემოსავლის ნაწილი შავი ღლისათვის გადაინახა, დანარჩენი, დავუშვათ, მაგიდის შესაქმნად დახარჯა, რითაც ერთდროულად გაზარდა ავეჯის ფაბრიკანტის შემოსავალი და ა.შ.

მთლიანობაში გამოდის, რომ პირველდაწყებითმა ინვესტიციამ

---

\* ეს საკითხები დამუშავებულია ჯ. მ. კინისა და იმათ მიერ. ვინც ძირითადი ეტაპები შექმნეს მისი დოქტრინის განვითარებაში - რ. პაროდის, ჯ. პიკის, პ. სამუელსონის, ნ. კალდორის და სხვა ცნობილი თეორეტიკოსების მიერ.

წარმოებისათვის იმპულსის მიცემით ბოლოს და ბოლოს გამოიწვია ეროვნული შემოსავლის ზრდა, რომელიც ეკონომიკური სისტემის სუბიექტების შემოსავლების ჯამის სახით მოგვევლინა, როგორც ჩანს, ეროვნული შემოსავალი გადიდებული ინვესტიციების ტოლია, ამასთან მამრავლის სიდიდე იმაზეა დამოკიდებული, თუ რა პროპორციით იყუფა შემოსავლების ნამატი მოხმარებად და დანაზოგად. ეს მაჩვენებელი მით უფრო მაღალია, რაც უფრო დიდია მოხმარების წილი და პირიქით. ასეთია მულტიპლიკაციის ეფექტი - ეროვნულ შემოსავალზე ინვესტიციის ზემოქმედების გადიდება.

მას შეიძლება მივცეთ მარტივი მათემატიკური ინტერპრეტაცია:

$$\Delta Y - c^1 \Delta Y = \Delta K, \quad (13.25)$$

$$\Delta V = \frac{1}{1-c^1} \Delta K = Q \Delta K, \quad (13.26)$$

სადაც  $\Delta Y$  ეროვნული შემოსავლის ნამატი.  $\Delta K$  კაპიტალდაბანდების ნამატი,  $c^1$  - არაწარმოებრივი მოხმარების წილი ეროვნული შემოსავლის ნამატში,  $a$  - მულტიპლიკატორის სიდიდე.

ადვილი შესამჩნევია, რომ მაშინ, როდესაც შემოსავლების მთელი ნამატი დანაზოგად იქცევა ( $c^1=0$ ) მულტიპლიკატორი ერთის ტოლი ხდება, ხოლო ეროვნული შემოსავალი ზუსტად იმდენჯერ იზრდება, რამდენჯერაც გაიზრდება ინვესტიციები. თუ არ არის დანაზოგები ( $c^1=1$ ), ეროვნული შემოსავლის ზრდის სიჩქარე უახლოვდება უსასრულობას. სინამდვილეში, რასაკვირველია, ასეთი ექსტრემალური სიტუაციები არ გვხვდება. მულტიპლიკატორი ყოველთვის ერთზე ნაკლებია ( $1 > c^1 > 0$ ) და მისი ზღვრული მაქსიმალური მნიშვნელობა განისაზღვრება მინიმალურად დასაშვები დაგროვების ნორმით.

აღნიშნავთ ორ არსებით მომენტს: პირველი, მულტიპლიკაციის ეფექტი შეიგრძნობა არა ნებისმიერ ეკონომიკაში, არამედ მხოლოდ ისეთში, რომელიც გამოირჩევა არასრული დასაქმებითა და წარმოებრივი აპარატის დაუტვირთაობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული შემოსავლის ზრდა შეუძლებელი იქნებოდა სამუშაო ძალის და წარმოებრივი სიმძლავრეების უქონლობის გამო. მეორე, ეს ფაქტორი არა მხოლოდ ძალის მიხედვითაა შეზღუდული, არამედ, ხანგრძლივობითაც, აქვს ტენდენცია თანდათანობით

ჩაქრობისაკენ. გასაგებია, რომ ასეთი თვისებები, პირველ ყოვლისა, განისაზღვრება  $C'$  სიდიდის შემოსავლების განაწილებით. მათზე გავლენას ახდენს, აგრეთვე, თვით საბაზრო სისტემის ხარისხი, მისი კონკრეტულობა, ინფლაციური სისტემის ინტენსივობა, სახელმწიფოს ქმედება და ა. შ.\*

ახლა განვიხილოთ ინვესტირების გრძელვადიანი ეფექტები. ეს კი ნიშნავს, რომ დროა გავიხსენოთ დანაზოგების შესახებ. თუ ზემოთ მათ ვთვლიდით ეკონომიკური პროცესიდან დროებით გასულად, ახლა ისინი აღმოცენდებიან ბანკებისა და საფონდო ბირჟებისაგან, მაგრამ უკვე კაპიტალდაბანდების სახით. როგორც უკვე მესამე ლექციაში აღინიშნა, დანაზოგებისა და ინვესტიციების მოცულობათა ტოლობა შესაძლებელია მაკროეკონომიკური წონასწორობის მხოლოდ საკმაოდ ეგზოტიკურ სიტუაციაში, ხოლო ყველა სხვა შემთხვევაში ინვესტიციური მოთხოვნა ან დაბალია დანაზოგის მიწოდებაზე, ან აღემატება მას.

კაპიტალდაბანდების აღნიშნული ტიპი სრულებითაც არ არის პირველდაწყებითი (ავტონომიური) ინვესტიციების იდენტური. ეს უკანასკნელი, როგორც დავინახეთ, ეკონომიკური განვითარების იმპულსს იძლევა, რთავს გაფართოებული კვლავწარმოების მექანიზმებს. ამ პროცესის მსვლელობაში იზრდება წარმოება და ეროვნული შემოსავალი, ამასთან, მისი ნამატის განსაზღვრული ნაწილი, საბოლოო ანგარიშით, კაპიტალურ დაბანდებად გადაიქცევა. გამოდის, რომ ასეთი ინვესტიციები უკვე ატარებენ მეორად, წარმოებულ ხასიათს და ეკონომიკური სისტემა ახდენს მათ ინდუცირებას. ისინი ავსებენ პირველდაწყებით ინვესტიციებს, აძლიერებენ მათ მოქმედებას, წარმოშობენ აქსელერაციის ეფექტს, რაც აჩქარებს ეკონომიკურ ზრდას. მის საზომს, წარმოებულ კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობაზე ეროვნული შემოსავლის ცვლილების სისწრაფის ზეგავლენის ხარისხს ეწოდება აქსელერატორი ანუ კაპიტალტევადობის ნამატი კოეფიციენტი:

$$K_{it} = \beta(V_{t+1} - Y_t), \quad (13.27)$$

\* მულტიპლიკატორის, როგორც არასრული დასაქმების, ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებისა და ეროვნული შემოსავლის ნამეტების კავშირის რაოდენობრივი მახასიათებლის განმარტება მხოლოდ კენისიანელობისთვისაა ნიშანდობლივი. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერება ამ ცნებაში ათავსებს გაცილებით უფრო ფართო შინაარსს. ამჟამად იგი ემსახურება ეკონომიკური სისტემის გარკვეულ პარამეტრებზე მართვადი ფაქტორების შემოქმედების დონის განმარტებადებულ გამოსახვას. კენისიანური ვარიანტი კი კვევლინება, როგორც მულტიპლიკატორის ტიპთაგან ერთ-ერთი ყრძო შემთხვევა. მისი სხვა სახეობები (სავადასახადო პოლიტიკის ან ფულადი რეგულირების შემოქმედება ეროვნული შემოსავლის დინამიკაზე და ა. შ.) შემუშავებს ი. ტინბერგენმა, რ. მანდელმა. გ. ტეილმა, რომელთა გამოკვლევებმა სათავე დაუდეს ეკონომეტრიკული მოდელირების სახელმწიფო პოლიტიკას. მას ლექციათა შემდგომი ციკლი მიეძღვნება.

სადაც  $K_n$  — წარმოებული ინვესტიციების სიდიდეა  $t$  წელიწადში;  $Y_{t+1}, Y_t$  ეროვნული შემოსავალი შესაბამის წლებში  $t+1$  და  $t$ ;  $\beta$  — აქსელერატორის მნიშვნელობა.

შევნიშნავთ, რომ სინამდვილეში კაპიტალდაბანდებათა ცალკეულ სახეებს შორის გამმოიჯნავი ხაზის გაღება ძალიან ძნელია თუნდაც იმიტომ, რომ როგორც წარმოებული, ისე ავტონომიური ინვესტიციები მაინც შემოსავლიდან, თუნდაც წინა წლებში შექმნილიდან, წარმოიქმნებიან. ამ უკანასკნელთა ავტონომიურობა სავსებით პირობითია. ამიტომ პრაქტიკაში ეკონომეტრიკული გაანგარიშებისას ავტონომიურთა რიცხვს ჩვეულებრივ ისეთი ინვესტიციები მიეკუთვნება, რომელთა დამოკიდებულება ეროვნული შემოსავლის არაშორეულ ცვლილებაზე უმნიშვნელოა. მხედველობაში მიიღება, მაგალითად, სახელმწიფო, აგრეთვე, ზოგიერთი კერძო კაპიტალდაბანდებები, რომელნიც გამოგონებებსა და სიახლეებთან, პრინციპულად ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შექმნასთან არიან დაკავშირებულნი. მოთხოვნისა და მოგების პერსპექტივის თვალსაზრისით, მსგავსი ინვესტიციები მაღალი ღონის რისკითა და განუსაზღვრელობით გამოირჩევიან.\*

ამრიგად, ავტონომიური ინვესტიციები ზემოქმედებენ ეროვნული შემოსავლის დინამიკაზე მულტიპლიკატორის სიდიდის ტოლი ინტენსიურობით. ეროვნული შემოსავლის მატება იწვევს ინდუცირებული კაპიტალდაბანდებების ნაკადს, რომლის მოცულობა დამოკიდებულია აქსელერატორის სიდიდეზე. წარმოებული ინვესტიციები, უერთდებიან რა ავტონომიურს, კვლავ წარმოქმნიან მულტიპლიკაციის ეფექტს, ასტიმულებენ ეროვნული შემოსავლის მორიგ მატებას და ა. შ. ეკონომიკური განვითარება ძლიერდება, იძენს კუმულატიური პროცესის ნიშნებს.

როგორია მისი ხასიათი, ეკონომიკური ზრდის მოსალოდნელი სცენარი? ამ კითხვაზე ყველაზე უფრო სრულყოფილი პასუხი გასცეს ჰ. სამუელსონმა და ჯ. პიკსმა. აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია (წმინდა

\* ამ პრობლემის დამუშავებაში პრიორიტეტი ი. შუმპეტერს ეკუთვნის, რომელმაც გაანალაზა ახალ ტექნიკურ სიახლეთა და, შესაბამისად, ავტონომიური ინვესტიციების უთანაბრობა, განიხილა ისინი როგორც წარმოების ციკლური რყევის ფაქტორი. მნიშვნელოვანია ჯ. დიუზენბერგის შედეგები, რომელმაც არსებითად გააფართოვა ასეთი მერყეობის მიზეზთა სია. რ. ფრიშმა ტალღური იმპულსების ფიზიკური თეორიის აპარატზე დაყრდნობით, წამოაყენა რიგი ორიგინალური დებულებებისა იმ ვარაუდზე ფაქტორების შესახებ, რომლებიც წარმოშობენ ავტონომიურ ინვესტიციებს, ეწინააღმდეგებიან წონასწორობის დამყარებასა და იწვევენ რყევას ეკონომიკაში, რომელიც ჩაქრობისაკენ მიისწრაფვის აღნიშნულითა და სხვა ეკონომისტების ძალისხმევით საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკური განვითარების ეგზოგენურ თეორიას, მისი ციკლური შემადგენლის ჩათვლით.

მათემატიკური თვალსაზრისით) სულ მცირე ხუთი სცენარი: ეკონომიკური სისტემის განვითარება დინამიკური წონასწორობის ხაზის გასწვრივ; ეროვნული შემოსავლის ცვლილების ტემპის მერყეობა ამ ხაზის ირგვლივ სწრაფად მზარდი ფეთქებადი ამპლიტუდით; მერყეობათა განუხრელად კლებადი, ქრობადი ამპლიტუდა; მყარი მერყეობები უცვლელი ამპლიტუდით; ეკონომიკური ზრდის ტემპის გადიდება, რომელიც იცვლება მისი არარეგულარული შემცირებით დინამიკური წონასწორობის ხაზამდე. გამოავლინეს და გამოიკვლიეს იმ რეზონანსის ეფექტი, რომელიც წარმოიშვა ავტონომიური ინვესტიციებისა და ეროვნული შემოსავლის რყევათა პერიოდების ტოლობისას, და განვითარების ალბათობის გამადიდებელი, მეორის, ეკონომიკისათვის ყველაზე საშიში ვარიანტის შესაბამისად. თუმცა, ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ მათემატიკური ანალიზის მაღალი ელემენტურობის მიუხედავად, მის საფუძველზე შემუშავებულმა ზრდის სცენარებმა ჭერჭერობით საკმაოდ აქტობრივი დადასტურება ვერ პოვეს.

სინამდვილესთან უფრო ახლოს აღმოჩნდა დაგვიანების მულტიპლიკატორ-აქსელერატორის მექანიზმის შიგნით წარმოშობილი სხვადასხვა ეფექტის გაანგარიშებები. ლაპარაკია, მაგალითად, დროის შუალედზე შემოსავლის ცვლილებასა და ინვესტირების გადაწყვეტას შორის (მოთხოვნის დაგვიანება საინვესტიციო რესურსებზე) დავის შესახებ, რომელიც ახასიათებს დროის პერიოდს ინვესტირების გადაწყვეტასა და კაპიტალდაბანდების ელემენტების შესაძენად საჭირო რეალურ დანახარჯებს შორის (საინვესტიციო დოვლათის მიწოდების დაგვიანება) და ა. შ. იგივე შეიძლება ითქვას, დაეუშვათ, ეკონომიკური დინამიკის ერთფაქტორიან მოდელზე, რომელიც აქსელერაციის პრინციპს ეყრდნობა. თუ ცნობილია კაპიტალტევადობის კოეფიციენტის სიდიდე და კაპიტალდაბანდების მოცულობა მიმდინარე წელს, მაშინ აქსელერატორის მოდელი საშუალებას იძლევა დადგინდეს შემოსავლის შესაძლებელი ნამატი მომავალი წლისათვის. როდესაც, პირიქით, ცნობილია აქსელერატორის მნიშვნელობა და ეროვნული შემოსავლის მოსალოდნელი მატება, მაშინ გაანგარიშებები მოდელის საფუძველზე კაპიტალდაბანდების საჭირო მოცულობას გვიჩვენებს.

როგორც აქ, ისე მრავალ სხვა ლექციაში, ჩვენ არაერთხელ შევეხეთ სახელმწიფოს ქცევას საბაზრო ეკონომიკაში. განხილული იყო მისი ფუნქციები, სამეურნეო მიმართულებების, რეგულირების ფორმები და მეთოდები. გასაანალიზებელი დარჩა ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების პრინციპები, რომლის საშუალებითაც ყოველივე ეს პრაქტიკულად ხორციელდება. ასეთი იქნება მორიგი, მეთოთხმეტე ლექციის ძირითადი პრობლემატიკა.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირება

*მიზნები და ბერკეტები. პოლიტიკის ეფექტიანობა. მულტიპლიკატორის მოდელი. ტინბერგერის უტოლობა. პოლიტიკური ბერკეტების კლასიფიკაცია. ეკონომიკური პოლიტიკა და დროის ფაქტორი. ლაგური სტრუქტურა. ლაგური ზემოქმედების განაწილება. მიზნობრივი ფუნქცია და პოლიტიკოსების უპირატესობა.*

სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შესამუშავებლად, მათ, ვინც ამაზე აგებენ პასუხს, სრული წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ დასახული მიზნების შესახებ, ამასთან, საჭიროა გააჩნდეთ კმედიითი პოლიტიკური ბერკეტები და ჰქონდეთ წარმოდგენა ამ უკანასკნელთა ეფექტიანობასა (ბერკეტის მიზანზე ზემოქმედების დონე) და სწრაფ ამოქმედებაზე. თუ, მაგალითად, დაეუშვებთ, რომ მთავრობას განზრახული აქვს დაძლიოს ინფლაცია, შეანელოს და სტაბილური გახადოს ფასების ზრდის ტემპი, აგრეთვე, თუ ამ მიზნის მისაღწევად იგი აპირებს გამოიყენოს ჩვენთვის ცნობილი ფულადი პოლიტიკის ბერკეტები, მაშინ მან იმთავითვე, დაგეგმვის სტადიაზე უნდა იცოდეს: როგორ და როდის დაიწყებს მუშაობას აღნიშნული ბერკეტები.

მიზანთა სიმრავლის განსაზღვრა, რომელიც ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია როგორც მიზნობრივი ფუნქცია, ძალიან რთული პროცესია, რამეთუ იგი დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ სტრატეგიული კურსის, შესაბამისად პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და სხვა სახის დადგენილებების მიღებასთან. ამ თემას ცალკე განვიხილავთ. ჭერჭერობით კი, ჩაეთვალოთ, რომ მიზნები არა უბრალოდ ცნობილია, არამედ ზომვადიცაა. ამიტომ ცნობილია მათი სასურველი დონეებიც. ეს ჩვენს მაგალითში იმას ნიშნავს, რომ მას შემდეგ, როდესაც კანონმდებელმა ხელისუფლებამ იგი მოიწონა, მთავრობა ამოცანად ისახავს, ისე იმოქმედოს, რომ, მაგალითად, დაახლოებით სამი წლის შემდეგ სამომხმარებლო ფასების ზრდის ტემპი იყოს 3-5%-ის ფარგლებში.

ცნობილი პოლიტიკური ბერკეტებიდან არც ერთს არა აქვს პირდაპირი კონტაქტი მიზნებთან. მათ შორისაა ძირითადად საკუთარი, საბაზრო კანონებით ფუნქციონირებადი მთელი ეკონომიკური სისტემა. იგივე ფასები დამოკიდებულია მოთხოვნისა და მიწოდების მერყეობაზე, წარმოების დანახარჯებზე, კონკურენტული რეჟიმის ხარისხსა და სხვა

მრავალ ფაქტორზე, რომელთა შორის მთავარი როლი სულაც არ მიეკუთვნება ფულად პოლიტიკას. მას ხომ შეუძლია გავლენა მოახდინოს მხოლოდ ერთობლივ მოთხოვნაზე ან სარგებლის განაკვეთებზე. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბაზრო ეკონომიკა მეტად მკაცრ მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო რეგულირების ფორმებსა და მეთოდებს,\* მაშინ შესაძლებელია ვამტკიცოთ: ასეთ მეურნეობაში სახელმწიფოს არ ძალუძს, კონტროლი გაუწიოს მიზნებს და წინასწარ განკუთრდეს ისინი. მაქსიმუმში, რისი გაკეთებაც მას შეუძლია, ეს არის მოახდინოს მათზე ზეგავლენა უკვე ცნობილი საშუალებებით.

ამის იმედი შეიძლება მხოლოდ მაშინ გვქონდეს, თუ სრული სიცხადეა რეალურ ეკონომიკურ მექანიზმებში, რომლებიც აერთიანებენ პოლიტიკის მიზნებსა და ბერკეტებს, და მათ შორის რაოდენობრივ კავშირებსაც. "ეკონომიკური პოლიტიკის ლოგიკა, - წერდა ი.ტინბერგენი, - მთლიანად განისაზღვრება მისთვის დამახასიათებელი მაჩვენებლების სხვადასხვა ტიპებს შორის თანაფარდობის შინაარსითა და მოცულობით."\*\* ასეთი სახის მექანიზმი ჩვენ უკვე ბევრი ვნახეთ, როდესაც ვარჩევდით ფულად ბაზარს, ანტიინფლაციურ რეგულირებას, ეკონომიკური ზრდის საგადასახადო სტიმულირებას, პოლიტიკას დასაქმების სფეროში და ა.შ. რაოდენობრივ თანაფარდობებს კი შევხებით პირველად.

დავუშვათ, მიზნობრივი ფუნქცია შედგება  $K$  ელემენტებისაგან. არის აგრეთვე ეკონომიკური პოლიტიკის  $S$  ბერკეტები და  $N$  საბაზრო ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მიზნებზე. ვთქვათ,  $y_j (j=1...K)$  მიზანი გვევლინება როგორც მრავალ ბერკეტთა  $x_1, \dots, x_s$  და მრავალ საბაზრო სიდიდეთა  $z_1, \dots, z_n$  ფუნქცია:

$$y_j = f(x_1, \dots, x_s, z_1, \dots, z_n) \quad (14.1)$$

მაშინ პოლიტიკური ბერკეტების გამოყენებით მიღებული ეფექტი  $x_j (j=1...s)$  შეიძლება გამოვსახოთ ამ ფუნქციის კერძო წარმოებულებით:

$$m_{ij} = \frac{\partial y_j}{\partial x_i} \quad (14.2)$$

თუ ანტიინფლაციურ რეგულირებას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ

\* ისინი დახასიათებულია მეორე ლექსიაში.

\*\* Tinbergen I. On the theory of economic policy. Amsterdam, 1955, p.13.

ყ, აღნიშნავს ფასების ზრდის ტემპს,  $X_1$  - ფულის მიწოდებას. მოთხოვნა, მიწოდება, დანახარჯები და სხვა საბაზრო მახასიათებლები, რომელნიც სახელმწიფოს პირდაპირი კონტროლის ზონის მიღმაა, მიეკუთვნება მრავალ  $n$ -ს,  $m_j$  კი აფიქსირებს ფულადი პოლიტიკის ბერკეტების ზემოქმედების ხარისხს ინფლაციის დონეზე.

ასეთი ტიპის მაჩვენებლებს მულტიპლიკატორები ეწოდება. ცხადია, მათი ეკონომიკური შინაარსი ბევრად ფართოა, ვიდრე წინა ლექციიდან ცნობილი მულტიპლიკატორებისა. ისინი იქ აღწერდნენ ინვესტიციისა და შემოსავლების მხოლოდ ერთ კავშირს, აქ კი - ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მთელი აპარატის პროდუქტულობას. თავის ახალ თვისებრიობაში მულტიპლიკატორების სისტემა ასახავს იმ პოლიტიკური სიგნალების გარდაქმნას, რომლებიც მოექცევიან სამეურნეო მექანიზმის "შესასვლელში", და იმ პოლიტიკური მიზნების ცვლილებებს, რომლებიც გამოჩნდებიან მის "გასასვლელში".

(14.1) სახის ტოლობა ისე უნდა იყოს აგებული, რომ მულტიპლიკატორის მნიშვნელობა აღმოჩნდეს სტატისტიკურად განსაზღვრული, გარდაიქმნას რაიმე რიცხვად. რამდენადაც, როგორც ჩვენ შევთანხმდით, პოლიტიკოსებისათვის სასურველი მიზნის დონე  $Y_1$  ცნობილია, გასარკვევი რჩება  $X_1$  ბერკეტების საჭირო ცვლილება. როცა ჩავატარებთ ასეთსავე ოპერაციას ყველა იმ ბერკეტისათვის, რომლებიც მიეკუთვნებიან სიმრავლეს, ჩვენ მივიღებთ პირველ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რით უნდა გამოიხატებოდეს ეკონომიკური პოლიტიკა, რა მიმართულებით და როგორ უნდა შეიცვალოს საგადასახადო განაკვეთები, ფულის მიწოდება, სახელმწიფო ხარჯები და ა.შ. ამ ამოცანის გადასაჭრელად აუცილებელია მხოლოდ ის, რომ შესრულდეს ტინბერგერის ე.წ. უტოლობა  $S \geq K$  მისი ეკონომიკური აზრი ნათელია: სახელმწიფომ თავის თავზე არ უნდა აიღოს ის, რისი გაკეთებაც მას არ შეუძლია და ამიტომ მიზნების რაოდენობა არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს მის განაკარგულებაში არსებული ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტების მარაგს.

არსებობს თუ არა სინამდვილეში (14.1) ტიპის ფუნქციები, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია მოვახდინოთ შესაბამისი გაანგარიშებები? დიახ, ისინი არის. მაგალითის სახით მოვიტანოთ ეროვნული შემოსავლის განაწილების ტოლობა მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობებში.

დავუშვათ,  $Y$  ეროვნული შემოსავალია,  $t$ -მისი ის ნაწილია, რომელიც სახელმწიფოს მიაქვს გადასახადების საშუალებებით ( $1 > t > 0$ ) და რომელიც შემდგომ ბიუჯეტის გასავლად ( $G$ ) იქცევა. შემოსავალი, რომელიც



დაბეგერის შემდეგ საბაზრო სისტემის სუბიექტებს რჩებათ. შეადგენს  $Y-tY$ . ისინი მას მოხმარებისა (C) და დანაზოგისათვის (S) გამოიყენებენ, ამასთან, წონასწორობის სიტუაციაში მოხმარება და დაზოგვა კერძო ინვესტიციების (I) ტოლი იქნება. თუ  $c^1$  - არამწარმოებლური მოხმარების წილია შემოსავალში, რომლის განკარგვის უფლებაც აქვთ იმ სუბიექტებს, რომლებმაც გადასახადები გადაიხადეს, მაშინ ეროვნული შემოსავლის განაწილების ტოლობა შემდეგ სახეს იღებს:

$$Y = a + c^1(1-t)Y + I + G, \quad (14.3)$$

სადაც  $a$  - მუდმივია.

მოცემულ ტოლობაში  $Y$  წარმოდგენილია მიზნობრივი სიდიდის სახით, მოხმარებისაქენ მიდრეკილება, რომელიც იზომება  $c^1$  სიდიდით, და კერძო ინვესტიციების მოცულობა რეგულირდება ბაზრის მექანიზმებით, საშუალო საგადასახადო განაკვეთი ( $t$ ) უცვლელად ითვლება.  $G$  წარმოდგენილია როგორც პოლიტიკური ბერკეტი: სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბიუჯეტის გასაღლების ცვლილებებისათვის პასუხისმგებლობას, ვარაუდობს, რომ ამ გზით მიიღწევეს ეროვნული შემოსავლის მყარ ზრდას. ახლა შესაძლებელია გავზომოთ მიზანზე ბერკეტის ზემოქმედების დონე:

$$Y = [1 - c^1(1-t)]a + I + G, \quad (14.4)$$

$$m_{YG} = \frac{\partial Y}{\partial G} = \frac{1}{1 - c^1(1-t)}. \quad (14.5)$$

დავუშვათ, სახელმწიფო, ბიუჯეტის მეოხებით გადაანაწილებს ეროვნული შემოსავლის 50%-ს ( $t=0,5$ ), ხოლო საშუალო მომხმარებელი თავისი შემოსავლის ყოველ მანეთს ასე ხარჯავს: 80 კაპიცი - მიმდინარე მოხმარება, 20 კაპიცი - დანაზოგი ( $c^1=0,8$ ), მაშინ

$$m_{YG} = \frac{1}{1 - 0,8(1 - 0,5)} \approx 1,67, \quad (14.6)$$

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხაზით დახარჯულმა მანეთმა უნდა გამოიწვიოს ეროვნული შემოსავლის მატება 67 კაპიკის ოდენობით.

მოვლენების ასეთ განვითარებას ხელს შეუწყობს ავტონომიური (სახელმწიფო) ინვესტიციებით განპირობებული მულტიპლიკაციის კლასიკური ეფექტი. ამოქმედებიან ბიუჯეტის სხვა მექანიზმებიც.

განტოლება (14.3) შესაძლებელია რამდენადმე სრულყოფით იმ შემთხვევაში, თუ ინვესტიციებს წარმოვადგენთ შემოსავლისა და სარგებლის ფუნქციის სახით. მართლაც, მესამე ლექციაში სასაქონლო ბაზრების მაკროეკონომიკური წონასწორობის პირობების ანალიზმა გვიჩვენა, რომ დანაზოგების მიწოდება (და მაშასადამე, სახსრების მოცულობა, რომელიც ძირითადად განკუთვნილია ინვესტირებისათვის) დამოკიდებულია მიმდინარე და წარსულ შემოსავლებზე. ამავე დროს, საინვესტიციო მოთხოვნა მგრძობიარეა სარგებლის განაკვეთის მოძრაობისადმი. რაც უფრო მაღალია განაკვეთები, მით დაბალია საინვესტიციო მოთხოვნა, დანაზოგის მით უფრო ნაკლები მასა გადაიქცევა კაპიტალდაბანდებებად.

ამიტომ ინვესტიციების ფუნქცია შემდეგნაირად შეიძლება წარმოვიდგინოთ:

$$I = eY - hr, \quad (14.7)$$

სადაც  $e$  - დანაზოგის ნაწილია არა მხოლოდ მიმდინარე, არამედ წარსულ შემოსავლებშიც; შესაბამისად, სიდიდე  $eY$  ყოველთვის მეტია, ვიდრე  $[1 - c'(1-t)]Y$ ;  $h$  - მუდმივია. ნიშანი მინუსი ნიშნავს, რომ კრედიტის გაძვირების კვალობაზე ინვესტიციების დაფინანსების წყაროების ძებნით დაკავებული მეწარმენი სულ უფრო მცირე დანაზოგებს მიიღებენ.

ჩავსვათ (14.7) (14.3)-ში, მივიღებთ:

$$Y = a + c'(1-t)Y + eY - hr + G. \quad (14.8)$$

ჩავთვალოთ, რომ სახელმწიფოს აქვს კონტროლის საიმედო საშუალებები სარგებლის განაკვეთის დინამიკის მიმართ ან, ყოველ შემთხვევაში, ზუსტად იცის, როგორ გავლენას ახდენს მასზე ბანკთაშორისი კრედიტის ფასები და ფულადი პოლიტიკის სხვა ბერკეტები. თუ ასეა, მაშინ მოვახდინოთ (14.8) დიფერენცირება  $r$ -ის მიხედვით, გამოვიყვანოთ სარგებლის მულტიპლიკატორის ფორმულა:

$$Y[1 - c'(1-t) - e] = a - hr + G, \quad (14.9)$$

$$m_{yr} = \frac{\dots}{or \ 1-c'(1-t)-e} \quad (14.10)$$

რამდენადაც გამოსახულების მარჯვენა ნაწილი (14.10) ეჭვემდებარება სტატისტიკურ შეფასებას,  $m_{yr}$  სიდიდე დაგვანახებს, თუ როგორი ცვლილებებია მოსალოდნელი ეროვნულ შემოსავალში სარგებლის განაკვეთის დონის სახელმწიფო რეგულირების შედეგად. მის ეკონომიკურ მექანიზმს ჩვენ დიდი ხანია ვიცნობთ: სარგებლის შემცირება სტიმულს აძლევს მოკლევადიანი საინვესტიციო პროცესის ზრდას, იწვევს წარმოებისა და ეროვნული შემოსავლის გაფართოებას.

მულტიპლიკატორების მითითებული ტიპები, რა თქმა უნდა, არ ამოწურავს მათ მთელ მრავალფეროვნებას. მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია მულტიპლიკატორების მთელი სისტემა, რომელიც მოიცავს ეკონომიკური პოლიტიკის სრულიად სხვადასხვა მიზნებსა და ბერკეტებს. ამ ტრადის (მიზნების, ბერკეტების, მულტიპლიკატორების) გარეშე ახლა მართლაც ვერ დავგეგმავთ ვერც ერთ სახელმწიფო პროგრამას. თუმცა ნათელია, რომ ჩვენ წინაშეა მხოლოდ თეორიული პლატფორმა, ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების კონცეფტია. იგი იძლევა მხოლოდ ზოგად წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავაკეთოთ ეს, რამეთუ იგი წარმოადგენს სახელმწიფო რეგულირების თავისებურ ფილოსოფიას, მის ესეიზს, ეკონომიკური პოლიტიკის სურათს, რასაკვირველია, თუ მას ჩვენ ჩიტის ფრენის სიმაღლიდან შევხედავთ. როდესაც მთავრობა იწყებს რეალური პოლიტიკის შემუშავებას, მის წინაშე დგება გაცილებით უფრო კონკრეტული პრობლემები.

მაგალითად, დავიმახსოვროთ, რომ სხვადასხვა პოლიტიკური ბერკეტების ეფექტიანობა სულაც არ არის ერთნაირი. ზოგი მათგანი უკეთესად გამოიყენება ფასების დონისა და დინამიკის რეგულირებისათვის, სხვების გამოყენება უფრო ხელსაყრელია ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისათვის და ა.შ.\* კერძოდ, თუ ავიღებთ ინფლაციის ტემპს, აღმოჩნდება, რომ ფულადი მულტიპლიკატორი საბიუჯეტოზე მეტია, მეორე მიზნის მიმართ კი ისინი ადგილებს იცვლიან:

$$m_{yG} > m_{yM} \quad (14.11)$$


$$m_{pG} < m_{pM} \quad (14.12)$$

\* მსგავსი კლასიფიკაციები ეყრდნობა ამერიკელი ეკონომისტის რ.მანდელის გამოკვლევებს.

სადაც  $M_{YG}$  - ეროვნული შემოსავლის საბიუჯეტო მულტიპლიკატორია,  $M_{YM}$  - ეროვნული შემოსავლის ფულადი მულტიპლიკატორი;  $M_{PG}$  - ფასების დონის საბიუჯეტო მულტიპლიკატორი,  $M_{PM}$  - ფასების დონის ფულადი მულტიპლიკატორი.

რადგან ასეა, პოლიტიკოსების მიერ დაგეგმილი მიზნების მიღწევა მოითხოვს ფულადი და საბიუჯეტო რეგულატორების მორიგეობით "ჩართვას". ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ ფლობდება რეალური ეკონომიკური სიტუაცია, მიზნების მიმდინარე დონეები რამდენად იხრება სასურველისაგან. როდესაც, ვთქვათ, ფასების ასეთი განსხვავება არ ფიქსირდება, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ეკონომიკური ზრდისაკენ მიმართულ საბიუჯეტო პოლიტიკას. თუკი სახალხო მეურნეობა ისე ვითარდება როგორც მოსალოდნელი იყო, ხოლო ინფლაციის ტემპი მიუღებლად მაღალია და შეშფოთებას იწვევს, მაშინ პირველ პლანზე ფულადი პოლიტიკა გამოდის (ნახ.14.1).

14.1 ნახაზზე  $G$  და  $M$  (ბიუჯეტის გასაღებები და ფულის მიწოდება) ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტებია;  $Y$  და  $P$  (ეროვნული შემოსავალი და ფასების დონე) – მისი მიზნები;  $\bar{Y}$  და  $\bar{P}$  - მიზნების ის მნიშვნელობა, რომელსაც პოლიტიკოსები დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ და ამიტომ ცდილობენ მის მიღწევას.  $Y=\bar{Y}$  და  $P=\bar{P}$  წრფეების ყოველ წერტილზე დგას ბერკეტების კომბინაცია, რომლის დროსაც მიზანთაგანის ერთ-ერთი სიდიდე ისეთად იქცევა, როგორიც იგი სურდათ დაენახათ მათ, ვინც ეკონომიკურ პოლიტიკას გეგმავს. ერთი წერტილი უნიკალურია:  $Q$  სიტუაციას, უპასუხებს ( $G$  და  $M$ ) ბერკეტების საუკეთესო კომბინაცია, რომელიც ერთდროულად უქმნის ოპტიმალურ მნიშვნელობას როგორც  $Y$ -ს, ისე  $P$ -ს.



ნახ. 14.1

დავუშვათ, რეგულირების დაწყებამდე ეკონომიკა იმყოფება იმ მდგომარეობაში, რომელიც აღინიშნება A წერტილით. ნათელია, რომ ამ შემთხვევაში ორივე მიზანი შორს არის იმ დონეებისაგან, რომელნიც შეიძლება მისაღებად ჩაითვალოს. იწყებს რა რეგულირებას, მთავრობას მოძრაობაში მოყვას საბიუჯეტო მექანიზმები, რათა დააჩქაროს ეკონომიკური განვითარების პროცესები. სწორედ აქ, როგორც ვიცით, ისინი უფრო ეფექტურნი არიან. თუ ყველაფერი ასე მოხდება, სახალხო მეურნეობაში მდგომარეობა შეიცვლება; ამჟამად მისთვის შესაბამისი იქნება წერტილი B. რეგულირების შედეგი მიღწეულია, მაგრამ მხოლოდ სანახევროდ, რადგან  $Y = \bar{Y}$ -ს, ხოლო  $p = \bar{p}$ -ს. საბიუჯეტო ექსპანსიის გაგრძელება უკვე აღარ არის მიზანშეწონილი, რადგანაც ინფლაცია მგრძობობიარეა სხვა, ფულადი ბერკეტების მიმართ. მთავრობა მათი გამოყენებით ცვლის ეკონომიკურ სიტუაციას C წერტილის მიმართულებით, როდესაც  $p = \bar{p}$ -ს, თუმცა  $Y = \bar{Y}$ -ს. საბოლოო ანგარიშით, მარეგულირებადი მექანიზმების ფულადი რეჟიმიდან ბიუჯეტზე და პირიქით გადართვის სერიების შემდეგ, დგება სასურველი შედეგი -  $Y = \bar{Y}$ ;  $p = \bar{p}$ .

სახელმწიფოს თვალსაზრისით, საბაზრო ეკონომიკა წარმოადგენს რეგულირების ობიექტს და აქვს განსახლურული ინერციულობა. ეკონომიკური პროცესები წამოიერად არ ხორციელდება, იგი მოითხოვს როგორც რესურსების, ისე დროის დანახარჯებს. ამიტომ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის პროცესში თავს იჩინოს დაგვიანების ეფექტი, ჩნდება ლაგი, რომელიც განაცალკევებს მიზნის ცვლილებებს ბერკეტის ცვლილებებისაგან. მისი სწორი შეფასება სახელმწიფო რეგულირების ორგანიზაციის მნიშვნელოვან პრობლემად იქცევა: მთავრობამ წინასწარ უნდა იცოდეს არა მხოლოდ ამა თუ იმ პოლიტიკური ღონისძიების მოსალოდნელი შედეგი, არამედ ისიც, თუ როდის შეიძლება ელოდო მას.

აღნიშნავთ, რომ ლაგი თავისი შინაგანი აგებულებით სულაც არ არის ერთგვაროვანი. ამიტომ დროა, ვილაპარაკოთ ერთიან, ლაგურ სისტემაზე, რომელიც სულ ცოტა ხუთი ელემენტისაგან შედგება.

პირველი შესაქრები - აღიარების ლაგია. იგულისხმება დროის ის დანახარჯები, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ პოლიტიკოსებმა შეიგნონ რეგულირების პრობლემის არსებობა და შეაფასონ მისი აუცილებლობა. ამ ლაგის ხანგრძლივობა არანაკლებაა დამოკიდებული ეკონომიკური მეცნიერების მდგომარეობაზე, მის როლზე პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაში, იმათ კომპეტენტურობაზე, ვინც მას შეიმუშავენ და სხვა სახის გარემოებებზე;

ლაგური. სტრუქტურის მეორე ნაწილი წარმოდგენილია გადაწყვეტილების ლაგით. ის გამოხატავს პრობლემის არსებობის აღიარებასა და ამა თუ იმ მარეგულირებელი მექანიზმის ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილების მიღებას შორის დროის შუალედს. ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ბერკეტებს შორის განსხვავება აქ საკმაოდ დამაჯერებელია. მაგალითად, ფულადი პოლიტიკისათვის დამახასიათებელია გადაწყვეტილების არც თუ დიდი ლაგი, რამდენადაც მისი მიღებისათვის საჭიროა მხოლოდ მთავრობის და ცენტრალური ბანკის შეთანხმება. უფრო ხანგრძლივია ბიუჯეტური პოლიტიკის ლაგი, რადგანაც გადაწყვეტილებებმა გადასახადებისა და სახელმწიფო ხარჯების შესახებ დასტური უნდა მიიღოს საკანონმდებლო ორგანოებისაგან, ე.ი. უნდა გაიაროს გაკვიანურებული საპარლამენტო პროცედურა;


მესამე ლაგი ყოფს გადაწყვეტილების მიღების მომენტსა და მისი შესრულებისათვის პასუხისმგებელი სახელმწიფო სამსახურების კონკრეტული მოქმედების დასაწყისს. თუ, მაგ. გადაწყვეტილია ფულის მიწოდების გადიდება, მაშინ, ცხადია, ცენტრალურ ბანკს რაღაც დრო სჭირდება, რათა შეამციროს სავალდებულო რეზერვების ნორმა და მასთან ერთად ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთი, გააფართოოს სახელმწიფო ობლიგაციების შექმნა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. ასეთი ლაგის სიდიდე ძირითადად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს სახელმწიფო მანქანა, როგორ არის მოწესრიგებული მისი ცალკეული რგოლის ურთიერთქმედება;

მეოთხე (შუალედური) ლაგი განისაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტების შინაგანი აგებულებით. მაგალითისათვის ისე, ფულის მიწოდება ავიღოთ. ეკონომიკური პოლიტიკის საერთო კონტექსტში ის გამოიყურება ანტიინფლაციური რეგულირების ბერკეტად. მაგრამ, თუ ჩვენ მას შევხედავთ ცენტრალური ბანკის თვალსაზრისით, რომელიც პასუხისმგებელია ფულის მიმოქცევის ორგანიზაციაზე, ადვილად შევამჩნევთ, რომ ამ სახელმწიფო ინსტიტუტისათვის ფულის მიწოდება სულაც არ არის ბერკეტი, არამედ იგი მიზანია. ვერ აკონტროლებს რა ფულის მიწოდებას პირდაპირ, ცენტრალურ ბანკს უფლება აქვს, შეცვალოს იგი საჭირო მოცულობით, ზემოთ აღნიშნული ფულადი პოლიტიკის მეთოდებით. გამოდის რომ, ერთი მხრივ, თითოეულ ასეთ მეთოდსა და მეორე მხრივ, ფულის მიწოდებას შორის, განლაგებულია მთელი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც ამუშავდება არა ერთბაშად, არამედ მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ, როდესაც, მაგალითად, ამცირებენ ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთს, კომერციული ბანკები

იფარგლებიან ახალი სიტუაციის ანალიზით. თუ ეს უკანასკნელი ხელსაყრელად ყლიბდება, ცენტრალური ბანკის კრედიტების მიღების პრეტენდენტები მასთან ამყარებენ ურთიერთობებს, შემდეგში კი, გამოჰყრიან ბირჟაზე დამატებით საკრედიტო მასას. შუალედური ლაგი წარმოადგენს სწორედ იმ მაჩვენებელს, რომელიც ზომავს ამგვარი პროცესების ხანგრძლივობას.

უკანასკნელი, და მართლაც, ლაგური სტრუქტურის ყელაზე მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ზემოქმედების ლაგი. ჩვენ წინაშე დროის იმ პერიოდის დახასიათება, რომლის განმავლობაშიც მაკროეკონომიკური პოლიტიკის მიზანი რეალურად გრძნობს ბერკეტის ცვლილებას. ლაგის ზემოქმედების სიდიდე განისაზღვრება ეკონომიკური მექანიზმის კონსტრუქციით, რომელიც აერთიანებს მიზანსა და ბერკეტს მისი ინერციულობის ხარისხთან. კერძოდ, საბიუჯეტო პოლიტიკისათვის, რომელიც უშუალოდ ზემოქმედებს ერთობლივ მოთხოვნაზე, ეს ლაგი შედარებით მოკლეა, ვიდრე ფულადი პოლიტიკის, რომელსაც როგორც ვიცით, შეუძლია მხოლოდ არაპირდაპირი ზეგავლენა მოახდინოს მოთხოვნის დინამიკაზე.

დროის ფაქტორის მრავალრიცხოვანმა გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ბერკეტების ლაგები არაერთგვაროვანია არა მარტო სიდიდით, არამედ ხასიათითაც. ისეც ხდება ხოლმე, რომ მულტიპლიკატორი მთლიანად გამოიმუშავეს თავის რესურსს შედარებით ხანმოკლე პერიოდში და მიზნის მნიშვნელობა საკმაოდ სწრაფად გვევლინება ისეთად, როგორიც უნდოდათ პოლიტიკოსებს დაენახათ იგი. ხშირად სხვაგვარადაც ხდება, როდესაც მიზანი თანდათანობით გადის დაგეგმვის დონეზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია მულტიპლიკატორების სიმძლავრეების დროში განაწილების სხვადასხვა ვარიანტი. ერთ-ერთი მათგანი წარმოდგენილია 14.2. ნახაზზე.



ნახ. 14.2

ნახ. 14.2 პორიზონტალურ ღერძზე აღნიშნულია დრო წლებში, ვერტიკალურზე – მულტიპლიკატორის სიმძლავრის განაწილება პროცენტებში, ამასთან ას პროცენტად მიღებულია მულტიპლიკატორის ის სიდიდე, რომელიც გაანგარიშებულია (14.5) და (14.10) ტიპის ფორმულების საფუძველზე. ლაგური ზემოქმედების კრებისთი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, უტოლდება ოთხ წელს. აღსანიშნავია, რომ ლაგური სისტემის დანარჩენი ელემენტები 14.2. ნახაზის ფარგლებს გარეთაა, ე.ი. "დამალულია" კოორდინატების დასაწყისში.

თუ 14.2 ნახაზს დაავკვირდებით, შევნიშნავთ, რომ  $X$  რეგულატორის ჩართვიდან ნახევარი წლის შემდეგ  $\overline{m}_x$  მულტიპლიკატორი თავისი საპროექტო სიმძლავრის მხოლოდ 15%-ით მოქმედებს. ე.ი. ვადის გასვლის შემდეგ  $X$  ბერკეტის ზემოქმედების დონე  $Y$  მიზანზე იქნება იმაზე ნაკლები, რაც განსაზღვრულია (14.5) ან (14.10) ფორმულებით. იმისათვის, რომ იგი მაქსიმალური გახდეს, კიდევ 12 თვეა საჭირო. შემდეგ რეგულირების ეფექტიანობა თანდათანობით დაეცემა. სამი წლის შემდეგ კი ქრება მიზნის ყოველგვარი რეაქცია პირველდაწყებით პოლიტიკურ იმპულსზე.

მაგრამ ამით საქმე ჯერ კიდევ არ მთავრდება; სულ მცირე, უნდა ვივარაუდოთ მათი განცვიფრება და იმედის გაცრუება, ვინც ვერ აფასებს დროის ფაქტორს, რეგულირების მექანიზმები კი არ ჩერდება, არამედ აგრძელებს მუშაობას, მაგრამ საწინააღმდეგო მიმართულებით. მულტიპლიკატორის სიდიდე უარყოფითი ხდება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის ზეგავლენით შემცირებული განსხვავება მიმდინარე და სასურველი მიზნის დონეებს შორის ეკლავ იზრდება. რეგულირება, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის წინ სასურველი შედეგი მოჰქონდა, საწინააღმდეგო მიმართულებით იწყებს მოქმედებას. აღვნიშნავთ, რომ ასეთი რამ სინამდვილეში საკმაოდ ხშირად ხდება. თუ დაუშვებთ, რომ სახელმწიფო აპირებს ეკონომიკური განვითარების სტიმულირებას საბიუჯეტო ხარჯების პოლიტიკით, მაშინ, დასაწყისში მოსალოდნელია ყველაფერი წავიდეს გეგმის მიხედვით. სამაგიეროდ შემდგომ, საბიუჯეტო ექსპანსია აუცილებლად მოგვცემს ნეგატიურ ინფლაციურ ეფექტს. ხოლო ინფლაცია კი, როგორც ჩვენ დავრწმუნდით, ბოლოს და ბოლოს იმავდროულად წარმოშობს ეკონომიკური ზრდის დამუხრუჭების რამდენიმე მექანიზმს.

გამოდის, რომ თუ გათვალისწინებულია რეგულირების პროცესის დინამიკა, მისი ხანგრძლივი შედეგები, მაშინ პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებამ (14.5) და (14.10) სახის ფორმულების დახმარებით, შესაძლებელია მოახდინოს მათი ძლიერი დეზორიენტაცია, ვინც



გადაწყვეტილებებს იღებს. მულტიპლიკატორების სიდიდის განსაზღვრა და სხვა ქმედებები, რომლებიც იტინბერგერის პრინციპებს უპასუხებს, ახლა უკვე აშკარად არასაკმარისია. ჩვენს მაგალითში ეკონომიკური პოლიტიკა, შესაძლოა აღმოჩნდეს ქმედითი კიდევ ერთი პირობის შესრულებით:

$$\Delta > 0, \quad (14.13)$$

სადაც

$$\Delta = \int_0^3 \bar{m}_{xy}(t) dt - \int_3^4 \bar{m}_{xy}(t) dt \quad (14.14)$$

ამისი შინაარსი გასაგებია: დროში განაწილებულმა დადებითმა ეფექტმა, რომელიც  $X$  რეგულატორის ჩართვის შემდეგ წარმოიშობა, აუცილებლად უნდა გადააჭარბოს უარყოფითი შედეგების მთელ ჯამს. მიუვითთებთ, რომ თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას გააჩნია დინამიკური მულტიპლიკატორების მოდელკაის მთელი კლასი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია საკმაო სიზუსტით გაატაროს მსგავსი წინასწარი გაანგარიშებები.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაში დროის ფაქტორის როლის შეფასება მიეკუთვნება ეკონომიკური თეორიის ყველაზე უფრო რთულ პრობლემათა ჯგუფს. ეს განსაკუთრებით ეხება ლაგურ ზემოქმედებას: იგი ხომ სამეურნეო სისტემის სრულიად სხვადასხვა სუბიექტების ურთიერთქმედების ხანგრძლივობის განმარტადებელ დახასიათებას იძლევა. როგორ გავზომოთ, ვთქვათ, მეწარმეების ყოფიანთან დაკავშირებული დროის დანაკარგები, რომლებსაც ეშინიათ რისკი გასწიონ კაპიტალით, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო თავისი შესაძლებლობების მიხედვით უბიძგებს მათ ამისაკენ? ან მომხმარებლების ხანგრძლივი ფიჭრი, შექმენისათვის შედარებით ხელსაყრელი მომენტის შესარჩევად? ამას დაუშვართ კიდევ ის, რომ ვინც მაკროეკონომიკურ პოლიტიკას გეგმავს, იძულებულია იქონიოს საქმე ასეთსავე მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებთან, რაც დამახასიათებელია მიზნისა და ბერკეტებისათვის. ხოლო აგრეგირების ასეთი მაღალი დონე ხშირად ფრიალ მაცდუნებელია. ბიუჯეტური დანახარჯები, მაგალითად სულაც არაა რაიმეთი ერთგვაროვანი. ისინი სხვადასხვაა და ყველა სახელმწიფო ხარჯის ცალკეულ სახეს აქვს საკუთარი ლაგი – როგორც ხასიათით, ისე ხანგრძლივობით. მაგალითად, ამერიკის ეკონომიკაში მეცნიერებისა და ტექნოლოგიისათვის გამოყოფილი

ბიუჯეტური ასიგნაციები უკუგებას იძლევა და ზრდის ეროვნულ შემოსავალს და დაახლოებით 5-8 წლის შემდეგ.\* ეს მაჩვენებელი რამდენჯერმე აღემატება ლაგის საშუალო ზომას, რაც დამახასიათებელია სახელმწიფოს ერთობლივი ხარჯებისათვის, როგორც მაკროეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტებისათვის.

მიუხედავად ამისა, ძნელია ლაგური სტრუქტურების გაანგარიშების პრაქტიკული მნიშვნელობის ჯერონად შეფასება. ფლობს რა მათ თუნდაც ყელაზე მიახლოებულ და ზოგად მნიშვნელობებს, სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს ბერკეტების კლასიფიკაცია, როგორც ეფექტის სიდიდის, ისე სწრაფმოქმედების დონით. დაგეგმვაში მიიღწევა ესოდენ აუცილებელი გაგება იმის შესახებ, თუ რომელი ბერკეტით უნდა ველოდოთ დაუყოვნებელ შედეგებს და რომელნი ამუშავდებიან შორეულ პერსპექტივაში. მხოლოდ ლაგების ცოდნა იძლევა შესაძლებლობას განჭვრეტელ იქნეს ეკონომიკის განვითარება, შემუშავდეს გრძელვადიანი პოლიტიკური სტრატეგიები, ჩამოყალიბდეს დასაბუთებული დანაპირებები და მიღწეულ იქნეს მათი შესრულება. მთავრობა, რომელიც არაფერს კონკრეტულს არ ჰპირდება მოსახლეობას, განწირულია არაეფექტიანობისათვის, რადგანაც იგი კარგავს მათ ნდობას.

თუ ჩვენ ლაგურ სტრუქტურას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება მომწიფებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა ქრონიკულად დაგვიანების მიზეზები, რაც ასე დამახასიათებელია უკანასკნელი წლების ეკონომიკისათვის. ეკონომიკურ გამოკვლევათა (ფუნდამენტურისაც და გამოყენებითისაც) არასაკმარის დონემ ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში გავრცელებულმა მიდრეკილებამ ნებელობითი გადაწყვეტილებებისაყენ, განსაკუთრებით მიზანდასახულობის სფეროში, მისწრაფებამ იდეოლოგიური სტერეოტიპებისადმი, რაც დიდი ხნის განმავლობაში ჩრდილავდა საქმის ობიექტურ ვითარებას, გამოიწვია აღიარების ლაგის გახანგრძლივება. უმწვავესი პრობლემები, რომელნიც მოსახლეობის უდიდესი ნაწილის კეთილდღეობას ეხება, წლების განმავლობაში არ წყდება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, რომლებიც ქვეყანას მართავდნენ, უბრალოდ უარს ამბობდნენ, ეცნოთ თვით მათი არსებობა. ასეთი იყო მაგალითად, უმუშევრობა და ინფლაცია. ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენებისადმი ჩვენი მთავრობის უკიდურესად შენელებული, მოდუნებული რეაქცია აიხსნება ისევ მართვის სისტემების ბიუროკრატიზაციით, მათი დაბალი ეფექტიანობითა და ისეთი ფაქტორებით, რომლებიც ზრდიან გადაწყვეტილებების ლაგს.

---

\* Science and technologe in economic growth. London, 1973.

დაუბრუნდეთ ისევ 14.1 ნახაზზე ილუსტრირებულ ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტების კლასიფიკაციას და დაეუფიქრდეთ საკითხს: მაინც, რატომ გადაინაცვლა სახელმწიფომ "შალა" და არა "მარცხნივ", მიზნად ისახავდა რა თავდაპირველად ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას და მხოლოდ შემდეგ – ინფლაციის წინააღმდეგ ბრძოლას? ალბათ, იმიტომ, რომ ასე აეწყო მისი პრიორიტეტები. ეკონომიკური განვითარების სტიმულირება, როგორც ჩანს, ინფლაციაზე კონტროლის დაწესებასთან შედარებით უფრო აქტუალურ ამოცანადაა აღიარებული.

ჩვენ მიუხაზოვდით კიდევ ერთ მნიშვნელოვან პრობლემას, რომლის გადაწყვეტის გარეშე ძნელად თუ შეიძლება ქვედითი ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბება. ლაპარაკია მიზნობრივი ფუნქციის კონფიგურაციაზე.\* საჭიროა თუ არა, რომ მთავრობა მისიწარაფოდეს მასში აღნიშნული მიზნების ერთდროული მიღწევისათვის, თუ უკეთესია, რომ იგი შეიზღუდოს პრიორიტეტების გადაადგილებით, მიზნების დალაგებისას მათი დანიშნულების ხარისხის მიხედვით განსაზღვროს რაიმე რიგითობა? როგორც მსოფლიო ეკონომიკურ თეორიაშია დასაბუთებული და დამოწმებულია სამეურნეო პრაქტიკით, უდავო უპირატესობა გააჩნია მცირე ვარიანტს. სწორედ იგი დაედო საფუძვლად განვითარებული ქვეყნების მთავრობათა მოქმედებას, რასაც რამდენიმე მიზეზი გააჩნია.

ჯერ ერთი, მთავრობის ხაზი, კერძოდ მისი მიდგომა პოლიტიკური მიზნებისადმი ხშირად ნაკარნახევია მიმდინარე მდგომარეობით, იმით, რაც დღეს ეკონომიკაში ხდება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ქვეყნებისათვის, რომლებიც მოხვდნენ ხანგრძლივი კრიზისებისა და არასტაბილურობის ზონაში, როდესაც მთავრობას ზრუნვა უბნდება არა იმდენად ეფექტიანი გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე, რამდენადაც იმისათვის, რომ დროულად შეაფასოს უახლოეს პრობლემათა სიმწვავე, რომელთაც განუწყვეტლივ წარმოშობს არამყარი ეკონომიკა და მოასწროს მოუნახოს მათ დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტა. როდესაც ასეთი პრობლემა ბევრია, მათი გადაწყვეტა რიგითობის პრინციპის საფუძველზე ხდება.

მაგალითისათვის განვიხილოთ ჩვენი სახალხო მეურნეობა. ის იმდენად დამძიმებულია მრავალი უწყესრიგობით, რომ პოლიტიკოსების ანგარიშშიუცემელი სურვილი, სწრაფად დაძლიონ სიძნელეები სხვადასხვა

---

\* როგორც დაგვემის, პროგრამირებისა და ბიუჯეტის სისტემათა შედგენის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომელთა დახმარებითაც დგება რეალური სახელმწიფო პროგრამები მათი დამუშავება აუცილებლად იწყება პოლიტიკური უპირატესობების გამკლავებით (Mowitz R. The design of public decision systems. Baltimore, 1980, p.25)

მიმართულებით პრიორიტეტების რიგრიგობით წინ წამოწვევითა და მუდმივი ცვლილებებით, საესებით გასაგებია და, საერთოდ რომ ვთქვათ, იმსახურებენ სიმპათიებს. და მაინც უკეთესი იქნება, თუ პოლიტიკური უპირატესობების სიაში პირველი ადგილი ინფლაციის პრობლემას დაეთმობა. იმაზე, გახდება თუ არა ეს უკანასკნელი ზომიერი და კონტროლირებადი, დამოკიდებულია შრომისადმი სტიმულები და კაპიტალის ინვესტირება, ფულადი სისტემისა და სახელმწიფო ფინანსების მდგომარეობა, ეკონომიკის მართვის ხარისხი, და მაშასადამე, რეგულირების ყველა სხვა მიზნის რეალიზაციის პერსპექტივები.

მეორე, როგორც არაერთხელ დავრწმუნდით, საბაზრო მეურნეობაში სახელმწიფო სულაც არ არის ყოვლისშემძლე, მისი რეგულირებადი პოტენციალი შეზღუდულია. ჯანსაღი ეკონომიკის პირობებშიც კი ერთდროულად რამდენიმე მასშტაბური მიზნის მისაღწევად მას უბრალოდ შეიძლება არ ეყოს ძალა. თუ შეხედვლობაში მივიღებთ ტინბერგენის უტოლობის მკაცრად დაცვის აუცილებლობას, მაშინ ცხადია, ყველაზე გონივრულია – აიგოს უპირატესობის მინიჭების მიზნობრივი ფუნქცია პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანების მკაფიო გამოყოფით.

შეგნიშნავთ, რომ აღნიშნულ გარემოებათა გავლენით, სახელმწიფო რეგულირების გამოცდილების დაგროვებასთან ერთად, მისი ყველა წარმატების და წარუმატებლობის ჩათვლით, მიმდინარეობს მიზნობრივი ფუნქციის მოცულობის განუხრელი შემცირება. ი.ტინბერგენი, ეკონომიკური პოლიტიკის კვლევისადმი მიდგომის ფორმულირებისას, აუცილებლად თვლიდა მასში შეეტანათ რვა ელემენტი (სახელმწიფო ხარჯების მოცულობა, რეალური ხელფასის ცვლილების ტემპი, დასაქმების დონე, შემოსავლების განაწილების ინდიკატორი, ინვესტიციების მოცულობა, ერთობლივი მოთხოვნა, წარმოების დონე, საგადამხდელო ბალანსის სალდო.)\*

70-იან წლებში რეალურ მიზნობრივ ფუნქციებში, რომლითაც განვითარებული ქვეყნების მთავრობები ხელმძღვანელობდნენ, მხოლოდ ოთხი შესაყრები დარჩა – "სრული" დასაქმება, ფასების სტაბილურობა, საგადამხდელო ბალანსის უმართავი დეფიციტის არსებობა, ეკონომიკური განვითარების მყარი დონე.\*\* ამჟამად ბევრი მთავრობა იზღუდება ორი სტრატეგიული ამოცანის დასმით და გადაწყვეტით, ძალისხმევას მიმართავს ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობის მისაღწევად და უმართავი ინფლაციის წინააღმდეგ საბრძოლველად.

\* Tinbergen I. On the theory of economic policy. Amsterdam, 1955, p. 8-9

\*\* Barret N. The theory macroeconomic policy. Englewood Cliffs (N.J.), 1972, p.8.

ასეთი ევოლუცია სახვებით კანონზომიერია. რაც უფრო ძლიერია ეკონომიკა და ეფექტიანია მასში მომუშავე საბაზრო მექანიზმები, მით უფრო მეტად გადაირთვება სახელმწიფო სახალხო მეურნეობის ნორმალური ფუნქციების უზრუნველყოფაზე, განახორციელებს რა დემონოპოლიზაციას, შემოსავლების მოფიქრებულ გადანაწილებას, ფულის მიმოქცევის ორგანიზაციასა და ა.შ., მთავრობა გზადაგზა თავიდან იხსნის პასუხისმგებლობას იმ პრობლემებზე, რომელთა გადაწყვეტაც წარმოადგენს საბაზრო სისტემის კანონიერ პერეოგატივას, იტოვებს მხოლოდ ისეთებს, რომელთა გადაწყვეტაც ბაზარს არ ძალუძს. როდესაც მიზნები რჩება ცოტა და სახელმწიფო თავის ძალებს არ დაქსაქსავს, მისი მოქმედების ძალისხმევა, როგორც წესი, იზრდება. იზრდება პოლიტიკოსების პასუხისმგებლობაც საზოგადოების წინაშე. მართლაც, თუ დაპირება მხოლოდ ორია, მაშინ მთავრობის უუნარობა, შესარულოს მათგან ერთ-ერთი, იმას ნიშნავს, რომ მისი მოქმედების ეფექტიანობა 50%-ის ღონივრეა. ძნელია ამას რაიმე დაუპირისპირო. რა თქმა უნდა, გაცილებით კომფორტულია სიტუაცია, როდესაც ფარული ფორმით დგება, ვთქვათ, ათი პრობლემა (ასეთი. რამ ჩვენთან ხდება), და ნებისმიერი მათგანის წარუმატებლობისას, განსაკუთრებით თუ ის ეხამება დანარჩენი ცხრა მიმართულებიდან რომელიმეს, წინ წამოიწევა, შეიძლება გამოცხადდეს რომ მთავრობამ მოსახლეობის მოლოდინი 90%-ით გაამართლა;

მესამე, რეგულატორთა უმრავლესობა, რომელიც სახელმწიფოს განკარგულებაშია, წინააღმდეგობრივ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე. ეს თვისება (იგი აღინიშნა ჯერ კიდევ, მეორე ლექციაში) აისახება მიზნობრივი ფუნქციების ელემენტებზეც. კერძოდ, უკიდურესად ძნელია მოიძებნოს პოლიტიკური ბერკეტები ან მოხდეს მათი ისეთი კომბინაცია, როდესაც ინფლაციური პროცესების სტაბილიზაციისაკენ მიმართული სახელმწიფოს ღონისძიებები არ გამოიწვევდა ბაზარზე სიტუაციის გაუარესებას განსაკუთრებით დროის მოკლევადიანი დიაპაზონის დროს და, პირიქით.\* ამის შესაგვის შემთხვევები ჩვენ არაერთგზის გვხვდებოდა: შემზღუდავი ფულადი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ინფლაციის დამუხრუჭებას და ადაპტური მოლოდინის ჩაქრობას, მაგრამ იმავდროულად იწვევს სარგებლის განაკვეთების გაზრდასა და წარმოების ზრდის შენელებას; ბიუჯეტური ასიგნაციების გამოყოფა სამუშაო ადგილების შესაქმნელად და დახმარების გასაცემად, რომელიც ბაზარზე ამსუბუქებს სამუშაო ძალის მდგომარეობას, ხშირად იწვევს ინფლაციური

დაწოლის ზრდას და ა.შ. ანალოგიური მაგალითები შეიძლება ვიპოვოთ ჩვენს ეკონომიკაშიც. ასეთია თუნდაც არარენტაბელური საწარმოების შენარჩუნება მაღალი დასაქმებით, საბანკო დავალიანების რეგულარული ჩამოწერები, რომელთა ინფლაციური ხასიათი სავსებით ნათელია.

როგორ უნდა მოიქცეს სახელმწიფო? ალბათ, ყველაზე მიზანშეწონილია მოინიშნოს უპირატესობანი, მათგან შეირჩეს რომელიმე ერთი, ვთქვათ, ინფლაცია და გამოინახოს ამ პრობლემის გადაჭრის გზები. პარალელურად უნდა ჩაირთოს პოლიტიკური ამორტიზატორები, გაეთდეს ისე, რომ რაც შეიძლება სუსტად იგრძნობოდეს შრომის ბაზარზე ანტიინფლაციური რეგულირების ნეგატიური შედეგები. სწორედ ამგვარ პოლიტიკურ ორიენტაციას იყენებდა რ.რეიგანის აღმინისტრაცია 80-იან წლებში, რომლის თანმიმდევრული ანტიინფლაციური კურსი საკმაოდ ნათელი იყო. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ძალისხმევამაც საგრძნობი შედეგები გამოიღო. რაც შეეხება ანტიინფლაციური პოლიტიკის გავლენას უმუშევრობის ხანგრძლივობის დონეზე, მისი თანამდევი უარყოფითი ეფექტები დიდად კომპენსირებული იყო სამუშაო ძალის ბაზრის სახელმწიფო მიკროეკონომიკური რეგულირებით. რასაკვირველია, გამოვლინდა საერთო ეკონომიკური აღმავლობის ატმოსფეროც, რომლის მამოძრავებელიც იყო მთავრობის გაუმართლებელი ჩარევისაგან განთავისუფლებული საბაზრო მექანიზმები.

თუ მიზნობრივი ფუნქცია უპირატესობის მინიჭების ფუნქციის სახეს იღებს, მისი ფორმირების პროცესი ორ ნაწილად იყოფა. საქმის ერთი მხარე მთავრობის უმაღლესი მოხელეებითაა უზრუნველყოფილი. მათი მოვალეობაა, ნებისმიერი პროცედურის საფუძველზე (დემოკრატიული, ტოტალიტარული ან სხვა რომელიმე ნებისმიერი) მკაფიოდ განსაზღვრის უპირატესობები, სახალხომეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის რიგითობა. საჭიროა მხოლოდ ტიპის რიგითობის ფუნქცია: შეაჩეროს ინფლაცია, მოხდეს გადასვლა ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებრიობაზე, შემცირდეს იძულებითი უმუშევრობა. მეორე მხრივ, მიზნობრივი ფუნქციის დამუშავებაში ჩაერთვებიან ექსპერტ-ეკონომისტები. უკანასკნელთა ამოცანაა, გადასცენ სახელმწიფო მოღვაწეებს ეკონომიკური პოლიტიკის მზა ვარიანტები, რომლებიც უნდა შეესაბამებოდეს მიზნობრივი რეგულირების განსაზღვრულ მნიშვნელობებს (ინფლაციის დონეს, ეკონომიკური ზრდის ტემპს, უმუშევრობის ოდენობას). ეს ვარიანტები არ უნდა სცილდებოდეს სახელმწიფოს განკარგულებაში რეგულირებისათვის არსებული რესურსების ფარგლებს, უნდა პასუხობდეს ქვეყნად შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ სიტუაციას და ა.შ.

ის ვარიანტი, რომელსაც ერთობლივად შეარჩევენ და ამგობინებენ პოლიტიკოსები საუკეთესოდ იჩნება მიჩნეული და ექვემდებარება პრაქტიკულ რეალიზაციას. თუ უმაღლესი ხელმძღვანელობა დაიწუნებს მთელ კომპლექტს, ექსპერტების ღირსების საქმეა გააფრთხილოს, რომ იგი ავლენს არაკომპეტენტურობის ნიშნებს, რადგანაც შეუძლებელი სურს. ზუსტად ასეთივე რეაგირება უნდა მოხდეს მაშინაც, როდესაც ხელმძღვანელობა იწყებს უმაყოფილების გამოხატვას ზოგიერთი მიზნის მნიშვნელობის მიმართ, მოითხოვს, ეთქვას, დაუყოვნებლივ შემუშავდეს პოლიტიკა, რომლის დროსაც უმუშევრობა მიუახლოვდება ნულს. დაბოლოს პოლიტიკური პრიორიტეტების გადანაცვლებაცაა შესაძლებელი. ასეთ სიტუაციაში ვარიანტების კომპლექტიდან შეირჩევა ახალი სტრატეგია, რომელიც უპასუხებს შეცვლილ უპირატესობას. რამდენადაც ეკონომიკის განვითარების შინაგანი და საგარეო პირობები არ არის უცვლელი, ექსპერტების პროფესიული ვალია, პერიოდულად განახლოს რეკომენდაციების პაკეტი. უნდა გაკეთდეს ისე, რომ პოლიტიკოსებს ყოველთვის ხელთ ჰქონდეთ დამუშავებული პროექტების პორტფელი, საიდანაც შეიძლება შეარჩიოს ის, რაც მათ მოცემული მომენტისათვის სჭირდებათ.\*

მოვახდინოთ საუკეთესო პოლიტიკური სტრატეგიების შერჩევის პროცედურის ილუსტრირება. 14.1 ცხრილში i, g, U - არის პროცენტებში გამოსახული ინფლაციის ტემპი, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი, უმუშევრობის დონე. ციფრები მარცხენა სვეტში გამოხატავს ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების ნომრებს.

ცხრილი 14. 1

პოლიტიკის ვარიანტი	ინფლაციის ტემპი (i)	ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი (g)	უმუშევრობის დონე (U)
1	3	5	6
2	3	4	7
3	5	4	3
4	7	2	3

დავუშვათ, მოწესრიგებულ პოლიტიკურ პრიორიტეტებს აქვთ i, g,

\* ასეთი მიდგომა მიზნობრივი ფუნქციის ფორმირებისადმი მთლიანად ეყარება გამოჩენილი ნორვეგიელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის რ. ფრიშის გამოკვლევებს (Frish R. Economic planning studies. Dordrecht, 1976. p. 41-47).

ს სახე. ე. ი. სახელმწიფო მოღვაწეები ავლენენ უფრო მეტ ინტერესს ინფლაციის პროცესის გადაწყვეტაზე, უფრო ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ ეკონომიკური ზრდის ახალ თვისებრიობაზე გადასვლას, უმუშევრობას კი უკანასკნელ რიგში აყენებენ. მაშინ უმალ ნათელი გახდება, რომ უნდა აირჩეს ან პირველი ვარიანტი, ან მეორე, რამეთუ მხოლოდ ისინი გვპირდებიან ინფლაციის შესაძლებელი მინიმალური ტემპის მიღწევას. №1 ვარიანტი უფრო სიმპათიურად გამოიყურება, რადგანაც მისი რეალიზაცია გვპირდება ეკონომიკის უფრო მეტ დინამიკურ განვითარებას და სწორედ ეს პრობლემა იჭერს მეორე ადგილს უპირატესობათა ჩამონათვალში. ამრიგად, ექსპერტების მიერ დამუშავებული რეკომენდაციების სერიებიდან აშკარად გამოიყოფა პირველი სტრატეგია, რადგანაც სწორედ იგი სხვებზე უკეთესად ეთანხმება იმათ აზრს, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებს. ის გადაინაცვლებს პრაქტიკული პოლიტიკის სიბრტყეზე.

თვით პოლიტიკური ვარიანტები კი მწკრივდებიან ასეთი თანმიმდევრობით – 1, 2, 3, 4. კერძოდ, მესამე სტრატეგია მეოთხეზე უკეთესია თუნდაც იმიტომ, რომ საშუალებას იძლევა, შენარჩუნებულ იქნეს ფასების ზრდის ტემპი ხუთის დონეზე და არა შეიდ პროცენტამდე. პირველი პროექტის რეალიზაციაში რაიმე გართულებისას მთავრობა უნდა შეჩერდეს მეორე ვარიანტზე, შემდეგ მესამეზე და უკიდურეს შემთხვევაში მეოთხეზე. ცხადია, თუ ხელმძღვანელების პოზიცია შეიცვალა და უპირატესობის ფუნქციით განისაზღვრება, დაეუშვათ, ს, გ, ი, უპირატესობას მიიღებს №3 ვარიანტი და ა. შ.

ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების ასეთი წესის დროს (სწორედ ეს არის გავრცელებული პრაქტიკაში) ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკური პრიორიტეტების განაწილებაზე. ჭერჭერობით ჩვენ მათ ვთვლით გარედან მოცემულად ან წინასწარ ცნობილად. როგორ განისაზღვრებიან საკუთრივ ისინი? ამ კითხვაზე პუსუხის ვარიანტები მოცემულია მორიგ ლექციაში.



პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება

ეკონომიკური წყობა და მიზანდასახულობა. გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული მექანიზმი. გამოვლენილი უპირატესობების აქსიომები. კ. ეროუს კოლექტიური შერჩევის შეუძლებლობის თეორემა. ხმის მიცემის პარადოქსი. დემოკრატიული პროცედურის განაწილებითი ეფექტები. ვ. პარეტოს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზრდის ოპტიმუმი და კრიტერიუმი კოლექტიური გადაწყვეტილების თეორიაში. ვ. პარეტოს სიმრავლე. ოპტიმალური გადაწყვეტილების შერჩევა. კალდორ-ჰიქსის კრიტერიუმი. მთავრობის პოპულარობის ინდექსი, საპარლამენტო არჩევნები და ეკონომიკური პოლიტიკა.

სახელმწიფო პრიორიტეტების განსაზღვრა და, შესაბამისად, პოლიტიკური სტრატეგიის დამუშავება რთული, მრავალწახნაგოვანი პროცესია. და თუ პირდაპირ ვიტყვით, ეკონომისტები ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ გარკვეულან მის ყელა ასპექტში.\* შეეჩრდეთ ამ მოვლენის მხოლოდ შედარებით სრულად გამოკვლეულ მხარეებზე.

პირველ ყოვლისა, აღვნიშნავთ, რომ მიზნობრივი ფუნქციის შინაარსი ბევრად განისაზღვრება ეკონომიკური სისტემის კონსტრუქციით. მართლაც, თუ ეკონომიკა საბაზრო საფუძვლებს ემყარება, სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბაზრის მექანიზმების განმტყცებას, იმ პრობლემების გადაწყვეტას, რაც ბაზარს არ ძალუძს. სწორედ ამიტომ მიზნების სიაში ჩართულია კონტროლის დაწესება ინფლაციაზე, ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობის მიღწევა და ა. შ. იქ, სადაც სახელმწიფო სოციალიზმის სისტემით ბაზრის მექანიზმები დანგრეულია, მთავრობა ჰპირდება მოსახლეობას გამოკვებას, ძირითადი ფონდების მოდერნიზაციას, მოსავლის აღებას, ერთი სიტყვით, ყელაფერ იმის გაკეთებას, რაც ნორმალური ეკონომიკის პირობებში სრულიად შესაძლებელია საბაზრო სისტემისათვის და არ მოითხოვს სახელმწიფოს პირდაპირ ჩარევას. რაც

\*რ. ფრიში მიუთითებდა, რომ სახელმწიფო მოღვაწეთა უპირატესობების წარმოქმნის მექანიზმი თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების პრობლემაა, რაც შორსაა თავისი დამაკმაყოფილებელი გადაწყვეტისაგან. (Frisch R. From utopian theory to practical applications: the case of econometrics//American economic review. Menasha, 1981 vol. 71, N:6, p. 11).

შეხება უპირატესობების განაწილებას, იგი უეჭველად დამოკიდებულია მოცემულ საზოგადოებაში დომინირებად ფასეულობაზე. როდესაც, ვთქვით, მიზნების რიგითი ჩამონათვალი ინფლაციის პრობლემით იწყება, მთავრობა სამართლიანად ელოდება თავისი პოლიტიკური სტრატეგიის წარმატებას მხოლოდ იმ პირობით, რომ მან სწორად გაიგო იმ მოსახლეობის განწყობა, რომელიც ყველაზე მეტად შეწუხებულია ფასების განუწყვეტელი ზრდით.

თუმცა ამგვარი მიდგომა, საერთოდ რომ ვთქვათ, სინამდვილეს ასახავს.\* მიზანშეწონილობის სურათი მეტისმეტად აბსტრაქტული, ბუნდოვანი და კონკრეტულობას მოწყვეტილია. რასაკვირველია, არ შეიძლება მოსახლეობის შეხედულებისა და მის მიერ გაზიარებული ფასეულობის უგულვებელყოფა, მაგრამ რეალურ პოლიტიკურ სტრატეგიებს ხომ მაინც წარმომადგენლობითი დემოკრატიის მექანიზმები შეიმუშავენ, როცა გაივლის პარლამენტურ პროცედურებს და გადაწყვეტილებას მიიღებს ხმის ამა თუ იმ უმრავლესობით.

მაგრამ ეს მექანიზმები სულაც არ არის უნაყოფო. არა მხოლოდ იმიტომ, რომ კანონმდებელ ორგანოებში არსებულ ძალთა განაწილება ხშირად არ უპასუხებს საზოგადოების რეალურ სოციალურ-პოლიტიკურ სტრუქტურას, არამედ სინამდვილეში მოქმედი დაჯგუფებები დროდრო იძენენ საკუთარ ამომრჩეველთა მისწრაფებებისაგან განსხვავებულ ინტერესებს. თვით მრავალპარტიული დემოკრატიული პარლამენტი ისეა მოწყობილი, რომ ზოგჯერ იგი ვერ უზრუნველყოფს პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას. ლაპარაკია სიტუაციაზე, რომელიც მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში ცნობილია ხმის მიცემის პარადოქსის სახელწოდებით. იგი ყველაზე უფრო კარგად გამოიკვლია ცნობილმა ამერიკელმა მეცნიერმა კ. ეროუმ.\*\* განვიხილოთ იგი დაწვრილებით.

დავიწყოთ იმით, რომ ერთობლივი გადაწყვეტილების შემუშავებისათვის ყველა მონაწილემ (პარტიულმა ფრაქციებმა, ან საერთო ინტერესებით გაერთიანებულმა საპარლამენტო დაჯგუფებებმა) ზუსტად უნდა იცოდეს. რა სურს მოიპოვოს უპირატესობათა განსაზღვრული სტრუქტურებით.

---

\* ეს მეცნიერული მომართულება ვითარდება პ. სამუელსონის, ა. ბერგსონის და კეთილდღეობის ზოგადი თეორიის სხვა სპეციალისტების ძალისხმევით (general welfare economics).

\*\* ზუსტად რომ ვთქვათ, ნობელის პრემიის ლაურეატმა კ. ეროუმ შეიმუშავა ერთობლივად მიღებული როგორც პოლიტიკური, ისე სხვა ნებისმიერი კოლექტიური გადაწყვეტილების ზოგადი თეორიის დებულება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ეგაუფორდებული თეორემა კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობების შესახებ, რომელიც ხმის მიცემის პარადოქსსაც ეხება. ამიტომ ჭკვრით მოტანილი მსჯელობა უნდა შეფასდეს როგორც კ. ეროუს თეორიის ყრძო შემთხვევის დამატება

დაეუშვათ, ეკონომიკური პოლიტიკის კურსის დამუშავება იმყოფება იმ საწყის სტადიაში, როდესაც მყარდება სასაზო მეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის რიგითობა. თუ ამოცანათა რიცხვი უდრის სამს – ინფლაცია (i), ეკონომიკური ზრდა (g), უმუშევრობა (u) – ძირითადად დასაშვებია მიზნების ექვსი კომბინაცია, და მაშასადამე, ამავე რაოდენობის უპირატესობის ფუნქციის ვარიანტიც:

$$a=(i,g,u), \quad (15.1)$$

$$b=(g, i, u), \quad (15.2)$$

$$c=(u, i, g), \quad (15.3)$$

$$d=(u, g, i), \quad (15.4)$$

$$e=(i, u, g), \quad (15.5)$$

$$f=(g, u, i) \quad (15.6)$$

(15.1)-(15.6) გამოსახულების მნიშვნელობა ჩვენთვის წინა ლექციიდან არის ცნობილი. ახლა გავანალიზოთ საპარლამენტო დაჯგუფებების ქცევა. ჩავთვალოთ, რომ ასეთი მხოლოდ სამია (x, y, z), ამასთან, ყოველი მათგანის პოლიტიკური მიეკრძოება ვრცელდება უკვე მთელი მიზნების რეგულირების კომბინაციაზე. კერძოდ,  $ap_x b$  ჩანაწერი ნიშნავს, რომ x ფუნქციას a ალტერნატივა მეტად მოსწონს, ვიდრე b.  $ep_x d$  გამოსახულება მიუთითებს, რომ z დაჯგუფების სიმპათიები უმალ e კომბინაციის (15.5) მხარესაა, ვიდრე d-საზე (15.4) და ა. შ.

უპირატესობის განსაზღვრა. კოლექტიური არჩევნებისათვის მზადება და თვით მისი გატარება – მარტივი საქმე არ არის და მოითხოვს მთელი რიგი წესების (აქსიომების) დაცვას.\* აუცილებელია, მაგალითად, ტრანზიტიულობის წესების შესრულება: ვთქვათ, თუ x საპარლამენტო კოალიცია b ალტერნატივასთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს a ალტერნატივას, ხოლო b მიაჩნია უკეთესად, ვიდრე c, მაშინ a-ს ყოველთვის აქვს პრიორიტეტი c-სთან შედარებით. სხვანაირად რომ ვთქვათ, როდესაც  $ap_x b$  და  $bp_x c$ ,  $ap_x c$ . ეს აქსიომა ერთობლივად გადაწყვეტილებებზეც ვრცელდება. ე. ი.

$$APB; BPC; APC, \quad (15.7)$$

სადაც APB, BPC, APC - უპირატესობებია, რომელიც კოლექტიური არჩევნების შედეგად გაჩნდა და ყველა ფრაქციის საერთო აზრს გამოხატავს.

მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსალური გამოცნების აქსიომა, რომელიც ნიშნავს, რომ კოლექტიური არჩევანი უნდა განხორციელდეს

\* მნიშვნელოვანი წვლილი გამოვლენილი უპირატესობების აქსიომების დამუშავებაში შეიტანა პ. სამუელსონმა.

მისი მონაწილეების უპირატესობების ნებისიერი კომბინაციისათვის. იგულისხმება, რასაკვირველია, დიქტატურის სრული არსებობა, და თუ ასეა, მაშინ ნებისმიერი დაჭგუფების მიერ შემუშავებული უპირატესობის ფუნქცია არ შეიძლება გადაიქცეს ერთობლივ (პოლიტიკურ) გადაწყვეტილებად სხვა დაჭგუფებების პოზიციებისაგან დამოუკიდებლად. გავიხსენოთ კიდევ გარეშე ალტერნატივებისაგან დამოუკიდებლობის აქსიომა. (დავუშვათ, APB განისაზღვრება მხოლოდ იმით, თუ როგორ აფასებენ მონაწილეები  $a$ -ს  $b$ -სთან შედარებით და არაფრით არ უკავშირდება მათ შეხედულებებს  $c$  ვარიანტის შესახებ). რა თქმა უნდა, ბუნებრივია, მოქმედებს დემოკრატიული არჩევნების წესი, რომლის შესაბამისად პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობის მიხედვით.

ვთქვათ, კოალიციების მიერ შედგენილი უპირატესობის ფუნქციები მთლიანად უპასუხებდნენ ამ აქსიომებს. არ განსხვავდება მისგან კოლექტიური არჩევნების პროცედურაც. შეიძლება თუ არა მაშინ მივიღოთ პოლიტიკური გადაწყვეტილება უპირატესობის ნებისმიერი კომბინაციის დროს? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად ვისარგებლოთ მოდელით, სადაც პარლამენტის სამი ფრაქცია ფიგურირებს, რომლებიც ადგილებზე ანაწილებენ სამ ალტერნატივას და ამრიგად განსაზღვრავენ თავიანთი უპირატესობის ფუნქციებს. შეგახსენებთ, ყოველი ალტერნატივა წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების ნაკრებს. გავანალიზოთ კოლექტიური გადაწყვეტილების შემუშავების პროცესი უპირატესობის ფუნქციის სამი კომბინაციისათვის (ცხრ. 15. 1).

განვიხილოთ პირველი კომბინაცია. გადაწყვეტილების დემოკრატიული მიღების მექანიზმი APB უპირატესობის სასარგებლოდ მოქმედებს. რამდენადაც მის სასარგებლოდ გამოდიან  $X$  და  $Z$  დაჭგუფებები. ამ უკანასკნელის არჩევანი ყალიბდება გარეშე ალტერნატივებისაგან დამოუკიდებლობის წესის თანახმად ( $Z$  ფრაქცია მხარს უჭერს უფრო  $a$ -ს, ვიდრე  $b$ -ს, იმისგან დამოუკიდებლად, როგორ აფასებს  $c$  ვარიანტს). BPC უპირატესობის მიმართაც იგი დადებითადაა განწყობილი, რადგან ასეთია  $X$  და  $Y$  მონაწილეების პრიორიტეტები. APC უპირატესობა წარმოიშობა ტრანზიტულობის შესაბამისად. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიღებულია. ჩამოყალიბებულია  $A, B, C$  სახის უპირატესობის ერთობლივი ფუნქცია, რომელიც გამოხატავს კანონმდებელი ორგანოს ერთიან პოზიციას, უკვე თავის თავში აერთიანებს ხმის მიმცემთა ყველა შეხედულებას. მისი ეკონომიკური შინაარსი ისაა, რომ პარლამენტი მტკიცედ გამოდის პირველ რიგში ინფლაციის

პრობლემის გადაწყვეტისათვის, რითაც მეორე პლანზე გადასწევს ეკონომიკური დინამიკისა და უმუშევრობის საკითხებს. ერთი სიტყვით, მთავრობისაგან იგი მოითხოვს, მხარი დაუჭიროს **a** მიზნობრივ ფუნქციას (15.1). **b** (15. 2) და **C** (15.3) მიზნობრივი ფუნქციის ვარიანტები საბკლშიწიუ პრიორიტეტების სიაში გადაინაცვლებენ შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებზე.

ცხრილი 15.1

უპირატესობები	უპირატესობის ფუნქციის კომბინაციები		
	1	2	3
დაჭვუფებათა უპირატესობები	x:a,b,c y:b,c,a z:a,c,b	x:b,c,a y:c,a,b z:c,b,a	x:a,b,c y:b,c,a z:c,a,b
პოლიტიკური უპირატესობები	A,B,C	C,B,A	-

თუ უპირატესობის ფუნქციის მეორე კომბინაციას შევაფასებთ, აღმოჩნდება, რომ CPB ალტერნატივების განლაგება პირდაპირ ეთანხმება Z დაჭვუფების ინტერესებს. გარეშე ალტერნატივებისაგან დამოუკიდებლობის აქსიომის გათვალისწინებით, იმავე არჩევანს აკეთებს Y კოალიცია. ანალოგიური პრინციპები ეფუძნება BPA პოლიტიკურ უპირატესობებს, მაგრამ CPA უპირატესობა წარმოიშობა ატრომატურად, ტრანზიტულობის წესით. საპარლამენტო პრიორიტეტების განლაგება დამთავრებულია, ფუნქციის მეორე კომბინაციას უპასუხებს C,B,A ალტერნატივების თანმიმდევრობა.

როდესაც კომბინაცია სამ ჯგუფურ უპირატესობებს წარმოადგენს, მოვლენა სულ სხვა ხასიათს იღებს. ადვილი შესაძრწევია, რომ პოლიტიკური ინტერესების ასეთი შეთავსებისას დემოკრატიული მექანიზმი საშუალებას იძლევა ჩამოყალიბდეს მხოლოდ APB, BPC და CPA ცალკეული უპირატესობები. ისინი აშკარად შეუთავსებელნი არიან, გამორიცხავენ. ერთიანი პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებას და, მაშასადამე, მიზნობრივი ფუნქციის აგებას. სწორედ აღნიშნული ტიპის კომბინაცია ახდენს ხმის მიცემის პარადოქსის დემონსტრირებას. გამოდის, რომ პარლამენტური დემოკრატიის მექანიზმს არ შესწევს გარანტირების უნარი ჯგუფური უპირატესობების ნებისმიერი ვარიანტის საერთო გადაწყვეტილების შემუშავებისათვის. ჩვენ წინაა ეროუს თეორიის კერძო შემთხვევა, რომლის შინაარსიც შესაძლებელია შემდგენაირად გადმოიცეს:

შეუძლებელია აგებულ იქნეს უპირატესობის ერთიანი ფუნქცია, რომელიც დააკმაყოფილებს კოლექტიური შერჩევის უკლებლივ ყველა აქსიომას.\*

რეალური საპარლამენტო პროცედურის მიმართ ხმის მიცემის პარადოქსი ნიშნავს ფათური სიტუაციის წარმოშობას, საკანონმდებლო ხელისუფლების დამბლას. მისგან თავის დაღწევა შესაძლებელია, ალბათ, მხოლოდ ორი გზით: ან ფრაქციებს მიეცეთ წინადადება, ისე გადასინჯონ თავიანთი უპირატესობები, რომ გაიხსნას გზა შეთანხმებისაკენ, ან ვინმეს მიეცეს უფლებამოსილება, რათა ანალოგიურ შემთხვევაში შეძლოს იმოქმედოს პარლამენტის გვერდის ავლით, ნებელობით, დიქტატორული მეთოდების გამოყენებით.

ჩვენ განვიხილეთ მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში გავრცელებული პოლიტიკური გადაწყვეტილებების სისტემის მიღების მხოლოდ ერთი ნაკლი. სამართლიანობისათვის მივუთითებთ, რომ კოლიზიები ხმის მიცემის პარადოქსის ნიშნით თეორიულადაც კი მცირერიცხოვანია, პრაქტიკაში იგი უფრო ნაკლებად გვხვდება. უკვე ამიტომაც, როგორც ამბობენ, ისინი ამინდს არ ქნიან. უფრო არსებითია დემოკრატიული პროცედურის სხვა დეფექტი: იგი თავის თავში ატარებს მისი გამანაწილებელი ეფექტებისაგან დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ყველანაირი საფუძველი არსებობს მტკიცებისათვის, რომ კანონმდებელი ორგანოების დემოკრატიული მოწყობა საშუალებას აძლევს მთავრობას გაატაროს ისეთი პოლიტიკა, რომ არავითარი ყურადღება არ მიაქციოს იმას, თუ როგორ იმოქმედებს იგი მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების კეთილდღეობასა და მათ შორის სოციალურ-ეკონომიკურ განსხვავებაზე.

მართლაც, APB(ცხრ.15.1) უპირატესობა სახელმწიფო გადაწყვეტილების ნაწილად იმითომ იქცა, რომ უპასუხებდა ფრაქციების მიერ წარმოშობილი X და Z საპარლამენტო კოალიციის ინტერესებს. რით ხელმძღვანელობდა გამომსვლელი Y დაჯგუფების საწინააღმდეგოდ? ალბათ, იმით, რომ ასეთმა გადაწყვეტილებამ შესაძლებელია ზარალი მიაყენოს სოციალურ ჯგუფებს ან ტერიტორიებს, რომელსაც იგი წარმოადგენს პარლამენტში. გამოდის, რომ ვინც X+Z კოალიციის წარმომადგენლები გაგზავნა კანონმდებელ ორგანოებში, რომელთაც მიაღწიეს APB გადაწყვეტილების მიღებას, თავის კეთილდღეობას ზრდის დამარცხებული უმცირესობის ხარჯზე. იცვლება საზოგადოებრივი სიმდიდრის სტრუქტურა. წარმოიშობა გადანაწილებითი ეფექტი, დადებითი – გამარჯვებულებისათვის და უარყოფითი –

---

\* Arrow K. Values and collective decision-making / Philosophy and economic theory : Oxford, 1979, p.122.

დამარცხებულებისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ დიდ ეკონომიკურ პოტენციალს, რასაც სახელმწიფო განაგებს და მის მარეგულირებელ შესაძლებლობებს, მაშინ ცხადი ხდება, რომ ასეთი ეფექტების ძალა შესაძლებელია მეტად მნიშვნელოვანი იყოს. დიდი იქნება წაგებულთა დანაკარგებიც. დემოკრატიული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, როგორც ჩანს, ისეთია, რომ აძლიერებს უთანაბრობას, ამრავლებს უსამართლობას, რაც უიმისოდაც დამახასიათებელია შემოსავლების საბაზრო განაწილებისათვის. და, საერთოდ, რომ ვთქვათ, აქ შეუძლებელია რაიმეს შეცვლა.

შენიშნავთ, რომ გამანაწილებელი ეფექტები მაშინაც კი ჩნდება, როდესაც პოლიტიკური გადაწყვეტილებები ხელს უწყობს მთელი საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას. მოვიტანოთ პირობითი მაგალითი. დაეუშვათ, X, Y, Z გამოხატავენ არა პარლამენტის ფრაქციებს, არამედ მათ უკან მდგომ სოციალურ ერთობებს, ადამიანთა დიდ ჯგუფებს. ჩათვალოთ, რომ კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებამდე მათი შემოსავლების ოდენობა ერთნაირი იყო და უდრიდა 1000 ფულად ერთეულს. მას შემდეგ, რაც APB ტიპის გადაწყვეტილება შესრულებულ ფაქტად იქცა, X და Z ჯგუფების ფულადი შემოსავლები გაიზარდა, ვთქვათ, თითოეულისათვის 500 ერთეულით. იმდენივე აღმოჩნდა მიყენებული ზარალი Y ჯგუფისათვის. საზოგადოების კეთილდღეობა გაიზარდა 3000-დან 3500 ერთეულამდე. მაგრამ ამასთან ერთად გაიზარდა უთანაბრობა განაწილებაში.\* საკირო არ არის, საგანგებოდ დავამტკიცოთ, რომ გამანაწილებელი ეფექტები იმ შემთხვევაში იჩენს თავს, თუ საზოგადოებრივი კეთილდღეობა რჩება უცვლელი (საპარლამენტო ბრძოლაში გამარჯვებულთა უმრავლესობის შენაძენი უმცირესობის დანაკარგების ტოლია).

ყველივე ეს გვიბიძგებს იმ აზრისაკენ, რომ უკეთესი იქნებოდა. პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება მხოლოდ კონსენსუსის საფუძველზე. როდესაც ყველა პასუხისმგებლობით აძლევს თანხმობის ხმას, ზარალი შეუძლებელი ხდება და ყველი მონაწილე სამართლიანად ვარაუდობს მოგების საკუთარ წილს. გამანაწილებელი ეფექტები გაცილებით სუსტად იგრძნობა, თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავთ, საბოლოოდ არ ისპობა. აკი მითითებული წილი და, მაშასადამე, ის სიჩქარე, რითაც იზრდება ცალკეული სოციალური ჯგუფების

---

\* იგი შეიძლება გაიზომოს ჩვენთვის უცვლელი ცნობილი ჭინის კოეფიციენტის ფორმულის (10-5) გამოყენებით.

კეთილდღეობა, სულაც არ არის ერთნაირი. გამოდის, რომ ერთმანდ ხმის მიცემისას აბსოლუტური დანაკარგები გამოირიცხულია, შეფარდებითი კი – სავესებით შესაძლებელი. ერთსულოვანი გადაწყვეტილებები, რომელიც მიიღება ხმის უმრავლესობით, რასაკვირველია, უფრო ღირსეულია, ვიდრე დემოკრატიული, მაგრამ განსაკუთრებულ შემთხვევაში, როცა საკითხი ეხება ყველა ტერიტორიული წარმონაქმნის, სოციალური ჯგუფისა და პოლიტიკური ძალის მსხვილ სახალხომეურნეობრივ პრობლემებს, მიღწეული უნდა იქნეს სწორედ კონსენსუსი. ამასთან, სავესებით ნათელია, რომ ამ პრინციპის ფართოდ გავრცელება პარლამენტის დაშლას უფრო ხშირ მოვლენად გახდიდა. რასაკვირველია, საქმე აშკარად არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ხმის მიმცემი პარადოქსის გამომწვევი უპირატესობების შეჯახებით.

ამრიგად, ის დემოკრატიული მექანიზმები, რომლებიც ემყარება ერთსულოვნების იდეას დაბალი პრაქტიკული მნიშვნელობით, უვარგისია თავისი გამანაწილებელი ეფექტებით. შესაძლებელია თუ არა ძირითადად ისეთი ვარიანტი, რომლის დროსაც აღმოიფხვრებოდა ხმის უმრავლესობით გადაწყვეტილების მიღების მანკიერებანი და იმავდროულად საჭირო არ იქნებოდა კონსენსუსი? დიახ, მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში იგი ცნობილია. კოლექტიური შერჩევით არჩევნების ასეთი წესი ემყარება XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისის გამოჩენილი იტალიელი ეკონომისტის ვ.პარეტოს გამოკვლევებს. ამ მეცნიერის თეორიული შემეკიდრეობა მეტად მრავალმხრივია. ჩვენ მხოლოდ მცირე ფრაგმენტი გამოვყავით, რომელიც პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას – პარეტოს ოპტიმუმს და მის მიერ დამუშავებულ საზოგადოებრივი კეთილდღეობის კრიტერიუმს ეხება.


პარეტოს აზრით, საზოგადოების კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, ხოლო რესურსების განაწილება ოპტიმალური ხდება მაშინ, როდესაც ამ განაწილების ნებისმიერ ცვლილებას შეუძლია გააუარესოს ეკონომიკური სისტემის თუნდაც მხოლოდ ერთი სუბიექტის კეთილდღეობა.\* სხვა სიტყვებით, პარეტოს მიხედვით, ოპტიმალურ სიტუაციაში არ შეიძლება ეკონომიკური პროცესის ნებისმიერი

---

\* ყურადღებიანი მკითხველი ალბათ, ყურადღებას მიაქცევს იმას, რომ პარეტოს ოპტიმუმის ფორმულას აქვს ბევრი საერთო მეხუთე ლექციაში მოხსენიებულ პონსის მეორე კანონის აღწერილობასთან. ეკონომიკური აზრის ისტორიულ სივრცეში შესაძლოა ვიპოვოთ ბევრი ასეთი ხაზი და კონტაქტი. მეშეკიდრეობითობამ, შედეგების თანდათანობითა დაკარგვებამ, ანალიტიკური აპარატის სრულყოფამ – სწორედ მათ მისცეს მსოფლიოს ეკონომიკურ მეცნიერებას თავის დღევანდელ დონემდე ამაღლების საშუალება.



მონაწილის მდგომარეობის გაუმჯობესება, თუ ერთდროულად არ შემცირდა დანარჩენთაგან როგორც მინიმუმ ერთის კეთილდღეობა. მოძრაობა ოპტიუმის მიმართულებით შესაძლებელია რესურსების ისეთი გადაადგილებით, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში ზრდის ერთი ადამიანის კეთილდღეობას მაინც ისე, რომ არ მიაყენოს ზარალი სხვას. ესაა სწორედ საზოგადოებრივი კეთილდღეობის კრიტერიუმი.\*



ნახ. 15.1

განვიხილოთ პოლიტიკური გადაწყვეტილებების ძიების ოპტიმალური შედეგში პარეტოს მიხედვით (ნახ. 15.1).

დავუშვათ, არსებობს ორი სოციალური ჯგუფი ( $x$  და  $y$ ), რომლებიც აპირებენ ერთობლივი ძალებით, პოლიტიკური პროცესის საშუალებით გააუმჯობესონ თავიანთი კეთილდღეობა ისე, რომ არ მიაყენონ ერთმანეთს ზარალი, არ გამოიწვიონ უარყოფითი განაწილებითი ეფექტები.

ვივარაუდოთ, რომ ყველ კოალიციას გადაწყვეტილი აქვს თავისი კეთილდღეობა ამაღლოს მაქსიმალური შესაძლებლობის დონემდე, ამასთან, კანონმდებელ ორგანოებში მათი ინტერესები ადეკვატურად წარმოადგინონ საკმაოდ გულენიანმა საპარლამენტო ფრაქციებმა.  $x_0$  და  $y_0$ -აღნიშნით მომენტისათვის დამახასიათებელი კეთილდღეობის დონის საწყისად, როდესაც კოლექტიური გადაწყვეტილების მიღება ჯერ არ დაწყებულა. დავუშვათ,  $TT'$  არის სოციალური შესაძლებლობების მრუდი (განსაზღვრული, მაგალითად, ყველა სახის რესურსის შეზღუდულობით), რომლის საზღვრებს იქით გამორიცხულია კეთილდღეობის ნებისმიერი კომბინაცია.

\* როგორც ეროუს თეორემა აღნიშნული დებულებებიც ატარებენ მეტად ზოგად ხასიათს და გამოსადეგია როგორც პოლიტიკური, ისე სხვა მრავალი გადაწყვეტილების ასახსნელად.

მაშინ ASS' ნაწილს, პარეტოს თვალსაზრისით, შესაძლებელია დასაშვები პოლიტიკური გადაწყვეტილებების ზონა ვუწოდოთ. მართლაც, ნებისმიერი გადაწყვეტილება, გამოწვეული, მაგალითად, კეთილდღეობის გაუმჯობესებით AS და AS' ღერძების გასწვრივ, პასუხობენ პარეტოს კრიტერიუმს, რადგანაც აუმჯობესებენ ერთი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობას, სხვების კეთილდღეობას კი უცვლელად ტოვებენ. უფრო მიმზიდველია პოლიტიკური ვარიანტი, რომლის შედეგად ასახავს ზონის შიგნით არსებულ D წერტილის შესაძლებელ ვარიანტს. ამ შემთხვევაში უმჯობესდება X-ის და Y-ის მდგომარეობა. მაგრამ B და C წერტილებით აღნიშნული გადაწყვეტილება მიუღებელია, რადგანაც იწვევს, სულ მცირე, ერთი ჯგუფის წარმომადგენლების კეთილდღეობის შემცირებას, რაც პარეტოს კრიტერიუმს არ შეესაბამება.

როდესაც პოლიტიკური პროცესი ვითარდება ხან ერთი, ხან მეორე ჯგუფის ინტერესების დაკმაყოფილების, ან ორივეს კეთილდღეობის ამაღლების მიმართულებით, მაშინ, ბოლოს და ბოლოს მიიღწევა შესაძლებელი ზღვარი, პარეტოს ოპტიმუმი. თუმცა, ცხადია, ასეთი ოპტიმუმი საკმარისზე მეტია: TT' მრუდის SS' მონაკვეთის ნებისმიერი წერტილი შეესაბამება პარეტოს ოპტიმუმის შინაარსს. თუ მაგალითისათვის ავიღებთ S წერტილს, მაშინ ყოველგვარი გადაწყვეტილება, რომელიც იწვევს მრუდზე მოძრაობას მარცხნივ, აღნიშნავს X კოალიციის მდგომარეობის გაუარესებას, Y - კოალიციის მარჯვნივ გადანაცვლებას, ეს კი, როგორც უკვე ვიცით, ეწინააღმდეგება პარეტოს ოპტიმუმის ცნებას.

წერტილების ერთობლიობას, რომელიც SS' მონაკვეთს მიეკუთვნება, პარეტოს სიმრავლეს უწოდებენ. როგორ შევარჩიოთ მისგან ერთი წყვილი X და Y-ის მნიშვნელობით, რომელიც საუკეთესო პოლიტიკური გადაწყვეტილებისათვის იქნება დამახასიათებელი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია. რასაკვირველია, ყველაზე კარგია, როცა ყველ სოციალურ ჯგუფს აქვს საკუთარი, სხვებისაგან იზოლირებული, ჩამოყალიბებული წარმოდგენა, თუ რისკენ მიისწრაფვის იგი. დავუშვათ, რომ პირველი ჯგუფის ინტერესების გამომხატველია საპარლამენტო ფრაქცია, რომელიც თავის ამოცანას ხედავს მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებაში სულ ცოტა X<sub>1</sub> დონემდე, მეორე ჯგუფისათვის ანალოგიური მაჩვენებელი კი უდრის Y<sub>1</sub>, მაშინ პარეტოს სიმრავლე "იკუმშება" NN' მონაკვეთის კუთვნილი წერტილების რაოდენობამდე. ერთდროულად იკუმშება დასაშვები გადაწყვეტილებების არე - AENN'F-მდე. ჩნდება FSN და FN'S' არასასურველი ზონები. მათთან დაკავშირებულმა ნებისმიერმა

გადაწყვეტილებამ შემდგომ შესაძლებელია გამოიწვიოს მოძრაობა SN და N'S' მონაკვეთების მიმართულებით. რამდენადაც ორივე მონაკვეთს წერტილები აერთიანებენ, რომლებიც პარეტოს სიმრავლეს მიეკუთვნებიან, გამორიცხულია ყოველგვარი შემდგომი გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა მიღწეულ იქნეს კეთილდღეობის ის პარამეტრები, რომლებიც NN' მონაკვეთის შიგნით იმყოფება.

მწელი არაა შეენიშნოთ, რომ სწორედ აქაა თავმოყრილი X და Y კოალიციების მაქსიმალურად შესაძლებელი დონეები. შეგახსენებთ, რომ მხოლოდ მათყენ მიისწრაფვიან ისინი. აღვნიშნოთ ისიც, რომ ორივე ჯგუფი უკიდურესად დაინტერესებულია კომპრომისების ძიებაში (აღნიშნული, დავუშვათ, Q წერტილით), რადგანაც ამის გაკეთება არც ერთ მათგანს არ შეუძლია (NN' მონაკვეთს მოახვედროს) ცალ-ცალკე. მართლაც, პარეტოს კრიტერიუმის განუხრელად დაცვის დროს X ჯგუფი თავისთვის საუკეთესო შედეგს S' წერტილში აღწევს. თუმცა ის პოლიტიკური ვარიანტი, რომელიც იდეალურია X-სათვის, Y ჯგუფისათვის აღმოჩნდება უარესი. ეს უკანასკნელი დაინტერესებულია თავისი კეთილდღეობის არა შენარჩუნებით არსებულ დონეზე, არამედ მაქსიმალურად გადიდებით. ცხადია, თუ განვიხილავთ Y ჯგუფის ქცევას და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას, რომელიც S წერტილს ასახავს, სიტუაცია წინააღმდეგობრივად ყალიბდება. ინტერესების ერთობლივი ოპტიმიზაცია შესაძლებელია ალბათ მხოლოდ NN' მონაკვეთში და მის განსახორციელებლად თუ როგორ მოიქცეს, ორივე კოალიციას მართებს დაფიქრება.

ახლა შევეცადოთ შევუპირისპიროთ პარეტოს კრიტერიუმზე დამყარებული გადაწყვეტილება საპარლამენტო დემოკრატიის მექანიზმს. მაშინვე თვალში გვეცემა მისი საკმარისად მაღალი სიმკაცრე, თუმცა, რასაკვირველია, არა იმდენად დიდი, როგორც იმ სისტემისათვის არის დამახასიათებელი, რომელიც კონსენსუსის პრინციპზეა აგებული. პარეტოს კრიტერიუმის გამოყენება, რომელიც გამორიცხავს ზარალს, ავტომატურად ხსნის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, თუ მასზე ხმის მიცემისას ვინმე იქნება წინააღმდეგი. ამასთან, არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სისტემა მთლიანად უარყოფს დემოკრატიულ პროცედურას: პოლიტიკური პროცესის მხოლოდ ერთმა მონაწილემ რომ დადებითად შეაფასოს გადაწყვეტილების პროექტი, ხოლო დანარჩენებმა – თავი შეიკავონ. იგი დაუყოვნებლივ გადაიქცევა ვარიანტად, რომელიც პარეტოს კრიტერიუმს უპასუხებს, და უნდა მიიღონ. სხვანაირად რომ ვთქვათ, პარეტოს მიხედვით კორექტირებულ დემოკრატიულ მექანიზმს გაივლის ის გადაწყვეტილებები,

რომლებსაც ვიდაციისთვის მოაქვს სარგებლობა და არაეის არ აყენებს ზიანს, ჰპირდება ნაწილობრივ სარგებლობას და გამორიცხავს თუნდაც მცირეოდენ დანაკარგს. პოლიტიკურ პრაქტიკაში ხმის მიცემის მსგავსი შედეგები (ვუწოდოთ მას ზომიერი ერთსულოვნება) შესაძლებელია მაშინ იყოს საჭირო, როდესაც იღებენ საკმაოდ სერიოზულ, გრძელვადიან გადაწყვეტილებებს, თუნდაც ნაკლებად მნიშვნელოვანს, ვიდრე ისეთებს, რომლებიც კონსენსუსს მოითხოვს.

პარეტოს კრიტერიუმს სავსებით შეესაბამება არასაპარლამენტო გადაწყვეტილება, რომელიც უმეტესწილად მთავრობის კომპეტენციას მიეკუთვნება. მაგალითად, შეიძლება გამოდგეს თუნდაც საგარეო ეფექტების რეგულირება, რომელსაც ჩვენ, ჯერ კიდევ პირველ ლექციაში შევეხეთ. იქ, კერძოდ, აღწერილი იყო სიტუაცია (საკმაოდ სარწმუნო), როდესაც მთავრობა ფინანსურ სანქციებს წარუდგენს საწარმოებს, რომელთაც განზრახული აქვთ ეკოლოგიურად საშიში წარმოების წამოწყება. შემდეგ ორგანიზაციას უწევს ამოგებული სახსრების საბიუჯეტო გადანაწილებას იმათ სასარგებლოდ, ვინც გარემოს დაქუქვანებით დაზარალდა. ბიზნესისათვის ასეთი სახის გამოსაღები არსებითად არ წარმოადგენს დანაკარგს: მთავრობა უბრალოდ აიძულებს მას, ბოლოს და ბოლოს გადაიხადოს ბუნებრივი რესურსების უკონტროლო ექსპლუატაციის შედეგად მიღებული სარგებლობისათვის. მეწარმეებს ფაქტობრივად აიძულებენ იყიდონ ის, რასაც ადრე იღებდნენ უფასოდ. საბიუჯეტო ინექციების მიმღებები, ბუნებრივია, საკუთარი შემოსავლების გაზრდით ლებულობენ მოგებას. გამოდის, რომ მთავრობის მოქმედების შედეგად უნდა ამაღლდეს ერთი სოციალური ჯგუფის კეთილდღეობა, სხვისი დარჩეს უცვლელად, რაც პარეტოს კრიტერიუმს ეთანხმება.

როგორც ჩანს, პარეტოს კრიტერიუმს აქვს არა მარტო უადრესად თეორიული, არამედ გარკვეული პრაქტიკული ღირებულება. და მაინც, ეკონომისტები არ აკლებენ ცდას — სრულყოფნ, უფრო მოქნილი გახადონ იგი, რათა უკეთესად მოერგოს საპარლამენტო დემოკრატიის მექანიზმს. ამ სახის მცდელობათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია ჯ.პიკისა და მეორე ინგლისელი ეკონომისტის ნ.კალდორის გადაწყვეტილების მიღების შემუშავების კრიტერიუმი. ამის შესაბამისად, იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც პარეტოს კრიტერიუმს აკმაყოფილებს, შესაძლებელია დაემატოს სხვებიც — ხმის უმრავლესობით მიღებული პოლარულად განსხვავებული შეხედულებები. მაგრამ არა ყველა, არამედ მხოლოდ ისინი, რომლებიც იწვევს გამარჯვებული უმრავლესობის კეთილდღეობის ისეთ ზრდას, რომელიც სიდიდით წაგებული უმცირესობის დანაკარგებს აღემატება.


წარმოშობილი განსხვავება საკმაოდ საგრძნობი უნდა იყოს. მისი ეროლი ნაწილი ხომ უმრავლესობის ჯილდოა, და რაც უფრო დიდია იგი, მით უფრო აქტიურად იბრძობებენ შესაბამისი საპარლამენტო დაჯგუფებები ამ გადაწყვეტილების მისაღებად. მეორე ნაწილი განეკუთვნება უმცირესობას დანაკარგების ნაწილობრივი კომპენსაციის სახით. უნდა აღინიშნოს, რომ კალდორ-პიკის კრიტერიუმში პოლიტიკური გადაწყვეტილების შემუშავების მიღების პრინციპი არც თუ შორსაა იმისგან, რაც სინამდვილეში ხდება. თუ, მაგალითად, ხელსაყრელი სახელმწიფო დაკვეთის გავრცელება რომელიმე შტატში ან რესპუბლიკაში აუშკობესებს იქ მცხოვრები ადამიანების კეთილდღეობას, ასეთ გადაწყვეტილებას თან სდევს რეგიონული რეგულირება, შემოსავლების გადანაწილება და სხვა სოციალური ამორტიზატორების ჩართვა.

სახელმწიფოს პრიორიტეტებზე მრავალი ფაქტორის ანალიზისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ კონიუნქტურული შიდაპოლიტიკური გარემოებები. რეალობა ასეთია: როდესაც მთავრობა ცვლის მიზნებს, ამოქმედებს ამა თუ იმ ეკონომიკურ რეგულატორს, ზემოქმედებს მოსახლეობის ცხოვრების დონეზე. ამასთან ერთად ზრუნავს, რათა თავის მხარეზე გადახაროს საზოგადოებრივი აზრი, მიიღოს ამომრჩეველთა მხარდაჭერა, მმართველი პარტიის ძალაუფლება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამოკვლეულ იქნეს მტკიცე ურთიერთქმედითი კავშირები, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პოპულარობის ინდექსის მერყობასა და არჩევნებს და, მეორე მხრივ, პაქროკონომიკურ მაჩვენებელთა იმ დინამიკას შორის, რომელიც პოლიტიკის მიზანსა და ბერკეტებს ახასიათებს. ამჟამად ძალიან სწრაფად ვითარდება მათი კელევა ეკონომიკური თეორიის თანამედროვე აპარატის, მათემატიკური სტატისტიკისა და სოციოლოგიის გამოყენებით. საესებით შესაძლებელია, ჩვენ თვალწინ დაიბადოს საზოგადოებრივი მეცნიერების ახალი და ფრიად პერსპექტიული მიმდინარეობა.

დასაუღეთის ანალიტიკოსებმა შეძლეს რეგისტრაციაში გაეტარებინათ ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრული ფორმების საკმაოდ სტაბილური მონაცვლეობა (მას ეკონომიკურ-პოლიტიკური ციკლი უწოდეს, – *political business cycle*), რომელიც განპირაქებულია მთავრობის რეიტინგის მოძრაობით, ასევე იმით, თუ რა სტადიაზეა ბრძოლა პოლიტიკური ხელისუფლებისათვის. მაგალითად, არჩევნების შემდეგ პირველი თვეები ჩვეულებრივ აღინიშნება ეკონომიკაში საბიუჯეტო ასიგნაციების, ფულადი შეზღუდვების შემოღებით, სახელმწიფო აპარატის გადახალისებით და სხვ. ეს განსაკუთრებით ხშირად იმ სიტუაციაში ხდება, როდესაც იმარჯვებს ის პარტია, რომელიც ადრე ოპოზიციაში

იყო. მსგავსი ქმედების მიზეზი წინასაარჩევნო ბრძოლის ძლიერი ინერციაა, რომლის დროსაც პოლიტიკური ხელისუფლებისათვის მებრძოლი ძალები, როგორც წესი, ქულებს აგროვებენ მმართველი ადმინისტრაციის დადანაშაულებით მფლანგველობასა და მართვის უცოდინარობაში. სანამ ის შენარჩუნებულია, ახალი ხელისუფლება იმყოფება წინასაარჩევნო დაპირებების ტყეობაში, ეცდება წაშალოს მათი ცოდვები (ნამდვილი და მოჩვენებითი), ვინც გადადგა. როგორც ჩანს, ასეთი გადაწყვეტილებები აუცილებლად აისახება ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირების მიზნებსა და ბერკეტებზე.

სულ სხვანაირად ვითარდება მდგომარეობა არჩევნების წინ, ცდილობენ რა, შექმნან თავისთვის ხელსაყრელი პოლიტიკური ატმოსფერო, მოქმედი მთავრობები ხშირად მიმართავენ საგადასახადო განაკვეთების შემცირებას, ზრდიან ხარჯებს სოციალური ღონისძიებებისათვის, იყენებენ ეკონომიკის რეგულირების ინფლაციურ საშუალებებს, რომელიც მიმართულია უმუშევრობის დროებითი შემცირებისაკენ. ანალოგიური ღონისძიებები ტარდება საარჩევნო ციკლის განმავლობაშიც, როდესაც მთავრობის პოპულარობის ინდექსი დაიწევს "გადარჩენის ნიშნულს" ქვემოთ. მასში იგულისხმება მოსახლეობის მხარდაჭერის მინიმალური დონე, რომელიც საზოგადოებრივი აზრის პერიოდული გამოკითხვის საფუძველზე განისაზღვრება და უზრუნველყოფს (გასული წლების გამოცდილების მიხედვით) მმართველი პარტიის წარმატებას უახლოეს არჩევნებზე.



ნახ. 15.2.

თუ, მაგალითად, ავიღებთ ამერიკის უკანასკნელი ათწლეულების პოლიტიკურ პრაქტიკას, მაშინ ეს ინდიკატორი ჩვეულებრივ 51-52%-ს უტოლდება. (გელაპის ინსტიტუტის ყოველთვიური შეფასებით აშშ-ის იმ მოქალაქეთა ხვედრითი წილი, რომლებიც გამოკითხულთა საერთო რაოდენობაში იწონებენ პრეზიდენტის საქმიანობას).\*

ეკონომიკურ-პოლიტიკური ციკლის პირობით საილუსტრაციოდ

\* Devine D.Reagan electionomics,Ottawa (ill), 1983, p.104.

შეიძლება გამოდგეს 15.2 ნახაზზე მოტანილი მრუდი (A - მთავრობის ეკონომიკური აქტიურობის ამსახველი მაჩვენებელი).

დაევშეთ, ს. აღნიშნავს ს.ერთოეროვნული არჩევნების ჩატარების მომენტს. მისი დამთავრების შემდეგ იწყება შეზღუდული ეკონომიკური პოლიტიკის პერიოდი. იგი ს-მდე გრძელდება, როდესაც მთავრობამ უნდა იზრუნოს იმაზე, როგორ ჩაატაროს მორიგი არჩევნები. ეს საესებით გამართლებულია, რადგანაც ეკონომიკური პოლიტიკის ბერკეტები მაშინვე კი არ ამოკმედდება, არამედ - დაგვიანებით. მთავრობა შედის თავისი საქმიანობის (ს<sub>ტ</sub>) ექსპანსიურ პერიოდში, რომელიც არსებითად მისი მომავლის ბედს წყვეტს. თვით არჩევნების წინ შეიმჩნევა შეფარდებითი პოლიტიკური სიწყნარე (ს<sub>ტ</sub>); მთავრობამ ყველაფერი გააკეთა, რაც შეიძლებოდა, და შეშფოთებულია არა იმდენად ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტით, რამდენადაც ელექტორატზე ზეგავლენის სხვადასხვა საშუალების მოძიებით, რომელიც არჩევნებში გამარჯვების შესაძლებლობას მისცემს.

მთავრობა წინდახედულად და შორსმკვრეტელურად იქცევა, როცა პოპულარობის ინდექსის დინამიკაზე ახორციელებს ყოველდღიურ კონტროლს, დროულად ღებულობს ღონისძიებებს მისი ამალებისა და სტაბილიზაციისათვის. თუ ვიმსჯელებთ მყარი საბაზრო და დემოკრატიული ტრადიციების მქონე ქვეყნების გამოცდილების მიხედვით, ხალხთა ყოველგვარი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება აუცილებლივ მოქმედებს პოლიტიკური ხელისუფლების ავტორიტეტზე. მისი ღონის ისევ ამალება, საზოგადოებრივი აზრის გარდატეხა, ძალიან ძნელია, ზოგჯერ - შეუძლებელიც. მაგალითად, როდესაც 1981-1982 წლებში აშშ-ის ეკონომიკა დაეცა, პრეზიდენტ რ. რეიგანის პოპულარობის ინდექსმა განუხრელად იწყა დაქვეითება, გელაპის მიხედვით, 1983 წლის იანვრისათვის იგი 35%-მდე დაეცა." ამერიკის იმდროინდელ ადმინისტრაციას ცოტა შრომა როდი დასჭირდა იმისათვის, რომ მდგომარეობა გამოესწორებინა, მიელწია თავისი საქმიანობის შეფასების სტაბილურად მაღალი ღონისათვის. როგორც ეკონომიკური გაანგარიშებები გვიჩვენებს, სწორედ 1983-1984 წლებში საბიუჯეტო ხარჯების შესახებ რეიგანის მთავრობის გადაწყვეტილებებში შეიმჩნევა საერთოდ მისთვის უცხო პირფერობის მოტივები - ელექტორატთან ერთობლივი მოთხოვნისა და დასაქმების მოკლევადიანი რეგულირების მცდელობა, მისწრაფება, რამდენადმე შეასუსტოს უთანაბრობა შემოსავლებში.\*\*

\* Gallup report. Princeton, 1985, N240, p.4.

\*\* Beck M. Public expenditure, relative prices and resource allocation // Public finance, Hague, 1985, vol 40, N1, p.27.

ადმინისტრაციამ იცოდა, რას აკეთებდა: ომის შემდგომ წლებში ყოველი ოთხი ამერიკელისაგან სამმა, რომლებმაც მოიწონეს პრეზიდენტის ხაზი საზოგადოებრივი გამოკითხვის დროს, შემდეგში ხმა მისცეს მას ან მის მიერ წარმოდგენილ პარტიას, მორიგ არჩევნებში მასთან ერთად გამოკითხვაში მონაწილე ყოველი ათიდან ცხრამ, რომლებიც პრეზიდენტის პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, საბოლოო შედეგში მხარი დაუჭირა ოპოზიციური პარტიის კანდიდატს. როგორ შევაფასოთ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ეს მხარე, სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა და კონსტიტუციურულ განაგარიშებათა დარგში გადაწყვეტილებათა აშკარად გამონათქვამი ურთიერთდამოკიდებულება? რასაკვირველია, აქ შეიმჩნევა პოლიტიკანობის გამოვლინება. თუ საკითხს მკაცრად, უაღრესად თეორიულად მივუდგებით, მაშინ შეიძლება დაეამტკიცოთ: საზოგადოება სახელმწიფოს ანიჭებს მნიშვნელოვან მარეგულირებელ პოტენციალს არა იმიტომ, რომ იგი ვიწროპარტიული მიზნებისათვის იყოს გამოყენებული, მოუხდეს საარჩევნო ციკლებს შორის ბრძოლებს, ერთი სიტყვით, არადანიშნულების მიხედვით გამოიყენოს. თუმცა აშკარაა, რომ სინამდვილე იშვიათად თუ თავსდება თეორიის მკაცრ ფარგლებში. ძნელია, რასაკვირველია, წარმოვიდგინოთ მთავრობა, რომელიც, მაკროეკონომიკური ხასიათის სტრატეგიული ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად, შეძლებდა თავი შეეკავებინა ცდუნებისაგან, ცოტა წაემუშაებინა პარტიისათვის, რომელმაც იგი დააყენა აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში. ობიექტურად რომ ვთქვათ, აქაც არის გარკვეული პოზიტიური მომენტები. მართლაც, როდესაც მთავრობა ზურგს უკან მუდმივად გრძნობს ამომრჩევლების სუნთქვას, წარმოიშობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საზოგადოებრივი კონტროლის საკმაოდ ქმედითი ფორმა, რომელიც უკუქმედების პრინციპით მუშაობს. იგი ასეა მოწყობილი: იმისათვის, რომ გადარჩეს, შეინარჩუნოს მმართველი პარტიის ხელისუფლება, მთავრობამ უნდა მუდმივად მოახდინოს თავისი ეკონომიკური პოლიტიკის კორექტირება, არ დაუშვას მოსახლეობის ცხოვრების დონის შესამჩნევი დაცემა.

ამ პრობლემების გამოკვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა უდავოა. იმიტომ არ არის გასაკვირი, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური ციკლის სპეციალისტები ან უშუალოდ შედიან აშშ-ის პრეზიდენტის ეკონომისტ-კონსულტანტების საბჭოში, ან თანამშრომლობენ მასთან რეგულარულ საფუძველზე. ალბათ, ასეთი საკვლევი-საძიებო სამუშაოები ოდესღაც ესოდენ ავტორიტეტული და სასარგებლო გახდება ჩვენს ქვეყანაშიც. ამასთან, არ ღირს მათი მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება. თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებას ჯერ არ ძალუძს მისცეს



პოლიტიკოსებს სრულყოფილი რეკომენდაციები, რომელნიც შეძლებდნენ აბსოლუტური სიზუსტით განესაზღვრათ ცვლილებები საზოგადოების აზრის მერყეობაში და ემართათ იგი ხმის მიცემის შედეგების წინასწარი განჭკვრეტით. მას რამდენიმე მიზეზი აქვს.

მთავრობის მიმდინარე რეიტინგის ჩამოყალიბება, ეროვნული არჩევნების პროცედურა, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნობრივი ფუნქციებისა და ვარიანტების შემუშავება იმდენად რთულია და მრავალმხრივი, რომ ძნელია მათში გარკვევა მხოლოდ და მხოლოდ დინამიკური რიგების უბრალო შედარებით, სადაც ფიგურირებს, ვთქვათ, პოპულარობის ინდექსი და უმუშევრობის დონე. ინგლისში, მაგალითად, ეკონომიკური ციკლის ნიშნები საერთოდ შეუმჩნეველია: მმართველი პარტიები, რომელთა პოლიტიკა არჩევნების წინ ხელს უწყობდა ინფლაციისა და უმუშევრობის ზრდას, ხშირად იმარჯვებდნენ არჩევნებში და, პირიქით,\* როგორც ჩანს, დიდი ძალით მუშაობდა სხვა, არაეკონომიკური ფაქტორები.

როგორც სხვათა ანალიზისას, რომელიც ჩვენთვის წინა ლექციებიდანაა ცნობილი, მაკროეკონომიკური პოლიტიკის პრობლემების შეფასების სიზუსტეს ამცირებს შესწავლილი ცვლადების აგრეგირების ძალიან მაღალი დონე. მართლაც, დიასახლისის პოლიტიკურ სიმპათიებზე, მის შეხედულებებზე მთავრობის საქმიანობის შესახებ გავლენას ახდენს არა ინფლაციის საშუალო წლიური ტემპი, არამედ საცალო ფასების ცვლილება უახლოეს მაღაზიებში. მას, ვინც უმუშევარი დარჩა, საერთო ეროვნული დასაქმების მაჩვენებელი კი არ აინტერესებს, არამედ ვაკანსიების არსებობა თავის მშობლიურ ქალაქში, ოლქსა თუ შტატში; საბირჟო ბროკერისათვის არსებითია არა ეკონომიკური ზრდის ტემპი, არამედ, დავუშვათ, დოუ გონსის ინდექსი და ა.შ. რამდენადაც საბაზრო მეურნეობის სტრუქტურული შეუხამებლობა პერიოდულად ფრიად შთამაგონებელ საზღვრებს აღწევს, უმუშევრობა და ინფლაციის საშუალო წლიური მაჩვენებლების დაქვეითებას, ეკონომიკური ზრდის დაჩქარებას საესებით შესაძლებელია სდევდეს ფასების ზრდა, წარმოებისა და უმუშევრობის დაცემა ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში. თუ ამომრჩევლები ეკონომიკური სიტუაციის ადევკატურად მოახდენენ რეაგირებას, არ არის გამორიცხული, რომ მთავრობის რეიტინგის ცვალებადობა და არჩევნების შედეგები პოლიტიკოსების მოლოდინის საწინააღმდეგო იყოს.

გამოდის, რომ უკიდურესად რთულია, დამაჩერებელი შეფასება მიეცეს დროის ფაქტორს; თუმცა, გასაგებია, რომ სწორედ მას უჭირავს

---

\* Models of political economy. London, 1980, p.96.

განმსაზღვრელი როლი პოლიტიკური კონიუნქტურის პროგნოზირებაში. თუ ხმის მიცემამდე დიდი ხნით ადრე ამოქმედდება მთავრობის განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რეგულატორები, რიგითი ამომრჩეველი, ნაადრევად იგრძნობს რა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არჩევნებამდე დაივიწყებს უფრო ადრინდელ, თუნდაც უკეთეს მდგომარეობას. ასევე ცოტაა იმ ძალისხმევის სარგებლობა, რომლის ეფექტი თავს იჩენს, ვთქვათ, ერთი თვის შემდეგ არჩევნებიდან. მაშინ, როგორც ამბობენ, მატარებელი უკვე გასულია.

განვითარებული ქვეყნების პოლიტიკურმა ისტორიამ არც თუ ცოტა გაცრუება იცის, რაც მსგავს გაუთვალისწინებლობასთან არის დაკავშირებული. დამახასიათებელია აშშ-ის მაგალითი, სადაც პოლიტიკური სისტემა საესეებით სტაბილურია, ხოლო ორი ძირითადი პარტიის ეკონომიკური ორიენტაციები დიდი ხანია ცნობილია: დემოკრატების მთავრობა, რომელსაც ტრადიციულად პროფკავშირები უჭერენ მხარს, უპირატესობას ანიჭებს დასაქმების პრობლემას, როდესაც რესპუბლიკელების ადმინისტრაცია, როგორც წესი, პირველი რიგის ამოცანად თვლის კონტროლის დაწესებას ინფლაციაზე. ერთი შეხედვით ძნელი არ არის ელექტორატის ქცევის ეკონომიკური მოტივის განსაზღვრა. თუ არჩევნების წინა პერიოდში მალაღია უმუშევრობა, მაშინ, შესაძლებელია ველოდეთ, რომ ამომრჩეველთა სიმპათიები დემოკრატების მხარეს იქნება. ინფლაციის გაძლიერება კი, ალბათ, რესპუბლიკელების წისქვილზე დაასხამს წყალს.

ეს ეკონომიკური ლოგიკა არაერთხელ ყოფილა შიდაპოლიტიკური წინააღმდეგობების ფაქტორი. მაგრამ ხშირად ყველაფერი სხვაგვარად ხდებოდა. ცნობილია შემთხვევები, როდესაც დემოკრატიული მთავრობები, იყნებდნენ რა რეგულირების ინფლაციურ მეთოდებს, აღწევდნენ უმუშევრობის შედარებით დაბალ დონეს და ამას არჩევნებამდე ინარჩუნებდნენ, რაც შემობრუნდებოდა ხოლმე მათ წინააღმდეგ. ამორჩეველი ასწრებდა შეგუებოდა დასაქმების მაღალ დონეს და მიიჩნევდა რა უმუშევრობის პრობლემას უკვე გადაწყვეტილად, იმედებს ამყარებდა მათზე, ვისაც შესწევდა უნარი, დაეძლია ინფლაცია, კერძოდ კი, რესპუბლიკელებზე. გამოკვლევებმა დაგვანახა, რომ ელექტორატის უპირატესობის ასეთი გადანაცვლება იყო რამდენიმე რესპუბლიკური ადმინისტრაციის ხელისუფლების სათავეში მოსვლის ერთ-ერთი არსებითი ფაქტორი.

ჩვენ გავცანით პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების მხოლოდ ზოგიერთ ელემენტს. მას შემდეგ, რაც გადაწყვეტილება მიღებულია, იწყება მისი რეალიზაცია სახელმწიფოს ხელში არსებული რეგულირების ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდებით. ამაზე ლაპარაკი იქნება დასკვნით, მეოქვსმეტე ლექციაში.

სახელმწიფო რეპულირამის მეთოდები და  
ფორმები

*კლასიფიკაცია. ფულადი პოლიტიკა. გადასახადები. საბიუჯეტო ხარჯები, სახელმწიფო ვალების მართვა. ექსპორტის სტიმულირება. გადასახადები იმპორტზე და არასატარიფო ბარიერები. ექსპორტი, იმპორტი და სავალუტო კურსი. ცენტრალური ბანკის ოპერაციები სავალუტო ბაზარზე. სახელმწიფო და კაპიტალების მიგრაცია. ეკონომეტრიული, ექსპერტული და სცენარული პროგნოზირება. ეკონომიკის პროგრამირება.*

წინა ლექციებში განხილული მაგალითებიდან ნაჩვენები იყო, რომ თანამედროვე საბაზრო მეურნეობა რეგულირდება არაპირდაპირი (ეკონომიკური) და პირდაპირი (ადმინისტრაციული) მეთოდებით. ჭარბობენ უდავოდ, ეკონომიკური რეგულატორები. მოლიანად ისინი არადამანგრეველ ხასიათს ატარებენ, ამიტომ მოქნილად ერწყმიან საბაზრო სისტემას, საშუალებას აძლევენ მთავრობას, მოახდინოს იქ მიმდინარე პროცესებზე ქმედითი ზეგავლენა. ჩვენ დავინახეთ, რომ ეკონომიკური მეთოდების დახმარებით შესაძლებელია ინფლაციის დამუხრუჭება და სტაბილიზაცია, ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობისაქენ წინსვლის დაჩქარება, სახალხო მეურნეობრივი პრობლემების დამაკმაყოფილებლად გადაქრის გამონახვა. მართლაც, ეკონომიკური და ადმინისტრაციული მეთოდების გამოიჭენა საკმაოდ პირობითია. ნებისმიერი ეკონომიკური რეგულატორი თავის თავში ატარებს ადმინისტრირების ელემენტებს. თუნდაც იმიტომ, რომ კონტროლდება რომელიმე სახელმწიფო სამსახურის მიერ, რომელიც გადართავს მას შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შემდეგ. მაგალითად, ცნობილი ეკონომიკური მეთოდის – ბანკთაშორისი კრედიტის განაკვეთის გაუღენას ფულადი სისტემა მანამ ვერ იგრძნობს, სანამ მიღებული არ იქნება ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, ვთქვათ, მისი 5 ან 6%-მდე გადიღების შესახებ. თავის მხრივ, ყველ ადმინისტრაციულ რეგულატორში არის რაღაც ეკონომიკურიც იმ თვალსაზრისით, რომ ის არაპირდაპირი გზით აისახება სამეურნეო სისტემის სუბიექტების ქცევაში. დაეუშვათ, ფასებზე პირდაპირი კონტროლის გამოიჭენებისას სახელმწიფო მწარმოებლებისათვის ქმნის განსაკუთრებულ ეკონომიკურ რეჟიმს, აიძულებს მათ, გადასინჯონ

წარმოებრივი პროგრამები, ეძებონ კაპიტალდაბანდების დაფინანსების ახალი წყაროები და ა. შ. მომხმარებლებიც იძულებულნი არიან შეეგუონ მას – შეცვალონ მიმდინარე მოთხოვნის სტრუქტურა, ასევე, თანაფარდობა მის მოცულობასა და დანაზოვის თანხას შორის.

ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეთოდებს, როგორც ჩანს, აქვთ, რაღაც საერთო, ერთიანი ნიშნები, ამავე დროს, ისინი ურთიერთსაწინააღმდეგონიც არიან. ადმინისტრაციული მეთოდები არსებითად ზღუდავენ ეკონომიკურ არჩევანს, ზოგ შემთხვევაში კი ნულამდე დაყვით იგი. ცნობილია, რომ ასეთი რამ იქ ხდება, სადაც ადმინისტრირება სცილდება ეკონომიკურად დასაბუთებულ ფარგლებს, იძენს ტოტალურ ხასიათს, გადაიზრდება ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ სისტემაში. ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევაში არ იზღუდებიან, მაგალითად, მხოლოდ ფასების დაგეგმვით. კონტროლი საყოველთაო ხდება, მოიცავს წარმოების მოცულობას, მის სტრუქტურას, პროდუქციის სამომხმარებლო თვისებებს, ხარჯებს, ხელფასს, მოგებას და მის განაწილებას, კავშირს მიმწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის, ერთი სიტყვით, მთელ სამეურნეო პროცესს. ყალიბდება სისტემა, სადაც სახელმწიფო საწარმოს ზუსტად ისე ექცევა, როგორც მოსიყვარულე მამა ახალშობილ ბავშვს, როდესაც არ იცის, რა უნდა მას. კორნაის თვალსაზრისით, ყვავის უმაღლესი, მეოთხე ხარისხში აყვანილი პატერნალიზმი. ჩვენ თვალწინაა მისი ნეგატიური ეფექტების მთელი ჯამი.

ეკონომიკური მეთოდები არაფრით არ ზღუდავენ არჩევანის თავისუფლებას, ზოგჯერ აფართოებენ კიდევ მას. მართლაც, რას მოუტანს ყოველი მათგანი ეკონომიკური სისტემის ყოველ მონაწილეს? ყველაზე მეტად – დამატებით სტიმულებს, რომლის საფუძველზე სუბიექტებმა, შესაძლებელია მოახდინონ რეაგირება, ან არ მიაქციონ მას არავითარი ყურადღება, ნებისმიერ შემთხვევაში შეინარჩუნონ საბაზრო გადაწყვეტილების თავისუფლად მიღების უფლება. დავუშვათ, როცა, ეკონომიკის რეგულირებისათვის სახელმწიფო იყენებს სარგებლის განაკვეთს თავისი სავალო ვალდებულებების შესაბამისად, ფულადი შემოსავლის პატრონი ამაში მხოლოდ იმას ხედავს, რომ მისთვის ანაბრების სარგებლიანი მოთავსების დასაშვები ვარიანტების რაოდენობას (საბანკო ანაბარი, კერძო კორპორაციების ფასიანი ქაღალდების შექმნა, უძრავი ქონების შექმნა და ა. შ.) კიდევ ერთი მიემატა. აქ ყველაფერი დამოკიდებულია პოლიტიკური გადაწყვეტილებების ხარისხზე, სახელმწიფოს უნარზე, მიიზიდოს ანაბრის მფლობელი რეგულირების მიზნის მისაღწევად. რადგანაც ეკონომიკური რეგულატორები ჩვენ გვხვდებოდა მთელი

საღეკციო კურსის მანძილზე, ახლა დაგემაყოფილდეთ მხოლოდ მისი განზოგადებული დახასიათებით. გამოვყოთ ფულადი პოლიტიკა, რომლის ძირითადი ბერკეტები (სავალდებულო რეზერვების ხორმა, ბანკთაშორისი კრედიტების განაკვეთი, ცენტრალური ბანკის ოპერაცია სახელმწიფო ობლიგაციებით ფასიანი ქაღალდების ბაზაზე) საშუალებას აძლევს სახელმწიფოს, ღირსეულად დაუპირისპირდეს ინფლაციას, დაარეგულიროს სარგებლის განაკვეთები, ხოლო მათი საშუალებით – საინვესტიციო პროცესი, წარმოება და დასაქმება, საგრძნობი ზემოქმედება მოახდინოს აქციის კურსის მოძრაობაზე. ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო პოლიტიკის როლი, ურომლისოდაც შეუძლებელია ეკონომიკური ზრდის ეფექტიანი სტიმულირება და შემოსავლების გადანაწილების ორგანიზაცია.

(ამ ფუნქციებით არ ამოიწურება საგადასახადო პოლიტიკის მნიშვნელობა. ახლა იგი იმდენად გაფართოვდა, რომ უკვე, მართლაც ძნელია დავასახელოთ სახალხომეურნეობრივი პრობლემა, რომლის გადაწყვეტისთვისაც არ შეიძლებოდა მოგვემარჯებინა ესა თუ ის საგადასახადო რეგულატორი. ავიღოთ, თუნდაც, გადასახადისაგან შემოსავლების იმ ნაწილის განთავისუფლება, რომელიც იხარჯება არაკომერციული, კერძოდ, საქველმოქმედო მიზნებისათვის. ამ წესით ხორციელდება გადანაწილების კიდევ ერთი მოქმედი მექანიზმი, რომელიც ამსუბუქებს სახელმწიფოს მხრებზე არსებულ შემოსავლების განაწილების ტვირთს, აძლევს მას შესაძლებლობას, როგორც ამბობენ; თავისუფლად ამოისუნთქოს. უფრო გააზრებულად და ზუსტად განსაზღვროს გადანაწილების პროცესში თავისი ჩარევის საზღვრები და ფორმები. არც მდიდარი დონორები რჩებიან განაწილებულები. თუ გავითვალისწინებთ პროგრესული დაბეგვის გავრცელების სისტემას, მაშინ ქველმოქმედება ხდება არა მხოლოდ საზოგადოებრივად სასარგებლო, არამედ კომერციულად მიზანშეწონილიც. მოვიტანოთ სხვა სახის მაგალითიც – მცირე ბიზნესისა და საბაზრო კონკურენციის გზაზე ახლად დამდგარი საწარმოებისათვის საგრძნობი საგადასახადო შეღავათების მიცემა. ეს შორსმჭვრეტელური პოლიტიკა ხელს უწყობს მაღალეფექტიან კონკურენტულ რეჟიმს, წარმოშობს სიტუაციას, როდესაც ყოველი ახალბედა იღებს შანსს გაუძლოს და დაიკავოს ღირსეული ადგილი ბაზარზე, თუ შეძლებს უნარაიანად გამოიყენოს გადასახადის ეკონომიკული მიღებული მოგების ნაწილი.

(საგადასახადო რეგულირებას ემატება სახელმწიფო ხარჯების პოლიტიკა, რომელიც ეხმარება წარმოების სტრუქტურული გადაქმნის განხორციელებაში, რეგიონული დისპროპორციების მოგვარებაში, იძულებითი უმუშევრობის

პრობლემის სიმწვავის მოხსნაში. აღნიშნოთ, ასევე, სახელმწიფო ვალის მართვის მეთოდები (სარგებლის განაკვეთი და ობლიგაციების გამოშვების ვადა), რომელთა ექსპლოატაციაც ხდება იმისგან დამოუკიდებლად, დეფიციტურია თუ არა ბიუჯეტი. მისმა გამოყენებამ შესაძლებელია კარგი ანტიინფლაციური შედეგები მოიტანოს, შესაძინევი გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზარზე მყარდება.

ეს, და სხვა მრავალი ჩვენთვის ცნობილი რეგულირების მეთოდები ძირითადად ეროვნულ მეურნეობაზეა ორიენტირებული. თუმცა სახელმწიფოს განკარგულებაშია სხვა არანაკლები ეფექტიანი რეგულატორები, რომლებიც უკვე მსოფლიო ეკონომიკისკენაა მიმართული და მისი მნიშვნელობა მით უფრო დიდია, რაც უფრო მეტად არის ქვეყანა ინტეგრირებული მსოფლიო მეურნეობრივი კავშირის სისტემაში.)

მაგალითისათვის განვიხილოთ საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, რომელიც საქონლისა და მომსახურების ექსპორტ-იმპორტს ეხება. თუ ავიღებთ ექსპორტს, მაშინ შესაძლებელია ერთმნიშვნელოვნად ვამტყიკოთ: ფაქტობრივად ყველა ქვეყანა განვითარებული საბაზრო მეურნეობით, ახდენს მის აქტიურ სტიმულირებას. ამით ერთბაშად რამდენიმე მიზანი მიიღწევა.

როდესაც სახელმწიფო ეხმარება მზარდი სასაქონლო მასის ექსპორტს, იგი არსებითად ხელს უწყობს ეროვნული წარმოების პროდუქტებზე მოთხოვნის გაფართოებას. მოთხოვნა აღარ იზღუდება შინაგანი ბაზრის შედარებით ვიწრო ჩარჩოებით, იძენს გლობალურ მოხაზულობას. ამ პირობებში ადგილობრივ მეწარმეებს შეუძლიათ თამამად განახორციელონ ინვესტირება, გააფართოონ წარმოება, დროულად მიიზიდონ დამატებითი სამუშაო ძალა, ამით გააუმჯობესონ სიტუაცია შრომის ბაზარზე.

საექსპორტო ორიენტაცია ეკონომიკას ხდის არა მხოლოდ დინამიკურს, არამედ მას კიდევ ანიჭებს ახალ თვისებას. ამჟამად სწორედ მსოფლიო ბაზარი გახდა პოლიგონი, სადაც ხორციელდება საქონლის სამომხმარებლო თვისებების, წარმოების სტრუქტურისა და ეფექტიანობის ყველაზე მაღალ დონეზე შემოწმება. მსოფლიო ვაჭრობაში კონკურენციის დონე მზა ნაწარმითა და მომსახურებით იმდენად მაღალია, რომ ქვეყანა, რომელსაც იქ მოწინავე პოზიციები უჭირავს, სავსებით საფუძვლიანად შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ლიდერად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში, ეკონომიკური ზრდის ახალი თვისებრიობის მიღწევაში.

დამატებით აღნიშნავთ, რომ ექსპორტის წახალისება ახლა გადაიქცა ეკონომიკის დემონოპოლიზაციის მოქმედ იარაღად. თვით გადაისვრის რა მსხვილ ბიზნესს მსოფლიო ბაზარზე, სახელმწიფო მას ისეთ

მდგომარეობაში აყენებს, როდესაც მტკიცე კონკურენტული პოზიციების მოპოვება მუდმივ ზრუნვას მოითხოვს პროდუქციის ხარისხის სრულყოფისათვის, ფასებით მარჯვე მანიპულირებისათვის, იმიტომ, რომ არ დაუშვას მოთხოვნის დაცემა (ეს უკანასკნელი, როგორც ვიცით, კონკურენტულ ბაზარზე ფასების მიმართ მაღალ ელასტიკურობას ავლენს) წარმოების გაფართოებისა და გაყიდვისათვის დაუკავებელი საბაზრო სივრცეების ათვისების მიზნით და სხვა ქმედებები, რომლებსაც არაფერი აქვთ საერთო მონოპოლიურ ქცევასთან. სხვანაირად რომ ვთქვათ, თუ სახელმწიფოს ძალა არ შესწევს, გაუმკლავდეს მსხვილ კორპორაციას, თავიდან აიცილოს საშინაო ბაზრის მონოპოლიზაცია, ისე უნდა მოიქცეს, რომ კომერციულმა ინტერესებმა ეროვნული გიგანტი მიიყვანოს მსოფლიო. ეკონომიკაში, სადაც არანაკლებ ძლიერი კონკურენტები ჩქარა დააიწივებენ მას მონოპოლიურ ჩვევებს.

თუ მსოფლიოს პრაქტიკით ვიმსჯელებთ, ექსპორტის სტიმულირების მეთოდები ერთობ მრავალნაირია. სახელმწიფო მიდის ექსპორტიორებისათვის საგადასახადო შეღავათების მიცემაზე, თავის თავზე იღებს საექსპორტო კრედიტების გარანტიებს, იყენებს ორმხრივ და მრავალმხრივ ეკონომიკურ მეთოდებს, ასევე, სავაჭრო ინტერესების შეთანხმების საერთაშორისო მექანიზმებს, ზოგჯერ ამუშავებს კიდევ და ახორციელებს სპეციალურ მიზნობრივ პროგრამებს, რომლებიც ჭეჭნის საექსპორტო პოტენციალის გაძლიერებას ითვალისწინებს.

ექსპორტის წახალისების ძლიერმოქმედი საშუალება საგალუტო კურსის რეგულირებაა.\* დაეუშვათ, ამერიკული დოლარის კურსი იაპონური იენის მიმართ დაეცა, ანუ კერძო საგალუტო ბაზარზე ერთ დოლარზე წინანდელზე ნაკლებ იენს იძლევიან. აშშ-ის საექსპორტო პროდუქცია, რომელიც იაპონიის საშინაო ბაზარზე გადის და იქ იენებზე იყიდება, ამჟამად შედარებით იაფია. მას, ვისაც იგი გააქვს, შეუძლია შეავიწროოს სხვა ჭეჭნის ფირმები და მათთან კონკურენტულ ბრძოლაში მიაღწიოს წარმატებას, გაზარდოს ექსპორტის მოცულობა, სწორედ ასეც ხდება სინამდვილეში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, თუ 80-იანი წლების პირველ ნახევარში დოლარის კურსი საკმაოდ მაღალი იყო, 1985 წლიდან 1988 წლის ჩათვლით იგი ათი წამყვანი ჭეჭნის ვალუტის მიმართ, საშუალოდ

---

\* ამ საკითხს ჩვენ შევხვებთ მერვე ლექციაში, როდესაც ვაანალიზებდით ანტიინფლაციური რეგულირების არსენალს.

35,7%-ით დაეცა, იენტან შედარებით კი 48,3%-ით.\* აქ საკვირველი არაფერია: 1987 წელს ამერიკის ექსპორტი იაპონიაში ხომ 28,3 მილიარდ დოლარს უდრიდა, ამ ქვეყნიდან იმპორტი კი 84,6 მილიარდ დოლარს.\*\* მნიშვნელოვანმა სავაჭრო დეფიციტმა, 56,3 მილიარდი დოლარის ოდენობით, სწორედ რომ აიძულა აშშ-ის მთავრობა, დასდგომოდა საკუთარი ვალუტის წინასწარგანზრახული გაუფასურების გზას.

ექსპორტის მნიშვნელოვან წყაროდ იქცა კაპიტალის გატანა. იგი შეიძლება წარმოდგეს მიზნობრივი სასაქონლო კრედიტის ფორმით, როდესაც მიმღები ქვეყანა კისრულობს დაზარჯოს იგი საქონლის იმპორტისათვის მხოლოდ იმ ქვეყანაში, რომელმაც მას სესხი მისცა. სახელმწიფო ან თვითონ აძლევს ასეთ კრედიტს, ან ამისათვის კერძო ბანკებზე გასცემს რამდენადმე მცირე თანხას გარანტიის სახით. უფრო მეტ ეფექტს იძლევა საზღვარგარეთის პირდაპირი ინვესტიციები, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იგი ტრანსეროვნული კორპორაციების არხებით გადის. საქმე ის არის, რომ ტრანსეროვნული კორპორაციები ფლობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ფილიალების ქსელს, ქმნიან მრავალრიცხოვან საქონელგამტარ ხაზებს, რომლის მიხედვითაც მოედინება საექსპორტო ნაკადი. ახლა მისი საშუალებით გადაადგილდება აშშ-ის ექსპორტის 75% და ინგლისის ექსპორტის 80%.\*\*\*

ყველაფერი კარგი. იფიქრებს მკითხველი, მაგრამ ხომ შეიძლება ისე მოხდეს, რომ ექსპორტის სტიმულირებით სახელმწიფომ ხელი შეუწყოს იმის გატანას საზღვარგარეთ, რაც საკუთარ მოქალაქეებსაც სჭირდებათ? ამით ხომ არ დაცარიელდება საშინაო ბაზარი? დიახ, ასეც ხდება, მაგრამ, მხოლოდ განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არასაკმაოდან მოგვარებული ექსპორტის ნაკადების ლიცენზირება. აუცილებლად უნდა შეიქმნას დაბრკოლებები ისეთი რესურსების გატანაზე, რომლებიც ეროვნული მონაპოვარია და არ ექვემდებარება გაყიდვას როგორც ახლანდელი, ისე მომავალი თაობის მიერ. საერთოდ კი თანამედროვე საბაზრო მეურნეობის პრაქტიკა ნათლად გვიჩვენებს, რომ ექსპორტის ხელშეწყობა შინაგან ბაზარს არ აყენებს ზიანს, ზუსტად ასეთ, საექსპორტო ვაჭრობის გაფართოების ხაზს მხარს უჭერს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო გაცვლის დანარჩენი მონაწილეების

---

\* Federal reserve bulletin Washington, 1989, vol 75, N1, p. A 70.

\*\* Survey of current business. Washington, 1988, vol. 68, N11, S. 16-17.

\*\*\* Joint ventures as a form of international economic co-operation. New York. 1988, p. 11.



დიდი უმრავლესობა. გამოდის, რომ ექსპორტიორი ქვეყნების საშინაო ბაზრები იქცევა ისეთ პუნქტებად, სადაც სასაქონლო ნაკადები იყრის თავს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. ასე გამოიყურება ისინი სინამდვილეში.

თუ სახელმწიფოს ორიენტაცია ექსპორტის მიმართ საკმაოდ გამოკვეთილია, ამის თქმა იმპორტის მიმართ არ შეიძლება. როგორც მრავალი წლის უკან, აქ მოქმედებს რეგულირების ისეთი მეთოდი, როგორცაა საბაჟო გადასახადები. როდესაც სახელმწიფო საგადასახადო განაკვეთებს ადგენს ძველებურად, ის საკმაოდ რთულ ვითარებაში ვარდება.

ერთი მხრივ, იგი საშინაო ბაზარზე ხელოვნურად ზრდის ფასებს საზღვარგარეთის პროდუქტიაზე, და, მასადაამე, ფაქტობრივად ამით თავის მეწარმეებს ეხმარება, აადვილებს მათ კონკურენციას საზღვარგარეთის ფირმებთან. გასაგებია, რომ საგადასახადო განაკვეთების დონე საკმარისი უნდა იყოს, რათა საიმედოდ უზრუნველყოს სამამულო ეკონომიკა წარმოებისა და დასაქმების ფართომასშტაბიანი დაცემისაგან, რომელიც საესებით შესაძლებელია საზღვარგარეთელი კონკურენტების დაუბრკოლებელი შეტევის შემთხვევაში. მეორე მხრივ, გადაჭარბებულად პროტექციონური საბაჟო ტარიფები საშინაო ბაზარზე ქმნიან არაბუნებრივ ვითარებას, წყვეტენ მას მსოფლიო ბაზრისგან. როდესაც ეროვნული წარმოება არაკონკურენტულ რეჟიმში მუშაობს, როგორც წესი, იწყება ჩამორჩენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეფექტიანობის, პროდუქციის ხარისხის, სასაქონლო მიწოდების სტრუქტურების სფეროში. მოსალოდნელია ექსპორტის დაცემა, რადგანაც ქვეყნების მთავრობები, რომელთა ფირმები პროტექციონიზმის შედეგად დაზარალდნენ, უარს არ იტყვიან. საპასუხო ღონისძიებაზე, აუცილებლად გადაუხდიან სამაგიეროს. როგორც ჩანს, საბოლოოდ მოსალოდნელია გადაჭარბებული საბაჟო დაბეგვრის ინფლაციური ეფექტი. იგი უფრო მეტად ძლიერდება ისეთ ეკონომიკაში, სადაც ეროვნული ვალუტის საბაზრო კურსი ეცემა. 90-იანი წლების დასაწყისში ეს არასასურველი კომბინაცია კარგად გახდა ცნობილი საბჭოთა მომხმარებლებისათვის, რომლებიც ხედავდნენ ფასების დაუბრკოლებელ ზრდას იმპორტულ საქონელსა და მომსახურებაზე.

აქედან გამოდის, რომ საბაჟო ტარიფების უფრო ეფექტიანად მოქნილი რეგულირება ლავირების ტაქტიკაა და იძლევა საშინაო ბაზრის დამაკმაყოფილებელი დაცვისა და იმავდროულად პროტექციონიზმის მძიმე შედეგების თავიდან აცილების შესაძლებლობას. რაც შეეხება უმთავრესს, გრძელვადიან ტენდენციებს, მისი გათვლა არ არის ძნელი, როდესაც ყოველი განვითარებული ქვეყანა მტკიცედ მიდის საბაზრო

კონკურენციული ძალების აქტივიზაციის გზით, ასევე უნდა განვითარდეს სავაჭრო ურთიერთობა მათ შორის. ამიტომ საბაჟო პოლიტიკის ლიბერალიზაციის მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ მის გადაწყანას თავისუფალი ვაჭრობის პრინციპებზე. აღნიშნული ტენდენცია, მართალია, არ ნიშნავს იმას, რომ მოხდება საბაჟო ბარიერების საბოლოო ნგრევა. ისინი ისევე შესამჩნევ როლს ასრულებენ, განსაკუთრებით აშშ-იაპონია-დასავლეთი ევროპის ქვეყნების სამკუთხედის შიგნით.

თუ ორგანიზაციულ ფორმებს მივმართავთ, სახელმწიფო ან დამოუკიდებლად არეგულირებს გადასახადებს იმპორტზე, ან ამას ახორციელებს ორმხრივ ან კიდევ, მრავალმხრივ საფუძველზე. ამას აკეთებენ, მაგალითად, ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის ხელშეწყობის ორგანოები, რომლებიც ატარებენ ევროპის ქვეყნების ურთიერთვაჭრობის ყველმხრივი ლიბერალიზაციის ხაზს, იმავდროულად მის გარშემო აღმართავენ მნიშვნელოვან საბაჟო ბარიერებს, რომლებიც ზღუდავენ იაფი სასაქონლო მასეების შეღწევას ევროპაში აშშ-დან და იაპონიიდან. შექმნილია გლობალური სავაჭრო-პოლიტიკური მექანიზმები, კერძოდ, გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე, რომელიც აერთიანებს განვითარებული ქვეყნების უმრავლესობას. ვაჭრობასა და ტარიფებზე გენერალური შეთანხმების ფარგლებში ისინი ცდილობენ, დაარეგულირონ თავიანთი უთანხმოება საბაჟო გადასახადებთან დაკავშირებით და მსოფლიო ვაჭრობა უფრო თავისუფალი გახადონ.

აღსანიშნავია, რომ საბაჟო დაბრკოლებების დემონტაჟი სულაც არ იძლევა კემპარიტად თავისუფალი ვაჭრობის ხანის დადგომის გარანტიას. რაც უფრო ძნელი ხდება სამშულო ბიზნესის საგადასახადო დაცვა, სახელმწიფო მით უფრო ხალისიანად მიმართავს სხვა არასატარიფო მეთოდებს, რასაც უკვე ვერაფერს უხერხებენ, ვერც ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის, ვერც ვაჭრობისა და ტარიფების დარგში გენერალური შეთანხმება და სხვანი. თუ ვიტყვით, რომ საკიროა იმპორტის შემცირება, ხოლო გადასახადების მომატება მასზე შეუძლებელია, მაშინ გამოიყენება რაოდენობრივი შეზღუდვები (კვოტები) საზღვარგარეთის საქონლის და მომსახურების შემოტანაზე, იმპორტის შემცველი ეროვნული წარმოების სტიმულირება, სპეციალური საგადასახადო შეღავათები იმ კორპორაციებისათვის, რომლებიც შინ აწელებიან საზღვარგარეთის ძლიერ კონკურენციას, მათი პროდუქციის ნაწილის შექენა სახელმწიფოს მიერ, რომელიც, ამისათვის გამოყოფს რა საბიუჯეტო ასიგნებებს, ცდილობს შეინარჩუნოს მოთხოვნა, ფასები, მოგების ნორმა და სხვა საშუალებები. გამოდის, რომ ბაზარზე შეღწევა თითქოს იოლია (დაბალია. საბაჟო ტარიფები), მაგრამ იქ მოხვედრა

საზღვარგარეთის ექსპორტიორებისათვის მაინც ძნელია. იმისათვის, რომ არასატარიფო ბარიერების კედელი გაირღვეს, მათაც სჭირდებათ თავიანთი სახელმწიფოს მხარდაჭერა – საექსპორტო კრედიტები, საგადასახადო შეღავათები და ა. შ.

ცოტა ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რამდენად მნიშვნელოვანია საექსპორტო ნაკადის მოცულობაზე სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა. მაგრამ, როგორც ჩანს, თუ ვალუტის კურსის დაწვევა ექსპორტის გაფართოებას უწყობს ხელს, მაშინ მისი ამოღება ხელს უნდა უწყობდეს იმპორტის ზრდას. იმპორტის რეგულირების ასეთი შემობრუნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იქ, სადაც მოსახლეობა ცხოვრობს რღვევადი სამომხმარებლო ბაზრის პირობებში და მწვავედ განიცდის საქონლისა და მომსახურების დეფიციტს. მისი შესაძლო ეფექტის განჭკვეტა ძნელი არ არის: რუბლის კურსის ამაღლებისას, დავეშვათ, 40-დან 20 რუბლამდე ერთ დოლარზე საზღვარგარეთ ნაყიდი საქონელი ამერიკული ვალუტით (სხვა თანაბარ პირობებში) ჩვენს მომხმარებელს უნდა დაუჭრდეს დაახლოებით ორჯერ იაფი, ამასთან, გაიყიდოს დიდი რაოდენობით. გაცილებით ძნელია "სხვა პირობების" უზრუნველყოფა. მათ რიცხვს მიეკუთვნება რუბლის კონვერტირება, გაუმართლებელი საგარეო სავაჭრო შეზღუდვების გაუქმება, რაც არსებითად გაზრდის იმპორტს ნატურალურ გამოსახულებაში, მარჯვე საგადასახადო პოლიტიკა, ეფექტიანი დემონოპოლიზაცია, რომელიც მოიცავს არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ, ეკონომიკის სხვა სექტორებსაც და ა. შ.

როგორ მოიქცეს სახელმწიფო, როდესაც აუცილებელია საკუთარი ვალუტის საბაზრო კურსის შეცვლა? რეგულირების მეთოდი ჩვენ უკვე შეგვხვდა. ლაპარაკია პროცენტის განაკვეთზე ზემოქმედების შესახებ, რომელიც შემდგომ ან ეროვნულ ვალუტაზე მოთხოვნის გაზრდას უწყობს ხელს და, შესაბამისად, ამაღლებს მის კურსს, ან უაუფექტს იძლევა. მეორე უფრო ქმედით საშუალებას წარმოადგენს ადგილობრივ სავალუტო ბაზარზე ცენტრალური ბანკის ოპერაციები. თუ, მაგალითად, დოლართან შედარებით რუბლის კურსის აწვევა სჭირო, მაშინ ცენტრალურმა ბანკმა უნდა მოახდინოს მის განკარგულებაში არსებული დოლარის მარაგის მასირებული გაყიდვა, გაზარდოს მოთხოვნა რუბლზე. თუმცა, ჩვენი ეკონომიკის რეალობა ისეთია, რომ ამ რეგულირებადი მექანიზმის ამოქმედება შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ პირობებში, როდესაც კერძო ბანკებისაგან შესაბამისი მთავრობების ან საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) გარანტიით მიიღებს მასშტაბურ დოლარულ კრედიტებს. ხაზგასმითაა აღსანიშნავი პრინციპულად მნიშვნელოვანი

მდგომარეობა: მსგავსი კრედიტები (ამით კი ბევრი ქვეყანა სარგებლობს) ეფექტს იძლევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ისინი იხარჯება ზუსტად დანიშნულების მიხედვით, რათა მთავრობამ დაარეგულიროს ეროვნული ვალუტის კურსი. ალბათ, ოდესმე, როცა ჩვენი ცენტრალური ბანკი იზრუნებს რუბლის ძალიან მაღალ კურსზე, მაშინ მას მოუწევს დოლარების შექმნა რუბლებით.

თანამედროვე სახელმწიფო ყურადღების გარეშე არ ტოვებს კაპიტალების საერთაშორისო მოძრაობის სფეროს. ექსპორტის მიმართ მისი ამოცანაა, საზღვარგარეთ მოქმედი თავისი მეწარმეები უზრუნველყოს ხელსაყრელი საინვესტიციო კლიმატით და, რაც მთავარია, კაპიტალდაბანდებების უშიშროების გარანტიით. აქ სხვადასხვა საშუალება გამოიყენება: საზღვარგარეთის სახელმწიფოებზე დახმარების პროგრამები, ორმხრივი და მრავალმხრივი შეთანხმებები, საგარეო პოლიტიკის ბერკეტები და ა. შ. ინვესტორთა საქმიანობა სტიმულირდება წმინდა ეკონომიკური მეთოდებითაც, მაგალითად, კრედიტებით, რომელნიც სპეციალურადაა განკუთვნილი გადასახადების დასაფარავად იქ, სადაც მათი ფილიალებია განლაგებული. ასეთი ქცევით სახელმწიფო იღებს არც თუ მცირე უკუეფექტებს, ძველი და ახალი კაპიტალდაბანდებებისაგან მიღებული მოგების გატანის სახით და, მაშასადამე, აღწევს საგადასახადო ბალანსის გაუმჯობესებას, უცხოური ვალუტის მოდინების გაღივებას, საგარეო ბაზრების ხანგრძლივ ოკუპაციას.

სახელმწიფო ჩვეულებრივ მკაცრად აკონტროლებს კაპიტალის იმპორტს, და საერთოდ ყველაფერს, რაც საზღვარგარეთის ფირმებს ეხება და მის ტერიტორიაზე მოქმედებს. ყალიბდება ეკონომიკის პრიორიტეტული სექტორები, სადაც უცხოელთა ოპერაციების წახალისება ხდება, იქაც კი, სადაც მათი დაშვება აკრძალულია, რეგულირდება მოგების განაწილება, გადასახადები და მრავალი სხვა. ხშირად ისეც ხდება, რომ თვით სახელმწიფო საჭიროებს საზღვარგარეთიდან ფინანსურ შემხაპუნებას, რათა იგი გამოიყენოს, მაგალითად, საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად.

შეგახსენებთ, რომ ასეთ შემთხვევაში იგი ჩართავს ორ მთავარ მექანიზმს: აქედან პირველი — შეზღუდული ფულადი პოლიტიკით მოქმედებს. ფულადი მასის მოცულობის შეკუმშვით სახელმწიფო ჩვეულებრივ იწვევს სარგებლის განაკეთების ამალგებას. ეს უკანასკნელი როგორც მაგნიტი, იზიდავს კაპიტალებს საზღვარგარეთიდან, რამდენადაც მათი მფლობელები, ელოდებიან რა დამატებით მოგებას, თავიანთ ფულს გადარიცხავენ იმ ვალუტებსა და ქვეყნებში, სადაც მაღალია სარგებელი.

სახელმწიფოს რჩება მხოლოდ ის, რომ თავისი ეროვნული ბანკებისაგან სესხად აიღოს ეს ფული და ამით შეეცადოს ზერელების შევსებას ბიუჯეტში. მეორე მექანიზმი პირდაპირი ზემოქმედებისაა. სახელმწიფოს შეუძლია, უშუალოდ მიმართოს საზღვარგარეთის კაპიტალების ბაზარს და იქ გაავრცელოს თავისი სავალო ვალდებულებანი. რაც უფრო მაღალია პროცენტი ობლიგაციებიდან, მით უფრო მიმზიდველია ეს ობლიგაციები იმ უცხოური კორპორაციებისა და ბანკებისათვის, რომლებიც უცხო სახელმწიფოს კრედიტორებად იქცევა.

კაპიტალების მოძრაობის ბალანსი, ქვეყნის საგადამხდლო ბალანსის ორი წამყვანი ნაწილიდან ერთს წარმოშობს. მეორე ნაწილი სავაჭრო ბალანსია. ამიტომ, ყველაფერი ის, რითაც სახელმწიფო სარგებლობს საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის საერთაშორისო ნაკადებზე ზემოქმედებისათვის (საბაჟო გადასახადები, არასატარიფო მეთოდები, სავალუტო კურსი, პროცენტები სახელმწიფო ობლიგაციებზე და ა. შ.), იმავდროულად საგადამხდლო ბალანსის რეგულირებასაც ემსახურება. რასაკვირველია, ყველაზე კარგია, როდესაც ეს უკანასკნელი დადებითი სალდოსია და პლუსზე დაიყვანება. მაგრამ, თუ მინც წარმოიშვა საგადამხდლო ბალანსის დეფიციტი, სახელმწიფო მას ფარავს გადასახადების საშუალებით ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ერთეულებით. საერთაშორისო სავალუტო ფონდს ცენტრალური ადგილი უჭირავს სავალუტო-საფინანსო ურთიერთობის საერთაშორისო რეგულირების მექანიზმში. იგი არა მხოლოდ ორგანიზაციას უწევს ანგარიშსწორებას ქვეყნებს შორის, არამედ ამარაგებს მათ კრედიტებით საგადამხდლო ბალანსების გაწონასწორების მიზნით.

ახლა განვიხილოთ ეკონომიკის ადმინისტრაციული რეგულირება. თუ ყველაფერს გაეითვალისწინებთ, რაც მათ შესახებ ჩვენთვის ცნობილია, გამოვლინდება სულ ცოტა ხუთი სფერო, სადაც ადმინისტრაციული ხერხები საკმაოდ ეფექტიანია, მათი გამოყენება კი ხანდახან უბრალოდ არა მარტო სასურველი, არამედ აუცილებელიცაა. ზოგიერთ სფეროში მბრძანებლურ მეთოდებს, საბაზრო ეკონომიკაზე სახელმწიფო ზემოქმედების სხვა ხერხებთან შედარებით, აქვთ აშკარა უპირატესობა. თუმცა ასეთი ქმედებები, უთუოდ განსაზღვრული ზომით თარგუნავს ინდივიდუალურ ეკონომიკურ თავისუფლებას, მაგრამ, ისინი სავსებით გამართლებულია. რა თქმა უნდა, იმ პირობით, რომ ადმინისტრირება მოქმედებას იწყებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ცალკეული სუბიექტების მაქსიმალურ თავისუფლებას მოჰყვება მძიმე დანაკარგები

დანარჩენებისათვის და საბაზრო მეურნეობისათვის მთლიანად.

უწინარეს ყოვლისა, განვიხილოთ პირდაპირი სახელმწიფო კონტროლის გარდუვალი აუცილებლობა მონოპოლურ ბაზრებზე. ცნობილია ადმინისტრაციული ჩარევის საფუძველი: ჩვენ კარგად ვიცით (თეორიულად და საკუთარი გამოცდილებით), რა შეიძლება მოახდინოს ხელგახსნილმა მონოპოლისტმა ეკონომიკაში და რაოდენ ძნელია მისი ალაგმვა არაპირდაპირი მოქმედების რეგულატორთა საშუალებით. როგორც მეთერთმეტე ლექციაში აღინიშნა, მონოპოლიური ბაზრები სულაც არაა ერთნაირი. ამიტომ საჭიროა განსხვავებული ადმინისტრაციული მეთოდების გამოყენება. იქ, სადაც სახელმწიფო მონოპოლია ბუნებრივადაა აღიარებული (ფუნდამენტური მეცნიერება, თავდაცვა და ა. შ.), მართებულია სრულმასშტაბიანი ადმინისტრირება. მხედველობაშია წარმოების, ხარჯებისა და ფასების მიმდინარე და გრძელვადიანი დირექტიული დაგეგმვა, პირდაპირი კონტროლი საქონლისა და მომსახურების ხასიათსა და სამომხმარებლო თვისებებზე, გარანტირებული მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, რომელიც ცენტრალიზებულ სახელმწიფო შესყიდვას ემყარება. ეინაიდან ზოგიერთ სახელმწიფო მონოპოლიას რეგიონული ხასიათი აქვს, ზუსტად ასევე უნდა მოიქცეს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებიც. რასაკვირველია, საცვებით დასაშვებია იმ არაელასტიკური მოთხოვნის საქონელთა ბაზრების ადმინისტრაციული რეგულირება, რომლებიც სახელმწიფო მონოპოლიას მიეკუთვნება. იგი შესაძლებელია განხორციელდეს სააქციზო გადასახადების მკაცრი განაკვეთების შემოღებით, ფასების დაგეგმვით ან კიდევ რაიმე სხვა ფორმით.

რამდენადმე განსხვავებულ დამოკიდებულებას იმსახურებს ტექნოლოგიური ოლიგოპოლიები. მართალია, მონოპოლიები აქ ბუნებრივია, მაგრამ მაინც არაა სახელმწიფოებრივი. ამ შემთხვევაში ყველაზე ეფექტიანია შედარებით მსუბუქი ადმინისტრაციული რეჟიმი, რომელიც, გამოიხატება, ვთქვათ ინდიკატურ დაგეგმვაში, ფასებზე პირდაპირი კონტროლიდან მათი მერყობის დასაშვები ფარგლების განსაზღვრაზე გადასვლაში და ა. შ. დაბოლოს, არის ბაზრის არც თუ მცირე რაოდენობა, სადაც მონოპოლიური სტრუქტურები სრულიად არაბუნებრივი, ეკონომიკურად მიზანშეუწონელია, ამიტომაც ეჭვმდებარება დემონტაჟს. აქ სახელმწიფოს მოეთხოვება უნარიანი მანიპულირება ადმინისტრაციული მეთოდებით, რომლებიც პერსპექტივაში ეკონომიკური რეგულირებით შეიცვლება. არ დავივიწყოთ შემდეგი აუცილებელი პირობა: ამ პროცესის სიჩქარე არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს დემონოპოლიზაციის

ტემპს. ყოველი წინ გარბენა, იმ მეთოდებით ბაზრების მართვის მცდელობა, რომლებიც სრულიად სხვა, კონკურენტული ბაზრისთვისაა განკუთვნილი, მძიმე ეკონომიკურ შედეგებს გამოიწვევს.

უპირატესად ადმინისტრაციული რეგულირების მეორე სფეროა საბაზრო პროცესების არაპირდაპირი ეფექტები, მათი შედეგები გარემომცველ სამყაროსა და არაკლავწარმოებადი რესურსების მდგომარეობაზე. ამ სფეროში ეკონომიკური რეგულატორები არასაკმარისია და ზოგჯერ, საერთოდ არაეფექტიანი. თუ საქმე უკიდურესობამდე მივიდა და წარმოებამ გაანადგურა ტბა ან ტყე, მაშინ ფინანსური სანქციები, რა მნიშვნელობისაც არ უნდა იყოს ისინი, თავისთავად ბუნებას ვერ აღადგენს. ვინაიდან საბაზრო გადაწყვეტილებების სრული თავისუფლება ნიშნავს იმას, რომ ბოლოს და ბოლოს მათ მიღებას აზრი არა აქვს და არც არაეინაა მათი მიმღები, საჭირო გახდება გამაფრთხილებელი ხასიათის ადმინისტრაციული ღონისძიებები. ლაპარაკია ეროვნული რესურსების ნაწილის კონსერვაციაზე, რომელიც გამორიცხავს მათი კომერციული ექსპლოატაციის ნებისმიერ ფორმას, ბუნებრივი ზონების გამოყოფაზე, სადაც დაუშვებელია ნაწილობრივი საქმიანობის განსაზღვრული სახეები, ეკოლოგიურად მანე ტექნოლოგიის გამოყენების პირდაპირ აკრძალვაზე. აუცილებელია მკაცრი სტანდარტები, რომლებიც გარანტიას მისცემს მოსახლეობას, იცხოვროს ეკოლოგიური უსაფრთხოების პირობებში.

ეკოლოგიურის გვერდით, არსებობს კიდევ არც თუ ისე ცოტა სხვა ეროვნული სტანდარტები. სტანდარტების შემუშავება, იმათ მიერ მათი დაცვისადმი კონტროლი, ვინც მონაწილეობს ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირებაში, წარმოშობს ადმინისტრაციული რეგულირების კიდევ ერთ, მესამე სფეროს, მეოთხე სფეროა მოსახლეობის ცხოვრების მინიმალურად დასაშვები პარამეტრების განსაზღვრა და იმ თამასის შენარჩუნება, რომლის დაბლაც სიღარიბეა. გასათვალისწინებელია ხელფასის გარანტირებული მინიმუმი, უმუშევართა დახმარება და ა. შ. ადმინისტრაციული ხერხები მაშინაც სასარგებლოა, როდესაც ისინი მიმართულია მსოფლიო მეურნეობრივი კავშირების სისტემაში ეროვნული ინტერესების დასაცავად. მათ რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, ექსპორტის ლიცენზირება ან სახელმწიფო კონტროლი კაპიტალის იმპორტზე. ასეთია მეხუთე სფერო, სადაც ადმინისტრაციული რეგულირების გამოყენება ეკონომიკურად გამართლებულია და საერთოდ არ ეწინააღმდეგება იმ პრინციპებს, რაც საფუძვლად უდევს საბაზრო მეურნეობას.

ეკონომიკური სივრცე, რაზეც ადმინისტრაციული მეთოდები

ვრცელდება, როგორც ჩანს, ძალიან დიდი. განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში ადმინისტრაციული მეთოდები დიდი ხანია სამეურნეო მექანიზმის განუყოფელ ნაწილებად იქცა და არაფრით არ უშლის ხელს საბაზრო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებასა და მოსახლეობის კეთილდღეობას. და არსად არ დგას ეკონომიკური სისტემის ამ რგოლის ამოგდების ან სხვა რამით შეცვლის, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ ხერხებზე მთლიანად უარის თქმის ამოცანა. მსოფლიო პრაქტიკა (საზღვარგარეთულიც და სამამულოც) იმას მოწმობს, რომ ადმინისტრირება საშიშია არა თავისთავად, არამედ, მხოლოდ მაშინ, როდესაც არა აქვს ეკონომიკური დასაბუთება. მისი მთლიანად უარყოფა თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის წყობაზე მცდარ წარმოდგენას ნიშნავს.

ამასთან დაკავშირებით უპრიანია გავისხენოთ მანიფესტი, რომლითაც 70-იანი წლების შუა პერიოდში გამოვიდნენ ვლეონტიევი, ჯ.კ.გელბრეითი, რ.ჰეილბრონერი და სხვა ეკონომისტები, რომლებიც ამერიკის ეკონომიკური მეცნიერების ელიტაში შედიან. მანიფესტის ცენტრში იყო პრეზიდენტის აპარატის ფარგლებში ეროვნული ეკონომიკური დაგეგმვის სამმართველოს შექმნა. თუმცა, გასაგებია, არაფერ აპირებდა აშშ-ში შეეტანა ტოტალური დირექტიული ადმინისტრირება, მაინც სამმართველოს ანიჭებდნენ იმ ფუნქციებს, რომლებიც ეკონომიკური რეგულატორების ტრადიციული ნაყრების ფარგლებს აღემატებოდა, რაც არაფრით არ იყო დაკავშირებული საგადასახადო რეგულირებასთან, ფულად პოლიტიკასთან, სახელმწიფო ვალების მართვასთან და ა.შ. ნავარაუდევია იყო, რომ სამმართველო მოახდენდა: მთელი ეკონომიკური ინფორმაციის თავმოყრას და ანალიზს, გამოიკვლევდა საბაზრო მეურნეობის განვითარების გრძელვადიან ტენდენციებს; - 15-25 წლის ვადით გათვალისწინებულ ენერგეტიკის, ტრანსპორტის, საბინაო მშენებლობისა და ზოგიერთ სხვა სფეროს განვითარების პროგრამების პაკეტის დამუშავებას; საშუალოვადიან (ხუთწლიან) პროგრამირებას, იმ სახელმწიფო სამსახურების საქმიანობის კოორდინაციას, რომლებიც მონაწილეობენ ეკონომიკის რეგულირებაში.\* იდეა, როგორც იტყვიან, ვერ გავიდა, მაგრამ თვით, მისი გაჩენისა და მხარდაჭერის ფაქტი მრავლისმთქმელია.

თუმცა მსოფლიო მეურნეობის პრაქტიკამ იცის რეგულირების სხვადასხვა მეთოდის კომბინაციების არც ისე მცირე რაოდენობა, მათი შინაგანი სტრუქტურა, როგორც წესი, უცვლელი რჩება. მხოლოდ

---

\* For a national economic planning system. / Public policy; issues, analysis and ideology. Chatam (N.J.), 1982. p.270-302.



მეთოდების (როგორც ეკონომიკური, ისე ადმინისტრაციული) ერთი ჯგუფი პოლიტიკაში ასრულებს მზარდი კონსტრუქციის როლს, რომელიც მიმართულია მიზნების მისაღწევად, სხვები კი გამოდიან ამორტიზატორების როლში, რომელთა დანიშნულებაა ნეგატიური ეფექტების ჩაქრობა, რომლებიც გარდუვლად თან სდევს საბაზრო ეკონომიკის რეგულირებას. რაც შეეხება ორგანიზაციულ ფორმებს, ყველაზე მეტად გავრცელებულია სასელმწიფო მიზნობრივი პროგრამები. რამდენადაც ყოველი პროგრამა განკუთვნილია პერსპექტივისათვის, მას ყოველთვის პროგნოზი უსწრებს. ამიტომ, თავდაპირველად განვიხილოთ პროგნოზირების მეთოდები და მოდელები.

პროგნოზირების მოდელების ძირითადი მასა დამუშავებულია ეკონომეტრიკული ტექნიკის დახმარებით. თავის მხრივ, ანალიტიკური აპარატის შექმნა, რომელიც პროგნოზების შესადგენად გამოდგება, ახლა გადაიქცა ბევრი ეკონომისტ-ათემატიკოსის საფარულ საქმედ, ნობელის პრემიის ლაურეატის ლ.კლეინის სიტყვებით, თანამედროვე ეკონომეტრიკა სავსებით შესაძლებელია ჩაითვალოს მეცნიერებად ეკონომიკური პროგნოზირების შესახებ.\*

ამ აპარატის ზოგიერთ ელემენტს ჩვენ უკვე გავეცანით, როდესაც ვიხილავდით წარმოებრივ ფუნქციას, ლეონტიევის, ტინბერგენის მოდელებს და სხვა. სწორედ ისინი ქმნიან პროგნოზის საშუალოვადიანი (ორი წლიდან ხუთ წლამდე პერიოდის) და გრძელვადიანი (ხუთიდან ათ წლამდე) მაკრომოდელების მეთოდოლოგიურ საფუძველს. მათ შორის ისინი უფრო ავტორიტეტულია, რომლებიც ააგეს ბიზნესის უორტონის, სკოლის სპეციალისტებმა (პროგნოზირების ამ მიმდინარეობის სათავეებთან იდგა ლ.კლეინი), კორპორაციებმა "დეიტი რისორს იზმა" (ოუქსტაინი) და "ჩეიზ ეკონომეტრიკსმა" (მეენსი).

მსხვილმასშტაბიან ეკონომიკურ მოდელებს მრავალმიზნობრივი დანიშნულება აქვთ. ისინი გამოიყენებიან როგორც ეკონომიკური ცვლადი სიდიდეების პროგნოზირებისათვის (უმუშევრობის დონის, ფასების ზრდის ტემპის და ა.შ.) დროის განსაზღვრულ პერიოდში, ისე სახალხო მეურნეობის განვითარების ტენდენციების გამოსავლენად. მათ საფუძველზე შესაძლებელია შეფასება მიეცეს ამა თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილებების შესაძლებელ შედეგებს, ეროვნულ ეკონომიკაზე რაიმე მსოფლიომეურნეობრივი ფაქტორის ზემოქმედებას. არის იმიტაციური ვარიანტებიც, როდესაც გაანგარიშებები ხდება უკვე ცნობილი გასული წლების სტატისტიკით და პროგნოზი თითქოს წარსულისკენა მიმართული.

---

\* Klein L. Economic theory and econometrics. Oxford, 1985, p.400.

ეკონომიკური განვითარების უახლესი პერსპექტივების ანალიზი, სამეურნეო კონიუნქტურის მოსალოდნელი შემობრუნების წინასწარ განჭვრეტა ხდება მოკლევადიანი მოდელების მეშვეობით, ორ წლამდე პროგნოზირების დიაპაზონით. აქ უნდა გაეიხსენოთ კონიუნქტურული სიმპტომატიკის მეთოდი. მის შესაბამისად ჯერ განისაზღვრება სტატისტიკური მაჩვენებლების წრე, რომელიც საკმარისი სისრულით ასახავს სახალხო მეურნეობის მიმდინარე მდგომარეობას, აფიქსირებს იქ მომხდარ გარეგან გამოვლინებებს (სიმპტომებს). შემდეგ გაანგარიშდება ერთი ან რამდენიმე განმაზოგადებელი (სინთეზური) პროგნოზირების ობიექტის წარმომშობი ინდიკატორი. მათ შესაძლებელ მნიშვნელობაზე დამოკიდებულებით კეთდება დასკვნები, დაუშვათ, ეკონომიკის განვითარების დაჩქარების, მისი შენელების, წარმოების დაცემასთან მიახლოების და სხვათა შესახებ.\*

ეკონომიკური აპარატი საშუალებას იძლევა გადაწყდეს პროგნოზირების უკრო ვიწრო ამოცანებიც. როდესაც, ვთქვათ, უნდა შეფასდეს განსაზღვრული ეკონომიკური პარამეტრის დინამიკა და ცნობილია მისი მნიშვნელობების საკმარისად გრძელი რიგი, დამუშავდება ფუნქცია (ტრენდი), რომელიც მაქსიმალური ტონით გააშუალებს ამ მნიშვნელობებს. მოსალოდნელია, რომ პერსპექტივაში პარამეტრი შეიცვლება მოცემული ფუნქციის შესაბამისად. ასეთი წესით შესაძლებელია ვიწინასწარმეტყველოთ, მაგალითად, ფასების მოძრაობა საქონლის ბაზარზე, მივიღოთ მოსახლეობის რაოდენობის ან სხვა რაიმის პროგნოზი.

მაგრამ, როგორც ჩანს, რაც უფრო გრძელია პროგნოზირების ინტერვალი, მით უფრო დაბალია ეკონომიკური გაანგარიშებების სიზუსტე. უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მოდელს ყოველთვის საქმე აქვს ზუსტად განსაზღვრული რაოდენობის ცვლადებთან, მაშინ, როცა სინამდვილეში პროგნოზირების ობიექტი (ეროვნული შემოსავლის მოცულობა, ფასების დონე და ა.შ.) იმყოფება გაცილებით რთული ფაქტორების კომპლექსის ქვეშ. ზოგიერთი მათგანი დაუყუენებლივ ამოქმედდება, სხვების გავლენა შორეულ მომავალში იჩენს თავს და მისი ხასიათის განჭვრეტა ზოგჯერ უბრალოდ შეუძლებელია. სხვა

---

\* მოკლევადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზირების ერთ-ერთი პირველი ვარიანტი ცნობილია როგორც პარკარდის ბარომეტრი, იგი გამოცდილ იქნა 20-30-იანი წლების ამერიკელი მეცნიერების მიერ თუმცა 1929-1933 წწ. კრიზისი მათთვის გაუთვალისწინებელი დარჩა, ის არ ნიშნავდა თვით კონიუნქტურული სიმპტომატიკის მეთოდის დისკრედიტაციას. მას ახლაც ღირსეული ადგილი უკვირავს პროგნოზირების მეთოდოლოგიაში.

სიტყვებით, ეკონომისტ-თეორეტიკოსს საკმარისი საფუძველი გააჩნია ამტყიცოს, რომ, დაეუშვათ, უასლოეს წელიწადში ნათობზე ფასები დამოკიდებული იქნება სუთ ძირითად ფაქტორზე, და სწორედ ისინი უნდა გაითვალისწინონ მოკლევადიანი ეკონომიკური პროგნოზის შედგენისას. მაგარმ მისი დამუშავებული მთლიანად დეზორიენტირებული იქნება, თუ თეორეტიკოსს ათი წლით წინასწარ განკვერტის სითამამე ექნებოდა. ლ.კლეინი, ეკონომიკური პროგნოზირების მეტეოროლოგიურთან შედარებისას ხაზს უსვამდა, რომ როგორც მთავრობას, ისე ბიზნესს შეუძლია მთლიანად ენდოს მას მხოლოდ მაშინ, როდესაც დროის ინტერვალი არ აღემატება ერთ წელს.\*

ეკონომეტრიკის აპარატი პრინციპში არ არის გათვალისწინებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების, მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში მოულოდნელი ცვლილებების შესაფასებლად და შესაბამისად, არ იძლევა საშუალებას, ჩამოყალიბდეს ვრცელი წარმოდგენა იმაზე, თუ რა შეიძლება მოხდეს მომავალში. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური გაანგარიშებები ძლიერაა დამოკიდებული სტატისტიკური ინფორმაციის ხარისხზე. როდესაც ეს უკანასკნელი მოცულობით არასაკმაოა და, მით უმეტეს, არასარწმუნო და ძნელადმისაღწევი, პროგნოზირების დონის დაცემა მაშინაც კი გარდუვალი ხდება, ყველაზე სრულყოფილი ეკონომეტრიკული აპარატიც კი რომ ამოქმედებულიყო. ამრიგად, არ არის გამორიცხული, რომ გრძელვადიანი ეკონომიკური პროგნოზირების შედეგი საბოლოო ანგარიშით იქნება "ზუსტი" (გამოსახული იქნება განსაზღვრული რიცხვით), მაგარმ არასწორი.

წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რამდენად ზუსტია მოკლევადიანი ეკონომიკური პროგნოზირება, მკითხველს დამოუკიდებლად შეუძლია შეექმნას, თუ 6.1 ცხრილში მოტანილ მონაცემებს ერთმანეთს შეადარებს. იგი შეიცავს ორი მაკროეკონომიკური მაჩვენებლის (ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპს- $G$ , და უმუშევრობის დონეს -  $U$ ), პროგნოზის შედეგებს 1986 წლისათვის, რომელიც გაკეთებულია აშშ-ში 1985 წელს.\*\*

ცხადია, რომ წინასწარმეტყველების საიმედოობა არსებითად იზრდება, როდესაც ეკონომიკური მოდელირება ივსება სხვა, პროგნოზირების არამათემატიკური მეთოდებით, მაგალითად, საექსპერტო შეფასებით.\*\*\* საექსპერტო პროგნოზირების პროცესი ჩვეულებრივ რამდენიმე ეტაპად

\* Klein L. Econometric models as guides for decision-making New York, 1981, p. 28.

\*\* Report of the conduct of monetary policy. Washington, 1985, p. 28-32. Main economic indicators. Paris, March, 1989, p. 96-98.

\*\*\* მათი ყველაზე განვითარებული ფორმა, რომელსაც დელტის მეთოდი ეწოდება, დამუშავებულია ამერიკული კორპორაციის P3H4-ის თანამშრომლების მიერ 60-იანი წლების შუა პერიოდში.

იყოფა. ყოველ მათგანზე ფორმულირდება და თანმიმდევრულად განზოგადდება დამოუკიდებელი ექსპერტის აზრი ამა თუ იმ მოვლენის საიმედოობის შესახებ. კერძოდ, ექსპერტიზა შესაძლებლობას იძლევა, საკმაოდ ზუსტად შეფასდეს მომავალი ეკონომიკური ზრდის ტრაექტორია არა მხოლოდ თვისებრივი (დაჩქარება ან შენელება), არამედ რაოდენობრივი მაჩვენებლების განსაზღვრით.

ცხრილი 16.1

პროგნოზის ავტორები	ნომინალური მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდის ტემპი (g), %		უმუშევრობის დონე (u), %	
	პროგნოზი	ფაქტი	პროგნოზი	ფაქტი
ჩეიზი	7.0	5.6	7.5	7.0
ეკონომეტრიკი იბმ	6.6	5.6	7.3	7.0
მელონ ბენკი	7.0	5.6	7.7	7.0
უორტონის ბიზნესის სკოლა	7.3	5.6	7.4	7.0
დეიტა რისორსიზი	5.9	5.6	7.6	7.0
პრეზიდენტის ეკონომიკური კონსულტანტების საბჭო	8.4	5.6	6.8	7.0
კონგრესის საბიუჯეტო სამმართველო	7.8	5.6	7.0	7.0

არსებობს სასცენარო პროგნოზები, რომლებიც ჩვეულებრივ გაანგარიშებულია ძალზე ხანგრძლივი პერიოდით. ფუტუროლოგიის ამ მიმართულების ჩარჩოებში გამოიყოფა ზოგადსოციოლოგიური რიგის პროგნოზები, რომლებიც მთელი ცივილიზაციის განვითარების ტენდენციის შეფასებას შეიცავს.\* 70-იანი წლებიდან მუშავდება სასაქონლო ბაზრების მოსალოდნელი ევოლუციის სასცენარო გრძელვადიანი (50 წლამდე პერიოდის) პროგნოზები. კორპორაციის დაკვეთით შესრულებული ეს პროგნოზები თავის თავში შეიცავენ მოხმარების, მოთხოვნის, მიწოდებისა და ფასების წინასწარმეტყველებას, ამასთან, აღსანიშნავია,

\* ეს მიმდინარეობა თავის საწყის იღებს აფრიკელი სოციოლოგის გ.კანის გამოკვლევებიდან.

რომ ბაზრის შესაძლებელი მდგომარეობა დამოკიდებულია როგორც წმინდა ეკონომიკურ, ისე სოციალურ-პოლიტიკურ ფაქტორებზე.

ცხადია, საექსპერტო და სასცენარო პროგნოზები მიახლოებით, "არაზუსტია", და ეკონომეტრიული თვალსაზრისით, სხვათა შორის ეს სუსტი მხარეები ნაკლებად შესაძინევი ხდება, როდესაც პროგნოზების შემდგენლები ცდილობენ იპოვონ სამივე მიდგომის საუკეთესო თანაშეწყობა.

ამ თვისებით განსხვავდება შედარებით ახალი მიმართულება-გრძელვადიანი გლობალური პროგნოზირება.\* უჩვეულოდ ხანგრძლივი დროითი დიაპაზონის გამო (100 წლამდე) გლობალური მოდლები მხოლოდ მსოფლიო ეკონომიკას როდი მოიცავს. ანალიზი ვრცელდება გეოპოლიტიკურ პრობლემებზე, რესურსების დაზოგვაზე, გარემოს მდგომარეობაზე, ურბანიზაციის პროცესსა და ადაპიანთა მომავალი ცივილიზაციის სხვა მრავალ ასპექტზე. გასაგებია, რომ ასეთი ხანგრძლივობის პირობებში დომინირებენ პროგნოზის საექსპერტო და სასცენარო შემადგენლები, ეკონომეტრია კი ასრულებს გაცილებით მოკრძალებულ როლს, უმთავრესად გამოიყენება გამოვლენილი ტენდენციების სტატისტიკური ილუსტრირებისათვის. შეფასების თანახმად, გლობალური მოდლების შემქმნელები ახლა ფლობენ სტატისტიკური ინფორმაციის დაახლოებით 0,1%-ს, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ გაანგარიშების სიზუსტე დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.\*\*

პროგნოზის მომზადება საფუძველს ქნის ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირებისათვის პროგრამების შესამუშავებლად. ეს პროცესი ჩვეულებრივ ოთხ ძირითად ეტაპად იყოფა.

პირველი სტადია – მიზნობრივი ფუნქციის ჩამოყალიბება. აქ, როგორც წინა ლექციებიდან ვიცით, მოქმედებას იწყებს პოლიტიკური

---

\* ერთ-ერთი პირველი გლობალური პროგნოზთაგანი შექმნა ამერიკელმა მეცნიერმა ჯ.ფორესტერმა 1971 წელს, ახლა პროგნოზები მუშავდება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, არასამთავრობო ორგანიზაციის – რომის კლუბის ეგიდით, რომელიც ასეთი გამოკვლევების სპონსორია. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გლობალური პროგნოზირების მეთოდოლოგიის ჩამოყალიბებაში პრიორიტეტი მიეკუთვნება ჩვენი საუკუნის გამოჩენილ ეკონომისტს ნ.დ. კონდრატეევს. მანვე შეიტანა მნიშვნელოვანი წვლილი წარმოებრივი ფუნქციის თეორიაში მრავალწლიანი პატემარობის შემდეგ ნ.დ. კონდრატეევი დახვრიტეს 30-იანი წლების ბოლოს

\*\* Granger C. Forecasting in business and economics. New York, 1980, p.205.

გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმები, რომელთა საშუალებითაც განისაზღვრება მიზანთა რიგითობა და მათი სასურველი ღონეები. მეორე ეტაპის ამოცანაა ეკონომიკური პოლიტიკის ვარიანტების პაკეტის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამების მიზნების მიღწევას; ამის კვალდაკვალ დგება მომენტი, როდესაც უნდა გავერკვეთ ყველა პროექტის სარესურსო დაფარვაში, შევადგინოთ მათი ბიუჯეტები, განვსაზღვროთ მართვის სისტემები და პროგრამების რეალიზაციის კონტროლი; მეოთხე სტადიაზე ფორმულირდება კრიტერიუმი, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ოპტიმიზირებულ იქნეს პროგრამების ერთ-ერთი ვარიანტის შერჩევა. ძნელი არ არის შევნიშნოთ, რომ უკიდურეს შემთხვევაში, პროგრამირების პირველ ორ ეტაპზე ფონს ვერ გავალთ პროგნოზის შედეგების გარეშე. სავარაუდო შეფასებები იმისა, რაც შესაძლებელია ეკონომიკაში მოხდეს, როგორი იქნება ინფლაციის, უმუშევრობის, ეროვნული შემოსავლის მაჩვენებლები, აუცილებელია პოლიტიკოსებისათვის პრიორიტეტების განლაგების სახალხო მეურნეობრივი პრობლემების გადაწყვეტის რიგითობის განსაზღვრისათვის. რაც შეეხება პროგრამის შემქმნაველებს, პ.ოგნოზის მოდელები მათ აძლევს შესაძლებლობას, "წააგონ" ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა ვარიანტი.

პროგრამები ჩვეულებრივ დგება როგორც დახურული სისტემები, რომლებიც ითვალისწინებენ უკუკავშირს. წინასწარ იგულისხმება, რომ პროგრამის განხორციელების პროცესში შესაძლებელია ეროვნული მეურნეობის განვითარების საშინაო და საგარეო პირობების უცარი ცვლილებები, რომლებიც ხელს უშლის დასახული მიზნების მიღწევას, უმაღლესი თანამდებობის პირების უპირატესობათა გადანაცვლებას, გარღვევებს მეცნიერულ-ტექნიკურ სფეროში, კონიუნქტურულ შემობრუნებებს მსოფლიოს ეკონომიკაში და ა.შ. ამიტომ პროგრამაში ხშირად შეტანილია რეგულირების სარეზერვო ვარიანტები, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის დროული კორექტივების საშუალებას იძლევა.\*

პროგრამირება არ შეიძლება ჩაითვალოს რეგულირების რაიმე ცალკეულ სახედ, რომელიც შესაძარისია, ვთქვათ, ანტიინფლაციურთან ან ანტიციკლურთან. იმაზე დამოკიდებულებით, პროგრამა ერთმიზნობრივია თუ მრავალმიზნობრივი, იგი შეიძლება იყოს რეგულირების განსაზღვრულ ტიპზე უფრო ვიწროც, და უფრო ფართოც. თუ სახელმწიფო ერთმიზნობრივ პროგრამას ახორციელებს, რომელიც გამიზნულია

---

\* ცხადია, თანამედროვე პროგრამირების იდეოლოგიის სათავეები იტინბერგენის და რფრიშის ნაშრომებშია.

ერთადერთი ამოცანის გადასაწყვეტად (დაეუშვათ, საგადამხდლო ბალანსის გაწონასწორება), მას უზრუნველყოფს საგარეო ეკონომიკური რეგულირების საშუალებები, მაშინ კი, როდესაც განსაზღვრულია ერთბაშად რამდენიმე მიზნის მიღწევა. პროგრამაზე (მრავალმიზნობრივზე) მუშაობს მარეგულირებელ სისტემათა რიგი. ამის გარდა, იგი ყველთვის იგეგმება განსაზღვრული ვადით, აქვს ცალკე ორგანიზაციული სტრუქტურა და რეგულირების ნათლად გამოკვეთილი მიზნები.

პროგრამები შესაძლებელია იყოს ეროვნული, შემოფარგლული ერთი ქვეყნის საზღვრებით. "რეიგანომიკა", მაგალითად, მიმართული იყო ინფლაციის დონის შემცირებისა და სტაბილიზაციისაკენ, ასევე, ეკონომიკური ზრდის მყარი ტემპის მიღწევისა და მისთვის ახალი თვისებრიობის მინიჭებისაკენ, ანუ იგი წარმოადგენდა მრავალმიზნობრივ ეროვნულ პროგრამას. სრულდება ევროპის ეკონომიკური თანამშრომლობის რეგიონული, სტრუქტურული და სხვა პროგრამები, რომლებიც ეროვნულის ჯგუფს მიეკუთვნება.

გამომცემლობის რედაქტორი თ . გ ა ბ ე ლ ა ი ა  
მხატვარი ა . ბ უ ა ძ ე  
სამხატვრო რედაქტორი ი . ჩ ი ქ ე ი ნ ი ძ ე  
ტექნიკური რედაქტორი თ . შ ი რ ც ხ ე ლ ა ნ ი  
კორექტორი ე . წ ე რ ე თ ე ლ ი

**Лившиц Александр Яковлевич**

**ВВЕДЕНИЕ  
В РЫНОЧНУЮ  
ЭКОНОМИКУ**  
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета  
Издательская фирма "Сиахле"  
Тбилиси 1996

ხელმოწერილია დასაბეჭდად 18.VI.96; საბეჭდი ქაღალდი 60X84<sup>1/4</sup>,  
პირობითი ნაბეჭდი თაბახი 21,25; სააღრ. საგამომცემლო თაბახი 21,04

**უასი სახელმეკრულებო**

გირაჟი 1 000 შეკვეთა № 407.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 380028,  
ი. ჭავჭავაძის პრ. 14

საწარმო-საგამომცემლო გაერთიანება „მეცნიერება“, თბილისი 380060,  
კუჭუბოვის ქ., № 19